

პაატა გუგუშვილი

ქართული წიგნი

1629—1929

პროფ. ფ. გოგიჩაიშვილის რედაქციით

სახელმწიფო გამომცემლობა

1929

„ზარია ეოსტოკა“ - ს
გამომცემის სტამბა,
რუსთაველის პრ., 36.
შეკვ. 950, ტირ. 2000
მთავლიტი № 1114.

რედაქტორის შენიშვნა

წინამდებარე ნარკვევი უნივერსიტეტის სემინარულ გამოკვლევათა ციკლს ეკუთვნის, რომელითაც ზოგის—იშვიათად—დაბეჭდვა ხერხდება განსაკუთრებული ხელშეწყობი გარემოების წყალობით. იგი სადიპლომოდ შრომად იყო წარმოდგენილი და ასეთად კიდევ მიღებულია სათანადო რეგენზენტის მიერ. თუმცა მასში საკითხის სოციალ-ეკონომიურ მხარეზე ნაკლები ყურადღებაა მიქცეული და სტატისტიკურადაც უფრო გაღრმავებული შედარება-ანალიზი იყო სასურველი, მაგრამ, მეორეს მხრივ, ავტორს იმდენად დიდი ლიტერატურა, წყაროები და მასალა აქვს გამოყენებული ქართული წიგნის სამასწლიანი ისტორიის მოხაზვად, რომ მისი შრომა უეჭველად ყურადღების ღირსია და თავისი შინაარსით სათანადო დარგის გამდიდრებას წარმოადგენს ქართულ მწერლობაში. მოხარული ვარ, რომ გარემოებამ ხელი შეუწყო, ეს შრომა უნივერსიტეტის კედლებს გამოხსილებოდა და, დაბეჭდილი წიგნის სახით, ყველასათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო*).

ფ. გოგიჩაიშვილი

*) სამაგიეროდ გულსტკივილით უნდა აღვნიშნო: საყვედური ეკუთვნის რედაქტორის მხრივ ავტორს, რომელიც ბეჭდვას მეოველყოფობდა, და მკითხველის მხრივ—ორთავეს იმ კორექტურული შეცდომებისთვის, რომლებიც წიგნში მრავლად მოიპოვება. საქმეს რაღას უშველის, თორემ: წიგნის ბოლოში მოთავსებულია ამ შეცდომების გასწორება.

ს ა რ ჩ ე მ ი

	გვერ.
შესავალი	3
თავი I. წიგნი და „წიგნის“ სახელწოდება ქართულ ისტორიულ ძეგლებში	11
თავი II პირველი ქართული სტამბის წიგნი	25
თავი III. პირველი სტამბის დაარსება ტფილისში (ვახტანგ მე-VI და ქართული წიგნი)	39
თავი IV. ერეკლე მე-II-რე და ქართული წიგნის საქმე	63
თავი V. ქართული წიგნის საქმე რუსეთში	75
თავი VI. ქართული წიგნის განვითარების გზები მეცხრა-მეტე საუკუნის პირველ სამ-მეოთხედში (1600—1875 წ.)	91
თავი VII. ქართული წიგნის საქმე ევროპაში მე-XIX საუკ.	131
თავი VIII. ქართული წიგნი 1875—1905 წლებში	145
თავი IX. ქართული წიგნი რევოლიუციიდან რევოლიუციამდე (1905—1917 წ.)	187
თავი X. ქართული ბეჭდვითი სიტყვა და ცენზურა	217
თავი XI. ქართული წიგნი 1917 წლის რევოლიუციის შემდეგ	275
თავი XII. თანამედროვე მსხვილი წიგნით სავაჭრო-საგამომცემლო ორგანიზაციები	301
თავი XIII. დასკვნა	229
ლიტერატურა და წყაროები	357
სახელების საძიებელი	373
კორექტ. შეცდომების გასწორება	385

შენახვაში

შ ე ს ა ვ ა ლ ი

უძველეს დროიდანვე ადამიანმა თავისი ნააზრვეის და განცდის დაუვიწყებლობისათვის ანუ შემდეგი თაობისათვის გაზიარების მიზნით ისწავლა მისთვის მატერიალური სახის მიცემის საშუალება.

ნააზრვეის თუ განცდის გადაცემის როგორც ფორმა, ისე იარაღი და მასალა დიდ ცვლილებებს განიცდიდა დროის განმავლობაში, რასაც ამტკიცებს ჩვენამდე მოღწეული ისტორიული ძეგლები დამწერლობისა.

წერის მასალაში ქალაღლის უახლოესი წინაპრებია პაპირუსი (papyrus) და ეტრატი (pegramentl).

პაპირუსის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ძეგლი ეკუთვნის XVIII საუკუნეს ქრ. დაბადებამდე, ზოგიერთი მკვლევარის აზრით ის ეგვიპტეში უკვე 5000 წლის წინადაც იხმარებოდა.

პერგამენტი შედარებით ახალი დროის მოვლენაა, —ის ერთი საუკუნით ადრე ქრ. დაბადებამდე იქნა შემოღებული ხმარებაში.

ქალაღლის შესახებ ცნობილია, რომ მისი დამზადების ხელოვნება ჩინეთში, თუ პირველი საუკუნიდან არა მეორედან მაინც იცოდნენ, (მიეწერება მიწათ-მოქმედების მინისტრს წაი-ლუნს). ევროპაში ქალაღლი არაბების მიერ ისპანიის დაპყრობის შემდეგ შემოვიდა და უკვე XIII—XIV საუკუნეებში ქალაღლის ფაბრიკები საქმაო რაოდენობით არსებობდა.

პაპირუსი IX საუკუნიდან საბოლოოდ განდევნა პერგამენტმა, ხოლო უკანასკნელი—XIV საუკუნეში ქალაღლმა, თუმცა ის, პერგამენტი, ზოგ ადგილებსა და შემთხვევაში გასულ საუკუნეშიც კი იხმარებოდა.

მისმა თვისებებმა ქალაღლს წილად არგუნა გამხდარიყო გაბატონებულ საწერ და—სტამბის გამოგონების შემდეგ—საბეჭდ მასალად. ბეჭდვამ წარმოუდგენლად გაადიდა მისი (ქალაღლის) მოხზარების რაოდენობა და წარმოშვა სახალხო მეურნეობაში წარმოების მნიშვნელოვანი დარგი.

XV საუკუნის დასაწყისიდან და ნაწილობრივ უფრო ადრეც ევროპის ვაჭრობა-მრეწველობის ცენტრებში, როგორც იყვნენ ვენეცია, ჰოლანდია და გერმანიის ქალაქები, უკვე რამდენადმე განვითა-

რებული იყო „ბექდვის“ საქმე. ჯერ კიდევ 1441 წელს ვენეციაში კანონიც კი გამოიცა დაბეჭდილი სათამაშო ქალაქის შემოტანის წინააღმდეგ, ადგილობრივი მხატვრებისათვის მფარველობის გაწევის მიზნით, რადგან უკანასკნელნი განადგურების გზაზე დააყენა უცხოეთიდან შემოზიდილი საქონლის კონკურენციამ. როგორც სჩანს, სადაც ვენეციის გარეშე (აღბად ჰოლანდიაში) ისე განვითარებული ყოფილა სათამაშო ქალაქის ბექდვის ხელოვნება, რომ დახელოვნებულ ვენეციელ მხატვრებს იგი მოსპობით ემუქრებოდა.

გრაფიურული (Gravüre) წესით ბექდვის ხელოვნება შემოღების პირველსავე ხანებში სწრაფად განვითარდა, რამაც შესაძლებელი გახდა ერთი და იმავე სურათის მასიური დამზადება, რომელიც ხელით ნახატს თუმცა დიდად ჩამოუარდებოდა სილამაზით, მაგრამ თავისი სიიაფით ფართო მასისათვის ადვილად ხელმისაწვდომი იყო.

აქედან კი ერთი ნაბიჯი-ლა იყო დარჩენილი ქსილოგრაფიულის (ხეზე ამოჭრის, Holzschnitt) წესით წიგნის (das Blockbuch) ბეჭდვამდე. ამ წესით ბექდვისათვის ხის ფიცარზე ამოჭრიდენ შებრუნებულ ასლებს (სიტყვებს, სტრიქონებს და ა. შ.), საიდანაც სათანადო საღებავის წასმით და შემდეგ ქალაქზე მისი დადებით, შეიძლებოდა სასურველის რაოდენობით ასლების გადაბეჭდვა.¹⁾

ჩვენ დრომდე სულ მცირე რაოდენობით მოაღწია ამგვარად დაბეჭდილმა წიგნებმა. ისინი საერთოდ პატარა ტანისანი არიან. (უდიდესი მათგანი 100 გვერდს არ აღემატება). დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ასეთის წესით იბეჭდებოდა უმთავრესად პოპულიარული ხასიათის წიგნები, რომელიც ლარიბ მოსახლეობაში უნდა გავრცელებულიყო თავისი სიიაფისა გამო. მაგ., ასეთის წესით სხვათა შორის დაიბეჭდა ეგრეთწოდებული „გლახაკთა ბიბლია“ („Biblia pauperum“), რომელიც 40-მდე გვერდს შეიცავს. ასეთი წიგნები მეტწილად სხვადასხვა ბიბლიური სურათებისაგან შესდგებოდა, რომელსაც ხშირად წინასიტყვაობა ან ბოლოსიტყვაობა ანდა კიდევ ორივე ერთად დაერთვებოდა ხოლმე.²⁾

1) უძველეს დროში, სხვადასხვა ქვეყნებში იცოდნენ აგრეთვე გაცილებულ ფიტრზე ბეჭდვა-წერა სხვადასხვა ცნობებისა, განცხადებების, კომერციული საქმიანობის და სხვ. როგორც სჩანს ეს წესი „ბექდვისა“ ძველ საქართველოშიაც ყოფილა განვითარებულ. მაგალითად, გიორგი ხუცეს მონაზონი „ცხოვრებაჲ გიორგი მთაწმინდელისაჲ“-ში სწერს, რომ ადამიანის „ბუნებაჲ იგი ლბილი და ჩჩვილი... ვითაარცა ცვილი საბეჭდავისა ესრეთ მიიღებს სწავლულებასა“-ო.

2) ჩვენს საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში ინახება ერთი ქართული-სასულიერო წიგნი, რომელიც ახალციხეში, გასული საუკუნის ორმოციან წლებშია

ამგვარად, ბექდვის საქმე ისე იყო განვითარებული, რომ ცოტა-ლა აკლდა ჯერ ხის და შემდეგ ლითონის ფიცრებზე ამოქრილი ასო-ები ცალცალკე დაშლილიყო და ჰარმონიულად ამოძრავებულყო, რათა ამ სახით სასტამბო ხელოვნებისათვის დასრულება მიეცა გუტენ-ბერგის გენიალურ გამოგონებას.

ერთის გადმოცემით, როდესაც გუტენბერგმა თავისი დაზვის მოდელი ხარატს მიუტანა, უკანასკნელი ვერ მიხვდა ამ გამოგონების დიად მნიშვნელობას და ასე მიმართა მის ავტორს:

— ეგ ხომ ყურძნის საწნები შეგვიკვეთეთ თქვენ, ძია იოჰანეო!

— დიახ, — უპასუხა გუტენბერგმა, — მაგრამ ამ „საწნეხელიდან“ გამოდინდება ისეთი სასწაული და ულეველი სასმელი, რომლის მსგავსი ჯერ კიდევ არასოდეს ყოფილა კაცობრიობის წყურვილის მოსაკლავად!

1450 წელს გუტენბერგმა დაიწყო ბიბლიის ბექდვა ორ დიდ ტომად, რასაც ხუთი წელიწადი დასჭირდა; 1) ხოლო ამაზე ადრე კი, ალბად 1447 წელს, მან დაბეჭდა კალენდარი 1448 წლისათვის. 2)

იმ დროს, როდესაც გუტენბერგმა ბექდვის საშუალება სრულყოფამდე მიიყვანა, მასიურად წიგნის გავრცელების საკითხი ყოველმხრივ მომწიფებული იყო; სასურველის რაოდენობით იშოვებოდა იაფფასიანი ქალაქი ნაცვლად პერგამენტისა, რომელიც ერთ ეგზემპლიარ წიგნისათვის მთელი ჯოგის განადგურებას მოითხოვდა. 3) უკვე, ჩამოყალიბებულ სახეს ატარებდნენ როგორც წიგნის გამომცემელთა ისე გამაერცვლებელთა ორგანიზაციები. საუკუნეთა განმავლობაში მათ დიდი ცვლილებანი განიცადეს სხვადასხვა ქვეყნებში, რომლებიც ამა თუ იმ ეპოქაში მსოფლიო კულტურის ცენტრებს წარმოადგენდნენ, — მაგ., ასეთი ქვეყნები იყვნენ — ათინა, სადაც ჩვენამდე მოღწეული

დაბეჭდილი ქსილოგრაფიულის წესით (თანახვად გადმოცემისა). წიგნის მუზეუმში მომტანის ცნობით ის დაბეჭდილია ვინმე კათოლიკე ბერის მიერ, რომელსაც ამგვარი „სტამბა“ დიდის შრომით თავის სახლში გაუყვებია. ამ წიგნში მშვენიერი პატარა ზომის სურათებია ბოთავსებული. ის გარეგნული დაკვირვებითაც იძლევა საბაბს, რომ ქსილოგრაფიულად მივიჩნიოთ. ზემოხსენებულ კათოლიკე ბერისათვის ეს „სტამბა“ მფის ხელისუფლებას დაუწევას, თვით ბერი კი უზო-უჯვლოდ დაჰკარგულა.

1) ამ პირველნაბეჭდი ბიბლიის მხოლოდ 41 ეგზემპლიარმა მოაღწია ჩვენამდე; რომლის 1 ცალი 1897 წელს ერთმა ამერაყელმა მილიონერმა 50.000 მანეთად შეიძინა.

2) G. Zedler-Die älteste Gutenbergtype, Mainz, 1902. S. 4, 14.

3) Лихачев. Н., Полеографическое значение бумажн. водяных знаков 1899, спб. т. I. стр. IX.

ცნობებით, V საუკუნეში ქრ. დაბადებამდე ყოფილა ჩამოყალიბებული წიგნის გამომცემელი და გამავრცელებელი ორგანიზაციები. ალექსანდრე დიდი ათინიდან იწერდა წიგნებს.

პაპირუსის ფაბრიკაციამ ალექსანდრიაში, ხელი შეუწყო იქ წიგნის საქმის განვითარებას. თავის ოქროს საუკუნეში რომი წარმოადგენდა წიგნის უდიდეს ბაზარს, სადაც, ციცერონის სიტყვით, იყიდებოდა ძვირფასად შეკაზმული წიგნები (ილიადა და სხვ.).

ძველმა ქვეყანამ არ იცოდა საერთოდ წიგნის საგამომცემლო და სავაჭრო მსხვილი ორგანიზაციები. საავტორო და საგამომცემლო უფლებაც მაშინ არ ყოფილა განვითარებული.

რომის დიდებას თან გაჰყვა მისი წიგნის სიმდიდრე. შემდეგ დამდგარმა ბარბაროსულმა ეპოქამ თითქმის სრულიად მიივიწყა წიგნი, მხოლოდ დიდ მინასტრებს, რომლებიც იმ დროს კულტურულ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ, შეაფარა წიგნმა თავი.

საშუალო საუკუნეებში, სახელდობრ მე-XII და მე-XIII საუკუნეებში განვითარებულ ქალაქებში, უნივერსიტეტები გახდნენ წიგნის საქმის კვლავ გამოცოცხლების მიზეზი; უნივერსიტეტებში არსებობდნენ ეგრედ წოდებული *Stationarii*-ები, რომლებიც მაშინ წიგნის საქმის ცენტრებს წარმოადგენდნენ. წიგნით ვაჭრობამ გარკვეული ორგანიზაცია მიიღო სწორედ საშუალო საუკუნეების უნივერსიტეტთა-მ *Stationarii*-ებში, სადაც განვითარდა ისეთი მოვლენები, როგორცაა წიგნის გაქირავება, გაცემა წიგნისა საკომისიოდ, წიგნის ღირებულების ექსპერტიზა, ფასების მოწესრიგება და სხვ.

საშუალო საუკუნეების მიწურულს ჰუმანიტარულ მოძღვრებათა წყალობით ამოძრავებულმა საზოგადოებრივმა აზრმა დაბადა ძლიერი მიდრეკილება წიგნის კითხვისაკენ, რამაც გამოიწვია წიგნის მასიურად დამზადების მიზნით გადამწერლობის განვითარება.

აღსანიშნავია, რომ ამ დროს, წინააღმდეგ რომის ეპოქისა, გადამწერლები არიან არა მონები, არამედ დაქირავებული პროფესიონალი გადამწერლები, რომლებიც მრავლად მოიპოვებიან სავაჭრო ცენტრებში.

წიგნისათვის საჭირო მასალის მიწოდებამ და მოთხოვნამ თანდათან რეგულიარული ხასიათი მიიღო.¹⁾ იბადება საგამომცემლო ორგანიზაციები, რომლებიც ლებულობენ რა ავტორისაგან თხზულებას, გადაწერის საშუალებით მისგან რამდენიმე ათეულ თუ ასეულ

¹⁾ ვერნერ ზომბარტს მოყავს ცნობები, რომ ჯერ კიდევ XII საუკუნეში, შამპანის ბაზარზე იყიდებოდა პერგამენტი (იხ. Современ. капитализм. т. I. вып. I. Генезис Капитализма. Москва 1903,—გვ. 102).

ეკნემპლიარ ასლს იღებენ,—რასაკვირველია, წმინდა კომერციულის მიზნით. განვითარდა წიგნით სავაჭრო მალაზიები, აგრეთვე წიგნის გავრცელების სხვადასხვა საშუალებანი.

ამ ხანებში წიგნის საქმე უკვე კერძო პირთა ხელში იმყოფება და იმ დროისათვის გრანდიოზულ ხასიათს ღებულობს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელმაც ხელი შეუწყო წიგნის ბეჭდვის ჩქარ განვითარებას, იყო ის, რომ საკმაო რაოდენობით მოიპოებოდა მოსახლეობის ის ფენა, რომელსაც წიგნის კითხვის წყურვილი ჰქონდა.

წიგნის ბეჭდვა წარმოდგომისთანავე სწრაფად მოედვა მთელ ევროპას და თითქოს ქალაქი ქალაქს ეჯიბრებოდა სტამბის გახსნის დასწრებაში, ასე რომ უკვე მე-XVI სარკუნის დასაწყისისათვის ნიდერლანდის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის და ისპანიის 67 ქალაქში 207 სტამბა ითვლებოდა. და ოთხ ათეულ წლებში დაბეჭდილ იქნა 30.000 მეტი სხვადასხვა გამოცემა.

ამ ხნის განმავლობაში (1500 წლამდე, ნაწილობრივ 1525-მდე) დაბეჭდილ წიგნებს ინკუნაბულებს (*incunabula*—აკვანი) უწოდებენ, რომელთა მეცნიერულ-კრიტიკული ბიბლიოგრაფიით ბევრი გამოჩენილი მეცნიერი იყო და არის დაინტერესებული. თითქმის ყველა კულტურულ ქვეყნებში სპეციალური კომისიები მუშაობდნენ ძველად ნაბეჭდი წიგნების (*Wiedendruk*) მთლიანი კატალოგების შედგენაზე.¹⁾

ამრიგად სასტამბო, ანუ წიგნის ბეჭდვის ხელოვნება ძლიერ ჩქარა გავრცელდა ევროპაში, და მალე დაიწყო ამ საქმეში ხელისუფლების ჩარევაც. პაპები ჯერ კიდევ XV საუკუნიდან იჩემებდნენ წიგნის ბეჭდვა-გამოცემის მეთვალყურის უფლებას,²⁾ და წიგნის ისტორიაც მდიდარია მათი „ჰუმანიტარული“ მოღვაწეობით ამ დარგში. მაგრამ მალე მარტო პაპიც უძლური გამოდგა და მეფის ხელისუფლებაც იძულებული შეიქნა მონაწილეობა მიეღო წიგნის საქმის მოწესრიგებაში.

ცენზურის სისასტიკემ უკვე XVI და XVII საუკუნეებში გამოიწვია არალეგალური ლიტერატურის წარმოშობა; წიგნები სტამბის გამომცემლის და ავტორის აღუნიშნავად ან ფსევდონიმებით იბეჭდუ-

1) ურიგო არ იქნება სათანადო ორგანომ ჩვენშიაც მიაქციოს მსგავს საქმეს ყურადღება.

2) კელნის უნივერსიტეტმა 1479 წელს პაპი სიქსტი მე-IV-საგან მიიღო ცენზურობის უფლება. იმავე საუკუნის 80-ან წლებში არქიეპისკოპოსმა ბარტოლდ მაინცელმა ფრანქფურტის ქალაქის საბჭოსთან შეთანხმებით თავის ცენზურას დაუქვემდებარა ფრანქფურტის წიგნის ბაზარი, პროტესტანტული ლიტერატურის აკრძალვის მიზნით.

ბოდა, მაგრამ ასეთი ხერხიც ხშირად მიზანს ვერ აღწევდა და არა ერთი შემთხვევა ყოფილა, რომ სასულიერო თუ საერო ცენზურას აღმოეჩინოს დამბუქდავთა და ავტორთა მისამართი, რასაც მოსდევდა ინკვიზიციის სასტიკი ზომები „ბოროტმომქმედთა“ მიმართ. წიგნისეც ასამართლებდენ, როგორც ადამიანს (ეგრეთწოდებულ „წმინდა ტრიბუნალში“) და დაწვას უსჯიდენ.

მე-XVII საუკუნიდან წიგნთ მოვაჭრეები (მაგ. გერმანიაში) შედიან ქალაქის ვაჭარ-მრეწველთა კორპორაციებში, როგორც სრულუფლებიანი წევრები, და განსაკუთრებულ უზნებში ბინადრდებიან.¹⁾

მე-XVI—XVII საუკუნეებში გერმანია (ფრანკფურტი და ლაიპციგი) ხდება წიგნის სავაჭრო-საგამომცემლო ცენტრად მთელ ევროპაში.

გამომცემელთა მთავარ ხარჯს წარმოადგენდა წიგნის შესრულების ტექნიკური მხარე, ხოლო რაც შეეხება საავტორო ჰონორარს, მისი გაღება იმ დროს არ იყო შემოღებული,²⁾ მაგრამ წიგნის საქმის შემდგემა განვითარებამ ეს შეხედულება უარჰყო და მე-XVII საუკუნიდანვე უკვე მტკიცდება წესი ავტორებისათვის ჰონორარის მიცემისა.

წიგნის ბეჭდვის ხელოვნებამ განსაკუთრებული განვითარება მიიღო გასულსა და მიმდინარე საუკუნეში. ტექნიკის ყოველგვარი ახალი მიღწევა ელვის სისწრაფით გამოიყენებოდა წიგნის საქმის სასამსახუროდ. დაიწყო სწრაფი მაშინიზაცია სტამბებისა, რომელმაც ორთქლისა და ელექტრონის წყალობით უკანასკნელს დროს განსაკუთრებულ შედეგებს მიაღწია.

განსაკუთრებით ახალი დროის საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ბეჭდვითი სიტყვას, წიგნს, დააკისრა მეტად მნიშვნელოვანი როლი: შეიქმნა დიდი მოთხოვნილება მისი ნაწარმებისა, რასაც თავის მხრივ მოჰყვა წარმოუდგენელი ზრდა წიგნის და გაზეთის ტირაჟისა და წარმოების სისწრაფე. თუ გუტენბერგმა თავისი ბიბლიის ბეჭდვას ხუთი წელიწადი მოანდომა, დღეს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილი სტამბების, გამომცემლობათა და წიგნით სავაჭრო ორგანიზაციების წყალობით 1000 გვერდიანი წიგნი, რომლის ბეჭდვა ლაიპციგის რომელიღაც სტამბაში დილით დაიწყეს, რამდენიმე საათის შემდეგ უკვე სწრაფი მატარებლებით, გამებით და ჰაეროპლანებით მთელი მსოფლიოს კულტურული ცენტრებისაკენ არის გაგზავნილი.

1) ლაიპციგში წიგნთ ვაჭრობის ცენტრი XVII საუკუნიდანვე იყო ქუჩა წმ. ნიკოლოზის სასაფლაოსთან, ხოლო მაინის ფრანკფურტში კი ბუჰასსე (წიგნის ქუჩა).

2) უფლები ფონ ჰუტენი სჯის ერაზმს თავის შემოქმედების ჰონორარის მიღებისათვის.

წიგნს განსაკუთრებული ბუნება აქვს,—ის ინდივიდუალური და იმავე დროს საზოგადოებრივი მოვლენაა.

წიგნის პრობლემა არა მარტო სამეურნეო პრობლემაა, არამედ იდეოლოგიურის თვალსაზრისითაც დიდი ინტერესის შემცველია. ამიტომაც, რომ წიგნი, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი დაწესებულებათა განსაკუთრებული ყურადღების საგანს შეადგენს. ¹⁾

¹⁾ ნასარგებლელი წყაროები. Карл Бюхер, Возникновение народного хозяйства вып. II. 1907. спб.; М. Щелкунов,—История, Техника, и искусство книгопечатания, Москва 1916. II издание; Проф. М. Куфаев, Проблемы философии книги, Ленинград 1924; Gulenberg—Gesellschaft, I, III, V, VII, ტომ. Mainz. 1902—1914; K. Schollenloher, Das alte Buch, Berlin 1921; C. von Luzw, Geschichte des deutschen kupferliches und Holzschnilles, Berlin. 1891; Книжная торговля, под редакц. М. Муратова и Н. Накорякова. Москва 1925 და სხვა.

თავი პირველი

წიგნი და „წიგნის“ სახელწოდება ქართულ ისტორიულ ძეგლებში

სახელწოდება „წიგნი“ უძველეს ქართულ ძეგლებში.—სიყვარული და მიდრეკილება წიგნისადმი.—ჭრეთაგან დატყვევებული წიგნების გამოსყიდვის ჩვეულება.—სმარებაში დაკლექილი და გაცვეთილი წიგნის განახლება.—უძველესი კატალოგი ქართული წიგნებისა.—ძველი ქართული წიგნთსაცავები.—წიგნის გადაშჩერლობა და გადამწერელთა მდგომარეობა.—წიგნის დირეგულირება.—საწერი ძასალა: ეტრატი ქაღალდის შემოხვლა საქართველოში. წიგნების აკინძვა დასურათება და სხვ.

თ ა ვ ი ვ ი რ ვ ე ლ ი

წიგნი და „წიგნის“ სახელწოდება ქართულ ისტორიულ ძეგლებში

უძველეს ქართულ ძეგლებში სახელწოდება „წიგნი“ საბუთის აღსანიშნავად იხმარებოდა ¹⁾. ჯერ კიდევ დაბადების ქართულ თარგმანში ბერძნული το βιβλίον და ლათინური libellum-ის გადმოსაცემად ეს ტერმინი ყოფილა მიღებული.²⁾

წიგნი ყველა და ყოველგვარი საბუთის საერთო სახელი იყო: „წიგნი მეფისაჲ“ ³⁾ (17 საუკ.), „გარიგების წიგნი“ ⁴⁾ (17 საუკ.), „წყალობის წიგნი“ ⁵⁾ (1442), „დაკუეთილობის წიგნი“ ⁶⁾ (1454), „მიჯნების გასწორების წიგნი“ ⁷⁾ (1782), „თარხნობის წიგნი“ ⁸⁾ (1582 წ.), „მიჯნურობის წიგნი“ ⁹⁾ 12 საუკ.), „ნასყიდობის წიგნი“ ¹⁰⁾ (1589 წ.),

¹⁾ პროფ. ივ. ჯ ა გ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართ. საბუთ. აღმნიშვნელი ტერმინები (მიმოხილველი I).

²⁾ ibid. გვ. 75; მისივე, ქართ. სიგ. მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 30.

³⁾ ibid. გვ. 80; მისივე, ქართ. სიგ. მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 31.

⁴⁾ ibid. გვ. 82; მისივე, ქართ. სიგ. მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 38.

⁵⁾ ibid. გვ. 83; მისივე, ქართ. სიგ. მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 34.

⁶⁾ ibid. გვ. 86; მისივე, ქართ. სიგ. მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 42.

⁷⁾ ibid. გვ. 88; მისივე, ქართ. სიგ. მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 33.

⁸⁾ ibid. გვ. 91; მისივე, ქართ. სიგ. მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 47.

⁹⁾ ibid. გვ. 97; მისივე, ქართ. სიგ. მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 32.

¹⁰⁾ ibid. გვ. 94; მისივე, ქართ. სიგ. მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 38.

„ამხანაგობის წიგნი“¹⁾ (1786), „ანდერძის წიგნი“²⁾ (1123 წ.) და სხვ.

ამრიგად, რა დანიშნულებისაც კი უნდა ყოფილიყო „დაწერილი“ საბუთი, მას „წიგნი“ ერქვა, რომელსაც თავისი შინაარსის მიხედვით მხოლოდ თვისების აღმნიშვნელი სახელი ემატებოდა.³⁾

ამიტომ ყოველი ისტორიული თხზულებაც უპირველესად „წიგნი“ იყო. მაგ. მათიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შატბერდისეულს ხელთნაწერში „წიგნად“ იწოდება, ანდერძში სახელდობრ სწერია: „წიგნი ქართლისა მოქცევისა ესეო“⁴⁾.

გიორგი მერჩულის ნაწარმოებიც „წიგნად“ იწოდება, და თვით ავტორიც ერთგან ამბობს, გრიგოლის იერუსალიმელი მოწაფეების ეპისტოლე „შთაწერე წიგნსა ამას შინა... შეუცვალებლადო“.⁵⁾

ქართლის ცხოვრებაში შეტანილ ქართულ საისტორიო თხზულებათა შესახებაც ანნა დედოფლის ხელთნაწერშიც და მარიამ დედოფლის ხელთნაწერშიც ნათქვამია: „გუებრძანა... ამათ წიგნთა აღწერაო“, „იწერებიან... ესე წიგნნიო“.⁶⁾

სტამბის გახსნის შემდეგ, დაბეჭდილ წიგნებს „სტამბისას“ ეძახდნენ. მაგალითად, ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნში ვკითხულობთ: „... სახარება ერთი, კიდევ სახარება სტამბისა ერთი, სამოციქულო სტამბისა ერთი, ჟამნი სტამბისა ერთი, დავითნი სტამბისა ერთი, ხელით დაწერილი პატარა დავით-

¹⁾ *ibid*, გვ. 93.; მისივე, ქართული სიგელთა მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 38.

²⁾ *ibid*, გვ. 91--92.; მისივე, ქართული სიგელთა მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 40.

³⁾ ივ. ჯავახიშვილი, ქართ. საბუთ. აღმნიშვ. ტერმ. გვ. 74. (მიმომხილველი 1).

⁴⁾ ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინად და ეხლა, წიგნი I ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. XXIX (შეხვედრაში).

⁵⁾ მისივე, ძველი ქართ. საისტ. მწერლ. გვ. XXIX.

⁶⁾ *ibid*; საბასულხან-ორბელიანის განმარტებით: „წიგნი ეწოდების ერთსა წერილთაგანსა მრთელსა ვისცა იყოს“ იხ. 1928 წ. გამოცემის 434 გვ.

იხ. აგრეთვე ნ. მარჩის საინტერესო წერილი: „Происхождение терминов „книга“ и „письмо“ в освещении яфетической теории, გვ. 45--83, Книга о книге, 1927. ძველად წერა-კითხვის ცოდნას „წიგნის“ ცოდნას ეძახდნენ: მაგ., მემათიანე (ემათაღმწერელი) გვამცნობს, რომ მას მონგოლური ენა და „წიგნი“ სცოდნია; მღვდელმონაზონი ქრისტეფორე აცხადებს, რომ „მერუსული წიგნის“ მიხედვით და ტიბეტური ვიცილიო“ (იხ. ზატყი, მოსკოვი 1738 გვ. 875).

ნი, სტამბის მხედრული დავითნი, სარწმუნოების სტამბის წიგნი ერთი, თავის ოქროსქსოვილის ბოხჩები-თა“...¹⁾).

ასეთივე ცნობა არის ქსნის ერისთავის დავითის ასულის ელენეს მზეითვის წიგნში.²⁾

1739 წელს მოსკოვში დაბეჭდილ ერთს ქართულ სახარებას აქვს მინაწერი კახეთის მდივანმწიგნობართ უხუცესის არქიეპისკოპოზის იოსებისაგან, რომ მან მის მიერ „ნაღვაწ-ნაშრომი ესე სტამბის წმინდა სახარება“ შესწირა დავით გარესჯის უდაბნოს.

როდესაც ვეცნობით ძველი ქართული წიგნების და მწიგნობრების თავგადასავლის შესახებ ცნობებს, განცვიფრებას იწვევს ის მიდრეკილება და ინტერესი წიგნისადმი, რომელიც წინაპრებს, მიუხედავად მათი ხშირად გაჭირვებული მდგომარეობის, ახასიათებთ.

ქართველ მწიგნობარს, რომელიც ბედს სამშობლოდან რამდენიმე ათასი კილომეტრით დაშორებულ მხარეში გადაუტყორცნია, მაინც ჰყოფნიდა ძალა და ენერგია ეზრუნა ამ წმინდა საქმისათვის: ათონის ერთი სახარება გადაწერილია ტენედოს (ბოლჩაადს) იქ ექსორიაქმნილი ქართველი მწიგნობრის მიერ.³⁾

ვახტანგ მეექვსე მის მიერ სპარსეთში სპარსულიდან თარგმნილ და 1721 წელს ტფილისში გამოცემულ წიგნში ამბობს: „...რამეთუ საქმეთაგან საცნაურ არს, ვითარმედ მრავალნი კირნი მინახვენ ამა წიგნთა ზედა და არცა თუ მეფობისა მსახურებაჲ დამიკლიესო.“⁴⁾

მეფის ძე იულონთან გადახვეწილი იოანე⁵⁾ (ქართველი-შვილი), თავის დღიურში შვილებისადმი ანდერძსა სწერს: „ყმა არა გრჩებათ, მამული და სხვა ასეთი, რომ იმის გარიგება ანდერძად დაგიწერო. წიგნები დარჩება... ეცადეთ... დაისწავლოთ, არ დაჰყიდოთ და უბრალოდ არ დაფანტოთ“.⁶⁾

¹⁾ საქართველოს სიძველენი 1910. ტფ. ტ. III. გვ. 483. აგრეთვე „ივერია“ № 234, და 235. 1889 წ. „ანუკა ბატონიშვილის მზეითვის წიგნი“.

²⁾ საქ. სიძვ. ტ. III, გვ. 469.

³⁾ მ. ჯანაშვილი, საისტორიო საეთნოგრაფიო წერილები (ივერია 1900 № 191). 1725 წ. ხონთქარის მიერ ტენედოში გადასახლებულნი იყვნენ: პატრიარქი დომენტი, გედევანიშვილი პაატა—მოღარეთ უბრცესი, გერმანოზიშვილი დომენტი და სხვები.

⁴⁾ აიათი, III გვ. 1721. ტფილისი.

⁵⁾ ეს იოანე ქართველოვი 1804 წელს ციციანოვის მიერ დანიშნულ იქნა ტფილისში დაარსებულ კეთილშობილთა სასწავლებელში ქართულის მასწავლებლად. იხ. АКТЫ Кавк. археографической комиссии т. II. გვ. 282.

⁶⁾ „ივერია“, 1889 წ. № 203—204.

წიგნებს ოქრო-ვერცხლით მოქედით და ძვირფასი ქვებით მოცვარულ ყდებში კაზმავდენ ¹⁾). წიგნის სიმშვენიერეს დიდ ყურადღებას აქცევდენ; საქმე ხშირად იქამდის მიდიოდა, რომ შეძლებული პატრონი თავისი წიგნისათვის საბერძნეთიდან გამოიწერდა სურათებს. ²⁾).

წიგნი უძვირფასესი საჩუქარი და შესაწირავი საგანი იყო ³⁾, მას მზითვად ატანდენ, ოქრო-ვერცხლის ყდებითა და ბოხჩებით შეკაზმულს, და სათანადო სიაში, მზვითვის წიგნში, ხატებთან ერთად, პირველ რიგში იწერებოდა. ⁴⁾ მიუხედავად იმისა, რომ სტამბის გახსნის შემდეგ წიგნი უფრო გამრავლდა, მისდამი ძველი პატივისცემა მაინც არ შეწყვეტილა, მას ისევ ოქრო-ვერცხლით ქსოვილ ბოხჩებში ინახავდენ. ⁵⁾)

მტერთაგან ნადავლად წარტაცებულ წიგნს, მსგავსად ადამიანისა, „წარტყვევნილს“ ⁶⁾ ანუ „დატყვევებულს“, ⁷⁾ ეძახდენ და ქართველი პირველ შეძლებისთანავე ცდილობდა მის დახსნას, გამოსყიდვას: „ესე წიგნი, საღთოჲ, შაჰაბაზიშვილმან მხითარ დავისხენ თათართა ხელისაგან შაბახიას და ყარალაშვილსა შალიკასა მივეც მისთვის და ჩემისა სულისათვის, ვინც ესე წიგნი ნახოთ და წაიკითხოთ, თუ ჩვენ ორთათვის შენდობასა ბრძანოთ, რომელთა დაგვისხნია თათართა ხელისაგან და რომელთა საქართველოს მოგვილია“-ო. ⁸⁾

მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ცნობით, ეს წიგნი კიდევ მრავალ გზის ტყვეობიდან გამოხსნილი ყოფილა, იგი რუსეთშიაც ყოფილა, სადაც უფრო მეტი „ვენება მისცემია, ვინემ ბარბაროსთა ქვეყანაში.“ ⁹⁾

¹⁾ წიგნების ძვირფასად მოკაზმვა გასულ საუკუნეშიაც არ შეწყვეტილა. მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ა გვიწერს წიგნს, „რომელიც მთლიანად ვერცხლით მოქედულია და აკრელებული ვარსკვლავებითა და ყვავილებით და წარმტაცი ფერადი (ოქროსი) სურათებით დამშვენებული, რომლის ვერცხლის პირზე სწერია: „შევამეც სახარება ესე ლენერალ მაიორის ჯამბაკურ ორბელიანის თამაზას მეუღლემან ქობულის ასულმან ქენინა ქეთევან. ჩ. ყ. მ. ა. (1841.) იხ, მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი —საისტ. საეთნოგრ. წერილები, „ივერია“. 1900 წ. № 66.“

²⁾ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი —პალეოგრაფია, გვ. 89.

³⁾ ვატიკანის ბიბლიოთეკაში ინახება ნაჩუქარი და შენაწირავი ქართული წიგნები: ბიბლია (მოსკ. 1743), ვახუშტის საქართველოს ისტორია და სხვა კამიტალური ქართული შრომები (იხ. მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი —ქართ. წიგნები ვატიკანის ბიბლიოთეკაში, „ივერია“ 1903, № 137).

⁴⁾ საქ. სიძველენი ტ. III. გვ. 462, 475, 485.

⁵⁾ ibid, აგრეთვე „ივერია“ 1889, № 203.

⁶⁾ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული დანწერლობათა მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია გვ. 75. 1926.

⁷⁾ ibid, გვ. 75—76.

⁸⁾ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი —საისტ. საბიბლ, წერილები. „ივერია“ 1889. № 94.

⁹⁾ ibid.

სტამბის წიგნებიდან: „ვიხილე რა ესე სახარება და სამოციქულო ვერცხლით მოჭედილი, ფასის საცავსა მდებარე და ესცან, რომელ შენის წმინდის ტაძრისა (დავით გარესჯის) იყო და ულთოთა ლექთაგან დატყვევებულიყო, მივეც ფასი სრული და სურვილით ტაძარსავე შენისა შენი შენდავე შევსწირე... ქართლისა და კახეთის დედოფალმან, დადიანის ასულმან დარეჯან... თუესა აგვისტოსა ია (11) წელსა ჩლოვ (1776) ¹⁾).

ტფ. სახ. უნივერსიტეტის № 76 ხელთნაწერს აქვს 1569 წლის მინაწერი: „მას ჟამსა როდეს მეფე ბატონი სუიმონ ურუმთაგან დატყუვედა და ჩუენ ხუანთქართანა ელჩად წავედით და ეს წიგნი დატყუვეებული ვიპოვნეთ და დავიხსენით და ვიყიდეთ ოთხმოც ფლურად“ ²⁾).

ერთ XII-XIII საუკ. ხელთნაწერში მოიპოვება მინაწერი: „ესე მე ხუდად თბილელმან დავსწერე. ამა წიგნსა გარდევკიდე და ფასი არა მქონდა რაიმე მეყიდა და ასრე დარჩა ტყუეობასა შიგან; ვინცა ქართველი კაცი გარდეკიდოთ ანუ შეეყაროთ, რათამცა ეგებოდეს, ესე წიგნი დაიხსნათ ტყუეობითგან“. შემდეგ იმავე წიგნს სხვა ხელით აქვს მიწერილი არშიაზედ—“ცოდვანი შეუნდევს ღმერთან გიორგის, ამა წიგნისა დამხსნელსა ტყუეობისაგან“ ³⁾).

წიგნის გათხოვება და გაქირავებაც ძველადვე ყოფილა ჩვეულებად მიღებული: 1779 წელს დაწერილ წიგნში კვითხულობთ: „წყეულ იყოს ის კაცი, თუ ქალი, თხოვნით წაილოს და ამის პატრონს დაავიწყდეს და აღარ აღმოუჩინოს, წყეულ იყოს, რომელსაც აქედამ ამბავი მოეწონოს, ან რვეული ამოგლიჯოს და ან ფურცელი აღმოხიოს და ან უბრალოდ არშიაზედ ბლარჯვა დაუწყოს და ან ფინთად და უნალვლოდ და ნისიათ იხმაროსო“ ⁴⁾).

ხმარებაში თუ უდიერად მოპყრობისაგან დაგლეჯილი და გაცვეთილი წიგნების განახლება, ამოგლეჯილი ფურცლების ჩამატება

¹⁾ ხსენებული სახარება და სამოციქულო ორივე 1709 წელსაა ტფილისს დაბეჭდილი, ორივე მოთავსებულია საერთო ვერცხლის ყდაში, რომელიც ამრიგად შეკაზმული, თავის დროზე ვაზჩანგ VI-სეს შეუწირავს დავით გარესჯის უდაბნოსათვის, როგორც ამას სათანადო მინაწერი ამტკიცებს. ამჟამად ეს წიგნი იმავე ვერცხლისავე ყდაში, დაუზიანებლად ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექცია).

²⁾ ივ. ჯავახიშვილი, პალეოგრაფია გვ. 99.

³⁾ ibid. 98. აგრეთვე მ. ჯანაშვილი, Опис. III გვ. 49—50.

⁴⁾ Е. Такайшвили—Описание рукоп. О. р. г. с. груз.

და ხელახლა აკინძვა ჩვეულებრივ მოვლენად ყოფილა ქცეული, ¹⁾ რასაც, ცხადია, წიგნის სიძვირეც ხელს შეუწყობდა. მაგალითად, ლარგვისის მონასტრის ერთ სახარებას აქვს ნაწერ-...წმინდა ესე სახარება ჟამთა ვითარებისაგან თავეს შეეკამა და უხმარ იყო, რადგან ამდენი წარბოცა, ფუჭდებოდა, ვიგულსმოვიდობინე და განვაახლებინე მე წინამძღვარმა გერმანემ²⁾.

წიგნების კლასიფიკაცია მათი სოციალური დანიშნულების მიხედვით ძველადვე სკოდნიათ: სამღვთოა წიგნი, ³⁾ ანუ საეკლესიო და სამღვდლო ⁴⁾, სამეცნიერო წიგნი ⁵⁾, საკითხავი წიგნი ⁶⁾ საერო ანუ გარეშე წიგნი ⁷⁾ და სხვა.

შესახებ კატალოგიზაციისა უძველესი დროიდანვე მოწეულა ჩვენამდე ცნობები. ჩვეულებრივად თვით ავტორი, მთარგმნელი, გადამწერი ან კიდევ წიგნების პატრონი, ჩამოთვლიდა მის მიერ შედგენილ, თარგმნილ, გადაწერილ თუ საკუთარ წიგნებს; ასეთი სიები ყველაზე ხშირად თვით წიგნებშივე გვხვდება, სახელდობრ ტექსტის ბოლოს ⁸⁾.

ქართული წიგნების უძველეს კატალოგად მიჩნეულია სინას მთის № 92 ხელთნაწერის ყდის შიგნით გაკრული ეტრატის პალიმესტზე აღმოჩენილი ნაწყვეტი, მონასტრის, X საუკუნის კატალოგისა, სადაც სულ 22 წიგნის სახელწოდებაა მოხსენებული. აქ ზოგი თხზულება 2 და კიდევ მეტ ცალადაა მოხსენებული, ექვს ცალიანი წიგნიც კი იხსენიება ⁹⁾.

¹⁾ ივ. ჯავახიშვილი — პალეოგრაფ. გვ. 83.

²⁾ მ. ჯანაშვილი — საისტ. საბიბლიოგრაფ. წერილები „ივერია“ 1900, № 191.

³⁾ სახარება გვ. IV. 1709. აგრეთვე კურთხევანი გვ. III. 1713. ტფ.

⁴⁾ *ibid.*

⁵⁾ ივ. ჯავახიშვილი — პალეოგრაფია 81.

⁶⁾ და ⁷⁾ *ibid.* გვ. 79. 81. საინტერესო ცნობები აქვს აგრეთვე საბა სულხან-ორბელიანსაც სიტყვა „წერილში“ — საღთო წერილი არს ძველი რჯულის მატთან და ახალი აღთქმა; ხოლო წმინდათ წერილი არს მათი თარგმანი და ღთის მეტყუელებანი და წმინდათა ამბავნი; გარეშე წერილნი არიან მსოფლიონი ამბავნი, ლექსნი და იგავნი რამენი და მისთანანი; ხოლო ზღაპრობანი (ესეც ერთ დარგად აქვს გამოყოფილი) — საწარმართონი. საცრუო მოგონებულნი და ტყუილნი შემკვალულნი. წიგნი ეწოდების ერთსა წერილთაგანსა მრთელსა; ხოლო მიწაწერთა მოკითხვათა და სასაქმოთა — უსტარი“ (იხ. ლექსიკონის 134 გვერდი, 1928 წლის „ქართული წიგნის“, გამოცემა).

⁸⁾ А. Агарели — Сведения о памятниках Грузинской письменности т. I. წინასიტყვაობა 1886. სპბ. გვ. IV და V.

⁹⁾ Н. Морг, предвзрит. отчет о работах по синае (Сообщ. прап. пол. общ. т. XIV. გვ. 45) აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი — პალეოგრაფია გვ. 84

ტექსტის ბოლოს წიგნების სიის მოყვანის ჩვეულება შემდეგში მესტამბებებამაც შინარჩუნეს. მაგ., ქრისტეფორე კეფერაუზილი მის მიერ 1793 წელს ტფილისში გამოცემულ წიბნში ამბობს: დაბეჭდე შრომითა და საფასითა ჩემითა (1) დაუჯდომელი მხედრული უ (400 ცალი), (2) კიტაის სიბრძნე უ (400 ც.), (3) ლოცვანი ჩ (1000 ც.), (4) სახარება ყ (800 ც.) (5) სამოციქულო ჩ (1000), (6) ჟამნი ჩ (1000) ცალი, (7) სახარება მეორედ ყ (800) (8) მარხვანი ჩ (1000).¹⁾

აგრეთვე მოსკოვს ტფილისის მიტროპოლიტის ათანასე ამილახვარის სტამბაში დაბეჭდილ წიგნში ვკითხულობთ: „დაიბეჭდა სამლოთო სახარება გამოკრებული რიხებით ექვსასი და პირველ ამისა დაიბეჭდა დავითნი შეიდას ოცი და სამოციქულო რეაას ორმოცდა ექვსი“²⁾.

თუ რომ კატალოგები გვხვდება, ცხადია; წიგნთ საცავებსაც ექნებოდათ აღგილი. უწინ ასეთები მონასტრებსა და სასახლეებში იყო. ის გარემოება, რომ სინას მთის ზემოდ მოხსენებულ კატალოგში ერთი სახელწოდება 6 ცალად იხსენიება, საერთოდ წიგნების სიმრავლეს მიწმობს. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ათონის მონასტერს XII საუკუნეში იორი წიგნთ საცავეი ჰქონია, — „დიდი წიგნთ საცავეი“ და „პატარა წიგნთ საცავეი“,³⁾ უკანასკნელი, ალბად, უფრო პოპულიარული და ხელმისაწვდომი წიგნებისათვის იყო დანიშნული.

წიგნის გადამწერლობა ხელობად იყო ქცეული,⁴⁾ რომელმაც უძველესი დროიდან, ჩვენში წიგნის ბეჭდვის ნელი განვითარებისა გამოი, გასული საუკუნის მეორე ნახევრამდეც კი მოაღწია.

გადამწერლობა უფრო ბერმონაზნებს შორის იყო გავრცელებული, პირველ ხანებში მაინც. უეჭველია, რომ საერო მწერლობის გადაწერის და გავრცელების ხელობა ერის კაცების იქნებოდა ძველადაც, ე. ი. IX და XII ს. ს., ისევე, როგორც XVI და XVIII საუკუნეებში იყო⁵⁾.

რაკი გადამწერლობა ხელობად იყო ქცეული, გადაწერა, რა თქმა უნდა, სასყიდლით იქნებოდა. ერთ ძველ ხელთნაწერში გადამწერი მკითხველის წინაშე იბოდიშებს, ცუდი ხელით არის ნაწერი,

1) სამოციქულო. ტფილსი. 1793. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავეში.

2) სახარება საკითხავად 1766. მოსკოვი; ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავეში ახს II 850.

3) ივ. ჯავახიშვილი — პალეოგრაფია გვ. 90.

4) *ibid*, 96 მისივე, საქ. ეკონომიური ისტორია, გვ. 41.

5) *ibid*, გვ. 41.

მაგრამ რა მექნა სხვაა ღონე არა მქონდა, „საფასისგან გლახაკ ყოვლად ვიყავ და უსასყიდლოდ არავინ დამიწერდაო“¹⁾).

დახელოვნებულ გადამწერელს ძველადვე დიდი შემოსავალი ჰქონია, ექვთიმე მთაწმინდელის მოწმობით, თეოფანე ხუცესს, რომელიც იყო, „სწავლული ფრიად და ხელოვნებით მწერალი, წიგნთა სამღთთა თავისი საშინასტრო მოღვაწეობის განმავლობაში „უფროას ათას ხუთასისა დრაჰკანისა უწერიან წიგნნი მონასტრისანი“²⁾. პროფ. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „თუ დაახლოებით მოზრდილი წიგნის ფასს 20 დრაჰკანად ვიანგარიშებთ, გამოდის, რომ თეოფანე ხუცესს 75 წიგნი და ეგების ამაზე მეტიც დაუწერია“³⁾, ათას ხუთასი დაჰკანი მაშინ (XI საუკუნეში) დიდი ფული იყო“⁴⁾.

ამავე დროს გადამწერი ხანდახან პურის ფასადაც კი მუშაობდა, რაიც, ცხადია მისი მოქმედების ადგილას წიგნის მცირე მოთხოვნილებით ან კიდევ თვით გადამწერელის უფლებრივი მდგომარეობით უნდა აიხსნას. მაგალითად, 1066 წელს გადამწერილ წიგნში გადამწერელს ნათქვამი აქვს: „სრულ იქმნა ერთი თუე... ხელითა გლახაკისა გრიგოლ ხუცისათა, ფასად პურისა ჩემისა“⁵⁾.

როგორც სჩანს, წიგნი საერთოდ საკმაოდ ძვირად ღირებულა. ერთს XI საუკუნის სიგელში სწერია: „ვიყიდე წიგნი პარაკლიტონი: ა: (1) და ფასად მივეც ცხენისა ნახევარო“⁶⁾.

ამავე ხანებში, პროფ. ჯავახიშვილის გამოანგარიშებით, ერთი წიგნი 20-24 დრაჰკან-დუკატი ღირებულა⁷⁾. მეთექვსმეტე საუკუნეში, მეთორმეტე საუკუნეში დაწერილი დიდ ტანიანი წიგნი (676 გვერდიანი, ქალაღდზე) დაახლოებით 80 ფლური ღირებულა.⁸⁾

მე XVII საუკუნის დასაწყისისათვის გადამწერლები, როგორც სჩანს, თავს კარგად ინახავდნენ. გელათის მონასტრის ერთი წიგნის გადამწერელი გადმოგვცემს: „აბხაზეთის კათალიკოსი ეფთვიმე... ყოველსა წელიწადსა ოთხ-ოთხსა, სამ-სამსა და ორ-ორსა მწერალთაჲ გვაწერინებდა დიდის პატივითა და წყალობითა“⁹⁾

1) ibid გვ. 97.

2) ივ. ჯავახიშვილი, ს.ქ. გეონომ. ისტორია გვ. 41; პალეოგრაფია გვ. 96.

3) ibid გვ. 45; პალეოგრაფია გვ. 97.

4) ibid.

5) ibid; პალეოგრაფია გვ. 97.

6) ივ. ჯავახიშვილი - პალეოგრაფია გვ. 97.

7) ibid, გვ. 98.

8) ibid, გვ. 99.

9) ibid, გვ. 98.

მაგრამ გადამწერელს, ზოგჯერ საიკიოსაც უნდა მიეღო გასამრჯელო. ოტია და დიანის ბრძანებით 1738 წელს დაწერილ ტიბიკონში ვკითხულობთ: „შენ (უფალო) უხვად მომნიჭებელო ნიქთაო, მიეც სასყიდელი შრომათა მათთა (გადამწერელთა) და განუხუენ კარნი სასუფეველისანი“ 1).

ცნობილი გადამწერლის და აგრეთვე სტამბის მუშაკის დეკანოზ ნიკოლოზ ოსესძის მიერ 1764 წელს გადაწერილ 700 გვერდიან წიგნში ნათქვამია: „შვიდი თუმანი არის ამა წმინდა სახარების თარგმანში მიცემულიო“ 2).

მაშასადამე, მე-XVIII ს. მეორე ნახევარში 700 გვერდიანი ხელნაწერი წიგნი 7 თუმანი ღირებულა, ე. ი. 100 გვერდი—1 თუმნად, 10 გვერდი—1 მინალთუნად, ერთი გვერდი კიდევ 2 შაურად გამოდის.

ამავე დროს 2 შაურად ნორმალურ ფასებში 1 კოდი პურის ყიდვა შეიძლებოდა. აქედან ცხადია, რომ გადამწერლობა მოგვებიანი ხელობა ყოფილა, ასე რომ ადამიანს მარტო ამით შეეძლო თავი ენჩინა 3).

იოანე ოსეს შვილსაც თავის თავგადასავალში აღნიშნული აქვს, რომ—როდესაც უადგილოდ დარჩა და გაუქირდა—„სამღვდელოსა წიგნებსა ვსწერდი, ვყიდდი და მითი მოვირეწდიო“ 4).

1823 წელს ვახტანგ მე-VI-ის ხელნაწერი „კანონი“ in folio, 243 გვერდიანი, 25 მანეთად გაყიდულა 5).

1837 წელს დ. ჩუბინაშვილს პეტერბურგის აკადემიისათვის 1743 წელს მოსკოვს დაბეჭდილი ქართული ბიბლია 200 მანეთად მიუყიდა, 6) ხოლო 1709 წელს ტფილისს დაბეჭდილი სახარება იმავე ხანებში 10 მანეთად ღირებულა 7).

ვახტანგისეული „ვეფხის ტყაოსანი“, რომლისთვისაც ამოგლეჯილი ფურცლები „კაის ხელით“ დაუწერინებიათ და შეუკერვინებიათ, სულ დაზიანებული ნაწილის ფასიანად დამჯდარა 20 მანეთად 8).

1) ძველი საქართველო ტ. III. გვ. 100. 1913—1914 წ. ტფ.

2) ივ. ჯავახიშვილი საქ. ეკონომ. ისტორია გვ. 41, 45.

3) მისივე, ალეოგრაფია გვ. 98.

4) იესე ოსეს შვილის თავგადასავალი, გვ. 131. 1913 წ. ტფილისი.

5) А. Цагарели, Свед. о пам. т. III გვ. 222.

6) А Цагарели, Свед. о пам. груз. писем. т. III. გვ. 224.

7) ibid, გვ. 227.

8) ibid.

წიგნის სიძვირე და ამავე დროს მისდამი დიდი ინტერესი და მიდრეკილება წიგნის ხელმოკლე მოყვარულს წიგნის მოპარვასაც კი აიძულებდა; საირმის მონასტრის ნაკურთხე ვრთ ძველ წიგნზე მინაწერია: „ესე გამოკრებული ტიბიკონი, ჩემს წინამოადგილეს მღვდელ მონაზონს იოანეს მოპარული ქონებია მე შევიტყვევ, ვეცადე, ვიჩიულე და როგორც იქნა ამოვიგე და ეხლა არის საირმის მონასტრისა. 1857 წ. გამგებელი მონასტრისა კირილე“ (ვაბუნია ?) ¹⁾.

უძველესი ქართული წიგნები ეტრატზე (პერგამენტზე) ნაწერი გვხვდება. ხოლო ჯერჯერობით XI საუკუნეზე უწინარეს ქალაქდზე დაწერილი წიგნები არ სჩანს. ²⁾. XI საუკ. 4 ქალაქდის ხელთნაწერი მოიპოება. ³⁾. XII და XIII ს. ს. ქალაქდის ხელთნაწერები კი შედარებით უფრო ბევრი არის. სიტყვა „ქალაქდის“ ხმარებაც ვეფხის ტყაოსნის დროიდან შემოდის:

„ჰე ჩემო ესე უსტარი არს ჩემგან მონალვაწები,
ტანი კალმად მაქვს, კალამი ნალველთა ამონაწები,
მე გული ჩემი ქალაქდად გულსავე შენსა ვაწები“ ⁴⁾

ჯერჯერობით არ არის გამორკვეული, თუ საიდან შემოჰქონდათ ძველად საქართველოში ქალაქდი. არის გადმოცემები, რომ ჩვენშიაც ყოფილა ქალაქდის ფაბრიკები (XIII და XVIII ს. ს.), მაგრამ საამისო დამაჯერებელი საბუთები არ მოგვეპოება.

მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ქართველი კალიგრაფები საუკეთესო საწერ მასალად სპარსულ ქალაქდსა სთვლიდნ ერთი იმ დროინდელი გადამწერელი ამბობს: „ნეტავი მწერალს, როგორც სურს ისე ქონდეს მელანი, სპარსთა ქალაქდი და კარგი კალამი—ო“ ⁵⁾.

ხოლო 1791 წელს ტფილისში „მეორედ დაბეჭდილ“ სახარებაში, გამგებელი და ზედამხედველი ბეჭდვისა ქრისტეფორე კეჭერაშვილი შენდობას ითხოვს აღმომკითხველთაგან:—„დალა თუ შრომა მრავალი დაესდეთ ქალაქდსა ზედა...ამად რომ რუსეთილდამ მოვატანინეთ ქალაქდი და სხუა და სხუა ქალაქდი მოვიდის. განალა არა ყოფასა საღეთოსა წერილისასა ესრეთვე განმრავლება ვარჩიეო“ ⁶⁾.

¹⁾ ძველი საქართველო, ტ. III. გვ. 101.

²⁾ ივ. ჯავახიშვილი, პალეოგრაფია გვ. 39.

³⁾ *ibid* გვ. 40; ტ. ს. უ. სიგელთა მუზეუმის №№ 73, 121, 162, 390 ხელთნაწერები.

⁴⁾ იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი-პალეოგრაფია გვ. 400.

⁵⁾ ივ. ჯავახიშვილი, პალეოგრაფია. გვ. 41.

⁶⁾ სახარება. მეორედ დაბეჭდილი, უკანასკნელი გვერდი 1791 წ. ტფილისი, ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცემში, ახს.-II—251.; იხ. აგრეთვე М. Д. ж о н а ш в и л и, Каталог предметов Церковного Музея Грузинского духовенства, 1914-ტფილისი გვ. 103.

აღსანიშნავია რომ ძველი ქართული წიგნები საწერი მასალის, მხრივ ხშირად არეულნი. მაგალითად, მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ აწერილია საეკლესიო მუზეუმის № 85 ხელთნაწერი წიგნი, რომელიც სულ 496 გვერდის შემცველია რომელთაგან 1—390 გვერდი ეტრატია, 391—492 გვ.—ქალაღდი, ხოლო დანარჩენი—ისევ ტყავი 1).

აგრეთვე სახარება, რომელზედაც ზემოდ ვილაპარაკეთ, სხვა და სხვა ფერისა და ხარისხის ქალაღდზეა დაბეჭდილი 2).

1800 წელს ტფილისში გამოცემული წიგნიც სხვადასხვა ნაირ ქალაღდზეა დაბეჭდილი 3).

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქალაღდი ჩვენში ძნელი შესაძენი ყოფილა, ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ეტრატი (პერგამენტი) დიდხანს არ გასულა ჩვენში ხმარებიდან, ის მე-XVIII საუკუნეშიაც ხშირად წარმოადგენდა საწერ მასალას, განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი აქტები უმრავლეს შემთხვევაში მასზე იწერებოდა. მაგალითად, 1783 წელს ერეკლე II და ეკატერინე II-ს შორის დადებული ცნობილი ტრაქტატი ეტრატზე დაიწერა. 4)

ძველად წიგნის შეძენას საერთოდ ბევრი წვალემა სპირდებოდა: ჯერ ეტრატი უნდა ეყიდნა ადამიანს (ან ქალაღდი), მერე გადასაწერად მიეცა ვისთვისმე, მერე კიდევ შეეკერვინებინა და დაეკანშინებინა 5).

ვისაც გადამწერლობა ხელობად ჰქონდათ გადაქცეული, თავს მწერალს ანუ მჩხრეკელს ეძახდნენ 6).

სწრაფად, მართლად (გრამატიული კანონების მიხედვით) და ლამაზად წერას დიდ ყურადღებას აქცევდნენ. დაწერილ წიგნს კინძავდნენ,—ამკინძველებს შემოსველი ანუ მმოსველი ერქვათ 7) (X საუკ.) —ხოლო შემოსილ წიგნს უკვე უდაში ჩასასმელად აძლევდნენ მკაზმელებს. მკაზმელობა ძველადვე ხელობას წარმოადგენდა (X საუკ.) 8)

1) მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი —საისტ. საბიბლ. წერილები. „ივერია“ 1898. № 56.

2) სახარება 1791. ტფ.

3) იხ. დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს „ნარკვევი“ 1800 წ. ტფილისი. წიგნი ინახება სხვათაშორის საქ. საისტ. საფთ.ნოგრაფ. საზ.—ობის მუზეუმებშიაც.

4) А. Ц о г о р е л и, Грамоты т. II вып. I. წინასიტყვაობა გვ. II—III. ტექსტში გვ. 99, 100, 111, 112. Спб. 1898.

5) ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი საქ. ეკონ. ისტორია გვ. 42.

6) Ibid.

7) ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი —საქ. ეკონ. ისტ. გვ. 42. აგრეთვე მისივე, პალეოგრაფია.

8) Ibid გვ. 42—43.

წიგნის დასურათებას ძლიერ ცდილობდენ, ვინც შეძლებული კაცი იყო, სურათებსა და კამარებს საბერძნეთიდანაც კი იწერდა ან მოჰქონდა (X საუკ.)¹⁾.

წიგნის შექმნის მსურველი ხან საკუთარი საწერი მასალის (ეტრატის, ქალაღის) მიტანით, ხან კიდევ უამისოდაც მწერელს შეუკვეთავდა მისთვის სასურველი თხზულების დამზადებას, ²⁾ ასლის გადაღებას (XI საუკ.) წიგნის შემქმნელს მომგებელს ეძახდენ (XI საუკ.)³⁾. თუ სადმე კარგი მწერალი ეგულეობდათ, სიშორეს არ დაერიდებოდენ და წიგნს მას დაუკვეთავდენ. პროფ. ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს მაგალითი, სინას მთის ერთი ხელთნაწერიდან, რომლის პატრონს ის წიგნი განთქმულ მწერალ იოანესათვის შეუკვეთინია. პატრონი საქართველოში, ხოლო მწერალი სინას მთის მონასტერში ცხოვრობდა (მანძილი 3000 კილომეტრამდეა), რომელიც ბოდიშს იხდის, დაგვიანებისათვის, სიშორისა გამო „მგზავრი ვერავინ ვიშოვნე, რომ გამომეტანებინაო“⁴⁾

1) *ibid* გვ. 43.

2) *ibid* გვ. 43—44, აგრეთვე პალეოგრაფია გვ. 95.

3) *ibid* გვ. 44.

4) ივ. ჯავახიშვილი—საქართველოს ეკონომიურ. ისტორია. წიგნი I გვ. 44—45. 1907.

თავი მეორე

პირველი ქართული სტამბის წიგნი

საერთო მდგომარეობა.—საქართველოს შედეგებისა და რღმის პაპის ურთიერთ განცობა.—კათოლიკე მისიონერები საქართველში.—ვატიკანის კონგრეგაციაში ქართული განყოფილების დაარსება.—თეიმურაზ პირველის ელჩი—ნიკიტორე ირბასი რღმის პაპთან—ურბან მე VIII-სთან.—ირბასის ვინაობა და მოღვაწეობა.—Propaganda fide-ს სტამბაში პირველნაბეჭდი ქართული წიგნი.—გორელი ტულუკაანთ დავითა და მისი მოღვაწეობა.—რღმის დაბეჭდილი სხვა ქართული წიგნები და მათი ავტორები.— არილ მეფის მოღვაწეობა ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეში და მოსკოვში ბირველად დაბეჭდილი ქართული წიგნი .

DITTONARIO GIORGIANO E ITALIANO.

COMPOSTO DA STEFANO PAOLINI
con l'aiuto del M.R. P. D. Niceforo Irbachi
Giorgiano, Monaco di S. Basilio.

AD VSO DE' MISSIONARI
della Sagra Congregatione de Propaganda Fide.



IN ROMA,
Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide.
C I D D C X X I X.

CON LICENZA DE' SUPERIORI.

სტეფანე პაოლინის ქართულ-იტალიური ლექსიკონის თავფურცელი,
რომი, 1629. დაპატარავებულია 1/5-ით.

პირველი ქართული სტამბის წიგნი

ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებთან კავშირს მოწყვეტილ საქართველოში, რომელიც ბედმა აღმოსავლეთის ქვეყნების უზულო გავლენის ქვეშ მოაყოლა, ყოველგვარი ახალი აღმოჩენები და რეზნიკური გაუმჯობესებანი და მიღწევანი საერთოდ ან სრულებითა არა, ან ძალიან გვიან შემოდიოდნენ.

მართალია, საქართველო საესებით არ იყო მოწყვეტილი ევროპის კულტურულ ქვეყნებთან კავშირს, მაგრამ ეს კავშირი და მათ შორის მიმოსვლა იმდენად სუსტი და უსისტემო იყო, რომ უკეთეს შემთხვევაში ევროპიდან ჩვენში მხოლოდ ამბის მოტანაღა თუ ხერხდებოღა და მეტი ვერაფერი.

ამიტომ ევროპაში უკვე მეთხუთმეტე საუკუნეში შემოღებულმა და იმავე ხანებში ძლიერ განვითარებულმა წიგნის ბეჭდვის ხელოვნებამ, სტამბამ, ჩვენში მხოლოდ ორნახევარი საუკუნის შემდეგ კპოვა განხორციელება.

მაგრამ ვიდრე თვით საქართველოში, სახელდობრ ტფილისში სტამბა გაიხსნებოღა, ქართული წიგნის ბეჭდვა დაწყებულ იქნა საქართველოს საზღვრებს გარედ, — ევროპაში, კათოლიკური ეკლესიის მესვეობით.

სანამ რომში პირველ ნაბეჭდ ქართულ წიგნზე შევჩერდებოდეთ, ბუნებრივად იპყრობს ყურადღებას ის კითხვა, თუ რა უნდა ყოფილიყო მიზეზი, მართლმადიდებელ ქართველთათვის ქართულ ენაზე წიგნების ბეჭდვისა, კათოლიკური ეკლესიის ამქვეყნიური მეთაურის საბრძანებელში.

დასმული კითხვის ამხსნელ გარემოებას დასაწყისი აქვს ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან, როდესაც ჯვაროსანთა ომების გამო რომის პაპმა და საქართველოს მეფეებმა ერთმანეთი გაიცინეს. მალე ამის შემ-

დეგ მოხდა მონგოლთა შემოსევა საქართველოში, როდესაც დედოფალმა რუსუდანიმ რომის პაპს დახმარება სთხოვა ¹⁾.

ამგვარად წარმოშობილ პირველ ურთიერთობას შემდეგში დროთა ვითარებამ უფრო განმტკიცება არგუნა და მალე საქმე იქამდე მივიდა, რომ მე-XVII საუკუნის დასაწყისის პაპი, ურბან მე-VIII, საქართველოში აგზავნის მისიონერ ავიტა ბოლის (1626), რათა ამ უკანასკნელს ქალაქ გორში მუდმივი მისია დაეარსებინა, ხოლო 1635 წელს პაპი აგზავნის ახალ მისიონერ კაპუცინებს ტფილისში მუდმივი მისიის დასაარსებლად ²⁾.

მე-XVII საუკუნიდანვე ვატიკანში არსდება *Della sagra Congregazione de Propaganda Fide*, რომელსაც, თავისი დანიშნულებისამებრ, თავისი წევრებისათვის უნდა შეესწავლებინა იმ ერის ენა, სადაც ისინი იქნებოდნენ განწესებულნი კათოლიკური სარწმუნოების საქადაგებლად და გასავრცელებლად. ამ მიზნით შემდეგში პაპმა საგანგებო მისიაც კი შიავლინა აღმოსავლეთში; ამ მისიას აქაური მრავალგვარი ენების ერთ მწყობრ სასწავლო სისტემაში ჩამოყალიბება ევალებოდა ³⁾.

ზემოხსენებულმა კონგრეგაციამ გახსნა თავისთან განსაკუთრებული განყოფილება, საქართველოსათვის დანიშნულ მისიონერთა მოსამზადებლად და დაარსა ქართული ენის კათედრა ⁴⁾.

ამავე ხანებში საქართველოდან რომში დაბრუნებული მისიონერები თავიანთ მოხსენებებში მოითხოვენ ქართული ენის შესწავლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, სათანადო სახელმძღვანელოების შედგენასა და დაბეჭდვას.

სწორედ იმ დროს როდესაც გარეგნულად პირობები ასე მზად იყო, რომში პაპთან მოდის, საქართველოდან თეიმურაზ პირველის ელჩი, ნიკიფორე ირბახი, რომელმაც პაპს მიართვა თავისი

¹⁾ М. Жордания—Ист. Очерк проп. католици. в Грузии (გაზ. „Кавказ“ № 10. 1895 წლისა), აგრეთვე მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართვ. შორის გვ. 95, 96, 97.; კიდევ: ჟურნალი—*Духовн. вестн. грузинск. экзархага* 1890 და 1893 წ. ნომრები.

²⁾ *ibidem*.

³⁾ ამ მისიის მეთაური მარია მაჯიო საქართველოშიაც იყო. აქ ის ფრანგი ვაჭრის სახელით ცხოვრობდა, მას „მუსა მაჯიოს“ ეძახდნენ. მარია მაჯიომ მთელ თავის მასიას 22 წელიწადი მოანდომა და რომში ჩასვლისას სხვათა შორის შეადგინა და დაბეჭდა ქართული გრამატიკაც (იხ. ქვემოთ).

⁴⁾ ესარგებლობ მ. თამარაშვილის და თ. ყორდანიას ხსენებული შრომებით.

მეფის წერილი. ამ წერილში თეიმურაზ პირველი ითხოვდა პაპისაგან მუსულიმანი მტრების საწინააღმდეგოდ დახმარების გაწევას ¹⁾.

ნ. ირბახის რომში ჩასვლის წყალობით, ცხადია, ქართული სტამბის იქ დაარსების საკითხი უფრო რეალური გახდებოდა, ვიდრე ოდესმე. ირბახმა რომში ყოფნის დროს, რაც ერთ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, საკმაოდ შეისწავლა იტალიური ენა, ასწავლა აგრეთვე ქართული სტეფანე პაოლინს, შემდეგში ქართულ-იტალიური ლექსიკონის ავტორს, და მონაწილეობა მიიღო იქ ქართული სტამბის დაარსების საქმეშიაც ²⁾.

ნიკიფორე ირბახის (ირუბაქიძე? ჩოლოყაშვილი?) პიროვნების გარშემო ჩვენს ისტორიაში არ არსებობს გარკვეული შეხედულება, ის ზოგს ქართველად ³⁾, ზოგს კიდევ ბერძენად მიაჩნიათ ⁴⁾.

დ. კარიკაშვილი, რომელსაც უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის ირბახის ვინაობის შესახებ, სტ. პაოლინის ცნობილ ქართულ-იტალიური ლექსიკონის ანალიზს მიჰყავს იმ დასკვნამდე (რადგანაც ხსენებულ ლექსიკონში ქართული სიტყვები ფანეტიკურად ძლიერ დამახინჯებულად), რომ ნიკიფორე ბერძენია, რომელიც განძრახ მალავს ევროპაში (რომში, ესპანეთში, უნგრეთში, პოლონეთში) თავის ვინაობას, როგორც საქართველოს მეფის ელჩი, და თავს ქართველ თავადიშვილად აცხადებს ⁵⁾.

პროფ. ივ. ჯავახიშვილს დამაჯერებლად არ მიაჩნია ის აზრი, თითქოს ნიკიფორე ირბახი რომში თავის ბერძნობას მალავდა და ქართველობას ირქმევდა, რადგან რომში, სადაც ბერძნულს და ბერძნებს კარგად იცნობდნენ მისი იქ ქართველად გასაღება საეჭვოა ⁶⁾.

¹⁾ მ. თამარაშვილი, I. ც. გვ. 93.

²⁾ *ibid.*, გვ. 95.

³⁾ მ. თამარაშვილი (ისტ. კათ. ქართვ. შორ., გვ. 94, 102) ხ. კიკიძე (ქართ. სტამბები, გვ. 47, 48, 49, 51). და თვით Stefano Paolini-ც თავის Dictionario Giorgiano e Italiano-ში (წინასიტყვაობა) მას ქართველად იხსენიებენ; აგრეთვე პროფ. გრ. წერეთელი (იხ. უფრ. „ახალი კავკასიონი“. № 1—2. 1925 წ. გვ. 3-4), რომელსაც ნიკიფორე ირბახი ირუბაქიძეთ მიაჩნია.

⁴⁾ დ. კარიკაშვილი კი ბერძენად სთვლის (იხ. ოქმი საქ. საისტ. საეთნოგრაფ. საზოგადოების 1925. 2-ე იანვრიდან. კარიკაშვილის მოხსენება „ნიკიფორე ირბახის ვინაობის“ შესახებ).

⁵⁾ საქ. საისტ. საეთნოგრაფ. საზ.-ების ოქმი № 207. 1925. 24 იანვრიდან.

⁶⁾ *ibid.*

ს. გორგაძის აზრითაც საეკვოა ნ. ირბახის (ირუბაქიძე?) ბერძნობა, ის შეიძლება აღზრდილი ყოფილიყო საქართველოს გარეთ, — საბერძნეთში და ქართული კარგად არ სცოდნოდა¹⁾.

მავრამ საინტერესოა ისიც, რომ დ. კარიკაშვილმა მეორე წელსვე იცვალა აზრი ნ. ირბახის ვინაობის შესახებ²⁾. ის თავის ახალ წერილში, — „როდის დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი“, — ხაზს უსვამს რა ქართულ-იტალიურ ლექსიკონში ბლომად შეპარულ კორექტურულ შეცდომებს (ამავე შეცდომებს დ. კ—შვილი წინა დონეტიკურ დამახინჯებას ეძახდა), აღნიშნავს, „ირბახის რომში ყოფნისას რომ დაებეჭდათ (ლექსიკონი), უეჭველია, მას (ირბახს) ამონაბეჭდს გაასწორებინებდენ და ამდენი შეცდომა არ იქნებოდაო“³⁾ ე. ი. ნ. ირბახმა ქართული იცოდაო.

ნ. ირბახის მიერ პაპისათვის მირთმეული თეიმურაზ I-ის წერილიდან გამოუკრეფიათ ქართული ასოები, როგორც გადმოგვცემს აქილ ვენერიო⁴⁾, და გაუკეთებიათ ქართული შრიფტი. ნ. ირბახს განუმარტავს (უთარგმნია) რამდენიმე ათასი ქართული სიტყვა⁵⁾ ხოლო სტეფანე პაოლინს, აქილ ვენერიოს დავალებით და ნიკიფორე ირბახის თანამშრომლობით, შეუდგენია ქართულ-იტალიური ლექსიკონი⁶⁾.

ეს ქართულ-იტალიური ლექსიკონი, კონგრეგაციის მისნონერთა სახმარებლად, ამავე კონგრეგაციის სტამბაში დაიბეჭდა რომს 1629 კელს, სადანაც იწყება ქართული დაბეჭდილი წიგნის ისტორია⁷⁾.

1) *ibid.*

2) აქვე აღნიშნავთ, რომ პროფ. ივ. ჯავახიშვილი ნ. ირბახის ქართველობას ისე საფუძვლიანად შერყევულად სცნობს, რომ „ისტორიკოსებს არ შეუძლიათ მომხსენებლის (დ. კ.) აზრს ანგარიში არ გაუწიონო“ (ოქმი № 207).


3) დ. კარიკაშვილი, როდის დაიბეჭდა პირვ. ქართულიწიგნი (ქურ. წიგნის მეგობარი № 1—2. გვ. 39. 1926. ტფ.).

4) იხ. *Dictionario Georgiano e Italiano*. წინასიტყვაობა ვენერიოსის. 1629. in Roma.

5) თ. ჟორდანიას ანგარიშით ლექსიკონი შეიცავს 3084 სიტყვას. იხილეთ *Ист. очерк. проп. католицизма в Грузии*, გვ. „Кавказ“ № 10. 1888.

6) *Stefano Paolini—Dictionario Georgiano e Italiano*, III გვ.

7) ამ წიგნის სრული სათაურია: *Dictionario giorgiano e Italiano*. Composto da Stefano Paolini con l'aiuto del M. R. P. D. Niceforo Jrbahi, Giorgiano Monaco diS Basilio. Ad uso de'missionari della sagra Congregazione de Propaganda fide in Roma. Nella stampa della sagra congr. de propag-fide 1629. Con licenza desuperiori“. ვრცელი ბიბლიოგრაფია იხ. დ. კარიკაშვილი—როდის დაიბეჭდა პირვ. ქართ. წიგნი (წიგნის მეგობარი № 1—2) აგრეთვე მ. თამარაშვილი *l. c.* გვ. 614.; პ. ჯანიშვილი—*Dictionario Georgiano Italiano* (წიგნის მეგობარი № 1—2. 1926. ტფილ. გვ. 120—122).



„ლექსი“ იბეჭიეო-„ფრანხი“

Dittionario Giorgiano-Italiano.

ა A

აბანო .	abáno,	Bagno.
აბარო-ღა .	abaróga,	Ma che?
აბახი .	abáchi,	Di là.
აბრეშო-ში .	abrefciómi,	Seta.
აგუბა .	aghebà,	Compuntione .
აგმო-ზერეხელი .	aghmozenebéli	Biaftermare.
აგმო-სათლეტი .	aghmofaúleti,	Oriente.
აგო-სათლეტის .	agmofaulétifa,	Orientale,
ადვილ .	aduilà scéfaz-	Incostante.
რთელი .	ruéli,	
ადვილი .	aduili,	Facile.
ადვილიდ .	aduiliid,	Facilità.
ადი .	ádi,	Di.
ადიდებ .	adidebà,	Inondatione .
აერა .	aêra,	Aria.
აეტილი .	aetili,	Coprire.
აუადარი .	auadári,	Ammalarsi.
აუადაფამო .	auadafpamò,	Maltrattare.
აუადაფარე .	auadafparè,	Maltrattato.

A 2

აქლ

რადგანაც ზოგ მკვლევარს საეჭვოდ მიაჩნია, რომ ქართული-იტალიური ლექსიკონი იყოს ქრონოლოგიურად პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნი, ამიტომ საკიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვით შეეჩერდეთ ამ საკითხზე.

დ. კარიკაშვილი, ეყრდნობა რა მ. თამარაშვილის სიტყვებს: „პაპის პასუხის მოლოდინში მყოფი საქარველოს მეფის მოციქული შეუდგა მამა თეატინელებისათვის თავის ენის სწავლებას სარწმუნოების გამაერცვლებელ სასულიერო საზოგადოებას დაარსებინა სტამბა ქართული წიგნების საბეჭდად და დაბეჭდვინა ამ ენაზე ერთი პატარა-ლოცვანი და ქართული-იტალიური ლექსიკონი“¹⁾, გადაწყვეტილად სთვლის (sic) კითხვას, რომ პირველად დაბეჭდილა „ქართული ანბანი ლოცვებით.“²⁾.

რატომ? მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ „ანბანი ლოცვებით“ პირველადაა მოხსენებული. მაგრამ მთავარი შეცდომა იმაშია, რომ, ზემოდმოყვანილი ამონაწერის თანახმად, ნიკიფორე ირბახი ამ წიგნების დაბეჭდვის დროს თითქოს რომში ყოფილა; ნამდვილად კი ირბახმა რომი 1628 წლის 2 დეკემბერს დასტოვა³⁾; ხოლო 14 აგვისტოს 1629 წლისა ის უკვე საქართველოში იყო.⁴⁾

თვით ლექსიკონის წინა სიტყვაობაში ნათქვამია, რომ „ქართული წიგნი მანამდე (ლექსიკონამდე) არსად დაბეჭდილა“⁵⁾. მ. თა-

1) M. Tamarali - L'Eglise Géorgienne dès origines Jusqu'à nos jours, p. 505. Paris, 1910.

2) დ. კარიკაშვილი — როდის დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი, „წიგნის მეგობარი“ № 1-2. გვ. 39.

3) ნიკიფორე ირბახი რომ 1629 წელს რომში არ ყოფილა, ამას თვით კარიკაშვილიც ათიოდე სტრიქონს ქვევით ადასტურებს რადგან ირბახს საშუალება არ ჰქონია აღონაბეჭდის გასწორებისა; ხოლო სიტყვა „დაბეჭდვინა“-ს „ქართული ანბანი ლოცვებით“-ის შინაშე სწორად გგებლობს, ხოლო ლექსიკონის მიმართ კი, ის ესმის, როგორც მომზადება წიგნისა დასაბეჭდად. (წიგნის მეგობარი № 1-2. 39) გვ.) პროფ. ა. ცაგარელს. რომელსაც, როგორც სჩანს, ხელთ ჰქონია ეს ქართული ანბანი ლოცვებით, აქვს მოყვანილი მისი სათაურნი: „Alphabetum Ibericum, sive georgianum, cum Oratione dominicali, salutacione angelica etc. Romae typogr. Propagandae 1629. in 8^o“. და ჯანასკნელის დაბეჭდვის დატად 1629 წელს ზღვენებს. იხ. ა. ცაგარელის — О гренадической литературе грузинского языка, 1873. СПб. стр. 110. ამავე წიგნში პროფ. ცაგარელს „Dictionario Giorgiano e Italiano“-ს დაბეჭდვის დროდ შეცდომით აქვს ნახევენები 1626 წელი.

4) მ. თამარაშვილი, I. c. გვ. 105.

5) Stefano Paolini, I. c. წინასიტყვაობა.

მარაშვილიც გარკვევით ამბობს „ეს (ლექსიკონი) პირველი წიგ-
ნია, რომელიც დაიბეჭდა ევროპაში ქართული ასოებით, რომლის
ერთი ეჭვგამაძირებელი ძლიერ ვიშოვეთ რომში, ამასთანავე (და არა
უწინარეს, პ. გ.) დაიბეჭდა ერთი პატარა ლოცვების წიგნაკიც, ქარ-
თული ანბანით, დღეს არც ეს იშონებაო“¹⁾.

ყოველივე ზემოხსენებულს ის მოსაზრებაც ადასტურებს, რომ
მისიონერთაც პირველ რიგში სჭირდებოდათ არა ქართული ლოცვე-
ბი, არამედ მათთვის სახელმძღვანელოდ გამოსადეგი წიგნი, რადგან
„როდესაც პაპს ნიკიფორე ირბახის ხელით მოუვიდა საქართველოს
მეფის წერილი, ის ყველასათვის გაუგებარი იყო, ისეთს ენაზე იყო
ნაწერი, რომელიც არავინ იცოდა“²⁾ რომში.

1629 წლიდან ვიდრე 1643 წლამდე რომში დაბეჭდილი ქარ-
თული წიგნი არ მოგვეპოება. 1643 წელს კი დაიბეჭდა მარია მა-
ჯიოს—ქართული გრამატიკა,³⁾ რომელიც მეორედაც გამოიცა კი-
დე 1670 წელს ცოტა შეცვლილის სახელწოდებით.

1681 წელს რომში იბეჭდება კიდეც „საქრისტიანო მოძღვრბა
სიმელოდით დარიგებული“ კარდინალ ბელრამინოსი და გადმო-
თარგმნილი პატრი ბერნარდო მარია მისაგან, ნეაპოლელისა
კაპუჩინი და მქადაგებელი და მღრთის მეტყველი, იტალიანურის
ენისაგან მხედრული ქართულის ენითა ქ-კსა ჩქპა“⁴⁾ (1681).

¹⁾ მ. თამარაშვილი, I. ც. გვ. 614 „ტექსტებსა და სქოლიოებში“, სა-
დაც ჩაზედას შეეძლო ეჭვის მოსპობა ქართულ-იტალიური ლექსიკონის პირვე-
ლთვის შესახებ ქრონოლოგიურად. ყოველ შემთხვევაში „ანბანი“ არ შეიძლე-
ბოდა ერთი წლით ადრე დაბეჭდილიყო, რომ ამით ზემოდ აღნიშნული დატა შეე-
ცვალა.

²⁾ Sletano Paolini, I. c. II გვ. აქელ ვენეროს მიმართვა პაპი
ურბანო მე-VIII-სადმი.

³⁾ Synlagmation lingarun orientolalem, qua in Georgiae regionibus
aundiuntur, auctore Francisco Maria Madggio. Romae MDCXLIII. (1643)
Typographia saerae congr. de prop. Fide, in folio VIII—143 გვ. რევენზი და
ვრცელი ბიბლიოგრაფია იხ. A. Цагарели—О грамматической литерат.
груз. языка гв. 74, 1873. იხ. თამარაშვილი, I. ც. გვ. 451.

⁴⁾ ამ წიგნის მთარგმნელს, პატრ ბერნარდეს 8 წელზე მეტი უცხოე-
რია საქართველოში. მეფეების კარზე (1670—1679). მისი სიტყვით ქართველები,
თუმცა ძლიერ გონიერნი და კაცთმოყვარნი არიან, მაგრამ სულიერ საგნებში—
უსწავლელნი, არც უყვართ მოსიენა სწავლა დარიგებისა (რასაკვირველია, კათო-
ლიკურ სარწმუნოებაზე, პ. გ.), „რომელზედაც ბრუნდეთ არიან ჩაგონებრლნი“,
არამედ მიზიდულ არიან ბეჟანიანისა, როსტომიანისა და მათი მსგავსი წიგნების
კითხვაზედა“.

ამ პატრს მრავალი წიგნი შეუდგენია ქართულად. მას აგრეთვე გადაუღია
ქართული წიგნებიდან ასლები, რომელთა შორის 13 ქართული წიგნი, მიხეილ
თამარაშვილის ცნობით, ინახება კაპუცინების ძველი მონასტრის არქივში
Torre del Greco-ში. (იხ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. გვ. 682.
„ტექსტებსა და სქოლიოებში“).

CONIUGATIO VERBORVM. 87
 [ifdcben . *fastidiunt*; გნგულომტ . *ghaghulifdà, fastidit* . 97c.

უ . Che finita .

მე . ვილაპარაკე . *me vilaparachè, ego loquor* .

შენ . ილაპარაკე . *scen ilaparachè, tu loqueris* .

იმან . ილაპარაკა . *iman ilaparachà, ille loquitur* .

ჩვენ . ვილაპარაკეთ . *ciuen vilaparachoth, nos loquimur* .

თქვენ . ილაპარაკეთ . *thcquen ilaparacheth, vos loquimini* .

იმათ . ილაპარაკებენ . *imath ilaparachen, illi loquuntur* .

შენ . ილაპარაკე . *scen ilaparachè, tu loquere* , 97c.

მე . ვდაუბანე . *me vdauzachè, ego voco* .

შენ . დაუბანე . *scen dauzachè, tu vocas* .

იმან . დაუბანა . *iman dauzachà, ille vocat* .

ჩვენ . ვდაუბანეთ . *ciuen vdauzachoth, nos vocamus* .

თქვენ . დაუბანეთ . *thcquen dauzacheth, vos vocatis* .

იმათ . დაუბანენ . *imath dauzachen, illi vocant* .

შენ . დაუბანე . *scen dauzachè, tu voca* , 97c.

Finita syllaba მე . me .

მე . ვჩამე . *me vciamè, ego comedo* .

შენ . ჩამე . *scen ciame, tu comedis* .

იმან . ჩამა . *iman ciams, ille comedit* .

ჩვენ . ჩამეთ . *ciuen ciamoth, nos comedimus* .

თქვენ . ჩამეთ . *thcquen ciameh, vos comeditis* .

იმათ . ჩამებენ . *imath ciamen, illi comedunt* .

სანამ დაიბეჭდებოდა, ეს წიგნი განხილული იყო ქართველ კათოლიკე ენიბეგაათ ზალინას¹⁾ და საქართველოდან ახლად დაბრუნებულ პატრიოსებ ანტონ რომაელის მიერ²⁾. როგორც ამ პირთა სიტყვებიდან სჩანს, ეს წიგნი პირველია რომში დაბეჭდილ წიგნთა შორის, რომლის დანიშნულება ყოფილა პირდაპირ საქართველოში გავრცელება. წინად კი იქ წიგნები თვით მისიონერთა საპროპაგანდათის,³⁾ როგორც სახელმძღვანელოები, იბეჭდებოდა.

კარგა დიდი ინტერვალის შემდეგ კიდევ დაიბეჭდა აქ „საქრისტიანო მოძღვრება, გინა წურთენა შეიღთა საიდუმლოთა ზედა“ 1741 წელს⁴⁾; წიგნი, როგორც თავფურცელზე ვკითხულობთ, შეუდგენია გორელ ტულუკაანთ დავითას იტალიურათ, შემდეგ მის მიერვე თარგმნილია ქართულად 1733 წელს⁵⁾.

იგივე „საქრისტიანო მოძღვრება“ ტულიკაანთ დავითასი მეორედაც გამოიცა, რომლის ბეჭდვა დაუწყიათ ჩოქ⁶⁾ (1797) წელს, ხოლო დამთავრებულია „ოცს გასულს ოქტობერს წლისა უფლისა ჩუ“⁷⁾ (1800) წელს.

მეორე გამოცემა „სრულქმნილა“ ბალინაათ ახალციხე-

¹⁾ ენიბეგაანთ ზალინას „საქრისტიანო მოძღვრებაზე“ დართულ წერილ-რეცენზიაში ვკითხულობთ: „მე ზალინ ენიბეგი, ქართველი პირველი კათოლიკე, მოწაფე ტფილისში მყოფ მისიონერ კაპუცინებისა, სადაც სპარსეთის (მეფის) მომაგიერე ზის, რომელთანაც ვიყავი და ვარ მოენე და მდივანი ქართულის, სომხურის, სპარსულის, თათრულის და იტალიანურის ენისა... წმინდა კრების მდივან ეპისკოპოზ ჩიბოას ბრძანებით გადავიკითხე ყოველნაირის სიფრთხილით ეს წიგნი... და არაფერი ვპოე წინააღმდეგ რომის კათოლიკე სარწმინოებისა. ეს წიგნი ამ სამეფოში (საქართველოში) ძრიელ სასარგებლო იქნება... რადგანაც საიდუმლოების შესახებ ცნობები... არეულ-დარეული აქვთ და ვერც ხელთნაწერი წიგნებით დაუკმაყოფილებიათ ესოდენი პროვინციების საქიროება. ამისთვის დიდათ საქიროდ ვრაცხ, რომ ეს წიგნი დაიბეჭდოს“. (ამონაწერი მოყვანილი მაქვს მ. თამარი შვილის ხსენებული თხზულებიდან გვ. 255—246).

²⁾ ანტონ რომაელის რეცენზია იხ. მ. თამარაშვილი I. ც. გვ. 257.

³⁾ Stefano Paolini, I. c. თავფურცელი.

⁴⁾ საქრისტიანო მოძღვრება გინა წურთენა შეიღთა საიდუმლოთა ზედა თავფურცელი. რომი. 1741 წ.; წიგნი ინახება საისტორიო საეთნოგრაფიო მუზეუმის, აგჯეთვე საქ. რესპუბლიკის საჯარო ბიბლიოთეკაში.

⁵⁾ პროფ. ალ. ხახანაშვილს უკანასკნელი დატა აქვს მიღებული გამოცემის დროდ, იხ. Очерки по Истории грузинской словестности ტ. III. გვ. 316; აგრეთვე ზაქ. ჭიკინაძესაც, რომელიც დასძენს, რომ წიგნი მეორედ დაიბეჭდა 1793 წელს, ხოლო მესამედ 1800 წელს; იხ. ვახტანგ VI და სხვათა შრომა ქართ. სტამბის წინაშე, გვ. 9. 1916. ტფ.

⁶⁾ საქრისტიანო მოძღვრება. მეორე გამოცემა. თავფურცელი 1797—1800 წ. რომი. ინახება ტფ. სახ. უნივ. წიგნთსაცავში.

⁷⁾ ibidem, უკანასკნელი გვერდი.

ლი ს ინიციატნით ¹⁾). უნდა აღინიშნოს რომ ეს მეორე გამოცემა ტენიკურად ძლიერ ცუდადაა შესრულებული, ის ბევრის მხრივ ჩამოუარდება წინა და აქ დაბეჭდილ ქართულ წმინდებს: ცუდია ქალაღი, ბევრია შიგ კორექტურული შეცდომები, რომელთა შესახებ კიდევაც იბოღიშებს გრიგოლ ბალინაანთი: „რადგან მე თვალთ მაკლდა და დამწყობს ასოებისა ჩვენი არც ენა, არც წიგნი იცოდა, მრავალნი ვპოე ამ რიგი შეცილებანი, რომელთ უძნელესნი ამას ქვემოდ ვასწორებ და უადვილესნი, გეხვეწები (მკითხველს), შენ გაასწორო“-ო²⁾).

ზემოხსენებულ „საქრისტიანო მოძღვრების“ ავტორს, ტულუკაანთ დავითას, გარდა „საქრ. მოძღვრების“ შედგენისა და თარგმნისა, უთარგმნია აგრეთვე თომა კემფელის „მიბაძვა ქრისტესი“ 4 ტომად ³⁾). მასვე კიდევ სხვა წიგნებიც შეუდგენია, რომლებიც საქართველოში ხელთნაწერების სახით ვრცელდებოდა ⁴⁾).

23 წლის იყო გორელი ტულუკაანთ დავითა, როდესაც ბასილიანთ უფროსმა საბამ (სულხან-ორბელიანმა? პ. გ.) ქართველ კათოლიკე თავადმა გამოგზავნა რომში, ხოლო პროპაგანდამ მიიღო ის 30 ივლისს 1725 წელს.

დავითა კოლეგიაში შევიდა 4 აპრილს 1726 წელს, ხოლო იმავე წლის 10 ნოემბერს მისცა ფიცია ⁵⁾), 1732 წლის 22 მარტს დაიცვა ფილოსოფიის საჯარო ტისერტაცია პრეფექტი კარდინალის წინაშე. 1733 წლის 21 მარტს ეკურთხა მღვდლად ლათინურ ტიბიკონზე და კაპუცინებთან შევიდა მონაზნად. 1734 წლის 8 ნოემბერს ის გარდაიცვალა რომშივე ⁶⁾).

ზემოდ ნახსენებ „საქრისტიანო მოძღვრების“ ⁷⁾ შემდეგ, რომ-

¹⁾ გრიგოლ ბალინაანთი ყოფილა „წინდა პაპის მოთარგმნე და კრებისა ფრუაქანისა (sic) სასწავლოსა შინა მასწავლებელი სომხურისა და ქართულის ენათა“ (საქრ. მოძღვრება. მეორე გამოცემა. ბოლო ფურცელი. 1797—1800 რომი).

²⁾ იხ. საქრისტიანო მოძღვრება II გამოცემა. უკანასკ. ფურცელი.

³⁾ პროფ. კორნ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია ტ. I, გვ. 77. 1923 ტფილისი აგრეთვე „ივერია“ 1903 წ. № 137.

⁴⁾ საქრისტ. მოძღვრება: კლაუდო რეჯიელის რეცენზია, 1741.. რომი.

⁵⁾ მიხ. თამარაშვილი, I. ც. გვ. 341.

⁶⁾ მ. თამარაშვილი, I. ც. გვ. 342.

⁷⁾ ეს „საქრისტიანო მოძღვრება“ დაბეჭდილია „უფროსთა ნებართვით“ (ასევეა აგრეთვე სხვა რომს გამოცემული წიგნებიც დაბეჭდი.), რისთვისაც მას დასპირებია ორი ავტორის შემოწმება—რეცენზია, რომელიც წიგნს აქვს დართული.

რეცენზიის ერთი ავტორთავანი, ივანე ჯიგინაათი, ტფილისელი ქართველი, თავის რეცენზიაში ამბობს:—„ამ წიგნში არაფერი იპოვება კათოლი-

ში დაბეჭდილი ქართული წიგნი არ ვუწყით. არც იქნება კეშმარტებას დაშორებული, თუ ვიტყვით, რომ XIX საუკუნის დამდეგიდან საქართველოს პოლიტიკური ვითარება რამაც ჩვენში მართლმადიდებელი ეკლესიის სრული გაბატონება გამოიწვია, კათოლიკური მოძღვრებისა და გავლენის გასავრცელებლად დანიშნული ქართული წიგნების ბეჭდვას რომში საზღვარს დაუღებდა.

რომში დაბეჭდილი წიგნებისა და გახსნილი სტამბის შემდეგ ქრონოლოგიურად მომდევნო ადგილი უჭირავს მოსკოვში გამოცემულ „დავითნს“.

ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულს (1699) იმერეთი დასტოვა არჩილ მეფემ და რუსეთს შეაფარა თავი. ის იქ სოფელ ვსესვიატკოვს („სევენწკაში“ ქართული გამოთქმით), მოსკოვის ახლო, დასახლდა, სადაც ხელი მოჰკიდა კულტურულ-ლიტერატურულ მუშაობას¹⁾.

არჩილმა 1703 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელ გოლოვინის (რუსული პერიოდიკის პიონერად წოდებულის) საშუალებით ითხოვა პეტრე პირველისაგან ნებართვა, რათა დაებეჭდა ქართული საეკლესიო წიგნები მის სამშობლოში სახმარებლად და გასავრცელებლად²⁾. ნებართვის მიღების შემდეგ მოსკოვის სახაზინო სტამბაში ჩამოსახვევინა ქართული ხუცური შრიფტი და 1705 წელს დააბეჭდინა დავითნი³⁾, რომლის მეორე გვერდზე არის მინაბეჭდი: „ჩემ მიერ, მეფის არჩილისა და ძისა ჩემისა ალექსანდრისაჲ დაიბეჭდა წიგნი ესე დ-თნი საქეფოსა ქალაქსა მოსკოვს... ათას შვიდას ე“⁴⁾ (1705) წელს“.

კური სარწმუნოების ანუ კეთილი ზნეობის საწინააღმდეგო, ამიტომაც არანც თუ ცენზურის ღირსია, არამედ დიდათ სასიკეთო იქნება, რომ გამოიცემოდეს, რადგან სრულიად არ მოეპოებათ (საქართველოში) თავის ენაზე საკირო წიგნები“-ო. დაწერილია 19 მარტს 1711 წელს. პირველი გამოც. მესამე ფურცელი. 1741. რომი.

¹⁾ პროფ. კორნ. კეკელიძე, I. ს. ტ. II. გვ. 402. აგრეთვე М. Броссе О грузинском письме царя Арчила к шведскому королю Корлу XII от 2 февраля 1706 года и о перебивониях Арчила в России. (Учен. записк. Имп. Акад. Наук по I и III отд. т. II. вып. 4. 1851 г.).

²⁾ проф. А. Хаханов. Очерки по ист. груз. слов. т. IV. стр. спб. 366. 1901. спб.

³⁾ проф. Хаханов. I. с. т. IV. стр. 366. მისივე—ძველად დაბეჭდილი წიგნი მოსკოვის სინოდალურ სტამბაში, „მოაპზე“ № III 1900 წ.

⁴⁾ ამ დავითნის თავფურცელზე რუსულად აწერია: Напечатана сия богодохновенная книга псалтыр имеретинским дияконом и письмены в царственной Московской типографии, в лето... от рожждства же по плоти

„დავითნის“ გამოცემის შემდეგ არჩილ მეფემ, უსახსრობისათუ სხვა მიზეზების გამო, საგამომცემლო საწმის გაგრძელება ვერ შესძლო. მაგრამ სულ მალე გარემოება ისე დატრიალდა, რომ მოსკოვში დამოუკიდებელი ქართული სტამბის დაარსება შეიქნა შესაძლებელი, რაზედაც ქვემოთ შევჩერდებით.

6-го слова аще (1705) индикта Т. М-ца Марта. წიგნში მოხსენებული არჩილის ძე ალექსანდრე შეუდგეში ტყვედ ჩაუვარდა შვეციის მეფეს. ალექსანდრეს აქვს კიდევ სხვა ლიტერატურული შრომები. მაგ. ფრანგულიდან თარგმნილი სამხედრო სახელმძღვანელო (საისტ. საეთნოგრაფიო საზ-ების მუზეუმის № 1265 ხელთნაწერი). 1705 წლის „დავითნი“ ჩვენში არ იშონება. პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს აზრით (მიწერილია თვით წიგნის ყდაზე). წ. კ. საზ. ყოფილი (ამჟამად ტ. ს. უ. წიგნთსაცნვის) ერთი დავითნი, რომელსაც თავი და ბოლო ხელთნაწერით აქვს ჩამატებული, უნდა იყოს 1705 წ. მოსკ. დაბეჭდილი დავითნი. 1926 წ. მოსკოვში წიგნის მუდმივ გამოფენაზე (რუმინანცვის მუზეუმში) ჩვენ ვნახეთ ეს წიგნი სუფთად და ლამაზად შენახული.


თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

პირველი სტამბის დაარსება ტფილისში

(ვასტანგ მეექვსე და ქართული წიგნი).

საერთო მდგომარეობა.—ვასტანგ მე-VI-ის მიერ ვალაქიიდან მესტაძე მისაილ უნგროვლახელის ჩამოყვანა.—ტფილისში პირველად დაბეჭდილი ქართული წიგნი.—1712 წელს გამოცემული ვეფხის ტყაოსანი.—ვასტანგ მე-VI მიერ დაწყებული საგამომცემლო მოღვაწეობის შეფერხება.—ხვიმონ ბატონიშვილის საფასეთა წარსაგებლით დაბეჭდილი წიგნები.—ვასტანგ მე-VI დაბრუნება სპარსეთიდან და „აიათის“ დაბეჭდვა.—ვასტანგ მე-VI გადასახლება რუსეთში და ტფილისში სტამბის მუშაობის შეწყვეტა.

ჭეშუარიტს ერთმინერდეს : ვამარადონეს ცრემლოთა ღებრა ნ
 ნი
 გოცნს ჭეშუახლოდეს : მათ ორთავე შინა წვა ნ
 მ
 გაიყარნეს გასურვანთ : მხალ თეცნი ჭეშუა მმა ნ
 ნ
 ჭ : თრიდონ დანდა ყმა წყაიდა : შემხედველთა შველთა ტან ნ
 ნ



წასვლით ავთანდილისაგან თრიდონი და მის ტანდარევეანისა მამუბრაღ :

ყმა მიმავლით მიუბნობს : მხეცესი მთვარისა სრული ნ
 ნ
 მის თინათინის გონებთ : მისხლ საღონენლოდ გული ნ
 ნ
 ჭეშუახლ მგებრი სიცრუეე : ვაი საწყობრთა კრული ნ
 ნ
 ჭ : შინ ტაქუს წამალთ ნემისა : მამრულითელი წყლული ნ
 ნ
 მახეცე გულისა ნიდად : მწვანეს გმართა სამსაღებო ნ
 ნ
 მად გული კლდისა ტინისა : შემწინთა სამსაღებო ნ
 ნ
 მრ შეუბოთა ლახვარსა : დანება სამსაღებო ნ
 ნ
 ჭ : შინმარ მჩხეი სოფლისა : ასრე გასამსაღებო ნ
 ნ
 მეთანდილ მარტო ზღვის პირსა : მიგა ოთხითა მნი თ
 თ
 წამალსა ტარიფლისა : ერებს ყოვლისა ლონი თ
 თ
 დონით ჭეშუათ მტირალი : იღერების ცრემლოთა თონით თ
 თ
 ჭ : ჩალოდ ზუნს ყოვლი მვეყანა : მისვე ჩალისა წონი თ
 თ
 სადაცხანის ეუბნის : მცხაერი ზღვის პირსა რებული ნ
 ნ
 ჭეშუახლ მის მუნისა ამბავი : დღენი ვონა გასებული ნ
 ნ
 ქელსა ტარდადტეს აქლომნი : აუნდეს ლარ კიდებული ნ
 ნ
 ჭ : მქარაენენი ზღვის პირსა : დეყრით დტეს შეჭირვებულთ ნ
 ნ

მუნ

პირველი სტამბის დაარსება ტფილისში.

(ვახტანგ მე-VI და ქართული წიგნი).

„სტამბას ბექდავდენ ფრანგნი და
 რუსნი და მერმე ვლახელნი,
 აქ არსად იყო აროდეს ვერ ეპოეთ
 მისი მნახველნი,
 გიორგის მეფობაშიგან ვახტანგ აკ-
 ვიოვა მნახველნი,
 ამ ბექდვამ ახლა მის გამო გატუდ-
 ნა ყოვლნი მმნახელნი.
 (ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“,
 ბოლო ფურცელი, 1712. ტფ.).

მხოლოდ თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ რომში ქართული წიგნის პირველად დაბეჭდვისა მომწიფდა ტფილისში სტამბის დაარსება-მოწყობის საკითხი.

მე-XVIII საუკუნის დასაწყისში, საქართველოში განათლების და მეცნიერების მოყვარე გამგებლის, ვახტანგ მე-VI-ის გამეფების შემდეგ სტამბის დაარსება აუცილებელ საჭიროებად იქნა მიჩნეული.

მართალია, ხელით წერა—გადამწერლობა წიგნებისა ჩვენში ძლიერ იყო განვითარებული, მაგრამ დაბეჭდილი წიგნების უპირატესობა ხელით ნაწერ წიგნების წინაშე საგრძნობ და აშკარა მომხრეებს პოულობდა, რადგან „ხელით წერისაგან ჩუენნი საღთონი წიგნნი გარყუნილიყუნენ“-ო¹⁾, გადმოგვცემს ტფილისში პირველად დაბეჭდილი წიგნის რედაქტორი ნიკოლოზ ორბელიძე.

ამასთან, მატულობდა რა თანდათან წიგნებზე მოთხოვნილება, წიგნის ნაკლებობას უფრო და უფრო მწვავედ განიცდიდენ: „ვითაარცა მქნელი იგი, რომელნიც იქმნან საქმეთა მსოფლიოსა მოქალაქობისათა, მათ ვერ ძალუძთ, თვინიერ სახმარისა რისამე და მოხელოვნებისა კეთილთა რაჲმე საქმეთა საზომსა თვისსა მოყვანებად“-ო²⁾,

¹⁾ სახარება. მესამე ფურცელი. 1709 ტფილისი. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

²⁾ კონდაკი გვ. დ. 1710. ტფილისი ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

ამბობს პირველი ტფილისელი მესტამბე, მიხაილ სტეფანეს შვილი ჰუნგროვლახელი. აგრეთვე მღვდლებსაც არ შეუძლიათ თავიანთი მოვალეობის შესრულება, თუ არ ექნებათ სათანადო „სამღთო-საეკლესიო“ წიგნები და „ვინაიდან საღვდელთა მამანი ქართველთანი დაკნინებულ იყვნეს სამღვდელთა წიგნთაგან, ამისთვის კი გულისხმაჰყო ვახტანგ და დავბექდეთ წიგნები ქართულს ენაზედა“-ო¹⁾ ამბობს იგივე ჰუნგროვლახელი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სანამ ტფილისში პირველად ქართული სტამბა გაიხსნებოდა დაბეჭდილი წიგნები უკვე კარგად იყო ცნობილი: 1709 წელს დაბეჭდულ „სამოციქულო“-ს „ბოლოსიტყვაობაში“ ნიკოლოზ ორბელიძე ამბობს: „ესე წმინდა სამოციქულო და იოანეს მოხილვა დიდის ჭირითა ბერძულთა დაბეჭდის შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტნაკლები გაეშარეთო“²⁾.

გარდა ბერძნული დაბეჭდილი წიგნებისა, ამ ხანებში და უფრო ადრეც, უკვე რომში 70.—80 წლის წინად დაბეჭდილი ქართული წიგნებიც ექნებოდათ. ყოველ შემთხვევაში, გარდა გრამატიკისა და ლექსიკონისა, რომლებიც რომში თვით მისიონერთა სახელმძღვანელოდ დაიბეჭდა, დანარჩენი წიგნების პირდაპირი დანიშნულება მხოლოდ საქართველოში გავრცელება იყო. 1741 წელსაც რომში დაბეჭდილ ქართულ წიგნში ვკითხულობთ: „დიდათ ვნატრობდი, რომ ეს წიგნი დაბეჭდილიყო, მისიონერების ჯა იმავე ერის (საქართველოს) სასარგებლოდ, რადგან პირველნი, თუ მეორენი სრულიად მოკლებულნი არიან ამისთანა ქართულ დაბეჭდილ წიგნებისა“-ო³⁾. ანუ კიდევ: იმავე წიგნის მეორე რეცენზენტი კლაუდო რეჯიელი სწერს: „რა ვიხილე ეს წიგნი, საკიროდ შევრაცხე და ურჩიე (ტფილისელ ქართველ კათოლიკე ივანე ჯიგინანთს) მისი დაბეჭდვინება და საქართველოში რაც შეიძლება ბლომად გაგზავნა“-ო⁴⁾.

¹⁾ ibid გვ. მ.

²⁾ სამოციქულო, უკანასკნ. ფურცელი 1709. ტფილისი.

³⁾ იხ. საქრისტიანო მოძღვრება კლაუდო რეჯიელის რეცენზია, IV გვ. ამ კლაუდო რეჯიელს 15 წლის განმავლობაში უცხოვრია სპარსეთსა და საქართველოში. ის წმინდა ფრანჩისკეს კაპუცინების წესის მოქადაგე და სამოციქულო პროტონატრი ყოფილა, როგორც სჩანს მისივე სიტყვებიდან. იხ. აგრეთვე მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის გვ 255—256. 1902. ტფილისი.

⁴⁾ ხსენებული საქრისტიანო მოძღვრება (გორელი ტულუკაანთ დავითას მიერ შედგენილი) კ. რეჯიელის სიტყვით, სანამ რომში დაიბეჭდებოდა, ხელთნაწერის სახით ვრცელდებოდა საქართველოში. იხ. საქრისტ. მოძღვრ. IV გვ. აგრეთვე მის. თამარაშვილი I. ც. გვ. 343. ანალოგიური ცნობებია აგრეთვე:

გარდა ბერძნული და ქართული ნაბეჭდი წიგნებისა, შეიძლება ვიფიქროთ, კათოლიკე მისიონერთა წყალობით, საქართველოში იტალიური და ფრანგული წიგნებიც უნდა ყოფილიყო შემოსული.

ყოველ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ტფილისში სტამბა მხოლოდ დაგვიანებით გაიხსნა, ხოლო საქირო ნიადაგი დიდი ხნით ადრე ყოფილა მომზადებული, რასაც თუ გინდ შემდეგი შედარება ადასტურებს: რუსეთში (მოსკოვს) პირველ მესტამბეს ივანე ფედოროვის სტამბა დაუწვეს, თვით მესტამბე სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით იძულებული გახდა გადახვეწილიყო და ხალხის შესახებ, რომელმაც მას ეს ამბავი დააწია, ეთქვა:—«Хотячи благое во зло превратити и божие дело в конец погубити»¹⁾. საქართველოში კი ყოველი ახალი დაბეჭდილი წიგნის მოვლინება, მესტამბე მიქაელის სიტყვით, „ყველაქასა უხაროდა რიტორსა და ხმა უსრულსა“²⁾, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ, იმავე მიქაელის გადმოცემით, — მართალია, უმნიშვნელო და არა აშკარა ზიანის მომტანი, მაგრამ მაინც ასე თუ ისე მის ყურთა სმენამდე მიღწეული— სტამბის საწინააღმდეგო მოძრაობაც კი ყოფილა, რასაც ის არ იეიწყებს და ამბობს:

„სტამბას ბეჭდავდენ ფრანგნი და რუსნი და მერმე ვლახელნი, აქ არსად იყო აროდეს ვერ ეპოეთ მისი მნახველნი, გორგის მეფობაშიგან ვახტანგ აკვირვა მნახველნი, და ამ ბეჭდვამ ახლა მის გამო გაცუდნა ყოვლნი მჩმახელნი“—ო³⁾

მაგრამ, როგორც აქედან სჩანს, ისინი მხოლოდ „მჩმახელნი“ ყოფილან, ე. ი. უბრალო მითქმა მოთქმის მეტი ვერაშესძლებიათ—რა.

1681 წელს რომშივე დაბეჭდილ „პატარა საქრისტიანო მოძღვრებაში“ რომელსაც დართული აქვს „ქართველ კათოლიკე“ ენიბეგაანთ ზალინას რეცენზია: „დიდათ საქიროდ ვრაცხ რომ ეს წიგნი დაიბეჭდოს, რადგანაც ხელთნაწერებით ვერ დაუქმბაყოფილებიათ, ესოდენი პროვინციების მოთხოვნალებათ; ეს წიგნი აღწერილი აქვს აგრეთვე მ. თამარაშვილს ხსენებულ თხზულებაში გვ. 253--254.

1) Н. Берлин—История книги, культурно-исторический очерк 1916 спб. გვ. 183. რუსეთის ანალოგიურ შემთხვევებს ჰქონია ადგილი თითქმის ყველგან, სადაც სტამბა პირველად დაუარსებიათ. მაგალითად, როდესაც პარიზში გუტენბერგის თანამშრომელმა ფაუსტმა პირველად დაბეჭდილი წიგნები შეიტანა გასაყიდათ, ის კარდინალმა ეშმაკის მოციქულად გამოაცხადა, რაიც ფაუსტს კინალამ სიცოცხლედ დაუჯდა.

2) ვფხანის ტყაოსანი, ბოლო ფურცელი. 1712. ტფილისი. ინახება ტ. ს. უ-წიგნთსაცავში.

3) ibid.

აღნიშნული მოვლენა ადვილად გასაგებია, რადგანაც ისინი, ვინც აქამდე გადამწერლობით „მოირეწდა“¹⁾, სტამბის გახსნით თავიანთ შემოსავალს ჰკარგავდნენ და, ცხადია, ამ გარემოებას, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილებით შეხვდებოდნენ. მაგრამ ისინი იძულებულნი ყოფილან მალე შერიგებოდნენ თავიანთ ბედს, ასე რომ მიქაელს სტამბის გახსნის მესამე წელს უკვე შესძლებია ეთქვა, რომ ამ „ბეჭდვამ ახლა უკვე „გ ა ც უ დ ნ ა“ მჩმახილნიო“.

საერთოდ სტამბის დაარსებას მაინც დიდი გავლენა გადამწერლების მდგომარეობაზე არ უნდა მოეხდინა, რადგანაც მოთხოვნილება წიგნებზე, მიუხედავად სტამბის მუშაობისა, მაინც არ ყოფილა დაკმაყოფილებული, რასაც გარდა იმისა, რომ ერთხელ დაბეჭდილი წიგნი მეორე თუ მესამე წელს ხელმეორედ იბეჭდებოდა, ისიც ამტკიცებს, რომ წიგნები, მეფის ბრძანებით, სტამბაშიაც იბეჭდებოდა და პარალელურად ხელითაც იწერებოდა. მე-VXIII საუკუნეში გადაწერილ ერთ წიგნში ვკითხულობთ: „ამა მეფემან (ვახტანგ მეექვსემ) მიბრძანა მე აღწერად წმინდისა ამის სახარებისა და არა ურჩ ვიქმენ ბრძანებასა მათისა, არამედ ვიწყე გულისმოდგინებითა ერთსა ივლისსა და სრულ ვყავ დღესასწაულსა წმინდის დიმიტრისასა ჩლია“ (1711 წ.)²⁾. ერთ ნახევარ წლის წინად სწორედ იგივე სახარება ვახტანგისავე ბრძანებით დაიბეჭდა ტფილისს³⁾. ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეფე გადამწერელთა მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით უკვეთავდა უკანასკნელთ წიგნების გადაწერას.

მაგრამ დავუბრუნდეთ ტფილისში პირველი სტამბის გახსნის საკითხს. „პირველად მიზეზი უცხოთა ამის საქმისა“⁴⁾—ტფილისში სტამბის გახსნისა—ვახტანგ მეექვსემ „მოიყვანა მესტამბე ვლახეთით და გააკეთა სტანბა“⁵⁾.

სანამ სტამბის გახსნის ტექნიკურ მხარეებზე შევჩერდებოდეთ, საინტერესოა საკითხი, თუ რა პირობებში მოხდა სტამბის მოწყობა და რატომ სახელდობრ ვლახეთიდან იქნა მოყვანილი მესტამბე და

1) იესე ო ს ე ს შ ე ი ლ ი ს თავგადასავალი, 1913. ტფილისი, სარგის კაკაბაძის გამოცემა, გვ. 131.

2) ძველი საქართველო ტ. III გვ. 112—113.

3) „სახარება“ 1709, ტფილისი.

4) სახარება, მესამე ფურც. 1709, ტფილისი.

5) Ibid.

არა კონსტანტინეპოლიდან¹⁾ ან მოსკოვიდან, რომლებთანაც ამ ხანებში ტფილისს მეტი კავშირი ჰქონდა.

ამ საკითხის შესახებ არსებობს სამი აზრი:

ა) პროფ. ა. ცაგარელი ფიქრობს, რომ ვლახეთიდან მესტამბის ჩამოყვანის მიზეზი იყო, უკანასკნელის სიახლოვე და ამით შექმნილი ხელსაყრელობა საქმის განხორციელებისა²⁾.

ბ) ა. ერიცოვი უყურებს რა კრიტიკულად პროფ. ა. ცაგარელის აზრს, ვახტანგ მეექვსის მიერ მესტამბის ვლახეთიდან ჩამოყვანას ხსნის ვახტანგის მიდრეკილებით კათოლიკე მისიონერთადმი და საერთოდ კათოლიკურ სარწმუნებისადმი. ამას დამატა ის გარემოებაც, რომ იმ დროს ვალაქიის სახელმწიფოებრივი სიძლიერე ძალიან შერყეული იყო (იზრდებოდა ოსმალეთის გავლენა). და ამრიგად თავის სამშობლოში არახელსაყრელ მეურნეულ პირობებში ჩაეარდნილი, შემდეგ ჩვენთვის ცნობილი, ტფილისში პირველი სტამბის განმახორციელებელი მიხაილ სტეფანეს შვილი უნგროვლახელი, კათოლიკე ბერების შუამავლობის წყალობით დასთანხმდა. ვახტანგ მეექვსეს გაეწია უკანასკნელისათვის საჭირო სამსახური ტფილისში სტამბის დაარსების საქმეში³⁾.

გ) მესამე აზრი ეკუთვნის პროფ. ალ. ხახანაშვილს, რომელსაც ასე თუ ისე საამისო საბუთიც მოეპოება. ხახანაშვილის ცნობით მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნის მიჯნაზე ვალაქიაში ცხოვრობდა ფრიად სახელგანთქმული თავისი სამეცნიერო მოღვაწეობით ქართველი სასულიერო წოდების პირი, ადგილობრივ მწერლობაში ცნობილი Anlim Jvireanel-ად ე. ი. ანთიმ ივერიელად. ანთიმ ივერიელი 1705 წელს კურთხეულა რამნიკის მღვდელმთავრად, ხოლო 1709 წელს დაუნიშნავეთ ვლახეთის ეპისკოპოზად. ა. ივერიელს საფუძველიანად სცოდნია: რუმინული, ბერძნული, სლავიანური, ოსმალური, არაბული და, რა თქმა უნდა, ქართულიც. ის

¹⁾ პ. კარბელაშვილის ცნობით დომენტი კათალიკოსს (ვახტანგ მე-VI ძმას) ჩამოუტანია სტამბა კონსტანტინეპოლიდან, რომელიც უკვე 1706 წ. ტფილისში მზად ყოფილა და სადაც 1707 წ. დაუბეჭდათ „დავითნი“ (sic). (იერარქია საქართველოს ეკლესიისა 1900, ტფილისი, გვ. 131—133.

²⁾ Труды V-го архиеологического съезда в Тифлисе, 1887, Москва, გვ. 106.

³⁾ А. Ерицов, Из нашей страны. гл. XI (газ. „Новое Обозрение“ № 2424. 1891 год). ერიცოვი ფიქრობდა, — შესაძლებელია ტფილისში პირველად კათოლიკე მისიონერთა რედაქციით იბეჭდებოდა ქართული საეკლესიო წიგნებიო. მაგრამ, ახლა, როდესაც ეს წიგნები შესწავლილ-განხილულია, ამის თქმა უკვე არ შეიძლება.

მხატვარიც ყოფილა. ანთიმს რამნიკაში დაუარსებია სტამბა, სადაც შემოხსენებულ ენებზე მრავალი წიგნიც დაუბეჭდია.

ანთიმ ივერიელის მოღვაწეობის წყალობით ბუქარესტი გამხდნრა წიგნების გამოცემის ცენტრად აღმოსავლეთში. მას, ანტიოქიის პატრიარქის სურვილით, 1701 წელს სნეაგოვში დაუბეჭდია ბერძნულ-არაბული საეკლესიო კოდაკი, რომელშიაც თავს ქართველად იხსენიებს. მასვე აგრეთვე ვალაქიაში დაუბეჭდია ქართული კონდაკიც და სამშობლოში (საქართველოში) გამოუგზავნია. მასვე გამოუგზავნია შრიფტიც და ასოთამწყობიც საქართველოში¹⁾.

საბოლოოდ ჩვენთვის უდაოა ის ფაქტი, რომ ვახტანგ მე-VI-მ მესტამბე მოიყვანა ვლახეთით. მის სტამბაში დაბეჭდილ წიგნებისათვის წართულ *momento*-ში ჩვენ ვკითხულობთ ვახტანგისავე სიტყვებს, — „მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბაო“²⁾.

მიხაილ უნგროვლახელი ამბობს (იმავე წიგნში): „პირველ მიზეზი... და შემსრულებელი სტამბისა ამის იქმნა... განათლებული ვახტანგ... ხოლო ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილვებიან... სტამბისა დაწყებითი სრულ ყოფამდე მოქმედი და წინამძღომელი მე ვარო“³⁾.

„რედაქტორი“ ვახტანგ მეექვსის დროის გამოცემული წიგნებისა მოსამართლეთ უხუცის ძე, მღვდელ მონაზონი ნიკოლოზ ორბელიძე გადმოგვცემს: „ვახტანგ იგულსმოიდგინა და მიიღო სტამბა ვლახეთით, რომელ არასოდეს ყოფილიყო საქართველოშიო“⁴⁾.

1713 წელს (როდესაც ვახტანგ მე-VI უკვე სპარსეთში იყო) დაბეჭდილი წიგნის „რედაქტორი“ კვიპრიანე სამთავნელი მო-

1) პროფ. ალ. ხახანაშვილი — ქართველი მოღვაწე უცხოეთში (ივერია № 63 1898 წ.) ალ. ხახანაშვილს, მისრეე სიტყვების თანახმად, ცნობები აქოლებული აქვს „ვენის აღმოსავლეთის ერთა ჟურნალიდან“. ხახანაშვილის აზრს იმეორებენ: Н. В а р т о г а в а — Грузинская духовная переводная и оригинальная литература, Симферополь, გვ. 61; Кор. К е к е л и д з е — Лиургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение 1918, Тифлис, გვ. XXX; პროფ. კეკელიძე — ქართ. ლიტ. ისტ. ტ. I 1923, ტფ. გვ. 361 — 362; ზ. კიკინაძე — ქართული სტამბები, 1914, ტფ. გვ. 79; დ. კარაიკაშვილი — წიგნის ისტორია, 1903, ტფილისი, გვ. 48 და სხვანი.

2) სახარება 1709 წ.; კონდაკი 1710 წ. და სხვა აგრეთვე წ.-კ. გაწავრცელებული საზღების № 1512 ხელთნაწერში გვ. 93 მოყვანილია ეპიტაფია: „მე უმცირესმან ძმათაგან ვახტანგმან სახელდებულად“, სადაც ვახტანგი ამბობს (ყოველ შემთხვევაში — მისი თანამედროვეი), „სტამბა მოვიღე ვლახეთით, ვამრავლე წიგნთა მელანო“ (იხ აგრეთვე Е. Т а к а н ш в и л и, описание т. I. გვ. 6).

3) სახარება, 1709; სამოციქულო, 1909; კონდაკი, 1710, ტფილისი.

4) ibidem.

გვითხრობს: „ვახტანგ იგულსმოიღვინა და მოიყვანა ვლახეთით მესტამბე მიხაილ და გააკეთებინა სტამბა, ფრიადითა წარსაგებლითა საფასეთათაო“ 1).

ჩვენ მიერ მოყვანილი ცნობებიდან, თუმცა ისინი ერთის შეხედვით ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, თუ საშუალო ხაზს ავიღებთ, გვგონია, შეიძლება მათი შეთანხმება და შემდეგი დასკვნის გამოყვანა: ვახტანგ მეექვსემ მოიყვანა ვლახეთით მესტამბე (მიხაილ უნგროვლახელი), რომელიც აუცილებლად თან წამოიღებდა პირველ საჭირო იარაღებს და სასტამბო მოწყობილების ნიმუშებს, ხოლო დანარჩენი საქმის სრულყოფა ტფილისში უნდა მომხდარიყო.

რაც შეეხება იმ აზრს, ვითომც ვლახეთიდან რამდენიმე მესტამბე ყოფილიყოს ჩამოყვანილი, რომელ აზრსაც იცავენ პროფ. კორნ. კეკელიძე²⁾, ზ. ჭიჭინაძე³⁾, თ. ჟორდანიანი⁴⁾, დ. კარიჭაშვილი⁵⁾ და სხვანი, — იგი სიმართლეს არ შეეფერება, რაიც, გარდა კვიარიანე სამთავნელის (1712 წელს შემდეგ გამოცემული წიგნების რედაქტორის) სიტყვებისა, რომ ვლახეთიდან მოიყვანეს მესტამბე მიხაილი (მარტო), სჩანს თვით უნგროვლახელის სიტყვებიდანაც.

მიხაილ უნგროვლახელი ბოდიშობს მკითხველთა წინაშე წიგნში შეპარული შეცდომებისათვის და პატიებას ითხოვს, რადგან „უცხო ვიყავ ქვეყნისა ამის და უსმენელი სიტყუა თქვენთა და რომელნი ჩემნი მოწაფენი იყვნენ, აგრეთვე გამოუცდელნი საქმისა ამის ჩემისა“ —⁶⁾ და დასმენს, „ვითაარცა მე ვიყავ ქართლის უნახველი, ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისაო“⁷⁾.

როგორც აქედან სჩანს, მიხაილ უნგროვლახელი მცოდნე თანამშრომელთა უყოლობას ჩივის და მოწაფეები კი ყავედა გამოუცდელნი და უნახველნი სტამბისა. ცხადია, ასეთი ხალხის წამოყვანა ვლა-

1) კურთხევანი, 1713; ტუ.; ასეთივე ცნობა XVIII საუკუნეში შემდეგ დაბეჭდილ წიგნებშიაც მოყვანილი.

2) ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. გვ. 362.

3) ქართული სტამბები, გვ. 80—81. სადაც ნათქვამია: „ქართველ ეპისკოპოზმა ვახტანგის ბრძანება უმაღლ შესრულა (ვლაქიაში)... გამოგზავნა ოსტატები, ოთხი კაცი ხელოსანი, ერთი მბეჭდავი და სამიც ამომწყობი, ერთი მათგანი მიხაილი უფროსი ყოფილა. გვ. 82.

4) ქართული სტამბები XVIII საუკ. (ივერია № III 1881).

5) წიგნის ისტორია, გვ. 48—49. კარიჭაშვილი ამბობს, უნგროვლახელმა მოიყვანა თან მესტამბენიო.

6) სახარება, 1709; სამოციქულო, 1709; კონდაკი, 1710 წ. ტფილისი.

7) ibid.

ხეთიდან უაზრო იქნებოდნ და მისი „მოწაფეები“ ტფილისელები ყოფილან.

ვახტანგ VI-სეც აკი ამბობს: „მოვიყვანე მესტამბეო“¹⁾. რამდენიმე კაცი რომ ყოფილიყო, მაშინ ხომ „მოვიყვანე მესტამბენიო“, იტყოდა.

მიხაილ უნგროვლახელის მიერ ტფილისში „სრულქმნილი“ სტამბა, როგორც მის მიერვე დაბეჭდილი წიგნებიდანა სჩანს, ტეხნიკურად არ უნდა ყოფილიყო ჩამორჩენილი იმდროინდელ ევროპის ქალაქებში არსებულ სტამბებს. თვით ვალაქიაში, საიდანაც იყო ჩვენი მესტამბე, წიგნის ბეჭდვის ხელოვნება, იმ დროის პირობების მიხედვით, მაღალ დონეზე იდგა.

ტფილისის სტამბას ჰქონია რამდენიმე ფორმის შრიფტი. ბეჭდავდა ის ერთსა და იმავე დროს როგორც შავი, ისე წითელ საღებავით. აქ დაბეჭდილი წიგნები მოცემულია იმნაირივე სისრულით, რობორც მაშინ ევროპის სტამბებში იბეჭდებოდა. დაცულია პავინაცია (გვერდების დანომრვა) და აგრეთვე კუსტოდებიც (გვერდის დასასრულს, ქვევით არშიაზე, მიბეჭდვა პირველი სიტყვისა, მთლიანად ანუ ნაწილობრივ, რომელთაც იწყება შემდეგი გვერდი).

1709 წელს დაბეჭდილ წიგნებში ვხდებით მხოლოდ ხუცურ (ასომთავრულ და ნუსხურ) ასოებს, ხოლო 1710 წელს დაბეჭდილ „კონდაკში“ ერთბაშად მოცემულია როგორც ხუცური, ისე მხედრული და აგრეთვე ბერძნული და ლათინური შრიფტიც. ეს „კონდაკი“, მისი ტეხნიკური შესრულების ყოველ მხრივ პირდაპირ შედევრია მაშინდელი სასტამბო ხელოვნებისა.

ჩემს წინა დევს ამ ხანებში (1714 წ., 1721, 1713, 1704 წ.) ევროპის (ლაიპციგის და მაინის ფრანკფურტის) საუკეთესო სტამბებტი დაბეჭდილი წიგნების რამდენიმე ტომი, რომელთაც ვაძარებ ამ ტფილისში დაბეჭდილ „კონდაკს“ და არვიცი, რომელს მივანიჭო უპირატესობა: „კონდაკის“ თავფურცლიდან დაწყებული ვიდრე უკანასკნელ გვერდამდე საუცხოვოდ დაცულია შრიფტთა დაწყობის კამბინაცია. ხუცურ-მხედრულ ასოებში ჩაყოლებულია ბერძნული და ლათინური ასოები (ამონაწერები ბიბლიიდან). წიგნში მოცემულია რამდენიმე სურათი დაბადებიდან (გრავეურებით)²⁾ ქალაღდიც კარგია, ჩინებულადაა აგრეთვე აკინძულ-შეკაზმული.

¹⁾ Ibidem.

²⁾ სურათების გამოსაყვანად, როგორც სჩანს, ხის ფიკარზე ამოსჭრიდენ სასურველ ნახატს შებრუნებულად, რასაც ქსელოგრავერები ასრულებდენ. მაგ. 1793 წ. ტფილისში დაბეჭდილ „მცირე ლოცვანში“ ვკითხულობთ: „პლაკის მკრე-

წიგნს ბოლოში დართული აქვს ისევე, როგორც 1709 წელს დაბეჭდილ „სახარებას“ და „სამოციქულოს“, საძიებელი (სარჩევი) ¹⁾ და „ნულა და ქართული რიცხვი თანჩართული“, სადაც 1-დან ვიდრე 10.000-მდე ჩამოწერილია ქართული ასოები (ციფრების მნიშვნელობით), რომლებსაც პირდაპირ უწერია საფარდი არაბული ციფრები. (ეს ცხრილი შესრულებულია მიხაილ უნგროვლახელის მიერ).

ამრიგად, 1709 და, შეიძლება, 1708 წელსაც ტფილისში სტამბის აგება-მოწყობა უკვე დამთავრებული ყოფილა.

სტამბისთვის აუშენებიათ 10 ოთახიანი სახლი ფულის საჭრელი სახლის დასავლეთით, წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გვერდით. (ეს ეკლესია დანგრეულია 1824 წ. მის ადგილას შემდეგ სინოდის კანტორა აუშენებიათ) ²⁾.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნთსაცავში ინახება რამდენიმე ეკზემპლარი „სახარებისა“ რომლის თავფუტელებზე ვკითხულობთ: „სამლოჲ და სამლუდელო სახარება აწ ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედა, ჟამსა ამოღებულისა და სახელოვანისა, საქართველოს მეფისა უფლისა უფლისაჲ გიორგისა, იესეან დავითიან სოლომონიანისა“. შრომითა ფრიადითა და წარსაგებლითა საფასეთათა მართლმადიდებლისა და განათლებულისა საქართველოს განმგებლისა ბატონის შვილის უფლისა ვახტანგი ლევანის ძისათა. გაიმართა წიგნი ესე ხელითა ნიკოლოზ მღვდელ-

ლობითა და დაზგის მმართველობითა კარის საყდრის ხუცის დავით უღირსისათა“. ქუთაისის მუზეუმში ინახება ასეთი კლიშე (ხისა), რომელიც, ალბად, მე-XVIII საუკუნის 80—90-იან წლებს ეკუთვნის. ასეთი „კლიშეების“ დამამზადებელნი თავიანთ თავს „გამომღებელი ბეჭდისა“-ს ეძახდნენ. იხ. ამის შესახებ საინტერესო წერილი გ. კოკოჩაშვილის—„ქუთაისის მუზეუმის ოდიკის ხის კლიშე“ გვ 72—81 („ჩვენი მეცნიერება“ № 2. 1924 წლისა), აგრეთვე Е. Такайшвили — *Деревянный антиминс Метехской церкви* (Сборник материалов для опис. местности и племен Кавказа вып. XXII стр. 213—216).

¹⁾ უძველეს ქართულ წიგნებში „საძიებელის“ ანუ ახლანდელის „სარჩევის“ ნაცვლად ხმარებაში იყო ტერმინი „ზანდუკი“. მაგ. მე-XI საუკუნეში დაწერილ ქართული წიგნების „ბოლოს“ დართული ყოფილა „თვითოეულისა წიგნისა ზანდუკი“. ამრიგად, ვინც კი მოინდომებდა წინასწარ გაეგო „ძალი თვითოულისა წიგნისა, თუ რა სწერია“ მასში, აიღებდა და გიდაიკითხავდა „ზანდუკს“ და იქ „პოოს აღრიცხულად და განმარტებულად“ თვითოეულის თხზულების შინაარსით. იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის ძეგლი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916 წ. გვ. XXX.

²⁾ П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, 1866 Тифлис, стр. 246—247.



ՆԱԹԻՆՆԱԿԱՆՆԱԿԱՆՆԱԿԱՆՆԱԿ

Հոսքն ա ծե նստ ծքցղցծնա Է. Էնտայտն ղհեհդէ:

Վեմեւ ԷԾԷՌՈՒՄՍՅԱԿՈՒՆԷ ծե ՆԷՍՊՈՒՄՊՆԻՆԷ ՆԵՒԷՆ
 թարդոսն ժողպրևե . Օ՛նև Օ՛նև ԱՆՕՒ ԱՆՆԸ
 Իղևդեհ Ճ՛արտաբեհ Նատամահեհրևե օ

Սեամաե ամաու ծե ոսիչղպաե ՆԵՄԵՆՊՈՒԿՈՒԵԱԷ . ՁԷՆ
 առ ՁԷՏԻՇՊՂԴՈՒՆԷ ծե ղհեհաղցարևե ՆԵՒԷՆՍԱՊՈ
 տան շինձղպարևե . Աբսահրևսրարևե թարա Օ՛նև
 ԻԷՍՄԷԻՇՅ Նեղղնրև արևեառ օ

ԱԷՌԶԵՆԵԱԷ ոս պևղ քարաե Բիհաննան ՁԵՇՊՈ ՁԱԻՉ
 նահրևե Օսիչղոս յրարաեառ :

ԿՊՊԱԷ ժղևըԷձԿ ժարևա Նղպաեհղ յրարևե
 Օհղնարաբաբղարևե .

ԳԸՆԸԳՆԸ ԲՔ ԿՆ ԿՆԸԸԸ .

ԻգևԷ : Իտրևղև ԷԿՊԱ : Հան յրաձԷՆ Ճ՛աբսահրև օ

1709 წელს ტფილისში პირველად დაბეჭდილი წიგნის—სახარების—თავფურცელი.
 დაპატარაებულია 1/2-ით.

მთავრის ორბელის შვილისათა ¹⁾. ხელითა მესტანბე მიხაილ სტეფანეს შვილისა უნგროვლახელისა, ქალაქსა ტფილისს... ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და ცხრასა“.

მეორე გვერდზე: „სადიდებლად წმიდისა სამებისა, მე გვარტომობით, ძირმოდგმობით დავითიანმან, ძის ძემან სახელგანთქმულის მეფის ვახტანგისამან, ძმის წულმან ქებულის არჩილისამან და დიდათ სახელოვანის ქართველთ მეფის გიორგისამან და ძემან დიდათ პატიოსნის ლევანისამან განმგებელმან ვახტანგ, მოვიყვანე მესტანბე ვლახეთით და გავაკეთე სტანბა, სახსოვრად სულთა წინათქმულთა მეფეთასა, მამისა და დედისა ჩემისა გურიელის ასულის თუთასათვის. სალხინებლად სულთა ჩემთა და მეუღლისა ჩემისა ჩერქეზის ბატონის ასულის რუსუდანისა, ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად.“

გვერდი მესამე: „ყოველთა მკითხველთა გიხაროდენ, პირველად მიზეზი უცხოთა ამის საქმისა და ძალითა ღვთისათა უ-დ შემსრულებელი საქმისა ამის სამკვიდრებელსა თქვენსა, იქმნა კურთხევით ხსენებული, განათლებული საქართველოსა ბატონიშვილი და თვით პატრონი ვახტანგ; ღვთის მოყვარენო და ყოველად მშვენიერნო მკვიდრნო საქართველოსანო.“

„ხოლო ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხელეებიან ასონი და ორლანონი (?) და ყოველნი სახმარნი სტანბისა, დაწყებითი სრულყოფამდე მოქმედი და წინამძღომელი მე ვარ, უნდო მონა თქვენი.“

„უწინარეს ყოველთასა და ვებეჭდეთ ესე სამლოაჲ და სამდღელო წმინდაჲ სახარება“.

„სიმდაბლით გვედრებით, თქვენ ყოველთა დიდათა და მცირეთა, უკეთუ ცდომილი რაიმე იხილოთ, სიტყუა ანუ ასო ნუ გამჭირდავთ, რადგან უცხო ვიყავ ქვეყნისა ამის და უსმენელი სიტყუა თქვენთა და რომელნი ჩემნი მოწაფენი იყვენ ეგრეთვე გამოუცდელნი საქმისა ამის ჩემისა. ვითარცა მე ვიყავი ქართლის უნახველი ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტანბისა“ ²⁾.

„მდაბალი ამათ მბეჭდავთაგანი მესტამბე მხ-რე-ლთა გ-თა ვმუშაობ მოსამსახურე თქვენი მიხაილ სტეფანეს შვილი უნგროვლახელი“.

¹⁾ ნიკოლოზ ორბელიანის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები იხ. Д. Пурцеладзе. Гуджары церковн. გვ. 10—11.

²⁾ როგორც სიანს, სახელწოდება „სტანბა“ ქართველებს ტფილისში სტამბის გახსნამდე სცოდნიათ, წინამდებე შემთხვევაში ისინი არა სტანბას, არამედ თვით უნგროვლახელის სიტყვით „ტიფოგრაფიით“ (Типография) მოიხსენებდნენ მას. „სტანბა“ აღბად იტალიური ენიდანაა შემოღებული, — „Stampa“.

მეოთხე გვერდზე: „ოდეს განაგებდა საქართველოს... ძე ლევა-ნისა ღვთის მოყვარე ბატონიშვილი ვახტანგ იგულისხმოდგინა და მიიღო სტანბა ვლახეთით, რომელ აროდეს ყოფილიყო საქართველოში და ხელის წერისაგან ჩვენნი საღთონნი წიგნნი გარყუნელ იყვნენ და მე მოსამართლეთ უხუცის ორბელის ძეს, ცოდვილს მღვდელ მონაზონს ნიკოლოზს მებრძანა წიგნების გასწორება და ვერ ურჩ ვიქმენ და ესე წმინდა სახარება დიდის ქირითა ბერძენთა დაბეჭდის სახარებითა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტნაკლები გავმართე და ეს საძიებელი არც ერთს წიგნში არ იყო, სიადვილისა და ადრე პოვნობისათვის ეხლა მე გავაკეთე და თუ გულისხმა ჰყოფთ დიად ადვილია. თავისა და მუხლების ანგარიში უსხედს და სხვა ნიშნები შიგ ქართულია (ჩართულია?) და საძიებელი სწორედ იქ მისაწავებს და მას მიყევით. ვინც ჩემი ნაშრომი წიგნები ნახოთ... შენდობას ბრძანებდეთ...!“

როგორც ზემოდმოყვანილი ამონაწერებიდან სჩანს, აღნიშნული სახარება არის „უწინარეს ყოველთასა დაბეჭდილი“ წიგნი ვახტანგის მიერ ტფილისში გახსნილ სტამბაში, 1709 წელს²⁾. მაშასადამე, სიმართლეს არ შეეფერება „ცნობები“, თითქოს 1708 წელს და უფრო ადრეც ტფილისში რაიმე წიგნები დაბეჭდილიყოს³⁾.

იმავე 1709 წელს ხსენებული სახარების შემდეგ დაიბეჭდა კიდევ „სამოციქულო“, რომელშიაც იგივე ბიბლიოგრაფიული ცნობებია განმეორებული, თუმცა ცოტა სხვა ვარიაციით⁴⁾.

1710 წელს დაბეჭდილ წიგნთა შორის ყურადღებას იპყრობს, როგორც ზემოდ აღნიშნეთ, საუცხოვოდ შესრულებული „კონდაკი“. ამ წიგნში მიბეჭდილია მიხაილ უნგროვლახელის ლექსი, მისსავე ენა-

1) 1709 წ. გამოცემული „სახარება“ შეიცავს 61/2X41/2 ვერშოკს და 342 გვერდს.

2) ამ ფაქტს სისწორით აღნიშნავენ: პროფ. კ. კეკელიძე, — ქართ. ლიტ. ისტ. ტ. I. გვ. 364; დ. კარიკაშვილი — წიგნის ისტორია, გვ. 49; ევ. ნიკოლაძე — საქ. ეკლ. ისტ. გვ. 155; აგრეთვე П. Иоселиани-ც თავის — Кратк. история груз. церкви და истор. взыл. на сост. Груз. под властью царей Магометан. გვ. 102.

3) პროფ. ალ. ხახანაშვილის ცნობით, 1708 წ. ტფილისში დაიბეჭდა წიგნები. იხ. Очерк по ист. грузинск. словестности т. III. გვ. 366—368; პ. კარბელაშვილიც ამ ცნობას იმეორებს — იერარქია საქ. ეკლესიისა გვ. 132—133 1900 — ტფ.; ხ. კიკინაძე კი 1708 წელში დაბეჭდილი წიგნების 4 სახელწოდებას ითვლის, მას ტირაქიც კი არ „დავიწყნია“ (sic.) (5000 ეკს.) — ქართული სტამბები 1627—1913. გვ. 118.

4) წიგნი ინახება ტ. ს. უ. წივთსა(ცავეში (ყფ. ეკლ 208) ფორმატი: in quarto, გვ. 442.

ზე, ხოლო ქართულის ასოებით და რომლის შემდეგ იგივე უნგროგ-ლახელი ამბობს, „ვითარცა უცხონი იხარებენ ხილვასა ზედა თვისთა სამკვიდრებელთასა და ზღუათა შინა მიმავალნი ხილვასა ზედა ნავთსაყუდელთასა, ეგრეთცა მესტამბენი იხარებენ გასრულებასა ზედა წიგნთასა“. ეგ სიტყვები შემდეგ, 1711 წელს დაბეჭდილ „ფსალმუნში“, უკვე ლექსად აქვს გამოთქმული რუსთაველის წაბაძვით იმავე უნგროვლახელს, 1) საიდანაც სჩანს, რომ მან უკვე კარგად იცის ქართული, კითხულობს ვეფხის ტყაოსანს, რომელსაც ამზადებს იგრეთვე დასაბეჭდად.

1712 წელი მით არის უპირველეს ყოვლისა შესანიშნავი ქართული წიგნის ისტორიაში, რომ ამ წელს ტფილისში იბეჭდება პირველად „ვეფხის ტყაოსანი“ 2) ვახტანგ მე-VI-ის რედაქციითა და კომენტარებით.

აღბად არც ერთ ქართულ წიგნს არ განუცდია იმდენი დევნა სასულიერო წოდებისაგან, რამდენიც ვეფხის ტყაოსანს, რომელსაც მეფეების მფარველობაც ვერ შეელოდა. „ანტონ კათალიკოსმა ...მრავალნი დაბეჭდილნი მეფის ვახტანგის დროისა ვეფხის ტყაოსანნი დასწუნა და შთააყრევინა მტკუარში და აღუკრძალა კითხუა წიგნისა ამის ქართულთა“ 3).

აი, როგორ ახასიათებს თვით ანტონ კათალიკოსი შოთა რუსთაველს:

„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის მოყვარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყუელი სპარსთა ენის,
თუ რამ სწადოდა ღუთის მეტყველიცა მაღალ,
უცხო საკვირუელ, პიტიკოს მესტიხე,
მარა ამოღ დაძუურა, სამწუხარ არს ესე“ 4).

1) 1711 წ. ტფილისში დაბეჭდილი „ფსალმუნის“ ბოლო ფურცელზე:

„ნავთ საყუდელსა მენავე რა მივლენ განისვენებენ,
მოყვასთა თვისთა სამყოფთა, ნახვა სწადს მით ისვენებენ,
კირთ მყოფნი ლხინსა შესულნი, მას აღარ მოიხსენებენ
და რა ბეჭდვა მბეჭდავს უსრულდეს, თავს აღარ შეიჩვენებენ.“ იხილეთ

აგრეთვე 1712 წელს ტფილისში დაბეჭდილი „დავითი“..

2) ამ ვახტანგისეული ვეფხის ტყაოსანის რამდენიმე ეკზეპლიარი ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში, ფორმატი: 6¹/₂×3³/₄ ვერშ., 352 გვერდი.

3) მიმოხილვა წმიდათა და სხვათა აღმოსავლეთისა ადგილთა, ქართლის მთავარ ეპიზკოპოზის ტიმოთესგან, 1852. ტფილისი გვ. 154. სქოლიოში, გამომცემლის პლატონ იოსელიანის შენიშვნა.

4) ანტონ კათალიკოსი, წყობილ—სიტყვაობა, პლ. იოსელიანის გამოცემა, 1852 წ. ტფილისი. § 802. ხაზი ჩვენ მიერაა გასწული.

მაგრამ ანტონ კათალიკოსზე შორს მიდის ქართლის მთავარ-ეპისკოპოზი ტიმოთე, რომელიც, ცხადია, მაშინდელ სასულიერო წოდებაში გაბატონებულ აზრს გამოსთქვამდა: „ეს (შოთა) იყო მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავლა ქართველთა სიწმინდისა წილ ბოროტი ბილწება და განპრყუნა ქრისტიანობა“.

„ხოლო უწინარეს ჩუენთა უმეცართა, საღუთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი: აღწერა ქალისა, ვისთვისმე თუვალი მელნისა, პირი ბროლისა, ლაწვი ძოწისა და ამის გამო დედანი საქართველოსანი ხატად ლუთისა შექმნილსა სახისა-წილ ფერადთა წამალთა იცხებენ და მიცუალებულთა თმათა მოიბმენ საფრთხეთ სულთა“ 1).

ამრიგად, „ვეფხის ტყაოსნის დაბეჭდვამ დაბადა ცილობა კათალიკოსსა, (სასულიერო წოდებასა) და მეფეს (საერო წოდებას) შორის, რამაც ორად დაჰყო მაშინდელი საზოგადოება. ერთი ნაწილი, რომლის მოთავე იყო ასკეტურ შეხედულებათა და „წმინდა“ ცხოვრების მიმდევარი კათალიკოსი (დომენტი მე-III, ძმა ვახტანგ მე-VI-ისა), ამ წიგნსა სთვლიდა ჯოჯოხეთის კარად, განმხრწნელად ზნეობისა, თესლად უსჯულოებისა და თვით რუსთველს—მქადაგებლად და მოციქულად ეშმაკისა, რის გამო სდევნიდენ შოთას დაბეჭდილს წიგნს, ხევდენ, და სწვავდენ. მაგრამ მეორე, უმთავრესი ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც ეკუთვნოდა თვითონ მეფე, ღირსეულად აფასებდა რუსთველს... და იმ ნაწილებს მის ნაწერისას, რომელზედაც მოწინააღმდეგენი უთითებდენ, ალლეგორიულადა ხსნიდენ“ 2).

თვით ვახტანგისეულ ვეფხის ტყაოსანშიც ამ მხრივ ინტერესის შემცველი ცნობებია მოყვანილი. მაგალითად, მესტამზე მიქაელი თავისი ლექსით თითქოს ეკამათება ამ „მჩმახელებს“:

„აწ დაიბეჭდა სტანბაში, პირველ ნაწერი ხელისა,
უგბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულ-
თათმენისა, 3)
მეფის ვახტანგის ბრძანებით და სიბრძნით ხელთა ქმნელისა

1) მიმოხილვა წმინდათა... ადგილთა... ტიმოთესაგან. 1852. ტფილისი. გვ. 154.

2) თ. ჟორდანიას—ქართული სტამბები XVIII საუკუნეში და იოსებ სამებელი. („ივერია“ № II. 1884).

3) ხაზი ჩვენ გავუსვით.

და ნალვაწი მისის მლოცველის, მესტანბე
მიქაელისა.“¹⁾

„დაესრულა ესე წიგნი, ქრონიკონსა უნდა სმულსა
ყველაქასა უხაროდა რიტორსა და ხმა უსრულსა,
სამლთოა და საეროცა, ვისაცა აქვს სმენა გულსა
და უსწავლელსა სიბრძნის მისცემს, გონიერსა გულს უსრულსა.“

ვახტანგისეულ ვეფხის ტყაოსანს დართული აქვს აგრეთვე ვახტანგ მე-VI-ის „თარგმანება“: „მე ვსწერ.. გამგებელი ქართლისა ვახტანგ წიგნსა: ამას ამისათვის უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსკვალვითა სამეძაოდ თარგმნიდენ, მის რიტორსა და ბრძენ მეცნიერსა, კეთილ ნამუშავეებისა სამუშაოსა მსგავსად თვალთა, რომელთა ვერა სცნობენ მცნობელნი და ქიქასა ქვად პატიონად სახელს დებენ და მარგალიტთა მძივად პატივსცემენ... ხოლო რომელნი არიან მეცნიერ სცნობენ ესრეთ ვითარ განმმარტავს და რომ არს სიბრძნისა და კეთილისა ერთი და რიგი, და ამით ნამუშაუარი მისი სხვისაებრ უქმად არ დარჩება“.

„... აწ მე მისმინეთ, „ვეფხის ტყაოსანი“, მე ასე მითარგმნია... სხვის ნათქვამს როგორც სთარგმნით, ყველა ეკადრება, მაგრამ ამისი უკადრისის მკადრე თავს გამობს... აწ ასრე ვთარგმნე ვითა მას მოქმელსა ეთქვა... და თუცა ვინმე ამ თარგმანისას ამას ბრძანებს, არა ასრე არისო, მე უგბილობაში ჩამომირთმევი“²⁾.

„...თავად რუსთველის დროს ქალი ბატონობდა და ამგუარი მეძაობის სიტყვა მის წინ სირცხვილიცა იყო და უკადრისიცა და როგორ არ უწყენდა და მეორედ ორი კათალიკოზი, რამდონი საღმთო წმიდა და ღირსნი კაცი იყუნენ და ამათგან უდაბნო აშენებულ იყო... ისინი თუცა რუსთველს მოენდომებინა, როდის აქნევიანებდენ და ნათქვამს დაუხეველს როდის გაუშვებდენ“.

1) ქ. შ. წ-კ. გამავერცელებელი საზოგადოების ერთ ხელთნაწერ (№ 656) ვეფხის ტყაოსანში ეს ლექსი გადაწერელს ასე გადაუკეთებია:

„აწ დაიბეჭდა სტამბაში, ვითამ ნაწერი ხელისა,
ნაწერი ესე ლამაზი, მითამ სტამბისა მთელისა
ხელმწიფის ნიკოლოზის ბრძანებით და სიბრძნით კეთილ ქმნელისა
და ნალვაწი ქუთაისის სასულიერო მოწაფის მწერალ მიქიაშვილისა“.

იხილე აგრეთვე E. Такайшвили—Описание рукописей У. Р. Г. С. Г. II. ტ. II. გვ. 604.

2) კურსივი ყველგან ჩვენია.

„...თუ არა ახლა გაშინჯეთ, ბერი უფრო ცოტა არის... თუ ვინც სამეძაო წიგნი მოინდომოს დასაწერად, კიდევ არ დაუშალონ და კიდევ არ უწყინონ“—ო.

„...მაგრამ თუ უნდა ასეც არ იყოს და ისე იყოს თარგმანი ხომ ასე სჯობია და ამის იქით მკითხველთ იცით... მე უბრალო ვიყავ და კიდევ უფრო უბრალო ვარ... ქვეყნის უფროსი ავის დამშლელი ჰხამს და ამად დაეშვერ“¹⁾.

და შემდეგ თავის ვრცელ „თარგმანებში“ ვახტანგ მე-VI ცდილობს რუსთაველის თითოეულ აზრს საღეთო ხასიათი მისცეს, ხოლო მისი „საერო“ მნიშვნელობა, რაც შეიძლება, გააფერმკრთალოს.

1712 წლის 23 აპრილს ვახტანგ მე-VI²⁾ სპარსეთს იქნა გაწვეული... საქართველოს შინაური მდგომარეობა საკმაოდ აირია. საგამომცემლო საქმეც შეფერხდა, თუმცა სტამბა მთლად უქმად არც შემდეგ მდგარა.

ვახტანგ მეექვსის სპარსეთს გამგზავრების შემდეგ, 1713 წელს, დაიბეჭდა „კურთხევანი“: „აწ ახალი დაბეჭდილი ქართულს ენასა ზედა ჟამსა ამაღლებულისა საქართველოს მეფისა ვახტანგისა, ღვთივ განათლებულისა საქართველოს განმგებლისა ბატონისშვილის სვიმონისსა. გაიმართა წიგნი ესე ხელითა სამთავნელ ეპისკოპოზის კვიპრიანესითა³⁾ ხელითა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მესტამბის მიქელისათა⁴⁾. ქალაქსა ტფილისს. ქრისტეს აქეთ ჩლივ“ (1713).

მეორე გვერდზე: „ოდეს სუფევდა თვისსა სამეფოსა შინა ღმ—ისმ—ვარე მპყრობელი საქ—ისა მეფე ვახტანგ იგულსმოიდგინა და მოიყვანა ვლახეთით მესტანზე მიხაილ და გააკეთებინა სტანბა ფრიადითა წარსაგებლითა საფასეთათა. მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მათისანი“.

„რომელ აროდეს ყოფილიყო საქართველოსა შინა სტანბა და ხელით წერითა მწერალთანი საღეთონი წერილნი ჩვენნი გარყუნილიყვენ. მ—ს ე—ა ოდეს განაგებდა საქართველოსა... ბატონისშვილი

1) იხ. ვეფხისტყაოსანი 1712 წ. გამოცემის დამატება — „თარგმანება“ ვახტანგ მე-VI-სა.

2) ვახტანგ მე-VI-სა ლიტერატურულ და საგამომცემლო მოღვაწეობაზე იხილე პროფ. კ. კეკელიძე—ქართ. ლიტ. ისტ. ტ. I. გვ. 361, 362 363 და ტ. II. გვ. 422—432.

3) ნაცვლად ნიკოლოზ ორბელიანისა, რომელიც „რედაქტორობდა“ ვახტანგის დროინდელ გამოცემებს.

4) ნაცვლად მიხაილ სტეფანეს შვილი უნგრეოვლახელისა.

სვიმონ ამათ მიერ მებრძანა მე სამთავნელს კვიპრიანეს¹⁾ ბერძულთა წიგნთა ზ—ა ჩ—ნთა წიგნებთა შემოწმება, რომელი მცირედიცა ბერძულთა წიგნთა და ენისა სწავლულ ვიყავ იერუსალიმისა პატარაქს დოსითეოს (თან?)... თა—სკ—მცა სახსენებელი მათი. რაიც რა მედვა თვით ჩემით შევამოწმე და გასწორებასა ვეცადე სიტყვა თუ ასოთ მეტნაკლებობისა, და რომ არქიმანდრიტის პაპასერგიოზის კითხვითა და შემოწმებითა გავაკეთე იგინი რ—ნიცა უწინარეს წიგნი დაიბეჭდა. აწ კურთხევანი ესე რ—იცა ბერძულ კურთხევანსა შ—ა წერით იყო ს—დ უნაკლოდ გადაეწერე... გადმოვსწერდით ჩვენსა ენასაზედა პ—ლამთ წიგნთა და შემდგომსა ამას სხვანი წ—ნნი მმ—ნი საქართველოსანი ჩ—ნსა ენ—სა ზედა შესწორებასა გვეხმარებოდენ“.

„და დავბეჭდეთ ბრძანებითა და წარსაგებლითა ბატონიშვილის სვიმონისათა... უკეთუ ვინმე თქვას რაჲდ გვიხმნა ახალი გადმოთარგმნილი, რომელ პირვანდელთა მთარგმნელთა წიგნთა მამათაგან გექონდა გადმოთარგმნილი. ქეშმარიტად მ—თ წ—თა მ—თა ყოველთა ჩვენნი წიგნნი უნაკლოდ გადმოთარგმნეს... აწ მწერალთა მიერ განყრენილ იყო“.

„და მეფეთაცა შემოწმება გვიბრძანეს და აღვასრულეთ. ...აწ გ—ბით ყ—თა კეთილად მკითხველთა და გულისხმისმყოფთა, ვინც ამ წიგნებს იხილავთ ჩვენს შენდობას ბრძანებდეთ“.

როგორც ვხედავთ, 1713 წელს დაბეჭდილ „კურთხევანში უნგროვლახელი მესტამბეთ უკვე არ იხსენიება. შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგ მეექვსემ თავის სპარსეთში გამგზავრების წინ მას გაუსწორა ანგარიში „ფრიადითა წარსაგებლითა საფასეთათა“²⁾, რის შემდგომად მიხილი, რომელმაც ასე დიდი ღვაწლი დასდო ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეს, თავის სამშობლოში დაბრუნდა³⁾.

სიმართლეს არ შეეფერება „ცნობები“, თითქოს უნგროვლახელი სამშობლოში (ვლახეთში) არ გაბრუნებულყოფს,—აქ, საქართველოში, აზნაურობა მიეღოს და გარდაცვლილიყოს⁴⁾, რადგან ზემოხ-

1) კვიპრიანე სამთავნელის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ იხილეთ პროფ. კეკელიძე, *loc. cit.* ტ. I. გვ. 359—360.

2) კურთხევანი 1713. ტფ. გვ. დ.

3) ივ. მჭედლიშვილის ცნობით უნგროვლახელი სამშობლოში არ დაბრუნებულა, არამედ 1710 წელს იქ ვახტანგს დაუჯილდოებია აზნაურის ხარისხით, ხოლო შემდეგ საქართველოშივე გარდაცვლილა. იხ. ბეჭდვითი ხელოვნების ისტორიიდან 1925. ტფილისი. გვ. 35.

4) შედარე ივ. მჭედლიშვილი—ბეჭდვ. ხელოვნ. ისტორიიდან, გვ. 34—35.

სენებულ „კურთხევანში“ გარკვევითაა ნათქვამი, კვიპრიანე სამთავნელის მიერ: „ვახტანგ იგულსმოიდგინა და მოიყვანა ვლახეთით მესტანბე მიხაილ და გააკეთებინა სტანბა ფრიადითა წარსაგებლითა საფასეთათა, მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მათისანიო“¹⁾, ე. ი. მიხაილისა და თუ გნებავთ ვახტანგისაც. აქედან სჩანს, რომ მიხაილი მკვდარი არ ყოფილა, არამედ—ცოცხალი. ამავე დროს კი ის 1712 და 1713 წელს დაბეჭდილ წიგნში არ იხსენიება, როგორც სტამბის მუშაკი-მესტამბე. რამდენადაც დაუჯერებელია, რომ უნგროვლახელი ტფილისში ყოფილიყოს და სტამბის მუშაობაში მონაწილეობა არ მიეღოს, იმდენად ცხადია, რომ ის უკვე სათანადო გასამრჯელოთი დაჯილდოებული სამშობლოში იქნებოდა გამგზავრებული.

1713 წლიდან ვიდრე 1717 წლამდე, გვეგონია, ტფილისში წიგნები არ დაბეჭდილა, ყოველშემთხვევაში ამ ხანებში დაბეჭდილი წიგნი ჩვენ არა ვუწყით.

1717 წელს კი გამოიცა „ჟამნი, აწ მეორედ“²⁾ დაბეჭდილი ქართულ ენასაზედა, ჟამსა... მეფისა ვახტანგისა და ბატონიშვილის ბაქარისა. გაიმართა ხელითა მესტამბე გარსევან, ყოფილი მღვდლისა გაბრიელისათა“³⁾.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ 1712 წლის შემდეგ ტფილისში დაბეჭდილ-გამოცემული წიგნები ტეხნიკური შესრულების მხრივ თვალსაჩინოდ ჩამოუარდება ადრინდელ ნაბეჭდ წიგნებს.

1719 წელს დაიბეჭდა კათალიკოზ დომენტი მესამის⁴⁾ მიერ „განმარტება ეკლესიისა, კურთხევა ეკლესიისა და კურთხევა ოდიკისა“, რომელიც კათალიკოზის ბრძანებით ბერძნულიდან უთარგმნია კვიპრიანე სამთავნელს. ამ წიგნის ბეჭდვა დაუწყიათ 1719 წელს, დაუმთავრებიათ კი 13 იანვარს 1720 წლისა⁵⁾.

1721 წელს სპარსეთიდან უკვე დაბრუნებული ვახტანგ მე-VI ბექდავს მის მიერ სპარსეთში ყოფნისას სპარსულიდან ნათარგმნს „აიათს“, რომელიც უნდა ჩაითვალოს ტფილისში პირველნაბეჭდ მეცნიერულ წიგნათ, მაშინდელის გაგებით მაინც. „აიათი“ ასტრონო-

1) იხ. კურთხევანი. 1713. ტფ.

2) ჟამნი პირველად დაიბეჭდა 1710 წ. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

3) ჟამნი მეორედ დაბეჭდილი 1717 წ. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

4) დომენტი მესამის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები იხ. კარბელაშვილის, იერარქ. საქ. ეკლესიისა გვ. 131—139.


5) ძველი საქართველო ტ. III. გვ. 98, 291—292. 1913. ტფ.; პროფ. კეკელიძე, I. ც. ტ. I გვ. 359.

ტორე :

ქე :

ვი ღზაღს შუშადღებამე იქნება თრჱ ცქქეღს ზენაჳ
სა ღზანსეჳარსე ღ იშდროს ცის ქწინსუღება ამ სასაით

იქნება : ღ თუ რომ ცა
ასე იღგეს ზეცსრე ცის
სიარსუღითა სასწორისა
ღ ღრიანკუღლის რიცხვი
სწორად ამჳა ღ ვერძისა
ღ კურიასი სწორად ნა
ჳა ღ რაღ სასწორის რი
ცხვი შუშაღებუღლის



აღმსღვრღმ მწრებით იქნება სამსკრეთსე ასჯლო იქნ
ებამს : ღ რომელიც სასწორის უკანა რიცხჳა წინასა
გან უღჯრო ასჯლო იქნებმს : რაღ ვერძის რიცხვი უღს
აღებუღლის აღმსაღლი ღ მწრჳქნება ჩლილოღთსე ჳა
სჯლოებითა იქნება : ღ უკანა ვერძის რიცხვი წინასა
გან უღჯრო ასჯლო იქნება ჩლილოღსე : ღ ამჳა რიღით
ღრიანკუღლისა ღ კუროს რიცხვის სიწრე აღმსაღლი
თისა სამსრისაკენ : ღ სიწრე ღსაღლითისა ჩლილო
საკენ მოღმაღება : როღისაღ აღმოღსღლის რიღი
პირღღღის მმღღღღღღღსანსე ჳიღა : სიწრე აღმო

ღ

საღლი

მიუღი შინაარსის თხზულებაა. ის „დაიბეჭდა ეპისკოპოზ ნიკოლოზ ორბელიძის ხელითა,“ რომელიც, ალბად ვახტანგს ახლდა სპარსეთში 1).

წიგნის თავფურცელი ხუცურიცა; ტექსტი—მხადრული ხუცურივე საწყისი (მთავრული) ასოებით. შიგა და შიგ გამოტოვებულია თავისუფალი ადგილები ნახაზებისათვის, რომელიც შემდეგ წითელი და შავი ფერი მელნის საშუალებით ხელითაა შესრულებული,—ჩახაზული 2), რადგანაც მაშინდელ სტამბაში ის ტექნიკურად ძნელად მოსახერხებელი იყო.

„აიათისათვის“ დართულ თავის წინასიტყვაობაში ვახტანგ მე-VI ამბობს: „... და განმარტეს ფილოსოფთა მრავალი მეცნიერებანი და მათნი სწავლანი და ესეცა ვარსკულავთ რიცხვა ერთი მათგანივე არს. საქართველო მრავალგზის მტერთაგან მოხრებულ იყო და არღარა დაშთომილ იყო ქართულს ენასა ზედა სწავლა ესე ფილოსოფთა... და სხვა ერისა კაცნი ქართველთა ჰკიცხოდენ... აწ მე მეფემან მეფეთამან ვახტანგ ეს სპარსული აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი ზიჯი თალა მასალა და სხვა ოქმების წიგნები ვთარგმნე, მი რ ზ ა ა ბ დ უ რ ი ზ ა თავრიზელის წიგნის კითხვითა და თანაშეწევნითა და სტროლაბიც ქართულად გამოვიღე“.

„...ნუ უკუე ისწავლონ და წადიერ იყვნენ ფილოსოფობისად და ინებონ და შეასრულონ ქართულისა ენითა ფილოსოფობა და გამოილონ და ჩემთვისაც შენდობის მოქენე ვარ, რამეთუ საქმეთაგან საცნაურ არს ვითარმედ მრავალნი ქირნი მინახვენ ამა წიგნთა ზედა და არცა თუ მეფობისა მსახურებაჲ დამიკლიეს“ 3).

1) ამ „აიათში“ ვახტანგი ასეა მოხსენებული: „ჟამსა ამაღლებულისა საქართველოს მეფედ მეფის ს-დ ერანის სპასალარისა უ-ა უ-ა მისსივე ვახტანგისსა იესეან დავითიან სოლომონიან პანკრატოვანისსა“ (იხ. თავფურცელი).

2) საერთოდ ძველადვე, როდესაც წიგნებს ხელითა სწერდენ, ჯერ ტექსტს სწერდენ და შიგ დასახტავ ფურცლებს დაუწერელს სტოვებდენ. მაგ., 1671 წ. გადაწერილ ვეფხის ტყაოსანში გადამწერელს მიუწერია: „ბრძანებით შემოქმედისა, რა ხელ ვყავ ესე წერითა, ხელნი გამიშრო კალამმან თვალნი გაშტერდეს მხერთა, აწ გაგინდების, მხატვარო, შემკობა შესაფერთა“-ო. პროფ. ივ. ჯავახიშვილი—პალეოგრაფია და აგრეთვე ს. კაკაბაძის გამოც. ვეფხის ტყაოსანი გვ. 14.

3) როგორც ზემოდ (ტექსტში) აღვნიშნეთ, ეს წიგნი მეცნიერული დანიშნულებისაა. ის ორ მთავარ ნაწილად დაყოფილი: ა) „ვასრკულავთმრიცხველობა“ და ბ) „იყლიმების ზოგიერთი ადგილების მოთხრობა“. პირველ ნაწილში ავტორი ასწავლის გეომეტრიულ სიდიდეებსა და ცის სხეულებზე; მაგ., „თუ ორი ხაზი ასე იყოს, რომ ჯვარის სახედ გავლებული იყოს, ოთხი კუთხე რომ ძირს გაჩნდება, მეტნაკლები არ იყოს, ასე გასწიო ზოგიერი კუთხე ჰქვიან და იმ ორ ხაზს ერთბა-

აღნიშნულ წიგნში ბლომდაა გაბნეული სათანადო დარგის სპეციალისტთათვის გამოსადეგი ტერმინოლოგია. როგორც აღენიშნეთ, წიგნი თუმცა მეცნიერული დანიშნულებისაა, მაგრამ იქ ბევრია ლეგენდარული გადმოცემები მეცნიერულის პრეტენზიებით გასაღებული. წიგნს ბოლოს დართული აქვს ლექსი მესტამბეთა ცხოვრებიდან ¹⁾.

რამდენადაც ვიცით, ეს წიგნი უკანასკნელია, რითაც დაავიკრებინა ვახტანგ მეექვსემ თავისი სამწერლო მოღვაწეობა, რომლითაც მან უკვდავ ჰყო თავისი სახელი. პირდაპირ განცვიფრებას იწვევს მისი ეგოდენ მოღვაწეობა და ყოველმხრივი განათლება, რომელიც მას ფრიად არა ხელსაყრელ პირობებში მიუღია ²⁾.

ვახტანგ მე-VI 1724 წელს რუსეთს გადასახლდა. მან თან წაიღო მრავალი, როგორც ხელთნაწერი ისე დაბეჭდილი წიგნები და ხან პეტერბურგსა და ხან მოსკოვს ცხოვრობდა, სანამ ქართლში კვლავ გამფეების იმედგაცრუებული არ მიიცვალა აშტარხანს 1737 წლის 26 მარტს ³⁾.

ნეთის ბოძთადარი (პერაპენდიკულიარული პ. გ.) ჰქვიან“ (გვ. ხ.). ანუ კიდევ: „ყოველს ცდომილების მოარულს რამთონიც ცები აქვთ, ყველასი სიარული ქვეყნის ცქიტის გარშემოვლებული არ არის. მაშ ამ გზით მოარულების სადაობის სიარული სხუა და სხუა რიგად არის. მითამ ამ რიგად მზეს ორი ცა აქუს“ (გვ. ლგ.). „აფროდიტეს კენტორი ცხაას საპოცდა ხუთი ეჯია. იმისი გუამი მესამედი და ცხრისაგან ერთია. ერძის კენტორი ას ცხრა ეჯია და იმისი გვაში მიწის გვამის თორმეტი ათას შვიდას საპოცდა ცხრა წილიდამ ერთი წილია და სულ უფროსი დამტკიცებული ვარსკვლავი რომ გაუზომიათ ორას ოცდა ორი მიწის ტოლია (გვ. რკე).

შემდეგ დართული აქვს „იყლიმების ზოგიერთი ადგილის მოთხრობა“; მაგალითად: „თოყაჯ თურქესტნის ალაგებისაგან არის, იტყვიან იმ ალაგის ხასიათი ასეთი არის: რამდენჯერაც კაცი და ქალი მიდგომილებას იქმონენ, ქალი ისევ განუზრწნელი იქნება“. ანუ კიდევ: „ტფილისის ადგილი, არის დიად კაის ადგილისა და მშვენიერების საბერძნეთის სამძღვარშია, იმისი საძირკველი ნაეშირვან ადგილს დაუდებია. იმ ადგილში ქრისტიანი და თათარი ორივე სახლობს, ასე რომ ერთის მხრით ზარს რომ უკრავენ მეორეს მხრით ზარის რკა ისმის“... და ყოველი ასეთი მოთხრობის დამთავრების შემდეგ თითქოს თავისი თქმულის ჰეშმარტებაში დაეკეებული ავტორი თუ მთარგმნელი დასძენს „ღმერთმან უკეთ იცისო“. იხ. „აიათი“ 1721 წ. ტფილისი. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში, აგრეთვე საქ. სახელმწიფო არქივის ბიბლიოთეკაში.

1) „მენავე ლელვა გვემული, განეროს ზღვისა წყრომასა, კალატონი და ხურონი, რა მორჩენ თვისსა შრომასა, მათს სიხარულსა ვინ დასთელის, ანუ შვებისა ზომასა, და მესტანბე მათგან უალრესს იქს სიხარულის ნდომასა“. იხ. „აიათის“ უკანასკნელი რმც. გვერდი.

2) პროფ. კ. კეკელიძე, I. ს. ტ. II. გვ. 422.

3) И. Савинский—Грузинь: в астраханской епархии и отношении к ним местных архипастырей в 18 веке. (Духовный вестник грузинского экзархата. 1898. №№ 12, 16, 18, და 20.)

ვახტანგის გადასახლების შემდეგ მტერთაგან აოხრებული სტამბა კარგა ხნით იყო გაუქმებული. რამდენადაც გამოორკევეა შევძელით, ტფილისში სტამბის მუშაობა უნდა განახლებულიყოს 1751 წელს 1) ან ერთი წლით ადრე 2).

1) ბ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს ცნობით, „თეიმურაზის მეფობაში განახლებულ იქნა სტამბა და 1747 წელს უკვე დაიბეჭდა „ლოცვანი“, სტამბა მუშაობდა მხოლოდ 1755 წლამდე. აღნიშნული „ლოცვანი“ ჩვენ ვერსად ვიპოვეთ, არც ავტორს „იერარქია საქ. ეკლესიისას“ აქვს დასახელებული, თუ სად ინახება (გვ. 152). შეიძლება მისი დაბეჭდვის წელი კარბელაშვილს არ ჰქონდეს სისწოროთ ნაჩვენები.

2) ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ე ქ ე ს ი ს მიერ ტფილისში პირველად დაარსებულ სტამბაში ვახტანგისავე რუსეთს გადასახლებამდე დაბეჭდილი წიგნები:

- 1) „სახარება“ 1709 წ. ხუცური.
- 2) „სამოციქულო“ 1709 წ. „
- 3) „დავითნი“ ? „
- 4) „კონდაკი“ 1710 წ. „
- 5) „ლოცვანი“ 1710 წ. „
- 6) „ჟამნი“ 1710 წ. „
- 7) „ფსალმუნა“ 1711 წ. მხედრული.
- 8) „სწავლათუვითარ მართებს მოძღვარს სწავლება მოწაფესა“ 1711 წ. მხედრული.
- 9) „დავითნი“ 1712 წ. ხუცური.
- 10) „ვეფხისტყაოსანი“ 1712 წ. მხედრული.
- 11) „კურთხევანი“ 1713 წ. ხუცური.
- 12) „ჟამნი“ მეორედ დაბეჭდილი 1717 წ. ხუცური.
- 13) „ლოცვანი“ მეორედ დაბეჭდ. 1717 წ. ხუცური.
- 14) „კურთხევეა ეკლესიისა და კურთხევეა ოდიკისა“ 1/20 წ. 13 იანვ. დამთავრდა ბეჭდვა. ხუცური.

15) „პარაკლიტონი“ 1720 წ. ხუცური.

16) „აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი“, 1721წ. მხედრული და სხვა. ეს ის წიგნებია, რომელთაც ორი საუკუნის მანძილზე საქართველოს თავზე გადასულ უბედურებას გაუძლეს და ჩვენამდე მოაღწიეს. მათი დიდი უმრავლესობა ინახება ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნთსაცავში, ხოლო დანარჩენი — ცენტრაქივში, რესპუბლიკის საჯარო ბიბლიოთეკაში, საისტ. საეთნოგრ. მუზეუმში და სხვა. სასურველი იქნებოდა ამ წიგნების ერთ ადგილას თავმოყრა. ისინი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობასთან ერთად იშვიათ ძეგლებსაც წარმოადგენენ ქართული კულტურის ისტორიისათვის და მზრუნველის ყურადღებას მოითხოვენ; ბევრი მათგანი საკურობებს აღდგენას, ამოღლეჯილი ფურცლების ჩამატებას, ხელახლა აკინძვას, რადგან დროთა ვითარებაში ძლიერ დაზიანებულან.

ჩვენ მიერ ამ სიაში, ცხადია, არ იქნება დასახელებული აღებულ პერიოდში დაბეჭდილი ყველა წიგნი, ბევრი მათგანი ჩვენამდე ვერ მოაღწევდა და კიდევ ბევრი ძალაუნებურად ჩვენი საკუთარი ყურადღების გარეშე დარჩებოდა, რადგან პირველ-ნაბეჭდი ქართული წიგნები ჯერ კიდევ არ არის კონცენტრაციაქმილი სათანადო ადგილას და შესწავლილ-აღწერილი; უკანასკნელი ამოცანა სათანადო სახელმწიფო ორგანიზაციაში ან კიდევ საეციალურმა კომისიამ უნდა შეასრულოს.

თავი მეოთხე

ერეკლე მე-II-ის და ქართული წიგნის საქმე

ვანტანგისეული სტამბის განახლება.—მეფე თეიმურაზისა და ერეკლე მე-II-ის მიერ განახლებულ სტამბაში 1751 წელს დაბეჭდილი წიგნი.—ერეკლე მე-II-ის მიერ სტამბის მეორედ განახლება 1762/1763 წლებში.—ერეკლეს დროის სტამბის ორგანიზაცია და გამოსაცემი წიგნების შესწორება.—ერეკლე მეორის მიერ ახალი სტამბის გაკეთება 1781/1782 წლებში და კოსტანტინეპოლელი მესტამბე ტფილისში.—ქრისტეფორე კეჟერაშვილის საგამომცემლო მოღვაწეობა.—ქართული წიგნის ტირაჟი მე-XVIII საუკუნის 80—90-იან წლებში.—სტამბის დაწვა ალა მაჭაბდზანის მიერ 1795 წ.—1800 წლისათვის სტამბის კვლავ განახლება ტფილისში.

ერეკლე მეორე და ქართული წიგნის საქმე

ვახტანგ მე-VI-ის რუსეთს გადასახლების შემდეგ მტერთაგან აოხრებული სტამბა კარგა ხნით იყო გაუქმებული. რამდენადაც ჯერ-ჯერობით სინამდვილის აღდგენა შეესძელით, ვახტანგისეული სტამბის მუშაობა ტფილისში განახლებული იქნა 1751 წელს.

„სამლო მსახურებაში“, რომელიც სახელდობრ 1751 წელს დაიბეჭდა, ვკითხულობთ: „ბრძანებითა ქართლის მეფის თეიმურაზისათა და ძისა მათისა კახთ მეფისა ირაკლისათა, კურთხევითა სრულიად საქართველოს პატრიარქისა ანტონისათა, დაიბეჭდა წიგნი ესე „სამლო მსახურება“, საფასეთა წარსაგებელითა ბეჭდისა ამის მთავლის ირაკლი მეფისა, სამეფოსა ქალაქსა ტფილისსა, პალატსა შინა საპატრიარქოსა 1) ჩინა (1751) წელსა თვესა სექტემბერსა: ი (10)“ 2).

შემდეგ კი 1764 წელს დაბეჭდილ „კურთხევანში“ ვკითხულობთ: „დროსა უბრწყინვალესისა, კეთილმსახურისა, უმპყრობელესისა ირაკლი მეფისა, ყოვლისა საქართველოსისა... კურთხევითა უნეტარესისა და უწმინდესისა ანტონი პატრიარქისა ყ-ისა საქართველოსისა... დაიბეჭდა წიგნი ესე „კურთხევანი“ სამეფოსა ქალაქსა ტფილისს ეზოსა სამეფოსა წელსა ჩლად (1764) თვესა აპრილსა: კპ: (29)“ 3).

ამ „კურთხევანს“ დართული აქვს აკროსტიხი ანტონისა, რომლის კიდურწერილობაა: „ირაკლი მეფე საქართველოსისა“ და რომლის ბოლოს ანტონი ირაკლიზე ამბობს „ორგზის მთავლი წიგნთა საბეჭდავისა“-ო 4).

ამავე წიგნის ბოლოს მოთავსებულია მიმართვა „მკითხველთა წიგნისა ამისა“-დმი: „ოდეს მეფობდა საქართველოსა შინა კეთილ-

1) Проф. А. Цагарели, Сведения о пям. груз. письм. გვ. 95—96.

2) ამ „სამლო მსახურებას“ არშიაზე აქვს მინაწერი ისიდორე შიტროპოლიტისა, რომ მან შესწირა ეს წიგნი ათონის ივერიის მონასტერს.

3) კურთხევანი 1764 წ. ინახება ტ. ს. უ. წიგნს: ცავში, კოლექცია--LB—81.

4) ibid.

მორწმუნე მეფე ვახტანგ, დროსა მისს გამართულიყო წიგნი ესე რომელ არს კურთხევანი ყ-დ სამღვდელთა ეპისკოპოზისა ზ—ა, ვითა დედანი ამის კურთხევისა მოუთხოვდა და დაბეჭდილ იყოცა“¹⁾.

„და აწი დროსა ამას ბრძანებითა მისისა მის კეთილმსახურებისა მეფის ჩვენის ირაკლისათა განახლდა რა და წარმოდგა ბეჭდუსტამბისა ამის და დაიბეჭდა პირველად „ფსალმუნთა“, მეორედ „კონდაკი“, მესამედ კიდევ „ფსალმუნთა“ და ეგრეთვე მცირედნი წიგნნი რ—ლნიმე სახმარად ეკლესიისა ჩ—ნ ქართველთასა“.

„შ-დ უბრძანა ბეჭდვად კურთხევანისა და ვიწყევითა რა ვითა დედანსა ეწერა და ორი და სამი ფურცელი დაიბეჭდა. იხილა უწმინდესობამან სანატრელისა მამათ მთავრისა ჩვენისა ანტონისამან, რომელ გარეგან ღრამატიკისა კანონთა და წესით იყო ნაბეჭდი ჩვენი და დედანიცა, რომელს ზედა ვჰსწორდით და მოახსენა ძმასა თვისსა და მეფესა ირაკლის და ამისთვის ებრძანა მისის მეფობისა უმაღლესობისაგან და მისის უწმინდესობისაგან, მათის უწმინდესობის გლახაკს ბერის ილუმნის მხატურის ძეს მიხაილს და გაიმართა მისგან კანონსა ზედა ღრამატიკისასა და დაბეჭდილ იქმნა რაოდენ ახალ მესტანბეთაგან შეიძლებოდა და ეგრეთვე პრობისა“²⁾ მართველიცა იგივე იყო.“

„მესტანბეთა უხუცესობითა სიონის დეკანოზისა ნიკოლოზისა და უღირსის ხუცის მხატურის იოანესითა“.

„ზედამხედველობითა მდივნის ედიშერ თუმანის შვილისათა და მისთანა სტამბისა სახმართა ზედა გარჯითა მარკოზის ძის ზაქარიასითა. გვედრებით მხილველთა ყოველთა, თუ შეცდომა რამე იხილოთ შენდობა ჰყავით და ნუ გუწყევლით, არამედ ლოცვითა მოგვიხსენიეთ“—ო.

ამ ამონაწერებიდან შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: 1750/51 წ. ერეკლე მე-II-ს პირველად განუახლებია გაუქმებული ვახტანგისეული სტამბა, რომელიც ყოფილა „საპატრიარქო პალატსა შინა“³⁾, ხოლო 1762/63 წელს (მეორედ განახლებულ სტამბაში 1764 წელს დაბეჭდილი კურთხევანისა და „მცირედთა წიგნთა“ დაბეჭდვას ორი წელიწადი მაინც მოუწოდებოდა) ერეკლეს მიერ სტამბა მეორედ განახლებულა. ამას, გარდა ანტონის სიტყვებისა ერეკლეს შესახებ—

1) ხსენებული კურთხევანი პირველად დაიბეჭდა 1713 წელს სვიმონ ბატონის შვილის საფასეთა წარსაგებელით (იხ. ზემოდ).

2) პრობის მართვე-დაბეჭდილის გასწორება; პრობის მართველი-კორექტორი იხ. დავით ჩუბანაშვილის ხელახლად შემუშ. „ქართ. რუს. ლექსიკონი“ 1887 სპბ. გვ. 1023

3) სამლოთ მსახურება 1751 წ. ტფ.

„ორგზის მახლი წიგნთა საბეჭდადისა“¹⁾, ადასტურებს 1767 წელს დაბეჭდილი წიგნიც, სადაც ვკითხულობთ: „სამებაო წმინდაო აღიდე ბეჭდისა ამის მეორედ განმახლებელი ირაკლი“²⁾, და კიდევ ის გარემოება, რომ 1764 წელს დაბეჭდილ „კურთხევანში“ ნათქვამია, „წარმოდგა ბეჭდუა სტამბისა ამის და დაიბეჭდა პირველად „ფსალმუნნიო“³⁾. ჩვენ ვიცით აგრეთვე (იხ. ზემოდ), რომ ერეკლეს მიერ განახლებულ სტამბაში 1751 წელს დაიბეჭდა „სამლოთ მსახურება“, რომელიც ამ განახლებულ სტამბაში დაბეჭდილად არ იხსენიება; დასასრულ ის ფაქტიც, რომ სტამბა 1764 წელს უკვე „ზოსა სამეფოსა“⁴⁾ იხსენიება, მაშინ როდესაც 1751 წელს ის იყო „პალატსა შინა საპატრიარქოსა“,⁵⁾ კიდევ ზედმეტად ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას.

როგორც სჩანს, ერეკლე მე-II-ს დროს ისევე განახლდა და გაცხოველდა საგამომცემლო მუშაობა. შეუდგნენ საეკლესიო წიგნების „გასწორებასა“ და „შესწორებას“ და „ღრამატიკის კანონთა ზედა გამართვას“.

ანტონ კათალიკოსი ცდილობს მოამარაგოს ეკლესიები ამგვარად შესწორებული და გამართული წიგნებით⁶⁾. თავის დარიგებაში „ეპისკოპოსთა მიმართ“ ის, ჩამოთვლის რა საქირო და სავალდებულო წიგნებს, უბრძანებს, რომ ისინი, წიგნები, სუფთად და გასწორებულად იყონ მოვლილ-შენახულნი⁷⁾.

აქვე მეორე ადგილას ანტონი ამბობს, რომ „ეკლესიის ხატთათვის ნებითა ღვთისათა მხატვრები არიან და წიგნთათვის სტანბა არის და სხვა სახმარიც ხომ ყოველივე იშოვება ამავე ჩვენს საბრძანებელში“⁸⁾.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ერეკლე მე-II დროიდან იქმნება საგამომცემლო და სტამბის მუშაკთა მთელი იერარქია. წიგნები იბეჭდება „ბრძანებითა მეფისა და კურთხევითა კათალიკოზისა“⁹⁾;

1) კურთხევანი 1764. გვ. მესამე.

2) ეპისკოპოსთა მიმართ 1767. ტფ. იხ. აგრეთვე პ. კარბელაშვილი I. c. გვ. 179, 184.

3) კურთხევანი 1764. ტფ. იხ. აგრეთვე პ. კარბელაშვილი I. c. გვ. 180.

4) ეპისკოპოსთა მიმართ 1767 ტფ. იხ. აგრეთვე პ. კარბელაშვილი I. c. გვ. 179.

5) სამლოთ მსახურება. 1751. ტფ.

6) ეპისკოპოსთა მიმართ 1767 წ. აგრეთვე პ. კარბელაშვილი I. c. გვ. 180.

7) *ibid.*

8) *ibid.*; კარბელაშვილი, *loc. cit.*, გვ. 180.

9) კურთხევანი 1764.; სამლოთ მსახურება 1751; იგივე 1784 წლის გამოცემა და სხვ.

შემდეგ ბეკდვის საქმე გადადის „პრობის მართველის“ 1), „მესტამბეთ უხუცესის“ 2), „ბეკდვის ზედამდგომელის“ 3) და „სტამბის სახმართა ზედა გამრჯელის“ 4) ხელში. მოხსენებულნი არიან აგრეთვე წიგნის სარედაქციო დარგის მუშაენი, მთარგმნელები, ლრამატიკულ კანონზე შემსწორებლები და სხვ.

ვახტანგისეული სასტამბო იარაღები და მოწყობილობა ერეკლემ მე-II-ს მიერ ორჯერაც განახლებულ იქნა, მაგრამ „რადგანაც ქალაქი ესე (ტფილისი) რყევასა შიგან ყოფილი შერევისაგან მტერთასა, რომელთაცა მიზეზითა საქმის ამის (სტამბის) მოქმედება დაყენებულ იყო მრავალჯამ, ამისთვის ნივთნი და შესამკობელნი სახმარნი მოძღუარისა მის (უნგროვლახელის) შეცუალებულ იყვნენ და გახრწნასა მიწვევულ“ 5). სჩანს ძველი სასტამბო იარაღები ისე გაცვეთილა, რომ მათი შემდეგი გამოყენება შეუძლებელი ყოფილა, ამიტომ ერეკლემ მე-II-რეს ჰქონია „სურვილი ფრიადი“ ახალი სტამბის გაკეთებისა, რისთვისაც იგი იძიებდა, თუ საიდან შეიძლებოდა ამის მიღება.

ერეკლემ მე-II-სათვის ვინმე „ბერძენთა ნათესავს“ მელიტონს მოუხსენებია, რომ „საძიებელი ვეგ შენი ვერა სადა იპოო, უკეთუ არა დიდსა პოლისსა შინა“ 6).

ერეკლემ „მყის მოსწრაფებით და ანაზღიჩქითობით წარგზავნა მოხსენებულები იგი კაცი... მელიტონ მიმართ პოლისისა“ 7). (კონსტანტინეპოლში). მელიტონმა აქ მონახა სტამბის ხელოსნები, რომლებმაც შემდეგ, ერეკლეს საფასეთა წარსაგებლით, გააკეთეს ახალი სტამბა ტფილისში 1881/2 წ.წ.

აი, როგორ მოგვითხრობს თვით კონსტანტინეპოლელი ხელოსანი თავის წამოსვლის ამბავს: რა რომ ანტონიოსმა ვერვინ იშოვნა წამოსაყვანად, ის „შემდგომად მოვიდა ჩემდა... და მრავალ გზის სიტყვასა ყოფდენ ჩემთანა მოთხრობით დიდ მადლოვანისა ხელმწიფებისა და კეთილ მსახურებისა შენისათვის (ერეკლემ II), შემდგომად ნიჭთა დიდ-დიდთა ქათებითა ჩემდა მომართ და აღთქმისა პირობითითა, მაიძულეს წამოსვლად. ხოლო მე თუცა პირველად არა თავს

1) *ibidem*.

2) *ibidem*.

3) *ibidem*.

4) კურთხევანი 1764; სამღთო მსახურება 1784 წ. ტფილისი.

5) А. Цагарели, Сведения о пам. груз. письм. т. I. გვ. XLII.

6) *ibid*.

7) *ibid* გვ. XLII.

ვიდევ, რამეთუ დატევებაჲ მშობელთა, სახლისა და სახლეულთა და უფროჲსა ბეკდისა ჩუენისა და წიგნთ საფარდოისა ადგილისა და საქმისა ჩემისა დაყენებაჲ—მძიმედ შემერაცხა, გარნა ლონისძიება ყვეს და მოიძიეს შუამდგომლად ნათესავეისა ჩუენისა ჰაიოსიანთა პატრიარხი ყოვლად ღირსი ზაქარია, რომლისაცა ბრძანებითა და იძულებისა თვისცა ყ-დ ღირსისა არხიმ. ანტონიოსისა და ბერძნისა მელიტონისა, ვითარმე თავს ვიდევ წარმოსვლად, მსახურებისათვის დიდ-ძლიერისა შენისა, რომლისცა—თვისა ჰრთმეულ ვიყავ ქარტაჲ რამემე, დაბეკდილი სომხურითა ასოჲთა, რომლისა შორის ზედა წარწერილ ვყავ სახელი უმაღლესობისა თქვენისა ასოჲთა ქართულითა. რომლითაცა მოვახსენენ დიდებულებასა მეფობისა შენისასა თქმულნი ბრძანებანი ყ-დ ბრძენისა პირისა თქვენისანი და ვითარ სახე იყუნენ აღთქმანი მისნი და თავსდებანი ჩემ მიერ...

„...და ქარტა იგი მოსრულ და მიწვენულ იყო... და უმაღლესობაჲ მეფობისა თქუენისა ზედ-მიწვენულ ქმნილ იყო წერილისა ჩემისა და პასუხი მისი უკუმოგექციათ მელიტონ ბერძნისა მიმართ და არა ჩემდა...“

„გარნა ვიხილე მე სამეუფო იგი რაორტაგი ¹⁾ თქვენი, ხელთა შინა მელიტონისათა, რომელიცა იყო აღსავსე მოწყალებითა და წყალობითა მრავლითა და აღმოკითხვით ესცან უბრწყინვალესი ტრფიალებაჲ და სურვილი და წადიერებაჲ გულისა შენისა, რომელი გაქუნდა კერძოთა მიმართ ხელოვნებასა ამისა...“

„...ამად ვისწრაფე გულისთქმათა ჩემთა ხილვად დ-დბასა მეფობისა თქვენისა და შორად დაუტევენ მშობელნი სახლნი და სახლეულნი და უფრო ისრე საბეკდაენი ჩემნი და... მოვიწიე ღ-სა მიერ დაცულსა ქალაქსა შენსა და განვიშუე ყ-დ სასურველისა და ს-დ სატრფიალოითა ხილვითა თქუენისა; შ-დ ხელ ვყავ საქმესა ამას ქირდებულებითა და მოვიწიე ამად ჟამამდე, რომელიცა შეკრებების ათ სამეტ თთუედ. და მრავალ სახედ დაყოვნება გუეცა ორღანოებითა თქუენისა ეკკლესიისთაგანთა, რომელთა სასოების-წარკუეითილება ექმნათ წინაშე დიდებულებისა თქუენისა და მეცნირების მოძულეთა ერისთაგანთა...“

„...გარნა ძალითა ღ-ისათა და თქუენითა სარკეებო-ბრწყინვალეობითა ლოცვითა მათებრთა პირნი შავცხებულ-იყვენენ და მე მოვიწიე ჟამსა ამას და დავბეკდე ესოდენი ქარტისაჲ პირი, ვითარ გემოს-

¹⁾ რაორტაგი—მეფეთაგან ბრძანება შეუცვალეებელსა წერილსა ეწოდებოდა. ს. ს. ორბელიანი—ლექსიკონი 1928 წ. გამოცემა, გვ. 434.

ხილუად ახლისა ბეკდისა და ვესავ რამეთუ დღითი-დღე განკეთილოვნდების...

„...რამეთუ ძალყოფისა ჩემისა ესე არს, რომელიცა ვყავ, უკეთუ სათნოდ შეირაცხების კეთილისა ნებისა მიმართ თქუენისა—გეგ უფლისანი არიან ნიჭნი და უკეთუ უსათნოდ ესე ვყავ ჩუენდა დადებულ ბრალად უძლურებისათვის ჩემისა და შემინდუეთა.

„...აწ უკუე მე თანამდებობისამებრ ჩემისა ვილუაწუ და თქუენი თქუენისა მიმართ ნებისა იყვან... ტირაცუ პოლოს ოჰანისიან ჰაიოსიან კონსტანტინეპოლელი... დაიბეკდა ქალაქსა ტფილისს, პალატსა სამეფოსა ქ-ს აქეთ: ჩაპბ: (1782)“¹⁾.

როგორც სჩანს, მელიტონის მიერ ერეკლე მე-II-სგან მიღებული რაორტაგის მეოხებით, რომელიც იყო „აღსასვე მოწყალებითა და წყალობითა მრავლითა“, მოყვანილმა ხელოსანმა 13 თვის განმავლობაში ააშენა ტფილისში ახალი სტამბა, თუმცა ამ ხნის განმავლობაში „სასოწარკვეთილება ექმნათ სასულიერო და მეცნიერების მოძულეთა საერო პირებსაც“, მაგრამ ერეკლე მეორის შიშით მათ ვერა რა გაუბედნიათ.

თავის მიერ გაკეთებულ სტამბაში კოსტანტინეპოლელ ხელოსანს დაუბეკდია „ქარტისაჲ პირი“ და „შესხმა ახლისა წიგნთსაბეკდავისა“, „ვითარ გემოს ხილვად ახლისა ბეკდისა“, სადაც გამოსთქვამს იმედს, რომ „სტამბა შემდეგისათვის უფრო და უფრო განკეთილოვნდებისო“²⁾.

თუმცა „ქარტის პირიდან“ ვიგებთ, რომ კოსტანტინეპოლელი მესტამბე განსაზღვრული წინასწარი გარიგების საფუძველზე ჩამოვი-

1) ზემოდ მოყვანილი ამონაწერი მოგვყავს პროფ. ა. ც ა გ ა რ ე ლ ი ს ც ი რ ლ ო ნ ა მ. გ რ უ ჯ. ნ ი ხ ი მ. I ტომიდან გვ. XLII. პროფ. ცაგარელს კი თავის მხრივ ეს მოყვანილი აქვს დედანიდან, — „ქარტიდან“, რომელიც კოსტანტინეპოლელ ხელოსანს დაუბეკდია ტფილისში, სტამბის სრულქმნის შემდეგ 1782 წელს, ცალკე-ბროშურად და რომლის ეკზემპლიარი ჩვენ ჯერ-ჯერობით ვერსად ვიშოვნეთ. იქიდანავე ამონაწეოები მოყვანილი აქვს აგრეთვე, თუმცა შეფერადებული ვარიაციით, ზ. კ ი ჯ ნ ა ძ ე ს ა ც თავისი „ქართული სტამბებ“-ის გვ. 64—69.-ში.

2) ერეკლეს მიერ კოსტანტინეპოლიდან ხელოსანის მოყვანის და სტამბის განახლების შესახებ ს. სულხან ორბელიანს, ლეკსიკონის დავით ბეჭეტიორის ეულ რედაქციაში, უკანასკნელს ასო ფ-ს განმარტებასთან აქვს წათქვაში: „იმ ჟამებში სანატრელმან ირაკლი მეორემან, სრულიად საქაზრველოსმან მეფემან... შრომა და საფასეთა წარგებითა ტფილისს, სამეფო ტახტსა თვისსა სტამბა წიგნთა გააკეთებინა და კოსტანტინეპოლიდან მოყვანილი ხელოვანი კაცი ვინმე განსწავლული სტამბისა“. (იხილე საგლეხრო მუხეშუმის ხელთაწ. ფონდი № 288. აგრეთვე ს. ო. ბელიანის „ლექსიკონი“, „ქართული წიგნის“ გამოცემა 1928 წ. გვერდი 475).

და ტფილისში, მაგრამ იქიდან არ სჩანს, თუ სახელდობრ რამდენი დაუჯდა ერეკლე მე-II-ს სტამბის გაკეთება. ერთი ამ საქმის თანამედროვე სახელმწიფო მოხელის გადმოცემის თანახმად კი, სტამბის აშენება-მოწყობა მეფეს დაახლოებით 20 ათასი მანეთი დასჯდომია¹⁾. კონსტანტინეპოლელ მესტამბეს თან ჩამოუტანია ზოგი სასტამბო იარაღები, ხოლო დანარჩენი ტფილისშივე სამეფო სახელოსნოებში დაუმზადებიათ. ახალი სტამბისათვის მოუხმარებიათ აგრეთვე ვახტანგი-სეული თეგის ვარგისიანი მოწყობილებანი²⁾.

სტამბის განახლების შემდეგ წიგნების ბეჭდვა მეტის ინტენსივობით გაგრძელებულ იქნა. 1783 წ. აგვისტოს 13-ს დაიბეჭდა „სამლთო მსახურება“,³⁾ რომელიც შემოწმებულ იქნა, „რუსულსა სამლთოსა მსახურებასა ზედა ილუმინის ტრიფილესაგან⁴⁾, ღრამატიკის კანონთა ზედა განმარტებითა და პრობის მართვითა... ხუცის ოსესის დისიოანესითა⁵⁾. ზედა მდგომელობითა ტუხისსეილის კნიაზ მოლარეთ უხუცესის შიოშისათა...⁶⁾ დაზგის მართველობითა... კარის მღვდლის აბრაჰამ ურია ყოფილისათა—და მეორეს დაზგის მართველობითა... დავით უღირისისათა“⁷⁾. ეს წიგნი დაიბეჭდა სამეფო-სახაზინო საფასეთა წარსაგებლით⁸⁾.

ამავე ხანებში იწყება საგამომცემლო ასპარეზზე ქრისტეფორე კეყერაშვილის მოღვაწეობა, რომელსაც შემდეგ მეფემ გადასცა სტამბა⁹⁾.

ქრისტეფორე კეყერაშვილს სტამბა მეფისაგან მიუღია იმ პირობით, რომ მოგების ნახევარი სამეფო ხაზინაში უნდა შეეტანა, ხოლო საბეჭდი ქალაქი თვით მეფეს უნდა შეეძინა რუსეთიდან¹⁰⁾.

ზემოხსენებულ საფუძვლებზე ქრისტ. კეყერაშვილი იწყებს კიდევაც მუშაობას: „მებრძანა... უმაღლესისა ხელმწიფისაგან ჩემისა

1) გაზ. „Кавказ“ 1846 г. № 48; აგრეთვე Дубровин, Закавказье от 1803—1806 г. 1886 г. снб. გვერდი 130.

2) ibid გვ. 131. აგრეთვე გაზ. „კავკაზი“ № 48. 1846 წ.

3) „სამლთო მსახურება“. 1783 წ. ტფ. ინახება საქ: საისტორიო საეთნოგრაფიო საზ.-ების მუზეუმში.

4) ibid.

5) და 6) ibid გვ. გ-დ.

7) ibid გვ. დ.

8) ibid.

9) Дубровин, Закавказье, გვ. 130. აგრეთვე Сведения о типографиях Грузии (გაზ. „Кавказ“ № 48. 1846 г. Типл.).

10) Дубровин, loc cit. გვ. 129; Сведения о типограф. Грузии, „Кавказ“ 1846. № 48.

ყოველისა საქართველოსა მეფისა ირაკლის მიერ, მე მისსა მონასა, მის უმაღლესობის კარის ხუცესს მარტყოფელს კეჭერაშვილს ქრისტეფორეს დაბეჭდვად... ამის „ლოცვათა“¹⁾ წიგნისა და აღვასრულე შრომითა და საფასეთა წარსაგებლითა²⁾ და დაზღვის მმართველობითა ჩემითა“³⁾.

ეს პირველი წიგნია, რომელიც ტფილისში კერძო პირის ხარჯით დაიბეჭდა (1784 წელს). მანამდე წიგნები სულ სამეფო ხარჯით იბეჭდებოდა.

კეჭერაშვილმა ბეჭდვა-გამომცემლობის საქმე საკმაოდ განაწი-თარა. ის თავის თავს შემდეგ დაბეჭდილ წიგნებში იხსენიებს, როგორც „გამგე და ზედამხედველი ბეჭდისაჲ“-ს⁴⁾. ხოლო ამად ყოფნა მას „მეფისაგან ებრძანა“⁵⁾.

თუ რამდენად ნაყოფიერი იყო კეჭერაშვილის შემდგომი მოღვაწეობა საგამომცემლო ასპარეზზე, ამას ამტკიცებს მის მიერვე ერთ დაბეჭდილ წიგნში⁶⁾ მოთავსებული სია წიგნებისა—კატალოგი: „დაბეჭდე შრომითა და საფასითა ჩემითაო“,—ამბობს იგი:

1) დაუჯდომელი	400	ცალი.
2) კიტაის სიბრძნე	400	„
3) ლოცუანი	1000	„
4) სახარება	800	„
5) სამოციქულო	1000	„
6) დაუჯდომელი მეორედ	1000	„
7) ჟამნი	1000	„
8) სახარება მეორედ	800	„
9) მარხვანი	1000	„

„ყოველივე ზემოხსენებული წიგნები დამიბეჭდავს ხარჯითა ჩემითა“⁷⁾.

1) სამლო ლოცვანი 1784 წ. ტფ. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში. მის არშიაზე სწერია: „ჩვენ მეფის ძემ ვახტანგ შემოგწირე კონდაცი ესე წმიდისა და საკვირველ ნომქმედისა მთავარ მოწმისა ვესტატის ეკლესიას... შეიწირე წი მსგავსად მისსა... მწვლილნი იგი ქვრივისანი: ვახტანგ. დეკემბერსა... წელსა... ...ჰც (1788 წ.)“.

2) ხ. ბიკინაძის ცნობით ქრ., კეჭერაშვილმა თავის, ხარჯით პირველად დაბეჭდა წიგნი მხოლოდ 1793 წელს (ქართული სტამბები, გვ. 86).

3) „სამლო ლოცვანი“ შესწორებულ იქნა „ბერძნულსა და რუსულსა ზედა“ მანგლელის მიერ.

4) „მცირე ლოცუანი“ 1793. ტფ. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

5) „მარხვანი“ 1793. ტფ., სადაც ქრ. კეჭერაშვილი ამბობს: „მებრძანა ზედამხედველობა და გამგეობა სტამბისა, რი.მლის სურვილი ფრიად მქონდაო“ (გვ. დ.).

6) მარხვანი 1793. ტფ.

7) idib; проф. А. Цогарели, loc cit. т. I გვ. 44..

ამ ცნობების თანახმად, იმ დროის დაბეჭდილი წიგნების სა-
შუალო ტირაჟად შეგვიძლია მივიღოთ 822 ცალი, რაიც მაჩვენებე-
ლია იმისი, რომ წიგნზე მოთხოვნილება საკმაოდ დიდი ყოფილა.
ამავე დროს სახარება და დაუჯდომელი ხელმეორედაც დაბეჭდილა.

ამრიგად, ვიდრე 1795 წლამდე ტფილისში სისტემატიურად იბე-
ჭდებოდა სხვადასხვა სასულიერო-საეკლესიო შინაარსის წიგნები 1).

1) ერეკლე მე-II-რის დროიდან 1800 წლამდე ტფილისის სტამბაში დაბეჭ-
დილი წიგნები:

1) „სამლო მსახურება“ 1751 წელი. დაიბეჭდა „პალატა შინა საპატრი-
არქოსა“.

2) „სახარება“ 1751 წ. დაიბეჭდა „პალატა შინა საპატრიარქოსა“.

3) „ქონდაკი“ 1751 წ. დაიბეჭდა „პალატა შინა საპატრიარქოსა“.

4) „ფსალმუნი“ 1763 წ. დაიბეჭდა „ეზოსა სამეფოსა“.

5) „ქონდაკი“ 1763 წ. დაიბეჭდა „ეზოსა სამეფოსა“.

6) „ფსალმუნი“ (II გამოც.) 1763 წ. დაიბეჭდა „ეზოსა სამეფოსა“.

7) „ქურთხევანი“ 1774 წ. აპრილს დაიბეჭდა „ეზოსა სამეფოსა“.

8) „დაუჯდომელი“ (მხედრული) 1769 წ. დაიბ. „ეზოსა სამეფოსა“.

9) „იოანე დამასკელი“ 1774 წ.

10) „პარაკლიტონი“ 1772 წ.

11) „დავითნი“ 1780 წ.

12) „შეხსმა პირველი ახლისა ამის წიგნთსაბეჭდისა“
1782 წ. დაიბეჭდა „პალატა სამეფოსა“.

13) „ქონდაკი“ 1783 წ.

14) „სამლო მსახურება“ 1783 წ. აგვისტოსში.

15) „ქურთხევანი“ 1784 წ.

16) „კიტაის სიბრძნე“ (მხედრული) 1784 წ. 400 ცალი.

17) „ლოცვანი“ 1784 წ. 1000 ცალი. დაიბეჭდა ქრისტეფორე კევერა-

შვილის ხარჯით.

18) „სახარება“ 1786 წ., 800 ცალი.

19) „ზატიკი“ 1788 წ.

20) „დაუჯდომელი“ 1788 წ 400 ცალი.

21) „დაუჯდომელი“ მეორედ ? 1000 ცალი.

22) „ლოცვანი“ ? 1000 ცალი.

23) „დავითნი“ 1790 წ.

24) „სამოციქულო“ 1791 წ., 1000 ცალი.

25) „სახარება“ მეორედ 1791 წ., 800 ცალი.

26) „უამნი“ 1791 წ., 1000 ცალი.

27) „მარხვანი“ 1793 წ., 1000 ცალი.

28) „მცირე ლოცვანი“ 1793 წ.

29) „ლოცვანი“ 1795 წ. და სხვ.

რასაკვირველია, ეს არ იქნება სრული სია ერეკლე მეორის დროს რა-
მდენჯერამე განახლებულ სტამბაში დაბეჭდილი წიგნებისა, ბევრი მათგანი უკრ
კიდევ მიუჩნებელია ან საცესებით დაკარგული. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენამდე
მოდღეულია მხოლოდ „დიდი“ წიგნები; პატარა წიგნები ანუ წიგნაკები
უფრო მალე იკარგებოდა. ასე, მაგალითად, 1764 წელს დაბეჭდილ „ქურთხევანში“
მოხსენებულია: დაიბეჭდა „გვრეთვე მცირედნი წიგნნი რ-ლნიმე სახმარადე კლე-
სიისა ჩ-ნ ქართულთასა“, რუმელთაგან ჩვენამდე არც ერთ ვკებმპლიარს არ მოუ-

1795 წელს ალა მაჰმად ხანმა ტფილისის აოხრებისას სტამბა ცეცხლს მისცა...¹⁾ როცა შემდეგ მეფე ავლაბარში დაბრუნდა, ბრძანა დაეჭირავებიათ მუშები და გაეთხარათ ადგილი, სადაც იყო ჩამარხული (რომელიც მოასწრეს) სასტამბო იარაღები და მოწყობილობა.

მაგრამ ერეკლეს სტამბის ისე განახლების დრო და საშუალება არ მიეცა. ის კახეთს წავიდა, ხოლო სასტამბო იარაღები, რაც კი დარჩა, მოგროვილ იქნა მეტეხის ეკლესიაში²⁾.

შემდეგ გიორგი მე-XIII-ემ ბრძანა განახლება სტამბისა და „კვალად იწყეს სახლისა სტამბისა შენება, დაიბარეს ქალაქი ოსმალადამ ახალტანისა გზითა და სპარსეთის საზღვარიდამ, შეუდგენნასოთ ჩამოსხმასა, დაზგებისა კეთებასა და მბეჭდავთა შეკრებასა“³⁾.

მაგრამ გამეფებულმა არეულობამ მეფე გიორგის საშუალება არ მისცა წიგნების ბეჭდვისათვის ეზრუნა. ქალაქმაც დაიგვიანა.⁴⁾ ამრიგად, სტამბა „დაშთა უქმად და მბეჭდავნი უსაქმოდ... და სიკვდილმან მეფისა ბოლო მოულო წიგნთა ბეჭდვისა ჰაზრსა მისსა“⁵⁾.

მიუხედავად ამისა, სტამბის განახლების შესახებ ზრუნვა არ შეწყვეტილა. განახლების ინიციატორი იყო ჩვენთვის უკვე ცნობილი ქრ. კეჟერაშვილი, რომელმაც საჭირო თანხა მიიღო გიორგი მეცამეტისა და მეფის ძე დავითისაგან⁶⁾. სტამბის განახლება მაინც დაგვიანებითლა მოხერხდა; მხოლოდ 1800 წლისათვის შეიქმნა შესაძლებელი ტფილისში საბეჭდი თეგის კვლავ ახმაურება⁷⁾.

ღწევია, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ჩვენს სიაში მოხსენებული წიგნებით არ შეიძლება განსაზღვრა იმ დროში დაბეჭდილი წიგნებისა.

1) Дубровин, loc. cit გვ. 130.; „Кавказ“ № 48. 1846.

2) Ibid.

3) პლ. იოსელიანი, ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა, ტფ. 1895 წ. გვ. 204. აგრეთვე Дубровин, l. c. გვ. 131 და „Кавказ“ № 48. 1846.

4) პლ. იოსელიანი—ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა გვ. 204.

5) Ibid.

6) Дубровин, l. c. Сведения о типографиях Грузии; უკანასკნელი წერილის ავტორი (დ. ყორღანოვი?), როგორც მისი სიტყვებიდან სჩანს, ყოფილა ქრისტ. კეჟერაშვილის კონკურენტი ბეჭდვის საქმის ცოდნაში. ამ მეტოქობიდან ყოველთვის კეთებაშეიღო გამოსულა გამარჯვებული. წერილის ავტორი, თუმცა დიპლომატიურად, ცდილობს ჩირქი მოსცხოს ქრ. კეჟერაშვილს (იხ ვახ. „Кавказ“ № 48. 1846 წ.).

7) Дубровин, l. c. გვ. 130.; 1800 წელს დაიბეჭდა დავით ბატონიშვილის „ნარკუევი“ და „დაუჯდომელი“.

თავი გეხუთე

ქართული წიგნის საქმე რუსეთში

იღებ სამეგელის მოღვაწეობით მოსკოვს დაარსებული ქართული სტამბა და დაბეჭდილი წიგნები.—ბაქარის და ვახუშტის დვანი ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეში.—ქართული სტამბის ბაქარის სასახლეში გადატანა და 1742—1743 წ. დაბეჭდილი ქართული ბიბლია.—ათანასე ამლანვარის მიერ მოსკოვს დაარსებული სტამბა და დაბეჭდილი ქართული წიგნები.—მოსკოვიდან ქართული სტამბის რუსეთის სამეგნიერო აკადემიაში გადატანა.—გაილზის მიერ მოზდოვსა და კრემენჩუგში დაარსებული სტამბა და იქ დაბეჭდილი ქართული წიგნები.—ქართული წიგნების ბეჭდვის საქმე რუსეთის სხვა ქალაქებში.—ქართული წიგნების ბეჭდვა პეტერბურგში—სამეგნიერო აკადემიაში მე-XIX საუკუნიდან.—ამავე დროიდან ქართული საეკლესიო წიგნების გამცემის საქმის მოსკოვის სინოდალური კანტორის ხელში გადასვლა.

ქართული წიგნის საქმე რუსეთში

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, მოსკოვში ჯერ კიდევ 1705 წელს დაიბეჭდა ქართული წიგნი („დავითნი“) არჩილ მეფის და მისი ძის ალექსანდრეს მიერ, რომლებიც იქ აწარმოებდნენ დიდს კულტურულ-ლიტერატურულ მუშაობას¹⁾. მეტვრამეტე საუკუნის მეორე მეოთხედიდან კი იქ იწყება სისტემატიური მუშაობა ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმეში.

მოსკოვში პირველი ქართული სტამბის ინიციატორია არქი-ეპისკოპოზი იოსებ სამებელი (სამებელად იწოდებოდა იგი 1724 წლამდე). იოსებ სამებელი, ამბობს თ. ყორდანიძე, უმთავრესი პირია იმ განათლებულ სამღვდელოებს შორის, რომელიც გარს ერტყა სწავლის მოყვარე მეფე ვახტანგ მე-VI-ს რუსეთში²⁾. იოსების შრომით დაიბეჭდა მრავალი საეკლესიო, საღვთისმეტყველო და საერო წიგნი. სამებელმა, გარდა თავგამოდებული შრომისა, ამ საქმეს მოახმარა მთელი თავისი ქონებაც³⁾.

იოსებ სამებელი იყო თავად ქობულაშვილების შთამომავალი. მამა მისი ყოფილა, როგორც ერთს მის მიერ მოსკოვს გამოცემულ წიგნში ვკითხულობთ, „კახთ მდივანთ მწიგნობართ უხუცესი“⁴⁾. იოსები მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულს ყოფილა აგრეთვე შიო მღვიმის მონასტრის წინამძღვრადაც⁵⁾. გარდაცვლილა 1750 წლის 1 ნოემბერს, საქართველოში მომავალი, აშტარხანს⁶⁾.

1) М. Броссе, О грузинском письме Царя Арчилия к Шведскому Королю Карлу XII от 2 февр. 1706 г. и о переписываниях ц. Арчилия в России (Уч. зап. Акад. Наук по I и III отд. 1854. т. II. вып. 4. стр. 546—579).

2) თ. ყორდანიძე, შთავარეპისკოპოზი იოსებ სამებელი („ივერია 1884 № II და III).

3) *ibid.*

4) ზატყი 1738. მოსკოვი, თავფურცელი.

5) Пл. Иоселиани, Описан. Шиомгвимск. пуст. 1845 Тифлис. 83. 56.

6) И. Савинский, Грузины в Астрах. епархии и отношение к ним местных архипастырей XVIII в. (Дух. вестн. груз. экзархата 1898. № 16.); თ. ყორდანიძე, — იოსებ სამებელი (ივერია 1884. № III).

იოსებ სამებელი ოსმალთა მიერ საქართველოს აოხრების შემდეგ 33 მხლებელით გაემართა რუსეთისაკენ, რათა იქ შეეგროვებია შემოწირულებანი მტერთაგან დანგრეული საყდრების ასაშენებლად. დარიალის ხეობაში ის ლეკებმა დაატყვევეს. ამ ამბავმა მალე პეტერბურგს მიაღწია და—წმინდა ჯვრის ციხის კომენდანტს ებრძანა იოსების ტყვეობიდან განთავისუფლება.

1732 წელს იოსებ სამებელი მოსკოვს ჩავიდა, სადაც მას მის მხლებლებიანად 5.000 მანეთი დაენიშნა საცხოვრებლად. მალე იმპერატორცა ანნას ბრძანებით იოსები ინიშნება ნოვგოროდის არქიეპისკოპოზის მოადგილედ, ხოლო საცხოვრებელ ადგილად ეძლევა იურიევის მონასტერი ¹⁾.

იოსებ სამებელი ბექდვის საქმეში ინტენსიურ მუშაობას იწყებს სახელდობრ 1737 წლიდან (თებერგ.), როდესაც მან სინოდისაგან გამოითხოვა მოსკოვს წასვლის ნებართვა წიგნების ბექდვის საწარმოებლად ²⁾.

იოსებ სამებელის მეცადინეობამ მალე ნაყოფიც გამოიღო: „...საფასითა და წარსაგებლითა არქიეპისკოპოზის იოსებისათა გაკეთდა საბექდავი ესე და დაიბექდა წმინდა ესე „ზატკიკი“. მოსკოვს. ქ-ს აქეთ ჩლლს“ (1738) წელს“ ³⁾.

ამ „ზატკიკის“ ბოლოფურცელზე, სახელდობრ 875 გვერდზე, ვკითხულობთ: „ოდეს იპყრობდა და განაგებდა კეთილგანმგებელი... თვითმპყრობელი იმპერატორცა ანნა იოანესი, მას ჟამსა იგულსმოიდგინა ყოვლად სანატრელმან არქიეპისკოპოზმან სრულიად ვლადუკისამან და არქიმანდრიტმან იურიევისამან, კახთ მდივანთ მწიგნობართ უხუცესის ქობულის თამაზის ძემან სამებელმან იოსებ და მიბრძანა მე ყოვლად უღირსსა ბერს გურამიშვილს, ხუცეს მონაზონს ქრისტეფორეს ⁴⁾ სტანბის გაკეთება... და გაეაკეთებინე სტანბა დიდითა გულის მოდგინებითა და წარგებითა საფასითათა მისითა“ ⁵⁾. და განაგრძობს: „მაშინ ხელვყავ... წიგნისა ამის ზატკიკის ბექდულად,

¹⁾ Ал. Х а х а н о в—Очерки по ист. груз. слов. том III, გვ. 370.; აგრეთვე თ. ჟორდანიას I. ს.

²⁾ იოსებ სამებელზე ვრცლად იხილე: А. Х а х а н о в—Очерки... т. III გვ. 361 -375; აგრეთვე თ. ჟორდანიას—იოსებ სამებელი, ივერია 1884. № II და III.

³⁾ ზატკიკი 1738 წ. მოკ. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში. (ახს II 844).

⁴⁾ ქრისტეფორე გურამიშვილის ბიოგრაფიული ცნობები იხილე—И. С а в и и с к и й (Духовн. вестник грузинского экзархата 1898 № 18).

⁵⁾ ზატკიკი გვ. 875, 1738. მოსკოვ. ეს ზატკიკი, მის მიერ ნაღვაწ ნაშრომი. ქრ. გურამიშვილს დავით გარესჯის უდაბნოსათვის შეუწირავს, თანახმად არშიაზედ სათანადო მინაწერისა,

რუსულს ზატიკზედ უნაკლოდ რომ ვ-დ მეკეთა, ვინაიდან ბრწყინვალედ განშუენებულიყო ყოველნაირად საეკლესიოს რიგითა და წესითა, ვითარცა ბერძნის და რუსის წიგნები უცდომლად და უნაკლოდ ერთი იყო, ვინაიდგან ლ-დ ჰ-ნს წ-თ მთარგმნელთ კეთილად და უნაკლოდ ეთარგმნათ. ა-დ ჟამთა ვითარებისაგან მცირედი რამე დაკლებულ იყო... მე რუსის წიგნის გამოცნობა და ტიბიკონის მიხდომა ვიცოდლი... ამისთვის სასურველ ვიქმენ ამის და მოვილე ქართული ზატიკები და რუსის ზატიკს და ტიბიკონს ვამოწმე ¹⁾... რომელიც ჩვენში დაკარგულ იყო ის რუსულის ზატიკიდან გადმოვათარგმინე ბატონიშვილის დარეჯნის კარის მღვდელს გიორგის და მისგან ნათარგმნს ხუცეს მონაზონი ხოსაშვილი დავით დიდის გულსმოდგინებითა და გამოძიებითა ჩვენს ენაზედ ასწორებდა და სიმართლეს სცდილობდა... არქიმანდრიტი გერმანე სხრეკდა და ასწორებდა“... ²⁾)

როგორც სჩანს, იოსებ სამებელის საქმეს მალე ბაქარი და სხვა ბატონიშვილებიც შეუერთდნენ; 1739 წელს აქვე დაიბეჭდა სახარება „ბრძანებითა მეფის ბაქარის ვახტანგის ძისათა“ ³⁾... კუროთხევითა სინოდთა“ ⁴⁾... საფასეთა წარსაგებელი ჯერ ისევ იოსებისა ყოფილა ⁵⁾. ამ სახარებისათვის დართულს წინასიტყვაობაში იოსებ სამებელი სტამბის საქმეში მთავარ თანაშემწედ იხსენიებს ქრისტეფორე გურამიშვილს.

ხსენებული, 1739 წელს მოსკოვში დაბეჭდილი, სახარება აუწყევით ვახტანგის ბრძანებით ტფილისში 1709 წელს გამოცემული სახარების მიხედვით, ხოლო: „თვინიერ მისის საძიებლისა, საძიებელი რუსული ვამჯობინეთ ადვილად პოვნობისა და მიხედომისათვისო“ ⁶⁾, გადმოგვცემს „მდაბალი ამათ მბეჭდავთა ზედამდგომელი... ქრისტეფორე“. ეს სახარება „გაიმართა ხელითა ტფილისის სიონელის გერმანეს ძმის წულის მღვდლის მოსესითა“ ⁷⁾.

ამრიგად, ვახტანგის მიერ ტფილისში დაწყებულ საგამომცემლო საქმიანობას, რომელსაც წინ უძღოდა არჩილის მუშაობა

1) ზატიკი 1738. მოსკოვი.

2) ibid.

3) სახარება 1739 მოსკ. დაიბეჭდა თვესა ივნისსა კე (25). წიგნი ინახება ტ. ს. უ წიგნთსაცავში—ახს. II 842.

4) ibid.

5) ibid.

6) სახარება 1739. მოსკ.

7) ibid.

(მან პირველმა დაიწყო ქართული ბიბლიის მზადება დასაბეჭდად ¹⁾, რისთვისაც შეაგროვა სხვადასხვა მისი ვარიანტები, ვახტანგისავე ოჯახისა და მრავალრიცხოვანი მხლებლების მოსკოვს გადასახლების შემდეგ ახალი საფუძველი მიეცა.

არჩილისა და ვახტანგის საგამომცემლო საქმის გაგრძელება შემდგომად იოსებ სამებელისა თავს იღვა ბაქარმა ²⁾, რომელმაც იმ განზრახვით, რომ საგამომცემლო ხარჯები რუსეთის მთავრობისაგან მიეღო, 1737 წლის 30 სექტემბერს განცხადება შეიტანა უწმინდეს სინოდში, რომლისგანაც ითხოვდა სამეცნიერო აკადემიის სტამბაში საეკლესიო და საღვთო წიგნების დაბეჭდვის ნებართვას ³⁾. ბაქარი აქ, აღნიშნავს რა წიგნების დიდ საქიროებას, არდგენს სიას იმ წიგნებისა, რომელთა დაბეჭდვა განზრახული ჰქონდა: სახარება, სამოციქულო, დავითნი, ეამნი, ლოცუანი, კონდაკი, კურთხევანი, ტიბიკონი, სვინაქსარი, თთვენი (საღლესასწაულო), პარაკლიტონი, მარხვანი, ზატყიკი ⁴⁾.

მინისტრთა კაბინეტმა, რომელმაც განიხილა ეს საქმე, სინოდის წარდგენით, ნება დართო წიგნების ბეჭდვისა, მაგრამ ისე, რომ ქართული წიგნები სლავიანურთან ყოფილიყო შემოწმებული; ამიტომ საჭიროდ სცნეს ორივე ენის კარგად მცოდნე პირის მოპოება ⁵⁾. რაც შეეხება ბეჭდვისათვის საჭირო ხარჯების გაღებას, ამაზე მინისტრთა საბჭომ, როგორც სჩანს, მხოლოდ დუმილით უპასუხა.

ამის შემდეგ საკმაო დაგვიანებით დაბეჭდილი დაბადებიდან სჩანს, რომ ბაქარმა, როცა მან დაჰკარგა ყოველგვარი იმედი მთავრობისაგან წიგნების გამოცემისათვის გამოთხოვილი დახმარების მიღებისა, მოიწვია რუსეთში მყოფი ქართველი სამღვდელთა და მათ საერთო კრებაზე გაარჩია დაბადების შესწორებისა და გამოცემის საქმე ⁶⁾.

¹⁾ პროფ. კეკელიძე—ქართ. ლიტ. ისტ. ტ. II, ტფ. 1924. გვ. 402—403.

²⁾ მაგრამ, ბაქარისავე სიტყვებით რომ ვთქვათ: „არცაღა მას სცა ჟამმან და დრომან დაქცევადმან და დაუშთა, ვერე შეუსრულებლად“ (ყველა წიგის გამოცემა). იხ. თ. ყო რ დ ა ნ ი ა—ქართ. სტამბები მე-XVIII საუკუნეში (ივერია III. 1884).

³⁾ Полное собрание законов Россиск. Имп. т. X. указ от 23/X 1737 г. № 7411.

⁴⁾ ibid.

⁵⁾ ibid, აგრეთვე К. Кекелидзе Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение. 1908. Тифлис. გვ. XXVIII წინასიტყვაობაში. თ. ყო რ დ ა ნ ი ა—იოსებ სამებელი. („ივერია“ № III. 1884).

⁶⁾ იხილეთ „დაბადება“ 1743. მოსკ. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში

ამის შემდეგ, ბაქარის თხოვნით, იოსებ სამებელი, რომელსაც მონაწილეობა უნდა მიეღო ბიბლიის გამოცემისათვის დაწყებულ მუშაობაში გადაყვანილ იქნა მოსკოვის ზნამენის მონასტერში არქიმანდრიტად.

სანამ დაბადება დაიბეჭდებოდა, ბაქარმა მის განათლებულ და განსწავლულ ძმას, ვახუშტი ბატონიშვილს, მიანდო გადაეთვალეობა არჩილის შრომა და შეესწორებია ყველა ნაკლი, რაც კი არჩილის შრომაში მოიპოებოდა ¹⁾.

ვახუშტიმ მისთვის ჩვეულებრივი ბეჯითობა გამოიჩინა ამ საქმეშიაც, შეასწორა ბიბლიის თითქმის ყველა წიგნი; ორი წიგნი— ივდითისა და ტობიასი,—გადმოიღო ლათინურ ვულგატიდან, დაპყრო თავებად და მუხლებად და მოამზადა დასაბეჭდად ²⁾.

ამავე საქმის პარალელურად სწარმოებდა აგრეთვე სტამბის შეკეთება და გაუმჯობესება. იოსებ სამებელის სტამბა (1740 წელს), ამრიგად განახლებული, გადატანილ იქნა ვსესვიატკოვში (სოფელია მოსკოვის ახლოს) ბაქარის ხარჯით, უკანასკნელის სასახლეში. ამ სტამბაში ბაქარმა თავის საფასეთა წარსაგებელით გამოსცა 1742—1743 წ.წ. ბიბლია, რომელიც შემდეგში „ბაქარის ბიბლიის“ ანუ მოსკოვის გამოცემის სახელით არის ცნობილი.

მოსკოვის ქართული დაბადების გამოცემისთვის, გარდა მოხსენებულთა, შრომობდნენ ტეხნიკურ და სარედაქციო ნაწილში: ქრისტეფორე გურამიშვილი, მელქისედექ კავკასიძე, სამეფო კარის მღვდლები ფილიპე და დავითი; „არა მცირედი შრომა მიუძღვით“ კიდევ ათანასე მიტროპოლიტს (ტფილელს) და დ. ციციშვილს ³⁾.

ბიბლიის ბეჭდვა დასრულდა 1743 წლის 1 მაისს. მოსკოვის ბიბლია მეტად მსხვილი და მნიშვნელოვანი ფაქტია, როგორც ქართული მწერლობისა და კულტურის, ისე გამომცემლობის ისტორიაშიაც ¹⁾.

¹⁾ და ²⁾ *ibid.*

³⁾ დ. ციციშვილი იყო მამა შემდეგში კავკასიის მთავარსარდალი ციციანოვისა.

⁴⁾ ლიტერატურა და წყაროები მოსკოვის ბიბლიის გამოცემის შესახებ: М. Джанашивили—Вахушти и его труд, გვ. 72—73; პროფ. კონ. კეკელიძე—Литургические грузинские памятники... и их научное значение; მისივე ქართ. ლიტ. ისტორია ტ. II გვ. 461—462; А. Натроев—Краткий очерк исправления текста грузинской Библии (Дух. вестн. грузинского экзерхата № 6—8 1899); დაბადება 1743. მოსკ. წინასიტყვაობა; П. Бутков, Материалы для новой ист. Кавказа, часть I, გვ. 61—62, 64, 86; Филарет, Истор. Русской Церкви ч. II გვ. 116—117; პ. კონიუაშვილი, ქართული დაბადება („მომბე“ № 2 1896); А. Хаханов, Афинский список 978 г. грузинской Библии и его значение для напечатанного текста, წინასიტყვე; მისივე, Очерки по ист. груз. слов. т. III, გვ. 361—375 და სხვა.

1744 წელს 28 მაისს აღნიშნულ სტამბაში დაიბეჭდა კიდევ იოანე დამასკელის თხზულების არსენისეული თარგმანის საღვთისმეტყველო ნაწილი „მიუწვდომელობისათვის ღვთისა“ ¹⁾ (in 4^o გვ. VIII×421).

1750 წელს ზედიზედ გარდაიცვალენ ბაქარი და იოსებ სამებელი. სტამბაც დარჩა უპატრონოდ. და უქმად ²⁾. ეს სტამბა რამდენიმე წლის შემდეგ (1755 წ.) გადატანილ იქნა პეტერბურგს და მოთავსებული—სამეცნიერო აკადემიაში ³⁾.

ამის შემდეგ კარგა ხნით შესწყდა მოსკოვში ქართული წიგნების ბეჭდვა, ვიდრე 1761 წელს ტფილელი მიტროპოლიტი ათანასე ამილახვარი აქ საკუთარ საფასეთა წარსაგებელით ახალ ქართულ სტამბას არ გახსნიდა ⁴⁾.

ათანასე ამილახვარი, როგორც სჩანს, ყოფილა მეფე ერეკლე მე-II-ს მიერ ელჩად რუსეთს გაგზავნილი 1752 წელს. ის შემდეგ აქ მიმხრობია ვახტანგ მე-VI-ის შთამომავალთ და, წინააღმდეგ ერეკლე მე-II-ის სურვილისა, დარჩენილა რუსეთში და მიუღია რუსეთის ქვეშევრდომობა ⁵⁾.

ათანასე ამილახვარის მიერ 1761 წელს გახსნილ სტამბაში 1766 წლის ნოემბერში დაბეჭდილ „სახარებაში“ ვკითხულობთ: „პირველ ამის დაიბეჭდა (1) დავითნი, შვიდას ოცი, და (2) სამოციქულო—რეაას ორმოცდა ექვსი. თვით (3) სახარება კი დაიბეჭდა რიცხვით ექვსასი“ ⁶⁾.

ათანასე ამილახვარის სტამბაში წიგნები იბეჭდებოდა „ზედამდგომლობითა მეურნეობითა კნიაზ დიმიტრი ციციანოვისათა“ ⁷⁾. ამავე სტამბაში 1768 წელს დაიბეჭდა „ლოცვანი“ ⁸⁾ და

¹⁾ იხ. ს. გორგაძე, ივანე დამასკელის მთავარი თხზულება „πηγῆ γυναικων“ ქართულ მწერლობაში (ეჟურნ. მიმოხილველი, 1926. ტფ. წიგნი I გვ. 179.); დ. კარიკაშვილი—ქ. შ. წ.-კ. გ. ს. კატალოგი 1905 წ. გვ. 78. თვით „მიუწვდომელობისათვის“ ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

²⁾ თ. ყორღანიძე, იოსებ სამებელი (ივერია 1854 № III).

³⁾ В. Сопиков. I. с. 4. I გვ. LXX.

⁴⁾ თ. ყორღანიძე, ქართული სტამბები მე-XVIII საუკუნეში (ივერია 1894 № II).

⁵⁾ ibid.

⁶⁾ იხ. „სახარება საკითხავად“, 1766 წ. მოსკოვი, თავფურცელი. წიგნი ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში, კოლექცია ახს. II 850.

⁷⁾ ibid.

⁸⁾ წიგნი ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

„ჟამნი“¹⁾, ხოლო უფრო ადრე—1764 წელს—დაიბეჭდა „ხელითა მესტამბე აბრამ ურია ყოფილისათა „ღვთივ სულიერი წიგნი ფსალმუნთა“²⁾. სულ პირველად კი ამ სტამბაში დაიბეჭდა „დაუჯდომელი“ და შემდეგ „ჟამნი“, ორივე 1762 წელს³⁾.

სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული ათანასე ამილახვარის სტამბა მუშაობდა მთელი მე-XVIII საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა პირთა დახმარებითა და ხელმძღვანელობით. იქ დაიბეჭდა მრავალი საეკლესიო და საღვთის მეტყველო წიგნი. ხშირად იბეჭდებოდა აგრეთვე საერო წიგნებიც, რომლებიც საქართველოში იგზავნებოდა გასაყვრცელებლად⁴⁾.

მე-XIX საუკუნის დამდეგიდან კი ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემის საქმე აქ გადავიდა სინოდის ხელში.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, 1755 წელს ბაქარისეული სტამბა გადატანილ იქნა სამეცნიერო აკადემიაში. აქ შენახულია ქართულად

1) წიგნი ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

2) წიგნი ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

3) თ. უორდანი, ქართ. სტამბ. მე-XVIII ს. (იხ. „ივერია“ № 3, 1884 წ.).

4) მეოთვრამეტე საუკუნეში მოსკოვს დაბეჭდილი წიგნებიდან, გარდა 1705 წელს არჩილის მიერ იქ დაბეჭდილი „დავითნისა“, შეგვიძლია დავასახელოთ.

1) „ზატკი“—1738 წ.

2) „სახარება“—1739 წ. „დაიბეჭდა თვესა იენისსა კე“ (25).

3) „ტესტამენტ“—1739 წ.

4) „სასწავლო ყრმათათვის“—1740 წ.

5) „მარხვანი“—1741 წ.

6) „ბიბლია“—1743 წ. ბეჭდვა დასრულდა პირველ მაისს.

7) „იოანე დამასკელი“ 1744 წ. (მიუწვდომლობისათვის ღვთისა).

8) „დაუჯდომელი“ 1762 წ.

9) „ჟამნი“ 1762 წ.

10) „დავითნი“ ანუ „ფსალმუნი“ 1764 წ. დაიბეჭდა შვიდას ოცი ცალი.

11) „სამოციქულო“ 1765 წ. დაიბეჭდა რვაას ორმოცდა ექვსი ცალი (იხ. „სახარება“ 1766 წ. მოსკოვი, ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში. კოლექცია ახს. II 850).

12) „სახარება“ 1766 წ. დაიბეჭდა ექვსასი ცალი.

13) „პარაკლიტონი“ 1767 წ.

14) „ლოცვანი“ 1768 წ.

15) „ჟამნი“ მეორედ 1768 წ.

16) „დავითნი“ „ 1768 წ. და სხვ.

ყველა ზემოხსენებული წიგნები ინახება ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნთსაცავში, ნაწილი კიდევ სახელმწიფო არქივში, რესპუბლიკის საჯარო ბიბლიოთეკაში და საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის ბიბლიოთეკაში.

დაბეჭდილი ფურცელი, რომელშიაც გამოთქმულია მისალმება თეიმურაზ მე-II-სადმი, უკანასკნელის მიერ 1762 წელს სამეცნიერო აკადემიის ნახვის აღსანიშნავად. ეს ფურცელი აწყობილ-დაბეჭდილია თვით თეიმურაზ მეორის თანადასწრებით¹⁾.

მიუხედავად იმისა, რომ, პეტერბურგში ქართული სტამბა ჯერ კიდევ 1755 წელს მოუწყვიათ, აქ ქართული წიგნების ბეჭდვას მე-XVIII საუკ. არ ჰქონდა სისტემატიური ხასიათი.

ამას გარდა, ზოგიერთი ცნობების თანახმად, 1786 წელს პეტერბურგში ეპისკოპოზმა გრიგოლ ხარქაშელმა ც გახსნა ქართული სტამბა, სადაც, სხვათა შორის, დაიბეჭდა (1787 წელს) „სახარება“²⁾.

მოსკოვსა და პეტერბურგს გარდა, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებშიაც იბეჭდებოდა მე-XVIII საუკუნეში ქართული წიგნები. მაგალითად, კრემენჩუგს ან მოზლოკში დაიბეჭდა „ქართული გრამატიკა“³⁾ გ ა ი ო ზ ი ს ა³⁾ და სხვ.

ამ გაიოზის გვარი, მიუხედავად მისი ვინაობის შესახებ საკმაო ლიტერატურის არსებობისა, საბოლოოდ ჯერ კიდევ გამოურკვეველია. 1778 წელს გაიოზს დაუსრულებია მოსკოვში სასულიერო აკადემია. იმავე წელს ის ერეკლე მე-II-ს მიერ მოწვეული იყო ტფილისში, სადაც გაიოზს დაუარსებია სკოლა რუსული ენისა.

ამის შემდეგ გაიოზი კვლავ რუსეთს იქმნა გაწვეული, საიდანაც 1782 წელს გამოგზავნეს საქართველოში, ირაკლი მე-II-თან პოლიტიკურ საქმეთა გამო მოსალაპარაკებლად. იმავე წელს გაიხსნა თელავში სემინარია, —ალბად, გაიოზის ინიციატივით. ამ სემინარიის პირველ რექტორადაც გაიოზი იყო.

გაიოზმა მონაწილეობა მიიღო აგრეთვე 1783 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ცნობილი ტრაქტატის შედგენაში. ამის შემდეგ სხვადასხვა თანამდებობაზე იყო რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. 1785—1789 წ. წ. ცხოვრობდა კრემენჩუგში და ხან მოზლოკში, სადაც გახსნა ქართული სტამბა და დაიბეჭდა ზემოხსენებული გრამატიკა და სხვა წიგნები.

1) А. Цагарели, Сведения... т. I. წინასიტყვაობა გვ. XXXXIX; ЖМП-просвещения, январь, 1883, новые архианые материалы для ист. Грузии в XVII в. документ № 3.

2) თ. ყორღანი, ქართული სტამბები მე-XVIII ს; აგრეთვე К. Кекелидзе, Литургические Грузинск. памятники..., გვ. XXXI.

3) А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка гв. 108. იქვე ცნობები გაიოზის შესახებაც. „ქართული გრამატიკა“ გაიოზისა იხანება საქ.ცენტრარქივის ბიბლიოთეკაში; აგრეთვე რესპ.საჯარო წიგნთსაცავშიაც.

გაიოზმა შემდეგში ქართული სტამბა კრემენჩუგიდან გადაიტანა მოზდოკს, სადაც კელავ განაახლა წიგნების ბეჭდვა მე-XVIII საუკუნის მიწურულს.

1804 წელს გაიოზს მის მიერ კრემენჩუგსა და მოზდოკს დაბეჭდილი წიგნების ერთი წყება შეუწირავს იმავე ხანებში ტფილისში დაარსებულ კეთილშობილთა სასწავლებლისათვის (630 ცალი „ქართული გრამატიკა“ და 600 ცალი „ქართული ანბანი“)¹).

1805 წლის 29 იანვარს საქართველოს მთავარსარდალი ციციანოვი სწერს გაიოზს, რომ უკანასკნელმა დაუთმოს მას ტფილისში კეთილშობილთა სასწავლებელთან მოსაწყობად ის სტამბა, რომელიც გაიოზს მაშინ მოზდოკში ჰქონია და რომელიც იმ ხანებში იქ უქმნა მდგარა. მიუხედავად იმისა, რომ სტამბის ნაწილები უკვე გატაცებული ყოფილა, ციციანოვი ჰპირდება გაიოზს ღირებული ფასის გადახდას.

შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ გაიოზი²) თავის სტამბას დაუთმობდა ციციანოვს, მით უმეტეს, რომ, როგორც უკანასკნელის წერილიდანა სჩანს, მაშინ ტფილისში მომქმედი სტამბა არ ყოფილა.

ზოგიერთი ცნობების თანახმად, გაფრანგებისათვის საქართველოდან განდევნილმა ანტონ I-მა ვლადიმერს მოაწყო ქართული წიგნების ბეჭდვის საქმე და სხვათა შორის იქ 1760 წელს დაბეჭდა იავოროსკის „კლდე სარწმუნოებისა“, თარგმნილი რუსულიდან ვახუშტის მიერ³).

მე-XIX საუკ. დასაწყისიდან, მას შემდეგ რაც საქართველო რუსეთმა შეიერთა, ქართული წიგნების ბეჭდვამ პეტერბურგში, სამეცნიერო აკადემიის სტამბაში უკვე სისტემატიური ხასიათი მიიღო.

¹) იხ. Акты кавк. археограф. ком. т. II გვ. 199. Отношение кн. Цицианова Пензенскому архиепископу Гаю, от 29/I 1805 года.

²) ტფილისში 1884 წელს დაბეჭდილი „კიტანის სიბრძნე“ თარგმნილია გაიოზის მიერ მოსკოვში 1777 წელს.

³) ლიტერატურა და წყაროები მოზდოკისა, კრემენჩუგისა და ვლადიმერის სტამბების შესახებ: Акты Кавк. арх. ком. т. II.; პროფ. კ. კეკელიძე ქართ. ლიტ. ისტ. ტ. I გვ. 413-417; Проф. Павлов, К сведениям о личности архидиакона Гаюза, впоследствии архиепископа Астраханского и Ставропольского, Христианский восток т. II, вып. I.; ს. კაკაბაძე, საქ. ისტორია, ახ. საუკუნე. ეპოქა. გვ. 216-217.; ნ. მთვარელი შვილი, თელავის სემინარია და მისი პირველი რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი (?) „ივერია 1881 აგვისტო თ. უორდანი—ქართ. სტამბები მე-XVIII საუკ.; ევ. ნიკოლაძე საქ. ეკლესიის ისტორია, გვ. 154-155; დ. კარიკაშვილი, წიგნის ისტორია 1903. ტფ.; გვ. 48. ხ. კიკინაძე, ქართული სტამბები 1627—1913 წ. გვ. 114. ხ. კიკინაძის ცნობით მოზდოკში ქართული სტამბა გახსნა გაიოზ ნაცვლიშვილმა (?) 1768 წელს. (?)

პეტერბურგში ქართული წიგნების გამოცემის ხელმძღვანელ-ინიციატორთა და თვით გამომცემელთა შორის აღსანიშნავია მ. ბროსე და დ. ჩუბინი (შვილი), რომელთა საქმის გამგაძლეველნი შემდეგში საკმაოდ აღმოჩნდნენ, რის წყალობითაც იქ დღემდე იბეჭდება ქართული სამეცნიერო წიგნები.

გასული საუკუნის დასაწყისიდან მოსკოვშიაც გაძლიერდა ქართული წიგნების ბეჭდვა, რასაც იმ გარემოებამ შეუწყო ხელი, რომ, სინოდის განკარგულებით, ყოველგვარი ქართული საეკლესიო-სალეთისმეტყველო წიგნი, რაიც მაშინ ქართული წიგნის საერთო პროდუქციის უმთავრეს ნაწილს შეადგენდა, მოსკოვს უნდა დაბეჭდილ-გამოცემულიყო, რადგან „ადგილობრივად (საქართველოში) შესაფერი სტამბა და გამოცდილი ხალხი არ მოიპოვებოდა“ (sic!).

მე-XIX საუკ. დასაწყისს ქართული სტამბა აქ განხსნათვის ხარჯით საქართველოს ყოფილმა ეგზარხოსმა ვარლამმა, რომელმაც იგი შემდეგში მოსკოვის სინოდალურ სტამბას გადასცა¹⁾.

1805 წელს მოსკოვში გამოცემულ „სადღესასწაულოში“²⁾ ვკითხულობთ: „დაიბეჭდა გულმოდგინებითა შრომითა და ღვაწლითა უწმინდესის და უმართებელესისა სინოდის ჩლენის და კავალერისა არხიეპისკოპოზისა ვარლამ ქსნის ერისთავის დავითის ძისათა; თანამშრომლობითა და ცენზურობითა ყ-დ სამღვდელოს მიტროპოლიტის იონა გედეონის სარდლის გაბრიელის ძისათა, ზედამხედველობით საქართველოს მეფის იესეს შვილის შვილის დიმიტრი გიორგის ძის ბაგრატიონისათა, ფრიადითა შრომითა ილუმენის ნიკიფორეს თელავის კარის ეკლესიის მღვდლის მიხაილის მიხაილის

1) ბროსემ და ჩუბინი შვილმა პეტერბურგში სხვათა შორის, გამოსცეს ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, ქმნილი დავით ჩუბინოვის მიერ, 1840 წ.; ვეფხის ტყაოსანი 1841 წელს, რომლის ბოლოს მინაბეჭდია:

„სვიმონ მესტამბე ტაბიძე ბეჭდვაზე იყო მცდელია,

დავბეჭდეთ წიგნი აწ ახლად განახლდა ძველის ძველია“;

Русско-Грузинский словарь ჩუბინოვისა 1846; ქართლის ცხოვრება ნაწ. I. (ბროსეს გამოც.) 1849; ქართლის ცხოვრება II ნაწ. (ჩუბინოვის გამოც.) 1854; გარდა ამისა აქვე დაიბეჭდა საპასუხო ცხრილი, სიბრძნე სიცრუისა (1859), ი. კავკავაძის — „კაცია ადამიანი“ 1869 წელს და სხვა. (იხ. აგრეთვე Brossel, Liste des Gravaux, — St. Petesbourg 1880).

2) В. С. Сопиков — Опыт российской библиографии 1813 г. СПб. გვ. LXI.

3) ალ. ხახანაშვილი — ძველად აღბეჭდილნი წიგნი მოსკოვის სინოდალურ სტამბაში (შოაბზე № III. 1900 წ.)

ძის მიხაილოვი სათა... მეგრძანა უწმინდესის სინოდის ჩლე-
ნის ვარლამ არხიეპისკოპოზისაგან მე პ ა ი კ ა ძ ე მესტამბეს წიგნისა
ამის სადღესასწაულოს დაბეჭდუა, ვინაიდან არა იყო ქართულს ენასა
ზედა დაბეჭდილ. მორჩილ ვიქმენ ფრიალის გულმოდგინებით, ოთხსა
წელსა არა დაეცხერ შრომითა და მღვიძარებითა, თვით ანბანის მო-
ქრითა და ყოვლისა სტამბისა ამის სახმარისა გამართვითა და სრულ
იხილოთ“... აქვე მოხსენებულია ან ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი, რო-
მელსაც, სხვათა შორის, უთარგმნია ეს სადღესასწაულოც და რომელ-
მაც „გაამდიდრა ქართული ენა მრავალი საეკლესიო, საღვთისმეტ-
ყველო და საფილოსოფო წიგნებათაო“¹⁾.

1808 წელს მოსკოვში დაიბეჭდა „თთენი“²⁾ (in folio), დიდი
ტანის წიგნი, და მის შემდეგ სინოდალური კანტორის სტამბაში სი-
სტემატიურად იბეჭდებოდა მე-XIX საუკ. უკანასკნელ ათეულ წლებამდე
ქართული საეკლესიო წიგნები.

იქ წიგნები უმეტეს წილად იცემოდა „წარსაგებელითა მოსკო-
ვის ბიბლიის საზოგადოებისა“³⁾ ანუ „წარსაგებელითა როსიის ბიბლიის
საზოგადოების მოსკოვის განყოფილებისათა“⁴⁾. ამასთანავე კერძო

1) იხ. სადღესასწაულო. 1805 წ. მოსკოვი. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

2) „თთენი“ 1808 წ. მოსკ. ამ წიგნის ბოლოს მიბეჭდილია შემდეგი ლექსი:

„ღვთის შეწუენითა, ზესთა ზენითა,
მოსკოვს შემზადდა სტამბა ქართული
ქსნის ერისთვისა, დავითის ძისა
ვარლამ ლეაწლი კმა გამართული.

„ვინ იყო ძველად ახტალის მწუემსად,
აწ რუსთ სინოდის წევრად შართული,
გიძღვნის ივერთა ამერ-იმერთა,
წიგნს დღესასწაულ მბეჭდველი სრული.

„მასთან იონა, ვინ არ იონა
შრომის მოყვარე ც ე ნ ზ უ რ ო ბ ი თ ა,
მიტროპოლიტმან გამშინჯ-გამჭერეტმან
გედეონის ძემ ძველ გვარობითა.

„ნიკიფორისა მკითხის სწორითა
იგულს მოიდგენს საკმარობითა,
კეთილ შობილჲან პაიკაძემან
მესტამბემ ყოვლით სახმარობითა“... და სხვა.

3) იხ. „ახალი აღთქმა“ 1816 წ. მოსკოვი. 4⁰ 400 გვერდი. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

4) „დავითნი“ 1824 წ. მოსკ. 12⁰ 374 გვერდი. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

ინიციატივითაც იბეჭდებოდა როგორც სასულიერო, ისე საერო წიგნებიც.

მოსკოვს ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვა-გამოცემა შენელდა მას შემდეგ, რაც ექვთიმე ხელაძემ ოთხმოციან წლებში მოახერხა, საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ, ამ წიგნების ტფილისში ბეჭდვის აღება. ამან აღნიშნული ხელაძე იხსნა აშკარა გაკოტრებისაგან, რადგან მის სტამბას, ეკლესიების სახით, გაუჩნდა შედარებით მტკიცე კონტინგენტი მომხმარებელთა¹⁾.

ტფილისში ეს წიგნები იბეჭდებოდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის განკარგულებით²⁾.

1) ე. ხელაძის ყოფილი თანამშრომლის კერძო წერილიდან.

2) იხილე „დაბადება“ ნაწ. I. 1884 წ. ტფილისი.

თავი მეექვსე

ქართული წიგნის განვითარების გზები მაცხხრა-
მებზე საუკუნის პირველ სამ მეოთხედში

(1800—1875)

სტამბის დაარსება ქუთაისში და იქ პირველ-ნაბეჭდი წიგნები.—ქუთაისიდან სტამბის გადატანა სოფ. წესხ და იქ დაბეჭდილი წიგნები.—სტამბის განახლება სოფ. საჩხერეში.—სტამბის მუშაკნი იმერეთში.—მე-XIX საუკუნიდან ტფილისში სტამბის განახლება და საგამომცემლო საქმის კვლავ გამომცემლობა.—პირველი ქართული გაზეთი.—ქართული წიგნის საქმე 30-ან წლებიდან.—გაზ. „ტფილისის უწყებანი“ და მისი „სალიტერატურულ ნაწილნი“.—სოფ. დოდაშვილის საგამომცემლო მუშაობა.—ვორცნოვოს დრო და წიგნის საქმის აღორძინების დასაწყისი.—ბლ. იოსელიანის და სხვათა საგამომცემლო მოღვაწეობა.—გ. ერისთავი და მისი „ცისკარი“.—ქართული წიგნი ორმოცდაათიან წლებიდან და მისი დაჯკუჟება სოციალური დანიშნულების პისედეით.—ერთდროულ გამომცემების სასელწოდებათა რაოდენობა და ტირაჟი 70—80-ან წლებში.—პერიოდულ გამომცემათა განვითარება და ტირაჟი.



ქაბაძე

ტაბაკი

1821 წელს



No 12.

ამ დღეში ჩამოსა და შეტყობდა პისა დროს დუარდის ტყისათვის მივლის რატი
 დამ ქალობევანს, მხედრის სასამონო მისერი ტარვი ტაბაკი პალოფრეიდა
 ანთავი, რე ქალობევან იმეტიანსა. რამეც წყლისის იმეტიანს ხალობს პისორა,
 გოდოდ სანარტელს სამა ურის ურის მიონი პაობლოფრეიდა კეკელინ არტელ
 სანარტელს მია ან მხარეთელს დენტი - დუარდის გენარდის პარდის ბარტენი
 რის ოტიან ტარს იგროფრეიდა ყუბოდ დეობრეიდა რეას ქალობევან და პალობევან
 და კალობევანსა ჩამოსა და შეტყობდა პისა დროს დუარდის ტყისათვის მივლის რატი

ქართული წიგნის ბანკითარების გზები მცხრამე-
ტი საუკუნის პირველ სამ ემოტხელში

(1800—1875)

სანამ მე-XIX საუკუნის დასაწყისიდან ტფილისში წიგნის საქმის მდგომარეობას შევხებოდეთ, საჭიროა უწინარეს აღვნიშნოთ სტამბის დაარსება ქუთაისში.

ზოგიერთ ავტორთა აზრით, ქუთაისში სტამბა უნდა გახსნილიყოს მეთვრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებიდან¹⁾. მაგრამ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ეს ცნობა რაღაც გაუგებრობაზეა აგებული. ნამდვილად ქუთაისში სტამბა დააარსა სოლომონ მეორემ, სადაც პირველად მხოლოდ 1803 წელს დაიბეჭდა წიგნი.

ქუთაისში სტამბის დაარსების შესახებ მოგვეპოება საინტერესო დოკუმენტი, რომელიც დაწერილია სოლომონ მეორის მიერ, სახელდობრ 1803 წლის 9 თიბათვეს. ამ დოკუმენტში იმერეთის მეფე, მის მიერ ქუთაისში „ყოვლითა სისრულითა“ დაარსებულ

¹⁾ ზ კ ი კ ი ნ ა ძ ე ს, როგორც თვითონ გადმოგვცემს, ჰქონებია (?) ქუთაისში 1770 (sic!) წელს დაბეჭდილი წიგნი, რომელზედაც წერებულა: „დაიბეჭდა ესე დაუჯდომელი სამეფოსა ქალაქსა ქუთაისს, დროსა სოლომონ მეფისასა წელსა ჩლო (1770)“, რასაც კიკინაძე დასძენს, რომ აქ იბეჭდებოდა კიდევ სხვადასხვა წიგნებით; საბეჭდი დაზგა კი ქუთაისში ტფილისიდან წაუღიათო. (იხ. მისი „ქართული სტამბები“, გვ. 102 და შემდეგ). ერთ დროს ზ. კიკინაძის მაგვარ ცნობას იძლეოდა დ. კ ა რ ი კ ა შ ე ი ლ ი ც, რომელიც სწერდა, რომ ქუთაისში სტამბა 1785 წელს დაარსდა და იმავე დროიდან წიგნებიც იბეჭდებოდაო (იხ. „წიგნის ისტორია“ გვ. 49), ხოლო მის მიმდინარე წელს გამოცემულ წიგნში ეს შეცდომა გამოსწორებულია (იხ. „ქართული წიგნ. ბეჭდვის ისტ.“, გვ. 106). თავის პირველ წიგნში კარიკაშვილი იმეორებდა პროფ. ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ე ი ლ ი ს, აგრეთვე შემცდარ ცნობას: „მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს, 1785 წელს, იმერეთის მეფე სოლომონ მეორემ რომანოზ ზუბაშვილის დახმარებით, რომელმაც სასტამბო ხელოვნება შეისწავლა ვალაქიელ მიხაილისაგან, ააშენა ქუთაისში სტამბა საეკლესიო წიგნების საბეჭდად, სადაც 1787 წელს დაიბეჭდა კიდევაც ქუთაისში პირველი წიგნი“ (იხ. Очерки по истории груз. слов., т. III, стр. 368) შემდეგ ასეთსავე შემცდარ ცნობებს იმეორებდენ ევ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, საქ. ეკლესიის ისტორია, გვ. 156-158—და სხვები.

სტამბის ზედამხედველობას ანდობს სახლთხუცესს ზურაბ წერეთელს, რომელსაც ეუბნება: „რომელიც იყოს წესი და შესამატი მეფობისა ჩემისა და საჭირო წმინდათა ეკლესიათა მას იქმოდო“¹⁾.

როგორც სჩანს, სოლომონ მეორეს „დიდითა გულის მოდგინებითა რათამცა ქვეყანასა ჩვენსა ყოფილიყო სტამბა“, გამოუწერია რუსეთიდან, — ერეკლე მეორის დროს ტფილისში ნამყოფი, — მესტამბე ზუბაშვილი და სასტამბო იარაღები, რომლითაც გაუყვებია სტამბა სსენებულ რომანოზ ზუბაშვილს.

როგორც აღვნიშნეთ, ქუთაისში პირველად დაიბეჭდა წიგნი 1803 წელს. ამ პირველნაბეჭდ წიგნს აქვს შემდეგი მინაბეჭდი: „სადიდებლად ყოვლად წმინდისა თანაარსისა ცხოველყოფელისა სამებისა... დროსა ყ-დ უბრწყინვალესისა უკეთილმსახურესისა და უმაღლესისა სოლომონ მეორისა, მეფისა ყოვლისა საიმერეთოსისა და კეთილმორწმუნისა დედუფლისა, მარიამ დადიანის ასულისა... კურთხევითა ყოვლად სამღვდელთა მიტროპოლიტისა და ეპისკოპოზთა დაიბეჭდა წიგნი ესე სამღვთო და სამღვდლო სახარება, ვნების კვირიაკისა, სამეფოსა ქალაქსა ქუთაისს, პალატსა სამეფოსა, საფასითა მათის უმაღლესობისათა, ზედამდგომლობითა თავადის სახლთხუცესს ზურაბ წერეთელისათა, წელთა დასაბამითგან სოფლისა ხბია, განხორციელებიდან სიტყვისა ლ-ისა ჩუგ (1803) თვესა იუნისსა, რიცხუსა იე“ (15).²⁾

1) მოგვეყვას ეს საინტერესო დოკუმენტი:

„ქ. მსასოებელმან ყოვლად წმინდისა სამებისამან ყოვლისა იმერეთისა მეფემან მეორემან სოლომონ ვიჯულისმოვიდინე დიდითა გულის მოდგინებითა რათამცა ქვეყანასა ჩვენსა ყოფილიყო სტამბა. და შეწვევითა ქრისტესითა ეკმენ სტამბა ქუთაისს ყოვლითა სისრულითა უნაკლულოდ, სახსოვრად მეფობისა ჩემისა: და აწ დიდსა ერთგულსა და ერთ სულსა ჩემსა სახლთხუცესსა წერეთელსა დიდსა თავადსა ჩემსა ზურაბს გარწმუნებ ზედა მდგომელობასა ჩემსა აზის სტამბისასა, ვითარცა უპირველესსა ნიქსა პატივისასა. რომელიცა იყოს წესი და შესამატი მეფობისა ჩემისა და საჭირო წმინდათა ეკლესიათა მას იქმოდე. უსწავლელთა ცნობითა და წინააღმდეგობთა ნებითა და ძალითა განმართვიდე. და ნაკლულევეანებასა ყოველსა აღსავესებდე სიყვარულისათვის ჩემისა, რამეთუ მიზეზი კეთილისა და არა კეთილისა და ყოვლისა წესიერებისა ქედსა ზედა შენსა დამიძ და ყოველი საქმე მისი და განწყობილი სტამბასა გიბოძებთ. ყოველისა შეძლებელმან ღმერთმან წარგვიმართოს: წელთა ჩუგ (1803): თიბათვის 3 (9)

ბეჭდის
ადგილი

მეფე იმერთა სოლომონ“. (იხ. აგრეთვე უფრ. „კვალი“ № 27. 1896 წ.).

2) 1803 წ. დაბეჭდილი სახარება ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში; იხ. არეთვე კარიკაშვილის, ქართ. წიგნ. ბეჭდვ. ისტორია, გვ. 106—107.

შემდეგ იმავე წიგნის უკანასკნელ გვერდზე ვკითხულობთ: „მდაბალი არხიმანდრიტი ზაქარია ლოცვას გ-ბი ყ-თა მ-რ რ-ნ ვიგულს მოვიდგინე მუშაკობად ამისა და განვმართე წ-ა ესე სახარება ყ-თა სიმკაცრითა (?) და ღაზვის მმართველობითა“; შემდეგ: „ბრძანებითა მათის უმაღლესობისათა მოწოდებულ ვიქმენ რუსეთით მოსამსახურეთ და გაკეთდა სტამბა ესე ხელითა მესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათა“¹⁾.

იმავე 1803 წელს დაიბეჭდა ქუთაისში აგრეთვე „კურთხევანი“, რომელშიაც იგივე ცნობებია, რაიც სახარებაში მოხსენებული, — მხოლოდ ცოტა სხვა ვარიაციით²⁾. 1807 წელს ქუთაისში დაიბეჭდა კიდევ „ღვთივ სულიერი წიგნი ესე ფსალმუნთა ქ-ს აქეთ ჩუხ, თვესა მარტსა კვ, სტამბის უხუცესობითა ზურაბ წერეთლისათა; ხელითა მესტამბე რაზმაძე რომანოზ ზუბაშვილისათა“³⁾. ხოლო „გამგე და ზედამხედველი სტამბისა ამის“ არის არქიმანდრიტი ზაქარია⁴⁾.

მაღე ამის შემდეგ სტამბა ქუთაისიდან სოფელ წესს გადაუტანიათ, სადაც 1810 წელს დაიბეჭდა „სავედრებელი ღვთის მშობლისა“, რომლის ბოლოფურცელზედ ვკითხულობთ: „დაიბეჭდა წიგნი ესე სამეფოსა ქუეყანასა წესს, ხელითა რომანოზისათა“⁵⁾.

წესშივე დაიბეჭდა აგრეთვე კიდევ: „სამღეთო და საეკლესიო წიგნი გამოკრებული სადღესასწაულო“,⁶⁾ სოუელსა შინა წესს: ჩყია (1811), გულისმოდგინებითა შრომითა და ღვაწლითა ყ-დ სამღედლოჲსა ნიკოლოზ წმინდელ არქიერის სოფრონისათა, ხელითა მესტამბე ზუბაშვილისათა, რომელიც მიცუალეზულ იქნა, უწინარეს შესრულებისა ამის, ხოლო შემდეგ მიცუალეზისა მისისა, მე ძემან მისმან დაეით ვიწყე და აღვასრულე“⁷⁾.

¹⁾ ibid.

²⁾ „კურთხევანი“, 1803 წ. ქუთაისი. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში; იხ. აგრეთვე მისი ბიბლიოგრაფია: პროფ. ა. ცაგარელი — Сведения о памятн. гряз. писем. т. I — стр. 96.; კიდევ პროფ. კეკელიძე — Истори. чекск. сემет. и. и. стр. XVIII. წინასიტყვაობაში.

³⁾ ეს წიგნი ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში, აგრეთვე საქ. ცენტრ. არქივში.

⁴⁾ ibid.

⁵⁾ „სავედრებელი ღვთის მშობლისა“ ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

⁶⁾ „სადღესასწაულო“ 1810 წ, წესი. ინახება რესპუბლიკის საჯარო ბიბლიოთეკაში. იხ. აგრეთვე პროფ. ა. ცაგარელი. Сведения... т. I. стр. 39.

⁷⁾ აღსანიშნავია, რომ მესტამბე რომანოზ ზუბაშვილის შთამომავლობა ამჟამადაც ცხოვრობს სოფ. წესში, რაჭაში. ზუბაშვილები თავის თავს რუსთა შთამომავლად სთვლიან, მეზობლებიც მათ ასე იხსენიებენ. (ესარგებლობ ნიკ. ბრეგაძის კერძო წერილათ, რომელმაც ჩემის იხივნით თვით ამ გვარის ერთი წარმომადგენლისაგან მიიღო ეს ცნობები). ხშირად უკანასკნელნი მათ მესტამბ-

ეს „სადღესასწაულოც“ დაიბეჭდა მესტამბეთუხუცესობითა ზურაბ წერეთლისათა, რომელიც თავის წინასიტყვაობაში გამოგვეცემს: „მათს ყ-დ სამღვდელოს ნიკოლოზ წმინდელს სოფრონს ეს სადღესასწაულო დაეწყო და რამოდენიმე რუეული თავის ხარჯით დაებეჭდა და აწ ჩვენ... ვინებეთ ამ სადღესასწაულოს შესრულება... ჩვენის საფასით დაებეჭდეთ და შევასრულებთ“.

ამის შემდეგ, 1812—1814 წლებში იმერეთში დაბეჭდილი წიგნები არ მოგვეპოვება. ცხადია ამ ხანებში იმერეთში მომხდარი ღრმა პოლიტიკური ცვლილება (რუსეთთან შეერთება), სტამბის მუშაობის ნორმალურად წარმართვის საქმეზეც იმოქმედებდა. ამასთანავე ქუთაისიდან წესში გადატანაში და სხვა არა ხელსაყრელ პირობებში სტამბაც საკმაოდ დაზიანდებოდა.

როგორც სჩანს 1815 წლისათვის წერეთლებმა (ზურაბ და გრიგოლ) თავს იღვეს სტამბის ხელ ახლად ამუშავება. რისთვისაც მათ რუსეთიდან გამოიწერეს ორას სამოცი თუმნის სასტამბო იარაღები და მოწყობილებანი, აგრეთვე ქალაღდი და სტამბის სრულყოფა მიანდვეს არქიმანდრიტ ზაქარიას. ამ შემთხვევაში სტამბა გაკეთებულ იქნა ზურაბ წერეთლის სასახლეში, სოფ. საჩხერეს.

სტამბისა და წიგნის ბეჭდვის საქმეში, როგორც დაბეჭდილი წიგნებიდან სჩანს, ზურაბის შვილი გრიგოლ წერეთელიც ღებულობს მონაწილეობას. წერეთლებმა „უტყუარი პირობის და სიმტკიცის წერილით“ თავიანთი სტამბის ხელმძღვანელობა მიანდვეს არქიმანდრიტ ზაქარიას. უკანასკნელს თანახმად ხელშეკრულებისა გრიგოლ და ზურაბ წერეთლების სტამბაში იმათივე ხარჯით და თავისი ოსტა-

ბი შვილებსაც უძახიან. დ. კარიკაშვილის აზრით ეს „ლეგენდა“ დამყარებულია იმაზე, რომ „რომანოზ ზუბაშვილი სოლომონ მეორემ გამოიწვია რუსეთიდან, სადაც ის ცხოვრობდა ქართლიდან 1795 წლის შემდეგ წასული. რუსეთში ყოფნისას რომანოზი და მისი ოჯახის წევრები რუსულს ისწავლიდენ, ზოგ რუსულ ჩვეულებებსაც შეითვისებდენ და გვარსაც რუსულ დაბოლოვებას (ზუბოვი) მიცემდენ, როგორც ეს მაშინ ჩვეულებრივად ხდებოდა. ყველაფერი ეს კი მათს მეზობლებზე ისეთს შთაბეჭდილებას მოახდენდა, თითქოს ისინი რუსები ყოფილიყვნო“ (იხ. ხსენებ. წიგნის, 112—113 გვ.). მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ერეკლე მეფის დროიდანვე საქართველოში იყვნენ რუსეთის მოხელეები, ზუბოვიც კი გვარით, რომლებსაც აღვიღად შეეძლოთ გაქართველებულიყვნენ, და ერეკლეს მიერ განახლებულ სტამბაში (1782 წლიდან) ემუშავენათ. ამრიგად შეიძლება იყოს, რომ ზუბაშვილი ერეკლეს დროს გაქართველებული რუსი ყოფილიყო; ამ მხრივ აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ ეს ზუბაშვილები მეორე ქართულ გვარსაც ატარებენ: „მესტამბე რაზმაძე რომანოზ ზუბაშვილი“ (იხ. 1807 წ. ქუთ. დაბეჭდილი „ფსალმუნის“ ბოლოსიტყვაობა, კიდევ ერეკლე მეორეს დროს ტფილისში დაბეჭდილი წიგნების სათანადო მინაბეჭდები.)

ტობით უნდა ებეჭდა წიგნები, რომელთაგან მიღებული მოგების ორი მესამედი წერეთლების იქნებოდა, ხოლო ერთი მესამედი კი ზაქარიასი.

თუ რომ ზაქარია საკუთარი ხარჯით დაბეჭდავდა წიგნებს, მაშინ მოგებაც მთლიანად მისი იქნებოდა, მხოლოდ სასტამბო ხარჯებს დაფარავდა, — სტამბის პატრონის, წერეთლის სასარგებლოდ¹⁾. სჩანს, რომ წიგნის ბეჭდვა მომგებიანი საქმე ყოფილა. ეს მით უმეტეს სარწმუნოა, რომ იმ ხანებში ტფილისშიაც არ იბეჭდებოდა სასულიერო წიგნები და ამრიგად მთელი საქართველოს მოთხოვნილება იმერეთის სტამბაზე იყო მიმდგარი. მაშინ არც რუსეთში იბეჭდებოდა საკმაო რაოდენობით ქართული საეკლესიო წიგნები.

ამრიგად განახლებულ სტამბაში, საჩხერეში, დაბეჭდილ წიგნში ვკითხთლობთ: „დაიბეჭდა სახარება... დროსა უკეთილმსახურებისა და თვითმპყრობელისა და დიდისა ხელმწიფისა აღექსანდრე პავლესძისათა ს-დ როსიისა და სხვათა... კურთხევეითა ყ-დ სამღვდელთისა... დაიბეჭდა წიგნი ესე საჩხერეს, სასახლესა სარდალ — სახლთხუცის ზურაბ წერეთლისასა; საფასწარსაგებლითა თავადის მაიორის და კავალერის წერეთლის გრიგოლისათა, წელსა ჩვიზ (1817) თვესა აპრილს, რიცხუსა: ვ²⁾.

ამ წიგნის დაბეჭდვაში, როგორც მინაბეჭდიდან სჩანს, „ფრიადი შრომა“ თავს უღვია და აღუსრულებია გენათელ ზაქარიას, ³⁾ რომლის მიმართვა ზურაბ წერეთლისადმი მიბეჭდილი აქვს წიგნს: „მოწყალეო ხელმწიფე! არა თავისა, ხოლო თვისისა ეძიებენ ღვთის მოყვარენი, არამედ მოყვასისასაცა... მე უკვე რაოდენ მთხოვედა ღვთის მსახურებაჲ თქვენ; მსახურებასა შეუღდეგ ბრწყინვალებასა თქვენისასა, ვითარცა სუროდა, სამღვთოსა სულსა შენსა წმინდა ესე სახარება დავბეჭდე, მრავლითა შრომითა და სხვათაცა წიგნთა და წიგნაკთა ნაშრომთა ჩემთა სახელი შენი აღვწერე. ვსასოებ კაცთმოყვარისა ღვთისაგან, რათა უზადოთა კეთილმოქმედებითა შენითა წიგნთაცა შინა ცხოვრებისათა აღიწერო სამარადისოდ“ ⁴⁾.

ამაზე ადრე საჩხერეში დაიბეჭდა კიდევ „სამოციქულო“ ⁵⁾ და სხვა წიგნებიც, რის შემდეგ, ზოგიერთი გადმოცემის თანახმად, ეს სტამბა, 1820 წელს, გადაუტანიათ ისევ ქუთაისს. ყოველ შემთხვევაში 1817 წლის შემდეგ საჩხერეში დაბეჭდილი წიგნი ჩვენ არ შეგვხვედრია, ხოლო ქუთაისში ამის შემდეგ განვითარებულ წიგნის საქმეზე ქვემოთ შევჩერდებით.

1) იხ. დ. ქარიკაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია 1929. ტკილისი. გვ. 110.

2) სახარება. 1817. საჩხერე. ინახება საქ. ცენტრ-არქივში.

3) ibid. ბოლო ფურცელი.

4) სახარება. 1817. საჩხერე. მეორე ფურცელი.

5) „სამოციქულო“ 1815. საჩხერე. ინახება ცენტრ. არქივის ბიბლიოთეკაში.

აქვე აღენიშნავთ, რომ ქუთაისიდან ჯერ წესსა და შემდეგ საჩხერეში სტამბის გადატანის მიზეზს აწერენ შავჭირს, რომელიც მაშინ იქ გაჩენილა¹⁾).

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში შექმნილმა მდგომარეობამ ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე ტფილისში კარგა ხნით შეაჩერა.

ქრისტეფორე კეჟერაშვილის მეცადინეობით 1800-იან წლებში განახლებული სტამბა²⁾, სადაც დაიბეჭდა დავით ბატონიშვილის „ნარკუვეი“³⁾ და „დაუჯდომელი წმ. ღვთის მშობლისა“⁴⁾ (ორივე 1800 წელს), როგორც სჩანს, მალე გაუქმებულა. თვით ეს წიგნებიც ტენიკურად ძლიერ სუსტადაა შესრულებული.

1800 წლიდან ვიდრე 1805 წლამდე, როდესაც, კავკასიის მთავარმართებლის ციციანოვის განკარგულებით, მოწყობილ იქნა ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელთან, ძველი იარაღებისა და მოწყობილობის გამოყენებით, ახალი სტამბა⁵⁾. არაფერი დაბეჭდილა. ციციანოვის მიერ განახლებულ სტამბას მოხმარდა არხიეპისკოპოზ გაიოზის სასტამბო იარაღებიც, რომლებიც იმ ხანებში კრემენჩუგიდან ჩამოიტანეს⁶⁾ პატრონისავე თანხმობით.

რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რად დასკირდა 1800 წელს განახლებულ სტამბას, სადაც წიგნებიც იბეჭდებოდა, 1805 წლისათვის ისევ განახლება და აშენება,—ამას ჩვენამდე მოღწეული ცნობები ნათელს ვერ ჰყენს⁷⁾).

1) ხ. კიკინაძე—ქართული სტამბები. გვ. 132; აგრეთვე პროფ. ხახანაშვილი—Очерки по ист. груз. слов. Т. III, стр. 369.

2) Д. Корганов (?)—Сведения с типографиях Грузии („Кавказ № 48, 1846); И. Дубровин—Закавказье от 1803—1806 г. стр. 129—130.

3) დავით ბატონიშვილის „ნარკუვეი“ ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

4) „დაუჯდომელი წმ. ღვთისმშობლისა“ ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

5) Акты Кавк. Археограф. ком. т. II გვ. 199; Дубровин, I. с. 83. 131.

6) В. С. Сопиков—Опыт российской библиографии... предисловие გვ. LIX. 1813 СПб; Корганов I. с.; შეადარეთ აგრძობე Акты... ტ. II გვ. 200.

7) როგორც 1800 წლებში ისე 1804/5 წლებშიაც ტფილისში სტამბის განახლების თანამედროვე და იმავე დროს სტამბისავე მუშაკი დ. ყორღანოვი თავის წერილში (Дубровин, I. с. გვ. 129-130) არ იხსენიებს, თუ რა იყო 1800 წლის შემდეგ სტამბის გაფუჭების მიზეზი. როგორც მისი წერილიდან სჩანს (იხ. აგრეთვე „Кавказ“ № 46, 1846 წ.), დ. ყორღანოვი ყოფილა ქრ. კეჟერაშვილის კონკურენტი, როგორც სტამბის საქმის მცოდნე, ჯერ კიდევ ერეკლე მე-II-ის დროიდან, მაგრამ თურმე ყოველთვის ქრ. კეჟერაშვილი იმარჯვებდა, რადგან მას მეფე და ბატონიშვილები მეტად სწყალობდნო, ამბობს თვით ყორღანოვი.

თუმცა სტამბა 1805 წელს განახლდა, მაგრამ იქ წიგნები კიდევ კარგა ხანს არ დაბეჭდილა; სტამბაში მხოლოდ მთავრობის სხვადასხვა დადგენილება და განკარგულება იბეჭდებოდა, რომელიც მაშინ ქართულად უნდა გამოცემულიყო, რადგან მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ მხოლოდ ეს ენა იცოდა.

საერთოდ რამდენადაც საქართველო მე-XIX საუკუნის პირველ მეოთხედში, როგორც სოციალ-პოლიტიკურად, ისე კულტურულ-ეკონომიური ცხოვრებითაც ქაოტიურ ხანას განიცდიდა, ცხადია, წიგნების ბეჭედა-გამოცემისათვისაც ვერაფერს „მოიცილიდა“.

გარდა მოხსენებული სტამბისა დაარსდა კიდევ სამხედრო უწყების სტამბა, სადაც რუსულს გარდა ქართული შრიფტიც იყო. მაგრამ საგამომცემლო საქმე მაინც სულს ლაფავდა, — კიდევ მეტიც, შეიძლება ითქვას: სულ განისვენებდა.

მეორე ათეული წლებისათვის რაღაც სიცოცხლის ნიშნები გამოჩნდა: თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც იბეჭდებოდა „რუსულ უბნობათა“ ანუ „რუსული რაზლაგორის“ თვითმასწავლებლები ქართული ასოებით¹⁾, აგრეთვე ანბანის წიგნები, და მალე, სახელდობრ 1819 წელს, პირველად ქართული გაზეთიც გამოიცა²⁾.

პირველი ქართული გაზეთის გამოცემა დაწყებულ იქნა ტფილისის 1819 წლის დასაწყისს „საქართველოს გაზეთის“ სახელწოდებით, რომლის პირველი ნომერი 8 მარტს გამოვიდა.

გაზეთი იყო ყოველ-კვირეული, საწერი ქალაქის თაბახის ზომისა, ოთხ-გვერდიანი³⁾. პირველ წელს გამოვიდა 41 ნომერი, შემდეგი

¹⁾ იხ. „ქართული გაზეთი“ № 12. 1821. გამოცხადება. (ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.)

²⁾ არის გადმოცემა, რომ ერეკლე მე-II-ს დროს ტფილისში იბეჭდებოდა გაზეთის მსგავსი ფურცლები, რომელსაც თურმე „ლეპორტი“ ეწოდებოდა და რომელიც დროგამოშვებით გამოდიოდა. (იხ. ზ. კიკინაძის — ქართული სტამბები, გვ. 90). ამ გადმოცემას, ნაწილობრივ მაინც, ადასტურებს 1764 წელს (ერეკლეს დროს) დაბეჭდილ „კურთხევეანში“ მიბეჭდილი „მიმართვა მკითხველთა წიგნისა ამის“, სადაც ნათქვამია: „დაიბეჭდა პირველად ფსალმუნი. მეორედ კონდაკი, მესამედ კიდევ ფსალმუნი და ეგრედვე მცირედნი წიგნნი რ-ნიმე სახმა-რად ეკლესიისა ჩ-ნ ქართველთასა“—ო. შესაძლებელია, ეს „მცირედნი წიგნნი“ სხვადასხვა წესდებანი და განკარგულებანი ყოფილიყვნენ, რომლებსაც ასე ბლომად ადგენდა და ავრცელებდა საქართველოს პატრიარქი ანტონ (I), განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რუსეთში განდევნილი ის ისევ საქართველოს საპატრიარქო ტახტს დაუბრუნდა. (იხ. კურთხევეანი 1764. ტფ. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.)

³⁾ გრ. ყიფშიძე, (Периодическая печать на Кавказе стр. 24), ვ. კოტეტიშვილი (ქართ. ლიტერატურის ისტ. ტ. I, გვ. 60—61), ზ. კიკინაძე (ქართული სტამბები—საქ. კალენდარი, ვ. გუნიასი 1897) და სხვ. პირველი ქართული

საქართველოს განგებთ
 ბრძანება
 მარტის 19-ს
 საქართველოს
 ტერიტორიაზე



HO. I.

ს ა ნ კ ტ ა მ ტ რ ა უ რ დ ს

აქედან იქნა საზამთროს სასახლის გვიგე-
 სითი საღებროს ყამის წირვის შედგენად სა-
 ლატ სუსა შირია ლეჩენს უცხის ქუე-
 რის, პირიჭირიყა შათ დიდუბუღეთათ
 კვლევითი იტყვრატორბა ქიკჭერ-
 ავტიტამ შარიაშ თეოლოგიურის სხუ-
 რთა ქმარა იმპერატორ ბილი სიგ-
 ბლეთ: დიდმა შთავარება წკლათა
 ჯავლქსებმა ქდიტამთავარი წამ
 დღეკანდრთე თეოდორეს ასხლემი
 იოანე ნათურის მილთა უწყეთა სახსლემი
 მათ: ლა იონათემეშვიტ გუბანგანა მუხსად
 ხრულადი ქლლქი ტანახუბული იუა წირალი-
 აბიათა

პირველი ქართული გაზეთი: „საქართველოს გაზეთის“ პირველი ნომერი, გამოცემული 1819 წ. 8 მარტს.

(დაბატარავებულია)

წლისთვის ნავარაუდები იყო 50 (გამოიცა კი 51) ნომერი. განსაკუთრებული შემთხვევებისას დამატებაც ახლდა. ხელის მოწერის ფასი იყო სამი მანეთი ვერცხლი, ხოლო გაგზავნისათვის დამატებით ერთი აბაზი წლიურად.

როგორც განცხადებიდან სჩანს, რედაქცია და გამომცემლობა კომერციულ მიზანს არ ისახავდა, მას სურდა მხოლოდ გამოცემის ხარჯების დაფარვა, რისთვისაც ხელის მომწერთ გაფრთხილებაც კი ეძლეოდათ, რომ გამოცემა გაგრძელდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამომწერელი იქნებოდა არა ნაკლებ 500-სა.

ამიტომ, რადგან გაზეთი გამოდიოდა, უნდა ვიფიქროთ, მისი ტირაჟი 500-მდე აღწევდა, თუმცა, მეორეს მხრივ, ისიც მოსახსენებელია, რომ გაზეთს მთავრობაც ეხმარებოდა. მაგალითად, 1821 წლის დეკემბერში საქართველოს სამოქალაქო საქმეთა გუბერნატორი წინადადებას აძლევს ტფილისის პოლიციისტიერს, რათა უკანასკნელმა ყოველგვარი დახმარება გაუწიოს გაზეთის ხელის მომწერთა გამრავლებას¹). მიუხედავად ამისა, ხელის მომწერთა რიცხვი ფრიად მცირე იყო. პლეშჩევმა (ალბად რედაქტორთაგანია) დიდი მეცადინეობით 1822 წლის მარტის უკანასკნელ რიცხვებისთვის შესძლო მთელ ტფილისში მხოლოდ 19 ხელის მომწერლის მოგროვება, რომელთაც 57 მანეთი გაიღეს²).

გაზეთის დაარსების წელთაღრიცხვას შეცდომით 1817 და 1818 წლებიდან იწყებენ, თუმცა ნამდვილად ამ წლებში არაერთი ქართული გაზეთი არ გამოცემულა.

1) ამ გაზეთის კოლექცია ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში, სადაც უკანასკნელ ხანებში პირველი ნომერიც (1819 წ. 8 მარტის თარიღით) მიგმატა. პირველი ქართ. გაზეთის ბიბლიოგრაფიისთვის იხ. დ. კარიკაშვილი, — ქართ. პერიოდულ გამოცემათა ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა (წიგნის მეგობარი № 1—2. გვ. 93—94).

2) Вейденбаум, Е.—Первая грузинская газета (Иллюстрир. прибавл. к газ. „Тифлисский листок“. № 21. 1900 г.), აგრეთვე, Кавказские тютюды том I, стр. 194. 1901 Тифл. რადგანაც დღემდე ყველა მკვლევარი სხვადასხვა გვარ ცნობებს გვაწვდიან ამ გაზეთის შესახებ, ამიტომ, ცოტა შეზღუდვით ამ საკითხზე: დ. კარიკაშვილი და გრ. ყიფშიძე (ხსენებ. წიგნში) 1820 წლიდან იწყებენ მეორე გაზეთის, „ქართული გაზეთი“-ს ისტორიას. „კარიკაშვილი გაკვირვებულია იმ გარემოებით, რომ 1820 წლის მეორე ნახევრიდან „საქ. გაზეთი“-ს ნაცვლად ხდებდა „ქართული გაზეთი“-ს ნომრებს, და მიდის იმ დასკვნამდე, —ახალი გაზეთის გამოცემა დაუწყიათ. (იხ. ქართ. პერიოდ. გამოც. ბიბლ. „წიგნის მეგობარი“ № 1—2 1925). ზ. უკიკინაძეც კი ამ გაზეთის 1821 წლის ნომრებში ცხენზე მჯდარი თეთრი გიორგის ნახტის მოვლინებამ შესამე ქართული გაზეთის ისტორია დააწყებინა (ქართ. სტამბა და ვახტანგ მეექვსე. გვ. 17) ხემოსხენებულ ავტორთა „ცნობები“ შემდეგ სხვებმაც გაიმეორეს.

ყველა ეს ავტორები შეცდომაში არიან შესულნი, რადგან ამ გაზეთის არსებობის არცერთი მათგანი არ გასცნობია. „საქართველოს გაზეთი“, რომელსაც აკვა-

უნდა ვიფიქროთ, რომ 1822 წელს ეს გაზეთი არ გამოსულა, ან ყოველ შემთხვევაში ამ წლის დასაწყისშივე შესწყდა მისი გამოცემა. ჩვენამდე ჯერჯერობით ამ წლის არც ერთი ნომერი არ მოღწეულა.

თუ ვინ იყო ამ გაზეთის რედაქტორი, არა სჩანს. ის იცემოდა კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის შტაბთან. თვით „ქართული გაზეთის“ ბოლოში მიბეჭდილია: „გამოცემულ არს უმთავრესსა შინა კვარტირასა საეცეს“¹⁾.

В. Т.-ის სიტყვით გაზეთს თვით გენერალი ერმოლოვი პირადად უწევდა კონტროლს²⁾, (ალბად, რუსული ტექსტის საშუალებით).

გაზეთის გამოცემის ხანებში თანდათან წიგნების ბეჭდვაც გახშირდა. აღსანიშნავია, რომ ამ დროს დაბეჭდილი წიგნები ტეხნიკუ-

სიის მთავრობის მაღალი მოხელენი სცემდნენ, კავკასიის განსაკუთრებულ კორპუსის შტაბთან. რუსულად იწოდებოდა „Грузинская Газета“-დ; რუსულადვე სდგებოდა მისი ტექსტი, რომელიც შემდეგ ქართულად ითარგმნებოდა და იბეჭდებოდა. სხვა სიტყვებით: „Грузинская Газета“ იყო დედანი, როგორც „საქართველოს გაზეთი“-ს, ისე „ქართული გაზეთი“-საც და სიტყვა „საქართველოს“ „ქართულად“ შეეკლა ნხოლოდ მთარგმნელის მიერ „Грузинская Газета“-სთვის უკეთესი ქართული შესატყვისის გამოიხიზნა უნდა ზიეწეროს. არავითარ ახალ გაზეთსა თუ „რეორგანიზაციას“ ადგილი არ ჰქონია. უნდა ვიფიქროთ, ასევე უბრალოდ მომხდარა 1821 წლიდან ამ გაზეთში ცხენზე მჯდარი თეთრი გიორგის ნახატის მოთავსება: ალბად იმიტომ, რომ გაზეთს უფრო ქართული ელფერი მისცემოდა და მასში გამოცხადებული კავკასიის მთავრობის ბრძანებანი ქართული ასოებით გავრცელებულიყო მოსახლეობაში, რომელიც იმ ხანებში დაწყებულ სასტიკ რუსიფიკატორულ პოლიტიკას ადვილად ვერ ურიგდებოდა.

გსარგებლობ ე. ვეიდენბაუმის ხსენებული წერილით და „В. Т.-ის „Кавказ“, библиографическ. заметки к 50 летию газеты („Кавказ“ № 4 1896), რომელთა ცნობები საშუალება გვქონდა შეგვემოწმებია „Штат отдельного Кавказского Корпуса“-ს არქივში. ვეიდენბაუმის ცნობებს ნაწილობრივ უახლოვდება პროფ. ალ. ხახანაშვილის—ახალი ქართ. ლიტერატურის მოძრაობა („კვალი“ № 2. 1894), თუმცა პროფ. ხახანაშვილი პირველი ქართული გაზეთის გამოცემის თარიღს 1821 წლიდან იწყებს (ibid); იხ. აგრეთვე М. Джаншев—Первая Газета в Тифлиссе („Кавказский книжный вестник“ № 3. 1900); Вейденбаум, „Кавказские Этюды“ т. I, стр. 194—197. 1910 Тифлис. იხ. აგრეთვე ჩვენი წერილი: ქართული წიგნის ბეჭდვის სამასი წლის თავის გამო (ქურნ., „მნათობი“ 1929 № 4 გვ. 174-175).

¹⁾ იხ. „ქართული გაზეთი“-ს 1820 წ. ნომრები, ტ. V. წიგნთსაცავში.

²⁾ გაз. „Кавказ“ № 4. 1896. ვეიდენბაუმის ახრი, რომ გაზეთს რედაქტორი მაშინ არ სჭირდებოდა, რადგან ცენზურა არ არსებობდა, არ შეეფერებოდა სიმართლეს (იხ. თავი ცენზურაზე). რედაქტორის აღუნიშვნელობა უფრო იმით აიხსნება, რომ გაზეთს თვით „ცენზორები“ სცემდნენ.

რი შესრულების მხრივ დიდად ჩამოუარდება ვახტანგ მე-VI-ის და ერეკლე მე-II-ის დროინდელ ქართულ წიგნებს¹⁾).

უეჭველია, იმ დროს წიგნის მოთხოვნილება ფრიად სუსტი იყო. გასაყალი ჰქონდა რაოდენადმე „რუსულ და ქართულ უბნობათა“ წიგნებს (ფასობდა „ექვს შაურ თეთრ ფულად“²⁾), რადგან მხოლოდ „რუსულის მცოდნე კეთილშობილ ადგილობრივ მცხოვრებთ“³⁾ შეეძლოთ სამსახურის მიღება⁴⁾).

ოცდაათიანი წლების მიწურულისათვის მდგომარეობას უფრო გამოცოცხლების ნიშნები დაეტყო. ამ ხანებში რუსეთიდან ბრუნდება იქ უმაღლეს განათლება მიღებული სოლომონ დოდაშვილი⁵⁾, კულტურულ-პოლიტიკური მოღვაწეობის დიდი გეგმებითა და ენერგიით. დოდაშვილმა ბატონიშვილთა და ბერ ივანე ხელაშვილის დახმარებით ტფილისში გახსნა ქართული სტამბაც 1827 წელს. (ზ. ჭიკინაძის ცნობით, ივანე ხელაშვილმა სოლომონ დოდაშვილს სტამბის გასახსნელად გადასცა 6.000 მანეთი⁶⁾).

ამავე ხანებში ტფილისში გაიხსნა კიდევ ძმ. არზანოვების სტამბაც, სადაც შემდეგში მრავლად იბეჭდებოდა ქართული წიგნები, განსაკუთრებით კი პლატონ იოსელიანის გამოცემანი⁷⁾).

1828 წლიდან იწყება ახალი ქართული გაზეთის „ტფილისის

¹⁾ მაგალითად. 1820 წელს დაბეჭდილი „კატეხიზმო და მოკლე ზნეობითი სწავლა“. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

²⁾ იხ. გამოცხადება I—„ქართული გაზეთი“ № 12. 1821.

³⁾ იხ. „ქართული გაზეთი“ № 12. 1821. გამოცხადება № 11.

⁴⁾ ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ასწავლიდნენ ქართულს, მაგრამ ამით ქართული სახელმძღვანელო წიგნების მოთხოვნილება ვერ შეიქმნებოდა, რადგან მხოლოდ ანბანის წიგნები იყო მოწაფეებისათვის დასახელებული. აი, მაგალითად, სია იმ წიგნებისა, რომლებიც ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფეებისათვის იყო გამოცხადებული: „ანბანების ცხრილი, რუსული და ქართული ანბანის წიგნი, ლექსიკონი რუსულ და ქართულ ენებზე, გრამატიკა რუსული და ქართული, შემოკლებული კატეხიზმო, სასულიერო და საერო ისტორია, მსოფლიო გეოგრაფია, არითმეტიკა, გეომეტრია“. ამავე დროს თავისთავად მცირე რიცხოვანი მოწაფეები ხელთაწერი სახელმძღვანელოებით კმაყოფილდებოდნენ. იხ. Акты кавказской археографической Комиссии т. I стр. 511.

⁵⁾ სოლ. დოდაშვილის მოღვაწეობაზე იხ. იგივე ჯანაშვილის ფელეტონი „დროებაში“ № 54 1875 წ. აგრეთვე ზ. ჭიკინაძის—სოლომონ დოდაშვილი. 1893. ტფ.

⁶⁾ იხ. ზ. ჭიკინაძე—ქართული სტამბები გვ. 132.

⁷⁾ ძმ. არზანოვებმა ცნობილი მესტამბენი იყვნენ, მათ რუსეთშიაც ჰქონდათ სტამბები,—მაგ., პეტერბურგში. იქ არზანოვების კუთვნილ სტამბაში იბეჭდებოდა ქართული წიგნებიც. მაგ., 1821 წელს დაიბეჭდა გ. ფირალოვის „რუსულ-ქართული რახლავორის წიგნი“.



ს ა მ გ ე მ ე ი ე

ბ ე რ ი ს ი ს

N

მ ა თ

დ ა მ ა ს კ ი ს ი ს

ს ა მ გ ე მ ე ი ე

ს ა მ გ ე მ ე ი ე

ს ა მ გ ე მ ე ი ე

ს ა მ გ ე მ ე ი ე

ს ა მ გ ე მ ე ი ე

ს ა მ გ ე მ ე ი ე

გ ა ბ . ი ა მ თ ლ ო ს ს ს უ წ ე მ ბ ა ნ ი " 1828 წ . შ ე ი დ ი ნ ო მ ე მ ბ რ ის ნ ო მ ე ბ ი (19) დ ა მ ა ტ ა რ ა ვ ე ბ უ ლ ი ა .

უწყებანის“ 1) გამოცემა. გაზეთი იყო ყოველ-კვირეული. ამ გაზეთზე თეთრ გიორგისთან ერთად დახატულია რუსეთის ღერბიც. არც „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორის ვინაობაა ჩვენთვის ცნობილი 2). თუმცა გაზეთს რედაქტორი, ალბად, ჰყავდა, ვინაიდან ამ დროს ჩვენ-შიაც მოქმედებდა 1826 წლის 6 აპრილის რუსეთის საიმპერიო კანონი, რომელსაც „თუჯის საცენზურო წესდებას“ უწოდებდენ და რომელიც მოითხოვდა, რომ პერიოდულ გამოცემას რედაქტორი აუცილებლად ჰყოლოდა.

1832 წელს ხსენებულ „ტფილისის უწყებანი“-ს დაემატა კიდევ „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. უკანასკნელი იყო ორკვირეული გამოცემა. ეს დამატება ჟურნალის გარეგნობისაა, შიგ მოთავსებული მასალის უდიდესი ნაწილი სოლომონ დოდაშვილის კალამს ეკუთვნის, რომელიც აწერს ხშირად მთელ სახელსა და გვარს ანდა მხოლოდ ინიციალებს 3).

გაზეთი სალიტერატურო დამატებიანად ღირდა წლიურად 8 მანეთი. როგორც გაზეთის ისევე მისი „დამატებანის“ გამოსვლა შესწყდა 1832 წელს 4).

„ტფილისის უწყებანისა“ და მისი „სალიტერატურო დამატებანის“ დანიშნულებისა და ბედის შესახებ საინტერესო ცნობას ვხვდებით იმავე გაზეთის მე-5-თე და უკანასკნელ ნომერში მოთავსებულ განცხადებაში:

„იწყო ქართულს ენასა ზედა გამოცემამან ტფილისის უწყებათამან აწინდელსა ამას წელსა, უმეტეს ამისთვის, რათამცა მისცემოდა ეს გუარსა სასარგებლოსა (საქმესა) მტკიცე საფუძველი შესაწევნელად განათლებისა განვრცელებისათვის ბუნებითის ენისა ჩვენისა

1) გრ. ყ ი ფ შ ი ძ ე ს შეცდომით აქვს „ტფ. უწყებანის“ გამოცემის დაწყების წელად 1830 წ. მოხსენებული (Крат. обзор рус. период. печати. გვ. 25.), ხოლო ზ. კ ი ბ ი ნ ა ძ ე ს, ასევე შეცდომით, ჰგონია, რომ მისი გამოცემა 1829 წელს დაიწყო (ქართ. სტაბები გვ. 132.). „ტფილისის უწყებანი“ ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში. ვრცელი ბიბლიოგრაფია იხილეთ „წიგნის მეგობარში“ № 1—2 გვ. 97--98.

2) გრ. ყ ი ფ შ ი ძ ი ს აზრით, „ტფილისის უწყებანის“ რედაქტორი იყო სოლომონ დოდაშვილი; პროფ. ალ. ხახანაშვილის გადმოცემითაც. „ტფილისის უწყებანი“ დააარსა სოლომონ დოდაშვილმა 1832 წელს. (იხ. „კვალი“ № 2. 1894. „ახალი ქართული ლიტერატურის მოძრაობა“).

3) სოლომონ დოდაშვილზე იხილეთ ვრცლად ი ნ გ ი ლ ო ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ფ ე ლ ე ტ ო ნ ი „დროება“ № 54, 1875 წ.

4) გრ. ყ ი ფ შ ი ძ ი ს აზრით, გამოცემის შეწყვეტის მიზეზი იყო სოლომონ დოდაშვილის დაპატრირება (იხ. ხსენებ. თხზულება გვ. 25).

მიახლოებისათვის გამობრძნობილთა მცხოვრებთა ევროპიისათა. თუმცაღა რომელნიმე იტყვიან, რომელ ჯერეთ არა იხილვების მიღებულნი ესე საგანი, გარნა თუ სადმე გამოცემასა ამას მისცემოდა საფუძვლიანი დამყარება, მაშინ მისწვდებოდა უმთავრესსა საგანსა თვისსა და აღსრულდებოდაცა აღთქმა გამოცემელთა, რომელნიცა აქამომდე მოელოდნენ ხელის მომწერთა, გარნა ფრიალ ცოტანი აღმოჩნდენ მსურველნი მისნი და მოყვარენი განათლებისანი.

„ესე იწარმოა იმისთვის, რომელ რომელთამე პატივცემულთა გუამთა ვერა ჰსცნეს წინამიღება ესე და სხუათა რომელთა უწყოდენ, შესაძლებელ არს, რომელ ვერ განუცხადეს მათ: ვინაჲდგან ვალი თანამდებობისა, სხუა და სხუანი საქმობანი და რაიმენი მიზეზნი არა უტყევენ დროსა; ამის გამო მიმღებთა ამისთა ესთხოვთ უმორჩილესად, რათა მიიღონ შრომა, რათამცა არა სარცხვენელ იქნას საქართველოს საზოგადოობა, განუცხადოთ ყოველთა მემამულეთა და განალვიძოთ მათს შორის სურვილი და სიყვარული ბუნებითისა ენისა და სიტყვიერებისა, მოაწერონ ხელი და შეძლებისამებრ თვისისა მისცენ შემწეობა განმრავლებისათვის ღონისძიებათა და საშუალებათა რათამცთა ზემოხსენებული გამოცემა განგრძელდეს საქებელადმამ ულისაო“¹⁾.

ეს იყო „ტფილისის უწყებათა სალიტერატურო ნაწილის“ მეხუთე ნომერში, 15 მარტს 1832 წელს. ამის შემდეგ არც გაზეთი და არც მისი სალიტერატურო დამატება არ გამოსულა. ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, რომ სოლომონ დოდაშვილის ამ დიადი წამოწყების ასე უდროოდ შეწყვეტის უმთავრესი მიზეზი იყო მატერიალურ ღონისძიებათა უქონლობა, თუმცა მხედველობიდან არაა გასაშვები სხვა მიზეზებიც. მაგალითად; აღსანიშნავია, რომ 1832 წ. შეთქმულების მონაწილე დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი, შეთქმულების საქმეზე მიცემულ თავის ჩვენებაში ამბობს, რომ კრებებში შეთქმულნი უსაყვედურებდნენ სოლომონ დოდაშვილს, რომ მან თავის გაზეთში („სალიტ. ნაწილნი“) მოათავსა პატრიოტული პოემა „ოსური მოთხრობა“²⁾, რომლისათვის შესაძლებელი იყო მთავრობას ყურადღება მიექციაო. მაგრამ ს. დოდაშვილი უპასუხებს: „ცენზორმა სენკოვსკიმ ნება დართო და მე რაო“³⁾.

1) „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ № 5. 1832 წ., გვ. 119—120.

2) იხ. „სალიტერატ. ნაწ. ტფ. უწყებათანი“ № 2. გვ. 1832 წ. 39—42; № 3. გვ. 64; № 4, გვ. 91—95.

3) იხ. 1832, წლის შეთქმულების საქმე. ინახება საქ. ცენტრ-არქივში; დ. ყიფიანის ხსენებულ ჩვენებაზე მითითებისათვის გ. გოზალიშვილს მადლობას ვსწირავ.

„ოსური მოთხრობა“, მართლაც ღრმა პატრიოტულ-რევოლუციონური პოემა არის, და საკვირველია, თუ როგორ გაუშვა ის მაშინდელმა ცენზორმა. აღსანიშნავია, რომ პოემაში ხშირია წერტილებით შევსებული სტრიქონები, ცენზორისაგან აკრძალული სიტყვებისა თუ აზრებისათვის, ხოლო გაზეთის მეოთხე ნომერში ¹⁾ მთელი ტაეპია წერტილებით დაფარული. მაგრამ უფრო მეტი ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ, მიუხედავად გაზეთის მეოთხე ნომერში პოემის დასასრულის მეხუთე №-ში მოთავსების დაპირებისა, მეხუთე ნომერში (თუმცა ის გამოიცა) ამ პოემის ბოლო არაა მოთავსებული. ის, ალბად, ცენზორმა სავსებით აკრძალა.

ამრიგად, მძიმე მატერიალურ პირობებს სასტიკი საცენზურო პრაქტიკაც დაერთო. ამასთან შეთქმულთა მიერ განზრახული აჯანყების მოწყობა მის მონაწილეთაგან, რომლებიც იმავე დროს ქართული გაზეთის შესვეურები იყვნენ, დიდ ორგანიზაციულ მუშაობას მოითხოვდა და, შეიძლება, ერთგვარი სტრატეგიული მოსაზრებაც ყოფილიყოს სარჩული შეთქმულთა მიერ საგამომცემლო მუშაობის შეწყვეტისა.

1830 წელს სოლომონ დოდაშვილმა გამოსცა აგრეთვე „ქართული გრამატიკა“²⁾. ამზადებდა კიდევ გამოსაცემად რუსულ-ქართულ და ქართულ-რუსულ ლექსიკონს. მაგრამ მის ნაყოფიერ მუშაობას 1832 წლის ცნობილი ამბებით ბოლო მოეღო. ს. დოდაევი გადასახლებულ იქნა რუსეთში, სადაც იგი გარდაიცვალა ³⁾.

1832 წელს შეთქმულობის აღმოჩენას მოჰყა ქართული კულტურული ცხოვრებისათვის მეტად სასტიკი ზომები. შესწყდა როგორც „ტფილისის უწყებანის“, ისე მისი „სალიტერატურო დამატებანი“-ს გამოცემა. კულტურული ძალების გადასახლებამ მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა ადგილობრივ კულტურულ მუშაობას. ქართული წიგნის საქმე რამდენიმე ხნით მივიწყებას მიეცა.

მაგრამ მალე მას მოევლინა დიდი მოღვაწე, — პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, რომელსაც მაშინდელ ხელისუფლებასთან თავისებურმა დამო-

1) „სალიტერატურო ნაწილნი ტფ. უწყებანი“ № 4, გვ. 95.

2) წიგნი ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში. ვრცელი ბიბლიოგრაფია იხილეთ პროფ. ა. ც ა გ ა რ ე ლ ი — О грамматической литературе грузинского языка 1873. Спб. стр. 43.

3) ს ი მ. ხ უ ნ დ ა ძ ე — ქართული ინტელიგენციის პროფილი მე-XIX საუკ. 1927. ტფ. გვ. 37.

კიდებულებამ მისცა საშუალება სისტემატიურად გამოეცა ქართული წიგნები ¹⁾.

პლატონ იოსელიანისავე რედაქტორობით დაიწყო გამოსვლა კიდევ ქართულმა ყოველკვირეულმა გაზეთმა „კავკასიის მხარეთა უწყებანის“ სახელწოდებით. ეს იყო ოფიციალური გამოცემის—„Зав-кавказкий Вестник“-ის დამატება. გარეგნობით „კავკასიის მხარეთა უწყებანი“ შეიცავს პატარა ფორმატის საბეჭდ თაბახს, ოთხად დაკეცილს ²⁾.

ეს გაზეთი ერთი წლით ღირდა 5 მანეთი, ცალკე ნომერი: თეთრი. ³⁾ ჯერ-ჯერობით არაა გამორკვეული, თუ რამდენხანს იარსება ამ გაზეთმა.

უნდა შევნიშნოთ, რომ პლატონ იოსელიანი თუმცა ბლომად სცემდა მაშინ ქართულ წიგნებს, მის გამოცემათა და საერთოდ მის

1) პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს მიერ გამოცემული წიგნები:

ა) აბდულ მესია შავთელისა. 1838 წ. ტფილისი.

ბ) კალენდარული 1840 წლისა, გამოიცა 1839 წელს. ამკალენდარის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „უწყიან ყოველთა, რომელ ქართულ ენასა ზედა ვიდრე აქამომდე არა ჰქონდესთ ქართულთა კალენდარიო“.

გ) იგივე კალენდარი გამოიცა მეორედ 1840 წელს— 1841 წლისა და ამის შემდეგაც რამდენჯერმე იქნა გამოცემული.

დ) პირველ დაწყებითი კანონი ქართ. ღრამატიკისა, 1840 წ. ტფილისი.

ე) „ქართული ანბანი“, 1845 წელს დაიბეჭდა პირველად და შემდეგ ვიდრე 1857 წლამდე ექვსჯერ იქნა გამოცემული. ეს ანბანი ღირდა 10 კაპეიკი, რაც პირველი მაგალითი იყო სიიაფისა: ასე იაფად წიგნები მანამდე არ ღირსებია მდამიო ხალხს.

ვ) დიდმოურავიანი 1851. ტფ:

ზ) ღრამატიკა ქართული ენისა 1851. ტფ.

თ) მიმოხილვა წმინდათა და სხვათა აღმოსავლეთისა ადგილთა... ტიმოთესა გან 188 გვ. 1852.

ი) მიმოსვლა... იონა რუისის მიტროპოლიტისა. (172 გვერდიანი). 1852. ტფ.

კ) წყობილსიტყვაობა ანტონისა. (320 გვერდი). 1853 წ.

ლ) ცხოვრება მეფე თეიმურაზ პირველისა. (186 გვერდი). 1853 და სხვა, ამას გარდა პლატონ იოსელიანს მრავალი წიგნი აქვს რუსულადაც გამოცემული, როგორც პეტერბურგს, ისე ტფილისშიაც.

2) „კავკასიის მხარეთა უწყებანის“ ვრცელი ბიბლიოგრაფია იხილე „წიგნის მეგობარში“ № 1—2: დ. კ ა რ ი კ ა შ ვ ი ლ ი — ქ ა რ თ. პერიოდულ გამოცემათა ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა; გრ. ყ ი ფ შ ი ძ ე ს „კავკ. მხარ. უწყ.“ ნაცვლად შეიღმომთ მოხსენებულთა აქვს „მახარობელი“—, ასეთი გაზეთი იმ დროს არ არსებულა. (იხ. ხსენებ. თხზ. გვ. 27).

3) გაზეთ „კავკასიის მხარეთა უწყებანის“ № 11. 1845. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

ნაწერთა ხალხში გავრცელებას ხელს უშლიდა მისივე ენა. იოსელიანი არქაიული ენით ლაპარაკობდა, ხოლო მაშინ ჩასახული მკითხველი ფენა მოსახლეობისა, ახალ ხალხურ ენაზე მოითხოვდა წიგნებს. და ბევრს მოიგებდა იოსელიანის წიგნები, რომ მისი ავტორის ენა არ ყოფილიყო ხელისშემშლელი.

ქართულ პერიოდულ გამოცემათა ისტორიის შესახებ კიდევ ერთი საინტერესო დოკუმენტი მოგვეპოება, რომელიც აუცილებლად მე-XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებს უნდა უკუთვნოდეს. ეს არის ფურცელი — „გამოცხადება“¹⁾. „გამოცხადება“ აუწყებს საზოგადოებას, რომ იწყება გამოცემა ჟურნალ „სინათლისა“. „გამოცხადება“ აგრეთვე აცნობს მომავალ ხელისმომწერთ „სინათლის“ პროგრამას და მიზნებს. გათვალისწინებული გეგმით წლიური ხელის მოწერა 14 მანეთი უნდა ღირებულიყო. ყოველთვიური ჟურნალის სახით იყო გამოცემა განზრახული. გამომცემელთა ჯგუფი საკმაოდ სცნობდა 400-მდე ხელის მომწერის ყოლას, რომ ჟურნალის გამოცემას შესდგომოდა.

მოგვყავს შემოკლებით ეს მრავალმხრივად საინტერესო „გამოცხადება“:

„აწინდელი საქართველო—იმერეთის ლუბერნია, ოდესმე ყვაილოვნებდა სწავლითა და ხელოვნებითა... ახლა იგი ჰსდგას კვალად მისივე განათლებისა ხარისხსა ზედა ვითარცა იპოვებოდა ჟამსა მტერთაგან შეიწროებისასა და ვიდრე უდარესსაცა, უზრუნველობისა გამო ჩვენისა. აწ სადღა არიან ჩახრუხაძენი, გინა შავთელნი, რუსთველნი და პეტრიწნი, სადღა ისმის ტკბილზმოვანება ბესიკისა, სად გადმოიციეშიან ფილოსოფიურნი და ხეთის მეტყველებითნი ტექსტნი ანტონისანი? ყოველივე დრომან მიჰფარა და სიბრძნეთა ქართველთა ვითა აჩრთილნი მათთანვე წახდნენ; დაუტოვეს მხოლოდ კვალისა ჩვენისა მესხიერებასა შინა მათისა მყოფობისა... აწ თუმცა ჰსჩანს ახალთა მსწავლულთა შორის რამოდენიმე ნეშტი განათლებისა, მაგრამ თვინიერ ზნეობისა და საზოგადო სარგებლობისა, მზრუნველობისა იგიცა გარდაქცეულ არს სოფიზმის საფუძველსა ზედა. ამად აწინდელი ელვარე დრო ისე გვაქვს დამწარებული უმეცრებითა; სიბნელისა ფარდა გვიმრუშებს მხედველობასა და შეცდომა ჩვენი უმეტეს უნებლიეთი ვიდრე ნებისითი ყოველსავე მფარველობასა უავლუს-

1) „გამოცხადებას“ ტექსტი მთლიანად მოყვანილია „კვალში“ № 35. 1896: „საისტორიო მასალა“ № 3. „გამოცხადება“ ინახება ყოფ. კავკ. მთავარ. მართ. არქივში.

ტესისა ჩვენისა ერთმთავრისა გვიხშავს... თვით ამ ლუბერნიაშიც მხოლოდ ძირეულნი ქართველნი არიან უკან ჩამორჩენილნი. სომეხნი გრიგორიანთ სარწმუნოებისანი და კათოლიკენი მოუბრუნებლად მეცადინეობენ სწავლითა: პირველთ აქეთ საკუთარი სასწავლებელი, სადაც ყოველივე საგანი გარდმოიცემიან სომხურსა ენასა ზედა; აქესთ საკუთარი კონსისტორია, საპატრიარხო საყდარი და აქეთ განვითარებული ვაქრობა. ხოლო უკანასკნელნი (კათოლიკენი) არიან დამწყსილნი ქართულსა ენასა ზედა პატრთა მიერ კაპუცინის ორდენისათა... მხოლოდ ქართველნი ვართ მოკლებულნი ჩვენსა ყოველსავე აღმკობილებასა და სასარგებლოთა შემეცნებათა.—ერთი მხოლოდ უწმინდესი, რელიღია ჩვენი (სარწმუნოება), რელიღია აღმოსავლეთისა ეკლესიისა იპყრობს ჩვენსა ენასა სასწავლებითისა ძალითა და თავისავე ხარისხსა.

„...მშვენიერად ნათარგმნი საეკლესიო წერილნი დამცველნი ჩვენის ენისა აღმკობილებისანი კვალად ვერ გაუთალხებია დროსა, ვინაიდან არიან კლასიკების უკვდავებით თარგმნილნი...

„განათლებულთა ქართველთაგან რომელიმე გვართა ამას წინად დაუწყიათ ქართულსა ენასა ზედა გამოცემა ჟურნალისა¹⁾ და უბედურთა შემთხვევათა გამო, მაგრამ სასარგებლოსა და საქებასა მალალსა განზრახვასა ამას არა ჰქონია წარმატება. წარვიდა მან დრომან. ახალსა მოქალაქეობასა ესაჭიროების ახალი აზნაურებითი საქმიანობა სწავლათა და ხელოვნებათა შინა...

„ჟურნალი, ანუ ყოველდღიური გამოცემა არს ღონე ჩვენის განვითარებისა, განმდიდრებისა და ცხოვრებისა ჩვენისა კეთილმდგომარეობაში მიყვანებისა. ამისთვის აწცა სურთ რომელსაჲმე გონიერთა ქართველთა რათა გამოსცენ ესე ვითარი ჟურნალი, რომლისთვისაც განუცხადებენ უპატივცემულესთ სწავლისა და ბუნების (სამშობლო) ენის მოყვარულთა გუამთა, რათამცა ამა წინათ განზრახულებაში იქონიონ თვითეულმან შეძლებისამებრ თვისი მონაწილეობა.

„ჟურნალსა ამას სახელი ეწოდების „სინათლე“, გამოცემა მისი დაიწყების მაისის პირველიდან მომავალის წლისა. თვეში გამოვა თითო წიგნი, რომელშიაც იქნებიან: უცხო ენათაგან თარგმნილნი უკეთესნი მუხლნი ყოველთა საგანთათვის ე. ი. სამხედროთა და სამოქალაქოთა, ზნეთათვის, ვაქრობისათვის, წყაროებისათვის განმდიდრებისა, შინაურთა ეკონომიათათვის და მმართველობისათვის ყმათა

¹⁾ აქ უნდა იგულისხმებოდეს 1829—1832 წ.წ. გაზ. „ტფილისის უწყებანი“, —როგორც ამას სისწორით შენიშნავს ჟურ. „კვალი“-ს რედაქცია (იხ. „კვალი“ № 36, 1896 წლისა).

და მამულთა, აწინდელთა კანონთა და ჩვეულებათათვის, რომელიც იმყოფებიან ჩვენს იმპერიაში; აგრეთვე იქნებიან ქართველთა ჩვეულებანი, ზნენი, თვისებანი; ქართლის ცხოვრებიდან გამოკრებულნი ნაწყვეტნი და ქართული ლიტერატურა (აღმოკობილი პროზა), სტიხნი და ლარმონიათა ნოტნი: სამუსიკოთა ხმათა და საეკლესიოთა საგალობელთა. მეტოდა (მოძღვრება) სხედასხვა სწავლათა და ხელოვნებათა. ზეგარდავლით რამოდენიმე ცნობანი ევროპიულთ სხედასხვა სამეფოთა სამხედროთა ხელოვნებათა და სწავლათა, აგრეთვე ხელოვნებათა სამუსიკოთა მხატვრობათა, მხაზელობათა და გამოქანდაკებათა და სხვათა.

„ხელის მომწერნი იქნებიან ორგვარნი: წვერნი და შემთხვევითნი, წვერნი შეიძლება იყვნენ მხოლოდ ოთხასამდე—სწავლულნი: მცოდნენი ევროპიულთ ენათა ანუ ბუნებითისა ენისანი. ხოლო შემთხვევითი იქნებათ ნება რამოდენიცა უნდა იყოს. წვერთა ექნება, რათა ჟურნალისტების კანცელარიიდან მოითხოვონ რაოდენიცა ენებოთ ეკზემპლიარც ჟურნალთა და წიგნთა დასარიგებლად შემთხვევითთა ხელმომწერთა ჯეროვანის ფასით. და ეს (სათავნო) იქნების კუთვნილი წვერთა, რომელთაც იმ სუმიით მხოლოდ შეუძლიათ შეადგინონ ვითარიმე შესაფერი სასარგებლო კამპანია; ექნებათ ნება, რათა მისცენ ჟურნალისტსა თავიანთი ჰაზრი ჟურნალის წარმატებისათვის; წარმოუგზავნონ საკუთარი თავიანთი დათხზულნი ან თარგმნილნი ყოველსავე საგანსა ზედა ჟურნალში დასაბეჭდავად და ექნებათ მოვალეობაცა შემწეობისა.

„ხოლო ხელის მომწერთა შემთხვევითთა შეუძლიან იყიდონ მხოლოდ წიგნი-ჟურნალი წვერთა ანუ ჟურნალისტთაგან, როგორც მორიგდებიან წარსაკითხავად და შინ შესანახავს საუნჯეთ; უნდა კი მოაწერონ ხელი საცნობელად ჟურნალისტთა და ყოველთა წვერთა გამოცხადებაზედ, რომელიც ყოველ თვე დაბეჭდილი წარგზავნება თვითეულთა წვერსა.

„წვერნი ხელის მოწერისთანავე წარადგენენ ფულს თოთხმეტს მანათს და მიიღებენ ადგილობრივის მთავრობისა, ანუ კეთილშობილთ წინამძღომელთაგან კვიტანციას.—ჟურნალისტნი ამ საზოგადო სასარგებლო წინადგანზრახვის დამბრკოლებელს მიზეზს არასა ჰხედვენ, და უკეთუ ვითარისამე შემთხვევით დაშთება შეუსრულებელი, მაშინ ყოველთავე ხელის მომწერთა უმიზეზოდ დაუბრუნდებათ უკანვე ფული.

„ვინაიდან ესრეთ სასარგებლო საგანზედ ერთის მამულის შეილთა ვერა რა განასხევებს, ამისათვის ჟურნალისტნი ყოველთა ქართველთა, როგორც ბერძენთ სარწმუნოებისა ისე კათოლიკთა და

გრიგორიანთა და ყოველს სწავლის მოყვარულთა გვამთა პატივისცემით გამოუცხადებენ საგანსა ამას: ყოველთა შეუძლიანთ რათა იყვნენ, როგორც შემთხვევითნი ხელის მომწერნი, ეგრეთვე წვერნიცა“.

იქვე მოყვანილია სია ინიციატორთა: „კეთილშობილთ წინამძღომელი თ. ალ. ერისთავი, პრაპორჩიკი თ. როსტ. ერისთავი, პრაპ. თ. ივ. ერისთავი, შტაბს კაპიტანი თ. გიორგი ერისთავი, პრაპ. თ. გრიგ. მაჩაბელი, თ. მიხ. ე. მაჩაბელი, ელ. ერისთავი, პოდპორუჩ. თ. დავ. ბ. მაჩაბელი, კნენა ქეთევან მაჩაბელოვისა, გრიგ. ნ. ციციანოვი, თ. ირაკლი ნ. ციციშვილი, თ. დიმ. ბ. ერისთავი, პომოშნიკი ოსეთის ოკრუჟნის ნაჩალნიკისა ზურაბ მორთულაძე, ქარუმ ზ. მაღალაშვილი, ელიზბარ თულაევი, პროვინციალნი სეკრეტარი თ. ი. რატიევი, თავ. დიმიტრი მაღალოვი, აზნ. სოლომონ ფურცელაძე, თ. სვიმონ შალიკოვი, თ. ივანე აბაშიძე, თავ. დიმიტრი აბაშიძე, კეთილშობილი თედორე ქარუმიძე, აზნ. სოლომონ რჩეულოვი, კნენა თინათინ (გვარი არა სჩანს), ელისაბედ ჯაფახოვისა, თავ. გივი ამილახვარი, პრაპ. ლუარსაბ ზედგინიძე“. 1)

„გამოცხადებაში“ საქმის ინიციატორთა შორის იხსენიება გიორგი ერისთავიც. შესაძლებელია, „სინათლე“ „ცისკარის“ განუხორციელებელი წინამორბედი იყო.

1) ზემოდ მოყვანილ „გამოცხადებაზე“ უფრ. „კვალი“-ს რედაქციას აქვს გაკეთებული შემდეგი შენიშვნა: „როგორც ჩანს, ერთის მხრით ხელმოწერილი პირებისაგან, მეორე მხრით თვით ხელნაწერის შინაგანი და გარეგანი თვისებისაგან (ენა, ქალაქი და სხვა), ეს „გამოცხადება“ უნდა ეკუთვნოდეს დაახლოებით ამ საუკუნის მეორეოთხედს“.

„ამნაირად „ცისკარი“-ს დაარსებამდე ბევრად უწინ ჩვენში დაუნახავთ პერიოდული გამოცემის საქიროება და, როგორც ეს „გამოცხადება“ გვეუბნება, ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება უფრნალ „სინათლის“ გამოცემით უფიქრიათ... როგორც ვიცით ამ წამოწყებას განხორციელება არ ღირსებია.“

„ვინ იცის, შეიძლება „ცისკართანაც“ ჰქონდეს მას რაიმე კავშირი... მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდის მწერლობის ასპარეზზე მოღვაწეობდა ჩვენში განსაკუთრებით სასულიერო წოდება. „გამოცხადება“ გვეუბნება, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში სასულიერო წოდება ამ ასპარეზს უფრობს საზოგადოების საერო ნაწილს, რომელსაც სამხედრო--სათავდა-ახნაურო წოდება უნდა დაერქვას. აი, რა ელემენტებისაგან შესდგებოდა ჩვენი ინტელიგენცია აქამდის. დღეს კი იმათ სამუდამოთ გამოეთხარათ ძირი და ახალი ინტელიგენცია სულ სხვა წრიდან გამოდის.“ (იხ. უფრ. „კვალი“, № 35. 1896 წლის).

თუ „სინათლის“ გამოცემის სურვილი სურვილად დარჩა, რაც, ალბად, ხელის მომწერთა საკმაო რაოდენობით მოუგრეობებლობამ გამოიწვია, სამაგიეროდ მალე გიორგი ერისთავმა კვლავ აახმაურა ქართული პერიოდული პრესა: 1852 წლიდან დაუდო დასაბამი იმ საჟურნალო ცხოვრებას, რომელიც მესამოკე წლებიდან საკმაო სისწრაფით გაიზარდა ¹⁾).

სანამ „ცისკრის“ ბეჭდვა დაიწყებოდა, 1851 წელს გამოიცა „განცხადება“, რომლითაც აუწყებდნენ საზოგადოებას ამ ჟურნალის მიზანსა და დანიშნულებას. აი, ეს განცხადებაც:

„ამა ჩ ყ ნ ა წლისათვის, თანახმად უშაღლესისა ნებისა იქნება გამოცემული სასარგებლოდ წმ. ნინას ზაუდეენისა ქართულს ენაზედ სიტყვიერებითი ჟურნალი „ცისკარი“, ყოველს თვეში თითო წიგნათ, რომელსა შინაცა იქნების შეცულ: ქართულის სიტყვიერება, თარგმანი, სწავლა, ხელოვნება, და სახლის პატრონობა. ფასი წელიწადში ექვსი მანეთი, ხოლო გაგზავნით. წვიდი მანეთი, თეთრი ფული.

„მსურველთა ამა ჟურნალისა ძალუძთ მიიქცნენ თავიანთის თხოვნითა დროზედ ამა ჟურნალის რედაქციაში, ტუილისს სახლსა შინა... ნინას ზაუდეენისასა კუეაში, რათა რედაქციამ ძალიდუას დაბეჭდულა მისი საჭიროს რიკაკით ეკზემპლიარათა.

„ამასთანავე რედაქციას აქუს პატივი დაუმატოს, რომელი მსურველთა ამა ჟურნალში სტატიის დაბეჭდვისა, ძალუძთ გამოგზავნონ ესე ვითარი ამ რედაქციაში. რედაქტორი: ერისთავი“.

შემდეგ გაკეთებულია თავისუფალი სვეტები, ხელის მომწერთა სახელისა და გვარის ჩასაწერად ²⁾).

„ცისკარი“ იყო ყოველთვიური ჟურნალი, ³⁾ გამოდიოდა წიგნებად in octavo, რედაქტორობდა მას გიორგი ერისთავი 2 წლის (1852—1853) განმავლობაში და გამოიცა სულ 24 ნომერი. ჟურნალი გ. ერისთავის ხელში ღებულობდა მთავრობის სუბსიდიას, — როგორც ეს ზემოდ მოყვანილ გამოცხადებინაც სჩანს, — რომლის მოსპობაც იყო, ალბად, მიზეზი „ცისკრის“ გამოცემის შეწყვეტისა ⁴⁾).

¹⁾ შეადარე ვ. კოტეტიშვილი — ქართ. ლიტერატურის ისტორია მე-XIX საუკ. ტ. I. გვ. 197.

²⁾ დღეარი ამ „განცხადებისა“ ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში, კოლექცია: „ბ. 2. 87“.

³⁾ ნ. ბერძენოვი, სთვლის რა „ცისკარს“ პირველ ქართულ პერიოდულ ორგანოდ, აქიდანვე (1852 წ.) იწყებს ქართული პერიოდის ისტორიას (sic) იხილე მისი სტატია — О́тца́р и́рუэи́ისკ. пери́одическiх и́здани́и с и́мѣнiа их оснoв-лени́я — „Кавказский Календарь“. 1881 г.

⁴⁾ ნ. ბერძენოვი „ცისკრის“ გამოცემის შეწყვეტის მიზეზად ოსმალეთთან ომის დაწყებას ასახელებს (იხ. О́тца́р и́რუэ. пери́од. и́зд.).

1854 წლიდან „ცისკარი“ აღარ გამოსულა; ხოლო 1857 წელს ის ისევ განახლებულ იქნა ი. კერესელიძის რედაქტორობით და აქიდან დაწყებული (1857 წ.) „ცისკარი“ 1875 წლამდე შეუწყვეტილად გამოდიოდა.

ი. კერესელიძემ, მას შემდეგ რაც „ცისკარი“-ს გამოცემას სათავეში ჩაუდგა, ქართული წიგნების გამოცემა თვალსაჩინოდ გააცხოველა.

ი. კერესელიძის ენა, წინააღმდეგ პლ. იოსელიანის ენისა, იყო ხალხური, „მდაბიოთა ენა“. გარდა ამისა კერესელიძის წიგნები სულ იათფასიანები იყო, ¹⁾ რისთვისაც მათ ეტანებოდა განსაკუთრებით მდაბიო ხალხი. ამავე დროს კერესელიძის წიგნებს შინაარსეული თავისებურობაც ჰქონდა წინანდელ გამოცემებთან შედარებით. კერესელიძე თავის ნაწერებში ეხებოდა ხალხურ ყოფა-ცხოვრებას, ის „ფხანდა იმ ადგილას, სადაც ეფხანებოდა“. და ეს აძლიერებდა ხალხის ინტერესს მისი გამოცემებისადმი.

ამ ხანებში, როგორც ქართული პერიოდიკის, ისე ერთდროულად გამოცემათა გამოცოცხლება-მოლონიერების ჟამს, სხვებმაც დაიწყეს სხვადასხვაგვარი წიგნების გამოცემა. აღსანიშნავია უფრო ანბანის წიგნები და სხვა პირველდაწყებითი სახელმძღვანელოები. უკანასკნელი წიგნების გამომცემელი იყვნენ უმთავრესად დ. ჩუბინაშვილი და ს. მდივანოვი; მაგრამ ხალხის მოთხოვნილებასთან შეუფერებლობისა გამო, რაც უმთავრესად ენასა და ნაწილობრივ მასალის შერჩევაში მდგომარეობდა, ეს წიგნები მალე საესებით განდევნა იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებმა.

ი. გოგებაშვილმა თავისი „ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“ გამოსცა ჯერ კიდევ 1865 წელს. შემდეგ 1868 წელს პირველად დაიბეჭდა მისივე „ბუნების კარი“. ამით მალე მოყვა „დედა ენა“, რომელმაც შემდეგში ისე ფართე გავრცელება ჰპოვა ²⁾ და რომელზედაც მთელი თაობები აღიზარდნენ.

იმის გასაგებად, თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდა გზის გაკვლევა ქართულ წიგნს ამ ხანებში, საკმაოა გადავათვალიეროთ „ცისკარის“ ნომრები. ეს ის დრო იყო, როდესაც „ქართული წიგნები ბუნების საკითხავად იყო მიტოვებული“. უკანასკნელი სიტყვები,

¹⁾ კერესელიძის გამოცემანი იყვნენ:

- 1) ნაოხარი სოფელი 1855.
- 2) მწყემსის სიყვარული 1855.
- 3) მოკლე სიტყვა (ანბანი) და სხვა..

²⁾ ი. გოგებაშვილი—რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები ტ. I. ყდაზე მინაბეჭდი; ი. მარუშიძე—ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები 1903. ტფილისი. გვ. 8—9.

„ცისკრის“ თანამშრომელის მიერ ნათქვამი არის მაშინდელი არისტოკრატების მიმართ, რომლებიც „უცხოურად ბურჯუნებდნენ“ და ქართულს ივიწყებდნენ. ქართული წიგნის გავრცელება დიდის ვაივაგლახით ხდებოდა და ისიც ძლიერ მცირე რაოდენობით. ერთად ერთ პერიოდულ გამოცემასაც არ ჰყავდა ხელის მომწერნი: 1859 წელს „ცისკარს“ მთელ საქართველოში ჰყოლია 118 ხელისმომწერი 1). „ქართული ენა არაგის უნდოდა“. და როდესაც, ასეთს მდგომარეობაში, „ცისკრის“ ფურცლებზე კამათი გაიმართა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს სიტყვა «ტფილისი», იმავე ჟურნალში აღნიშნეს: „ჩვენს ენას ახლა არაგინ ხმარობს, წამხდარი ენა არის და გასწორება რად უნდაო“ 2).

ასეთ სავალალო მდგომარეობას ერთვოდა კიდევ რუსული ცენზურა, „რათა კაცს არ შესძლებოდა თავისი-სამშობლო ენის მოხმარება“ 3). და იმედ-დაკარგული მოლაყბე 4), ვერ უძლებს რა არსებულ მდგომარეობას, მიდის, რათა მტკვარში გადავარდეს... „მაგრამ ნუ იტყვიოთ, თურმე მტკვრისკენ კი არ წავსულვარ,—განაგრძობს მოლიყბე,—გაზნედაც ფიქრს გაუტაცნივარ... და ჩემი გულის სასიამოვნო საქმეს შევეფეთე: ვნახე უცებ, ზის ერთ დუქნის ძირზედ ხაბაზი, უბრალო ხაბაზი, უძვეს მუხლზე „ცისკარი“... კითხულობს... თან იძახის: ახ! ნეტავ შეძლება მქონდეს ვიყიდო ამისთანა წიგნებო. ეს არაფერი. შემოხვეოდენ გარშემო დუქნის მეზობლები 5) და უნდა ნახოთ, რა სასოებით უგდებდენ ყურსა: ზოგი სჯის, რიგი აზრს ამბობს, რიგი ყვირის და რიგი იმეორებს წაკითხულს“ 6).

როგორც სჩანს, მრავალგვარ დამაბრკოლებელ მიზეზთა მიუხედავად, მაინც იბადება მკითხველთა ახალი ფენა მოსახლეობაში. ის მედუქნეები, რომლებზედაც ლაპარაკობს „ცისკარი“, როდი არიან

1) იხ. „ცისკარი“ № 1. 1860. გვ. 12.

2) „ცისკარი“, № 11. 1857.

3) „ცისკარი“ № 12. 1857.

4) მოლაყბე—მ ი ხ. თ უ მ ა რ ი შ ვ ი ლ ი ს ფ ს ე ე დ ო ნ ი შ ი ა.

5) „ცისკრის“ ანალოგიურ წერილსა ვხდებით „ნათობშიაც“: „თქვენ შეგვდებით მედუქნეებს, რომლებიც გულმოდგინეთ კითხულობენ ბეჟანიანს, ქალვაჟიანს, ბარამიანს და გადაწვრათშიაც კი ერთი ორად ფასს აძლევენო“ (იხ. „ნათობი“ № XII 1869 წ. გვ. 6).

6) „ცისკარი“ № 12. 1857. ეს პერიოდი ქართულ ლიტერატურაში და აგრეთვე საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც ვრცლად აქვს დახასიათებული ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე ს—დანიელ ჭონჭაძე და მისი დრო. 1904 წ. შევიდა მისივე თხზულებათა კრებულის V ტომში 1925. ტფ. აგრეთვე „მასალები ბატონყმობის ისტორიიდან“, მიხ. ხ უ ხ უ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით. 1927. წ. ტფ.

კარაპეტები, ისინი დაქირავებული მოსამსახურეები არიან, ხელოსნები და შეგიძრდები, რომელნიც ბატონქმურმა ურთიერთობამ „ურბანიზაციის“ გზაზედ შეაყენა. ისინი ეტანებიან ყოველივე ახალს, გაურბიან ძველს, ისწრაფვიან ცოდნის შექმენისაკენ.

„ცისკარს“ დიდი დამსახურება მიუძღვის ქართველი მკითხველი ფენის მომზადებაში. ის, „მიუხედავად იმ გარეგანი თუ შინაგანი უღონობისა, რომელიც დღევანდელ ადამიანს ლიმილსაც კი ჰგვრის, მაინც ჩვენი საზოგადოების უცაბედი გაღვიძების დოკუმენტია“¹⁾,—აი, როგორ ახასიათებს „ცისკარს“ ქართული ლიტერატურის ერთი ისტორიკოსი.

ეს ის დრო იყო, როდესაც მდაბიო ხალხს ეგონა, რომ ბეჭდვით სიტყვაში საიმათო არა იყო რა. როდესაც გახშირდა ხალხური წიგნების გამოცემა, რომელიც ხალხის სულიერი მდგომარეობის „სარკეს და ზომას“ წარმოადგენდა, იგივე ხალხი ხალისიანად მიეცა ამ წიგნების კითხვას. და როდესაც პატარა კინტოს, რომელიც, თაბახით თავზე, ატამსა ჰყიდდა, წაუკითხეს ასეთი წიგნი, მან უფრო აცქვიტა და წამოიძახა: „მოიტა ვიყიდო“, მაგრამ აღმოჩნდა, რომ კითხვა არ იცოდა“²⁾.

„... აღმოჩნდა, რომ კითხვა არ იცოდა“. დიახ, ხალხი, რომელმაც კითხვა არ იცოდა, წიგნებს ეტანებოდა, როცა კი გაიგო, რომ მასში რაღაც „მისებური“ ეწერა. თუ როგორ სწავლობდენ კითხვას, ამის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ იმ დროის გამოცემლები (ისინი იმავე დროს უმეტეს წილად ავტორებიც იყვნენ) ეგრეთ წოდებულ „საბულვარო ლიტერატურას“ ანბანსაც ურთავდენ.

სავსებით სამართლიანად შენიშნავს ერთი ავტორი, როდესაც ამბობს: „ეს წიგნები სრულიად შეუგნებლად პირველდაწყებითი ანბანის მოვალეობას ასრულებდა და თვით ავტორებიც მდაბიო ხალხისათვის, ასე თუ ისე, პატარა გოგებაშვილებად გახლენო“³⁾.

1) ვ. კოტეტიშვილი—ქართ. ლიტ. ისტ. XIX. ტ. I. 1927 წ. ტფილისი. გვ. 200.

2) ი. ელიოზიშვილი, „მნათობი“ ნოემბ.-დეკემბ. ნომერი. ნაწ. II. გვ. 5. აგრეთვე ი. გრიშაშვილი, ტფ. ლიტ. ბოჭემა, გვ. 103.

3) ი. გრიშაშვილი. ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჭემა. ტფ. 1927 წ. გვ. 101. წიგნის ცოდნისადმი ინტერესში სოფელიც ქალაქს როდი ჩამორჩენია და გლეხის პატარა ბიჭი. ნიკოლოზის პირით იძახის:

„მასწავლეთ წიგნი, მასწავლეთ;
მასწავლეთ წერა-კითხვაი!“—ო. (დაიბეჭდა პირველად „ივერიაში“ 1879 წ. №4.)

ამრიგად, ლეტარგიურული ძილი გათავდა. იმ კონტრასტმა, რომელიც შეიქმნა ქართველთა მოლოდინსა და სინამდვილეს შორის, მართალია, მოახდინა ნების თუ გონების პარალიზაცია, მაგრამ მალე ქართველი საზოგადოების მოწინავე პირებმა დასკვნები გაუკეთეს მომხდარ ამბებს. შედეგად დაიბადა მოთხოვნები, რომ მომზადებულიყო ხალხი ახალი პირობებისათვის, კვლავ განმტკიცებულიყო ზნეობრივი ძალა, განვითარებულიყო კრიტიკული აზროვნება და აღდგენილიყო კულტურის ის ფენა, რომელიც დაამხო რუსეთის რეაქციამ¹⁾.

„ციცქარს“ მოჰყვა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთების გამოცემა. 1863 წელს იწყო გამოსვლა „საქართველოს მოამბემ“, რომელმაც თუმცა მხოლოდ ერთი წელი გასძლო, მაგრამ მაინც დიდი მნიშვნელობა იქონია ქართული ლიტერატურისა და აზროვნებისათვის ახალი საწყისების მიცემით. შემდეგ დაიბადა „დროება“, რომელმაც ცხრამეტი წელი იარსება (1866—1885). 1869 წლიდან გამოდის „მნათობი“, რომელმაც 1872 წლამდე იარსება. 1869 წელს არსდება „სასოფლო გაზეთი“, 1871 წელს — „სურბული“, 1877 წლიდან იწყებს გამოსვლას „ივერია“²⁾, რომელმაც, ხან გაზეთის და ხან ჟურნალის სახით, ყველა ქართულ პერიოდულ გამოცემაზე მეტხანს გასტანა.

ჟურნალ-გაზეთებით, წიგნებით და ბროშურებით ქართული ბეჭდვითი სიტყვა უფრო და უფრო მთლიან სახეს ღებულობდა. საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ნელინელ განვითარების ნიადაგზე ქართული აზროვნება წელში გაიშართა და არა ჩვეულებრივი გადაფრენით წინ წასწია ჩვენი სალიტერატურო ცხოვრება.

სხვადასხვა კუთხეებს შორის მიმოსვლამ, მხარის მართვა გამგეობამ და სხვა პირობებმა, რომლებიც კულტურულ-მეურნეული ცხოვრებისათვის აუცილებელია, უფრო დასრულებული სახე მიიღო. ყოველივე ამას გლახთა განთავისუფლების სახელწოდებით ცნობილი მოძრაობაც დაერთო, რომლის შესახებ ასე თუ ისე ხშირად ხვდებოდა ცნობებს ქართველი მკითველი ჟურნალ-გაზეთებში³⁾. რამაც თვალსაჩინოდ გააღიდა ბეჭდვითი ნაწარმოების მოთხოვნები.

გამოუხიზლების გზაზე შემდგარი საზოგადოებრივი აზრი წიგნს დაეწაფა. სასტამბო ტექნიკას თვალსაჩინო განვითარება დაეტყო და წიგნის გამავრცელებელი სავაჭრო ორგანიზაციებიც წარმოსდგა.

1) ვ. კოტეტიშვილი, I. ც. ტ. II. გვ. 175.

2) დასახელებული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია იხილეთ დ. კარიჭაშვილის I. ც. „წიგნის-სიგომობარში“, № 1—2, აგრეთვე ყიფშიძე, I. ც.

3) შეადარეთ ფ. მახარაძე, ტ. V გვ. 148.

70-იან წლებში განვითარდა „სახალხო წიგნების“ გამოცემა: ქალვაჯიანი, ალექსიანი, ბეჟანიანი, აბრამიანი, დავრიშიანი, ყარამანიანი, არსენას ლექსი და სხვა ამგვარი ნაწარმოებნი შეუწყვეტილ იბეჭდებოდნენ და ვრცელდებოდნენ ხალხში.

მარტო ქალვაჯიანი იმ დროდან დაწყებული ვიდრე მიმდინარე საუკუნის დამდეგამდე 40 ჯერ იქნა გამოცემული ¹⁾. ამგვარ წიგნებს ხალხი ძლიერ ეტანებოდა იმ ხანებში, თუმცა იგივე წიგნები ქართველ მკითხველთა შორის ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში ყოფილა გავრცელებული. ასე, მაგალითად, საქართველოდან იტალიაში დაბრუნებული (1670.—1679 წ.) პატრი ბერნადო მარია მი თავის მოხსენებაში მოუთხრობს რომის პაპს, რომ „რადგან ქართველები თუმცა ძლიერ გონიერნი არიან და კაცთმოყვარენი, ხოლო სულიერ საგნებში კი უსწავლელნი და კათოლიკე სარწმუნოებაზედ ბრუნდეთ ჩაგონებულნი (ბერძნებისაგან პ. გ.) და არც უყვართ მოსმენა სწავლა დარიგებისა (სასულიერო საგნებზე), არამედ მიზიდულ არიან ბეჟანიანისა, ბარამიანისა, როსტომიანისა და მათი მსგავსი წიგნების კითხვაზედ, ამისთვის მოთხრობასავით დაუწერე ეს წიგნი (ბჭობა კათოლიკე სარწმუნოებაზედ), რათა მის კითხვაზედ შეხალისდნო“ ²⁾.

ასეთი მიდრეკილება ქართველ მკითხველში ისე ძლიერი ყოფილა, რომ არჩილ მეფეც ამას ყურადღებას აქცევს, როდესაც „საშაირო“ წიგნების წინააღმდეგ ილაშქრებს:

„საღვთო წიგნი ბევრი წახდა, უყდოთა და უბუდობით
საშაიროს ინახავდენ, სტაერის ბუდით ან ახლობით
უმჯობესი დაივიწყეს, წესის რასმე აწ ახლობით,
სიმართლესა მრუდზედ სცვლიან სიცრუისა მომზახლობით“.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალვაჯიანისა და ყარამიანის მსგავსმა წიგნებმა იმ დროს დიდად შეუწყო ხელი მდაბიო ხალხში წერაკითხვის გავრცელებას და ცოდნისადმი ინტერესის გაღვივებას, მიუხედავად იმ მიუღებელი აზრებისა, რაიც იმ წიგნებში არის გატარებული ³⁾. როგორც აღვნიშნეთ, ამგვარ წიგნებს ანბანიც ჰქონდა დარ-

1) იხ. ქალვაჯიანი. 1901 წლის გამოცემა.

2) მ. თამარაშვილი, — ისტ. ქათოლიკ. ქართველთა შორის. გვ. 682; აგრეთვე მისივე, პასუხად სომხის მწერლებს, 1904. ტფილისი. გვ. 11.

3) 1887 წელს გამოცემული „ქალვაჯიანის“ წინასიტყვაობაში ზ. კ—ძე ამბობს: „ეს წიგნი ძველადგანვე დიდის წარმატებით ვრცელდებოდა მთელს საქართველოში და ჩემდა სამწუხაროდ ეს დღესაც ასეა... იმედია ამგვარ წიგნების გავრცელებულს ცუდს აზრებთან ერთად წერა-კითხვა მაინც გავრცელდებაო“ (გვ. 3);

თული და მაშინდელი მკითხველი ქალვაეიანსა და ანბანს პარალელურად სწავლობდა. მაშინ ხომ სახალხო სკოლები არ იყო და, შეიძლება ითქვას, უკანასკნელთა მაგიერობას ეს წიგნები სწევდა!).

თუ ყარამანიანი და ბეჟანიანი აზრ-შინაარსის მხრივ მიუღებელი იყო,—სამოცდაათიან წლებიდან ჩნდებიან გამომცემლები, რომლებიც კიდევ უფრო მიუღებელ და მავნებელ გონებრივ საზრდოს აწვდიან ქართველ მკითხველთ. ამ კატეგორიის გამომცემელნი მხოლოდ წმინდა კომერციულ მიზნებს ისახავდნ და ოდნავადაც არ ფიქრობდნ წიგნის შინაარსეულ რაობაზე, ოღონდ კი მისი გასაღება ყოფილიყო უზრუნველყოფილი.

ამ ჯურის გამომცემლებმა კარგად აუღეს ალლო მაშინდელ წიგნის მკითხველ-მომხმარებლებს. ისინი მათ უხვად აწვდიდნ „სიჭმართა ახსნის“, „ეტლის წიგნის“, „ავგაროზის“ და სხვადასხვა „წმიდანთა და წამებულთა ცხოვრების და მოღვაწეობის“ წიგნებს, რომლებიც სავსე იყო მრავალგვარი ცრუმორწმუნეობით.

„წმიდანთა ცხოვრებებისა და წამებების“ გამომცემა-გავრცელების საქმეს სასულიერო ცენზურაც ხელ უწყობდა²⁾; ამგვარი წიგნების გამომცემლებს ხშირად სუბსიდიებიც კი მიუღიათ სასულიერო ხელისუფლებისაგან³⁾.

გარდა ამისა, ამ წიგნების გავრცელებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ისინი იათიფასიანნი და მდაბიურ ენაზე იყენენ დაწერილი.

მოსახლეობის დაბალი ფენის ინტერესი ამ წიგნებისადმი ისე დიდი იყო, რომ მის დასაკმაყოფილებლად საჭირო იყო რამდენიმე ათას ეკზემპლიარიანი გამომცემა. ეს წიგნები სომეხ ჩარჩ-ვაჭრებს კარ-

ასევე ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ც აღნიშნავს, რომ „ყარამანიანი“ მდაბიო ხალხში ყოველგვარ წიგნზე უფრო არის გავრცელებული“ იხ. Описание рукопис. О. Р. Г. С. Г. Н. Т. II стр. 603.

1) იხ. ი. მ ა რ უ შ ი ძ ე, I. ს. გვ. 11; შეადარე ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი I. ს. გვ. 86—87, 103—104.

2) შეადარე ი. მ ა რ უ შ ი ძ ე—ქართ. სახალხო სამეცნიერო წიგნები გვ. 19.

3) ამავ დროს რასაკვირველია საერო ცენზურაც უკანასკნელ გარემოებას ზურგს უმაგრებდა; და როდესაც გაზ. „თეატრი“ 1890 წელის 7 თებერვლის ნომერში სწერს: „თუმცა ახჰეტელოვი გარდაიცვალა, მაგრამ მის მიერ ცრუ მორწმუნეობით სავსე ნაწერი წიგნების რიცხვი მაინც თანდათან ვრცელდება ხალხში. ახლაც კვირიე განსვენებულისა, ლიზა ახპეტელოვისა, კმრის ნაწერებს ბეჭდავს და ავრცელებს ხოლმე; უმეცარი ხალხიც ყიდულობს ამ წიგნებს და ბევრს მავნებელს აზრს ითვისებსო“,—კავკასიის საცენზურო კომიტეტი გაზეთის ამგვარ განცხადებას კრძალავს. ეს განცხადება ცენზურას „ტენდენციურად“ მიუჩნევია. ცენზორმა ამოაჭრა ეს განცხადება ტექსტიდან და თავის საქმეში ჩააყვრა. იხ. Дело кавк. ценз. комитета, воспрещ. статьями гвз. „Театри“. 1890.

დაკარ დაჰქონდათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში ჰქონდა ასეთი წიგნებს გასავალი. როდესაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთერთ თანამშრომელს, აღმოსავლეთ საქართველოში, ჩვენ იმ მწერლების მოთხოვნები და ლექსები წაუღია გასავრცელებლად, იქ მისთვის მკითხველებს „სიზმრის წიგნები“ მოუხაზოვიათ ¹⁾.

ამგვარი ცრუმორწმუნეობით და სიბნელით საცხე წიგნების გამავრცელებელი ერთგვარ უკიდურესობას წარმოადგენდენ შედარებით იმ გამომცემლებთან, რომლებიც ყარაბაღისა და ქალჯაიხანის მსგავს წიგნებს ბეჭდავენ. უკანასკნელი ჯგუფის გამომცემელთა შორის ვრიენ კულტურული საზოგადოებრივი მოღვაწეებიც, რომლებიც გძნობდენ, რომ ამგვარი წიგნების გამოცემა არ იყო მაინც და მაინც დიდი სასარგებლო სამსახურის გაწევა ხალხისთვის, მაგრამ თავს იმით იმართლებდენ, რომ ეს წიგნები მდაბიო ხალხში ძლიერ იყო გავრცელებული და წერა-კითხვისა და წიგნისადმი ინტერესის გაძლიერებას მაინც ხელს შეუწყობდა ²⁾.

ასევე იმედოვნებს პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ც: „ნაკულოვანება ამ წიგნებისა კარგად ვიცოდი, მაგრამ ჩემი საკუთარი საყვედური და სხვების საყვედური იმით გამიქარვებია, რომ ეს პირველი ნაკადული იყო, რომელიც დაიძრა, და თუ ამ ნაკადულს ჭუჭყი მოჰყვა, ამას დრო წარეცხს და წაიღებსო“ ³⁾.

ივ. კერესელიძე, პეტრე უმიკაშვილი, გ. წერეთელი იმ დროის უკულტუროსი მოღვაწე გამომცემელი იყვნენ. მათ საფუძველი ჩაუყარეს ქართულ სპეციალურ პერიოდულ გამოცემებსაც. ივ. კერესელიძემ ჟურნალ „ცისკართან“ 1861 წელს დაარსა ყოველკვირეული სასოფლო სამეურნეო გაზეთი „გუთნის დედა“, რომელიც გამოდიოდა ორჯერ თვეში ერთი ნაბეჭდი ფორმის ზომით და ღირდა „ცისკრის“ ხელის მომწერთათვის 1 მანეთი, დანარჩენთათვის კი—3 მანეთი წლიურად. ამ გაზეთის რედაქტორ-გამომცემლობა შემდეგ გადავიდა აგრონომ ს. სერებრიაკოვისა და ანტ. ფურცელაძის ხელში (1873 წ.), ხოლო 1875 წლიდან „გუთნის დედას“ სცემდა მარტო ა. ფურცელაძე. გაზეთმა შესწყვიტა გამოსვლა უსახსრობისა გამო 1875 წელს ⁴⁾.

¹⁾ ქ. შ. შ.—კ. გამვრ. საზ. ხელთნაწერი ანგარიშები № 1694.

²⁾ აღექსიანი 1886 წ. გამოცემა ზ. კიკინაძისა.

³⁾ ფ. გოგიაშვილი, პეტრე უმიკაშვილის სახსოვრად, 1905 წ. ტფ. გვ. 16.

⁴⁾ „გუთნის დედას“ უმნიშვნელო სუბსიდიას აძლევდა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

1868 წლიდან გ. წერეთელმა დაიწყო ყოველკვირეული „სასოფლო-გაზეთის“ გამოცემა. ამ გაზეთის ხელის მოწერის ფასი იყო 6 მანეთი, გადაგზავნით კი 7 მანეთი. 1874 წლიდან „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორობა გადავიდა პ. უმიკაშვილის ხელში ¹⁾, რომელიც სცემდა მას ვიდრე 1881 წლამდე. ეს გაზეთი ეგზავნებოდა ტფილისის გუბერნიის ყველა სასოფლო სიზრგაძეობებს ²⁾.

„სასოფლო გაზეთი“ 1871 წელს იბეჭდებოდა 960 ეკემპლიარის რაოდენობით ³⁾, ხოლო 1875 წელს მისი ტირაჟი შემცირდა 520-მდე, 1887 წელს კი იბეჭდებოდა (გამოიცა მხოლოდ 6 ნომერი) 400 ეკემპლიარის რაოდენობით. ფორმით „სასოფლო გაზეთი“ ერთი საბეჭდი ფურცლის ზომისა იბეჭდებოდა ⁴⁾.

ამრიგად, მიუხედავად იმ შრავალგვარი დაბრკოლებისა, რომელიც ცენზურის, სახელმწიფო ენისა თუ სხვათა სახით ქართული წიგნის საქმის განვითარებას წინ ელობებოდა, ეს საქმე მაინც განიცდიდა ერთგვარ აღორძინებას.

ამავე დროს იწმინდება ქართული წიგნი იდეოლოგიურადაც თუმცა ამ მოვლენის სტატისტიკური საზომით განოსახება არ შეგვიძლია, ვინაიდან იმ ხანებში გამოცემული წიგნები ცალკადაც სოციალურ ჯგუფებად დანაწილებული არა გვაქვს. მაინც დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ ქართული წიგნი საკმაოდ გასცილდა რელიგიოზურ შინაარსს; იგი თანდათან ხელიდან ეცლებოდა სასახულიერო წოდებას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მას ხელმძღვანელობდა.

თუ ავიღებთ საერთოდ ქართული წიგნის მთლიან სახეს, დავინახავთ, რომ ის შეუჩერებლივ იზრდება და ვითარდება.

მე-XIX ს. 70-იან წლებში გამოცემული ქართული წიგნების რაოდენობა სახელწოდებისა და ტირაჟის მიხედვით გეაჩვენებს შემდეგ სურათს: (იხ. ცხრილი № 1) ⁵⁾.

¹⁾ პ. უმიკაშვილი და მსგავსი კულტურული გამომცემლები იმ დროს დიდის ინტენსივობით აგროვებდნენ სხვა და სხვა კვთვებში დაფანტულ ხალხურ ზეპირსიტყვეობას, მოთხრობებს და ლექსებს, რომლებსაც სცემდნენ კიდევაც, მაგრამ ბევრი დაოჩნთ კიდევ გამოუცემელი. მ. გ. უმიკაშვილი: მთელი ზეკრებილი ხალხური ზეპირსიტყვეობა დღესაც უცდის გამოცემელს არაფ. გ. ო. გ. ი. ა. შ. ვ. ი. ს. წიგნთსაცავში.

²⁾ Гр. Кипшидзе, Краткий обзор груз. период. печати. 1901. Тиф. стр. 41.

³⁾ Кавказский календарь на 1871. стр. 425.

⁴⁾ Гр. Кипшидзе. I. с. стр. 425.

⁵⁾ ცნობები ამოღებული გვაქვს კავკ. საცენზ. კომიტეტის საქმეებიდან: 1867. № 7; 1868. № 14; 1871 № 7; 1873 № 7; 1875 № 7; 1876 № 22; 1887 № 14; 1878 № 23; 1879 № 22; ზოგიერთი წლების ცნობები მთა ავსებაულია Кавказსა. კალენდარე-ში შესაფერი წლებისა.

ცხრილი № 1

წლები	სახელწოდებ. რაოდენობა	საერთო ტი- რაჟი	საშუალო ტირაჟი
1867	7	9.800	1400
1868	11	12.600	1146
1869	8	15.000	1987
1870	11	—	—
1871	12	—	—
1872	16	19.500	1219
1873	17	—	—
1874	14	23.600	1439
1875	38	66.250	1218
1876	66	95.000	1439
1877	58	—	—
1878	84	102.480	1220

ამავე ხანებში ერთდროულ გამოცემათა პარალელურად თანდა-
თან იზრდება, როგორც ტირაჟი, ისე სახელწოდებათა რაოდენობა
პერიოდულ გამოცემებისაც (იხ. ცხრილი № 2) ¹⁾.

პერიოდული გამოცემანი 1867—1871 წ. წ.

ცხრილი № 2

პერიოდულ გამოცემათა სახელწოდება:	წლები:	1867		1869		1871	
		წლის განმავ. გამოცემების რაოდენობა	ცალკე ნომ- რის ტირაჟი	წლის განმავ. გამოცემების რაოდენობა	ცალკე ნომ- რის ტირაჟი	წლის განმავ. გამოცემების რაოდენობა	ცალკე ნომ- რის ტირაჟი
1. ჟურ. „ცისკარი“		12	150	12	200	10	150
2. გაზ. „დროება“		—	500	—	550	51	400
3. გაზ. „გუთნის დედა“		12	600	12	600	12	480
4. ჟურ. „მნათობი“		—	—	—	300	7	300
5. „სასოფლო გაზეთი“		—	—	—	—	23	960
6. „კრებული“		—	—	—	—	5	500

¹ ცნობები მიღებულია კავკ. საცენზურო კომიტეტის საქმეებიდან და Кав-
казский календарь-ის წიგნებიდან.

ეს ცხრილი ამტკიცებს, რომ ქართული პერიოდული პრესა საკმაო სიჩქარით იზრდებოდა და ვითარდებოდა. რაც უფრო ძლიერდებოდა ქართულ საზოგადოებაში ახალი სოციალური ძალები და იზრდებოდა მწერალთა რიცხვი, მით უფრო სცილდებოდა ქართული წიგნი ქრისტიანული დოგმების ფარგლებს.

საერო მწერლობას წინადაც ჰყავდა თითო-ოროლა მნიშვნელოვანი ძალები, მაგრამ ვიდრე წიგნის გავრცელების ისეთი მძლავრი იარაღი როგორც სტამბა არის, სასულიერო წოდების ხელში იყო, — მანამდე, ცხადია, უკანასკნელს ყოველთვის უპირატესობა ექნებოდა.

მეცხრამეტე საუკუნიდან კი, როდესაც საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნება სულ სხვა ნიადაგზე გაიშალა, ბექდვითი სიტყვის, წიგნის საქმედაც თავისი მზრუნველი გამოიცვალა, — ის ახალი სოციალ-ეკონომიური ძალების სასამსახუროდ გამოვიდა.

გასული საუკუნის პირველივე წლებიდან გაძლიერებულმა ახალმა საზოგადოებრივმა ძალამ — სამხედრო თავად-აზნაურობამ ხელთ ჩაიგდო ბექდვის საქმე და სალიტერატურო ასპარეზზედ საკუთარი ენერჯია გამოამზეურა¹⁾. პირველი ქართული გაზეთი სწორედ ამ წოდების ინიციატივით დაიბეჭდა და გამოიცა. მეორმოცე წლებში განზრახული ჟურნალ „სინათლის“ ინიციატორები სულ ერთიან სამხედრო — თავად-აზნაურთა წრის პირთაგან შესდგებოდნენ (იხილე ზეით).

მიუხედავად ამისა, ქართული ბექდვითი სიტყვა საესებით მიიწეოდა არ განთავისუფლებულა სასულიერო წოდების გავლენისაგან: 1852 წლიდან დაარსებულ ქართულ ჟურ. „ცისკარს“ მღვდელი ალექსევი ცენზორობდა²⁾.

აღსანიშნავია, რომ ქართული ჟურნალის ჩასახვის პირველსავე ხანებში დაიბადა კამათი ენის სიწმინდეზე: ახალი გარემოება ახალ შესატყვისებს მოითხოვდა. „ქარგმა მწერალმან რომლისა საგნისა აღწერაც უნდა მოინდომოს... მას ძალუძს ბუნებითისა ენისა ზედა გამოღება და წარმოდგენა თვით უშუალოდ ენისა აზრისა და გრძნობისა. იგი არ იხმარებს არა რომელთა ლექსთა სხვისა ერისათა, გარ-

¹⁾ ჟურ. „კვალი“, რომელმაც „სინათლის“ გამომცემელთა „გამოცხადება“ დაბეჭდა, სრულიად სისწორით აღნიშნავს ამ გარემოებას (იხ. „კვალი“ № 35. 1896).

²⁾ იხ. ჟურ. „ცისკარი“-ს ნომრები 1852 წლისა. მაგალითად, დეკემბრის ნომერში ვკითხულობთ: „დაბეჭდვის ნება აქვს, ამ სახით, რომელ შემდეგ დაბეჭდვისა წარმიდგენილ იყოს ცენზურის კომიტეტში დაწესებული რიცხვი ეკზემპლიართა. ტფილისს. დეკემბრის 1-სა დღესა 1852 წელსა. ქართულის ცენზორის თანამდებობის აღმასრულებელი მღ. ალექსევი“. გვ. 1. საბეჭდავსა შინა თ. გ. ერისთავისა.

და მათსა, რომელთაცა მიუღიათ კანონი მოქალაქეობისა და რომელნიც იხმარებიან ყოველსა ენასა ზედა, ესე იგი, ტენნიკებრთაო“, 1) — სწერდა თავის ჟურნალში 1832 წელს სოლომონ დოდაშვილი.

იმავე ჟურნალში მოთავესებულ წერილში თავის პეტერბურღელ ძმას სწერს დოდაშვილი: „მე აწინდელსა მდგომარეობისათვის მამულისა ჩვენისა ესრეთ მოხარული ვარ, რომელ მომატებულ შეუძლებელ არს, გული ჩემი მარად დღე ტრფიალებს; ვინაიღვან ბრავალთა ახალგაზრდათა კაცთა იწყეს თხუზვა მშუენიერთა სტიხთა და აღწერა პროზად სხუა და სხუათა საგანთა, რომელთაცა იხილა; ქართულსა განეთსა მინა“ 2) და განაგრძობს: „აწ შედმიწვევით ჰსცნეს მემამულეთა ჩვენთა, რომელ უკეთუ განათლებულ იყვნენ, მიაწვევენ უმაღლეს ხარისხამდე და ბედნიერებასა, ამის გამო მიიქცენ მის საშუალებისადმი, რომელიც აწარმოებს აღყვაებასა სამშობლოსა ჩვენისასა“ 3).

მოწინავე პირთა კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობის ასე დიდი ინტერესისა და მისწრაფების სათანადოდ განხორციელებას ხელს უშლიდა დამპყრობელთა უხეში პოლიტიკა, აგრეთვე ქონებრივი და კულტურული სისუსტეც საზოგადოებისა.

ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ პირველი ქართული გაზეთის გამოცემიდან ნახევარი საუკუნის გასვლის შემდეგაც გაზეთი „დროება“ თავის პირველ ნომერში სწერდა: „ქართულ ენაზედ გაზეთი სრულებით ახალი საქმეა, და ყოველივე ახალი საქმე ნაბიჯის წინ გადადგმაა. ვისაც კი ესმის ჟურნალის მნიშვნელობა ხალხის განათლების საქმეში, ის, რასაკვირველია, მოხარული იქნება ამით. ქართველებში უწინაც გავრცელებული იყო კითხვისა და სწავლის სიყვარული; დარწმუნებით ვიცი, რომ აწინდელს დროში საკითხავის წიგნების საკირაობას მთელს საქართველოში გრძნობენ“ 4). ანდა იმავე გაზეთის ფელეტონისტის ჩივილი („ასათულას აღსარება“): „ჰოი, რა მოხარული ვარ, მკითხველო, რომ ამდენი ხნის სიმუნჯის შემდეგ (აღბად „საქ. მოამბის“ გამოცემის შეწყვეტიდან. პ. გ.) ბოლოს მაინც, ღვთის შეწევნით, ენის კლიტე გამეხსნა შენთან სალაპარაკოდ. უნდა წარმოიდგინო, რა რივად დამწუხრებული ვიყავი ამ

1) იხ. „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ № 1. 1832. გვ. 23. სოლომონ დოდაშვილის წერილი „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“.

2) სალიტერატურო ნაწილნი“. № 2. 1832 წ. გვ. 42.

3) ibid. გვ. 49.

4) გაზეთი „დროება“ № 1. 1866 წ.

სულთა მხუთავის ქირეებისაგან... სიმუნჯე, ჰნ! სიმუნჯესთანა სენი ნეტა თუ რამე მოველინოს ზეციერს მამას კაცის დასასჯელადო“¹⁾).

ნახევარმა საუკუნემ გაიარა პირველი გაზეთის გამოცემიდან და გაზეთი ისევ ახალ საქმედ დარჩა და ენის კლიტე — გაუხსნელი.

ეს შიში იყო, ილია ჭავჭავაძეს რომ ალაპარაკებდა თავისი ჟურ. „საქართველოს მოამბის“ პირველსავე ნომერში: „გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს „მოამბესა“, ვნახოთ, როგორ გაივლის! ღმერთმა კი მშვიდობა მისცეს, ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანამშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნისა და ხალხის საყვარულის სახელითა ძმურად ურთიერთს მართი მისცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი დაბალი თუ მაღალი ყველა მოყვასია ჩვენიო“²⁾).

მართალი და წინდახედული გამოდგა ი. ჭავჭავაძის შიში, — „საქართველოს ბოამბემ“ ერთ წელს ძლივს იცოცხლა.

„ცისკარიც“ სიამ სულ იმას სჩიოდა: „რომ საქართველოში მილიონ ნახევარი ხალხი ცხოვრობს (1857 წელს) და ერთი ჟურნალიც რიგზე ვერ დაგვიყენებიაო“³⁾ და თითქმის ყოველს ნომერში პატივბასა და შეწყნარებას ითხოვს მკითხველთაგან „უსახსროებისა და ხელის მოშწერთა ნაკლებობის გამო ჟურნალს დამაკმაყოფილებელის სახით ვერა ვცემთ“—ო⁴⁾).

უნდა აღინიშნოს, რომ პერიოდული ორგანოების სელმძღვანელებს ესმოდათ თავიანთი როლი და დანიშნულება, კარგად ჰქონდათ წარმოდგენილი ის პირობებიც, რომელშიაც უხდებოდათ მოღვაწეობა.

ჯერ კიდევ განუხორციელებელი ჟურნალი „სინათლის“ გამოცემელნი ამბობენ „აწინდელი საქართველო — იპერეთის ღუბერნია, ოდესმე ყვავილოვნებდა სწავლითა და ხელოვნებითა... ახლა იგი ჰსდგას კვალად მისივე განათლების ხარისხზედა, ვითარცა იპოვებოდა ჟამსა მტერთაგან შეიწროებისა და ვიდრე უდარესაცა უზრუნველობისა გამო ჩვენისა. აწ სადლა არიან ჩასრუხხაძენი, გინა შავთელნი, რუსთველნი და პეტრიწნი, სადლა ისმის ტკილხმონება ბესიკისა, სად გადმოიციმიან ფილოსოფიურნი და ღვთისმეტყველებითნი ტექსტნი ანტონისანი? ყოველივე დროჲს მიჭფარა და სიბრძნეთა ქართველთა ვითა აჩრდილნი მათთანვე წახდენ... აწ თუმცა ჰსჩანან ახალთა მოსწავლეთა შორის რამოდენიმე ნეშტი განათლებისა, მაგრამ თვინიერ ზნეობისა და საზოგადო სარგებლო-

1) ibidem.

2) „საქართველოს მოამბე“ № 1. გვ. 126 1853 წ.

3) „ცისკარი“ № 6. 1857. გვ. 70.

4) ibid. გვ. 74.

ბის მზრუნველობისა იგიცა გარდაქცეულ არს სიფიზმის საფუძველზედა... ჟურნალი, ანუ ყოველდღიური გამოცემა არს ღონე ჩვენის განვითარებისა, განმდიდრებისა და ცხოვრებისა ჩვენისა კეთილმდგომარეობაში მიყვანებისა. ამისთვის აწცა ჰსურთ რომელთამე გონიერთა ქართველთა რათა გამოსცენ ესე ვითარი ჟურნალი, რომლისათვისაც განუცხადებენ უპატივცემულესთ სწავლისა და ბუნების ენის მოყვარულთა გუამთა, რათამცა ამა წინათგანზრახულებაში იქონიონ თვითელმან შეძლებისამებრ თვისი მონაწილეობა“¹⁾.

ილია ჭავჭავაძემ თავისი ჟურ. „საქართველოს მოამბის“ დანიშნულებას მისცა შესანიშნავი განმარტება: „იმგვარ ლიტერატურას, რომელიც, როგორც ენით, ისე აზრის გამოთქმით, უფრო ადვილად ასრულებს შუამავლობას მეცნიერებისა და ცხოვრების შორის... ქვიან „პოპულიარული ლიტერატურა“, ხან კიდევ ადვილ ლიტერატურა, იმიტომ, რომ იგი დანიშნულია მხოლოდ იმისთვის, რომ უფრო, რამდენათაც შეიძლება, გაადვილოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფა ყველასათვის; მათგან დამუშავებულნი ძნელი მისახვედრი ცნობაები საყოველთაო გასაგებად გაამარტივოს, გაადვილოს და ამით განავრცელოს საჭირო სწავლა და ცნობაები ხალხშია. ამგვარ ლიტერატურას ეკუთვნის ჟურნალიცა, ნამეტნავად ის ჟურნალი, რომელსაც ეძახიან: „საზოგადო ჟურნალი“ (общественный журнал). აი, რარიგ სამსახურისათვის ვნიშნავთ ჩვენ „საქართველოს მოამბესაცა“²⁾.

„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია. ღმერთმა გვიხსნას იმ სულელურ თამაშობისაგან, რომელიცა ფიქრობს გადააასხვაფეროს ცხოვრება თავისებურათ. ჩვენ ისე არ გავბრიყვდებით, რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვინდომოთ ცხოვრების გატარება. თვითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისთვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის სჯულსა და კანონსა,—მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაჩეროს. ამიტომაც ჩვენი „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავისი სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა“³⁾.

„ჩვენ წინაღვე ვერას ვიტყვით ამის მეტსა, რომ აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩამოძახილის—ამო-

1) იხ. ჟურ. „კვალი“ №35. 1896 წ.

2) „საქართველოს მოამბე“ № 1. 1963. გვ. 119—120.

3) ibid. გვ. 121—122.

ძახნა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისთვის გზის გახსნა. ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ჟურნალი უნდა იყოს უთუოდ დღევანდელის ცხოვრების წრეში მოჯადოებულსავეთ გაჩერებული, — არა, ყოველ გონიერ ჟურნალის თვალი ხშირად არის მიმართული მომავლისაკენ: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“¹⁾).

და ამთავრებს ილია ჭავჭავაძე ჟურნალის დანიშნულების კლასიკური განმარტებით: „ჟურნალმა უნდა წინ წაიმძღვაროს მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი... მეცნიერებასა და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა“²⁾).

გაზეთ „დროების“ რედაქცია და გამომცემლობაც თვით გაზეთის გამოცემის განცხადებაში ამბობს: „განათლებულს ქვეყნებში თითქმის ყოველი კაცი საჭიროდ რაცხს, რომ დაწვრილებით შეიტყობდეს არა თუ თავის მამულის გარემოებას, არამედ სხვა ქვეყნების მდგომარეობასაც. ...ჩვენი გარემოება, ნამდვილათ ახლანდელი, მოითხოვს, რომ ჩვენი ცტყობილობდეთ ჩვენი ქვეყნის ყოფა ცხოვრებასა. და აგრეთვე მმართველობის განკარგულებებსა. გარდა ამისა რადგანაც ჩვენი წარმატება დამოკიდებულია განათლებულის ხალხებისაგან შეძინებულს სწავლაზე და იმათ ცხოვრებაზედ, ამისთვის თუ გვსურს საკუთარი კეთილდღეობა, უეჭველად იმათ უნდა ვებაძავდეთ და იმათ სწავლას ვითვისებდეთ. ამ საქმეში პირველი შუამავლობა ეკუთვნის გაზეთებს და ჟურნალებს. ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენ ვიკისრეთ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის გამოცემა ქართულს ენაზედ“³⁾...

სჩანს, რომ გათელილი გზა განვითარებისა არ ჰქონია ქართულ პერიოდულ გამომცემლობას, არც ერთდროულს, მაგრამ როგორც პირველს, ისე უკანასკნელს თანდათან უფრო მკვიდრი ნიადაგი შეექმნა ქართულ სინამდვილეში.

სამოცდაათიან წლებიდან, — იმ რეფორმების შემდეგ, რომელმაც საფუძველი დაუდვა ახალ ეპოქას ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, — უფრო მასიური გახდა ბეჭდვითი სიტყვისადმი ინტერესი. ქვეყნის საერთო კულტურულ-ეკონომიურმა განვითარებამ დასაწყისი მისცა ახალი მიზნებით ამოძრავებულ საზოგადოებრივ დაჯგუფებათა წარ-

1) „საქართველოს მოამბე“ № 1 1863. გვ. 122.

2) *ibid.*

3) იხ. „განცხადება“ — იხანება სახელეწიფო უნივერსიტეტის წიგნთსაცავის კუთვნილ გაზ. „დროების“ 1866 წლის კომპლექტში.

მოშობას. ხელმძღვანელი ინტელიგენციის ჯგუფი აშკარად გადაიხარა ახალ სოციალურ ძალისაკენ, გლახთა ფართო მასებისებისაკენ და ყურადღების ცენტრში მოექცა ქვეყნის ეკონომიური წარმატება.

ამ მიზნისათვის ჯერ კიდევ 1861 წლიდან ჟურ. „ციკართან“ არსდება „გუთნის დედა“, რომელიც სხვადასხვა საკირო სამეურნეო ცნობებს აწვდიდა მკითხველებს. „გუთნის დედას“ ხელმძღვანელობდა აგრონომი სერგებრიაკოვი. 1863 წლის პირველ ნომრიდან კი „გუთნის დედა“-ს რედაქცია აცხადებს, რომ: „ჩვენი ქვეყნის ვაჭრებისათვისაც სასარგებლო ამბებსაც დავებუქდავთო“, რისთვისაც მას თანამშრომლად ვილაც ვაჭარი უშოვნია¹⁾.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1868 წლიდან დიდი და მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწე გიორგი წერეთელი, გლახობის გონებრივად ამაღლების მიზნით, აარსებს „სასოფლო გაზეთს“, რომელსაც 1874 წლიდან რედაქტორობს პეტრე უმიკაშვილი.

„ეურნალი“ და „მნათობი“-ც ქართველი ხალხის საზოგადოებრივად აღზრდას და ამაღლებას ისახავდა მიზნად. „ეურნალის“ მოვალეობაა გააცნოს საზოგადოება დაწერილებით ხეირიან გზას, შეაყვაროს იმას შრომა და ცოდნა, ჩაუდვას და აღზარდოს მასში პატიოსანი ხასიათი, და შეაძულოს-შეაზაროს ის განხეთქილება, ერთი მეორის გლეჯა, ერთი მეორის შეუბრალებლობა, შეაძულოს ის შესახიზღებელი მოქმედებები, რომელნიც ბოლოს უღებენ საზოგადო ბედნიერებას და აბრკოლებენ მის წარმატებასო²⁾,—აი, როგორ არკვევს თავის დანიშნულებას ჟურ. „კრებული“, ხოლო ჟურ. „მნათობს“ დევიზად ეს აწერია:

„ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი,

ჩვენ უნდა მივსცეთ მოპაყალი ხალხს...“³⁾.

ასე და ამ გზით მიდიოდა ქართული პერიოდული პრესის განვითარება აღებულ პერიოდში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი პროდუქტული ზრდა აშკარა დასანახია: 1867 წელს მთელი პერიოდიკის საერთო ტირაჟი 1150 უდრიდა, ხოლო 4 წლის შემდეგ (1871 წ.), ის უკვე 2430-ს აღწევს.

როგორც ერთდროულ, ისე პერიოდულ გამოცემათა პროდუქტიულმა ზრდამ გამოიწვია ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა გამაერ-

1) „გუთნის დედა“ № 1. 1863.

2) „კრებული“ № 3. 1871 წ.

3) მშენიერად აქვს ბეჭდვითი სიტყვის ეს პერიოდი დახასიათებული, თუმცა არა მთლიანად, აღლახან გამოცემულ თავის წიგნში გრ. გიორგაძეს: საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში. გვ. 389—404.

ცვლელელი აპარატის წარმოშობა. ამ საკითხზე ჯერ კიდევ სამოც-და-ათიანი წლებიდან მრავალი წერილები იბეჭდებოდა ადგილობრივ პერიოდიკაში. პროექტები იყო წამოყენებული მოწინავე ინტელიგენციისაგან, როგორც წიგნის საგამომცემლო, ისე გასაფრცვლელელი აპარატის ორგანიზაციისათვის. მაგრამ ამ საქმეში მათ შორის არ იყო ერთსულოვნება,—ძველი და ახალი თაობა, „მამები“ და „შვილები“, როგორც საერთო ლიტერატურულ ასპარეზზე, ისე წიგნის გამოცემა-გაფრცვლების საქმეშიაც, ერთმანეთს ვერ უთანხმდებოდნენ.

პლ. იოსელიანი (მასთან იყვნენ გრ. ორბელიანი და სხვები) ქართულ და რუსულ ორგანოებში დაბეჭდა: „სიტყვა საყოველთაოდ საუწყებელი წიგნთა ქართულთა ბეჭდისა გამო“¹⁾, სადაც ის მოითხოვდა, რომ მისთვის დახმარება გაეწიათ წიგნის გამოცემის საქმის ხელახლა დაწყებაში, რადგან: „ბრძოლისა ხმამან 1853 წლისა, საუბედუროდ ქართული მწერლობისა, შეაყენა მუშაკობა ჩემი... შედგა ბეჭდვა ქართულთა წიგნთა!“

მაგრამ ახალი თაობა პ. იოსელიანისათვის ამ საქმეში დასახმარებლად არ ემზადებოდა. მის წინააღმდეგ წერილების მთელი სერია დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“²⁾. იოსელიანმა ვერ შემოიკრიბა ძალები. ახალმა ენამ და მოთხოვნილებამ მალე გაიმარჯვა. ძველმა თაობამ ვერ განაახლა წიგნების გამოცემის საქმე³⁾.

მთავარი სადაო საგანი იყო ენა და ხშირად თვით გამოსაცემი წიგნის შინაარსეული შერჩევა. ახალ თაობას არ მოსწონდა პლ. იოსელიანისა და მისებრ გამომცემელთა ენა და არც გამომცემული წიგნების შინაარსი აკმაყოფილებდა.

ახალი თაობა მოითხოვდა, ნაცვლად ცრუმორწმუნეულ და დროგადასულ საეკლესიო-საღვთო წერილებისა, გამოცემული ყოფილიყო „საერო“ წიგნები და იმავე დროს ისეთი შინაარსისა, რომელიც ქვეყნის კულტურულ-ეკონომიური განვითარებისათვის ახალ ტექნიკურ-პროგრესიულ იდეებს შემოიტანდა. ახალი თაობა იბრძოდა

¹⁾ იხ. „ისიკარი“-ს № 1 1869 წ.; „დროება“ № 9. 1869; „Кавказ“ № 182. 1869.

²⁾ „დროება“ 1869. № 11, 12, 14; გაზ. „Кавказ“-ი მოწონების წერილებს უძღვნიდა პლ. იოსელიანის გამოცემებს. იხ. № 7 და 33 1852 წლისა.

³⁾ აი რას სწერს პ. უმიკაშვილი: „ბევრი ლაპარაკი გაგვიგონია ქართული წიგნების გამოცემაზე; ერთხან ლაპარაკი იყო კიდევ სალიტერატურო საზოგადოების დაარსებაზე... აქამდინ ლაპარაკი ლაპარაკად რჩებოდა და ბოლო აღარ მოეღო ამასა“. (და შემდეგ პ. უმიკაშვილი ლაპარაკის დაუსრულებლობისა და საქმის დაუწყებლობის მიზეზად ძველი და ახალ თაობას შორის წინააღმდეგობას ასახელებს. იხ. „დროება“ № 18. 1869.)

აგრეთვე ძველი, დამყაყებული „დარბაისლური“ ენის წინააღმდეგაც, საჭიროდ სთვლიდა წიგნების ხალხური ენით წერას: ეს ახალი სოციალური ძალა დაიბადა და მოითხოვდა თავისთვის ჯერ მხოლოდ ანგარიშის გაწევას; შემდეგში ეს ახალი ძალა თვით ჩაუდგა სათავეში ბეჭდვითი სიტყვის საქმეს.

როგორც აღვნიშნეთ, ადრეულ პერიოდში (1800—1875 წ.) ქართული წიგნის გამავრცელებელ ორგანიზაციებმა უკვე დამოუკიდებელი სახე მიიღეს, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ საკმაოდ ძლიერნი. ასე, მაგალითად, 1866 წელს გაზ. „დროების“ საბიბლიოგრაფიო განყოფილებაში ვკითხულობთ: „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, შედგენილი ი. (იაკობ) გ. (გოგუბაშვილის) მიერ, სახელმძღვანელოდ მიღებულ საქართველოს ყოველსაერო და სასულიერო სასწავლებელში, ისყიდება: ტფილისში—მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში, ტერ-მიქელიანის წიგნის მაღაზიაში და სემინარიის სახლში იაკობ გოგუბაშვილისას; ქ. ქუთაისში—სასულიერო სასწავლებელში, გერასიმე კალანდარიშვილისას; ქ. გორში—სასულიერო სასწავლებელში, იოსებ ლაშურილისას; სიღნაღში—ბლალაჩინის ლამბაროვისას; თელავში—თ. გიორგი ჩიქოვანისას. ფასი ერთი აბაზია“¹⁾.

ტფილისში იყო ორიოდვე წიგნის მაღაზია, ხოლო, პროვინციულ ქალაქებში კი წიგნების გაყიდვა რამდენიმე კულტურული ოჯახების მეშვეობით სწარმოებდა.

ამ საფეხურს მალე გადააბიჯა ქართული წიგნის საქმემ გამავრცელებელი ორგანიზაციების ჩამოყალიბებით. ამაზე აქ მეტს არ შეეჩერდებით, რადგან შემდეგ (მე-VIII) თავში დაწვრილებით გვექნება საუბარი. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს გარემოებას: 1872 წელს კავკასიის საცენზურო კომიტეტმა მოსკოვში გამართულ პოლიტეხნიკურ გამოფენაზე გაგზავნა 37 სხვადასხვა სახელწოდების ქართული წიგნი, ორ-ორ ეჭვმპლიარად თითო²⁾. რამდენადაც ვიცით, ეს ქრონოლოგიურად პირველი შემთხვევა იყო ქართული წიგნის მონაწილეობისა ასე დიდ გამოფენაზე.

¹⁾ გაზ. „დროება“ № 5. 1866 წ. ანალოგიური ცნობებია აგრეთვე იმავე „დროების“ № 12, 41, 184, 1866 წ.; № 12, 19, 24, 62 1867 წლისა და სხვა ნომრებში.

²⁾ იხილეთ Дело кавк. цензурного комитета, 1872, არხ. № 20.

თავი მეშვიდე

ქართული წიგნის საქმე ევროპაში მე-XIX საუკ.

ქართველი კათოლიკე ბერების მოღვაწეობა ევროპაში ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეში.—ვენეტიკს დაბეჭდილი ქართული წიგნები და აბატი პეტრე ხარისჭარაშვილი.—კონსტანტინეპოლში გამოცემული ქართული წიგნები და მათი ტირაჟისა, ღირებულებისა და გავრცელების საკითხი.—მონთობანში (საფრანგეთში) ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე და იქ გამოცემული წიგნები, მათი ღირებულება და გავრცელება საქართველოში.—ევროპაში ქართული წიგნების გამომცემელთა მიზანი და წიგნების დანიშნულება.—ევროპაში დაბეჭდილი ქართული წიგნების დევნა საცენზურო უწყებისაგან.—ქართული ბეჭდვითი სიტყვის განვითარება უცხოეთში გასული საუკუნის მიწურულსა და მიმდინარე საუკუნეში.

ქართული წიგნის საქმე ევროპაში მე-XIX საუკ.

„ამ წიგნების ნათლად გამოყვანას და გამოცემას დიდი ხნის თავგანწირული შრომა და დიდი წარსაგები დასჭირდა, მაგრამ რადგან დიდათ გვიყვარდა და მიგვაჩნდა საქართველო და გვქონდა ნატურა მისსადმი სამსახურის ჩვენებისა, ყოველნაირი მძიმე შრომანი და წარსაგებლის მსხვერპლნი თავზე ავიღეთ, რათა მისცემოდა საქართველოს საზოგადოებას წარმატება სწავლაში და მეცნიერებაში დაწინაურება“.

(მონთობანს 1877 წ. გამოცემული „ქართ. გრამატიკის“ წინასიტყვაობიდან).

მას შემდეგ რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, უკანასკნელის ხელისუფლებამ, რათა მაგრად გაედგა ფეხი საქართველოში, საჭიროდ დაინახა თავისი უშუალო გაელენის ქვეშ დაეყენებია ადგილობრივი კულტურული და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ძალები. ერთი ამათთავანი იყო მაშინ საქართველოს ეკლესიაც, რომელიც რუსეთის მეფის ხელისუფლებამ „უწმინდეს“ სინოდს დაუქვემდებარა. ამ გარემოებამ თავის მხრივ გამოიწვია საქართველოში რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისა და საეკლესიო რეჟიმის გაბატონება, რასაც მოჰყვა სასტიკი ღვენა კათოლიციზმის მიმდევართა და მქადაგებელთა მიმართ.

საქართველოში კათოლიკე ანუ „გაფრანგებული“ ქართველების რიცხვი საკმაოდ დიდი იყო; ისინიც თავის მხრივ ვერ ურიგდებოდნენ მართლმადიდებელ ეკლესიას. როგორც ყოველთვის, აქაც ბრძოლაში ძლიერმა გაიმარჯვა და კათოლიკე ქართველები (განსაკუთრებით მა-

თი სასულიერო პირნი) იძულებულნი გახდენ საქართველოს საზღვრებს გარედ ეძებნათ თავშესაფარი და სამოღვაწეო ასპარეზი.

ქართველმა კათოლიკეებმა ევროპის სხვადასხვა კუთხეებში დააარსეს მონასტრები, გაიჩინეს მოწაფეები და იწყეს კათოლიკური სარწმუნოების საქმის კეთება. ამავე დროს, რათა ქართველი ერის სიმპატია მათდამი არ შეწყვეტილიყო, ისინი კულტურულ მუშაობასაც აწარმოებდენ საქართველოსთვის.

სწორედ ამ კათოლიკე ქართველ ბერებმა ჩაუყარეს საფუძველი საქართველოს საზღვრებს გარეთ, ევროპაში, ქართული წიგნის ბეჭდვის საქმეს მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან.

სამოციან წლებიდან ქართული წიგნების ბეჭდვა დაიწყო ვენეტის (ვენეციაში). აქ 1858 წელს გამოიცა „ისტორია გინა მოთხრობა სამლო წერილისა ძველისა და ახალის აღთქმათა, თარგმნილი ქართულს ხმასა ზედა წიგნთ საბეჭდვსა შინა წმინდა ლაზარეს მონასტრისასა“ 1).

როგორც ვენეციაში, ისე სხვაგანაც უცხოეთში, სადაც ქართული წიგნები იბეჭდებოდა, კათოლიკე ქართველები, რა თქმა უნდა, არ იყვნენ იმ რაოდენობით, რომ საკუთარი მოთხოვნილებისათვის ებეჭდათ ეს წიგნები და, რასაკვირველია, წიგნები „იბეჭდებოდა სასარგებლოდ ივერიისა“ 2), როგორც ეს აწერია ვენეტის გამოცემულ წიგნებზე. „დიდათ ძნელიცა იყო საქმე ესე ჩვენთვის რამეთუ, არა გვეყანდა ამა საქმისათვის ვინმე შემწეთ და არცა თანამშრომელი პირი ვინმე ქართული ენის მცოდნე“ 3), და ხშირად მთელი წიგნის თარგმნა თუ შედგენა, გამოცემა და სხვადასხვა ტექნიკური საქმე ერთსა და იმავე პირს უნდა შეესრულებინა 4). მიუხედავად ამისა, ვენეტის გამოცემული დიდ ტანიანი ქართული წიგნები მშვენივრად შესრულებულია, როგორც სასტამბო ხელოვნების, ისე სხვა მხრივაც.

ვენეტის ქართული წიგნები იბეჭდებოდა სომეხ კათოლიკეთა მონასტერში, სადაც ქართველი კათოლიკენიც იყვნენ. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან უკანასკნელნი იქ ისე მოღონიერდნენ, რომ ქართული წიგნების ბეჭდვა გააჩაღეს.

1) „ისტორია“... 1858. ვენეტის (ინახება ტფ. სახ. უნივერსიტეტის წიგნთ-საცავში).

2) ივანე იეზუალოს ფილოსოფოსისანი 1859. ვენეტის (ინახება რუს. სა-ჯარო ბიბლიოთეკაში).

3) „ისტორია“... 1858. ვენეტის. გვ. V.

4) ისტორია გინა მოთხრობა“... 1858 წ. წინასიტყვაობა გვ. I და II.

ქართული წიგნების ბეკდვა გამოცემის ინიციატორი და ხელნდღვანელი აქ იყო აბატი პეტრე ხარის ქარაშვილი¹⁾, რომელიც ერთ 1858 წელს დაბეჭდილ წიგნში გადმოგვცემს: „ქეშმარიტად ასერ თითქმის ათი წელიწადი არს, რომე ქართული ენისა და წიგნის მონატრე შევიქენ. ხოლო მისთვის ურიცხვთა ადგილთა, სიტყვანი უშუენიერნი ჩაურთვე და ხარის წილად ხანი, და სხვაც ამისაებრ მრავალნი ლულარქნილნიო“²⁾ და ბოდის იხდის მკითხველთა წინაშე ამისთანა შეცდომებისათვის.

ზ. კიკინაძის გადმოცემით, 1860 წლებში პეტრე ხარისქარაშვილი ვენეტიკელ სომეხ მხრითარისტებს განშორდა და კონსტანტინეპოლს გადასახლდა³⁾, შემდეგ აქვე დააარსა მონასტერი⁴⁾, რომელსაც ერთს ადგილობრივ სტამბაში ქართული შრიფტი შეაძენინა და ქართული წიგნების გამოცემა დაიწყო.

ალსანიშნავია, რომ ვენეტიკელი გამომცემელი თავიდანვე ზრუნავდა წიგნის გემიანი გავრცელებისათვის, რაც მანამდე იშვიათი შემთხვევა იყო საერთოდ ქართული წიგნის გამომცემელთა შორის.

ვენეტიკს გამოცემულ წიგნში ვკითხულობთ შემდეგ საინტერესო ცნობას: „სალმთო წერილის მოთხრობის წიგნი ესე ისყიდების კონსტანტინეპოლშიდ, კალათა წოდებულს უბანსა და სეღბოს ხან წოდებული ქარვასლის მხითარიანთ საწიგნესა შინა ოთხ მანეთად, ხოლო საქართველოშიდ ამაზედ რამ წარმატებულს ფასად, რადგან მუნ მოტანის ხარჯი ზედ მოიანგარიშების“⁵⁾.

ასევე წინდაწინ განსაზღვრული აქვს ქართული წიგნის, ვენეტიკელ გამომცემელს ბითუმად მყიდველთათვის შეღავათის („სკიდკის“) მიცემის რაოდენობაც: „ვინც ამა წიგნის თვითო ანუ ორ-ორ თანას იყიდის, ის ზემოხსენებულ ფასს გარდაიხდის, გარნა რომელიც ამისას შეიდს თანას ანუ მეტს იყიდის გასასყიდავად, მაშინ მას ზემოხსენებულ თავიდან ათი თუთხმეტ ნახევარ (sic) ნაკლებ ფასად მიეცემის, წიგნი მუნ კონსტანტინეპოლშიდ, ვითამც მანეთის თავს სამ-სამი შაურის დაკლებითა თავნიდამ“⁶⁾.

თვით გასაყიდ წიგნშივეა აგრეთვე განსაზღვრული რუსული ფულის კურსიც კონსტანტინეპოლში, რითაც ქართული წიგნის გა-

1) ibidem.

2) Ibidem, გვ. III.

3) ზ. კიკინაძე - ქართული სტამბები“ 1916 ტფილისი, გვ. 162.

4) მ. თამარაშვილი, პასუხად სომხის მწერლებს 1901 ტფილისი, გვ. 2-13.

5) „ისტორია...“ გვ. 87-1

6) „ისტორია...“ გვ. 875.

მომცემელი სომეხ წიგნით მოვაპრეთა მადას საზღვარს უღებს: „პოლიმპერიალს ოქროსაც წიგნისა ამის გამყიდაენი მიიღებენ ამა წიგნის მყიდველთაგან ოცდა ექვს აბაზის ანგარიშზედ“ 1).

როგორც იმავე წიგნიდან სჩანს, ქართველ კათოლიკეთ გამომცემლობის საქმით მოგების მიღება არ ჰქონიათ მიზნად დასახული — მათ კულტურული მოღვაწეობის სურვილი ამოძრავებდათ და — წიგნებს თვითღირებულების ფასად ჰყიდდნენ 2).

ვენეტიკში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული წიგნის საგამომცემლო საქმეს ეწეოდნენ აბატი პეტრე ხარისქარაშვილი და ქართველი კათოლიკე ბერები „წმინდა ლაზარეს მონასტრისა“.

ზ. კიკინაძის ცნობით, ვენეტიკს (ვენეციაში) ქართული წიგნების ბეჭდვა დაიწყო 1850 წელს და შესწყდა 1880 წლისათვის 3), მაგრამ უფრო ახლოს ვიქნებით სინამდვილესთან, თუ ამ დროს შევამოკლებთ და განვსაზღვრავთ 1858-1865 წლებით.

კონსტანტინეპოლში ქართული წიგნების ბეჭდვა-გამოცემა დაიწყო გასული საუკუნის მესამე მეოთხედის დასასრულს, აქაც — ზემოდ ნახსენები პეტრე ხარისქარაშვილის ინიციატივით 4), რომელმაც ამ მიზნით ვინმე ანთუან გვაზალიანის სტამბაში გაიჩინა ქართული შრიფტი 5).

კონსტანტინეპოლში ქართული წიგნები გასული საუკუნის მეორე ნახევრიდანვე იყიდებოდა (ახლაც იყიდება): ჩინილი ხანში, პოქოციანის მალაზიაში № 5 და კალათას სეღბოს ხანში, მხიტარისტების წიგნის მალაზიაში № 4-ში 6).

თუ რა ინტენსიური საგამომცემლო მუშაობა სწარმოებდა კონსტანტინეპოლში, ეს ნათლად ჩანს 1877 წელს იქ დაბეჭდილი ერთი წიგნიდან („წალკოტი ლოცვათა“), რომელსაც დართული აქვს სია

1) *ibid.*

2) *ibid.*, გვ. 876.

3) ზ. კიკინაძე — ქართული სტამბები, გვ. 162—163; აგრეთვე ვინმე მესხის წერილი გაზ. „ცნობის ფურცელში“ № 805. 1899 წ.; ზ. კ., პეტრე ხარისქარაშვილი. 1895 წ. ტფ.

4) გაზ. „ცნობის ფურცელი“ № 805. 1899 წ.; აგრეთვე უფრო ვრცლად პეტრე ხარისქარაშვილის ცხოვრებაზე და მის საგამომცემლო მოღვაწეობაზე იხილეთ ზ. კიკინაძის — პეტრე ხარისქარაშვილი. 1895 ტფილისი.

5) „მოკლე ქართული გრამატიკა“, თავფურცელი. კონსტანტინეპოლი. 1877 წელი. წინასიტყვაობა.

6) „წალკოტი ლოცვათა“ 1877 წ. კონსტანტინეპოლი. გვ. 4.

წიგნებისა, რომლებიც ზემოხსენებულ წიგნით საეაქროებში იყიდებოდა ¹⁾).

როგორც კონსტანტინეპოლში, ისე ვენეციას და მონთობანს გამოცემული ქართული წიგნები ტფილისში იყიდებოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ²⁾).

კონსტანტინეპოლს გამოცემულ ქართულ წიგნებშიაც გარკვეულია წიგნის გავრცელების საკითხები. ბითუმად მყიდველები სარგებებლობენ შეღავათით: „ესკონტი ასში ათი არის მხოლოდ იმ პირთათვის, ვინაც სხვადასხვა ნაირ წიგნისაგან არჩევით ისყიდის ასს (100) კოპიოსა ანუ მაინც ერთი რომელიმე მათგანისაგან (სახელწოდებიდან) ისყიდის ოცდა ათს ან ნამეტარს კოპიოსა ერთიანადო“ ³⁾, ვკითხულობთ იქ გამოცემული წიგნის ბოლო ფურცელზე.

წიგნების ფასი შედარებით მცირეა: 800-სზე მეტ გვერდიანი წიგნი, სუფთად აკინძულ-შეკაზმული, 40—50—80 კაპეიკად იყიდებოდა. ცხადია, რომ კომერციული მიზანი არც კონსტანტინეპოლელ გამომცემელს ამოძრავებდა, მსგავსად ვენეციკელი გამომცემლისა; კიდევ მეტი: ის „საქართველოს რომის კათოლიკე გლახაკთ ყრმათათვის მუქდათ დასარიგებლად“ კი ბეჭდავდა წიგნებს ⁴⁾.

1) მოგვყავს სია ამ წიგნებისა:

1) წინამძღვარი ზეცისა	. 30	კაპ.
2) ბრძენი კაცი	. 40	„
3) სიბრძნე კაცებრივი	. 50	„
4) გზა ცხოვრებისა	. 40	კაპ. (1 მან.)
5) მოკლე ქართული გრამატიკა	. 20	„
6) ხელად სახმარი მოკლე მჭერმეტყველება	30	„ (50 კაპ.
7) მოკლე სიბრძნის ნოყვარება	. 30	„ (50 კაპ.)
8) თანსატარებელი ლოცვის წიგნი	. 50	„
9) წალკოტი ლოცვათა	. 50	„
10) საქრისტიანო მოძღვრება	. 20	„

11) პატარა საქრისტიანო მოძღვრება ქართული ანბანით, მუქთად დასარიგებელი (ეს წიგნი 1886 წ. მეორედაც გამოიცა). ფრჩხილებში აღნიშნულია წიგნის ღირებულება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (იხ. კატალოგი—1904). წიგნების ბეჭდვა კონსტანტინეპოლში შემდეგაც არ შეწყვეტილა.

1880 წელს გამოიცა „მოკლე ფილოსოფია“, 1881 წელს—„ფრანგულ-ქართული გრამატიკა“, 1882 წელს—„მზა პასუხი გაზ „მშაკს“ და სხვა.

²⁾ იხ. ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიის კატალოგი 1904 წ. ტფილისი.

³⁾ წალკოტი ლოცვათა, კონსტანტინეპოლი 1877. გვ. 416.

⁴⁾ პატარა საქრისტიანო მოძღვრება, 1886 წ. კონსტანტინეპოლი თავ-ფურცელი.

ტირაჟი, როგორც სარეკლამო განცხადებიდანა ჩანს, საკმაოდ მოზრდილი უნდა ყოფილიყო, რადგან ლაპარაკია წიგნების ასობით ბითუმად გაყიდვაზე ¹⁾).

კონსტანტინეპოლში დღემდე არ შეწყვეტილა ქართული წიგნების ბეჭდვა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანებში იქ, ნაცვლად სასულიერო-კათოლიკური წიგნებისა, ხელი მიჰყვეს უფრო მეცნიერული და თანამედროვე ცხოვრებისათვის გამოსადეგი წიგნების ბეჭდვას. ასე, მაგალითად, 1924 წელს იქ გამოიცა მ. წერეთლის უაღრესად მეცნიერული ნაშრომი: «ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა» ²⁾.

კონსტანტინეპოლის პარალელურად ქართული წიგნების ბეჭდვა გაჩაღდა აგრეთვე მონთობანშიაც (საფრანგეთში), ენრიკო ფაბრის სტამბაში ³⁾. ინიციატორი ამ საქმისა, საფრანგეთშიაც, ჩვენთვის ცნობილი პეტრე ხარისკარაშვილია.

მონთობანს დაბეჭდილი ქართული წიგნები იყიდებოდა იქვე „მონოზანთა ერთობის მონათა უმანკო შთასახების“ მონასტერში და კონსტანტინეპოლშიაც ⁴⁾.

ბითუმად მყიდველთათვის მონთობანში გამოცემულ წიგნებზედაც ისეთივე შეღავათებია, როგორც კონსტანტინეპოლში გამოცემულ წიგნებზე ⁵⁾.

1) წალკოტი ლოცვათა, 1877. კონსტანტინეპ. გვ. 416.

2) ვრცელი ბიბლიოგრაფიული ცნობები და რეცენზია იხ. „წიგნის მეგობარი“ № 1-2, 1925 წ.

3) ვრცელი მისამართი: France, Montauban, Rue du Cimelière catholique Tarn-A Garonne.

4) კონსტანტინეპოლში, ჩვენ მიერ ზემოდ ხსენებულ მაღაზიებში.

5) იხ. „მოკლე ქართული გრამატიკა“ გვ. I, 1877 წ. მონთობანი. ამ წიგნს დართული აქვს სია წიგნებისა, რომლებიც მონთობანში გამოიცა ანუ იქვე იყიდებოდა:

1) წინამძღვარი ზეცისა	40 კაპ.	—
2) გზა ცხოვრებისა	50 „	(1 მან.)
3) სიბრძნე კაცებრივი	70 „	(1 მან.)
4) ბრძენი კაცი	40 „	(50 კაპ.)
5) მოკლე ქართული გრამატიკა	30 „	(50 კაპ.)
6) მოკლე რიტორიკა	40 „	—
7) მოკლე ფილოსოფია	40 „	(50 კაპ.)
8) ფიზიკური გეოგრაფია	35 „	—
9) მსოფლიო ისტორია	60 „	(1· 20 კ.)
10) გვირგვინი წამებულთა	50 „	(60 კაპ.)
11) ყვავილების კონა ყრმათთვის	40 „	—

თუ რა მიზანი ამომძრავებდა ქართული წიგნის მონთობანელ გამომცემელს, ამის შესახებ თვითონ იგი მოგვითხრობს შემდეგს:

„დიდი ხნის აქეთ მწუხარე გულით ვხედავდით, რომ არ იპოვებოდნენ ქართულს ენაზედ დასტამბულნი სასარგებლო და გამოსადეგი წიგნები და ამით ყოველითურთ მოკლებული იყო სწავლის საშუალებებისაგან მთელი საქართველოს საზოგადოების ფრიალ უდიდესი ნაწილი იგი, რომელმანაც ქართული ენის მეტი სხვა ენა არ იცის.

„ეს წიგნების უქონელობა უფრო შესამჩნევი და გულდასაწყველი იყო მიხედვით საქართველოს სასოფლო სკოლების მდგომარეობისა, ამიტომ რომ სოფლის გლახაკი საზოგადოება, თუმცა აკლებდა თავის ოჯახობას და აძლედა ფულს სკოლის აშენებისა და მასწავლებლების ჯამაგირის მიცემისათვის, რათა განლებოდა სწავლის კარი თავის შვილებსა და უწინდელივით აღარ აღზრდილ იყვნენ ბავშვები ყოველითურთ უსწავლელად და უმეცარად, მაგრამ სკოლებისათვის საჭირო სახელმძღვანელო წიგნები კი არსად იყვნენ, რომლებითაც შესძლებოდათ მასწავლებელთა გაკვეთილის მიცემა ყრმათათვის და ყრმათაცა სწავლა რამისა. აღაშენე და განამრავლე რამდენათაც გინდა სკოლები, განაწესე იმათში რავდენათაც გინდა მეცნიერი მასწავლებლები, აღავსე სკოლები ბავშვებით, რა სარგებლობა წარმოადგება ამათგან, თუ რომ არ იქნებიან თანვე დასტამბული წიგნები უხვად, რომლებზედაც შეიძლებოდეს გაკვეთილის მიცემა და სწავლება ყრმათა.

„აი, ამფერი წიგნების ნაკლებეანებისაგან იბადებოდნენ ეს შემაწუხებელნი მოხდენილობანიცა, რომ არა თუ სასოფლო სკოლების საქმე წინ ვერ მიდიოდა კარგად, არამედ ვითარცა ხანდისხან ეწერა სასოფლო გაზეთში ზოგი მათგანი ბოლოს გაუქმებული კიდევაც დაიკეტებოდა ხოლმე, ამიტომ რომ სოფლის სკოლებში მოსწავლე ყმაწვილებმა ქართული ენის მეტი სხვა ენა არ იციან, და ქართულ ენაზედაც სკოლისათვის საჭირო და სახელმძღვანელო წიგნები რომ არ იშოვებიან, უამისოდ ვერც მასწავლებელს შეუძლია ასწავლოს რაიმე ყრმათა და ვერცალა იმათ შეუძლიანთ ისწავლონ რაიმე. სასოფლო სკოლების ამ შესაბრალის მდგომარეობას აცხადებდა

12) ლოცვის წიგნი	60	„	--
13) წალკოტი ლოცვათა	60	„	--
14) საქრისტიანო მოძღვრება	20	„	--

ფრჩხილებში ნაჩვენებია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მალაზიის ფასები. იხილე წიგნ. მალაზიის კატალოგი, 1901. ტფილისი. გვ 2, 7, 12, 21, 64.

კვალად ის სტატიაცა, რომელიც დიდი ხანი არ არის ეწერა „დროება“ გაზეთში, რომლითაც სამართლიანად სწუხდა ერთი სკოლის მასწავლებელი და ამბობდა, რომ: ერთი „ბუნების კარი“ იყო, ისიც ეგება ხუთჯერ დავახელმეორებინე ყმაწვილებს, ამას გარდა სხვა სახელმძღვანელო წიგნი რომ აღარ არის ქართულებ, ამას იქით რაღაზე უნდა ვაკითხო ყმაწვილებსო? ამასთანავე არცაღა ჩანდა საიდგანზე ერთი საფუძვლიანი და სანუგეშო ნიშანი, რომლისაგან იმედი ყოფილიყო, რომ საქართველოს საზოგადოებას მოეშველებოდენ დროით ეს გამოსადეგი წიგნები და მით წამალი დაედებოდეს მის ამფერს დიდს საჭიროებას. ამ ზემოდ თქმულ უიმედობასაც აცხადებდა ავტორი „ბუნების კარისა“ წინასიტყვაობაში, სადაც ამბობს: „ბევრს ყმაწვილ კაცს სურს და ცოდნაც ნებას აძლევს, რომ სხვადასხვა მეცნიერებაზედ წიგნები შეადგინოს, მაგრამ კითხვა: ვინ მოითხოვს და ვინ მოიპოვებს? იმას ხელიდან კალამს აგდებინებს სამუდამოდო.

„აი, ამფერნი სამწუხარო გარემოებანი იყვნენ, რომელთაც აღგვძირეს ჩვენ, რათა მოყვასის სიყვარულისათვის თანამდებობის შესასრულებლად, რაოდენიც შეგვეძლო, გვეშრომა გულის მოდგინებით ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის. ამ მძიმე და ძნელი საქმის თავზედ აღებაზედ შეგვეავალიანა ჩვენ იმანაც, რომ ამნაირი მოყვასის სიყვარულის საქმის ასრულება ჩვენი სამონაზონო საზოგადოების წესდებულებისაც თანახმა იყო, რადგან სხვა არაფრისათვის არის შედგენილი ეს ჩვენი მონასტრებრივი ერთობა (Congregation), თუ არა მხოლოდ რაც შეგვიძლია ვიშრომოთ სასიკეთოდ მოყვასისა... რათა ქართული ენის მოსაუბრეთ რომის კათოლიკეთ და სომხის კათოლიკეთ საეკლესიო გინა სასოფლო სკოლებში მასწავლებლობის ქმნით, ვასწავლოთ კათოლიკე ყრმათა კითხვა, წერა კათეხიზისი, არითმეტიკა და სხვა ამნაირი სასწავლო საგნები¹⁾. ამისათვის ვიკისრეთ ყოველი სიძნელე, რათა დათარგმნილ იყვნენ სხვადასხვა ენებისაგან ქართულს ენასა ზედა და გამოცემულ იყვნენ მაინც რავდენიმე საჭირო და გამოსადეგი წიგნები ზემორედ თქმული აღსასრულისა და დანიშნულობისათვისო“.

და შემდეგ ამ ვრცელ „წინასიტყვაობიდანა“ ჩანს, რომ ქართველ კათოლიკე მონაზონებს მონთობანში დაუარსებიათ გამოცემლობა, რომელსაც საქართველოს სასოფლო სკოლებისათვის უნდა შეედგინა და ეთარგმნა უცხო ენებიდან საჭირო წიგნები. სიმართლე

1) იხ. მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის 1877. მონთობანი გვ. ა, ბ, გ, „სიტყვა წამკითხველთადმი სასოფლო სკოლებისათვის სახელმძღვანელო ქართული წიგნების გამოცემასა ზედა“.

უნდა ითქვას, რომ მათ დიდი შრომა გასწიეს და ზოგი მნიშვნელოვანი სამეცნიერო წიგნებიც გამოსცეს, როგორც, მაგალითად, ქართული გრამატიკა, მსოფლიო ისტორია, ლოდიკის სახელმძღვანელო, ფიზიკური გეოგრაფია და სხვ. ყოველ ამისთანა წიგნს დართული აქვს შესავალი თუ წინასიტყვაობა, სადაც ვრცლად განმარტებულია ამ წიგნის დანიშნულება, შესწავლის წესებიც და მოცემულია პედაგოგიური დარიგებანი.

აი, როგორ ამთავრებს მონთობანელი გამომცემლობა ერთ თავის წინასიტყვაობას: „ამ წიგნების ნათლად გამოყენას და გამოცემას თუმცაღა დიდი ხნის თავგანწირული შრომა და დიდი წარსაგები დასჭირდა, მაგრამ რადგან დიდათ გვიყვარდა და მიგვაჩნდა საქართველო და გვექონდა ნატურა მისდამი სამსახურის ჩვენებისა, ყოველნაირი მძიმე შრომანი და წარსაგებლის მსხვერპლნი თავზედ ავიღეთ, რათა მისცემოდა საქართველოს საზოგადოებას შემწეობა, წარმატება სწავლაში და იმის მომავალ ახალ თაობასაცა საშუალება მეცნიერებაში დაწინაურებისა. ამისთვის იმედი გვაქვს, რომე საზოგადოებაცა ესე თავისი ჩვეულებრივი გულკეთილობითა მისცემს შესაფერს და შემგულიანებელს ღირსებასა ამ ჩვენს შრომას, მიიღებს... და გამოიყენებს ამათ საქიროებისათვის თავისი სასოფლო სკოლებისა... რომლით მუქთად არ ჩაივლის თავგანწირული მოღვაწეობა ესე ჩვენი... სასარგებლოდ ივერიისა“¹⁾.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ გასული საუკუნის სამოცდაათიანოთხმოციან წლებში მონთობანში ყოფილა მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა, რომელიც ადგილობრივად მცხოვრებ ქართველებს მოუწყვიათ, მაგრამ, სამწუხაროდ, გასული საუკუნის მიწურულისათვის მონთობანში მცხოვრები ქართველები დაფანტულან და ბიბლიოთეკაც მოსპობილა, როგორც ამას ვადმოგვეცქმს ამ საქმისათვის მონთობანს სპეციალურად მივლინებული პირი²⁾.

რამდენადაც ვიცით, ოთხმოცდაათიანი წლებიდან მონთობანში ქართული წიგნების გამომცემის საქმე უნდა შეწყვეტილიყოს, რადგან ამ ხანებში საქართველოში უკვე საკმაოდ იცემოდა საქირო სახელმძღვანელო წიგნები, რომლის დანაკლისის შევსებასაც ცდილობდენ მონთობანელი გამომცემლები. ყოველ შემთხვევაში ამ სტრიქონების ავტორს შემდეგში მონთობანს გამომცემული წიგნები არ შეხვედრია,

¹⁾ ქართული გრამატიკა. წინასიტყვაობა. გვ. ივ. 1877. მონთობანი,

²⁾ ნ. ჯანდიერიშვილის წერილი, „ცნობის ფურცელი“ № 804. 1899 წლისა.

ხოლო ერთი ცნობის თანახმად მონთობანის ქართული სტამბა 1890-იან წლებში შეერთებულ იქნა კოსტანტინეპოლის სტამბასთან¹⁾.

როგორც დავინახეთ, საქართველოში საკმაო რაოდენობით შემოდიოდა მის საზღვრებს გარედ დაბეჭდილი ქართული წიგნები; მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მოსკოვიდან და პეტერბურგიდან, ხოლო მეორე ნახევარში—ვენეციიდან, კოსტანტინეპოლიდან და მონთობანიდან.

რასაკვირველია, ამ გარემოებას კავკასიის საცენზურო კომიტეტი სათანადო ყურადღებით ეპყრობოდა და ერთი და იგივე სახელწოდების წიგნი ასჯერაც რომ შემოეტანათ (ევროპიდან), ყოველთვის ცალკეულად ნებართვის მიღება იყო საჭირო.

1878 წელს კავკასიის საცენზურო კომიტეტი ვრცელ მოხსენებას უგზავნის ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა მთავარ კომიტეტს უცხოეთიდან შემოსულ სომხურ და ქართულ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა შესახებ და დარიგებას ითხოვს, თუ როგორ მოექცეს მათ შემდეგში: „რადგან ქართული და სომხური წიგნები ბლომად იბეჭდებიან საზღვარ-გარედ და თუმცა მისაღები რეკლამით გამოდიან, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრებით (წიგნები კათოლიკური ქვეყნებიდან მოდის) მაინც საეჭვონი არიანო“²⁾.

უცხოეთიდან ყოველწლიურად შემოტანილი ქართული წიგნების სრული სტატისტიკური ცნობები არ მოგვეპოება. მაინც საგულისხმეოა თვით კავკასიის საცენზურო კომიტეტის ციფრები, თუმცა ისინი შეეხებიან იმ დროს, როდესაც უკვე საკმაოდ შენელებული იყო საზღვარ-გარედ ქართული წიგნების ბეჭდვა:

1879 წელს საცენზურო კომიტეტის მიერ განხილულ იქნა 14 სახელწოდების (16 ტომად) უცხოეთში გამოცემული ქართული წიგნები¹⁾,

1880 წელს—9 სახელწოდება¹⁾,

1888 „ —5 სახელწოდება²⁾, ხოლო 1883 წლისათვის ანგარიშში საცენზურო კომიტეტი აღნიშნავს, რომ „უცხოეთიდან ქართული წიგნები უკვე მცირე რაოდენობით შემოაქვთ (სომხურთან შედა-

1) ზ. კიკინაძე—ქართული სტამბები. გვ. 163. 1916. ტფილისი.

2) Дело кавказского цензурного комитета № 6. 1878.

საქარ. სახელმწიფო ცენტრ. არქივის მასალებიდან.

3) Годовой отчет кавк. цензурн. комитета 1879 г. აგრეთვე кавказский календарь 1892 года. стр. 311.

4) ibid—за 1880 г.; кавк. кал. 1892 г.

5) Дело кавк. ценз. ком. № 43. 1883 г.

რებით), ის წელიწადში არ აღემატება საშუალოდ 20 სახელწოდებას¹⁾.

აქვე აღენიშნავთ, რომ შემდეგში, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს და მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან, ევროპის მრავალ მეცნიერულ-კულტურულ ცენტრებში გაჩნდა ქართული შრიფტი სხვადასხვა სტამბებში და ზოგან ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემაც დაიწყეს; სხვათა შორის პარიზში ჯერ კიდევ 1903 წელს 1 მაისს არჩილ ჯორჯაძემ დაიწყო ქართული გაზეთის „საქართველოს“ გამოცემა, რომელიც 1904 წლის დამლევამდე იქვე გამოიცემოდა²⁾.

ამას გარდა დასავლეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში ქართველოლოგიით დაინტერესებულ მეცნიერთა მოღვაწეობამაც ძლიერ შეუწყო ხელი დიდი უნივერსიტეტების სტამბებში ქართული შრიფტის გაჩენას.

1) *ibid*—Годовой отчет за 1883 г.

2) გ. რ. გ. ი. ო. რ. გ. ა. ძ. ე. — საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864—1905. გვ. 583.

თავი პირვე

ქართული წიგნი 1875—1905 წლებში

საერთო მდგომარეობა.—შინაარსეული ცვლილებანი ქართულ წიგნში.—მკითხველ-მომხმარებელთა ფენა.—გამომცემლები და მათი უმთავრესი დაჯგუფებანი.—წიგნით ვაჭრობის განვითარება ტფილისში.—მადაზიები და სხვა წიგნის გამაგრებელი საშუალებანი ქართ. წიგნის საქმეში.—წიგნის გამაგრებელი ქსელი 90-ან წლებში.—„ქართველთა შორის წერ-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მოღვაწეობა საგამომცემლო დარგში.—წიგნების გამომცემელი ქართველთა ასოციაცია.—ქართული წიგნის კატალოგიზაციის და რეკლამის საკითხი.—პერიოდულ გამომცემათა შინაარსეული ვითარება.—ერთდროულ გამომცემათა რაოდენობა და ტირაჟი; ცალკე სოციალური დანიშნულების ჯგუფთა განვითარება.—პერიოდულ გამომცემათა რაოდენობა, ტირაჟი და ბიბლიოგრაფია.

ქართული წიგნი 1875—1905 წლებში

„ყველაზე უფრო, რაც დღემდის ქართულ ენაზე გამოსულა და გამოდის, იბეჭდება იმ ერთი მუჭა თავად-აზნაურობისათვის, რომელიც ჩვენს მკითხველ საზოგადოებას შეადგენს“.

(„დროება“ 1875 წ. № 93).

მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან მოსახლეობის ფართო მასებში უფრო და უფრო ილვიძებს ინტერესი წიგნისადმი. ზედიზედ ჩნდებიან ახალ-ახალი წიგნის საგამცემლო-სავაჭრო ორგანიზაციები, რომელთაგან ზოგი საკმაო ნივთიერი საშუალებითაც არის აღჭურვილი.

ამავე დროს მოსახლეობის საერთო კულტურული დონის აწევასთან ერთად შინაარსეულად უფრო მრავალფეროვანი ხდება ქართული წიგნიც.

თუ წინად ბეჭდვითი პროდუქციის უმეტეს ნაწილს საეკლესიო-რელიგიური დანიშნულების წიგნები წარმოადგენდა, ეხლა მდგომარეობა იცვლება: იზრდება მონაწილეობა ბელეტრისტიკის, სიტყვაკაზმული ლიტერატურის, რომელიც მალე პირველ ადგილს იკერს რაოდენობის მხრივ და ამ პირველობას ინარჩუნებს შემდეგაც თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

სიტყვაკაზმულ ლიტერატურასთან ერთად მატულობს აგრეთვე სასწავლო-პედაგოგიური და პოპულიარულ-სამეცნიერო ხასიათის წიგნების ხვედრითი წონაც საერთო რაოდენობაში.

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ამ დროიდანვე ფეხს იდგამს და მნიშვნელოვან განვითარებას აღწევს ჩვენში ეგრეთწოდებული

„სახალხო წიგნების“¹⁾ გამომცემლობა. ხდება წიგნის დემოკრატიზაცია. იმ ერთი მუკა მკითხველი საზოგადოებიდან, რომელიც მას „დროს მოსაკლავად“ და „ამხანაგთა სათრეველად“ ეტანებოდა, წიგნი უკვე ფართე მოსახლეობის ინტერესის ობიექტად ხდება. თავად-აზნაურობის, არისტოკრატიის და სასულიერო წოდების ხელიდან იგი გადადის მშრომელთა ფართო მასაში და თანდათან უკანასკნელის ყოფა-ცხოვრებასა და ინტერესის გამომხატველი იდეით იტვირთება.

ამრიგად, „მეთვრამეტე საუკუნის, ძველი ქართული, საერო, სამღვთო, საფილოსოფო და სამეცნიერო წიგნები არქივს ბარდება. დროს ცვლილების მეოხებით მათ ფერი წაუვიდათ; დაეცა ანტონ კათალიკოსის სკოლა, მას თან გაჰყვა სხოლასტიკა. ძველი მოთხრობები ურგებ იქნა. ყოველ დროს, წელს და საუკუნეს თავისი ნარუქი მოაქვს, ასევე ქართველთათვის მოიტანა მეცხრამეტე საუკუნემ“²⁾.

ამ ხანებში უკვე გამოკვეთილ სახეს ატარებენ წიგნის გამომცემელ-გამავრცელებელნი. იმ დროინდელი ჩვენი „მეწიგნენი“ ერთსა და იმავე დროს არიან როგორც გამომცემელნი და რედაქტორნი, ისე ავტორნიცა და გამავრცელებელნიც წიგნისა.

ამ გარემოების შედეგი იყო ის მრავალი კუროზი, რომელსაც მაშინ წიგნის საქმეში ადგილი ჰქონდა. უმეტეს წილად სათანადო ცოდნა-გამოცდილებას მოკლებულ გამომცემელთა გამოცემები ფრიად მდარე იყო: ტექსტი შეუსწავლელი, გამოცემა—ლატაკი, კორექტურა ბარბაროსული, ილუსტრაციები პრიმიტიული³⁾. ამას ერთოდა ხშირი 'მემთხვევა გამომცემლების მიერ ავტორთა არევისა⁴⁾, და ხშირად საესებით მივიწყებაც კი.

ამ ხანების გამომცემლები შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად:

1) შეადარე ფ. მახარაძე—ტ. V. გვ. 162.

2) ი. მარუშიძე, ქართ. სახალხო სამეცნიერო წიგნები. 1903 წ. ტფილისი. გვ. 7.

3) ი. გ. რ. შ. ვ. ი. ლ. ი., ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოქემა. გვ. 85. ამავე ავტორის სიტყვით, ზოგმა გამომცემელმა წერა-კითხვაც კი არ იცოდა. უმრავლესობას არავითარი განათლება არ ჰქონდა მიღებული. მაგალითად, „ყა-ამანიანის“ ცნობილი გამომცემელი ლაზარევი (1832—1919) ასოთ-ამწყობი იყო, რომელმაც შემდგომი ალექსანდრეს ბალთან წიგნით სავაპრო გააღო. იგი ეძებდა „ყარამანიანის“ ხელონაწერებს, თვითონვე აწყობდა, თვითონვე ხატავდა ყდას და კლიშესაც ბზის ხეზე თვითონ სჭრიდა და არიგად სცემდა წიგნებს. *ibid.* გვ. 88.

4) *ibid.* გვ. 85; იხილე აგრეთვე ჟურ. „მნათობი“ 1879 წ. № 6, სადაც ერთი რეცენზენტი სიიაფესა და ბეჭდვის გარკვეულობას წინ აყენებს ტექსტის მეცნიერული შესწავლისა და გამოცემის სხვა წესებზე.

ა) პირველ ჯგუფს ეკუთვნიან გამომცემლები, რომლებიც უმთავრესად სქელ-ტანიან და ძვირ წიგნებს სცემდნენ. მათი გამოცემები ხელმისაწვდომი არ იყო მკითხველთა ფართო მასისათვის, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ძვირად ფასობდა, არამედ, რაც მთავარია, შინაარსულადაც. ეს წიგნები მეცნიერული ხასიათისა იყო და მკითხველებში გარკვეულ წინასწარ ცოდნასა და მომზადებას ჰგულისხმობდა. ამიტომ მათი მომხმარებლებიც მცირე რიცხოვანი იყვნენ და ამასთანავე თვით ეს წიგნებიც მეტწილად კომერციულად საზარალო იყო გამომცემელთათვის.

ბ) მეორე ჯგუფს შეადგენდნენ იაფფასიანი „სახალხო“, როგორც მაშინ ეძახდნენ, წიგნების გამომცემელნი. უკანასკნელთა პროდუქცია ფართო მოსახლეობაში ვრცელდებოდა. ამ გამოცემათა შინაარსიც აღნიშნული წრის მკითხველთა ყოფა-ცხოვრების საკითხებს შეეხებოდა. ეს წიგნები ადვილად გასაგები, მარტივი ენით იწერებოდა და ასევე მარტივი იყო მათი შინაარსიც. მათი უმრავლესობა მხატვრული მოთხრობებისგან შესდგებოდა. აქ იყო აგრეთვე პოპულიარულს სამეურნეო დანიშნულების სახელმძღვანელოები, თუ ცნობარები, ანბანები და სხვა პირველდაწყებითი სასწავლო წიგნებიც.

გ) მესამე ჯგუფის გამომცემლებიც იაფ-ფასიან წიგნებსა სცემდნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამათ წიგნებს შინაარსით აშკარა ზიანი მოჰქონდა მკითხველი საზოგადოებისათვის¹⁾. ეს გამომცემლები ხალხში ავრცელებდნენ სხვადასხვა ცრუმორწმუნეობისა და უპასუხისმგებლო აზრების შემცველ წიგნებს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ჩვენი დაყოფა არა აბსოლუტური, არამედ შედარებითი მნიშვნელობისაა, მით უმეტეს, რომ თვით გამომცემლებიც არ ისაზღვრავდნენ თავიანთი მოღვაწეობის ასპარეზს მხოლოდ ერთი რომელიმე ხასიათის წიგნების გამოცემით. ასე, მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ გამომცემელი ანდრია მოციქულის ამბებსაც ბეჭდავდა.

რამდენადაც წიგნის გამოცემის საქმე საერთოდ ვითარდებოდა და წიგნებიც მრავლად გროვდებოდა, იმდენადვე თანდათან ეწყობოდა წიგნის ბაზარი, — ჩნდებოდნენ სხვადასხვა სახის წიგნის გამავერცელებელნი.

ტფილისში წიგნით ვაჭრობის ძველი ცენტრი, რომელიც, გადმოცემის თანახმად, სიონის ტაძრის გასწვრივ ყოფილა (მე-XVIII ს.),

¹⁾ ი. მარუშიძე I. ც. გვ. 12.

მეცხრამეტე საუკუნის 60—70 წლებიდან ალექსანდრეს ბალის აღმოსავლეთით მდებარე ქუჩაზე გადმოდის¹⁾. აქ თუჯის მოაჯირზე რუსეთიდან ჩამოსული მოსიარულე წიგნით მოვაჭრენი (офенны) გამოფენდნ ხოლმე სხვადასხვა იაფ-ფასიან წიგნებსა და სურათებს: წმიდანების, მეფეების, ომების, სტენკა რაზინის, ემელიანე პუგაჩოვისა და სხვათა²⁾. ამგვარ საქონელს მაშინ საკმაოდ ჰყოლია მუშტრები, და რუსი მეწიგნეები წარმატებით ანვითარებდნ თაფიანთ საქმეს. ტფილისში მაშინ უკვე მოიპოებოდა საკმაო რიცხვი რუსული წიგნის მკითხველებისა³⁾.

იმ ადგილას, სადაც რუსმა ბუკინისტებმა დაიწყეს ვაჭრობა, შემდეგ თანდათან ქართული წიგნიც იქნა გატანილი. ქართული წიგნი მხოლოდ ოთხმოციან-ოთხმოცდა-ათიან წლებში ხდება ბუკინისტების საგნად და ისიც ძლიერ უმნიშვნელო რაოდენობით⁴⁾.

მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში ტფილისში არ იყო არც ერთი წიგნის მაღაზია. ამ დროს მხოლოდ სასწავლებლებში (უკეთა ვთქვათ: სასწავლებელში) და ისიც გარკვეულ დღესა და საათებში იყიდებოდა სასწავლო-სახელმძღვანელო წიგნები. მხოლოდ ხანდახან შეხვდებოდა ბაზარში კაცი წიგნის დამტარებელს, რომელსაც ხშირად ძველი ხელთნაწერი ქართული წიგნებიც დაჰქონდა გასაყიდად⁵⁾.

1846 წელს არსდება პირველი წიგნის მაღაზია⁶⁾. ტფილისში წიგნით ვაჭრობის პიონერებად ძმები ენფენჯიანცები ითვლებიან. ისინი ვაჭრობდნ როგორც რუსული და ქართული, ისე სომხური წიგნებით (უმთავრესად). ენფენჯიანცების საქმე, როგორც სჩანს, კარგად წასულა და 1851 წელს მათ ვაჭრობა თამამშვევის ქარვასლაში გადაუტანიათ⁷⁾.

ცოტათი გამოცოცხლებული წიგნით ვაჭრობა 1855.—1856 წ.წ. ოსმალეთთან ომის გამო მინელდა⁸⁾. მაგრამ მალე, 1757 წელს, იხსნება გ. ბერენშტამის წიგნის მაღაზია, რომელმაც ამ პატრონის ხელ-

1) Уличная книжная торговля в Тифлисе. იხ. გაზეთი „Кавказ“ 1877 წლის № 38.

2) ibid.

3) ibid.

4) შეადარე ი. გრიშაშვილი I. ს. გვ. 84 სქოლიო.

5) А. Ерицов—Книжное дело в Тифлисе, (см. журн. Кавказский *Книжный вестник № 3. 1900.)

6) ibid.

7) უმცროსი ძმა ჩქარა ჩამოსცილდა წიგნის საქმეს; მან საფუძველი დაუდვა შემდეგში ცნობილ „ენფენჯიანცის“ ფირმის თამბაქოს ქარხანას.

8) Ерицов—книжное дело в тифлисе.

ში შემდეგ დიდი განვითარება ჰპოვა ¹⁾). გ. ბერენშტამი განათლებული და წიგნის საქმის მკოდნე პირი იყო. მან რამდენჯერმე ევროპაშიაც იმოგზაურა ამ საქმის შესასწავლად და წიგნების შესაძენად.

სამოცდაათიანი წლების დასაწყისში კიდევ უფრო ფართოვდება წიგნის სავაჭრო ქსელი: 1863 წელს იხსნება ტერ-მიქაელიანის წიგნის მალაზია ²⁾).

თუ რა დიდი ყოფილა მაშინ ახალი წიგნის მალაზიის საკიროება ³⁾), ეს იქიდანაც სჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებული ყურადღებით მოპყრობია ამ საკითხს და მისთვის მთელი წერილი მიუძღვნია.

აი, რას სწერს ამ მალაზიის გახსნის შესახებ ილია ჭავჭავაძე თავის ჟურნალში:

„ჩვენ დიდის სიამოვნებით შევნიშნეთ, რომ ჩვენს ქალაქში თანდათან ვრცელდება წიგნების მოთხოვნილება. ამ მოთხოვნილებას ყველაზე უფრო ის გვიმტკიცებს, რომ ძლიერ დიდი ხანი არ არის, რაც ტფილისში არც ერთი წიგნის მაგაზინი არ იყო; ახლა ერთის მაგიერ სამი გვაქვს. ამ მაგაზინებისაგან ყველაზე წინედ იყო გახსნილი უფ. ენფიანჯიანცის მაგაზინი, მაგრამ იმაში სომხური წიგნების გარდა სხვა ენებზე ძლიერ ცოტა წიგნები იპოვებოდა. ამით სარგებლობდა მეორე მაგაზინის პატრონი უფ. ბერენშტამი და საშინელ ძვირად ჰყიდდა წიგნებს ¹⁾).

„ბერენშტამს რადგან მოაბრდაპირე არა ჰყავდა, უფროდაუფრო უმატებდა ფასს თავის წიგნებზე, ამასთანავე, რასაკვირველია, მისი ჯიბეც თანდათან სქელდებოდა, მაგრამ ეხლა კი, ვგონებთ, გათავდა მისი მეფობის დრო, გამოჩნდა მესამე მაგაზინი, სადაც, იმედია, საქმეს კეთილსინდისიერად წაიყვანენ. ახალი წიგნის მაგაზინის პატრონი არის უფ. ისააკ ტერ-მიქაელიანი, რომელიც, კურსის შესრულების შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში, ჩამოვიდა თავის სამშობლო ქალაქში და, ჩვეულების წინააღმდეგ, არ შეტუცა თავი მაშინვე სამსახურში, როგორც შევებიან თითქმის ყველანი, ვისაც კი მიუღია ცოტადენი განათლება.

¹⁾ Пионер книжного дела на Кавказе В. Беренштам. Кавк. книжный Вестник № 2 и 3. 1900).

²⁾ А. Ерицов, ნახსენები სტატია.

³⁾ ამავე ხანებში, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ოჯახებშიაც არ შეწყვეტილა წიგნების გაყიდვა. ეს გამყიდველები იყვნენ უმთავრესად თვით ავტორები ან გამომცემლები, ხშირად უკანასკნელთა მეგობრები და ნათესავებიც, რომელნიც მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ სასურველი ავტორის წიგნის გაერცელების საქმეში.

⁴⁾ „საქართველოს მოაზრებ“ № 3. 1863. გვ. 121.

„წიგნის მაგაზინის უკეთესი საქმის არჩევა არ შეიძლებოდა. ყველამ კარგად ვიცით, რა სასარგებლო არის ქვეყნისათვის წიგნის გავრცელება, ვიცით აგრეთვე, როგორ ძნელი იყო ამდენხანს ჩვენში კარგი წიგნების შონა“¹⁾).

ტერ-მიქაელიანის წიგნის მალაზიაში იყიდებოდა თითქმის ყოველგვარი წიგნები, ადგილობრივ და უცხო ენებზე. წიგნით ვაჭრობის საქმე ამ პირს, როგორც სჩანს, კარგად სცოდნია, მას ფართოდ გაუშლია კარები მყიდველებისათვის და სულ მალე წიგნის მალაზიის გვერდით გაუხსნია აგრეთვე ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სადაც თვეში ერთი მანეთის ანუ წელიწადში ერთი თუმნის შეტანით ყველას შეეძლო ჟურნალ-გაზეთების კითხვა და ამავე მიზნით სახლშიც წაღება²⁾). მიქაელიანი ლებულობდა ჟურნალ-გაზეთებს, გარდა რუსეთის სატახტო ქალაქებისა, აგრეთვე უცხოეთიდანაც.

არ გასულა დიდი ხანი და—ისააკ ტერ-მიქაელიანის წიგნის მალაზიას მოჰყვა ზედიზედ ახალი წიგნის მალაზიები. მაგალითად, 1871 წელს ს. ვართანოვი ჰხსნის წიგნის მალაზიას, სადაც იყიდება სომხური, ქართული და რუსული ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოები³⁾).

1872 წელს დაარსდა „ცენტრალური წიგნით სავაჭრო“ («Центральная книжная торговля»), რომელიც შემდეგ ჯაბადარისა და ნანუკოვის ხელში გადავიდა⁴⁾); ამ კომპანიამ რამოდენიმე კიოსკიც კი გახსნა ქალაქის სხვადასხვა კუთხეებში.

ამავე ხანებში იხსნება გრიჭუროვის «კავკასიის წიგნით სავაჭრო» («Кавказская книжная торговля»). გრიჭუროვმა თავისი საქმიანობა ფართო ნიადაგზე დააყენა, მის მალაზიაში სჭარბობდა წიგნები ადგილობრივ ენებზე. უნდა ვიფიქროთ, მას შემოსავალიც საკმაოდ ჰქონდა, რადგან მისმა ვაჭრობამ დიდ ხანს იარსება⁵⁾).

1878 წელს ზედიზედ არსდება ზ. კიკინაძისა⁶⁾ და გრ. ჩარკვიანის⁷⁾ წიგნის მალაზიები. უკანასკნელი განსაკუთრებით ქართული წიგნებით ვაჭრობდა. პირველთანაც ქართული წიგნები სჭარბობდა.

1) „საქ. მოამბე“ № 3. გვ. 122.

2) *ibid.* გვ. 123.

3) А. Ерицов I. с.

4) *ibid.*; აგრეთვე ზ. კიკინაძის—ზ. პ. გრიჭუროვი 1841—1910. 1926. ტფილისი. გვ. 11.

5) იხ. ვრცლად ზ. კიკინაძის—ზ. პ. გრიჭუროვი. 1926. ტფილისი.

6) ზ. კიკინაძე—ქართული სტამბები. 1916. გვ. 13.

7) გრ. ჩარკვიანის ქართ. წიგნ. მალაზიის კატალოგი 1878—1888. თავ-ფურცელი. აგრეთვე ზ. პ.—გრ. ჩარკვიანი. 1919. ტფილისი.

ამაზე ცოტა უფრო ადრე, 1864 წ. სტ. მელიქიშვილისა და ამხანაგობის მიერ მოწყობილ იქნა სტამბა, რომლის მიზანს სპეციალურად ქართული გამომცემლობისათვის სამსახური შეადგენდა¹⁾. სტ. მელიქიშვილის სტამბას მოჰყვა ექ. ხელაძის (1872 წ.)²⁾ და გრ. ჩარკვიანის³⁾ (1880) სტამბები. უკანასკნელთ, როგორც უკვე აღვინიშნეთ, სტამბასთან პარალელურად წიგნით სავაჭროც ჰქონდათ.

ამას გარდა, ქართულ პერიოდულ გამოცემათა რედაქციებიც პატარ-პატარა „წიგნის მალაზიებს“ წარმოადგენდნენ. მაგალითად, როგორც „ცისკრის“ (1852—1875), ისე „საქართველოს მოამბის“ (1863), „დროების“ (1866—1885), „ივერიის“ (1877 წლიდან) „სასოფლო გაზეთის“ (1869—1880) და სხვათა რედაქციებშიც თავს იყრიდა და სალდებოდა ქართული წიგნები. პერიოდულ გამოცემათა რედაქციების, სტამბების (სტამბებშიაც იყიდებოდა წიგნები) და წიგნის მალაზიების გარშემო მაშინ თავს იყრიდა მთელი პროგრესიული საზოგადოება, რომელიც იყო იმავე დროს უმთავრესად წიგნის მომხმარებელიც.

წიგნის საქმის განვითარებამ თანდათან სწრაფი ტემპი მიიღო. უკვე დაიბადნენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (1879)⁴⁾ და „ქართველთა სავამომცემლო ამხანაგობა“ (1880)⁵⁾, რომლებმაც ასე დიდი სამსახური გაუწიეს შემდეგში ქართული წიგნის საქმეს.

1888 წლისათვის მთელი საქართველო მოფენილი იყო ქართული წიგნის გამავრცელებელი ქსელით. ქართული წიგნის მალაზიები და კიოსკები, გარდა ტფილისისა, არსებობდა:

- 1) ფოთში,
- 2) ქუთაისში,
- 3) თელავში,
- 4) გორში,

¹⁾ აკაკი (წერეთელი) შენიშვნები, „ივერია“ № 200. 1904.

²⁾ Ерицов—статистика местной печати („Кавказ“ 1883. № 126). აგრეთვე ზ. კიკინაძე — ექ. ივ. ხელაძის სტამბის ;0 წლის არსებობის დღესასწაულის გამო. 1902. ტფილისი.

³⁾ გრ. ჩარკვიანის ქართ. წიგნის მალაზიის კატალოგი.

⁴⁾ იხ. წესდებულება ტფილისის საზოგადოებისა, რომელმაც წიგნის ცოდნა უნდა გააზიაროს ქართველებ-შუა, სადაც ისინი მოსახლეობენ კავკასიის სანამესტ-ნიკოში. 1879, ტფილისი.

⁵⁾ ანგარიში წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა 1890—1891 წლისა. 1892, ტფილისი.

- 5) ხონში,
- 6) ბათუმში,
- 7) სოხუმში,
- 8) ახალ-სენაკში,
- 9 კავკავში,
- 10) ოზურგეთში,
- 11) ზუგდიდში,
- 12) სიღნაღში და სხვ. ¹⁾.

ტფილისში კი	1889 წელს იყო	37 წიგნის მალაზია და კიოსკი ²⁾ .
1892	" "	52 " " " "
1893	" "	45 " " " "
1894	" "	46 " " " "
1896	" "	46 " " " "
1899	" "	56 " " " "

აქედან, თუ კავკასიის საცენზურო კომიტეტის ვარაუდს ავიღებთ, რომლის თანახმად ტფილისში წიგნით ვაჭრობის 50⁰/₁₀-ზე მეტს ადგილობრივი ბეკლდვითი სიტყვის ნაწარმოებნი შეადგენდენ ³⁾, და ადგილობრივიდან 40⁰/₁₀-ს ქართული ბეკლდვითი სიტყვის ნაწარმოებად მივიჩნევთ ⁴⁾, გამოვა, რომ ზემოდ მოყვანილი წიგნით სავაჭროების ქსელიდან 10⁰/₁₀-ზე მეტისთვის საქმიანობის ობიექტს ქართული წიგნი წარმოადგენდა.

1899 წლის 31 მარტს კავკასიაში მეფის მოადგილის მაგიერი, ს ვ ი ა ტ ო პ ო ლ კ მ ი რ ს კ ი „ამტკიცებს წესდებულებას, ტფილისის საზოგადოებისა, რომელმაც წიგნის ცოდნა უნდა გაახშიროს ქართველებშუა, სადაც ისინი მოსახლეობენ კავკასიის სანამესტინკოში“ ⁵⁾.

მოხსენებული „წესდებულების“ თანახმად, ეს „საზოგადოება“ მიზნად ისახავდა „წიგნის ცოდნისა და თავდაპირველი სწავლის გავრცელებას საქართველოში“ ⁶⁾, რისთვისაც ის „უყვე გახსნილ სკოლებს

¹⁾ გ რ. ხ ა რ კ ვ ი ა ნ ი ს ქ ა რ თ. წ ი გ. მ ა ლ ა ზ. კ ა ტ ა ლ ო გ ი. 1888. ტ ფ. გ ვ. 1.

²⁾ ცნობები ამოღებული გვაქვს კავკ. საცენზ. კომიტეტთან არსებული ბეკლდვითი საქმის მეთვალყურე რეზიუმეში შესაფერი წლების. ანგარიშებიდან

³⁾ Дело кавк. цензурного комитета 1899. № 23.

⁴⁾ კავკ. საცენზურო კომიტეტი თავის წლიურ ანგარიშებში ქართული ბეკლდვითი სიტყვის ნაწარმოების მონაწილეობას მთელი ადგილობრივი ბეკლდვ. სიტყვის პროდუქტიაში საზღვრავს 35—55⁰/₁₀-ით სხვადასხვა წლებში.

⁵⁾ იხ. წესდება ტფილისის საზ-ებისა, რომელმაც წიგნის ცოდნა უნდა გაახშიროს ქართველებ შუა. 1879. ტფ.

⁶⁾ იქვე, § 1.

ხელს უმართავს¹⁾), ამას გარდა, სადაც საჭიროდ დაინახავს, თვითონაცა ხსნის ახალ სკოლებსა საკუთარის ხარჯით²⁾), გამოუშვებს სასწავლებელს სახელმძღვანელოს და სხვა წიგნებსა სახალხო საკითხავად. აგრეთვე, რამდენადაც შესძლებს და საჭიროება მოითხოვს, თავის ამბებსაც დაბეჭდავს ანუ სხვა ჯრობითოს გაზეთს თუ ჟურნალსა გამოსცემს³⁾).

„საზოგადოება შეადგენს თავის საწიგნობროს, როგორც თავისთვის, ისე ხალხისთვის საკითხავად, აგრეთვე დახსნის წიგნების საწყობებს, რაც მუქთად თუ ფასით იქნება დასარიგებელი, და პედაგოგიისათვის გამოსადეგი ნივთების საწყობებსა“⁴⁾).

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება თავის მიზანს იმით მიაღწევს, რომ სახალხო სკოლებში დასაწყის სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზედ, რომელიც ესმით მოსწავლეებსა“⁵⁾).

რასაკვირველია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიზანი ეწინააღმდეგებოდა იმ პოლიტიკას, რომელსაც ადგა მეფის ხელისუფლება ქართული კულტურისა და ეროვნების მიმართ და რომელსაც მიზნად ჰქონდა მოეხდინა საქართველოს რუსიფიკაცია, სავსებით განედევნა სკოლებიდან ქართული ენა.

ეს საზოგადოება ძლიერ ჩქარა ხდება პოპულიარული და აქტიური კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხებში⁶⁾). მისი მოქმედების ასპარეზი მალე სცილდება პირველდაწყებითი ცოდნის გავრცელების ფარგალს⁷⁾): არა ერთს ახალგაზრდას მისცემია საშუალება ამ საზოგადოების სტიპენდიით თუ სხვაგვარი დახმარებით მიეღო უმაღლესი განათლება რუსეთისა და ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში⁸⁾).

„ეს საზოგადოება იმ დროისათვის ერთგვარ ქართული მთავრობის როლს ასრულებდა და როდესაც ყოველივე ეროვნულის დევნა

1) იქვე, § 2.

2) „

3) „ § 4.

4) „ § 5.

5) იხ. წესდება... გვ. 13.

6) ქ. შ. წ-კ. გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების ინიციატორები იყვნენ: დ. ყიფიანი, ბ. ლოლობერიძე, ი. ქავკავაძე.

7) წესდებულება... § 11.

8) 1913—1914 წლ. განმაელოებაში საზოგადოებას ჰყავდა 37 სტიპენდიანტი. სტიპენდიები იყო: ზუბალაშვილის, სარაჯიშვილის, ლოლობერიძის სახელობის. იხ. ანგარიში ქ. შ. წ-კ. გამავრც. საზ-ებისა 1914 წლის. 1915 ტფ. გვ. 245—246.

ამიერ-საქართველოში ¹⁾, მაშინ საზოგადოებამ „ქართლ-კახეთში წიგნის კითხვის მადის გასაღვიძებლად და გასაერცელებლად“ ²⁾, სპეციალური პირი დაიჭირავა (მოსიარულე წიგნით მოვაქრე), რომელსაც თვეში 20 მანეთს და გაყიდული წიგნების 10%³⁾-ს აძლევდა ⁴⁾).

მაგრამ ამ ცდამ კიდევ უფრო დაამტკიცა უკვე არა ერთხელ დამტკიცებული აზრი აღმოსავლეთ საქართველოზე: საზოგადოების მიერ დაქირავებულმა პირმა ოთხი თვის განმავლობაში მოიარა მთელი კახეთი და სულ 33 მანეთის წიგნების გაყიდვა-ლა შესძლო; თვით საზოგადოებას კი ამავე დროს ეს ცდა 83 მანეთი დაუჯდა ⁵⁾).

1880 წლიდან ვიდრე 1914 წლამდე ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებამ გამოსცა 108 სხვადასხვა სახელწოდების წიგნი ⁶⁾, რომელთაგან ზოგიერთი სახელწოდება თითქმის ყოველ წელიწადს იცემოდა ⁷⁾, რაც საფუძველს გვაძლევს მარტოოდენ 1914 წლამდე ამ საზოგადოების გამოცემათა საერთო რიცხვი 500-მდე მაინც ვივარაუდოთ. გამომცემლობის საქმემ 1912 წლამდე საზოგადოებას მისცა 56.080 მანეთის წმინდა მოგება ⁸⁾. საზოგადოების ყოველწლიური მოგება წიგნის გამოცემიდან და ვაჭრობიდან ⁹⁾, მსოფლიო ომის წინა წლებში, 5 ათას მანეთს აჭარბებდა, ყოველწლიური დანახარჯი კი მხოლოდ გამოცემაზე 14.000 მანეთამდე აღწევდა ⁹⁾).

¹⁾ ანგარიში ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზ. 1893/1894 წ. 1894 ტფილისი. გვ. 37.

²⁾ ibid გვ. 38.

³⁾ ibid.

⁴⁾ ანგარიში... 1893/1894. გვ. 38.

⁵⁾ ანგარიში... 1914 გვ. 10.

⁶⁾ მაგალითისთვის აღენიშნავთ, რომ საზოგადოებამ ი. გ. გ. ე. ბ. შ. ვ. ი. ს. „ბუნების კარი“ 1913 წელს მე-23-მედ გამოსცა; იმავე წელს გოგებაშვილისავე „დედა ენის“ მე-II ნაწილი მე-29-ჯერ იქნა გამოცემული, ხოლო „დედა ენის“ I ნაწ. მე-35-ჯერ გამოიცა 30.000 ეკზემპლარის რაოდენობით (იხ. ანგარიში... 1914 წლ. გვ. 250).

⁷⁾ ანგარიში... 1914 წლისა გვ. 10.

⁸⁾ საზოგადოება, გარდა თავის გამოცემათა, აერცელებდა აგრეთვე სხვა გამომცემლობათა გამოცემებსაც.

⁹⁾ საზოგადოების მიერ წიგნით ვაჭრობა 1913 წელს შემდეგში გამოიხატა: ჰქონდა—საკუთარი გამოცემანი 23.861 მანეთის, სხვათა გამოცემანი—6.130 მანეთის, სულ 29.991 მან. გაიყიდა იმავე წელს საკუთ. გამოცემანი 14.620 მანეთის, სხვა გამომცემელთა—837 მანეთის, სულ—15.457 მან. მთელი საქონლის საშუალო რეალიზაციის სისწრაფე (ასორტიმენტის განურჩევლად) უდრიდა 29.991 : 15.457, ე. ი. 2 წელიწადზე ნაკლებ დროში ხდებოდა ქართ. წიგნის ბრუნვა (იხ. ანგარიში... 1914. გვ. 251—253).

საზოგადოებამ ძლიერ შეუწყო ხელი აგრეთვე სააეტორო პონორარის გამტკიცებასაც¹⁾. ის ყოველთვის მეტი პონორარით აჯილდოებდა აეტორს, ვინემ რომელიმე სხვა გამომცემელი. და თუ, მიუხედავად ამისა, მისი საგამომცემლო საქმე მაინც არ ზარალობდა, ეს იმიტო უნდა აიხსნას, რომ საზოგადოების გამოცემათა პროდუქციის უდიდეს ნაწილს სახელმძღვანელო-სასწავლო წიგნები შეადგენდა, რომელთა რეალიზაცია ათეულ ათას ეკზემპლიარებში უზრუნველყოფილი იყო²⁾.

იმის წარმოდგენას, თუ რამდენს ხარჯავდა საზოგადოება სხვადასხვა (1877--1900) წლებში წიგნების გამოცემაზე, გვაძლევს ცხრილი № 1; ხოლო საზოგადოების მიერ წიგნით ვაჭრობიდან, აგენტების ჩაუთვლელად, მიღებული შედეგისათვის (მოგებისათვის) იხილე შემდეგი ცხრილი № 2.

ც ხ რ ი ლ ი № 1:

რამდენს ხარჯავდა საზოგადოება წლიურად წიგნების გამოცემაზე³⁾.

წლები	მანეთები	წლები	მანეთები
1887/8	5.000	1901	4.225
1888/9	5.921	1902	6.085
1891/90	2.976	1903	8.983
1890/91	3.750	1904	11.328
1891/2	6.572	1905	5.927
1892/3	196	1906	6.056
1893/4	3.299	1907	9.956
1895	8.338	1908	11.336
1896	750	1909	8.835
1897	8.493	1910	10.858
1898	6.664	1911	11.444
1899	9.183	1912	8.669
1900	7.375	1913	13.720

1) ანგარიში... 1893/1894 წ. გვ. 25 და სხვა წლების ანგარიშებიც.

2) ანგარიში... 1914 წ. აგრეთვე სხვა ანგარიშებიც. თაჲ: გამომცემლობის და წიგნით ვაჭრობის შესახებ.

3) ამოღებულია საზოგადოების ანგარიშებიდან 1914 წლისა გვ. 19.

ცხრილი № 2:

საზოგადოების მიერ წიგნით ვაჭრობიდან მიღებული მოგება (აგენტებისაგან მიღებული მოგების ჩათვლელად) ¹⁾

წლები	მანეთები	წლები	მანეთები
1888	62	1901	1.485
1889	752	1902	1.689
1889,90	1.194	1903	2.032
1890,91	987	1904	2.232
1891,2	878	1905	1.767
1892,3	1.188	1906	1.203
1893,4	1.357	1907	1.556
1894,5	2.311	1908	3.409
1896	1.158	1909	3.900
1897	1.358	1910	4.640
1898	1.589	1911	4.343
1899	1.870	1912	6.142
1900	1.917	1913	5.064

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება აარსებდა, ხან თავის სასწავლებლებთან ²⁾, ხანაც სრულებით და მოუკილებლად, წიგნთსაცავ-ბიბლიოთეკებს. 1914 წლის 1 იანვრისათვის მის საქართველოს სხვადასხვა ადგილას 66 ბიბლიოთეკა-სამკითხველო ჰქონდა. აქედან მარტო ქუთაისის განყოფილებას ჰქონდა 31 ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელთა შესანახად წლიურად 3.500 მანეთამდე იხარჯებოდა. საზოგადოებას ჰყავდა მიწვეული აგრეთვე საკუთარი მეთვალყურე ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა ³⁾.

ამას გარდა, საზოგადოება თავისი დაარსების პირველსავე წელს, თანახმად წესდებისა ⁴⁾, შეუდგა დიდი წიგნთსაცავ-მუზეუმის

¹⁾ ცხრილი ამოღებულია საზ-ების 1914 წლის ანგარიშიდან, გვ. 18.

²⁾ საზოგადოებას 1914 წლისათვის ჰქონდა 20 სკოლა (აქედან 16 პირველ-დაწყებითი) რომლებშიაც ყოველწლიურად (1900 წლიდან) ათასზე მეტი მოსწავლე ითვლებოდა. საზოგადოების არსებობის 35 წლის თავისათვის მის სასწავლებლებში გავლილი იყო სულ 26.763 მოწაფე (იხ. ანგარიში... 1914. გვ. 14—15).

³⁾ ანგარიში... 1914 წ. გვ. 9.

⁴⁾ წესდებულება... § 4.

მოწყობას, სადაც შემდეგში თავი მოიყარა ქართველი ერის უძვირფასესმა განძეულობამ ამ დარგში; საზოგადოების წიგნთსაცავი ჯერ კიდევ 1911 წლისათვის შეიცავდა 10.000-ზე მეტს, როგორც დაბეჭდილ ისე ხელთნაწერ წიგნებს¹⁾).

ეს წიგნთსაცავი დღესაც ყველა ჩვენს წიგნთსაცავთ შორის უმდიდრესია როგორც დაბეჭდილი, ისე ხელთნაწერი²⁾ წიგნებით. მასში თავმოყრილია აგრეთვე დიდი უმრავლესობა პირველნაბეჭდი ქართული წიგნებისა³⁾. ამ საზოგადოებას, როგორც მის საერთო მოღვაწეობაში, ისე წიგნის გავრცელების საქმეშიაც, წინ ელობებოდა მრავალი დაბრკოლება, რომელსაც უქმნიდა მეფის ხელისუფლება. აი, როგორ ახასიათებდა თავის დროზე ამ გარემოებას ფ. გოგოჩაიშვილი: „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ტფილისში აქვს გახსნილი 3 სამკიიხველო, რომელიც იაფფასიანია და ხალხს მკირე სასყიდლით აძლევს წიგნებსა და გაზეთებს წასაკითხად. ამ უკანასკნელ ხანებში „საზოგადოების“ გამგეობას გუბერნატორისაგან მოწერილობა მიუვიდა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ეს სამკიიხველოები ადმინისტრაციამ უფასო წიგნთსაცავ-სამკიიხველოების წესდებას დაუქვემდებარა და რომ გამგეობა ამის შემდეგ ვალდებულია ხსენებული წესდების თანახმად მოიქცესო. ეს „დაქვემდებარება“ იმას ნიშნავს — განაგრძობს ფ. გოგოჩაიშვილი, — რომ ხსენებულ სამკიიხველოებში უნდა იყოს მხოლოდ ის წიგნები, რომლებიც სამინისტროსაგან არის განსაკუთრებით ნებადართული და ცალკე კატალოგში აღნიშნული. საზოგადოდ რუსეთში უფასო სახალხო სამკიიხველოებს, წიგნების მხრით, ასპარეზი ძალიან შეზღუდული აქვთ. აქ მხოლოდ ის წვრილი ბროშურები შეიძლება იქონიონ, რომლების კითხვა ხალხისათვის თვითონ მთავრობას სასარგებლოდ მიაჩნია. ფასიან სამკიიხველოებში ასეთი სასტიკი განსაზღვრა არ არსებობს და ცენზურისაგან ნებადართული წიგნები იქ აკრძალული არაა. უფასო სამკიიხველოებში დასაწყობად ნებადართულ წიგნებში დიდი ადგილი უჭირავს ისეთ ნაწერებს, რომლებიც საღვთო წერილის ამბებსა და წმინდანების ცხოვრების აღწერას შეიცავს. ანაირად, სახალხო სამკიიხველო, ხსენებული წესდების თანახმად,

¹⁾ დ. კარიკაშვილის მიერ შედგენილი ქ. შ. წ.-კ. გამ. სახ. წიგნთსაცავის კატალოგი I 1905 წ. და II 1911 წ.

²⁾ ხელთნაწერი წიგნები, დღეს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმშია.

³⁾ ვ. ბროსისე — ქართული წიგნების შეერთებული კატალოგი და მათი რაოდენობა ტფილისში (წიგნის მეგობარი № 1—2. 1925. გვ. 41.)

უფრო სარწმუნოებისა და რელიგიური ზნეობის განმტკიცების დაწესებულება... მაგრამ, ამ დანიშნულებასაც რომ თავი დავანებოთ, მთავარი პრაქტიკული საგანი ამ შემთხვევაში ის არის, რომ იმ კატალოგში, რომელიც გამოცემულია რუსეთის უფასო სახალხო სამკითხველოებისათვის, არც ერთი ქართული წიგნი არაა ნაჩვენები¹⁾ და ამრიგად ქართულ ფასიან სამკითხველოს უფასოდ გადაქცევა და იმ წესზედ დაყენება, რა წესზედაც არსებობენ რუსეთში უფასო სახალხო სამკითხველოები, ნიშნავს ფაქტიურად ქართული წიგნების გამოდევნას და მარტო რუსულის დატოვებას²⁾. და ამთავრებს ავტორი: „თუმცა... რასაკვირველია, ყველამ ვიცით, რომ თანამდროვე წყობილებაში ბევრი დაბრკოლება ხვდება წინ ქართულ წიგნს და ქართულ ენასო“³⁾.

1923 წლისათვის ამ წიგნთსაცავში იყო 4.340 სახელწოდების ქართული ნაბეჭდი წიგნი⁴⁾. სამწუხაროდ, შემდეგ მას აღარ ემატება ახლად გამოცემული ქართული წიგნები.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების პირველს წლებში დაარსდა აგრეთვე ორგანიზაცია, რომელსაც თავისი საქმიანობის ასპარეზად უშუალოდ წიგნის გამოცემა და გავრცელება ჰქონდა დანიშნული,—ეს იყო „წიგნის გამომცემელი ქართველთა ამხანაგობა“.

ამ ამხანაგობამ იმ თავითვე, რაც შეიძლებოდა, ფართო ნიადაგზე დააყენა თავისი საქმიანობა. ის ყოველწლიურად სცემდა ათეულ სახელწოდებას, რომელთა გამავრცელებელი ქსელიც სათანადო სიმალლეზე ჰყავდა აყვანილი. ჯერ კიდევ 1891 წელს, წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობას ჰყავდა ფართო აგენტურა, რომელიც ავრცელებდა, როგორც თვით ამხანაგობის, ისე ყველა სხვა გამომცემელთა პროდუქციას შემდეგს პუნქტებში:

- 1) სოხუმი,
- 2) ბათომი,
- 3) ფოთი (ორი აგენტი),
- 4) ოზურგეთი,
- 5) სუფსა,

¹⁾ ხაზი ჩვენია.

²⁾ იხ. ფ. გოგოჩაიშვილი, „შინაური მიმოხილვა“ ქურ. „მოამბე“ 1904. № 4. გვ. 65—66.

³⁾ ibid, გვ. 67.

⁴⁾ პირველნაბეჭდ წიგნებად ვაჟლისხმოთ ნე-XVII და მე-XVIII სს. დაბეჭდულ ქართულ წიგნებს.

- 6) ქუთაისი (ორი აგენტი და კიოსკი),
- 7) რიონი,
- 8) ზესტაფონი,
- 9) „ -ის რაიონში,
- 10) ძირულა,
- 11) ხორაგოული,
- 12) ხაშური,
- 13) გორი და მისი რაიონი,
- 14) ახალციხე,
- 15) თელავი,
- 16) კავკავი,
- 17) განჯა,
- 18) „ -ის რაიონი,
- 19) ტფილის-განჯამდე (კრინის გზ. ხაზზე),
- 20) ყარსი და სხვ. ¹⁾.

ამავე 1891 წელს ამხანაგობის წლიური აღებმცემობა ორმოცდაათ ათას მანეთს აღწევდა ²⁾.

თავისი პროდუქციის—წიგნის—გავრცელებას ქართველ გამომცემელთა ამხანაგობაც, ისე როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, უფრო დასაყვლეთ საქართველოში ახერხებდა, ვიდრე აღმოსავლეთში ³⁾.

1892 წელს, ტფილისის წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის მზგავსად, იმავე წესით და მიზნით ქუთაისშიც დაარსდა „წიგნების გამომცემელი ქართველთა ამხანაგობა“ ⁴⁾

წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობა, როგორც ქუთაისში ისე ტფილისშიაც (უმთავრესად), სცემდა ძლიერ ხშირად მეცნიერულსა და მეცნიერულ პოპულიარულ წიგნებს. ზოგი მათგანი პირდაპირ მონუმენტალური გამოცემაა. ამხანაგობას ჰქონდა საკუთარი ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, სადაც, გარდა თვით ამხანაგობის გამოცემათა, იბეჭდებოდნენ აგრეთვე დიდის რაოდენობით სხვათა ქართული გამოცემანიც ⁵⁾.

¹⁾ ანგარიში წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა 1890/1891 წ. 1892. ტფილისი. გვ. 28.

²⁾ ibid გვ. 12.

³⁾ ibid გვ. 13.

⁴⁾ „ივერია“ № 17.1892 წ.

⁵⁾ ანგარიში წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა 1901 წელს 1892. ტფილისი. გვ. II.

ამხანაგობის სასტამბო მეურნეობა ისე გაიზარდა, რომ 1901 წლის ბრუნვა 257.000 მანეთში გამოიხატა, რომელმაც ამხანაგობას იმავე წელს მ.ს.კა 29.500 მანეთის წმინდა მოგება ¹⁾).

ამავე 1901 წელს ამხანაგობის მთლიანი ბრუნვა 795.593 მანეთს უდრიდა ²⁾).

როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ისე გამომცემელთა ამხანაგობანიც მოქმედებდნენ უკანასკნელ ხანებამდე. უნდა ითქვას, რომ მათ, განსაკუთრებით პირველს, დიდი და ფრიალ მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით ქართული კულტურისა და განათლების საქმეში.

გარდა ზემოხსენებულ ორგანიზაციათა, აღებული პერიოდის (1875—1905) უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად განვითარდნენ აგრეთვე სხვადასხვა კერძო სავაჭრო-საგამომცემლო ორგანიზაციები ³⁾), რომელთა ხელში ამ მეურნეობამ შემოსავლიანობის, რენტაბელობის, ხასიათი მიიღო და რომელთა ზოგმა ნაწილმა 1920/1921 წლამდე და დღემდე შეინარჩუნა არსებობა, თუმცა ცოტათი სახეშეცვლილად.

ის კერძო ვაჭარ-გამომცემელნი, რომლებმაც თავისი საქმიანობა იმ ხანებში დაიწყეს და აქამომდე არსებობენ, წიგნის გავრცელების საქმეს ეწევიან უფრო ბუკინისტების სახით, — ისინი ეხლაც თავმოყრილნი არიან უმთავრესად ალექსანდრეს ბალის აღმოსავლეთით მდებარე ქუჩაზე და წიგნების გამოცემას ან სრულებით არა და ან ყოველშემთხვევაში იშვიათად აწარმოებენ.

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევე აღებულ პერიოდს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს და მიმდინარე საუკუნის დასაწყისს ქართული წიგნი გახდა უკვე ისეთი საგანი-საქონელი, რომელსაც გეგმაზეწონილ მეურნეული წარმოებაში შეუძლია მისცეს მეურნეს საკმაო მოგება. ამავე დროს ამ საქმისადმი ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ მის მიმდევართ კულტურულ—საზოგადოებრივ მოღვაწეთა სახელიც ჰქონდათ მაკუთვნებულა ⁴⁾).

წიგნის გამრავლებამ გამოიწვია მისი გავრცელების ხერხის, რეკლამის განვითარებაც. ამ დროიდან ქართული ჟურნალი-გაზეთები სავსეა გამომცემელთა და გამვრცელებელთა განცხადებებით. როგორც ზევით აღენიშნეთ, ჯერ კიდევ პირველ ქართულ გაზეთში ⁵⁾

¹⁾ იქვე, გვ. 14.

²⁾ იქვე, გვ. 15.

³⁾ იხ. „კვალი“ № 31. 1896. ქართული მწიგნობრობა და წიგნების ბეკლევა.

⁴⁾ შეადარე „ივერია“ № 200. 1904 წ. შენიშენა სტამბებზე.

⁵⁾ იხ. „ქართული გაზეთი“ № 12. 1821 წლისა.

ეხვედებით მსგავს მოვლენას, მაგრამ სისტემატიურ და ნაწილობრივად კონკურენციის ნიადაგზე აღმოცენებულ აუცილებლობის ხასიათს იგი ჩვენში მხოლოდ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან ღებულობს. გაზეთი საერთოდ ერთერთი საუკეთესო სარეკლამო საშუალებაა წიგნის გავრცელების საქმეში.

იწყება წიგნების კატალოგიზაცია, რითაც მკითხველ-მომხმარებელი თუ გამომცემელი და ხშირად ცენზურაც თავს აღწევენ იმ გაუგებრობათა ქსელს, რომელშიაც ისინი სათანადო კატალოგების უქონლობისა გამო ხშირად იბნეოდნენ.

ქართულ და საერთოდ კავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნებათა ენებზე წიგნების მთლიანი კატალოგის შედგენა-გამოცემის იდეა ჯერ კიდევ გასულ საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან დაიბადა კავკასიის საცენზურო კომიტეტში ¹⁾, მაგრამ „საჭირო მასალების უქონლობისა გამო“ განუხორციელებელი დარჩა კარგა ხანს.

1874 წელს კავკასიის საცენზურო კომიტეტის არქივიდან ზოგი მნიშვნელოვანი საქმეების გატაცებამ ²⁾ ეს საქმე დააჩქარა, და უკვე 1881 წელს კავკ. საცენზურო კომიტეტს ¹⁾ შანშიევმა წარუდგინა ქართული წიგნების ქრონოლოგიური კატალოგი, რომელიც დაიბეჭდა კიდევაც 1883 წელს ²⁾. ამ კატალოგში შევიდა, მისი ავტორის აზრით, ყველა ის წიგნები, რომლებიც დაბეჭდილა 1629 წლიდან, ე. ი. პირველად დაბეჭდილი ქართული წიგნიდან დაწყებული ვიდრე 1883 წლამდე გამოცემული ყველა ქართული წიგნი ³⁾. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს აზრი სავსებით არაა განხორციელებული. შანშიევის კატალოგში არაა შესული ბევრი ფრიალ მნიშვნელოვანი

¹⁾ Дело Кавказского цензурного Комитета, годовой отчет за 1871 г.

²⁾ იქვე.

³⁾ კავკ. საცენზ. კომიტეტიდან საქმეების გატაცებამ შემდეგში ცენზორი იძულებული გახადა, ყოველი წიგნი ისე განეხილა, როგორც სრულიად ახალი თხზულება, თუნდაც ის მეთუჯერ გამოსაცემად ყოფილიყო წარდგენილი, რადგან საამისო ცნობების სრული წყაროები არქივში უკვე აღარ მოიპოვებოდა. (იხ. წინასიტყვაობა შანშიევის—Хронологический указатель книг и брошюр, вышедших на Грузинском языке с 1626 по 1883 года. 1883. Тифлис); „Кавказ“. № 126. 1883.

⁴⁾ Дело кавк. ценз. комитета. 188. № 16.

⁵⁾ Ш а н ш и е в—Хронологический указатель книг и брош., вышедших на груз. яз. с 1629-г. 1883. Тифл.

⁶⁾ ibid. წინასიტყვაობა.

პირველნაბეჭდი ქართული წიგნი, აკლია კატალოგს აგრეთვე მისი გამოცემის უკანასკნელ წლებში (1881—1882) გამოცემული წიგნებიც კი. 1).

შანშიევის კატალოგის გამოცემას მოჰყვა ა. ერიცოვის პირველი ცდა ქართული ბეჭდვითი სიტყვის სტატისტიკური დამუშავებისა 2) ხსენებულ კატალოგში მოცემული მასალების მიხედვით.

მიუხედავად იმისა, რომ ა. ერიცოვმა შანშიევის კატალოგს კიდევ ოციოდე სახელწოდება მიუმატა, მაინც არ შეიძლება მისი სტატისტიკა სრულად მივიჩნიოთ. ერიცოვსაც ცნობის გარეშე დარჩა მრავალი, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში გამოცემული ქართული წიგნი.

ა. ერიცოვის ცდა, როგორც პირველი ნაბიჯი ამ დარგში, მაინც მნიშვნელოვანია და დღევანდელი მკითხველისთვისაც არაა ინტერესს მოკლებული, მით უმეტეს, რომ ამ ცნობების შეგება—სრულყოფა და დამუშავება არც ისე ადვილია, სანამ არ იქნება შედგენილი მთლიანი ქართული წიგნების კატალოგი 3).

1629—1883 წლებში გამოცემული ქართული წიგნები, რომლებიც შანშიევის კატალოგშია აღწერილი, ა. ერიცოვს დაჯვუფებული აქვს სხვადასხვა კითხვების მიხედვით. მის მიერ სულ დამუშავებულია 556 სახელწოდება 4), რომელთაგან:

1) ასე, მაგალითად, ამ კატალოგში არაა შესული: 1) მ ა ჯ ი ო ს, ქართული გრამატიკა, რომელიც 1670 წ. მეორედ დაიბეჭდა რომში. 2) აგრეთვე ვ ა ბ ტ ა ნ გ მეექვსის მიერ 1709—1713 წ.წ. გამოცემული: სახარება (1709 წ.) ზატიკი (1710 წ.), ლოცვანი და ჟამნი (1711 წ.) და სხვ., აგრეთვე 3) თ ი რ ა ლ ო ვ ი ს, თვითმასწავლებელი 1820 წ. პეტრბ., 4) მოკლე ქართული გრამატიკა ჩ უ ბ ი ნ ო ვ ი ს ა, 1820 წ. პეტერბურგი, ივ. კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ი ს წიგნი—საკითხავად 1853 წ., მისივე ანბანი, 1557 წ., პლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს ანბანი და სხვა, მ დ ი ე ა ნ ო ვ ი ს ანბანი 1866 წ. მეორე გამოც. შემდეგ: ეგრეთ წოდებული „ბაზრის პოეტების“ (სკანდაროვი და სხვანი) გამოცემანიც და სხვა.

2) А. Ерицов—Статистика местной печати („Кавказ“ № 126, 1883 г.)

3) ქართული წიგნების მთლიანი კატალოგის ერთი ნაწილი 1925 წელს გამოიკა ე ჟ უ რ ნ „წიგნის მეგობარის“ დამატებად, რომლის ავტორები გვიპირდებოდნენ დანარჩენი ნაწილის გამოცემასაც. მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ დაპირების შესრულებას ვერ ეხედავთ. საპიროა, რომელიმე ორგანიზაციამ თავს იდევას ეს საქმე, ე ჟ უ რ „წიგნის მეგობარსა“ და „შეერთებულ კატალოგს“ საინტერესო წერილი უძღვნა გ. ბ ა ქ რ ა ძ ე მ, იხ. „ჩვენი მეცნიერება“ № 17—18 1926. გვ. 91—98.

4) А. Ерицов, ხსენებული წერილი (Кавказ № 131. 1883).

476	დაბეკდილია	ტფილისში,
34	„	მოსკოვში,
14	„	პეტერბურგში,
14	„	ქუთაისში,
15	„	კოსტანტინეპოლში,
4	„	რომში,
4	„	მონთობანში,
3	„	ვენეტიკში და სხვა ¹⁾).

ტფილისში 1850 წლიდან ვიდრე 1883 წლამდე გამოცემული 413 სახელწოდება²⁾ იბეკდებოდა სხვადასხვა სტამბაში:

1) ე. ხელაძის სტამბაში 1873—1882 წ. წ. დაიბეკდა 133 სახელწოდება.

2) ს. მელიქიშვილის სტამბაში 1865—1882 წ.წ. დაიბეკდა 89 სახელწოდება.

3) მთავარმართებლის სტამბაში, 1850—1882 წ.წ. დაიბეკდა 42 სახელწოდება.

4) მიხელსონის სტამბაში 1878—1882 წ. წ. დაიბეკდა 32 სახელწოდება.

5) ენფენჯიანცის სტამბაში 1863—1882 წ.წ. დაიბეკდა 28 სახელწოდება.

6) ჩარკვიანის სტამბაში 1880—1882 წ.წ. დაიბეკდა 26 სახელწოდება.

7) კრამარენკოს სტამბაში 1877—1882 წ.წ. დაიბეკდა 17 სახელწოდება და სხვა³⁾).

წლის განმავლობაში საშუალოდ ე. ხელაძის სტამბაში იბეკდებოდა 15 სახელწოდება, ჩარკვიანის სტამბაში—13, მიხელსონის სტამბაში—8, მელიქიშვილის სტამბაში—5 და სხვ. ⁴⁾).

556 სახელწოდებიდან სასულიერო შინაარსის არის 116 სახელწოდება, სამეცნიერო (პოპულიარულიანად)—181⁵⁾, ბელეტრისტიკა—269, რომელთაგან 132 მხოლოდ ლექსთა წიგნებია. უკანასკნელ გარემოებას ხაზგასმით აღნიშნავს ა. ერიცოვი: „ქართულ ენაზე ლექსთწყობის გრამატიკულმა სიმარტივემ გამბედაობა მისცა მრავალ უნიკო მელექსებს გამოსულიყვნენ ლიტერატურული მოღვაწეო-

1) იქვე.

2) იქვე.

3) А. Е р и ц о в — Статистика местной печати (Кавказ № 131. 1883).

4) იქვე.

5) ა. ე რ ი ც ვ ს სამეცნიეროდ აქვს ჩათვლილი ყოველგვარი წიგნი, რომელიც არ ატარებს სასულიერო და ბელეტრისტიკის ხასიათს. უნდა დაესძინოს, რომ შ ა ნ შ ი ე ვ ი ს კატალოგშიაც ქართული წიგნები ასევეა დაჯგუფებული.

ბის ამ დარგში, მათ გააესეს ქართული ბეჭდვითი სიტყვა თითო და ორ-ორ შაურდიანი და 10—16 გვერდიანი ბროშურებითა¹⁾.

შანშიევის კატალოგს მოჰყვა ქართველთა შორის წერაკითხვას გამაერცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის კატალოგის პირველი გამოცემა 1887 წელს. ეს კატალოგი მაშინ უძვირფასეს ბიბლიოგრაფიულ შრომას წარმოადგენდა²⁾.

1888 წელს გრიგოლ ჩარკვიანი სცემს თავისა ქართული წიგნის მალაზიის კატალოგს უფასოდ დასარიგებლად. ეს კატალოგი დაყოფილია ათ განყოფილებად: 1) სამლო სჯული, 2) სახელმძღვანელო წიგნები, 3) საყმაწვილო წიგნები, 4) მოთხრობები, 5) პოემები, 6) ლექსება, 7) პიესები, 8) სამეცნიერო, პოლემიკური, ბიოგრაფიული წიგნები, 9) ისტორიული, 10) ნოტები და სურათები ჩვენი მწერლებისა³⁾.

ეს პირველი ქართული კატალოგია, რომელიც წიგნის რეკლამის მიზნით გამოიცა, უფასოდ დასარიგებლად. ამავე კატალოგში ჩამოთვლილია აგრეთვე, თუ საქართველოს რომელ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში იყიდებოდა ქართული წიგნები⁴⁾.

პრესის, ბეჭდვითი სიტყვის მოლონიერება იმ ხანებში თავის მხრივ მაჩვენებელი იყო ეკონომიური განვითარებისა. როგორც საერთოდ ცნობილია, ასეთს მდგომარეობაში კაპიტალიზმი მოითხოვს თავისი გავლენის, ელფერის, გავრცელებას ბეჭდვით სიტყვაზე. ჩვენში კაპიტალიზმი დაეტანა განსაკუთრებით პერიოდულ გამოცემებს, როგორც უფრო მოქნილ საშუალებას იდეოლოგიური გავლენის განმტკიცებისათვის.

თუ წინად „ქართული ენა ვის ახსოვდა, ქართულ მწერლობას ვინ აქცევდა ყურადღებას, ქართული გაზეთი ვის რად მიაჩნდა, რომელზედაც ხელს აწერდენ თხოვნისა და ხვეწნის გამოისობით“⁵⁾, დღეს გარემოება საფუძვლიანად შეიცვალა, რადგან კაპიტალი, რო-

¹⁾ ibid.

²⁾ ამ კატალოგის შედგენაზე მუშაობდა სპეციალური კომისია თ. ჟორდანიას, დ. ბაქრაძის, ნ. მთვარელიშვილის და სხვათა მონაწილეობით. იხ. წინასიტყვაობა ქ. შ. წყ. გამაერცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის კატალოგისა 1887 წ. ტფილისი.

³⁾ იხ. გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მალაზიის უფასოდ დასარიგებელი კატალოგი 1878—1888 წ. წ. 1888 ტფილისი.

⁴⁾ ასეთ პუნქტებად ამ კატალოგში დასახელებულია ქუთაისი, თელავი, გორი, ხონი, ფოთი, ბათუმი, ახალსენაკი, კვეკვი, ოზურგეთი, ზუგდიდი, სიღნაღი (იხ. უკანასკნელი გვერდი სხენებული კატალოგისა).

⁵⁾ ნ. ნიკოლაძე, პირველი ნაბიჯი ჩვენი ბანკირებისა. („დროება“ № 21 1878 წ.).

მელიც საკუთარი მიზნის მოსამსახურეთა გასაჩენად „დროსა და მოცალებას“, მით უმეტეს ფულს არ ზოგავს, მოითხოვს ბეჭდვითი სიტყვისაგან ერთგულებას.

პირველი ნაბიჯი გადადგა სათავად-აზნაურო ბანკმა, რომლის სახით ამ წოდების პროგრესიულად მოაზრე მეთაურებმა მოინდომეს, თავიანთი დაღმა მბრუნავი ცხოვრების ბორბლის წალმა დატრიალება..

„ბანკირთა“ კრებამ გადასწყვიტა, რომ მაშინ ერთად-ერთი პოპულიარული ორგანო „დროება“ გამხდარიყო მათი მიზნების მატარებელი და მქადაგებელი ¹⁾. სამაგიეროდ ბანკირები ჰპირდებოდნენ „დროების“ რედაქტორს (ს. მესხს) და გამომცემელს (სტ. მელიქიშვილს) 5000 მანეთს და ამის გარდა კიდევ ყოველწლიურად 2500 მანეთამდე.

თუ მათს წინადადებას „დროება“ არ მიიღებდა, იმ შემთხვევაში ბანკირები, ამ—მაშინდელ დროში ქართული გაზეთისათვის— „ზღაპრული კაპიტალით“ საკუთარი ორგანოს დაარსებას იმუქრებოდნენ, რომელსაც, ცხადია, „დროება“ უნდა მოესპო ²⁾.

ასეც მოხდა დაახლოებით: „დროება“ არ დათანხმდა „ბანკირთა“ წინადადებას, რის შესახებაც მისი („დროების“) „ობერ-პროკურორი“ ნ. ნიკოლაძე აცხადებს:—„დროებას“ აზრადაც არა აქვს წინაღუდგეს ახალი გაზეთის დაარსებას, თუ კი ამ ახალი გაზეთის დაარსებას საზოგადო ინტერესი ექნებაო“ ³⁾.

ქართული საზოგადოებრივი აზრი მდიდრდებოდა, მრავალფეროვანი ხდებოდა, და ბუნებრივია, რომ იგი ერთი პერიოდული ორგანოს—„დროების“—კალაპოტში ველარ თავსდებოდა.

ახალ საზოგადოებრივ დაჯგუფებას თავისებური სოციალ-ეკონომიური იდეები ამოძრავებდა. საჭირო გახდა ახალი ორგანო, რომელიც „ივერიის“ სახით კიდევაც დაარსდა 1877 წელს.

პირველ ხანებში „დროების“ გარშემო თავმოყრილ ჯგუფსა და „ივერიას“ შორის გაცხარებული პოლემიკა დაიბადა: „კეთილი იყოს მისი ჩასახვა, თუ ის საზოგადო სარგებლობისათვის მოღვაწეობას გამოიჩინს და არა კერძო პირების, კერძო ინტერესებისათვის... თუ ის იქნება მიუდგომელი, მოუსყიდველი და პატიოსანი... მაგრამ რა ექნათ, ექვი ვერ მოგვიშორებია თავიდანო“ ⁴⁾, სწერდა ს. მესხი „დროებაში“.

¹⁾ იხ. ნ. უორდანი, „ქართული პრესა“ 1901. ტფ. გვ. 26.

²⁾ *ibid.*

³⁾ „დროება“ № 164. 1876.

⁴⁾ „დროება“ № 64 1877.

მაგრამ ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოს სინამდვილეში ახალი ეკონომიური პირობები შემოიქრა, რომელიც საკითხის სულ სხვანაირად დაყენებას მოითხოვდა. საჭირო იყო მისთვის ანგარიშის გაწევა. საჭირო იყო, რომ სალიტერატურო გამოცემა „საქმის ხალხს“ დაკავშირებოდა, რომ „ივერიას“ სათავად-აზნაურო ბანკისათვის გაეწია სათანადო დახმარება, და ასევე უკანასკნელს პირველსათვისაც.

ე. წ. „წმინდა ლიტერატურული“ მოღვეწეობის მომხრეებს ეს გარემოება არ ექაზნიკათ და აშკარად ამხედრდენ მის წინააღმდეგ.

მაგრამ დრო ითმენდა, კიდევ მეტი: დრო ითხოვდა, გარემოება იტანდა. დრო და ნიადაგი მზადდებოდა კაპიტალიზმის ძლევამოსილი მსვლელობისათვის, რომელიც ყველგან და ყველაფერში თავისას აკეთებს.

ლიტერატურულ ბრძოლაში, რომელიც ამ მოვლენის ირგვლივ გაიმართა, მოხდა შერიგება¹⁾. 1879 წლის მიწურულს ს. მესხი აუწყებს საზოგადოებას, რომ მომავალი წლიდან ორივე ორგანოს („ივერიას“ და „დროებას“) საერთო რედაქცია ეყოლებაო, და დასძენს: „დღეის შემდეგ ჩვენ უფრო ადვილად შევსძლებთ ორივე გამოცემის უკეთ წაყვანას და წარმოებას, რადგან ამ შეერთებით გვემატება, როგორც ლიტერატურული ძალღონე, ისე მატერიალური საშუალებაო“²⁾... „შეერთებაზე ჩვენ ხანგრძლივი ლაპარაკი გეჭონდა და დადებითად გადაეწყვიტეთ, რადგანაც ჩვენს შორის არ არის მიმართულების ისეთი შესამჩნევი განსხვავება, რომ ერთად სიარული არ შეგვეძლოსო“³⁾.

„ივერია“ და „დროება“ შეერთდენ. 1881 წელს „ივერია“ აცხადებს: „ბანკი უნდა იყოს ის წმინდათა-წმინდა, რომლის წარმატებაზე ზრუნვა ყოველი ქართველის უწმინდეს მოვალეობას უნდა შეადგენდესო“⁴⁾.

¹⁾ ის პოლემიკა, რომელიც შემდეგში „დროებას“ და „ივერიას“ შორის გაჩაღდა, ჯერ კიდევ უკანასკნელის დაარსებამდე დაიწყო: მაშინ (როდესაც „დროების“ ფუტკლებზე მოველინა ბანკს საკუთარი საქმის კრიტიკა (ნიკო ნიკოლაძის მხრივ, რომელიც პირველად შეეხო „ქუთაისის ბანკის საქმეს“ 1876 წ. „დროების“ № 30-ში და რომელშიაც ილია ჭავჭავაძემ თავისი ტფილისის ბანკის კრიტიკაც დაინახა და უპასუხა: „უფ. ნ. ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკებზე“ („დროება“ № 39. 1876.). ნ. ნიკოლაძემ პასუხზე პასუხი გასცა: „მრუდე გამოსარჩლება“ (დროება № 47. 1876) და ამრიგად დაიწყო პოლემიკა, რომელიც შემდეგ „ბანკობიდან“ სახელით არის ცნობილი და რის შედეგად ი. ჭავჭავაძემ „დროება“ დასტოვა. „დროება“ კი განაგრძობდა ბანკერთა კრიტიკას.

²⁾ „დროება“ № 237. 1879.

³⁾ იქვე.

⁴⁾ „ივერია“ № 7. 1881.

მაგრამ „დროება“ და „ივერია“ ერთმანეთს მაინც ვერ შეეწყვენ და მალე (1882 წ.) დაშორდნენ. „დროება“ 1885 წელს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით (საცენზურო წესდების 148 მუხლის შენიშვნის საფუძველზე) სამუდამოდ დაიხურა ¹⁾).

„ივერიამ“ 1886 წლიდან განახლებული გაზეთის სახით იწყო გამოსვლა. მან კარგა ხანს შეინარჩუნა ჰეგემონური მდგომარეობა, ვიდრე ჯერ „კვალი“ (1893 წ.) და შემდეგ „მოამბე“ (1894 წ.) არ გამოიკეზოდა.

გავიდა კიდევ ცოტა ხანი და დიდი ოპოზიციონერი ნიკოლაძეც, რომელმაც „დროებისა“ და „ივერიის“ შეერთებას თავის ორგანოში ირონიით „ქორწინება“ უწოდა ²⁾), საჯაროდ აცხადებს: „სხვა ძალა და საგანი არა გვაქვს რა, გარდა ამ ჩვენი საადგილმამულო ბანკისა, რომელსაც დღეის იქით იმეღია... შეეძლება დიდი სამსახური გაუწიოს ქვეყანას, რადგან ყოველი ერის საფუძველი, მომავალი, მის მეურნეობაზეა დამყარებულიო“ ³⁾).

მართლაც მოხდა დიდი იდეოლოგიური შერიგება...

ის დიდი მოძრაობა, რომელიც ჩვენში „მესამოციანებმა“ დაიწყეს, თანდათანობით ფართოვდებოდა, უფრო და უფრო იშლებოდა. მე-XIX საუკუნის დასასრულისათვის იგი უკვე მასიურ მოვლენად ხდება. სახალხო მოძრაობა ჯერ კაბინეტებში დაიბადა, შემდეგ ინტელიგენციის ფართო წრეებს მოედო და ეხლა კი მუშათა კლასზე გადავიდა. ამის და მიხედვით ცვლილებას განიცდის მსოფლ-მხედველობაც. თეორიასთან ერთად ახალი პრაქტიკული ამოცანები ჩნდებოდა.

როდესაც, სილ. ჯიბლაძის თქმით, «ჩვენი ცხოვრება იმავე გზას დაადგა ეკონომიურად, რომელიც უკვე გადათელეს დაწინაურებულმა ერებმა» ¹⁾, გამოჩნდა ახალი თაობა, „მესამე დასა“, რომლის მოვლინებამ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მღელვარება შექმნა. დაიწყო პოლემიკა იმ ახალი საკითხების შესახებ, რომელიც ამ დასმა წამოაყენა. ამან ჩვენს სინამდვილეში ახალი ცხოველ-მყოფელობა შემოიტანა ²⁾).

¹⁾ Правительственный вестник № 92. 1885; Л. Мартов, История Русской соц.-демократии, стр. 65; Розенберг и Якушкин, Русская Цензура, стр. 200; უფრო ვრცლად იხილე ქვევით თავი ცენზურაზე.

²⁾ „Обзор“ № 8. 1880.

³⁾ „მოამბე“ № 16. 1894.

⁴⁾ იხ. „კვალი“ 1896. № 13. სილ. ჯიბლაძის წერილი.

⁵⁾ ვ. კოტეტიშვილი. I. ს. ტ. III გვ. 137.

„ახალ დასს ჰქონდა სათქმელი ახალი სიტყვა. და ეს სიტყვა მარტო თეორიული ხასიათის არ იყო. ამ ხანებში პირველად გაისმა ლაპარაკი მუშა ხალხის შესახებ, პირველად აღნიშნეს პროლეტარი-ატის გაჩენა საქართველოში, პირველად იწყეს ლაპარაკი ამ ახლად გაჩენილი, ჯერ კიდევ ნორჩი კლასის ბრწყინვალე მისიაზე“ 1). ამ ახალმა სიტყვამ ჩვენს იმდროინდელ სინამდვილეში არაჩვეულებრივი რეზონანსი გამოიწვია 2). ეკონომიური ცხოვრების ძველი ნიადაგის გადაპირქვევებით გამოწვეულმა საზოგადოებრივ დაჯგუფებათა და-პირისპირებამ წარმოშვა აზრთა შეხლა-შემოხლა, რომელმაც ბექდვით სიტყვაში ჰპოვა თავისი გამოხატულება.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურული, როგორც მთელ საზოგადო-ებრივ ცხოვრებაში, ისე ბექდვით სიტყვაშიაც ახალი საწყისების მთესველი იყო.

„უკანასკნელ ათეულ წლებში (მე-XIX საუკ.), რომელიც ხასიათ-დება მოსახლეობის სულიერი და მოქალაქობრივი განვითარებით, შეხედულებამ ბექდვითი სიტყვის ამოცანებზე და მისთვის წაყენე-ბულმა მოთხოვნილებებმა განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილება.

„წიგნი და ჟურნალი, განსაკუთრებით კი გაზეთი, თანდათან გახდა შეუცვლელი, ყოველდღიური მოთხოვნილების საგნად. სა-განმანათლებლო და სამეცნიერო მიზნებთან ერთად მატულობს ბექდ-ვითი სიტყვისადმი მოთხოვნილება მისგან სხვადასხვა საჭირბოროტო ცნობათა მიღებისა.

„ძირიანად შეიცვალა აგრეთვე თვით ბექდვითი ხელოვნების საკითხიც: გაძლიერდა კაპიტალების დენა საგამომცემლო წარმოები-საკენ, გამრავლდა სტამბების რიცხვი, გაიფადა წიგნის ბექდვა, ხო-ლო ადამიანის აზრისა და გონების შემოქმედების გავრცელების ტეხ-ნიკამ ბექდვითი სიტყვის სახით უდიდეს გაუმჯობესებას მიაღწია“ 3).

ასე ახასიათებს გასული საუკუნის უკანასკნელ ათეულ წლებს, საერთოდ რუსეთის იმპერიაში, ბექდვითი სიტყვის მხრივ ოფიცია-ლური წარმომადგენელი ხელისუფლებისა.

როგორც, სჩანს, ეს სიტყვები ქართულ სინამდვილეშიაც არ იყო გადაკარბებული.

ჩვენი ბექდვითი სიტყვის განვითარების შესახებ ნ. ნიკოლაძე სწერდა: „ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს და საზოგადოთ მთელს ჩვენს მწერ-ლობას, ექვი არ არის, დიდი ამაგი მიუძღვის ქართველების წინაშე-ენის შემუშავებისა, ეროვნული გრძნობების აღძვრისა, სიმართლისა

1) არჩ. ჯორჯაძე—წიგნი მე-II, გვ. 63.

2) ვ. კოტეტიშვილი, ტ. III. გვ. 142.

3) Огнѣнит. зап. к зак.-проекту о печати, стр. 12.

და სინათლის გავრცელებაში დიდი წილი უდევს. უცხოელი ვინმე განვითარებული კრიტიკოსი ეხლანდელს ჩვენს მწერლობას რომ დაუკვირდეს, არც კი დაიჯერებს, რომ სულ ორმოცდა ორი წელიწადი არ გასულა მას აქეთ, რაც პირველი წიგნი პირველი ქართული ჟურნალისა გამოვიდა 1852 წელს. ვინც ეხლანდელ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს იმასთან შეადარებს, თუ რა იყო ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ამ ოცი-ოცდახუთის, ამ თუთხმეტი წლის წინანდ, 1869, 1874, 1879 წ.წ., ის, უეჭველია, დიდს წარმატებას შენიშნავს, დიდს დაწინაურებას დაინახავს. ლიტერატურულ, კრიტიკულ, პედაგოგიურ და ბევრ სხვა მხრივ ჩვენმა მწერლობამ დიდათ წაიწია წინ ამ უკანასკნელ ხანებში პროეტებიც ბევრი გვყავდა, ბელეტრისტებიც, კრიტიკოსებიც, ისტორიკოსებიც, პედაგოგებიც და პუბლიცისტებიც... მათი მკითხველების რაცხვიც გამრავლდა და მათი გავლენაც გავრცელდაო¹⁾).

რუსეთ-იაპონიის ომის დაწყება კიდევ ერთ ძლიერ ბიძგად მოხვდა საზოგადოებრივ აზრს, რამაც მეტის ინტენსიობით აახმაურა სტამბები და მოსახლეობის ყურადღება კიდევ უფრო მიაპყრო ბეჭდვით სიტყვას.

შედგად ამისა: მრავალ დაბა-ქალაქებში არსდებიან სტამბები, წიგნის მაღაზიები, გამომცემლობანი; სამაზრო ქალაქებში იწყება ჟურნალ-გაზეთების გამოცემა.

სხვადასხვა ადგილას მოწყობილმა გაფიცებმა, დემონსტრაციებმა და საერთოდ გაძლიერებულმა მუშათა მოძრაობამ წარმოშვა არალეგალური სტამბები და გამოცემანი, რომელთა საშუალებით ათას ეკზემპლარებში ვრცელდებოდა აკრძალული აზრი, „ჯანყისა“ და „არეულობის“ მთესველი.

ამრიგად მომზადებულ და განოცივრებულ ნიადაგზე საზოგადოებრივი აზროვნებისა მიმდინარე საუკუნის პირველსავე წლებში მკვეთრი ნაბიჯები გადადგა ქართულმა წიგნმა, პრესამ, როგორც შინაარსეული დახვეწით და დაწმენდით დრომოკმულ იდეებისაგან, ისევე პროდუქტიული განვითარების მხრივაც.

მოცემულ პერიოდში (1875—1905 წ.) ქართულ ერთდროულ გამოცემათა რაოდენობის, აგრეთვე საერთო და საშუალო ტირაჟის განვითარების სურათს გვაძლევს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი²⁾ (№ 3).

¹⁾ ნ. ნიკოლაძე—შინაური მიმოხილვა (ქართული მწერლობა) იხ. ჟურ. „მოამბე“ 1895 წლისა № 1. გვ. 94—95.

²⁾ მასალები ამოღებულია სათანადო წლების კავკ. календарь-იდან და კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმეებიდან და ურთიერთან შემოწმებით დალაგებულია. ნახსენები წყაროებიდან გვაქვს აგრეთვე უმთავრესად ამოღებული ცნობები შემდეგი ცხრილებისთვისაც.

ცხრილი № 3:

ქართული წიგნის საერთო და საშუალო ტირაჟის განვითარება
1878—1904 წ.წ.

№ №	წლები	სახელწოდ. რაოდენობა	საერთო ტი- რაჟის რაოდე- ნობა	საშუალო ტირაჟი	ცენზურის მი- ერ განხილულ ხელთნაწერთა რაოდენობა
1	1878	84	102.480	1.220	—
2	1879	110	114.600	1.042	96 ¹⁾
3	1880	145	143.000	988	134 ²⁾
4	1882	42	60.500	1.488	98
5	1883	84	108.150	1.287	45 ³⁾
6	1884	48	60.250	1.251	90
7	1885	79	95.000	1.203	102
8	1887	73	96.500	1.308	106
9	1888	88	108.675	1,235	93
10	1889	86	110.800	1.289	91
11	1890	90	—	—	96
12	1891	79	98.350	1.245	—
13	1892	100	135.000	1.350	157
14	1893	103	128.600	1.248	106
15	1895	64	88.355	1.381	156
16	1896	—	—	—	162
17	1897	—	—	—	114
18	1898	—	—	—	159
19	1899	94	126.080	1.341	146
20	1901	76	112.200	1.475	—
21	1902	82	153.130	1.867	160
22	1903	129	266.380	2.065	201
23	1904	162	334.160	2.062	198

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედიდან ქართული წიგნის პროდუქცია უკვე საგრძნობ რაოდენ-

1), 2) 1879 და 1880 წ. საშუალო ტ-რაჟის ნაკლებობა უცხოეთიდან შემო-
ტანილი წიგნებით უნდა აიხსნას: 1879 წ. შემოტანილ იქნა 14 სახელწოდ. (16
ტომი) და 1880 წ. 9 სხელწოდება, რომელიც არ შედის ცენზ. მიერ განხილ. ხელთ-
ნაწერთა რიცხვში.

3) მხოლოდ 1/1-დან 31 VIII-მდე.

ნობას აღწევს. ზოგიერთ წლებში, —მაგ., 1878, 1879 და განსაკუთრებით 1880 წელში, —გამოცემათა სახელწოდების დიდი რაოდენობა და საშუალო ტირაჟის სიმცირე გამოწვეულია უცხოეთში დაბეჭდილი ქართული წიგნების შემოტანით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთიდან როცა შემოქონდათ იქ დაბეჭდილი ქართული წიგნები საქართველოში გასაყრცელებლად, მას ცენზურა ყოველთვის იხილავდა და ნუსხავდა როგორც ახლად გამოცემულ წიგნებს, თუგინდ ეს მეათეჯერ შემოტანის შემთხვევა ყოფილიყო ერთი და იმავე სახელწოდებისა¹⁾. უცხოეთში დაბეჭდილი ქართული წიგნი ნაწილ-ნაწილ შემოჰქონდათ და რახან ერთი სახელწოდება საცენზურო კომიტეტის მიერ რამდენიმედ იანგარიშებოდა, მისი საშუალო ტირაჟიც მცირე გამოდიოდა.

ამრიგად, ქართული წიგნის რაოდენობა, როგორც ცხრილიდან სჩანს, შეუჩერებელი იზრდებოდა. იზრდებოდა აგრეთვე მისი საერთო და საშუალო ტირაჟიც, რაიც მაჩვენებელია მოსახლეობაში მკითხველთა გამრავლებისა. მაშინ როდესაც გასული საუკუნის მეორე მეოთხედისათვის ქართული წიგნის საშუალო ტირაჟი 1200 აღწევს, იმავე საუკუნის მესამე მეოთხედში იგივე ტირაჟი დაახლოებით 1280-ს უდრის, ხოლო მიმდინარე საუკუნის პირველ წლებიდანვე 2000 ეკზემპლიარს აჭარბებს.

ამ პერიოდში გამოცემულ ქართულ წიგნთა დანაწილება ციკლური დანიშნულების ჯგუფთა მიხედვით იძლევა ფრიად საინტერესო სურათს (ცხრილი № 4).

ც ხ რ ი ლ ი № 4:

ერთდროული გამოცემანი 1891--1904 წ.წ. სოციალური დანიშნულების ჯგუფებად დანაწილებული (დალაგებულია საცენზურო კომიტეტის სისტემით)

№№	წლები	სოც. ჯგუფები								
		1891	1892	1897	1898	1901	1902	1903	1904	
1	სასულიერო შინაარსის . . .	2	2	11	14	7	2	1	2	
2	სამეცნიერო	2	2	12	10	17	20	28	38	
3	ბელეტრისტიკა	41	56	68	64	28	22	49	71	
4	კალენდრები და ნარევი . . .	9	10	14	17	7	15	10	22	
5	სასწავლო-პედაგოგიური . . .	6	10	8	4	4	6	14	8	
6	საბალბო (პოპულ.)	19	17	15	—	6	11	20	10	
7	საბავშვო	—	2	1	—	5	3	7	11	
8	პოლიტ. სააგიტაციო	1	—	—	—	—	—	—	—	
ჯამი		79	100	126	109	76	82	129	162	

¹⁾ Годовой отчет кав. цензурного комитета за 1879; აგრეთვე Дело № 16. 1887 г. კავკ. საცენზ. კომიტეტისა.

ქართული წიგნის საერთო განვითარებაში ბელეტრისტიკის სახით განხორციელებულ წიგნს, როგორც მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ სამ მეოთხედში, ისე მიმდინარე საუკუნის დასაწყისშიაც, პირველი ადგილი უჭირავს. ის ხშირად მთელი პროდუქციის 50% -ს და ხან კიდევ მეტს ჰფარავს.

თუ რით უნდა აიხსნას ეს გარემოება, —საინტერესო საკითხია. მართალია, ზოგ სხვა ქვეყნებშიაც ბელეტრისტიკას წიგნების საერთო პროდუქციაში დიდი ადგილი უჭირავს, მაგრამ თითქმის არსად, არც ერთ ქვეყანაში, რომელსაც, ასე თუ ისე, ნორმალური სოციალ-ეკონომიური განვითარების პირობები ჰქონია, ასე დიდ ხვედრით წონას ბელეტრისტიკა (სიტყვაკაზმული მწერლობა) არ ღებულობს.

საქართველოში ამ გარემოებას აქვს თავისებური გამართლება. თუ მე-XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის ორ გუბერნიად გადაქცეული საქართველო კულტურულად და ეკონომიურადაც წინ მიდიოდა, მისი წინ სულა როდი იყო წმინდა ეროვნული კულტურის განვითარების ნიადაგზე. მას შემდეგ რაც ქართველ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეებს უფლებები და იმედები დაეკარგათ, მათ ლექსებისა და მოთხრობების წერა დაიწყეს, ნაცვლად პოლიტიკური ტრაქტატებისა და მეცნიერულ კვლევა-ძიებათა. ვახტანგ მე-VI-ს, რომელიც სამართლის და ადმინისტრაციულ სისტემათა წიგნებს ადგენდა, „ქართლის ცხოვრების“ სრულქმნაზე მუშაობდა, ასტრონომიულ-მათემატიკური შინაარსის წიგნებს ქართულად სთარგმნიდა ¹⁾ და სცემდა, რუსეთში გადასახლების შემდეგ, პოლიტიკურ უფლებებს მოკლებულმა, „ამირ-ნასარიანის“ გალექსვაზე დაიწყო მუშაობა.

ასევე მოუვიდათ მის შვილებსაც. ნიკიურ და განსწავლულ ვახუშტის, რომელმაც დაუფასებელი შრომა გასწია საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შედგენით, რუსეთში არა დარჩა რა გარდა ბიბლიის რედაქციაზე მუშაობისა. თელავის სემინარიის დამაარსებელი და რექტორი გაიოზი საქართველოს უძღურებამ ასტრახანისა და სტავროპოლის არხიეპისკოპოზად გახადა.

და ამის შემდეგ თითქმის მთელ მეცხრამეტე საუკუნეში ქართულ გენიასა და აზროვნებას არ მისცემია სხვა ასპარეზი, გარეშე სიტყვა კაზმული მწერლობისა, რომელიც ერთერთი გამოსავალი წერტილი იყო ქართული საზოგადოებრივ განცდათა და მისწრაფებათა.

¹⁾ ერეკლე მეორემ სთარგმნა სპარსულიდან ზონენფელსის საპოლიციო მეცნიერება და გამოსცა ტფილისში. იხ. გა, „Кавказ“ № 126 1853, აგრეთვე Ш а н ш е в —Хронологический указат. книг и брош. вышедших на грузинском языке с 1609 - 1883 года.

სიტყვაკაზმული მწერლობის შემდეგ მეორე ადგილს იკავებს სახალხო და მეცნიერული წიგნები. აქ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მაშინდელი საცენზურო პირობები წიგნის სოციალურ ჯგუფებად დანაწილებაზედაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა: არა მარტო იმ მხრივ, რომ ხსენებულ პერიოდში პოლიტიკური და სააგიტაციო ლიტერატურის გამოცემა არ შეიძლებოდა, არამედ იმ მხრივაც, რომ ასეთი ხასიათის წიგნების დაბეჭდვა მარტოოდენ „კონტრბანდად“, „სახალხო“ წიგნების ნილაბს ქვეშ ხერხდებოდა. და ამ უკანასკნელი ჯგუფის წიგნთა შედარებით დიდი რაოდენობა ამ მიზეზითაც უნდა აიხსნას, გარდა იმ გარემოებისა, რომ ამ პერიოდში საზოგადოდ მეცნიერული და „სახალხო“ წიგნების გამოცემა საკმაოდ განვითარებული იყო.

ვინაიდან სასწავლებლებში ყველგან რუსული ენა იყო გაბატონებული, ქართულ სასწავლო-პედაგოგიურ წიგნებს აღარ ჰქონდა ფართო პერსპექტივები¹⁾. სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ყოველთვის იმის ცდაში იყო, რაც შეიძლება შეემოკლებია ქართული ენის გაკვეთილებიც კი და შეეზღუდა ქართული სასწავლო-სახელმძღვანელო წიგნების გამოცემა. 1903 წელს თავისი მოღვაწეობის ანგარიშში ის განსაკუთრებულ დამსახურებად ითვლიდა, რომ საბოლოოდ განდევნა ადგილობრივი სკოლებიდან მოსახლეობის დედა ენაზე სწავლება²⁾.

1) ა. ე რ ი ც ვ ი ა აღნიშნავს რომ: „отсутствие преподавания в школах наук на грузинском языке послужило причиной скудости у грузин учебной литературы, но усиление потребности к чтению создало беллетристику, а театр породил драматическую поэзию“. იხილე Статистика местной печати, „Кавказ“ 1883. № 131.

2) კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ი ა ნ ო ვ ს კ ი მ ეგრეთწოდებული „მუნჯური მეთოდი“ შემოიღო რუსულის უცოდინართა სწავლებისათვის. იანოვსკი ამ საქმეში ფაქტიურად დამარცხდა. ამ მეთოდის აღდგენა კელაჯ სცადა შემდეგ ვ ო ს ტ ო რ გ ო ვ მ ა, მაგრამ უკანასკნელმაც სასტიკი წინააღმდეგობა პოვა. იხ. ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს—მზრუნველ იანოვსკის სასწავლო გეგმა სახალხო სკოლებისა, „დროება“ 1881. № 50 და 57. მისივე: რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები ტ. I. გვ. 51—59; დეკანოზ ვოსტორგოვის პროექტი, „ივერია“ 1901. № 145, 148, 150; ნაწერები ტ. I. გვ. 372—379; შევიწროება ქართული ენისა და ქართველობისა სწავლა-განათლების სფეროში, —რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები ტ. I. გვ. 522. აგრეთვე Орлодох, прот. И. И. Восторгов и его политическая деятельность. 1908. Москва; თ. უ ო რ დ ა ნ ი ა, ვინ დაიცვა ქართული ენა. ტფილისი.

აი, კიდევ როგორ ახსიათებს სამშობლო ენის დევნის პოლიტიკას ჟურ. „განათლება“-ს ერთი თანამშრომელი:

„ამ უკუღმართობაში (ლაპარაკია რუს. მეფის მოხელეთა თავგასულობაზე) ყველაზე საშინელი და მასთან მოუზიდებელი იყო განდევნა დედა ენისა.

საბავშვო წიგნებისათვის აღებული პერიოდის უკანასკნელი წლები შეიძლება ჩასახვის ხანად ჩაითვალოს¹⁾).

რაც შეეხება საბავშვო პერიოდული გამოცემის დაწყებას, ის შედარებით ადრე მოხდა. იმ დროს, როდესაც ყოველთვიური საბავშვო

სკოლები და, დედა ენისა. როგორც სასწავლო საგნისა და როგორც საუკეთესო საშუალებისა უცხო ენის (რუსულის) შესწავლისათვის. აზრი ასეთი პოლიტიკისა ცხადი იყო: ეს იყო პოლიტიკა განაპირა ქვეყნების გარუსებისა. რომ მცხოვრებთათვის საგრძნობელი არა ყოფილიყო შედეგი ამ დამლუპველი პოლიტიკისა, საჭირო იყო თანდათანობით, შეუმჩნეველად შემცირება იმ სკოლებისა, რომლებშიც დედა ენაზედ სწარმოებდა სწავლება... დედა-ენიანი სკოლების შემცირება და შემდეგ სრულიად გაუქმებაც ოსტატურად მოახერხეს: ყოველწლივ ცოტ-ცოტად ამცირებდნენ ამ სკოლების რიცხვს, ვიდრე სრულებით არ გააქრეს იმის სინილა. ამ აზრს ნათლად გვიმტკიცებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი:

დასაწყისი სკოლები. "რუსული" სკოლები. რომელ. ასწავლ.:	წლები											
	1879	1880	1881	1882	1883	1884	1885	1886	1887	1888	1889	1890

1) დედა-ენაზედ	17,9	16,3	13,8	8,1	9,6	1,2	2,5	2,0	1,0	0,6	0,1	—
2) დედა-ენაზედ, რუსულის საშუალებ.	32,3	32,9	34,0	36,4	35,1	26,5	25,1	32,2	37,0	28,4	28,1	27,5
3) მარტო რუსულ ენაზე	49,8	50,8	52,2	55,3	71,3	72,4	64,8	62,0	71,0	71,9	71,0	71,0

დასაწყისი სკოლები. "რუსული" სკოლები. რომელ. ასწავლ.:	წლები										
	1891	1892	1893	1894	1895	1896	1897	1898	1899	1900	1901

	გ ა უ ქ მ ე ბ უ ლ ი ქ ნ ე ნ											
1) დედა-ენაზედ												
2) დედა-ენაზედ, რუსულის საშუალებ.	26,9	26,4	26,6	20,8	16,0	16,3	15,7	9,0	14,5	13,3	11,9	
3) მარტო რუსულ ენაზე	73,6	73,6	73,4	79,2	84,0	83,7	84,3	91,0	85,5	86,7	88,2	

(იხ. ყოველთვ. სამეცნ. პედაგოგ. ჟურნალი „განათლებლა“. 1908, № 1. „მოკლე შენიშვნა სწავლა-განათლების შესახებ საქართველოში“, გვ. 45).

1) 1903 წელს ქუთაისში უკვე სპეციალური ორგანიზაცია კი დაარსდა „საყმაწვილო წიგნების გამომცემელი წრის“ სახელწოდებით, რომელმაც ერთ-ნახევარი წლის განმავლობაში 5 იაფფასიანი სახელწოდების საბავშვო წიგნი გამოსცა, მათში „საყმაწვილო წიგნების კატალოგი“, რომელიც თუმცა მხოლოდ საბავშვო არაა, მაგრამ მაინც ამ დარგში პირველ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს (იხ. „საყმაწვილო წიგნების კატალოგი“, 1905. ქუთაისი).

ქურნალი „ნობათი“-ს გამოცემა დაიწყო ა. ლულაძემ, საბავშვო წიგნები ან სულ არ იყო, ანდა ისეთი მცირე რაოდენობით, რომ ზითზე ჩამოითვლებოდა. „ნობათი“ 500-600 ეკემპლარამდე იბეჭდებოდა (1883-1885 წ.).

კალენდრებისა და ნარევის ჯგუფში თავმოყრილია ყველა დანა-ჩენი დანიშნულების წიგნები: ანგარიშები, წესდებები, ნოტები და სხვა: ქართული წიგნების საერთო და საშუალო ტირაჟის სურათს, ცალკადაც სოციალური დახმარებების ჯგუფთა მიხედვით, გვაძლევს ცხრილი № 5. აქედან ჩანს, რომ სახელწოდებათა და საერთო და

ც ხ რ ი შ ი № 5:

ერთდროული გამოცემანი სოც. დახმ. ცალკე ჯგუფებში ტირაჟის მიხედვით.

№ №	წ ლ ე ბ ი	1 9 0 2		1 9 0 3		1 9 0 4				
		საშუალო ტირაჟი	საერთო ტირაჟი	საშუალო ტირაჟი	საერთო ტირაჟი	საშუალო ტირაჟი	საერთო ტირაჟი			
1	სასულიერო	2	6000	3000	1	2500	2500	1	2400	1200
2	სამეცნიერო	20	330	1297	28	49800	1780	38	83300	2192
3	ბეჟეტრისტიკა	22	500	1345	49	84300	1720	71	138960	1943
4	კალენდრ. და ნარევი	15	100	2428	10	21460	2146	22	35300	1605
5	სასწავლო-პედაგოგ.	17	28200	4750	14	69500	4980	8	38200	1775
6	საბავშვო	3	4800	1600	7	14900	2128	11	10200	928
7	საგალხო	14	20500	1469	20	41000	2050	10	26800	2680
ჯ ა მ ი		82	153130	1867	121	283460	2200	162	334160	2070

საშუალო ტირაჟის რაოდენობა ერთი მეორესთან შეხამებულად ვითარდება). აღსანიშნავია განსაკუთრებით მეცნიერული და „სახალხო“ ლიტერატურის შედარებით მოზრდილი საშუალო ტირაჟი. მი-

1) „ნობ. თი“ ს. და ქართული საბავშვო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა ასეთვე სათაურით, იხ ლე ქურ. „წიგნის მეგობარში“ № 1-2. გვ. 114-119. (ს. ლვინია შვილის დაგმთავრებული ბიბლიოგრაფია), აგრეთვე Г р., Книш и и л з е. I. с.

2) კვკასიის საც. ხელოვნ. კომიტეტმა ქართული წიგნის (და საერთოდაც), პროდუქციის სოციალური დან. შნულების ჯგუფებზე და ნა. ილებული აღნგსხვა მხოლოდ 90-ან წლებიდან დაიწყო, ხოლო ტიო უბის ცალკადაც აღრიცხვა-მიმ. ინარე საუკუნის პირვე. ი წლებიდან. ამიტომ ჩვენი ცხოლისათვის ამგვარი ც. ბები ცხოლოდ იას. ქეთ შეკვ ძლო დაგვემუშავებია.

უხედავად იმისა, რომ ქართული ენა სასწავლებლებიდან განდევნილი იყო, ქართული სამეციერო წიგნის ნაშუალო ტირაჟი მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან თვალსაჩინოდ იზრდება, ასევე რიცხვიც სახელწოდებათა.

ერთდროულ გამოცემებზე არა ნაკლებ სისწრაფით განვითარდა პერიოდული გამოცემები, როგორც ტირაჟის ისე სახელწოდებებთან და დანიშნულებათა მიხედვით. თუ გასული საუკუნის მესამე მეოთხედის დასაწყისისათვის სულ გამოდიოდა სამი პერიოდული გამოცემა (იხ. ცხრილი №6) და ისიც სამივე 1150 ცალის რაოდენობით, იმავე საუკუნის დამლევისათვის (1900 წ.) უკვე 5 სახელწოდებაა 5610 საერთო ტირაჟით, ხოლო 1904 წელს გამოდის 8 სახელწოდების ქართული პერიოდული გამოცემა, რომლის საერთო ტირაჟი 12 ათასამდე აღწევს. ზოგი პერიოდული გამოცემის ტირაჟმა 1904 წელს 4500 მიაღწია („ცნობის ფურცელი“), ნაცვლად 1400-ისა 1900 წელში და 650-ისა („დროება“) 1875 წელში.

გაფართოვდა ამასთანავე პერიოდულ გამოცემათა¹ პროგრამაც (იხ. თავი ცენზურაზე), წარმოიშვა აგრეთვე სპეციალური დანიშნულების პერიოდული გამოცემები; როგორც მაგალითად: „ნობათი“¹) (1884 წლიდან), „თეატრი“ (1885 წლიდან), „კრებული“ (1883 წლიდან) „ნაკადული“, „მოგზაური“ და სხვ.

1. გაზ. „დროება“, დაარსდა 1866 წელს. გამოდიოდა 20 წლის განმავლობაში. როგორც უკვე აღნიშნულია, 1885 წ. 14 ნომბრიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით აკრძალულ იქნა სამუდამოდ, როგორც „სეპარატისტულ-ტენდენციური“ იდეების მატარებელი ორგანო.

„დროება“ დააარსა გიორგი წერეთელმა, რომელიც რედაქტორობდა მას ვიდრე 1869 წლამდე. ამ დროიდან კი გ. წერეთელმა რედაქტორობა გადასცა სერგეი მესხს. უკანასკნელი „დროებას“ რედაქტორობდა 1883 წლამდე. (1880—1881 წლებში „დროება“

¹) „ნობათი“-ს (ყრმათათვის საკითხავი ყოველთვიური ჟურნალი, პედაგოგიურის დამატებით) გამოსვლას დიდის ყურადღებით შეხვდა მაშინდელი საზოგადოება. მის შესახებ მთელი რიგი წერილებისა აქვს მოთავსებული ი. გოგებაშვილს „დროება“-ში 1884 წ. № №: 7, 12, 13, 41, 42, 43. (ჟურნალის გამომცემელი იყო ანდრია დულაძე).

ქართულ პერიოდულ გამოცემათა

№№ როგზე	პერიოდული გამოცემანი	წლები	1868		1875		1879		1883		18
			ადგილი გამოცემისა.	წლის განმავლ. გამოსულ ნომერთა რაოდენობა	ცალკე ნომრის ტირაჟი	წლის განმავლ. გამოსულ ნომერთა რაოდენობა	ცალკე ნომრის ტირაჟი.	წლის განმავლ. გამოსულ ნომერთა რაოდენობა	ცალკე ნომრის ტირაჟი.	წლის განმავლ. გამოსულ ნომერთა რაოდენობა	
1	„დროება“ ¹⁾	ტფილ.	52	500	145	650	261	400	272	650	198
2	„სასოფლო გაზეთი“	„	52	500	14	420	6	400	—	—	—
3	„ცისკარი“	„	12	150	2	80 ²⁾	—	—	—	—	—
4	„გუთნის დედა“	„	12	500	—	—	—	—	—	—	—
5	„ივერია“	„	—	—	—	—	11	600	12	700	12
6	„იმედი“	„	—	—	—	—	—	—	12	280	—
7	„შრომა“	კუთ.	—	—	—	—	—	—	249	—	—
8	„ქართ. ბიბლიოთეკა“	„	—	—	—	—	—	—	48	400	—
9	„თეატრი“	ტფილ.	—	—	—	—	—	—	—	—	19
10	„ნობათი“	„	—	—	—	—	—	—	—	—	5
11	„მწყემსი“	კუთ.	—	—	—	—	—	—	—	—	24
12	„მეურნე“	ტფილ.	—	—	—	—	—	—	—	—	—
13	„ჯეჯილი“	„	—	—	—	—	—	—	—	—	—
14	„კვალი“ ³⁾	„	—	—	—	—	—	—	—	—	—
15	„მომბე“	„	—	—	—	—	—	—	—	—	—
16	„ცნობის ფურცელი“	„	—	—	—	—	—	—	—	—	—
17	„საქ. საეგზ. სასულ. მაუწყ.“	„	—	—	—	—	—	—	—	—	—
18	„მოგზაური“	„	—	—	—	—	—	—	—	—	—
19	„ნაკადული“	„	—	—	—	—	—	—	—	—	—

¹⁾ „დროება“ 1885 წელს აკრძალულ ინჟა სამუდამოდ შინაგან საქმეც (Розенберг и Якушкин I. c. გვ. 200).

²⁾ „ცისკარი“-ს გამოცემა 1875 წ. შესწყდა.

³⁾ „კვალიც“ იმავე 1-18 მუხლის უენიშენის თანახმად აღკრძალა შინაგან საქმეც

№ 0 № 6:

განვითარება 1868—1904 წ. წ.

1888		1893		1896		1898		1900		1902		1904	
ნომერთა რაოდენობა	ცალკე ნომრის ტირაჟი	წლის განმავლ. გამოსულ ნომერთა რაოდენობა	ცალკე ნომრის ტირაჟი	წლის განმავლ. გამოსულ ნომერთა რაოდენობა	ცალკე ნომრის ტირაჟი	წლის განმავლ. გამოსულ ნომერთა რაოდენობა	ცალკე ნომრის ტირაჟი	წლის განმავლ. გამოსულ ნომერთა რაოდენობა	ცალკე ნომრის ტირაჟი	წლის განმავლ. გამოსულ ნომერთა რაოდენობა	ცალკე ნომრის ტირაჟი	წლის განმავლ. გამოსულ ნომერთა რაოდენობა	ცალკე ნომრის ტირაჟი
76	1000	283	1300	103	1500	280	1100	282	1260	285	1100	299	1100
30	120												
24	900	24	850	21	1000	21	1000						
18	200	6	200	37	600	9	180						
		6	600	12	600	12	600	12	600	12	600	12	600
		52	960	53	1200	52	1200	52	1000	52	1000	5	1100
				12	800	12	620	12	600	12	2300	12	1500
						302	1210	215	1400	349	2100	346	4500
						24	761	24	750	24	750	24	800
										12	300	12	100
													1200

მინისტრის განკარგულებით. საფუძველი: საცენზურო წესდების 148 მუხ. შენიშვნა.

მინისტრმა 1904 წელს; ეჯრნალი ამ წლის მე-5-თე ნომერზე შესწავლა.

შეუერთდა „ივერიას“). ს. მესხის შემდეგ „დროების“ რედაქტორობა გადავიდა ივანე მაჩაბლის ხელში, რომელიც ბოლომდე ხელმძღვანელობდა ამ გაზეთს. „დროება“ წესიერად გამოიცემოდა, 1875 წლამდე ყოველკვირეულად, 1875—1876 წ.წ. კი 3-ჯერ კვირაში, ხოლო 1877 წლიდან—ყოველდღიურად. „დროებას“ ჰქონდა საკმაოდ დიდი მოთხოვნილება, მისი ტირაჟი თანდათან იზრდებოდა: 1871 წელს იბეჭდებოდა 400 ცალი, 1874 წ.—650 ცალი, 1879წ.—700 ცალი, ხოლო 1885 წელს 800-ს სჭარბობდა. მხოლოდ 1882 წელს იბეჭდებოდა 300 ეგზემპლიარის რაოდენობით.

2) „სასოფლო გაზეთი“, იყო ორკვირეული ორგანო, 1874 წლიდან იცემოდა პეტრე უმიკაშვილის მიერ, 1875 წლიდან კი გიორგი წერეთლის რედაქტორობით. იარსება 1880 წლამდე. უკანასკნელ წლებში არარეგულიარულად გამოდიოდა. 1879 წელს გამოიცა 6 ნომერი, 1880 წელს—მხოლოდ 2. იბეჭდებოდა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში 400 ეგზემპლიარი, 1871 წელს კი—960 ეგზემპლიარის რაოდენობით.

3) „ცისკარი“, ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი, იცემოდა ივ. კერესელიძის მიერ. (1852 წ. დაარსა გ. ერისთავმა). უკანასკნელ წლებში უწესოდ გამოდიოდა: 5—10 ნომრამდე. 1875 წელს გამოიცა მხოლოდ 1 ნომერი და ჟურნალიც შესწყდა. 1885 წელს ივანე კერესელიძემ კვლავ აიღო ნებათვა „ცისკარის“ გამოცემისა „მწყემსის“ დამატებით, მაგრამ 1887 წ. 23 ნოემბერს მეოცდასამე ნომერზე ჟურნალი ისევ შესწყდა. შემდეგ არ განახლებულა.1

4) „გუთნის დედა“, ყოველკვირეული სასოფლო-სამეურნეო გაზეთი, დაარსებულ იქნა „ცისკართან“ ივ. კერესელიძის მიერ 1861 წელს; რედაქტორობდა ივ. კერესელიძე, შემდეგ ანტონ ფურცელაძე და აგრონომი ა. სერებრიაკოვი. გამოდიოდა 1861.—1876 წ. წ.

5) „ივერიია“, სალიტერატურო-პოლიტიკური გაზეთი. დაარსდა 1877 წელს ილია ჭავჭავაძის მიერ. 1880 წლიდან იცემა „დროებასთან“ ერთად ი. ჭავჭავაძისა და ს. მესხის რედაქტორობით. 1882 წლიდან ი. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლის რედაქტორობით, 1883 წლიდან—მხოლოდ ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით. 1902 წლიდან „ივერიას“ ხელმძღვანელობდა ა. ი. სარაჯიშვილი, ხოლო 1905 წელს რედაქტორობდა ფ. გოგჩაიშვილი. „ივერიამ“ ყველა ქართულ პერიოდულ გამოცემაზე ხანგრძლივად იარსება.

1879 წელს „ივერია“ გამოდიოდა ყოველთვიურად, 1881 წ.— „დროებასთან“ შეერთების შემდეგ—მხოლოდ 4-ჯერ წელიწადში, ხოლო შემდეგ ისევ 11-ჯერ, ვიდრე 1885 წლამდე, როდესაც გადაკეთებულ იქნა ყოველდღიურ გაზეთად.

1877 წელს „ივერია“ იბეჭდებოდა 300 ცალი, 1878 წლიდან მისი ტირაჟი გაორკეცდა. 1886 წლიდან იბეჭდებოდა 860 ეკზ., 1887 წ.—960 ეკზ., 1888 წ.—1000 ეკზ., 1889 წ.—1060 ეკზ., 1896 წ.—1500 ეკზ., 1905 წ.—6000 ეკზემპლიარის რაოდენობით. გაზ. „ივერიის“ გამოცემა შესწყდა 1905 წლის დასასრულს. განახლდა 1906 წ. ყოველკვირეული გაზეთის სახით. კვლავ შესწყდა იმავე წელში.

6) ჟურ. „იმედი“: დაარსდა 1881 წელს, რედაქტორობდა მ. ი. ხ. გუ რ გ ე ნ ი ძ ე. იყო სალიტერატურო-საპოლიტიკო ჟურნალი. „იმედმა“ იარსება 2 $\frac{1}{2}$ წელს. 1881 წელს იბეჭდებოდა 600 ეკზემპლიარის რაოდენობით, 1882 წ.—280, ხოლო 1883 წელს—210 ეკზემპლ. ამავე წელს სამუდამოდ შესწყდა მისი გამოცემა. „იმედი“ თანამშრომლობდენ: მ. ი. ხ. გუ რ გ ე ნ ი ძ ე, მ. ა. ს. ა. თ. ი. ა. ნ. ი, ქ. ა. რ. თ. ე. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი, მ. ი. მ. ე. დ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი, ს. ტ. კ. რ. ე. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი, ი. გ. ი. ვ. ე. ტ. ა. ლ. ა, ა. ნ. ტ. ფ. უ. რ. ც. ე. ლ. ა. ძ. ე, დ. ა. ბ. დ. უ. შ. ე. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი, გ. ჯ. ა. ნ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი, ნ. ი. კ. ო. ხ. ი. ზ. ა. ნ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი (ურბნელი), დ. ბ. ა. ქ. რ. ა. ძ. ე, ს. ო. ფ. მ. გ. ა. ლ. ო. ბ. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი და სხვ.

7) გაზ. „შრომა“, გამოდიოდა ქუთაისში 1881—1883 წ.წ. რედაქტორობდა დ. დ. ა. დ. ი. ა. ნ. ი, ხოლო გამომცემელი იყო დ. ი. მ. ი. ტ. რ. ი. ხ. ა. ზ. ა. რ. ო. ვ. ი. იყო ყოველკვირეული, ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი. „შრომაში“ თანამშრომლობდენ კ. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე, ბ. ო. ს. ლ. ე. ვ. ე. ლ. ი, დ. კ. ე. ზ. ე. ლ. ი და სხვ. „შრომა“ იბეჭდებოდა 600—750 ეკზემპლიარის რაოდენობით.

8) „ქართული ბიბლიოთეკა“: ყოველთვიური კრებული. ჟურნალში იბეჭდებოდა ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა. გამოდიოდა 1883—1884 წ.წ. ქუთაისში ე. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ძ. ე. ს. რედაქტორობით. იგივე იყო გამომცემელიც. იბეჭდებოდა 400 ეკზემპლიარი.

9) „თეატრი“, ხელოვნების ყოველკვირეული გაზეთი იყო. გამოცემა დაიწყო 1885 წელს სახელოვანი მსახიობის ვ. ა. ბ. ა. შ. ი. ძ. ე. ს. რედაქტორობით. 1887 წლიდან გადავიდა ნ. ე. ბ. ი. ე. რ. ი. ძ. ე. ს. ხელში და იმავე წელს 14 ნომრის გამოსვლის შემდეგ შესწყდა, ხოლო 26 აპრილს 1888 წლისა ისევ განახლდა და 1890 წლამდე გამოდიოდა 30 ნომრის რაოდენობით წლიურად. საშუალო ტირაჟი უდრიდა 200 ცალს.

10) „ნობათი“, ყოველთვიური დასურათებული საბავშვო ჟურნალი: დაარსდა 1884 წლის მიწურულს, სცემდა მას ა. ლულაძე. „ნობათში“ თანამშრომლობდნენ: ალ. ყაზბეგი, აკ. წერეთელი, რ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა და სხვ. „ნობათის“ გამოცემა 1885 წ. შესწყდა მეხუთე ნომერზე. იცემოდა 500 ეკზემპ.

11) „მწყემსი“, ორკვირეული სასულიერო გაზეთი, დაარსებულ იქნა 1883 წელს დ. ლამბაშიძის მიერ. გამოიცემოდა დაბა ყვირილაში, რუსულის დამატებით („пастыр“). გაზეთი ემსახურებოდა საეკლესიო საკითხების გარკვევას. იბეჭდებოდა 900 ეკზემპლიარის რაოდენობით.

12) „ჯეჯილი“, დასურათებული საბავშვო ჟურნალი, იცემოდა 1890 წლიდან. პირველ ხანებში გამოდიოდა ორ თვეში ერთხელ. რედაქტორობდა ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. 1896 წლიდან „ჯეჯილი“ გამოდიოდა ყოველთვიურად. თანამშრომლობდნენ: ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ა. მირიანაშვილი, თ. რაზიკაშვილი, ა. ჭიჭინაძე, გ. გ. იოსელიანი, ილიკო (ფსევდონიმი) და სხვანი. ჟურნალი იბეჭდებოდა 600 ეკზემპლიარის რაოდენობით. (1895 წელს, იხ. Кавк. календ. на 1896 г.).

13) „კვალი“. „კვალმა“ დაიწყო გამოსვლა 1893 წელს, როგორც საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ დამატებამ. ორივე ორგანოს რედაქტორ-გამომცემელი იყო ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. „კვალი“ იყო ყოველ-კვირეული სალიტერატურო-სამეცნიერო ორგანო. ამ ორგანოს გარშემო თავი მოიყარეს „მესამე დასელეზმა“, რომელთა ხელში მალე ფაქტიურად გადავიდა ეს ჟურნალი (1898 წ.). მთავარი თანამშრომლები იყვნენ გ. წერეთელი, ნ. ჟორდანიანი, ეგ. ნინოშვილი, ფ. მახარაძე, ს. ჯიბლაძე, ალ. წულუკიძე, კ. ჩხეიძე, პ. გელეიშვილი, ივ. გომართელი, ის. რამიშვილი, ს. დედარიანი, ირ. წერეთელი, ა. ჩხენკელი და სხვები. ჟურნალი იბეჭდებოდა 1000 ეკზემპლიარის რაოდენობით. 1904 წელს შინაგანი საქმეთა მინისტრის ბრძანებით „კვალი“ სამუდამოდ დახურულ იქნა, როგორც მეფის ხელისუფლებისათვის მავნე და მიუღებელი აზრების მქადაგებელი ორგანო. (საცენზ. წესდების 148 მუხ. შენიშვნის საფუძველზე).

14) „მოამბე“, ყოველთვიური ლიტერატ.-პოლიტიკური ჟურნალი, დაარსდა 1893 წელს, ა. ჭყონას რედაქტორობით. ჟურნალს პირველ ხანებში სცემდა ნ. ლოლობერიძე, შემდეგ—ა. ჯაბადარი. მთავარი თანამშრომლები იყვნენ: ნ. ნიკოლაძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. ნანეიშვილი, ი. გოგებაშვილი, ი. ხონე-

ლი, გ. მაიაშვილი (ზდანოვიჩის ფსევდონ.), კიტა აბაშიძე, შ. არაგვისპირელი, დ. კლდიაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ა. ფრონელი, გ. ლასხიშვილი, ქ. ლომთათიძე (სპ. მკირიშვილი) და სხვები. პირველ წლებში „მომამბე“ იბეჭდებოდა 1000 ეკზემპლიარის რაოდენობით.

15) „ცნობის ფურცელი“, ყოველდღიური გაზეთი, დაარსდა 1896 წელს ვალერიან გუნიას რედაქტორობით. 1901 წლიდან გაზეთს რედაქტორობს ალ. ქყონია და ამავე დროს „მომამბესა“ და „ცნობის ცურცლის“ გაერთიანებაცა ხდება. „ცნობის ფურცელში“ თანამშრომლობდნენ არჩილ ჯორჯაძე, ქ. აბაშიძე, ზდანოვიჩი, გ. ლასხიშვილი, ფ. გოგჩიაიშვილი, გრ. რცხილაძე, ი. ფანცხავეა, ს. ფირცხალავეა, ვ. გუნია, ი. ალლაძე და სხვანი. „ცნობის ფურცლის“ ტირაჟი ყველა სხვა ქართული პედიოდულ გამოცემათა ტირაჟს სჭარბობდა: 1900 წელს იბეჭდებოდა 1400 ეკზემპლიარი, 1902 წ. - 2100 ეკზ., ხოლო 1904 წელს - 4500 ეკზემპლიარის რაოდენობით!).

16) „მოგზაური“, ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი, დაარსდა 1901 წელს ი. როსტომაშვილის რედაქტორობით. პირველ ხანებში ამ ჟურნალში იბეჭდებოდა უმეტესად არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მასალები. ხოლო მას შემდეგ რაც „კვალი“, შენაგან

1) წყაროები: 1) კავკასიის საცენზურო კომიტეტის ანგარიშები (სახელმწიფო არქივი); აგრეთვე Грузинск. периодич. издания 1870—1890 г.г. (Кавк. кал. 1896 г.).

2) ალ. ხახანაშვილი—ახალი ქართ. ლიტერატ. მოძრაობა („კვალი“ № 2 1894).

3) გრ. ყიფშიძე—ქართ. ბიბლიოგრაფია. პეტერბ. 1916 წ.

4) დ. კარიკაშვილი—ქართ. პერიოდ. გამოც. ბიბლ. მიმოხილვა (წიგნის მეგ. № 2).

5) Кипшидзе—Периодическ. печать на Кавказе.

7) Бердзенов—Обзор груз. период. изд. сначало их основании (Кавк. кал. 1881).

8) კავკ. საცენზ. კომიტეტის საკმეები.

9) Розенберг и Якушкин loc. cit.

10) Мартов—loc. cit.

11) მოხსენებულ პერიოდულ გამოცემათა სხვადასხვა ნომრები.

12) გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864—1905. 1928. ტფილისი.

საქმეთა მინისტრის ბრძანებით, სამუდამოდ დაიკეტა, „მოგზაური“ თანდათან გახდა პარტიულ—პოლიტიკური ჟურნალი. 1905 წელს ის ითვლებოდა ბოლშევიკების ორგანოდ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფ. მახარაძე. ცენზურის მთავარი ყურადღება „კვალის“ შემდეგ „მოგზაურმა“ მიიპყრო, და მართლაც უკანასკნელს 1905 წ. რევოლუციის დაწყებამდე მრავალი წერილები აეკრძალა¹⁾.

17) „ნაკადული“ იყო საყმაწვილო ჟურნალი, იბეჭდებოდა (1904 წ.) 1200 ეჭემპლიარის რაოდენობით.

¹⁾ „მოგზაურისათვის“ ცენზურის მიერ აკრძალული წერილებიდან ფ. მახარაძის ნაწერები ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ იქნა გაზ. „კომუნისტის“ № 28. 1929 წ.

თავი მესხრა

პართული წიგნი ჩვეოლიუციიდან ჩვეოლიუცი-
ამდე

(1905—1917 წ.)

საერთო მდგომარეობა.—,სახალხო სამეცნიერო წიგნების გამოცემის განვითარება.—გამომცემლობის საქმე პრეზინცი-ალურ ქალაქებში.—რეგულიუციონური ლიტერატურის გამრავლება და ადგილობრივი ადმინისტრაციის რეპრესიები.—გამომცემლობათა ჯგუფები და მათი მატერიალური მდგომარეობა.—საავტრო ჰონორარის საკითხი.—მუშათა ორგანიზაციები გამომცემლობის საქმეში.—ცენზურის როლი საგამომცემლო საქმის შესუსტებაში.—წიგნის გამაგრებელი ქსელი—აგენტები.—წიგნების გამოცემის წესი წინასწარი ხელის მოწერით.—1905—1916 წ. ურდოულ გამოცემათა რაოდენობა და ტირაჟი.—ერო-დროულ გამოცემათა განვითარება სოციალური დანიშნულების ჯგუფთა მიხედვით.

თ ა ვ ი მ ე ტ ხ რ ა

ქართული წიგნი რევოლუციიდან რევოლუცი- ამდე

(1905—1917 წ. წ.)

„Печатный станок превратился в орудие для возбуждения населения к нисповержению религиозных начал, существующаго государственного и общественаго уклада, общепринятых понятий нравственности и вообще всех устоев, на которых зиждется общественный строй. В изобилии появились особые сатирические листки и иллюстрированные издания ... дерзновенно посягавшие на коренныя... священные основы... государственности.“

(Об'яснит. записка к законопроекту о печати. 1913/1914. стр. 4.)

მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან ქართულ გამომცემლობას განვითარების განსაკუთრებული გზები დაესახა. 1905 წლის რევოლუციამ თვალსაჩინო ცვლილება შეიტანა წიგნის საქმეშიაც. ქართული წიგნის ბაზარზე გაჩნდა კარგა რაოდენობით ისეთი ლიტერატურა, რომელიც რამდენიმე წლის წინად სანთლით საძებარი იყო აი, რას სწერდა, მაგალითად, „კვალი“ 1902 წელს:

„ჩვენში რომ სახალო-სამეცნიერო წიგნაკების გამოცემა, მიუხედავად მათი საამდროვო მიუცილებელი საჭიროებისა, კუს ნაბიჯით

მიდის, ამას ყველა აშკარად ხედავს და ქართველი „ახალი მკითხველები“ ყველანი კარგადაა გრძნობენ. ამგვარი წიგნების რიცხვი ორთავეს ხელების ათ თითზე ჩამოითვლება. შემდეგ ამისა იწყება სქელსქელი, მდაბიოსათვის მოუწოდომელი წიგნები, ან კიდევ ზღაპარ-არაკები, უხეირო ლექსები და სიზმრების ახსნები.

„დღეს ფეხადგმული ქართველი მკითხველი კი გაფაციცებით ეძებს და გაძებნივს თქვენ აღვილ-გასაგებ სამეცნიერო წიგნაკებს თვით-განვითარებისათვის. თქვენც იმათ ძებნაში ბევრი დრო არ წაგივათ, ათიოდეს ჩამოთვლის შემდეგ სახტად დარჩებით და ეუბნებით დამშეულ მკითხველს: ქართულზე ამის მეტი არაფერია, და რუსული კი თუ გნებავთ, რამდენიც გინდა ამოგიჩიოვო... აიღებ ხელში რუსული წიგნების სიას, დაუღებ ზედ ხელს სასარგებლო წიგნაკების მაძიებელს და ეუბნები, აი ეს წაიკითხე, აი ესაო, თორემ მართო ქართული წიგნების კითხვით ბევრს ვერას შეიძენო. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ამგვარ მკითხველს ხშირად რუსული არ ესმის და დედა ენაზე თხოულობს მისთვის საზრდოს მიწოდებას. ასეთია დღეს მდგომარეობა ქართველი „ახალ-მკითხველებისა“ და მისი ხელმძღვანელი „ინტელიგენტისა“. და რას ვხედავთ გამომცემლობის ამ დარგში?

„ბაზრის მიმყოლი უმრავლესობა ხალხს დღესაც ქალ-ვიფიანის, დავრიშიან-ყარამანიანების, არსენას ლექსების და სიზმრების ახსნის წიგნებს აწვდის. ეს წიგნაკები ძლიერ საღვებთან და ხშირადაც იცემიან. ასე იქცევიან უბრალო, ორიოდე გროშის შემყურე კერძო გამომცემლები, ხოლო ინტელიგენტური მათი ნაწილი და მათ შორის ჩვენი „ქართველთა წიგნის გამომცემელი ამხანაგობანიც“ დღემდე საინტელიგენტო, სქელი და ძვირფასიან წიგნების გამომცემლობას ეტანებიან. მათ ჯერ ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწერებიც ვერ გაუმდაბიურებიათ, ვერ მოუპოვებიათ ხალხში მათთვის ბაზარი, ვერ გაუიაფ-ფასიანებიათ.

„სამეცნიერო-სახალხო გამოცემებისათვის მათ ხომ თითქმის სრულიად არ უზრუნვიათ. სამგვარო გამოცემებს დღეს ათასში ერთი შეგნებული და სახალხო საქმის მოყვარული თუ კისრულობს და ისიც თავის ჯიბის სახიფათოდ,—წინდაწინვე დარწმუნებულია, რომ ამგვარი გამოცემა მას ზარალის მეტს არას მოუტანს. ამგვარი არა სახარბილო მდგომარეობაა დღეს ჩვენს სახალხო-სამეცნიერო წიგნების გამომცემლობაში“ 1).

სჩანს, აღნიშნულ საჭიროებას, ე. ი. პოპულარული წიგნების გამოცემის საქმეს სათანადო წრეებმა დიდი ყურადღება მიაქციეს.

1) „კვალი“ № 40—1902 წ. „სახალხო-წიგნების გამომცემის თაობაზედ.“

ამას მოწმობენ ის უამრავი განცხადებანიც, რომელნიც ამ დროინდელ პერიოდულ გამოცემებში გვხვდებიან და სადაც მკითხველები, მუშები, თუ გლეხები ამა თუ იმ პრაქტიკული წინადადებითაც კი გამოდიან ამ საკითხის მოსაგვარებლად.

მაგალითად, იმავე წლის „კვალის“ ერთერთ ნომერში ვკითხულობთ ქართველი მუშების შემდეგ განცხადებას:

...„ჩვენმა ინტელიგენციამ დიდი ხანია შეიგნო სახალხო წიგნების უქონლობა ქართულ ლიტერატურაში და ამასთანვე ისიც კარგად იცის, რომ ხალხს დიდათ ესაჭიროება ზემოხსენებული წიგნები... საჭიროა, როგორც საქმით, ისე ნივთიერი დახმარებით შევებრძოლოთ ამ ნაკლს და მივცეთ შვება ხალხის გონებით წინსვლა-განვითარებას“...

„ამისათვის გიგზავნით 27 მანეთს სახალხო წიგნების გამოსაცემად იმ იმედით, რომ მიმბაძველნი გამოგვიჩნდებიან და საერთო ძალით გამოიციემა კარგი, სასარგებლო, ხალხის გონების განსავითარებელი წიგნი, რომლის ამორჩევა და დაბეჭდვა, ვთხოვთ „კვლის“ რედაქციას, თვითონ იკისროს... ნახევარი ამ დაბეჭდილ წიგნებისა დაურიგდეს უფასოდ მივარდნილ-მიყრუებულ ალაგებში და სამკითხველოებს სოფლის სკოლებისა; ნახევარი კი გადაეცეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომლის შემოსავლიდანაც უნდა შესდგეს განსაკუთრებული თანხა „სახალხო წიგნების გამოსაცემი“-ო¹⁾.

ამრიგადვე „ქართვ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაშიაც“ წლიურ კრებებზე თითქმის ყოველთვის ისმებოდა საკითხი „სახალხო-სამეცნიერო“ წიგნების გამოცემის შესახებ და ჰქონდათ ბეობა, რომ მოსახლეობაში გაიზარდა ინტერესი ასეთი წიგნებისადმი და რომ საქიროა მათი მიწოდება“).

1902 წელს „ქუთაისის წიგნების გამომცემელი ამხანაგობის“ წლიურ კრებაზე საყვედური გამოითქვა გამგეობის მიმართ იმის გამო, რომ ამხანაგობა სცემს ფართო მასების მოთხოვნილებასთან შეუფერებელ წიგნებს, რომ საქიროა მთავარი ყურადღება მიექცეს ისეთი წიგნების გამოცემას, რომელნიც თანამედროვე საკირბოროტო საკითხებზე პასუხ გასცემენ“).

1) განცხადებაზე ხელს აწერენ: ი. თვალაძე, გ. გრიგოლია, მ. კვასაძე, ლ. კუხიანიძე, კ. ჩიქოვანი, ა. ანჯაფარიძე, ვ. ალასანიძე, რუისელი ია და ფ—ლი იხ. „კვალი“ № 1. 1902 წ.)

2) იხილეთ საზოგადოების 1904 და სხვა წლების ანგარიშები.

3) იხ. „კვალი“ № 28. 1902 წ.

ამრიგად, მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან მეცნიერულ-პაპულიარული წიგნების დიდი მოთხოვნილება სჩანს, მის გამოცემასაც სათანადო ყურადღება ექცევა; ნელ-ნელა სათანადო ორგანიზაციებიც სდგებოდა, მაგრამ საქმეს მტკიცე საფუძველი მაინც ვერ ჩაეყარა.

საქმე იმაშია, რომ ამგვარი წიგნების გამოცემას, რასაც მუშათა და გლეხთა ფართო მასების თვითცნობიერების გაძლიერება უნდა მოჰყოლოდა შედეგად, წინ ეღობებოდა მეფის ხელისუფლება ცენზურის სახით: ამ წლების კავკ. საცენზურო კომიტეტის საქმეები სავსეა აკრძალული პაპულიარულ-მეცნიერული და პოლიტიკური წიგნებით. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის ღია კარის მისაცემად საქირო იყო წინასწარი ცენზურის ბოქლომის ახსნა, რაიც 1905 წლის რევოლუციამ შეასრულა.

წინასწარი ცენზურის მოსპობით ფართო გზა მიეცა ქართული წიგნის გამომცემლობის საქმის განვითარებას.

თუ წინად ქართული წიგნის საგამომცემლო ცენტრებს ტფილისი და ქუთაისი წარმოადგენდნენ, ამ დროიდან დაწყებული ქართული წიგნის მთლიან პროდუქციაში მნიშვნელოვან მონაწილეობას ლეზულობენ თავიანთი გამოცემებით ბათომი, ფოთი, გორი და სხვა დაბა-ქალაქები, სადაც კი ახლად წარმომდგარი მუშათა ორგანიზაციები არსებობენ ¹⁾.

გარდა ამისა, ამავე პერიოდში საქართველოს ფარგლებს გარეთაც გაცხოველდა ქართული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, მაგალითად: ბაქოში, მოსკოვში, პეტერბურგში.

ამრიგად, რუსეთ-იაპონიის ომმა და 1905 წლის რევოლუციამ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოები წერა-კითხვის მკოდნე მოსახლეობის ფენაში აუცილებელ მოთხოვნილების საგნად აქცია და გამოიწვია გამრავლება როგორც პერიოდულ, ისე ერთდროულ გამოცემათა.

„წიგნი, ჟურნალი და განსაკუთრებით გაზეთი თანდათან გახდა ერთერთ აუცილებელ კუთვნილებად მოსახლეობის ყოველდღიურ მოთხოვნილებისათვის; სწერს საცენზურო უწყების მეთაური. „იმ დროს, გაბატონებული არეულობისა და უწყესრიგობის ხანაში, 17 ოქტომბრის (1905 წ.) მანიფესტით მოსახლეობისათვის ნაჩუქარი მოქალაქობრივი თავისუფლება ზოგი საზოგადოებრივ წრეების მიერ განგებულ იქნა, როგორც გაუქმება ყოველგვარი კანონმდებლობისა, რომელიც აწესრიგებდა, როგორც ზეპირ, ისე ბეჭდვით სიტყვას“ ²⁾.

1) შეადარე „კვალი“ № 49. 1902 წ. მოწინავე წერილი.

2) Огнянит. зап. к зак. о печати, ст. 8.

ibid, გვ. 10

„და ამგვარად, გათამამებული გამომცემლები, ცენზურის ბრკყალებისაგან განთავისუფლებულნი, დიდის ინტენსიობით განაგრძობდნენ წიგნის გამოცემა-გავრცელებას... ბექდვით სიტყვაში ამრიგად გამეფებულ ანარქიის ნიადაგზე წარმოსდგა უამრავი, მეტწილად იაფ-ფასიანი, ხალხთა მასებში ფართო გავრცელებისათვის დანიშნული გაზეთები, ჟურნალები, ბროშურები და სხვა ბექდვითი სიტყვის ნაწარმოები, რომელნიც აშკარად ემსახურებოდნენ რევოლიუციონურ მიზნებს, აღვიძებდნენ ბრბოში ბნელ ინსტინქტებს და მოუწოდებდნენ მას კანონიერი ხელისუფლების საწინააღმდეგოდ“¹⁾.

მეფის ხელისუფლება ცენზურის სახით, რა თქმა უნდა, გულგრილად ვერ შეხვდებოდა ამ გარემოებას, მით უმეტეს მას შემდეგ რაც რეაქციამ უკვე გაიმარჯვა. მან სასტიკი ზომები მიიღო საერთოდ გამომცემლობისა და განსაკუთრებით პარტიულ და პროფესიონალურ გამომცემლობათა წინააღმდეგ, რომლებიც უმთავრესად სცემდნენ და მრავალ ათას ეკზემპლიარებში ავრცელებდნენ რევოლიუციონურ-სააგიტაციო ლიტერატურას.

მაგრამ მთავრობის რეპრესიების საპასუხოდ ბექდვითი სიტყვის მოღვაწეებმა, რომლებიც თავისუფალ კავშირებში გაერთიანდნენ, პირობა შექარეს არ დამორჩილებოდნენ ცენზურის მოთხოვნილებებს, არ წარედგინათ სათანადო ადგილას სავალდებულო ეკზემპლიარები და არ მიეღოთ გასაყიდად—გასავრცელებლად წინასწარ ცენზურაში გატარებული წიგნები“²⁾.

ასეთი იყო, თუმცა ცოტა ხნით, ბექდვითი სიტყვის პასუხი რეაქციისადმი. და მიუხედავად უკანასკნელის მიერ შექმნილი, ფრიად არა ხელსაყრელი საგამომცემლო საქმის პირობებისა, ბექდვითი სიტყვა მაინც ვითარდებოდა, რომლის მოლონიერებულ მსვლელობას მაინცადამაინც ბევრი რამ ვერ დააკლო სასტიკმა აღმინისტრაციულმა რეპრესიებმა, რომლებმაც თითქმის შესცვალა წინასწარი ცენზურა.

ცენზურის გარდა ერთი გარემოება კიდევ ხელს უშლიდა წიგნის საქმის ნორმალურ განვითარებას: ზოგიერთი პირები „ხალხის განათლების მიზნით“, ხშირად ცარიელი სურვილების ამარა, ხელს ჰკიდებდნენ ამ საქმეს და თავს გამომცემლებად, რედაქტორებად, წიგნით მოვაჭრებად აცხადებდნენ. ამიტომ გამომცემლობანი და წიგნით სავაჭრონი ზედღიზედ იბადებოდნენ, რომელნიც მეტწილად დაბადების უმაღლე კედებოდნენ, თუმცა დიდის იმედებით და პრეტენზიებით იყვნენ გამოსულნი.

1) Объяснит. зап. к законопроекту о печати, 1914 г. стр. 12.

2) ibid.

ზოგიერთი მათგანი ერთი ანუ ორიოდ, თითო შაურიანი წიგნაკის გამოცემასაც ვერ ახერხებდა მთელი წლის განმავლობაში. მათ უმრავლესობას აკლდა, როგორც მატერიალური საშუალება, ისე სათანადო პრაქტიკა და გამოცდილება, რასაც ასე დიდი მნიშვნელობა აქვს წიგნის მეურნეობის საქმეში.

დღეს ძნელია უკლებლივ ჩამოთვლა ყველა იმ გამომცემლობათა, რომლებიც იმ ხანებში, განსაკუთრებით 1904—1908 წლებში, იბადებოდნენ. საკმარისია გადავხედოთ იმ დროის ეურნალ-გაზეთებს ან თვით წიგნაკებს და ბროშურებს, რომლებსაც ისინი სცემდნენ, რომ მათ სიმრავლეში და იმავე დროს უღონობაში მალე დავრწმუნდეთ. ისინი სცემდნენ უმრავლეს შემთხვევაში „იაფ-ფასიან სამაძროვო“ წიგნებს, რომელნიც, უმთავრესად პოპულიარულ-სააგიტაციო ხასიათისა და „სახალხო საკითხავად“ იყვნენ დანიშნულნი.

მაგალითისათვის ავიღოთ იმ გამომცემლობათაგან ისეთები, რომლებიც თავს ასე თუ ისე (სხვებთან შედარებით) ძლიერად გრძნობდნენ:

1. გამომცემლობა „გუთანი“ (1906 წ.), რომლის პირველი ცამეტი გამოცემიდან: ¹⁾

ერთი	სახელწოდება	იყო	2	კაპეიკიანი
ორი	„	„	20	„
ორი	„	„	5	„
სამი	„	„	7	„
ერთი	„	„	6	„
სამი	„	„	3	„
ერთი	„	„	2	„

¹⁾ იხ. „გუთანი“-ს გამოცემა—„ახალი ქადაგება“ 1906. ტფილისი. ეს წიგნი აიკრძალა ცენზურის მიერ 1915 წელს. (იხ. Дело тифлисского комитета по делам печати 1915. № 15), აგრეთვე „გუთნისავე“ გამოცემა ა. ჯ—შვილის ბროშურა „მიწა მიწის მუშას“. უკანასკნელს აქვს ზინაბეჭდი, ოუ სად იყიდებოდა „გუთნის“ გამოცემები: 1) ტფალიში—სახ—ება „კახეთი“ გიორგი ჭყონიასთან, 2) გორში—ვანო ჩაჩანიძესთან, სობოროს ქუჩა, 3) ხონში—მ. კელიძესთან, 4) ბათუმში—პ. გ. გამყრელიძესთან, ქალაქის გამგეობა, 5) ქუთაისში—დავ. ს. ლულაძესთან, 6) ფოთში—მიხ. ივ. ჩხენკელთან, 7) თელავში—ვასო როინიშვილთან, 8) ახალქალაქში—ვიქტორ მდივანთან, 9) ბალაჯარაში—ანთ. მიქაძესთან, 10) ოზურგეთში—ელისაბედ. ანთაძესთან, 11) კიათურაში—მ. მ. სიხარულიძესთან, 12) ყვირილში—გაჩეჩილაძის წიგნის მაღაზიაში, 13) ბაქოში—გ. კვალაშვილთან, 14) სამტრედიიაში—კალაძის წიგნის მაღაზიაში. თავის ასეთი განცხადების ბოლოს ეს გამომცემლობა დასძენს: „ამზანაგობა სთხოვს ხელნაწერების გამომგზავნულ ავტორებს შეგუბატყოზინონ ხოლმე თავიანთი პირობაც, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწარმოები ჩაითვლება უპონარაროთო“. იხ. „მიწა მიწის მუშას“. 1907. ტფ. უკანასკნელი გვერდი.

2. გამომცემლობა „მუშის“ (1906 წ.) მიერ გამოცემული თექვსმეტი სახელწოდებიდან: 1)

ერთი	სახელწოდება	იყო	30	კაპეიკიანი
„	„	„	25	„
„	„	„	20	„
სამი	„	„	15	„
„	„	„	10	„
ხუთი	„	„	5	
ორი	„	„	2	„

3. გამომცემლობა „კალამი“ (ბაქოს წიგნის გამომცემელი ამხანაგობა) ერთი თავისი გამოცემის ყდაზე მინაბეჭდით აცხადებს, რომ: „მიზნად ისახავს შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყოს ხალხში გაღვიძებულს სურვილს წიგნის კითხვისას და დროგამოშვებით შიაწოდოს იაფ-ფასიანი სახალხო წიგნაკები თანამედროვე კითხვების შინაარსით“ 2).

„კალამი“-ს მიერ გამოცემული 4 სახელწოდებიდან:

ერთი	სახელწოდებაა	20	კაპეიკიანი
ორი	„	4	„
ერთი	„	3	„

4. ამხანაგობა „გლეხი“-ს გამომცემლობამ პირველ პროდუქციად ექვს კაპეიკიანი წიგნაკი გამოსცა 3). წიგნებს სცემდა აგრეთვე „უსაქმოდ დარჩენილი მუშათა კავშირიც“, რომელმაც მხოლოდ ერთი ორშაუროანი ბროშურის გამოცემა შესძლო 4).

ასეთი გამომცემლობანი მაშინ მრავლად მოიპოებოდნენ: „ახალი თაობა“, „სხივი“, „გუთანი“, „კოდნა“, „ციცკარი“, „მერანი“ და სხვანი, რომლებიც, თუ წარმოშობის პირველსავე წელში არ ისპობოდნენ, ძლიერ უსისტემოდ და დიდი ინტერვალების გამოშვებით სცემდნენ წიგნებს. მათი არსებობის შესახებ ცნობები ხან მთელის წლობითაც სწყდებოდა, ხოლო შემდეგ ესა თუ ის გამომცემლობა ისევ ძველ თუ ახალ პატრონთა ხელში იწყებდა საქმიანობას.

1) ე ლ ი ზ ე რ ე კ ლ ი უ, ანარქია. 1906 წ. აკრძალულ იქნა ცენზურის მიერ. იხ. საქარ. ცენტრ. არქივის საცენზ. კომიტეტის მასალები № 65. 1912 წ.

2) ნ. კ ა ბ ა ნ ო ვ ი — ო ლქობრივი თვითმართველობა, 1906. ტფილისი.

3) გადასახადების შესახებ 1906 . ცენზურის მიერ აკრძალულ და განადგურებულ იქნა. იხ. 1913 წ. საცენზურო მასალები № 88 1912 წ.

4) „რიყრაი“ (ლექსები) ე. დ ვ ა ლ ი ს ა. 1907 წ. ტფილისი.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამ გამომცემლებშიაც ერიენ ზოგი შედარებით გამოცდილი და წიგნის საქმის მკოდნე პირები. გამომცემელთა ეს კატეგორია გვარიანად ახერხებდა საქმის წარმართვას, ასე რომ ზოგი მათგანი დღესაც განაგრძობს ამ საქმიანობას. მაგალითად, აღვნიშნავთ წიგნის მალაზია „კოდნას“, რომელმაც შემდეგში წიგნების გამოცემაც დაიწყო და საქმაო რაოდენობითაც გამოსცა:

ცხრა	სახელწოდება	20	კაპიკიანი
რვა	„	10	„
ორი	„	25	„
ოთხი	„	40	„
სამი	„	50	„
ერთი	„	80	„
ხუთი	„	30	„ 1).

იმავე გამომცემელს ზოგი თხზულება სამუდამოდაც კი შეუძენია. ერთს საკუთარ გამოცემაში „კოდნის“ პატრონი იოსებ მერკვილაძე აცხადებს: „ჩვენ შევიძინეთ სამუდამო საკუთრებად ჩვენი მგოსნის აკაკი წერეთლის აგან მისი შემდეგი თხზულებანი: ისტორიული მოთხრობა „ბაში აჩუკი“ და ისტორიული პოემები: „ნათელა“ და „ბაგრატ დიდი“. ამისთვის საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ზემოხსენებული წიგნები ჩვენ მიერ წერილობით ნებადაურთველად აღარავინ დაბეჭდოს, არც მთლიანად, არც სათითაოდ და არც მათი ნაწილი, თორემ იძულებული ვიქნებით, ჩვენი კანონიერი უფლება სრულიად დავიცვათ, დაბეჭდილი წიგნები ავუკრძალოთ და ზარალიც ვაზღვევინოთ“ 2).

იყენენ აგრეთვე გამომცემელნი, რომელთაც, შეიძლება ითქვას, გამოცდილება და კოდნა წიგნის საქმისა იმდენად არ ღალატობდა, რამდენადაც მატერიალური შეძლება. აი, რას აცხადებს ერთი ასეთი გამომცემელი „კოლხიდას“ სახელწოდებით: „მე შეუდექი სამეცნიერო წიგნების გამოცემას „ახალი მკითხველისათვის“, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც ჩვენში გაჩნდა და მოითხოვს საამდროვო გონებრივ საზრდოს ქართულ ენაზე მიწოდებას. დღეს ახალი მკითხველი ძლიერ მოწყურებულია... სამეცნიერო გასაგები წიგნების კითხვას... და მეც, რაკი მწიგნობრობის გავრცელების საქმეს

1) აკაკი—„კიკოლას ნაამბობი“ 1912, ტფილისი. გამომცემლის განცხადება. უკანასკნელი გვერდი.

2) ibid.

ვეწევი, განვიზრახე ჩემი წვლილი შევიტანო ამ სამართლიან მოთხოვნების წმინდა ტაძარში და შეძლების დაგვარად მივაწოდო მას... გონების განსავეითარებელი მასალა“.) და შემდეგ დასძინს: „რასაკვირველია, მე ჩემი ძალღონით მარტო ამ დიად საქმეში ბევრს ვერას ვაგებდები, მარა იმედი მაქვს, რომ ჩემი განზრახულება სხვათა მოთხოვნილებასაც შეადგენს და ისინი ამ სახალხო საქმეში უნაგარო თანამშრომლობას არ დაიზარებენ და დრო და დრო დახმარებასაც გამიწევენო“.

თუ რა დახმარებას თხოულობს ასე დიდის კომენტარიებით ეს გამომცემელი, ამას ცოტა ქვემოდ უფრო აშკარად გვეუბნება: „რადგან მე განზრახული საქმისათვის სპეციალური თანხები არა მაქვს, რათა ერთბაშად მოვყვე ზემო ჩამოთვლილ სხვა წიგნების გამოცემას,“) ამიტომ შემდეგი წიგნების გამოცემა დამოკიდებული იქნება პირველების გავრცელებაზე“.) (ხაზი ჩვენია).

იგივე გამომცემელი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სახალხო წიგნების გამოცემას დღეს... ბევრმა მიჰყო ხელი, მიუხედავად იმისა, შესწევთ თუ არა ამგვარი საქმისათვის სახელმძღვანელო გონებრივ-ზნეობრივი და ნივთიერი ძალღონე. და ასე წინასწარ გამოუანგარიშებლად და საქმის გაუთვალისწინებლად ბევრი შეუდგა არა მარტო ვაზეთების... არამედ წიგნების გამოცემასაც... ზოგიც ამ საქმემ ისე გაიტაცა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ესა თუ ის წიგნი ნათარგმნი და გამოცემულია, იგი მაინც სთარგმნის და მას სხვა სახელით სტამბავს!) და ამრიგად ორთავე გამოცემის საქმეს,—გავრცელებას აბრკოლებს, რადგან ჩვენ ენაზე გამოცემებს ათასობით და ათი ათასობით მკითხველი ჯერ კიდევ არ შეუძენია.“.)

„ეს თითო-ოროლა წიგნის ანუ კიდევ ორი-სამი დღით თუ კვირით და გინდა თვეობით ვაზეთების გამომცემლები... სამესამედოდაც ვერ ინაზღაურებენ იმ მცირედ წვლილს, რომელიც მათ გაუ-

1) ნ. ჟორდანიანი — ანარქიზმი. 1907 წ. ტფ. დამატება: გამომცემლობა „კოლხიდის“ განცხადება „მკითხველთადმი“, უკანასკნელი გვერდი.

2) წინა გვერდზე ჩამოთვლილია გამოსაცემი წიგნები

3) ნ. ჟორდანიანი — ანარქიზმი 1907 წ. ტფილისი; გამომცემლის განცხადება.

4) უნდა აღინიშნოს, რომ გამოცემელთა ერთი კატეგორია „საკუთარი“ წიგნების გამოცემით იყო გატაცებული და როდესაც დაწერის უნარი არ შესწევდა, თარგმნიდა რუსულიდან პოპულიარულ-ხალხურ წიგნებს, რომელსაც ავტორის სახელს აცლიდა და მთარგმნელის—თავისი—სახელით ბეჭდავდა.

5) ნ. ჟორდანიანი — ანარქიზმი. გამომცემლის დამატება, გვ. IV.

ლიათ ამ კეთილ და სასარგებლო საქმისათვის... მარტო სურვილი, გატაცება როდია საქმაო სერიოზულ და საფუძვლიან საქმის დასაწყებად; ამ სურვილს შესაფერი ენერჯია, საქმის ცოდნა და ნიუთიერი შეძლება უნდა. ამრიგად აღქურვილნი კი ჩვენში ცოტანი არიან, და ამიტომაცაა, რომ აქ გამომცემლობა ვერ ხეირობს, კუს ნაბიჯით მიდის... ბოლოს გამომცემლებიც დარწმუნდენ, რომ ეს საქმე მათ ბრწყინვალე მომავალს არ უქადის და, დავალიანებულნი, იძულებულნი ხდებიან დაწყებული საქმე მიატოვონ“¹⁾)

ზედმეტია მტკიცება, რომ ასეთი გამომცემლები თუ გამომცემლობანი წიგნის გამაერცვლებელი ქსელის მოწყობას ვერ შესძლებდენ და უკვე გამოცემული პროდუქციის გეგმიანი რეალიზაცია მათთვის განუხორციელებელი იქნებოდა.

ამრიგად, გამომცემლობათა ის ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავდა სახალხო-პოპულიარული წიგნების გამოცემა-გავრცელებას, დიდის ხნით ვერ სძლებდა თავის მოღვაწეობის ასპარეზზე. ამის უმთავრესი მიზეზი მატერიალური რესურსების უქონლობა იყო. მართალია, მკითხველთა არა საქმაო მასიურობაც ამასვე ხელს უწყობდა, მაგრამ რევოლიუციის შემდეგ მაინც პოპულიარულ წიგნებს, მათთვის საქმაო საწარმოო კაპიტალი რომ ყოფილიყო, ზარალი არ უნდა მოეტანათ, რადგან მათი მოთხოვნილება შესამჩნევად იზრდებოდა.

გამომცემელთა მატერიალური სივიწროვე, თავის მხრივ მოქმედებდა თვით ავტორებზედაც, რადგან ცხადია, რომ ასეთი გამომცემლობანი სათანადო ჰონორარით ვერ დააკმაყოფილებდენ ავტორის შემოქმედებას.

ერთი იმდროინდელი გამომცემლის სიტყვით, ისინი პირველ რიგში სცემდენ ისეთ ნაწარმოებთ, რომლებსაც მკითხველთა მოთხოვნილებასთან ერთად ეს პირობაც ახლდა, რომ ავტორები ჰონორარის მიღებაზე საესებით უარს აცხადებდენ, ანდა ფრიად უმნიშვნელო გასამრჯელოს მიღებას სჯერდებოდენ. და ასეთი პირობის შემდეგ ხშირად კიდევ ავტორი იძულებული იყო ეცადა მისი წიგნის რეალიზაციისათვის, რადგან გამომცემელი მხოლოდ ამის შემდეგ ჰპირდებოდა ჰონორარს, რომელიც წიგნის გასაღებით მიღებული მოგებიდან, — რაც იშვიათი შემთხვევა იყო, — უნდა გადაეხადა.

გამომცემლობა „გუთანი“ პირდაპირ აცხადებს:

¹⁾ ibidem, გვ. VI და VII.

„ამხანაგობა სთხოვს ხელთნაწერების გამომგზავნელ ავტორებს შეგვატყობინონ ხოლმე თავიანთი პირობებიც, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწარმოები უპირობაოთ ჩაითვლება“-ო.1)

მაგრამ, მატერიალურის გვერდით, თვალსაჩინო დამაბრკოლებელ მიზეზს მაინც უკვე აღნიშნული სასტიკი საცენზურო პირობები შეადგენდა (იხ. შემდეგი თავი). ცენზურა ძლიერ ხშირად კრძალავდა და ცეცხლს აძლევდა მთელ გამოცემას, და ამ ზარალის ატანა არც ისე ადვილი იყო ისედაც სუსტი გამომცემლობისათვის. ამას გარდა, მეფის უანდარმერიას თვალში ჰყავდა ამოღებული ზოგიერთი გამომცემლობა, რომლის გამოცემის პოვნა 'ცოტად თუ ზევრად საეჭვო პირთან უკანასკნელის დაპატიმრებას იწვევდა. მეფის მთავრობამ კარგად იცოდა, რომ იყო მთელი რიგი გამომცემლობათა, რომელნიც მიზნად ისახავდნენ არსებული წყობილების წინააღმდეგ დარაზმული პოლიტიკური პარტიებისათვის სამსახურის გაწევას და ის ყოველის ღონისძიებით სდევნიდა ასეთს გამომცემლობას.

ერთ-ერთი ასეთი გამომცემლობა იყო „ახალი მკითხველი“, რომელსაც იხსენიებს (იხ. ზემოდ) გამომცემლობა „კოლხიდა“. „ახალი მკითხველი“ დაარსდა ჯერ კიდევ 1896 წელს. აი, როგორ ახასიათებს ამ გამომცემლობას ეხლახან გამოცემულ თავის წიგნში გ. გ. გ. ო. რ. გ. ა. ძ. ე. 2):

„მუშურ წრეებში, გარდა სააგიტაციო-საპროპაგანდო ლიტერატურისა, დიდი მოთხოვნილება იყო ისეთი ლიტერატურის, რომელიც მკითხველს მისცემდა ცოდნას საზოგადოებრივ მოვლენებზე. ამ მოთხოვნილებას ინტელიგენტთა წრე აკმაყოფილებდა ჯერ მით, რომ მეცადინეობას აწარმოებდა მუშურ წრეებში; მაგრამ წრეებში მეცადინეობა საკმარისი არ შეიქნა, საჭირო იყო სათანადო წიგნების მიწოდება, მათი კითხვა და შეთვისება.

„საჭირო წიგნები იყო რუსულ ენაზე, მაგრამ ეს მუშების უმრავლესობამ საკმაოდ არ იცოდა და ამრიგად აუცილებელი იყო ან თარგმანი ან კიდევ ორიგინალური ამ დანიშნულების ლიტერატურის მიწოდება ქართულ ენაზე, რადგან არალეგალურის საშუალებით ფართო მასისათვის ასეთი ლიტერატურის გამოცემა შეუძლებელი იყო“.

1) იხ. „მიწა მიწის მუშას“. 1907 წ. ტფილისი, გამომცემლის განცხადება უკანასკნელ გვერდზე.

2) გ. გ. ო. რ. გ. ა. ძ. ე., საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, გვ. 524.

1894 წელს გაზ. „ცნობის ფურცელში“ იბეჭდება ფელეტონი: „ორიოდე სიტყვა ქართული წიგნების გამოცემის გამო“, რომლის ავტორიც ამტკიცებს, რომ საჭიროა შესდგეს საზოგადოება, რომელიც გამოსცემს პოპულიარულ-მეცნიერულ შინაარსის წიგნებს ქართულ ენაზე და გაავრცელებს საზოგადოებაში; ასეთი საზოგადოება იხიერებს, შემოსავალსაც მისცემს საზოგადოებას (პატრონს) და ფრიად სასარგებლო იქნება თანამედროვე საზოგადოებრივი აზროვნებისათვისო... საჭიროა, დასძენს ავტორი, დამყარდეს კავშირი ინტელიგენციასა და მკითხველს შორის... გაიბას შემაერთებელი მავთული... ამისათვის კი ერთად ერთი გზა არის, რომ თვით მკითხველი საზოგადოებისაგან შევადგინოთ წიგნების გამომცემელი საზოგადოება „მკითხველთა ასოციაციას“.¹⁾

ამნაირ მოთხოვნილებების ნიადაგზე 1896 წელს კიდევაც შესდგა ახალი გამომცემელი საზოგადოება „ახალი მკითხველის“ სახელწოდებით. ამ გამომცემლობამ მიზნად დაისახა მკითხველ საზოგადოებაში გაევრცელებია პოპულიარული სამეცნიერო შინაარსის წიგნები. ამ საზოგადოების წევრად გახდომა ყველას შეეძლო, ვინც წლიურად გამომცემლობა „ახალი მკითხველის“ სალაროში შეიტანდა სამ მანეთს საწევროს.

„ამ საზოგადოებას განსაკუთრებით მუშათა წრეებში უნდოდა გაევრცელებინა სათანადო ლიტერატურა, მისი მკითხველი მოსახლეობის მუშათა ფენებისაგან უნდა შემდგარიყო.“²⁾

როგორც გ. რ. გ. ი. ო. რ. გ. ა. ძ. ე. გადმოგვცემს, ამ საზოგადოებაში დაარსებისთანავე კიდევაც ბლომად ჩაეწერენ მუშები, საქმიანობაც გამომცემლობისა გაჩაღდა. მაგრამ ეს გარემოება არ გამოპარვია ჟანდარმერიას და ცენზურას; და დაპატრონებისა და გაჩხრეკის დროს თუ ვინმეს „ახალი მკითხველის“ გამოცემას უპოვნიდენ, ეს იმის დამამტკიცებელი იყო (ჟანდარმერიის თვალში), რომ ის მთავრობის საწინააღმდეგო ორგანიზაციას ეკუთვნოდა. ამიტომ ეს საზოგადოება პოლიტიკურ ხაფანგად გადაიქცა და 1898 წელს მან მოქმედება შესწყვიტა.“³⁾

¹⁾ გაზ. „ცნობის ფურცელი“ № 50, 52, 53. 1896 წ. პ. პავლიძის (პ. გ. უ. გ. უ. შ. ვ. ი. ლ. ი. ს) წერილები.

²⁾ საზ. „ახალი მკითხველის“ ლ. ფიციალური დამაარსებელნი იყვნენ: ივანე როსტომაშვილი, რაჟდენ კალაძე, პეტრე გელეიშვილი, სევერტიან ჯუღელი, სილიბისტრო ჯიბლაძე და ვლადიმერ დარჩიაშვილი. საზოგადოებას ჰქონდა წესდება ნოტარიუს პოლტორაკის კანტორაში დამტკიცებული 1896 წლის 19 დეკემბრიდან. (იხ. გრიგოლ გიორგაძე—საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, გვ. 526).

³⁾ გ. რ. გ. ი. ო. რ. გ. ა. ძ. ე. 100 სი 1928 წ. გვ. 526.

ასევე უცქეროდა ცენზურა, მაგალითად, ჟურ. „კვალსაც“. ამ ჟურნალისათვის ნება დასართავ სტატიას ცენზურა გაათკეცებული კრიტიკული თვალთ უყურებდა; „კვალში“ იგი კრძალავდა ისეთ აზრებსა და სიტყვებს, რომელთა დაბეჭდვა სხვა ქართულ პერიოდულ ორგანოებს თავისუფლად შეეძლოთ. ამნაირი მოსაზრების გამო 1908—1914 წლებში ქართული გაზეთების ნომრები იკრძალებოდა და რედაქციები ჯარიმდებოდნენ ისეთი წერილების თუ ცნობების დაბეჭდვისათვის, რომელიც პეტერბურგისა თუ მოსკოვის, ანდა ხშირად ადგილობრივ რუსულ გაზეთებშიაც კი იყო უკვე დაბეჭდილი და უკანასკნელთათვის ყურადღება არ მიუქცევია ცენზურას.

თუ რა დიდ ზარალს აყენებდა ცენზურის ასეთი მოქმედება ქართულ ბეჭდვით სიტყვას, სჩანს ქვემოლ მოყვანილი სიიდან.

ქართული პერიოდის მოქალაქეების განმავლობაში.
(ბუდეითი საქმის ტფილისის კომიტეტის ცხრილი)

ნომერი	პერიოდული ორგანიზაციის დასახელება	საბჭოთა განმეორება (რედაქტორ-გამომცემელი)	დასაწყისი წელი	გამოცემანი, რომელიც მიმდინარე წელს გაჩნდნ.	გამოცემანი, რომელიც მიმდინარე წელს შეწყვეტნ	გამოცემანი, რომელიც მიმდინარე წელს შეწყვეტნ
1	სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია	გორგოზი ობოლაძე, გლეხი	7 მან.	—	—	გამოცემანი, რომელიც მიმდინარე წელს შეწყვეტნ
2	სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია	სააკა ალიბანაშვილი, ყოფილი მესიხე (Стрелочник).	7 "	11 იანვ. 1908.	—	შეჩერებულ იქნა განმავლობით 4 იანვარს 1908 წ.
3	სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია	თეფთელე ოთხმეტური, გლეხი	8 "	—	შეჩერდა უსასოობის გამო	შეჩერებულ იქნა ტფ. ბუდე. საქმ. კომიტეტის მიერ რედაქტორისადმი სისხ. სამ. ბიუტის აღჭრის გამო 31 იანვარს 1908 წ.
4	სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია	გიორგი მაკაჯიანი	—	4 მარტ. 1908.	—	გაზეთის № 22 აქრალულ იქნა (29 მარტ) და გამოცემა დაიწყო გუბერნატორის ბრძანებით თანამხმედ 25 აპრილს 1908 წლისა.
5	სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია	ივ. მკელიძე, გლეხი	7 "	—	—	1 მარტს 1908 წ. დაჯარიმებულ იქნა რედაქტორი 1000 მან. ან 3 თვეს რედაქტორის დაატინებით. შედგომ. გაზეთი დაიბეჭდა.
6	სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია	მიქაძე	6 "	—	—	21 აპრილს შეჩერდა გენერ. გუბერნატორის ბრძანებით.

№ რიგში	პერიოდული ორგანოს დასახელება	ცნობა გამოცემულთა ენობის შესახებ (რედაქტორ-გამომცემელი)	ესტაბლიშმენტი	გამოცემანი, რომელიც მიმდინარე წელს გაჩნდენ.	გამოცემანი, რომელიც შესწუდენ	გამოცემანი, რომელიც მიმდინარე წელს გაჩნდენ.
7	1 ყოველდღიური ორგანოები.	ქიბოსრო ქეთარაძე, აზნაური	7 მან.	1 მარტ. 1908.	—	1 ნოემბერს 1908 წ. დაიხურა გენერალ გუბერნატორის ბრძანებით.
8	„კალი“	პლ. გაჩეილაძე, აზნაური	7 "	—	—	გაზ. № 5 კონფესკაცია ეყო შემდგომად გენ. გუბ. ბოძანებით 9/ა 1908.
9	„ცხოვრების სარკე“	ელიოზიშვილი	7 "	23 აპრილი 1908.	—	დაიხურა გენ. გუბ. ბრძანებით 19 მაისს 1908 წ.
10	„ჩვენი კვალი“	ალ. გიორგობიანი, აზნაური	7 "	—	—	30 ოქტ. 1908 წ. დაიხურა გენ. გუბ. ბრძან.
11	„ნაპერწყალი“	მბ. აბაზაძე, აზნაური	6 "	—	—	„ნ. ივანის „ „ „ „
12	„ახალი სხივი“	თეფ. თხემბურსი	7 "	—	—	9 ივლისს „ „ „ „
13	„ხომლი“	ს. ედილაშვილი	7 "	13 ივლისი 1908	—	13 ნოემბერს „ „ „ „
14	„სავაჭრო გზა“	ი. მერკვილაძე, წიგნის ბალახის პატრონი	6 "	31 აგვისტო 1908.	—	— „ „ „ „
15	„მურღული“	ს. თაყაიშვილი, გლეხი	7 "	2 სექტემბ. 1908	—	9 სექტემბერს „ „ „ „
16	„იმედი“	ივ. გაჩეილაძე	6 "	12 ოქტომბ. 1908	—	27 ოქტომბერს „ „ „ „
17	„ალი“	ბ. ქოსაშვილი	6 "	2 ნოემბარ. 1908	—	28 დეკემბერს „ „ „ „

№	პერიოდული ორგანოს დასახელება	ცნობა გამომცემელთა კონაოს შესახებ (რედაქტორ-გამომცემელი)	დღე მთვე	გამომცემნი, რომელნიც მიმდინარე წელს განდენ.	გამომცემნი, რომელნიც მიმდ. წელს შესწუდენ	გამოცემანი, რომელნიც მიმდინარე წელს განდენ.
18	I ყოველდღიური ორგანოები					
18	„შუქი“	ა. ქანანაძე	7 მან.	7 ნოემბ. 1908 წ.	—	11 ნოემბ. 1908 წ. დაიხურა გენ.-გუბ. ბრძ.
19	„ადროება“	ივ. სოხოაშვილი, შემდგ ალ. ალაძე, მღვდელის შვილი	7 "	18 ნოემბ. 1908.	—	—
20	II ყოველკვირეული ორგანოები					
20	„ნიშადური“	გ. გუნია	—	—	—	2 ოქტომბ. 1908 წ. დაიხურა გენ.-გუბ. ბრძანებით.
21	„ეშმაკის მათრახი“	თ. ბოლქვაძე	—	—	—	9 აგვისტ. 1908 წ. დაიხურა დაჯარიმა 1000 მან. გენ.-გუბ. ბრძანებით.
22	„ეკალი“	პლ. გაჩეილაძე	—	—	—	—
23	„ალიონი“	ს. კეკელიაძე, აზნაური	5 "	—	—	—
24	„ჩვენი ქვეყანა“	კირ. ნინიძე, გლეხი	6 "	9 მარტ. 1908.	—	19 ივნისს დაიხურა გენერალ-გუბერნატ. ბრძანებით.
25	„ცის ნამი“	ბ. სხირაჯიანი, გენერალ-გუბერნატორი	7 "	14 ივნისი 1908.	—	№ 4 კონფის. ეყო და 1 მაისს დაიხურა გენერ.-გუბერნატორის ბრძანებით
26	„ახალენი“	პლ. გაჩეილაძე	2-50 კ.	8 აგვისტო 1908.	—	16 ივნისს დაიხურა, № 1 კონფისკაცია ეყო, რედაქტორი მისცეს სისხ. სამ. კასუბ. (სახელმწ. დალატი წყობილების დამხობა)
27	„ხაქართველი“	გ. გუნია	5 მან.	21 სექტემბ. 1908.	—	24 აგვისტ. დაიხურა გენერ.-გუბერნატ. ბრძანებით.

№	პერიოდული ორგანოს დასახელება	ს. ო. ბ. ა. გამომცემელთა ვინაობის შესახებ (რედაქტორ-გამომცემელი)	დსკს	გამომცემანი, რომელნიც მიმდინარე წელს გაჩნდნენ	გამომცემანი, რომელნიც მიმდინარე წელს შესწდნენ	გამომცემანი, რომელნიც მიმდინარე (1908) წელს: 1) აღმოსავლეთის წესით, 2) ჯარიმების გადაუხდელობით:
28	II ყოველკვირეული ორგანოები					
28	„მზე“	ნ. ასათიანი	3 მან.	6 ოქტომბ. 1908.	—	18 ოქტ. დაიხურა გენ.-გუბ. ბრძანებით
29	„მათრახი“	თ. ბოლკვაძე	5 "	31 აგვისტო 1908.	—	25 " " " "
30	„ფასკუნჯი“	ტატიყვი	5 "	17 ოქტ. 1908.	—	— " " " "
31	„მნათობი“	მ. მარკოზოვი	5 "	6 ნოემბ. 1908.	—	21 დეკ. 1908. დაიხურა გენ.-გუბ. ბრძ.
32	III ორკვირეული ორგანოები.					
32	„ქართული სამკურნალო ფურცელი“	გვ. ლამბაშიძე	3 "	5 მაისი 1908.	შესწდა იმავე წელს	—
33	„ნაკადული“	მარიამ დემურია	3 "	—	—	—
34	„ნაკადული“	მარიამ დემურია	3 "	—	—	—
35	„განათლებლა“	ბოციაძე, მასწავლებ.	5 "	9 იანვ. 1908.	—	—
36	„ჯეჯელი“	ანასტ. წერეთლისა	4 "	—	—	—
37	„მწეხრი“	მლ. ლამბაშიძე	4 "	—	—	—
38	„ფარი“ (ქუთაისში)	კ. ბაქიაძე, ახნაური	2-50 კ.	—	—	4 თებერვ. 1908 წ. დაიხურა თანახმად გენ.-გუბ. განკარგულებისა.
39	„შრომა“ (ქუთაისში)	დ. მესხი.	5 "	—	—	30 მარტს 1908 წ. დაიხურა გენ.-გუბერნატორის ბრძანებით.
40	„შინაური საქმეები“	?	4 "	—	—	—

1908 წლის განმავლობაში ბეკდვითი საქმის ტფილისის კომიტეტის მიერ აკრძალული წიგნების სია:

1. „სამჯგრო ოც და ორი“, ხეჩუაშვილისა . . .	500	ეკზემპ. 32	გვერდ. ფასი 10	კაპ.
2. „რიერაჟი“, ლექსების კრებული . . .	700	16	5	5
3. „განა შენ აღამიანი ხარუ“, პ. აკობიასი .	3000	16	5	5
4. „ეროვნული საკითხი და ს.-დემ.“, გ. გვე- ლესიანისა . . .	1200	112	35	5
5. „აკიცი ჭამია ახნაური“, ჯანელიძესი . . .	500	13	5	5
6. „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“, რიაზანოვისა . . .	500	32	7	7
7. „ტალკვეთი“, ძაძამიასი . . .	600	16	10	10
8. „ქედლის კალენდარი“--გამოც. ს.ორაპანის	5000	430	40	40

და სხვ.

ყველა ეს წიგნები ცენზურამ და პოლიციამ, თანახმად ტფილისის სასამართლო პალატის დადგენილებისა, ცეცხლს მისცა ¹⁾).

ამრიგად, ქართული წიგნის გამომცემლობის საქმეს, გარდა თვით გამომცემლობის შინაგან თვისებათაგან გამომდინარე მიზეზებისა (მატერიალური სიღირსოვე, საქმის უცოდინარობა), აბრკოლებდა აგრეთვე ობიექტიური პირობები, რომელიც თვით სახელმწიფოებრივი წყობილების ბუნებიდან გამომდინარეობდა.

იყვნენ ისეთი გამომცემლობანიც, რომელთაც არ ჰქონდათ შედარებით იმდენი შეხლა-შემოხლა ბიუროკრატიზმთან და ყოველ შემთხვევაში საკმაო ძალასაც წარმოადგენდნენ. ასეთს გამომცემლობათა კატეგორიას უპირველესად ეკუთვნის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის მოღვაწეობაზე ზემოდ საკმაოდ შევიჩრდილეთ.

იყო აგრეთვე ქართველთა გამომცემელი ამხანაგობა ტფილისსა და ქუთაისში. ამათ ჰქონდათ საკმაოდ მოწყობილი აგენტების ქსელი, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან; მათი მუშაობა ამ ხანებშიაც წარმატებით მიდიოდა. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ „ქართველთა გამომცემელი ამხანაგობის“ საქმიანობას 1905--1906 წლებში შესამჩნევი შეფერხება დაეტყო; ამ ამხანაგობამ შუაზედ შესწყვიტა თავისი საგამომცემლო პროგრამა „ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწარმოებთა“ გამოცემისა, რაიც პირველად დიდის ამბით აუწყა საზოგადოებას ²⁾).

1905--1917 წლების პერიოდში კიდევ ერთ შედარებით ახალ გარემოებას ჰქონდა ადგილი ქართული წიგნის საქმეში. რადგანაც ახალ-ახალი გამომცემლობანი იბადებოდნენ და მათ არც საკმაო ღონისძიება გააჩნდათ, რომ საკუთარი მალაზიები თუ განყოფილებანი

1) Дело Тифлисского комитета по делам печати 1909. № 14.

2) იხ. 1904 წ. ანგარიში.

დაეარსებინათ, და არც შეკავშირებული იყვნენ ამავე საქმის გასაკეთებლად, ამიტომ თითოეული გამომცემელი იძულებული იყო „გაეჩინა“ აგენტები საკუთარი პროდუქციის გასასაღებლად. დაქირავებული აგენტების ყოლა მათთვის არც შესაძლებელი იყო და არც ხელსაყრელი. და ამიტომ ისინი მხოლოდ გაყიდული წიგნებიდან აძლეოდნენ განსაზღვრულ პროცენტს გასამრჯელოდ. მაგრამ, როგორც გამოცდილებამ დაამტკიცა, აგენტები გასაღებელი წიგნების მთელ ღირებულებას ითვისებდნენ და გამომცემლებს ამ მხრივაც ზარალს აყენებდნენ.

აი, რას მოგვითხრობს ერთი გამომცემელი ამ საკითხზე: „ჩვენს დროში ძლიერ განვითარდა აგენტურა, „აგენტობია“, როგორც მას პროვინციაში ეძახიან... ჩვენში გამომცემლები თითო-ორიოლა გროშს აქა-იქ შეაგროვებენ, გამოსცემენ წიგნებს, ჩამოურიგებენ აგენტებს და მერე მათთან მიმოწერასა, სიარულს და მოციქულების გზავნას ანდომებენ გამომცემლობის საქმისათვის გადადებულ დროს“¹⁾.

და მართლაც, რომ გადავათვალიეროთ ამ პერიოდში (1905—1917 წ.) გამოცემული ჟურნალ-გაზეთებისა თუ ბროშურების ყდები, ყველგან შეხვდებით გამომცემლების განცხადება-მიმართვებს თავიანთ აგენტებისადმი, რომელთაგან მოითხოვენ ანგარიშების გასწორებას, ცნობების გზავნას, თუ რადარა წიგნები საღებდა და სხვა.

ზმირად ასეთს განცხადებასა და მიმართვებს მუქარის ხასიათიც აქვს: გამომცემელი კატეგორიულ ფორმებში მოითხოვს ანგარიშების გასწორებას ან წიგნების უკან დაბრუნებას და წინააღმდეგ შემთხვევაში აგენტების სახელების გამოქვეყნებითა და საქმის სასამართლოსათვის გადაცემით იმუქრება. მაგალ., ერთი მოთმინებიდან გამოსული გამომცემლობა ასე მიმართავს თავის აგენტებს: „მიუხედავად ჩვენი განცხადებისა, რომლითაც მოვითხოვდით აგენტებისაგან ანგარიშის გასწორებას... ზოგიერთ აგენტებისაგან დღემდე არ მიგვიღია ანგარიში... ამიტომ უკანასკნელად ვაცხადებთ, რომ იმ აგენტების სახელი და გვარი, ვინც შაბათამდის სრულ ანგარიშს არ წარმოადგენს, გაზეთში იქნება გამოცხადებული, ამასთანავე ჩამოერთმევა აგენტურა და გადაეცემა სხვას. რაც შეეხება ხედერ ფულებს, იმის ასაღებად კანტორა სხვა ზომებს მიმართავს“²⁾.

ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ, რომ მატერიალურად უძლური გამომცემლობანი საკუთარ განყოფილებებს ვერ ჰხსნიდნენ სათანადო ადგილას და ამიტომ აგენტების საქმიანობისადმი შემყურე რჩებოდნენ.

1) ნ. ყორდანიანი—ანარქიზმი, 1907 წ. გამომცემლის განცხადებ.: დამატება გვ. IX.

2) იხ. ვაზ. „ჩვენი სიტყვა“. № 51. 1907 წ.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი მიზეზია ზემოდ დახასიათებული მოვლენის ასახსნელად. საქმე იმაშია, რომ ამ პერიოდში წიგნის მოთხოვნილება მივარდნილ პროვინციებშიაც დიბადა. გამომცემელს სურდა იქაც მიეწოდინა თავისი საქონელი, მაგრამ ცხადია: იქ მალაზიის გახსნა მეურნეულ მიზანს ვერ გაამართლებდა, ამის შეძლება კიდევაც რომ ჰქონოდა გამომცემელს, და ამიტომ აგენტების ყოლა ასეთს კუთხეებში აუცილებელი იყო. მაგრამ, საუბედუროდ, არ მოიპოვებოდა სათანადოდ მომზადებული, წიგნის საქმის მცოდნე და პატივისმცემელი აგენტები.

წიგნის გამოცემის გაადვილებას ხელს უწყობდა გამოსაცემ წიგნზე წინასწარ ხელისმოწერის გამართვა. ამ წესით წიგნების გამოცემა ჩვენში ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან დაიწყო ¹⁾. ამ საქმეში თვალსაჩინო წილი მიუძღვის ზ ა ქ ა რ ი ა კ ი ჰ ი ნ ა ძ ე ს, რომელიც ამას ასე ხსნის: „ჩვენში წიგნის გამომცემლები შეუძლონი არიან, მათ ზომიერი თანხა არა აქვთ გამოცემისათვისო“ ²⁾.

ზოგი გამომცემლები წინასწარ ხელის მოწერის გამართვით საკმაო რაოდენობით და იმავე დროს სქელტანიან წიგნებსაც ბეჭდავდნენ ³⁾. მაგრამ მათს მოლვაწეობას არ ჩაუვლია უმწიკვლოდ. ერთი ამგვარი გამომცემელი უსაყვედურებს საზოგადოებას, რომ: „მკითხველები ხელს არ აწერენ ახალ გამოცემაზე, რადგან გამომცემლები შეპირებულ წიგნებს არ სცემენ და ფულს სკამენო“ ⁴⁾. და თვითონ თავს იმართლებს ასეთის ბრალდებისგან, ასევე ამართლებს სხვა გამომცემლებსაც და პირობას იძლევა: „დღეის შემდეგ თუ რამეს გამოვაცხადებ გამოსაცემად, იმას უეჭველად დროზედაც გამოვსცემ და უფრო უკეთესადაცო“ ⁵⁾.

1905 წლის რევოლიუციის შემდეგ ქართული წიგნის ბაზარს მოაწყდა აუარებელი პროდუქცია, უმეტეს წილად იათ-ფასიანი წიგნაკებისაგან შემდგარი, შესახებ გადასახადებისა, სოციალიზმ-კომუნისზმისა და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა.

¹⁾ თუმცა აღსანიშნავია, რომ უკვე ორმოცდაათიანი წლებიდან, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, პლ. იოსელიანიც სცემდა ამგვარად წიგნებს; მაგრამ ის ცოტა არ აჯოს სხვანაირი წესით მუშაობდა. (იხ. ზ. კ.—პლატონ იოსელიანი 1893 წ. ტფილისი. გვ. 17).

²⁾ საქართველოს ცხოვრება 1469—1800 წ.წ. სენია ჩხვიძე, პაპუნა ორბელიანის... გამოცემა ზ. კიკინაძისა. 1913 წ. ტფილისი. უკანასკნელი ფურცელი გამომცემლის განცხადება.

³⁾ Ibid.

⁴⁾ „საქართველოს ცხოვრება“, 1913 წ. ზ. კიკინაძის გამოცემა. აგრეთვე „ქართლის ცხოვრება“, წ. I., გამოცემა II., ზ. კიკინაძისა. 1897. ტფილისი. გვ. I და II

⁵⁾ Ibid.

1907—1908 წლებიდან დაწყებულმა რეაქციამ ეს სტიქიური მოვლენა ცოტა არ იყოს შეაჩერა და შეანელა. მაგრამ საერთოდ, წიგნის გამომცემლობის საქმეზე რეაქციას შემდეგში წინანდელსავით დიდი გავლენა არ ჰქონია, რადგან მთავარი ბორკილი, წინასწარი ცენზურის სახით, უკვე დამტკრეულ იქნა 1905 წ. რევოლიუციის წყალობით.

ქართული წიგნის პროდუქციას ამ პერიოდში გვაჩვენებს შემდეგი ცხრილი (იხ. ცხრ. № 1):

ცხრილი № 1:

ერთდროული გამოცემანი 1905—1916 წ.წ.

№ № რიგზე	წლები	სახელწოდებათა რაოდენობა	საერთო ტირაჟი	საშუალო ტირაჟი
1	1906	165	405.200	2.460
2	1907	126	275.600	2.290
3	1908	143	325.514	2.276
4	1910	128	250.760	2.000
5	1911	186	397.540	2.180
6	1912	228	437.530	1.920
7	1913	247	485.348	1.950
8	1914	159	323.520	2.030
9	1915	191	444.480	2.326
10	1916	97	194.300	2.003
სულ . . .		1.670	3.539.792	

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, 1906 წელს ერთბაშად იქნა გამოცემული 165 სახელწოდება 400 ათასზე მეტი ეკზემპლიარის რაოდენობით. ამის შემდეგ ქართული წიგნის გამომცემლობა თითქოს კლებადი ტენდენციის მაჩვენებელია. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სახელწოდებათა უდიდესი ნაწილი პატარა ტანიანი (მეტწილად 1-2 ფორმიანი) და იაფ-ფასიანი ბროშურებისაგან შესდგებოდა, არ გვეგონია 1906 წლის პროდუქცია მომდევნო 1907 წლისას და განსაკუთრებით 1908 წლისას აღემატებოდეს.

საშუალო ტირაჟის კლებადი ტენდენცია უფრო მოჩვენებითია, ვიდრე ნამდვილი: იგი მეცნიერული დანიშნულების ლიტერატურის ხვედრითი წონის ზრდით უნდა აიხსნას, რადგან უკანასკნელი, მკითხველთა რიცხვის მიხედვით, უფრო მცირე ტირაჟიანია.

სოციალური დანიშნულების ცალკე ჯგუფების მიხედვით (იხილე ცხრილი № 2) ამ პერიოდის (1905—1917 წ.წ.) განმავლობაში სარეკორდო ციფრი მოგვცა პოლიტიკურ-სააგიტაციო ლიტერატურის ჯგუფმა 1906 წელს. ხოლო ამის შემდეგ, გამეფებული შავი რეაქციის წყალობით, ამ ჯგუფის ხვედრითი წონა თანდათან კლებულობს ვიდრე 1917 წლამდე, როდესაც ისევ მის სწრაფ ზრდას ვხედავთ.

სამეცნიერო წიგნთა ხვედრითი წონაც შეუჩერებლივ იზრდება და 1913 წლისათვის 44 სახელწოდებამდე აღწევს, რომელიც სარეკორდო ციფრია ამ ჯგუფისათვის არამც თუ აღებული პერიოდის განმავლობაში, არამედ 1926 წლამდეც კი, როგორც ამას ქვევით დავინახავთ.

1905 წლის რევოლიუციამ, მიუხედავად სახელმწიფო-საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ახალი საწყისების მიცემისა, მაინც ცოტა მოუტანა ეროვნული კულტურის განვითარების საქმეს: სწავლა-განათლების საკითხი თითქმის ძველებურ ჩარჩოებშივე დარჩა მომწყვდეული. ქართული ენა ისევ ძველებურად იღვენებოდა სასწავლებლებიდან. მაგალითად, 1905 წლის შემდეგ საქართველოს ახალმა ეგზარხოსმა, რომელიც ნაწილობრივ სწავლის საქმესაც მეთაურობდა, სა-

ც ხ რ ი ლ ი № 2

ერთდროული გამოცემანი, სოციალური დანიშნულების ჯგუფებად დანაწილებული, 1905—1917 წ.წ.

№. № რიგზე		1906	1907	1908	1910	1911	1912	1913	1914	1917
1	სამეცნიერო	6	12	14	249	29	35	44	25	41
2	პოლიტ. სააგიტ.	101	31	9	2	3	6	1	1	41
3	სასწავლო-პედაგოგ	8	8	12	12	12	10	12	21	14
4	სამეცნიერ.-პოპულ.	20	7	7	22	45	50	48	43	8
5	დოკუმ. უწყ. ან-შები									
6	საცნობარო ლიტერატ.	} შესულა Yaria-ში								
7	სიტყვაკაზმული მწერ.	24	49	72	47	74	95	101	46	16
8	საბავშვო	—	4	—	1	3	8	2	2	7
9	რელიგიური	1	8	14	11	11	8	12	5	—
10	Yaria	5	7	15	9	9	16	21	17	2
	ს უ ლ	165	126	143	128	186	228	247	159	99

სწავლო პროგრამიდან ამოშალა „ბუნების კარი“ იმ მოტივით, რომ მასში, გარდა სალიტერატურო მასალისა, მოთავსებულია ბოტანიკური, ზოოლოგიური, ანტროპოლოგიური, გეოგრაფიული და ისტორიული წერილები, და ეს საგნები მხოლოდ სახელმწიფო (რუსულ) ენაზე უნდა ისწავლებოდეს!).

ასე ძნელი იყო სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურისათვის გზის გაკაფვა, მაგრამ, თუმცა ნელის ნაბიჯით, იგი მაინც თანდათან მატულობდა ქართ. წიგნის მთლიან პროდუქციაში.

მეცნიერულ-პოპულიარულ ანუ, როგორც მას უფრო ხშირად ეძახიან, „სახალხო“ ლიტერატურის განვითარებას, რომელსაც რევოლუციის პირველ დღეებში თავისუფლება მიეცა, 1907 და 1908 წლის რეაქციამ დიდი დაბრკოლება შეუქმნა. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ 1905 წლის რევოლუციის შემდეგ განიდევნა ამ ჯგუფიდან ისეთი ლიტერატურა, რომელიც მთელი საუკუნეების განმავლობაში სთესდა ხალხში ცრუმორწმუნეობასა და ბნელ იდეებს (მაგ. სიზმრების ახსნა და სხვ. მსგავსი წიგნები).

1910 წლიდან საცენზურო უწყებამ პოპულიარულ-სახალხო წიგნებისათვის მეტრ შეღავათი შექმნა¹⁾, რამაც უკანასკნელის ზრდაზე მაშინვე დადებითად იმოქმედა, ასე რომ 1912 წელს უკვე 50 ალწიკს ამ ჯგუფის სახელწოდება.

როგორც საერთოდ შემჩნეულია, მხატვრულ ლიტერატურას ომებისა და რევოლუციის პერიოდში ახასიათებს შენელებული ტემპი განვითარებისა. სიტყვაკაზმული ლიტერატურა 1904 წელს ქართული წიგნის მთელი პროდუქციის 50⁰/₁₀₀-ზე მეტს შეადგენდა (და ასეთი ადგილი ეკავა მას წინა წლებშიაც), 1905 წელს კი მისი მონაწილეობა მთელ პროდუქციაში 14,5⁰/₁₀₀-ამდე დავიდა. რევოლუციის შემდეგ ის თანდათან მატულობს, სახელწოდებათა რაოდენობით წინა წლებისას სჭარბობს და 1913 წელს უკვე 101 სახელწოდებას შეადგენს, მაგრამ მაინც ის მთელი პროდუქციის მარ-

¹⁾ იხ. ი. გოგებაშვილი — წადილი ქართული ენის პროგრამის შევიწროებისა („მეგობარი“ 1906. № 10—11, აგრეთვე მისივე რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები ტ. I. გვ. 483 — 485. აქვე დავსძენთ, რომ ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“ 1868 წლიდან მოყოლებული, როდესაც ის პირველად დაიბეჭდა, 40 წლის განმავლობაში იცემოდა და მანამდე არ ყოფილა ამოშლილი სასწავლო პროგრამიდან. 1906 წელს კი, ვოსტოროვის ნოლვაწობის წყალობით, სამრეწლო სკოლების „მამამ“ მას განდევნა მოუნდომა სასწავლებლებიდან. (იხ. „მეგობარი“ № 10 1906. აგრეთვე ურ. „განათლება“ № 8. 1909 ი. გოგებაშვილის წერილი).

²⁾ იხ. Дело Тифлисского комитета по делам печати, 1909. № 11.

ტოოდენ 410/0-ს აღწევს, ე. ი. ძველებური შეფარდება აღუდგენელი რჩება, და ეს არა თუ მხოლოდ აღებული პერიოდის განმავლობაში. არამედ—დღემდეც კი, როგორც ჯამას ქვემოლ დაინახავთ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შავი რეაქციის გამეფების პირველსავე წელს, თითქოს ნაცვლად სააგიტაციო-პოლიტიკური ლიტერატურისა, ამდენხანს «მყუდრო ცხოვრების» მატარებელ რელიგიური დანიშნულების ჯგუფს გამოცოცხლება დაეტყო,—ის 1908 წელს 14 სახელწოდების რაოდენობით გამოიკა და შემდეგ კარგახანს განაგრძობდა ასეთს განვითარებას, ვიდრე მსოფლიო ომმა და მას მოყოლებულმა რევოლიუციამ ბოლო არ მიუღო.

აღებულ პერიოდში საბავშო ლიტერატურის ჯგუფი წინანდელთან შედარებით უფრო სტაციონარულ მდგომარეობას განიცდიდა.

სოციალური დანიშნულების ცალკე ჯგუფთა ლიტერატურის სახელწოდებრივ ზრდასთან ერთად ჩვენ ვხედავთ საერთო და საშუალო ტირაჟის ზრდასაც, რაც ნამდვილი მაჩვენებელია წიგნის გავრცელების ზრდისა (იხ. ცხრილი № 3 გვ. 213—214).

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, სამეცნიერო წიგნები საშუალო ტირაჟის მხრივ სტაციონარულ მდგომარეობას განიცდის, რაც იმით აიხსნება, რომ აღებული პერიოდის განმავლობაში ამ ჯგუფის ლიტერატურის მიწოდება უსწრებდა მომხმარებელთა მასის რაოდენობრივ ზრდას.

პოლიტიკურ-სააგიტაციო დანიშნულების ჯგუფს, რომელმაც რევოლიუციის ხანებში დიდ შედეგებს მიაღწია, შემდეგში თუმცა ძლიერი დაქვეითება ემჩნევა სახელწოდებათა მიხედვით, ტირაჟში მაინც დიდი მერყეობა არ განუცდია, რაიც იმის მაჩვენებელია, რომ მისი მკითხველთა ფენა არ შემცირებულა და ამ დარგის ლიტერატურას ისევ ეტანებიან, თუკი არსებულ საცენზურო პირობებში ამგვარი წიგნის გამოცემა შესაძლებელი ხდება.

სასწავლო-პედაგოგიური წიგნების ზრდისთვის უძლეველი დაბრკოლება იყო მეფის ხელისუფლების განსაკუთრებული პოლიტიკა.

მეცნიერულ-პოპულიარული ჯგუფის საშუალო ტირაჟს ზრდა არ ემჩნევა, ის თითქოს ერთს წერტილზეა გაყინული. ხოლო რაც შეეხება სიტყვა-კაზმული მწერლობის ნაწარმოებთ, აქ საშუალო ტირაჟის თანდათან და შეუჩერებელი დაცემა, ისე როგორც მისი ხვედრითი წონის კლება, აშკარა დასანახი ხდება.

საბავშო წიგნების საშუალო ტირაჟი მატულობს. რელიგიური შინაარსის წიგნების გამოცემამ (სახელწოდებათა მიხედვით) თუმცა

ც ს რ ი ლ ი შ :
ერთდროული გამოცემანი სოციალური დანიშნულებისა და ტირაჟის მიხედვით 1906—1916 წ. წ.

სოციალური დანიშნულების ჯგუფები	1906		1907		1908		1910		1911						
	წიგნი	ფურცლები	წიგნი	ფურცლები	წიგნი	ფურცლები	წიგნი	ფურცლები	წიგნი	ფურცლები					
1 სამეცნიერო	6	12000	2000	12	21600	1800	1506	24	25380	29	36700	1273			
2 პოლიტ-საჯიტიციო	101	227000	2241	31	59040	1904	2766	2	2000	3	4050	1350			
3 სასწავლო პედაგოგიური	8	51950	6121	8	501120	6265	4983	12	53650	12	82260	6855			
4 მეცნიერულ-პოპულარ.	20	46800	2340	7	24700	3530	2114	22	11500	1900	91350	2096			
5 დოკუმენტები და უწყ. ანგ.	შესულია Yaris-ში														
6 საცნობარო ლიტერატურა															
7 მხატვრული მწერლობა (ბელეტრისტიკა)	24	51950	2165	19	125580	2563	2032	47	69030	1468	74123780	1673			
8 საბავშვო მწერლობა	—	—	—	4	3700	923	—	1	1000	1000	3	4700	1567		
9 რელიგიური	1	1800	1800	8	14500	1813	1821	11	24400	2218	11	15900	1446		
10 Yaris	5	11000	2200	7	21000	3000	2213	9	33800	3755	9	36500	4055		
ს უ ლ .	165	405250	2454	126	275600	2721	143	325514	2491	128	250760	2410	186	397540	2902

1) მასალები ამოღებულია ბეკდფითი საქმის ტფილისის კომიტეტის წლიური ანგარიშებიდან და Кавказский Календарь-ის შესაფერი წილების წიგნიდან.

გაგრძელება ცხრილ. № 3

ერთდროული გამოცემანი სოციალური დანიშნულებისა და ტირაჟის მიხედვით 1906—1916 წ. წ.

სოციალური დანიშნულების ჯგუფები	1912			1913			1914			1915			1916		
	საწყვედი	დასაწყვედი	საწყვედი	საწყვედი	დასაწყვედი	საწყვედი	საწყვედი	დასაწყვედი	საწყვედი	დასაწყვედი	საწყვედი	დასაწყვედი	საწყვედი	დასაწყვედი	საწყვედი
1 სამეცნიერო	35	60360	1725	44	42014	955	25	22560	902	21	21900	1186	14	21000	1500
2 პოლიტ-სააგიტაციო	6	13300	2222	1	1000	1000	1	1000	1000	9	26450	2940	8	18200	2250
3 სასწავლო პედაგოგიური	10	42210	4224	12	54100	4509	21	103850	4945	29	65600	2262	7	21250	3036
4 მეცნიერულ-პოპულარ.	50	114550	2291	48	130900	2916	43	86730	2017	72	218200	3031	24	52500	2187
5 დოკუმენტები და უწყ. ანგ.	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
6 საცნობარო ლიტერატურა	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
7 ჰაბიტუალური მწერლობა (ბელეტრისტიკა)	95	154345	1625	101	177054	1723	46	70170	1711	33	39920	1210	26	31600	1215
8 საბავშვო მწერლობა	8	13250	1655	2	2200	1100	2	2290	1145	2	3100	1700	2	6000	3000
9 რელიგიური	8	13800	1727	18	30900	1717	5	12200	2440	13	16800	1300	2	3600	1800
10 Yaris	16	33485	2903	21	38580	1837	17	25750	1515	12	49200	4100	14	10150	2869
სულ		228437530	1920247	185348	1950159	323520	2030191	41480	2326	97191300	2003				

იმატა, მაგრამ მათი საშუალო ტირაჟი მაინც კლებიდი ხასიათის მატარებელია.

ნარევის (*varia*) ჯგუფმა ამ პერიოდში საერთოდ აღსანიშნავი ზრდა განიცადა, რაც მასში შემავალი კალენდრებისა და სხვადასხვა საცნობარო ლიტერატურის ხარჯზე ხდებოდა.

საერთოდ ქართული წიგნი ამ პერიოდში მნიშვნელოვან შედეგს გვიჩვენებს: 1905 წლის რევოლიუციის გამო შედარებით გზახსნილი იგი უმაღლეს წერტილს ამ პერიოდში 1913 წელს აღწევს, როდესაც 247 სახელწოდება ნახევარ მილიონამდე ეკუმპლიარის რაოდენობით მოეფინა ხალხში.

1914 წლიდან დაწყებულმა მსოფლიო ომმა, განსაკუთრებით სასტიკი სამხედრო ცენზურის სახით, გადაუღობა ქართული წიგნის საქმეს განვითარების გზები, რასაც შემდეგში საერთო ეკონომიური კრიზისი დაერთო.

ამ გარემოებამ თავისი შედეგი წიგნის მეურნეობაზედაც გაავრცელა და ამხნიდან დაწყებული ქართული წიგნის პროდუქციის ძველი ნაყოფიერება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, კარგა ხანს, აღუდგენელი დარჩა.

თ ა ვ ი გ ე ა თ ე

ქართული გეგდვითი სიტყვა და ცანჭურა

ქართული წიგნი და ცენჭურა გახულ საუკუნეებდე.—სა-
ცენჭურო კანონმდებლობა და ბრაქტიკა რუსეთში ძეცხრაძეცხ
საუკუნეებდე.—1804 წლის ე. წ. „იდილიური საცენჭურო წესდე
ბა“.—1826 წლის 6 აპრილს წესდება და საცენჭურო ბრაქტიკა
60-იან წლებამდე რუსეთში. — 1850-1865 წ. წ. გარდამავალი
ებოქა რუსული ცენჭურის ისტორიაში.—70-იანი წლების „დრო-
ებითი“ საცენჭურო წესდება და „სახელმწიფოებრივი მნიშვნე-
ლობის საკითხებზე“ დამატებითი დირექტივები.—საცენჭურო
კომიტეტის დაარსება ტფილისში.—მისა საქციანობა მე-XIX სა-
უკუნის პირველ ნახევარში.—კავკასიის საცენჭურო კომიტე-
ტი ანხორციელებდა ბიუროკრატიული რუსეთის პოლიტიკას
დაბყრობილი ერების გათვითცნობიერების წინააღმდეგ.—გაწ.
„დროების“ ურთიერთობა კავკ. საცენჭურო კომიტეტთან და
ივ. მაჩაბელი.—ნიკო ნიკოლაძის ბრძოლა ცენჭურის წინააღმ-
დეგ.—ქართული ენის ცენჭური ლუკა ისარლოვი.—80-იანი
წლებიდან სტამბებისა და წიგნით ვაჭრობის მეტეალყურე ინს-
პექტორის თანამდებობის დაარსება ტფილისში.—გაწ. „ივერია“
და ცენჭურა.—გაწ. „შრომა“ და კავკ. საცენჭ. კომიტეტი.—
ქურნ. „იმედის“ შეხლა ცენჭურასთან.—არალეკალური ლიტე-
რატურის მოვლინება და ცენჭურის რებრესიების გამლიერება.
—ქართული პერიოდიკისათვის აკრძალული წერნილების მძძ-
რანობა.—რაფ. ერისთავი ქართული ენის ცენჭურის თანაძეგ-
ბობაზე.—ბეჭდვითი საქმის მეტეალყურე ინსპექტორის საქმი-
ანობა — მე-XIX საუკუნის დასასრულს განვითარებული სო-
ციალ-პოლიტიკური ძოდრანობა და ცენჭურა.—ქურ. „კვალის“

სამუდამოდ აკრძალვა შინაგან საჭმეთა მინისტრის განკარგულებით. — საცენზურო კანონმდებლობის „არსებულ პირობებთან შესათანხმებლად“ დაარსებული კომისიის მუშაობა (1904/5 წ.). — 1905 წლის რევოლუციის პერიოდი და ცენზურა. — არალეგალური ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების გაძლიერება. — კავკასიის საცენზურო კომიტეტის მოქმედების ნაწილობრივ შეწყვეტა. — 17 ოქტომბრის მანიფესტით მოზღვებული ბეჭდვითი სიტყვის „თავისუფლება“. — ყოველგვარი წინასწარი ცენზურის გაუქმება და ადგილობრივი ადმინისტრაციის კომპეტენცია ბეჭდვითი სიტყვის საქმეში. — „კავკ. საცენზურო კომიტეტის“ „ბეჭდვითი საქმის ტფილისის კომიტეტად“ გადაკეთება და უკანასკნელის მოღვაწეობა. — რეაქციის გამარჯვება და ბეჭდვითი სიტყვის კვლავ შევიწროება. — არალეგალური ლიტერატურის ისევ განვითარება. — რევოლუციის პერიოდში გამოცემული პოლიტიკური და სააგიტაციო ლიტერატურის „ლიკვიდაცია“. — ქართული პერიოდიკის შეზღუდვა ტფილისში და მისი ქუთაისში გადასვლა და იქ ადმინისტრაციული რეპრესიების გაძლიერება. — მსოფლიო ომი და სამსგდრო ცენზურის მძვინვარება. — მეფის ცენზურის აღსასრული.

პართული გეგლვითი სიტყვა და ცენზურა

„მუდამ იქონიეთ მხედველობაში
„რედაქციისაგან დამოუკიდებელი
მიზეზები“ და ნულარ ენდობით
თქვენს საკუთარ ნიქსა“.

(ჟურ. „იმედი“-ს 1882 წ. თებერვ-
ლის ნომრისათვის ცენზორის მიერ აკრძა-
ლული ფურცლიდან).

მეცხრამეტე საუკუნემდე ქართული წიგნები უმეტეს წილად
იბეჭდებოდა „ბრძანებითა მეფისა და კურთხევითა პატრიარქისა“¹⁾
(საქართველოში), ან „ბრძანებითა იმპერატორისა და კურთხევითა
უწმიდესისა სინოდისათა“²⁾ (რუსეთში), ან კიდევ „ბრძანებითა უფ-
როსთა“³⁾ (რომში) და სხვა.

ხოლო მას შემდეგ, რაც „იქით დარჩა სხვა საქართველო, რო-
გორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად, აქეთ კი (XIX საუკ.) სულ
ახალი ქვეყანა გაიშალა, რომელსაც პოეტები საქართველოს უწოდებ-
დნენ, ხოლო ოფიციალური პოლიტიკოსები კი—რუსეთის ორ გუბერ-
ნიას“,⁴⁾ საქმე საფუძვლიანად შეიცვალა.

1) იხ. „კურთხევანი“, 1713 წ. ტფილისი. თავფურცელი; „სამლო მსახურე-
ბა“ 1751. ტფილისი; „კურთხევანი“ 1764 წ. ტფილისი. და სხვა მე-XVIII საუკ.
ტფილისში დაბეჭდილი წიგნები.

2) „სახარება“ 1739 წ. მოსკოვი; „სამოციქულო“ 1765 წ. მოსკ.; „ლოცვა-
ნი“ 1768 მოსკ. წიგნები ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

3) Stefano Paolini—Dictionario Giorgiano e Italiano in Roma. 1629; M. Madg gio-Synlagmation liugarum orientalium quae in Georgiae regionibus aunduntur. Romae 1643; და ვ ი თ ა ტ უ ლ უ კ ა ა ნ თ ი (გორელი), საქრისტიანო მოძღვრება, გინა წურთენა შვიდთა საიდუმლოთა ზედა. რომი. 1741 წ. და სხვ. წიგნები ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში.

4) ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი — ქართ. ლიტერატ. ისტ. მე-XIX საუკ. ტ. I. 1925.

ქართული წიგნი გახდა საგანი რუსული ცენზურის „მამობრივი“ და „აღმზრდელობითი“ ზრუნვისა. როგორც კი შინაური მდგომარეობა იმდენად გარკვეული ხასიათის მატარებელი შეიქმნა, რომ წიგნების თუ ჟურნალ-გაზეთების ბეკდვა-გამოცემაზე ფიქრი შეიძლებოდა, ტფილისში დანიშნულ იქნა ცენზორი, რომელიც მეთვალყურეობდა ბეკდვით სიტყვას როგორც რუსულ, ისე ადგილობრივ ენებზე.

რამდენადაც ამ ხანებში ჟურნალ-გაზეთები თუ წიგნები ძლიერ უმნიშვნელო რაოდენობით იცემოდა, იმდროინდელი ცენზურის პრაქტიკული მოღვაწეობის შესახებ ცნობები ფერმკრთალია. იმ დროს ჯერ თვით რუსეთშიაც არ იყო მტკიცე და წელმაგარი ცენზურა.

რუსეთს მეცხრამეტე საუკუნემდე არც კი ჰქონდა გარკვეული საცენზურო კანონმდებლობა, თუმცა, „რათა წიგნებს და საბეკდ დაზგას რაიმე ზიანი არ მოეტანა სახელმწიფოსა და მეფისათვის“, მათ მეთვალყურეობას არ აკლებდნენ. ასე, მაგალითად, ასეთი მეთვალყურეობა 1720 წლიდან მინდობილი ჰქონდა სასულიერო კოლეგიას, 1771 წლიდან კიდევ—სამეცნიერო აკადემიას, შემდეგ 1773 წლიდან—პოლიციის მთავარმმართველის კანცელარიას; 1796 წლიდან საცენზურო მეთვალყურეობა დაუქვემდებარდა სენატს (და გუბერნატორებს და სხვ. ¹⁾). მიუხედავად გარკვეული საცენზურო წესდების უქონლობისა, რუსული წიგნი ხშირად აზრის თავისუფლების მტერთაგან სასტიკ დევნას განიცდიდა. მაგალითად, 1792 წ. ეკატერინე მეორის ბრძანებით ნოვიკოვი „მანენ“ აზრების გავრცელებისათვის შლისელბურგის ციხეში ჩაამწყვდიეს, ხოლო მისი წიგნები ცეცხლს მისცეს ²⁾.

ალექსანდრე I-ის დროს, სახელდობრ 1804 წელს, გამოიცა რუსეთში პირველი საცენზურო წესდება ³⁾, შემდეგში „იდილიურ საცენზურო წესდებად“ წოდებული. მასშივე მისი დანიშნულება ასე იყო განსაზღვრული: ცენზურა იხილავს წიგნებს „იმ მიზნით, რათა საზოგადოებას მიაწოდოს თხზულებანი, რომლებიც ხელს უწყობენ გონების, მორალის ქეშმარიტ განვითარებას და ააშორონ წიგნები, რომლებიც ამ მიზანს ეწინააღმდეგე-

¹⁾ В. Львов-Рогачевский—Печать и цензура. 1906. Москва. стр. 53—55.

²⁾ Г. В. Плеханов—Сочинения, том XXII, 1925. Москва. стр. 329—331.

³⁾ См. Сборник. постановлений и распоряжений по цензуре с 1720 по 1862 г. СПб. 1862. стр. 81.

ბიან". (I და II მუხ.)¹⁾ მიუხედავად მისი „იდილიურობისა“, მასში იყო ასეთი მუხლიც (19): „თუ ცენზურას მოუვიდა ხელთნაწერი, რომელიც უარპყოფს ღმერთის არსებობას, ჩირქსა სცხებს ხელისუფლებას და არაკეთილგანწყობილ მიზნებს ატარებს, კომიტეტმა (საცენზურო) ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მთავრობას, რათა უკანასკნელმა მონახოს ავტორი და კანონიერად მოექცეს მას“²⁾.

ზემოხსენებული წესდება 1824 წელს დაგვირგვინდა გრაფ არკაჩევის განკარგულებით, რომლის თანახმად: „ერთხელ და სამუდამოდ ებრძანა რუსეთის მოხელეებს, არსად და არც ერთ ენაზე არ გამოეცათ თხზულება, რომელშიაც იქნებოდა რაიმე თქმული რუსეთის შინაურ თუ საგარეო ურთიერთობის შესახებ, გარეშე ცენზურის და პირდაპირ უფროსთა ნებართვისა“³⁾.

1804 წლის წესდება მოქმედებდა 1828 წლამდე, როდესაც ძალაში შევიდა 1826 წელს დამტკიცებული ახალი საცენზურო წესდება, რომელიც, ნაცვლად წინა წესდების 47 მუხლისა, უკვე 230 მუხლს შეიცავდა.

ახალი წესდება ბევრად უფრო მკაცრი იყო, ვიდრე წინანდელი, და მიზნად ჰქონდა არა თუ შეჩერება „მაენე“ აზროვნებისა, არამედ მისთვის მიცემა მთავრობისათვის სასურველი მიმართულებისა. ამ წესდების ავტორი კი—შიშკოვი¹⁾—სწერს, რომ მისი მიზანი იყო: „არა წაერთმია მწერალთათვის მსჯელობის თავისუფლება, არამედ გაემხნეებია ისინი“, მაგრამ იქვე უმატებს: „რასაკვირველია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა წარმოდგენდნენ თავხედურ, მაცდუნებელ და სხვა ამ სახის თხზულებებსო“²⁾.

უნდა აკრძალულიყო ყველა ნაწარმოები, რომელიც მთლიანად თუ ნაწილობრივ მიმართული იყო სარწმუნოებისა, ტახტისა, კეთი-

¹⁾ Сборник постановлений и распоряж. по цензуре, 1862 Спб. стр. 85.

²⁾ ibid. გვ. 93.; ამას გარდა 1811 წლიდან, საპოლიციო სამინისტროს დაარსების შემდეგ, პოლიციის მინისტრს შეეძლო ცენზურის ნებართვით დაბეჭდილი წიგნი. თუ კი უკანასკნელი მასში რაიმე ეჭვს გამოიწვევდა, წესრიგისა და საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დაცვის თვალსაზრისით, შეეძინა განსახილველად უმაღლეს ინსტანციაში. (იხ. Львов-Роговечский, Печать и цензура, Москва 1906, გვ. 211).

³⁾ Сборник пост. и расп. по цензуре. გვ. 120.

⁴⁾ შიშკოვი—მაშინ განათლების მინისტრი იყო, რომელსაც საცენზურო ორგანოებიც ექვემდებარებოდნენ.

⁵⁾ Сборник постановл. и распоряж. по ценз. стр. 141.

ლი ზნეობისა და მოქალაქეთა პირადი ინტერესების საწინააღმდეგოდ“.

ზემოხსენებული წესდება დამტკიცების შემდეგ კიდევ იქნა გადასინჯული და მნიშვნელოვანად გადამუშავებული განსაკუთრებული კომიტეტის მიერ 1828 წელს. ეს საცენზურო წესდება აშენებული იყო უმთავრესად ცენზურულ—გამაფრთხილებელი სისტემის საშუალებით ბეკდვითი სიტყვაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობის საფუძვლებზე ¹⁾.

1826 წლის საცენზურო წესდება ძალაში იყო 1848 წლამდე; ამ დროიდან კი 1855 წლამდე მოქმედებდა ბუტურლინის ეგრეთ წოდებული «огнегласный» კომიტეტი, რომელიც „უკიდურესად მოთმინებას მოკლებული და აზრთა მოშიშარი იყო“ ²⁾.

1859 წლიდან დაიწყო მოღვაწეობა ბარონ კორფმა, რათა „ახალი სამინისტრო შეექმნა“, რაიც შემდეგ მხოლოდ ბეკდვითი სიტყვის მთავარი კომიტეტის რეორგანიზაციით დამთავრდა ³⁾.

საქმე იმაში იყო, რომ „ცივილიზაცია წინ მიდიოდა, აუცილებლობა განათლებისა გვერდ-აუხვეველი ხდებოდა, ამასთანავე, რაც მთავარია, „ცნობილი იდეები“ ვრცელდებოდნენ ჰაერში, მიუხედავად ყოველგვარი პოლიციისა და ცენზურისა“ ⁴⁾.

ძველი წესები ბევრგვარ გაუგებრობას ბადებდა; დაძაბულ ცენზორებსაც გაეპარებოდათ მავნე აზრები, რომელთა აღკვეთის ძალა საერთოდ არ ჰქონდა საცენზურო კომიტეტს, თვით გენერალ ცენზორის სიტყვით ⁵⁾.

კანონის გაურკვეველობას ცენზურა, რასაკვირველია, თავის სასარგებლოდ იყენებდა, თუმცა საცენზურო წესდების მე-21 მუხლი ამის საწინააღმდეგოს ღალატებდა ⁶⁾. ამრიგად უკიდურეს მდგომარეობაში ჩაყენებულმა ლიტერატორებმა საცენზურო კომიტეტს კოლექტიურის

¹⁾ В. Розенберг и В. Якушкин—Русская цензура в прошлом и настоящем. Москва. 1905. стр. 114.

²⁾ Розенберг и Якушкин I. с. стр. 140.; Н. Энгельгардт, Очерки по истории русской цензуры в связи с развитием печати (1703—1903). 1901. Спб. стр. 31—32.

³⁾ М. Лемке, Эпоха цензурных реформ, 1904. Москва. стр. 27.

⁴⁾ ibidem. стр. 10. მაშინ მომავალი განათლების მინისტრის გოლოვინის წერილიდან ა. ი. ბარიატინსკისადმი.

⁵⁾ М. Лемке I. с. стр. 414.

⁶⁾ Сборник. пост. и расп. по ценз. стр. 86. ამ საცენზურო წესდების მე-21 მუხლის თანახმად ცენზორს ეკრძალებოდა ავტორის აზრის სხვაოვან გაგება, ე. ი. „სტრიქონებს შუა კითხვა“.

წერილითაც მიმართეს, სადაც ითხოვდენ აზროვნების, წერის პირობების გაუმჯობესებას, რადგან „თანამედროვე ხანაში არსად ისეთს სიძნელეს არა აქვს ადგილი ჟურნალისტიკის საქმეში, როგორც ეს რუსეთში... რედაქტორს ყველგან შეუძლია მთელის ენერგიით იმუშაოს რედაქციაში, ჩვენში კი რედაქტორის მთავარი ენერგია ცენზორებთან კინკლაობაში იკარგებაო“¹⁾.

ეს ის დრო იყო, როდესაც ისეთი წერილიც კი, სადაც მსჯელობა იყო გრამატიკულ კანონებზე ან პირველ დაწყებით არითმეტიკულ მოქმედებებზე, განხილული უნდა ყოფილიყო „საზოგადოებრივი მშვიდობიანობის თვალსაზრისით“²⁾ და, მაშასადამე, იმის გამოც უნდა შესრულებულიყო დაკანონებული „საცენზურო ტრიალი“: ავტორისგან—რედაქციისაკენ, რედაქციიდან—სტამბისაკენ, სტამბიდან—ცენზორისაკენ, აქედან კი რამდენიმე დღის ან ხშირად თვის შემდეგ ისევ რედაქციისაკენ და ასე შემდეგ³⁾.

აი, რას სწერდა ცნობილი რუსი ლიტერატორი თ. ბულგარინი 12 მაისს 1852 წლისა⁴⁾: „უნდა ვალიარო, რომ ცენზურას ჰქონდა ძლიერი გავლენა ჩემი ავადმყოფობის განვითარებაზე, რომელმაც კინალამ სამარეში ჩამიყვანა... სტატია გრამატიკის შესახებ ი. დავიდოვისა⁵⁾ აკრძალულ იქნა შირინსკი-შიხმატოვის⁶⁾ მიერ. სირცხვილი და დამცირებაა, რომ რუსეთს მართაეს შიხმატოვი წინააღმდეგ დამტკიცებული საცენზუროდ წესდებისა... რომ ჩვენ წერა-კითხვის უცოდინარნი გვასწავლიანო“⁷⁾.

თ. ბულგარინი არ მიდიოდა ისედაც მკაცრი საცენზურო წესდების იქით, ოღონდ ის ყოფილიყო სისწორით გატარებული ცხოვრებაში, ვინაიდან ცენზორების ხელში, პრაქტიკულად კიდევ უფრო სასტიკდებოდა შიხმატოვის პოლიტიკით.

1) М. Лемке, I. с. стр. 61.

2) ibid. გვ. 64. აგრეთვე Энгельгардт—I. с. стр. 358.

3) М. Лемке. стр. 65.

4) იმავე ხანებში (1856 წელს) ემიგრაციაში მყოფი ჰერცენი სწერდა იმპერატორს: „მეფევი მიეცით თავისუფლება რუსულ სიტყვას, ჩვენი ჰკუა ვერ თავსდება მაგ სივიწროვეში, ჩვენი აზრი სივრცეს მოკლებული გულსა სწამლავს. იგი კენესის ცენზურის კალაპოტში ჩაჭედილი. მოგვეცით თავისუფალი სიტყვა“. იხ. М. Лемке. I. с. стр. 202.)

5) ივ. ივ. დავიდოვი იყო სამეცნიერო აკადემიის რუსული განყოფილების წევრი.

6) შირინსკი-შიხმატოვი განათლების მინისტრი იყო.

7) Н. Энгельгардт, I. с. стр. 359.

ხოლო შირინსკი-შიხმატოვზე უფრო „განათლებული“, სახალხო განათლების მინისტრი კავალენსკი საჯაროდ აცხადებს: „როგორც მინისტრი სახალხო განათლებისა, მე უნდა ხელს ვუწყობდე ლიტერატურის განვითარებას, წიგნებისა და პერიოდიკის გამოცემის ზრდას და იმავე დროს, როგორც გენერალ-ცენზორი, აუცილებლობით იძულებული ვარ ვაბრკოლებდე ამ მოძრაობას, როგორც ძველ ისე ახალ გამოცემათა აკრძალვითო“¹⁾).

ერთის სიტყვით, რუსული ბეჭდვითი სიტყვა იმ ხანებში განიცდიდა სასტიკ შევიწროვებას²⁾.

1855—1865 წ.წ. იყო გარდამავალი ეპოქა რუსული ცენზურის ისტორიაში.

სამოციან წლებში დაწყებული „გლახთა განთავისუფლების“ მოძრაობის ზეგავლენით აშკარა გახდა არსებული საცენზურო კახინდებლობის გადასინჯვის საჭიროება³⁾.

და, აი, ძველი საცენზურო წესდების ნაცვლად, „რათა მისცემოდა რუსულ ბეჭდვით სიტყვას განვითარებისათვის შესაძლებელი თავისუფლება“⁴⁾ (sic), მოხსნილ იქნა საერთო წინასწარი ცენზურა და დაწესებულ იქნა პასუხისმგებლობა სასამართლოს წესით სავალდებულო კანონების დარღვევისათვის⁵⁾.

ახალ საცენზურო წესდებას ემატებოდა კიდევ განსაკუთრებული „დარიგებანი“ (რომელიც შემდეგში წესდებაში იქნა შეტანილი და მოქმედებდა რევოლიუციამდე), სადაც ნათქვამი იყო: „არ იქნას დაშვებული დასაბეჭდად წიგნები და წერილები, რომელნიც გამოხატავენ სოციალიზმისა და კომუნისმის მათნე მოძღვრებას... ნებაართვა არ მიეცეს წერილების დაბეჭდვისა, რომელნიც ჩირქს სცხებენ თავად-აზნაურთა წოდებას... არავითარ შემთხვევაში არ იქნას გამოქვეყნებული პრესის საშუალებით წერილები, რომელნიც გამოსთქვამენ აზრს, თითქოს მიწის ქონების უფლება გლახებს ეკუთვნოდეთ“⁶⁾ და სხვა.

1) Н. Вержбицкий, О книге. 1920. пермь; стр. 42. აგრეთვე იხილე, Лемке, I. с. стр. 215.

2) Н. Энгельгардт, loc. cit. стр. 371.

3) Объяснительная записка к законопроектору о печати. стр. 2.

4) ibid. ეს წესდება, რომელიც 1862 წელს იქნა მიღებული, მოქმედებდა 1915 წლის რევოლიუციამდე.

5) იხილე Устав о печати. მუხ. 39.; Лемке, I. с. стр. 318.

6) Свод зак. т. XIV.; объяснительная записка к Зак.-проектору о печати.

ამავე დროს გაძლიერებულ იქნა აღმასრულებელი ხელისუფლების კომპენტენცია „ბეკდვითი სიტყვის საშუალებით მომხდარ ბოროტმოქმედებათა“ საწინააღმდეგოდ ¹⁾.

სრულიად უბრალო რამ საზოგადოებრივი მოძრაობა იყო საკმარისი, რომ მას მოჰყოლოდა ახალი ცირკულიარები, რომლებითაც უფრო და უფრო რთულდებოდა საცენზურო წესები და რომლებსაც 1873 წელს კანონის სანქციაც მიეცა ²⁾. თუ, მაგალითად, უმაღლესი ხელისუფლების მოსახრებით, რაიმე „სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის“ საკითხის გამოაშკარავება არა სასურველი იქნებოდა, ამის შესახებ რედაქტორებსა და ადგილობრივ საცენზურო კომიტეტებს მიეცემოდათ ცნობები და დირექტივები ბეკდვითი სიტყვის მთავარ-მმართველობის საშუალებით ³⁾.

თუ რა იყო ეს „სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის“ საკითხები“, სჩანს საცენზურო კომიტეტის საქმეებში ჩაყვრებული ინსტრუქციებიდან:

1) 1879 წელს ინსტრუქციით აკრძალულ იქნა პოლიტიკურ დამნაშავეთა შესახებ სასამართლოს პროცესების ბეკდვა ⁴⁾.

2) 1882 წელს აიკრძალა მემამულეებსა და გლეხებს შორის არსებული ურთიერთობის პრესაში „ცუდი“ სახით გამოხატვა.

3) 1891 წელს აიკრძალა წერილების ბეკდვა მაშინ გამძვინვარებულ შიმშილზე; უკიდურეს შემთხვევაში სიტყვა „შიმშილობა“ უნდა შეცვლილიყო „მოუსავლიანობად“ ⁵⁾.

4) 1896 წელს პეტერბურგში მომხდარი გრანდიოზული გაფიცვების შესახებ, რომლის გამო ალაპარაკდა მთელი ევროპის და განსაკუთრებით გერმანიის პრესა, რუსეთის პრესა სდუმდა ⁶⁾. ბეკდვითი სიტყვის მთავარმა სამმართველომ თავის დროზე აკრძალა ამის შესახებ წერა.

5) 1897 წელს გამოიცა ახალი განკარგულება არ ყოფილიყო გაშვებული არავითარი წერილები, წიგნები თუ ბროშურები ხელ-

¹⁾ *ibid*; об.ясн. записка к зак. проекту о печати.

²⁾ შევიდა საცენზურო წესდებაში მე-140 მუხლის შენიშვნ. სახით; свод. законов, том XIV;

Энгельгардт I. с. стр. 315.

³⁾ Дело Кавказского цензурного комитета № 2. 1879. ინახება საქართველოს ცენტრ არქივში.

⁴⁾ Д. К. Ц. К. № 2. 1882; Вержбицкий, loc. cit. 45.

⁵⁾ *ibid*; конфиденциальное, 1881 г.

⁶⁾ Л. Мартов—История Российской соц.-демократии 1923. Москва. стр. 17—18.

ფასისა, სამუშაო დღისა და მუშათა და ფაბრიკანტ-მეპატრონეთა ურთიერთობის შესახებ 1).

ეს კიდევ ცოტაა: 1882 წელს შინაგან საქმეთა მინისტრი ტოლსტოი წინადადებით შედის მინისტრთა კომიტეტში, რათა „ახალი დროის განსაკუთრებული პირობებისა გამო გაძლიერებულ იქნას ბეჭდვით სიტყვაზე ადმინისტრაციული ზეგავლენა“ 2).

ამრიგი იყო მთავარი ფაზისები რუსული საცენზურო კანონმდებლობის და პრაქტიკის განვითარებისა მიმდინარე საუკუნემდე.

ხოლო სანამ მის შემდგომ განვითარებას გავეცნობოდეთ, დაუბრუნდეთ ქართულ ბეჭდვით სიტყვას.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ტფილისში გასული საუკუნის პირველსავე წლებში დანიშნულ იქნა ცენზორი, თუმცა საიმისო აქ არა იყო რა; ხოლო მას შემდეგ, რაც 1826 წლის წესდება ძალაში შევიდა (1828 წ.), აქ დაარსებულ იქნა საცენზურო კომიტეტიც.

1830 წელს ტფილისში დაბეჭდილ ქართულ წიგნს აქვს თავფურცელზე მინაბეჭდი: «Печатать позволяется, стем, чтобы, по напечатании представлены были в цензурный комитет три экземпляра. августа 26, 1830 года, цензор С. Сенков еки й“ 3). ხოლო ამაზედ ადრე—სახელდობრ 1828 წელს—გამოცემული ქართული გაზეთის „ტფილისის უწყებანი“—ს ბოლოს ვკითხულობთ: „დაიბეჭდა ბრძანებითა“, და უფრო გვიან—1832 წლის—იმავე გაზეთის ნომრებზე მიბეჭდილია: „ნებადართულ არს დასაბეჭდალ“ 4).

ორმოციან და ორმოცდაათიან წლებისათვის კი, „კავკასიის მხარეში რადგანაც ბეჭდვითი სიტყვის საქმე საგრძნობლად განვითარებულა“, ტფილისში არსებულ კავკასიის საცენზურო კომიტეტს უფრო დამოუკიდებელი და მთლიანი სახე მიუღია.

დღეს მხოლოდ გაკვირვება შეუძლია გამოიწვიოს იმ გარემოება, თუ რა საჭირო იყო საცენზურო კომიტეტის ასე „სრულყოფა“ მაშინ, როდესაც თვეში ერთი წიგნი და მთელი წლის განმავლობაში ათიოდე წიგნი ძლივს გამოდიოდა (ყველა ადგილობრივ ენებზე ერ-

1) Л. Мертв, loc. cit. стр. 22.

2) В. Розенберг—Ошибка сената (сборник „Взащиту слова“. 1905. стр. 122).

3) სოლომონ დოდაევი—შეოკლებული ქართული გრამატიკა. 1830 წელი. ტფილისი. თავფურცელი. ინახება რუსკუბლიკის საჯარო ბიბლიოთეკაში.

4) იხ. „ტფილისის უწყებანი“ 1828 და 1832 წ.წ. ნომრები. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცავში, აგრეთვე საქ. საისტ. სათენოგო. მუზეუმის ბიბლიოთეკაში.

თად) და ამ გამოცემათა გადასინჯვას თვით მეფის მოადგილეც კი თავისუფლად ასწრებდა.

ასე, მაგალითად, პირველ ქართულ გაზეთს (მაშინ—1819—1821 წ. წ.—და არც უწინ კავკასიაში არც ერთ სხვა ენაზე გაზეთი არ გამოდიოდა) გენერალი ერმოლოვი პირადად უწევდა კონტროლს¹⁾. 1850-ან წლებშიაც კი პლატონ იოსელიანის გამოცემები „ბრძანებითა კავკასიის ნამესტნიკის, უგანათლებულესისა კნიაზის მიხაილ სვიმონისძის ვორონცოვისათა“ იბეჭდებოდა²⁾.

1845 წელს გამოდიოდა კიდევ ქართული გაზეთი „კავკასიის მხარეთა უწყებანი“³⁾, მაგრამ ის იყო ოფიციალური გამოცემა, წარმოადგენდა «Закавказский Вестник»-ის დამატებას⁴⁾ და ორივეს რედაქტორი იყო პლატონ იოსელიანი.

კავკასიის საცენზურო კომიტეტი მეფის ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორგანო იყო „რუსული საქმისათვის“. როგორც ყოველგვარ ეროვნულ კულტურას, ისე ბეჭდვით სიტყვასაც გზა შეკრული ჰქონდა. წინად კულტურის განვითარებას განუწყვეტელი ომები უშლიდა ხელს. ეხლა, მეცხრამეტე საუკუნეში, მყუდრო ცხოვრება დამყარდა, მაგრამ: „ამისთანა მყუდრო მდგომარეობაში კაცს რომ არ შეეძლოს თავისი სამშობლო ენის მოხმარება, უბედურება არ არის“-ო⁵⁾ სჩიოდა „ცისკრის“ ფურცლებზე მოლაყბე (მიხ. თუშანიშვილი).

სამოციანი წლებიდან რუსეთში დაწყებულ საზოგადოებრივ მოძრაობას დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენშიაც. თვით რუსეთის ცენზურა ასე ახასიათებს ბეჭდვით სიტყვას ამ პერიოდში: „სიკარბე ყოველდღიური და ყოველკვირეული ჟურნალ-გაზეთებისა იყო შედეგი საზოგადოებრივი ყურადღებისა იმ პოლიტიკურ მოვლენებისადმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. სიტყვაკაზმული ლიტერატურა და ტექნიკური საკითხები თითქმის

1) В. Т.—„Кавказ“, Библиографическая заметка к 50 летию газеты (газ. „Кавказ“ №4. 1896 г.).

2) იხ. წუობილსიტყვაობა, ქმნილი ანტონ პირველისაგან მე-II გვ., 1835. ტფილისი; მიმოსვლა... იოანე რუისის მიტროპოლიტისა. 1852. ტფ.; მიმოხილვა... ტიმოთესაგან 1852. ტფ. და სხვა.

3) იხ. „კავკასიის მხარეთა უწყებანი“, № 11. ინახება ტ. ს. უ. წიგნთსაცეში; შეად. დ. კარიკაშვილი I. ც. (ფურ. „წიგნის მეგობარი“ № 1—2. 1925 გვ. 100.).

4) ibid; აგრეთვე Гр. Книшндзе—Краткий обзор рус. период. печати на Кавказе. 1901. Тифлис. стр. 25—16.

5) ეს პერიოდი ვრცლად დახასიათებული აქვს ფ. მახარძეს, 1925. ტ. V. ტფილისი. გვ. 162 და შემდგ.

სრულებით მივიწყებული იქნა პოლონეთის აჯანყების, საერობო თვითმართველობათა გეგმის, სასწავლო დაწესებულებათა გარდაქმნის, პრესის და სხვა შინაური მმართველობის სისტემის მნიშვნელოვანი საკითხების და აგრეთვე საგლეხო რეფორმების წყალობით, რომელიც კიდევ წარმოადგენს პერიოდულ გამოცემათა ერთ-ერთ მთავარ თემას¹⁾.

სწორედ ამ საკითხების გარკვევას, საქართველოს პირობებში, ისახავდა მიზნად იმ ხანებში დაარსებული „საქართველოს მოამბეც“, რომელმაც ძლიერ მცირე ხანს გაუძლო ცენზურის სუსხს.

ამავე პირობებში იწყება საერთოდ რუსულ პერიოდულ პრესაში ე. წ. „მოწინავეების“, „მიმოხილვების“ ბეჭდვა, სადაც ესა თუ ის პერიოდული ორგანო ააშკარავებდა საკუთარ მიმართულებას, შეხედულებას²⁾. ამ დროიდან იძულებული იყო პრესა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცია შინაური ცხოვრების მდგომარეობისათვის³⁾, რის დამალვასაც ასე ცდილობდა მეფის ხელისუფლება და მისი კენზურა..

1870 წლის 24 ოქტომბერს „დროების“ რედაქტორი ს. მესხი კავკასიის საცენზურო კომიტეტს სთხოვს „დროებისათვის“ პოლიტიკური განყოფილების ნებართვას. ამ განყოფილებაში უნდა მოთავსებულიყო სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის მიმოხილვა, რომელსაც „დროება“ სატახტო ქალაქების გაზეთებიდან ამოიღებდა და ადგილობრივი პირობების მიხედვით განმარტავდა⁴⁾.

კავკასიის საცენზურო კომიტეტს ნებართვის მიცემა არ გაუბედია, უარიც ვერ უთქვამს⁵⁾ და ს. მესხის განცხადება მთავარმართებისათვის წარუდგენია გადასაწყვეტად. უკანასკნელი „დროებისათვის“ პოლიტიკური განყოფილების გახსნის ნებას აძლევს რედაქტორს, მხოლოდ „სასტიკად უნდა იქნას დაცული საცენზურო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესები, რათა „დროებამ“ ამით არ დასთესოს მოსახლეობაში რაიმე არაკეთილგონიერი და ბოროტი

1) Собрание материялов, отчет о деятельности совета мин. внутр. дел по делам книго-печатания. за 1863 г. стр. 203.

2) Ibid, о направлений периодич. литературы вообще и и замечательных периодическ. изд. вособенности, в 1863 году. стр. 205—206.

3) რუსული პერიოდიკა ამ ხანებში დიდ განვითარებას აღწევს; ზოგი მკვლევარის აზრით, ის ნაძველი მნიშვნელობით მხოლოდ ამ დროიდან იწყება. ამ დროს რუსულ პერიოდიკაში მოღვაწეობდნენ: ჰერცენი (საზღვარ-გარეთ) თავისი „Колокол“-ით; ჩერნიშევსკი — „Современник“-ით და კატკოვი — „Русский вестник“-ით.

4) Дело кавказского цензурного комитета 1870. № 1309/22.

5) Ibid.

ზრახვები და არ შექმნას ხალხში ცუდი წარმოდგენა პატივსაცემი საკითხებისადმი“—ო¹⁾), აფრთხილებს საცენზ. კომიტეტს.

ამის შემდეგ, 1874 წელს, სტ. მელიქი შვილმა და ს. მესხმა ითხოვეს „დროების“ პროგრამის გაუარყოფა და ფორმატის გადიდება. მათ ამის ნება დართეს²⁾), მაგრამ „დროებას“ რომ ევროპის ქალაქებში საკუთარი კორესპონდენტები ჰყოლოდა და მათი წერილები ებეჭდა პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, ეს მთავარმართებელმა და ცენზურამ დაუშვებლად სცნეს. რამდენიმე ხნის შემდეგ დართეს ნება, მაგრამ—იმ შემთხვევაში, „თუ ევროპიდან მიღებულ წერილებს საგნად მხოლოდ საზოგადოებრივი საკითხები ექნებოდა, ყოველგვარი პოლიტიკის გაურევლად“ (sic!)³⁾).

თუ როგორ უნდა მოხერხებულიყო, რომ გაზეთს ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ეწერა და პოლიტიკას კი არ შეხებოდა, ეს, ალბად, თვით საცენზურო კომიტეტმაც არ იცოდა. ამავე დროს „დროება“-ს აუკრძალეს სატახტო ქალაქების გაზეთებიდან მოწინავეების გადმობეჭდვა, თუ მასში ის რაიმე საკუთარ აზრსა და კომენტარიებს ჩაუმატებდა, „რადგან ის მიმართულება, რომელიც „დროებამ“ უკანასკნელ ხანებში განავეითარა“⁴⁾), ამას უკარნახებდა საცენზურო კომიტეტს, რომელიც ყველაფერში „სეპარატიზმს“ და „უკიდურესად მავნე მიმართულებას“ ხედავდა.

მოქმედი საცენზურო წესდების ყველაზე პოპულიარული გახდა მე-148 მუხლი, რომელიც პერიოდულ გამოცემათა დახურვის წესებს განსაზღვრავდა. ამ მუხლის „პოპულიარობა“ მისი პრაქტიკაში ხშირი გამოყენებით იყო გამოწვეული.

1885 წელს ამ მუხლის ძალით სამუდამოდ დაიხურა „დროება“⁵⁾), ხოლო 1904 წელს—„კვალი“⁶⁾). აღსანიშნავია, რომ 80-ან წლებში კავკასიის სამოსწავლო ოქის მზრუნველმა ერთი ალიაქოთი ასტეხა „დროების“ გარშემო: „რომ „დროება“ ავრცელებდა შეუფერებელ აზრებს სასწავლებლების შესახებ და ამავე დროს უფასოდ ეგზავნებოდა ხონის სემინარიის მოსწავლეთ, რომელთა მოსაწამლავად სისტემატიურად აკრიტიკებდა სახალხო განათლების სამინისტროს მიერ

1) *ibid.*

2) *Дело кавк. ценз. ком. 1874.*

3) *ibid.*

4) *idid.*

5) *Л. Мартон, I. с. стр. 65; Розенберг, I. с. стр. 124; ДКЦК. 1885. № 165.*

6) *Дело кавк. цензур. комитета, № 14. Розенберг и Якушкин, I. с. стр. 202.*

მოწონებულ სახელმძღვანელოებს და სხვა¹⁾). ამის გამო კავკასიის სამო-
სწავლო ოლქის მზრუნველი ითხოვდა მთავრობისაგან და საცენზურო
კომიტეტისაგან, რათა „დროების“ № 10 დაეწვათ²⁾). ამის შედეგად
დადგენილი იქნა ი. მაჩაბელის მოხსნა „დროების“ რედაქტორო-
ბიდან (1885 წლის 20 თებერვალს³⁾), მიუხედავად მისი დიპლომატი-
ური მტკიცებისა, რომ „გაზეთი უფასოდ ეგზავნებოდათ სემინარიე-
ლებს პოპულიარიზაციისა და რეკლამის მიზნით, რაშიაც კომერცი-
ული თვალსაზრისია და, როგორც ვაჭრული საიდუმლოება, ცენზო-
რის კომპენტენციაში არ შედისო“⁴⁾).

„დროების“ წინააღმდეგ ცენზურის ეს ამხედრება პირველი არ-
იყო. 1879 წელს უწმ. სინოდის ობერპროკურორი მიმართავს კავკა-
სიის მთავარმართებელს და აცნობებს, რომ „დროება“ სისტემატი-
ურად ავრცელებს ყოველად დაუშვებელ ცნობებს ტფილისის სემინა-
რიის შესახებ, და სწუხს, რომ ამ გაზეთის „ქორებს“ პეტერბურგის
და მოსკოვის გაზეთებიც აპყოლიან, რაც არა სასურველ გავლენას
ახდენს საზოგადოებრივ აზრზე და მმართველ წრეებშიაც ცუდ შთა-
ბეჭდილებას სტოვებს“-ო⁵⁾). ამიტომ ობერპროკურორი სთხოვს, რო-
გორც კავკასიის მთავარმართებელს, ისე საცენზურო კომიტეტს, რათა
უკანასკნელთ მიიღონ „აღმკვეთელი ზომები ასეთი უმსგავსოების წი-
ნააღმდეგ“⁶⁾).

მეორე წერილში იგივე ობერპროკურორი (გრაფი დიმიტრი-
ტოლსტოი) დირექტივას იძლევა,— „თუ შეუძლებელია „დროების“
შეჩერება, ყოველ შემთხვევაში მის წერილებში სემინარიის შესახებ
არ უნდა იყოს ნახსენები არც სახელები პირებისა, რომელთაც შე-
ეხება, არც დრო და არც ადგილი მოქმედებისაო“⁷⁾).

ასეთი დირექტივების გავლენით კავკასიის მთავარმართებელი
ბრძანებას აძლევს საცენზურო კომიტეტს (1880 წ. 30 ივნისს), რათა
უკანასკნელმა „სასტიკი ზომებით აღკვეთოს ქართულ პრესაში მსჯე-
ლობანი და კრიტიკა სასწავლო დაწესებულებათა მოქმედებისა, რად-
გან ამას დემორალიზაცია შეაქვს მოსწავლე ახალგაზდობაში... ამი-

1) იხ. „დროების“ № 10. 1885.

2) Дело кавк. цензур. комитета № 167. 1885.

3) ibid.

4) Дело кавк. цензур. комитета 1885. № 167.

5) Дело кавк. цензур. комитета 1879. № 40/286.

6) ibid.

7) ibid.

ტომ უნდა იბეჭდებოდეს მხოლოდ ის წერილები, რომელთაც ავტორები სრულ სახელსა და გვარს მოაწერენ, რომ გამოძიებისას სიმართლის აღდგენა შეიძლებოდესო¹⁾).

ერთის სიტყვით, ამის შეზღვევა „დროებას“ შეეძლო დაეხმობა წერილი სემინარიის შესახებ, მაგრამ ავტორი უნდა გადაეცა პოლიციისათვის, რომელიც „სიმართლის“ აღდგენის მიზნით მას ან გადაასახლებდა, ან ციხეში ჩასვამდა.

1879 წლის „დროების“ № 249 სახესებით აკრძალა ცენზურამ „ტენდენციურ-სეპარატისტული“ წერილის დაბეჭდვისათვის. ამ ნომრის უკვე დაგზავნილი ექვსმზღიარები ჯანდაცნერიამ მოაგროვა სხვადასხვა ქალაქებსა და დაბებში და ჩააბარა საცენზურო კომიტეტს, ხოლო უკანასკნელმა ისინი ცეცხლს მისცა²⁾).

1881 წელს „დროებაში“ იბეჭდება ი. გოგებაშვილის წერილები, მიმართული იანოვსკის მიერ წერილობით „ნუნჯური მეთოდის“ წინააღმდეგ³⁾), რაიც ძვირად დაუჯდა შეზღვევა „დროებას“.

რაც დრო გადიოდა, „დროება“ უფრო და უფრო ახშირებდა ისეთი წერილების ბეჭდვას, რომელიც ცენზურისათვის მიუღებელი იყო. ცენზურა ყოველდღე გაფრთხილებას აძლევდა „დროებას“, უკანასკნელი კი, მიუხედავად ამისა, თითქოს ამის საპასუხოდ, 1883 წლის 6 აპრილის ნომერში სწერს: „ყოველივე ჩვენი ღონისძიება შემდეგში უნდა იქნას მიქცეული, რომ, რაც შეიძლება და სადაც შეიძლება, ყოველგან ხმა ამოვიღოთ, ვამცნოთ ქვეყანას, რომ ჩვენ მხოლოდ დროით მიძინებული ვიყავით და არა მკვდარი, ვამცნოთ, რომ ვდგევართ იმ ხალხთა რაზმში, რომელთაც უღვაწიათ ქვეყნისათვის, კაცობრიობის განათლებისათვის, რომ ჩვენც გვეყაჱს მოწინავე კაცები, რომელთა მოქმედება არის ნაყოფიერი და სასარგებლო არა მარტო მათი ხალხისათვის, არამედ საზოგადოდ კაცობრიობისათვისო“⁴⁾).

გაზ. „დროება“ ყოველ დონეს ხმარობდა, რომ სათქმელი ეთქვა და თან ისე, რომ ცენზურას სამიზნეოდ ხელის მოსაკიდებელი ბევრი რამ არ ჰქონებოდა. „დროებას“ აუარებელ წერილებს უკრძალავდნენ, რასაც რედაქცია მაშინვე აცნობებდა საზოგადოებას და ავტორს ვისებურ ენაზე. მაგალითად, 1883 წლის 8 დეკემბრის ნომერში, რომელიც საცენზურო კომიტეტმა შეზღვევაში მთლიანად აკრძალა, „დრო-

1) დ. კ. ც. კ. 1880 № 154. აგრეთვე „დროების“ 1883 6 აპრილის ნომერი.

2) დ. კ. ც. კ. 1879. № 42/287.

3) იხ. ი. გოგებაშვილის—ზრუნველ იანოვსკის სასწავლო გეგმა სახალხო სკოლებისა. „დროება“ № 50 და 57. 1881.

4) დ. კ. ც. კ. № 17/113. 1883.

ება“ სწერს ფოსტის განყოფილებაში: „გარეშე მაყურებელს—(თანამშრომლის ფსევდონიმი) —თქვენს ფელეტონს ოპერაცია გაუკეთეს. ეს ისეთი საშიში ოპერაციაა, რომ ასში ერთი თუ გადაურჩება, მაგრამ მაინც ერთ-ერთი ექიმის მეცადინეობით ძლივს გადავარჩინეთ, თუმცა ზოგიერთა ნაწილი მაინც აართვისო“ 1).

აპრილად, 1883 წლიდან „დროებასა“ და საცენზურო კომიტეტს შორის ურთიერთობა ძლიერ გამწვავდა. უკანასკნელმა პოუხშირა მთელი ნომრების აკრძალვას და დასასრულ შეამდგომლობა ცი ალდრა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რათა უკანასკნელს დაეხურა „დროება“. მაგრამ კავკასიაში მეფის მოადგილესა და მინისტრს შორის შეთანხმება არ იქნა მიღწეული. ისე კი ორივე უკანასკნელი ახალახალ ცირკულიარებს და ინსტრუქციებს აძლევდნენ საცენზურო კომიტეტს, რათა იმას სასტიკი მეუვალეურობის ქვეშ ჰყოლოდა „ბოროტმოქმედებაში“ შემჩნეული გაზეთები.

ეს ის დრო იყო, როდესაც ტფილისის ქანდარმერიამ და კავკასიის საცენზურო კომიტეტმა პირველად იყნოსეს არალეგალური ლიტერატურის არსებობა, არა თუ ტფილისში, არამედ ზედიზედ სხვადასხვა ადგილებშიაც. ამიტომ ისინი მეტს სიანჩხლეს იჩენდნენ.

1883 წ. 20 მაისის ნომერში „დროებას“ აეკრძალა მლ. დიმიტრი ჯანაშვილის წერილი „საქართველოს მეუეთა გვირგვინის კურთხევა“ 2). იმავე წლის „ივერიის“ მესამე ნომრისათვის აიკრძალა ი. გოგებაშვილის „უკუღმართი ნაბიჯის“ დასასრული, შესახებ სწავლის საქმის მდგომარეობისა ჩვენში. იმავე გაზეთის 18 ივლისის ნომერში აკრძალა კენზორმა ი. ქავკავაძის „ბაზალეთის ტბა“ და ფელეტონი: შინაური მიმოხილვა. ჟურ. „ქართულ ბიბლიოთეკას“ აეკრძალა (10 ნომებერს 1883 წ.) თ. ლოდცის დრამატული სცენები „კაი-მუვიუს სცეოლა“, ხოლო იმავე ჟურნალის მთელი ნომერი აიკრძალა (2 ნომებერს 1883) შილლერის „ვილჰელმ ტელის“ თარგმანის დაბეჭდვისათვის 3).

1883 წელს „ივერიას“ ზედიზედ აუკრძალეს მთელი რიგი სტატიებისა და კორესპონდენციებისა, რომელთა შორის დიდი დავა გამოიწვია გრ. ყიფშიძის ნარკვევის: „საბერძნეთის ალორძინება და განთავისუფლება ოსმალთ მონობიდან“ და კორნელის 5 მოქმედებიანი ტრაგედიის „სინნას“ აკრძალვამ (თარგმ. ფრანგულით ალექსანდრე ქავკავაძისა), რაიც „ივერიის“ რედაქციამ კავკასიის

1) Д. К. Ц. К. № 17/113. 1883.

2) Д. К. Ц. К. № 17/113. 1883.

3) ibid.

მთავარმართებელსა და პარალელურად შინაგან საქმეთა მინისტრთან გაასაჩივრა ¹⁾).

მაგრამ კავკასიის საცენზურო კომიტეტმა საერთაშორისო ყუ-
უადღება დაიმსახურა, როდესაც გაზ. «Кавказ»-ს (1882 წ.) აუკრძა-
ლა გ. კინეს ნარკვევის «Исторический и этнографический
очерк Грузии»-ს ბეჭდვისას სიტყვა «Грузия»-ს ხმარება, რომლის
ნაცვლად ტფილისისა და ქუთაისის გუბერნია უნდა ყოფილიყო
თქმული ²⁾).

კავკასიის ცენზურა მეტ ყურადღებას აქცევდა ქართულ ბეჭდ-
ვით სიტყვას, რომელშიაც ის ყოველთვის არსებული სახელმწიფო
წყობილების დამზობისაკენ მოწოდებას ხედავდა. როდესაც რომე-
ლიმე ახალი ქართული გაზეთი თუ ჟურნალი არსდებოდა, კავკასიის
საცენზურო კომიტეტს ნებართვის გაცემის უწინარეს მოჰავალი რე-
დაქტორისა და გამომცემლის მთელი ბიოგრაფია უნდა სცოდნოდა,
რომლისათვისაც ცნობებს ის ჟანდარმერიის სამმართველოდან ლებუ-
ლობდა.

1882 წელს აკაკი წერეთელმა ითხოვა ნებართვა ყოველ-
კვირეული გაზეთი „გზის“ გამოცემისა, მაგრამ კავკასიის სამოქალაქო
ნაწილის მთავარმართებელმა, „მიიღო რა მხედველობაში აკაკი წე-
რეთლის ლიტერატურული მოღვაწეობა გაზ. „შრომაში“ (ქუთაისი),
რომელიც მთავრობის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, არ სცნო
მიზანშეწონილად, რომ მისთვის „გზის“ გამოცემის ნებართვა მიე-
ცაო“ ³⁾), აუწყებენ აკაკის კავკ. საცენზურო კომიტეტიდან.

ამ ხანებში ქართული ენის ცენზორი იყო ცნობილი ლუკა
სტეფანეს ძე ისარლოვი. ის, როგორც საცენზურო კომიტეტის
თავმჯდომარე ამბობს, „ცენზორად ყოფილა დაბადებული“. ისარ-
ლოვმა ზებირად იცოდა საცენზურო წესდება, რომელიც, გუნებისა-
მებრ, ყოველდღე იცვლებოდა მის თავში. „დროებას“, მისი არ-
სებობის უკანასკნელ ხანებში, ძლიერ გადაეკიდა ეს ცენზორი,
და როდესაც 1885 წელს მან აუკრძალა კორესპონდენცია „დავა
შუა აზიაში“, ასეთი წერილი მისწერა მას ივ. მაჩაბელმა (რედაქ-
ტორმა): „ლუკა სტეფანიჩ! თქვენ ისევ დაგვიწყეთ მტრობა. რა
უბრალო რამეები ამოგვიშაღეთ გუშინ. ჯერეთ რომ „დროებისა-
თვის“ ყოველთვის რუსული გაზეთებიდან ვიღებთ ცნობებს,—ხან
„კავკაზიდან“, «Правительственный Вестник»-დან და «Новое

1) *ibid.*

2) Д. К. Ц. К. № 12/98 1882.

3) „ „ № 464/48 1882.

ონიჰრ.“-დამ. თუ არ მოგეცემთ ამის ნებას, გაგვაგებინეთ და მოვსპობთ გაზეთს. დღეს რაც ცნობებია, „მოსკოვის უწყებებიდან“ არის ა მოღებული და «Новости»-დამ. ყოვლის მხრით ჩივილი მოგვდის, ვერაფერი ვერ გავიგეთ, რას იწყებთ თქვენს გაზეთშიო. რა უნდა ვუპასუხოთ ჩვენ ისეთი, რომ ამ პასუხმა თქვენზე უკმაყოფილება არ გამოაცხადებინოს საზოგადოებას. რად გნებათ ეს?!“ 1).

მაგრამ, როგორც სჩანს, ლუკა სტეფანიჩიკ მოხერხებულ კაცი ყოფილა. როდესაც რამდენიმე წერილს თვითონ აუკრძალავდა „დროებას“, საბაბს ეძებდა, სხვის სახელს ამოფარებოდა. თუ წერილში ღმერთი, მღვდელი ან რაიმე ეგრეთწოდებული სასულიერო საკითხი იყო, ან ყოველშემთხვევაში შესაძლებელი იყო ეგულისხმნა მინც, ისარლოვი ასეთ წერილს ეგზარხოსს უგზავნიდა განსატილველად; საიდანაც არამც თუ ნებაართვას, არამედ ხელთნაწერის უკან დაბრუნებაც იშვილთი შენთხევეა იყო, რადგან ისარლოვი ამ წერილს წინსაწარ სათანადო განმარტებით შეამკობდა.

მაგალითად, „დროებას“ უნდოდა დაებეჭდა ერთი ლეგენდა, სადაც ღმერთებზე იყო ლაპარაკი (ლეგენდა ბერძნული იყო). ეს ხელთნაწერიც ისარლოვმა რამდენიმე ცირა უპასუხოდ დაიტოვა, მერე ეგზარხოსთან გაამწესა. როდესაც ეს გაიგო, ი. მაჩაბელი სწერს ისარლოვის: „ლუკა სტეპანიჩ! ეს მეოთხე ხელთნაწერია, რაც ვგზავნით ეგზარხოსათვის გადასაცემად და ჯერ კი არც ერთი არ მიგვიღია უკან. თუ შეიძლება, დაგვიბრუნეთ ხოლმე უკანვეო“ 2).

იმავე 1885 წელს ცენზურამ ზედიზედ აკრძალა „დროების“ ნომრები 113, 125, 149, 191, 194, 195, 196 და 197, როგორც საცენზურო ფურცლიდან არა სისწორით გადაბეჭდილნი. ამ ნომრებში ცენზურა უკრძალავს გაზეთს სიტყვებს: „იმერეთსა“ და „ამერეთს“, რომელთა მაგიერ უნდა დაებეჭდათ გუბერნიები ტფილისისა და ქუთაისის და სხვა 3).

კავკასიის საცენზურო კომიტეტს მოქმედების ფართო ასპარეზი ჰქონდა. ის თავის ანგარიშებში ყოველთვის ცდილობდა საკუთარი დამსახურება რაც შეიძლება გაზეთების მეტი ნომრებისა და წერილების თუ წიგნების ბლომად აკრძალვით დაესურათებია შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე. საინტერესოა, როგორ ახასიათებს თვით ეს კო-

1) შენიშვნა მიწერილია თვით „დროების“ აკრძალულ საცენზურო ფურცელზე, იხ. დ. კ. უ. კ. № 147/5. 1885.

2) დ. კ. უ. კ. № 5/147. 1885.

3) ibid.

მიტეტი ადგილობრივ პრესას თავის მოხსენებაში, რომელსაც კავკასიაში მეფის მოადგილესა და ბექდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს უგზავნის (1885 წ.): „1870-ანი წლების პირველ ნახევარში ზოგიერთი ორგანოები, როგორც რუსული, ისე სხვა ადგილობრივი ბექდვითი სიტყვისა (ქართული, სომხური, თათრული), ხასიათდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგის და მხარის მმართველობის თითოეული ნაწილისადმი დიდის ყურადღებით. ისინი ააშკარაებენ ყოველ წვრილმანს პიროვნების საზოგადოებრივი, სამსახურებრივი და თითქმის ოჯახური მდგომარეობის შესახებაც კი... და რადგან ეს ცნობები ქვემარატივების მხრივ არ იზინჯება რედაქტორების მიერ, რომლებიც მას ყოველგვარი კრიტიკული განხილვის გარეშე ბექდავენ თავიანთ ორგანოებში, გზა ეხსნება ყოველგვარ ცილისწამებასა და ინსინუაციებს ყველა პირის მიმართ, რაგინდ დიდი თანამდებობის მოხელე იყოს. ცენზურა უღონოა ამ უმსგავსოებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან გაზეთებში სრულებით ჩვეულებრივ მოვლენად გახდა არა მარტო ისეთი წერილების ბექდება, რომლებიც აკრძალული იყო საცენზურო კომიტეტის მიერ, არამედ ისეთებისაც, რომლებიც სრულებით არ ყოფილა წარმოდგენილი აქ განსახილველად“ 1).

ამრიგად, ცენზურა ცილისწამებისა და ინსინუაციის სახელით ნათლავდა გაზეთებს, რომლებიც ააშკარაებდნენ მეფის მოხელეთა მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას და ბექდავდნენ მექრთამე გენერლებისა და სასულიერო პირების შესახებ ნამდვილ ცნობებს.

კავკასიის საცენზურო კომიტეტი იმასაც სწუხს, რომ მესტამბენი ასრულებენ რედაქტორთა მოთხოვნილებას და ბექდავენ ისეთ ნაწერებთ, რომელთაც ცენზორის სათანადო ვიზა არ აქვთ მიღებული, ვინაიდან იციან, რომ ასეთს შემთხვევებში სასამართლოს წინაშე პასუხისმგებელია მხოლოდ რედაქტორი. სტამბებზე არ არსებობს საპირო მეთვალყურეობაო, დასძინდა საცენზურო კომიტეტის ხელმძღვანელი 2).

ტფილისის პერიოდიკის ასე გათამამებაში კავკასიის საცენზურო კომიტეტი ბრალს სდებს უპირველესად ნ. ნიკოლაძეს, „რომელიც, როგორც «Однор»-ის რედაქტორი (1878—1882 წ. წ.), მიზნად ისახავდა მოეპოებია ცენზურისაგან სრულიად დამოუკიდებელი მდგომარეობა და უდგენდა მას მასალებს მხოლოდ ფორმალობისათვის და სინამდვილეში სრულებით არ ფიქრობდა ცენზორის მიერ წერილი-

1) Годовой отчет К. Ц. К. за 1885 год.

2) Д. К. Ц. К. 1885 годовой отчет.

დან ამოშლილ აზრებზე ხელის აღებას და ამრიგად ყოველ წერილს პირვანდელი შინაარსითვე ბეჭდავდა. ეს პირი ყოველ ღონეს მიმართავდა თავისი მიზნის მისაღწევად. ნიკოლაძის ღონისძიებათაგან არ იყო გამორიცხული ცენზორთან ბინაში შევარდნა და დამუქრება, თუ უკანასკნელი მის წერილში შეიტანდა რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებებს ანუ აზრებს გამოსტოვებდა¹⁾. და ცენზორი დასძენს, რომ „ნიკოლაძის განწყობილება საცენზურო კომიტეტის წევრებისადმი ხშირად უკიდურეს ხასიათს ღებულობდა, ის უკანასკნელთა სიცოცხლესაც ემუქრებოდაო“²⁾.

საერთოდ ნ. ნიკოლაძე, მას შემდეგ რაც ევროპიდან დაბრუნდა (1873 წ.), როგორც საცენზურო კომიტეტის, ისე კავკასიაში მეფის მოადგილისა და თვით იმპერატორის პირადი კანცელიარიის (III) ყურადღების ცენტრში მოექცა. ჯერ კიდევ 1873 წ. მაისში საცენზურო კომიტეტი ღებულობს ტფილისის ჟანდარმერიის სამმართველოდან საიდუმლო წერილს, სადაც უკანასკნელის უფროსი, იმპერატორის საკუთარი მე-III კანცელიარიის მმართველისაგან მიღებული დირექტივების თანახმად, აცნობებს საცენზურო კომიტეტს, რომ: „ა/წ. 22 მაისს საზღვარგარეთიდან დაბრუნდა პოლიტიკური კეთილსაიმედობის მხრივ მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ფოთის მოქალაქე (ქუთ. გუბ.), ყოფილი სტუდენტი პეტერბურგის უნივერსიტეტისა, ახლა უკვე სამართლის მეცნიერების დოქტორი ნიკოლოზ ნიკოლაძე, რომელსაც საზღვარზე გაჩხრეკისას აღმოაჩნდა ლითოგრაფიული საბეჭდი დაზგა და ორი ყუთი წიგნები, უმეტეს წილად ფილოსოფიური და სოციალური შინაარსისა, რომლებიც გადიგზავნა გასარჩევად ტფილისში, კავკ. საცენზურო კომიტეტში“³⁾. შემდეგ დამატებით წერილში საგუბერნო ჟანდარმერიის უუროსი აცნობებს კიდევ საცენზ.

1) იქვე.

2) მოხსენების ავტორს მხედველობაში უნდა ჰქონდეს ნ. ნიკოლაძის მიერ ანტონ ფურცელაძის დუელში გაწვევა. უკანასკნელი იყო საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე. ნ. ნიკოლაძემ 1878 წელს ა. ფურცელაძეს პირდაპირ საცენზურო კომიტეტში ორი სეკუნდანიტი მიუგზავნა (ქუჩნალისტი სინდერსკი და პორუჩიკი ლალაფევი), მაგრამ ა. ფურცელაძემ არ მიიღო გაწვევა და თავი მეფის მოადგილეს შეაფარა. უკანასკნელმა მონინდომა მათი შერიგება, მაგრამ მის მიწვევაზე ნიკოლაძე არ გამოცხადდა და ხელშეორედ გაიპეორა დუელში გაწვევა. იხ. Дело К. Ц. К. о вызове редактором „Озоря“ Николсдзе на дуэль председателя цензурного комитета Пурцеладзе 1878 г. ა. ფურცელაძე, რომელიც იყო კავკასიის მთავარმართველთან განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელედ, 1875 წელს დაინიშნა კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარედ. იხ. Дело К. Ц. К. № 161/33. 1875.

3) Дело К. Ц. К. № 24/97 1873.

კომიტეტს, რომ საზღვარზე ნიკოლაძის დაქერილ წიგნებსა და ბროშურებში, რომლებიც უცხოეთის ცენზურის მიერაც აკრძალული ყოფილა, ერია სამი ოქმი 9, 10 და 12 მარტის თარიღით (ახ. სტილით) 1873 წლისა. ოქმებია ლითოგრაფიულად დაბეჭდილი და წარმოადგენს ციურბინში მოსწავლე ქართველთა საზოგადოების, სახელწოდებით „უღელე“-ს, სხდომების ოქმებს აღნიშნულ დატებში“¹⁾.

იმის შემდეგ მალე ეოლოჩისკის საბაჟოდან გამოგზავნილმა ნიკოლაძის ბარგმაც მოაღწია საცენზურო კომიტეტში, რომელმაც იგი განიხილა და უმრავლესობა წიგნებისა და აგრეთვე გაზეთებიდან ამონაჭრებისა ჩამოართვა პატრონს. ჩამოართვეს აგრეთვე ლითოგრაფიული დაზგაც²⁾.

მეფის ხელისუფლების შიში გამართლდა. ნიკოლაძემ ტფილისში ჩამოსვლისთანავე დიდი პუბლიცისტური მუშაობა გააჩაღა. ჯერ „დროებაში“ და სხვადასხვა რუსულ გაზეთებში თანამშრომლობდა, მერე საკუთარი ორგანო «*Обзор*»-ის გამოცემა დაიწყო, რითაც მალე არა მარტო რუსეთის, არამედ საერთაშორისო ყურადღება მიიპყრო. მის გაზეთში თანამშრომლობდენ უცხოეთის მწერლებიც, როგორც, მაგალითად, განთქმული ფრანგი მწერალი როსფორი და სხვ.

საერთოდ ოთხმოციან წლებში კავკასიის რუსულ ბეჭდვით სიტყვაში ყველაზედ მავნედ ცენზურას «*Обзор*»-ი მიაჩნდა. ნიკოლაძე თავის ორგანოში არ ერიდებოდა ასეთი წერილის მოთავსებასაც კი: „*Патентованные Эксплуататоры*“³⁾, რომელიც მოსკოვისა და პეტერბურგის ვერც ერთმა გაზეთმა ვერ დაბეჭდა. ამას გარდა, თუ რომელიმე ტფილისის გაზეთს ცენზურა რაიმე მნიშვნელოვან წერილს აუკრძალავდა, ნიკოლაძე თავის „*Обзор*“-ში მას სიამოვნებით ათავსებდა. მაგ., „*Волшебный край*“, რომელიც მან დაბეჭდა⁴⁾, იმ წერილის თარგმანი იყო, რომელიც ცენზორმა აუკრძალა „დროებას“⁵⁾.

1) *ibid.*

2) ჩამორთმეულ წიგნებში ერია ნიკოლაძის მიერ 1866 წელს ყენევაში ნიკოფორეს ფსევდონიმით გამოცემული ბროშურა: „*Правительство и молодое поколение*“, რომლის საბაბიც ყოფილა 1866 წ. 4 აპრილს გასროლილი ტყვია. ჩამორთმეული წერილები წარმოადგენდა ნიკოლაძის სტატიების ამონაჭრებს, რომლებიც მას მოუთავსებია სხვადასხვა გაზეთებში: „*Times*“, „*Daily news*“, „*Morning Post*“, „*The International Herald*“, „*Le Figaro*“, „*Daily Telegraph*“, „*Le Courier de l'Europe*“, „*American register*“, „*The Echo*“ და სხვა ორგანოებში 1866—1873 წ.წ.

3) „*Обзор*“ № 13 XII 1879. *Д. К. Ц. К.* № 4/309. 1879.

4) „*Обзор*“ № 9 XII-სა 1876.

5) *Д. К. Ц. К.* № 4/309. 1879.

1880 წლის 10 ივლისს ნ. ნიკოლაძემ, როცა თავისი «Опция»-ის მდგომარეობა შერყეულად სცნო იმ დიდი ყურადღებისა გამო, რომელსაც მისადმი კავკ. საცენ. კომიტეტი იჩენდა, შეიტანა განცხადება კომიტეტში, რათა მისთვის მიეცათ დასურათებული ქართული ეურნალი „კანდელის“ გამოცემის ნებართვა¹⁾. ეურნალი, თანახმად ნიკოლაძის მიერ წარდგენილი პროგრამისა, მაშინდელი «Всемирная иллюстрация»-სა და „Нива“-ს მაგვარი უნდა ყოფილიყო.

ნიკოლაძის ბიოგრაფიამ, რომელიც „კანდელის“ ნებართვის საკითხთან დაკავშირებით საცენზურო კომიტეტმა წარუდგინა მთავარ მართებელს და რომელიც ისე იკითხება, როგორც ამერიკულ თავგადასავალთა აღწერილობა, მოიარა 13 თვის განმავლობაში მთელი ინსტანციები ვიდრე შინაგან საქმეთა მინისტრამდე. და მხოლოდ 1881 წლის 18 აგვისტოს კავკასიის საცენზურო კომიტეტი აცნობებს ნიკოლაძეს, რომ მას არ მიეცა „კანდელის“ გამოცემის ნებართვა²⁾. ნიკოლაძე კი თავის განცხადებაში (1880 წ. 10 ივლისს) აღნიშნავდა, რომ 1881 წლის 1 იანვრიდან ეურნალ „კანდელის“ გამოცემას უნდა შესდგომოდა... იმ ბიუროკრატიულმა წესებმა, რომელიც უნდა შესრულებულიყო გაზეთის თუ ეურნალის გამოცემის ნებართვის მიღებისათვის, დიდის ვაივაგლახით მხოლოდ 13 თვის შემდეგ გახადა შესაძლებელი, რომ ნიკოლაძეს შედეგი გაეგო. ეს გარემოება, ცხადია, მომავალ რედაქტორს დიდ მატერიალურ ზარალს მიაყენებდა, რადგან, როგორც თავის განცხადებაში აღნიშნავს, ნიკოლაძეს 1881 წ. 1 იანვრისათვის მხად ჰქონია ეურნალის 1-ლი ნომრისათვის ყოველგვარი მასალა (გრაფიურები მას უცხოეთში ჰქონია შეკვეთილი „კანდელისათვის“³⁾).

და ასე, ცენზურა, პირდაპირის თუ არაპირდაპირის გზით, ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა „აჯანყებისა“ და „უწესოების“ მთესველთათვის მოესპო შესაძლებლობა ბეჭდვით სიტყვაში გამოსვლისა. კავკასიის საცენზურო კომიტეტი მოსვენებას არ აძლევდა ბეჭდვითი საქმის მთავარ კომიტეტს, საჩივარს საჩივარზე უგზავნიდა იმის გამო, რომ ტფილისის მესტამბენი არ ასრულებენ მის მოთხოვნილებებს, რისთვისაც 1880 წლიდან შემოაღებინა საბეჭდი დაზგების მეთვალყურეობა აღმინისტრაციის მხრივ⁴⁾. ხოლო 1884 წელს უკვე კავკ. საც. კომიტეტ-

1) ДКЦК. № 87/30 1880.

2) იქვე.

3) ДКЦК. № 87/30 1880.

4) „ „ № 15 1880.

ში გამოყოფილ იქნა სპეციალური ორგანო, რომელსაც ხელმძღვანელობდა ინსპექტორი და სასტიკ მეთვალყურეობას უწევდა საცენზურო წესდების დაცვის მხრივ ¹⁾. უკანასკნელი გარემოებით ძლიერ კმაყოფილი დარჩა, რასაკვირველია, საცენზურო უწყება, რომელსაც, როგორც თვითონ ამბობს, „მეტი ფასი დაედო ადგილობრივი პრესის თვალში, რადგან ინსპექტორულმა მეთვალყურეობამ ჯეროვანად შეზღუდა და კანონის ძალა აგრძნობინა თვითნება მესტამბებებსა და რედაქტორ-გამომცემლებს“ ²⁾.

თავის ზემოხსენებულ წლიურ ანგარიშში (1885 წ.) კავკასიის საცენზურო კომიტეტი, ეხება რა ადგილობრივი პრესის მიმართულებას საერთოდ, სწერს: „არაერთი მიმართულება, სიტყვის სერიოზიული მნიშვნელობით, აქ ჯერ-ჯერობით არ გამოუაშკარაებია არც ერთს გამოცემას. ზოგი მათგანი უფრო ლიბერალური აზრების გამომხატველნი არიან“ ³⁾.

შემდეგ, ახასიათებს რა კერძოდ ქართულ პრესას, საცენზურო კომიტეტი სწერს: „ქართული პერიოდული გამოცემებისათვის აკრძალული წერილების თითქმის 6/7 მოდის „დროების“ ხვედრზე, დანარჩენ გამოცემებზე კი მხოლოდ 1/7 ნაწილი. ვაზ. „დროების“ თითქმის ყველა წერილები ეკრძალებოდა სახელდობრ იმ სეპარატიული სულისკვეთების გამო, რომლითაც ისინი იყენენ გაჟღენთილი. მიუხედავად ასეთი მეთვალყურეობისა, მისი რედაქტორი (ივ. მაჩაბელი) მაინც ახერხებდა მოეთავსებია სრულებით მიუღებელი და ერთობ მავნებელი წერილები შესახებ სწავლა-განათლებისა და რუსული სახელმწიფოებრივობისა“ ⁴⁾.

„რაც შეეხება დანარჩენ ქართულ ჟურნალებს, რომლებიც ტფილისში გამოდიან—„ივერია“, „ნობათი“,—უნდა ითქვას, რომ მათი მიმართულება საერთოდ არ იწვევს უკმაყოფილებას. პირველში თავსდება უმთავრესად ბელეტრისტიკა, ხოლო მეორეში სასულიერო და

1) ДКЦК № 18 1894.

2) „ „ № 18. 1884.

3) რუსულ ლიბერალურ გამოცემათა შორის კომიტეტი პირველ ადგილზე აყენებს „Наше общество“-ს (დაიწყო გამოცემა 1884 წ. იანვრიდან), მაგრამ როგორც კი გამოარკვეა, რომ ამ გაზეთის მთავარი თანამშრომლები ნიკოლაძე და ბებუთოვი იყვნენ, ცენზურამ სასტიკი ზომები მიიღო „Наше общество“-ს „კალაპოტი“ ჩასაყენებლად. ნიკოლაძის არც ერთი წერილი არ გაუშვა ცენზურამ და ამრიგად იძულებული ჰყუეს ის დაენებებია თავი ამ გაზეთისათვის. იხ. Годовой отчет 1881 года. Дело 1885 г.

4) ДКЦК. Годовой отчет за 1884 год.

პედაგოგიური შინაარსის წერილები. მათი რედაქტორებიც წესიერად ასრულებენ ცენზურის მოთხოვნილებებს“¹⁾).

ცენზურას სწორედ ასეთი პერიოდული გამოცემები მოსწონდა, ხოლო არაფრად ექაზნიებოდა „თახეზი“ „დროება“, რომელიც ხელისუფლების მოქმედებისა და განკარგულებათა ყოველგვარ ნაკლებზე სწვრდა, რითაც ლუკა ისარლოვს ძლიერ აბრაზებდა.

აქ ორიოდ სიტყვა კიდევ ამ ლ. ისარლოვის შესახებ, რომელმაც ასე დიდი „ღვაწლი“ დასდო, თავისი საცენზურო ასპარეზზე მოღვაწეობის დროს, ქართულ ლიტერატურას.

ისარლოვი ლუკა: კავკასიის სამოქალაქო მთავარმართებელთან „სტატსკი სოვეტნიკი“, კავალერი ორდენებისა წმ. ანნასი და წმ. სტანისლავისა იმპერატორის გვირგვინით. განსაკუთრებული დამსახურების ნიშანი მეფის ტახტის წინაშე 15 წლის შეუწყვეტელი სამსახურისათვის. სამახსოვრო მედალი რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1853—1856 წ.წ.) მიღებული. 1834 წლიდან 1869 წლამდე სამხედრო სამსახურში, შემდეგ კი 1881 წლიდან კავკ. საცენზ. კომიტეტის უმცროსი ცენზორი და მდივანი²⁾).

კავკ. საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე, არდგენს რა 1883 წელს ლ. ისარლოვს ახალ ორდენზე, ასე ახასიათებს მის დამსახურებას: „ქართული ლიტერატურის ძლიერი განვითარებისა გამო ლუკა სტეფანეს ძეს თავს აწვა მთელი სიმძიმე ცენზორის რთული მუშაობისა, მაგრამ თავისი მრავალწრივი განვითარებით, მხარის თავისებურებათა ცოდნითა და იმპერიის კანონმდებლობისა და მმართველობის ინტერესების სწორი გაგებით მან გაუწია განსაკუთრებული სამსახური (sic) ქართულ პერიოდიკას, მიმართავდა რა უკანასკნელის მოქმედებას კანონიერ ფარგლებსა და წესებში ჩაყენებისაკენ. ამით ისარლოვმა გაუწია უდიდესი დახმარება ქართულ ლიტერატურაში სწორი მიმართულებისა და ტრადიციების შექმნას“³⁾).

„კავკასიის მხარის კეთილდღეობისა და განვითარების“ ასეთმა შროვნებლმა, ლ. ისარლოვმა, კიდევ ახალი ორდენი მიიღო⁴⁾. ისარლოვი დარჩა ცენზორად 1888 წლამდე,⁵⁾ ხოლო 1889 წელს ადგი-

1) იქვე.

2) ДКЛК. 1883. № 64.

3) იქვე.

4) ДКЛК. 1883. № 64.

5) თავისუფალ ცენზორის ადგილზე (1888 წ.) კანდიდატებად იყვნენ: ვახტანგ თულაევი, რ. ერისთავი და ივ. კერესელიძე. ДКЛК № 528/55. 1888 წ.

ლობრივ და აღმოსავლეთის ენათა ცენზორად დაინიშნა რაფიელ ერისთავი!).

მცირე არ იყო ლ. ისარლოვის „დამსახურება“:

მაგ., 1887 წელს მან „ივერიას“ აუკრძალა დ. მაჩხანელის ლექსი „მონადირე“: 2)

„მთასა დიდს, მაღალს, ტყიანსა
მგელკაცს გაქონდა ღრიალი,
წაველ და დედა ვუტირე,
ჰარალო, თარი თურალი.“

„ზურგით მომქონდა მგელკაცი,
გზას დამხვდა ხალხი მრავალი
ქალები ჩემს მზეს ლოცავდენ
ჰარალო თარი-თურალი!“

„ვილაცას თოფით მოეკლა
ლულუნა ტრედი ალალი,
მნახველნი ცოდვით ატირდენ,
ჰირი მის მკვლელს და ვალალი!“

ხაზებზე ცენზორისაა. ისარლოვმა ეს ლექსი „ტენდენციურად“ და „უზნეოდ“ მიიჩნია და აკრძალა საცენზურო წესდების 6 და 90 მუხლების თანახმად. ის დაინტერესდა, თუ რას ნიშნავდა: „ვილაცას თოფით მოეკლა ლულუნა ტრედი ალალი, მნახველნი ცოდვით ატირდენ, ჰირი მის მკვლელს და ვალალი!“ და ეს ტაეპი დიდი კითხვითი ნიშნით დაჰყარა.

როდესაც ტფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში, 1887 წელს 2 მარტს. მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს, თავის 5 მარტის ნომერში „ივერია“ სწერდა: „ამბობენ, რომ რკინის გზის მუშებს ჯერ კიდევ არ მიუყვიათ ხელი მუშაობისათვის და მოლაპარაკება აქვთ რკინის გზის გამგეობასთანო. აგერ მეოთხე დღეა, რაც რკინის გზის სახელოსნოები დაკეტულია და 200-დე მუშაკაცი, რომლებიც დღე-და-ღამ მუშაობდენ, გაჩერებულნი არიან უქმად. ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი და პოლიცემისტერი ცდილობენ, რომ დააშოშმინონ მუშები, მაგრამ რკინის გზის გამგეობა თავისას ითხოვს და მუშები

1) ДКУК № 665,31-с 1889.

2) „ „ № 24,494 1887.

კიდევ თავისას. საქმე ვერაფრით ვერ დაბოლოვდა დღემდის“ 1) (ხაზები ცენზორისაა).

ისარლოვი, რასაკვირველია. ასეთ ცნობას გაზეთს არ გაჟოაკვეყნებინებდა. აქ ლაპარაკი იყო მუშებზე, გაუიცვაზე და საერთოდ „უწესოებაზე“ და, ამრიგად, აკრძალვის მიზეზი მას მრავალი ჰქონდა. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ცენზორი ამ ცნობის მოთავსებას კრძალავს იმავე მუხლების თანახმად, რითაც ზემოდ მაჩხანელის ლექსი „მონადირე“ აკრძალა: ისარლოვმა „უზნეობა“ დაინახა მუშების მიერ ხელფასის გაღიდების მოთხოვნაში.

ამ ცენზორმა აჯანყებისაკენ მოწოდებად ჩასთვალა შემდეგი ლექსი (ვაჟა-ფშაველასი?), რომელიც „ივერიის“ 1887 წ. 27 დეკემბრის ნომერში მოსათავსებლად იყო აწყობილი:

„მანამდე ვიყავ, ცხენს ვიჯე,
მიეძრენ და მოეძრენ ზღვანიო,
ახლა თქვენ გაიმაგროდით
ქალაქი მეიდანო...“

„კაციმც მქნა, ქუდიც მეხუროს,
თმიან არ ვიყო ქალიო,
ტანზედ ჩამაცვა ბეგთარი,
საქირო საომარიო.“

„შეგვეარნა ერთად ველზედა,
ვისაც უბედავს ძალიო;
რა მალე ვინადირებდი,
სხვებსამც ეჭირა თვალიო.“

„მაშინ კი გამოჩნდებოდა,
ვისიც გასჭრიდა ხმალიო!“ 2).

კიდევ ორიოდ სანიმუშო მაგალითი იმ პოლიტიკისა, რომელსაც ცენზურა ანხორციელებდა ბეკდვითი სიტყვის მიმართ.

1887 წ. დეკემბრის ნომერში „ივერია“ ათავსებს დეპეშას: „რიო-დე-ჟანიეროში მონებს თავი დაუნებებიათ პლანტაციებზე მუშაობისათვის, დაუქერიათ ყველა ცხენები... და წასულან ცოლშვილიანად... პოლიციელები (დასაქერად) გამოსდგომიან, ხოლო ამ მონებს (დაუქერიათ) პოლიციელნი, (გაუტიტვლებიათ, გაუწკეპლავთ და) უკანვე დაუბრუნებიათ“ 3).

1) ДКЦК. 1887. № 501/8.

2) ДКЦК. 1887. № 501/8.

3) ДКЦК. 1887 № 501/8..

ამ ცნობიდან ცენზორმა ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები ამოშალა და ისე დააბეჭდვინა „ივერიას“.

იგივე „ივერია“ ათავსებს ასეთს ცნობას: „გაზ. Post“-ი დარწმუნებით და დაბეჯითებით ამბობს, რომ ავსტრიას ომი მოეღისო, „National-Zeitung“-ი კი იმ აზრისაა, რომ, თუ მართლა ავსტრიას ბრძოლა მოუხდა, იტალია და გერმანია მას მიემხრობაო“¹⁾.

ცენზორი ამ ცნობას საცხებიტ კრძალავს: „მერე შენ ვინ გეკითხებაო“, თითქოს ეუბნება ამით „ივერიას“.

ჩვენ განვებ მოვიყვანეთ მაგალითები სახელდობრ „ივერიიდან“, რომელიც, თვით ისარლოვის თქმითაც, ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთზე უფრო მშვიდობიანი და წესრიგის მოყვარე იყო. ხოლო ისეთი ორგანოების მიმართ, როგორც იყო „მუშა“, „თეატრი“ და „იმედი“, ცენზურა არ ერიდებოდა არავითარ სიმკაცრეს.

საერთოდ ოთხმოციანი წლებიდან, როგორც კი საზოგადოებრივი მდგომარეობა უფრო განვითარებულ ნიადაგზე დგებოდა და ბეჭდვითი სიტყვა ახალ მისწრაფებებს იჩენდა, საჭირო შეიქნა საცენზურო წესდების უფრო შეხამება გარემოებასთან (დ. ტოლსტოის დებულება). საქმის გამოსწორებას ახალი საცენზურო წესდების მიღებით ცდილობდნ...

ყოველი ახალი საცენზურო დებულება მეტ გაუგებრობას საერთოდ პროვინციებში ბადებდა. ყოველ დებულებაში მოიპოებოდა ერთმანეთის საწინააღმდეგო მუხლები,²⁾ რაც პრესის ბედს ცენზურის სრულ განწყობილებას აბარებდა. ჩვენში არც ცენზურას და არც მწერლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა საცენზურო წესდების მოთხოვნილებებზე გარკვეული წარმოდგენის შემუშავებისა³⁾. როდესაც წესდების ერთი მუხლი ითხოვდა ლიტერატურული ნაშრომის შეფასებას ავტორის მიზნისა და სულიერი განწყობილების მიხედვით ე. ი. „კითხვას სტრიქონებს შუა“, მეორე მუხლი იმავე წესდებისა უკრძალავდა ცენზორს „აზრის სხვაიგ გაგებას“ ე. ი. „სტრიქონებს შუა კითხვას (მუხ. 74). მაგრამ იმავე წესდებით ცენზორი პასუხისმგებელი იყო ყოველი გაპარული აზრისათვის, მას მცირე უყურადღებობაც კი სამსახურისადმი გულგრილობად ჩაეთვლებოდა და ამისავე პარალელურად იზრდებოდა ცენზორის უფლებებიც. არაეინ უშლიდა „წითელ მელანს“ გადაეხაზა მთელი სიტყვები, სტრიქონები და

1) Ibid.

2) შეადარე С. Е с о д з е—Исторические записки об управ. Кавказом том II. დამატება. 1907. ტფილისი. გვ. 122.

3) Ibid.

გვერდებიც კი. მაგრამ ეს კიდევ ბედნიერი შემთხვევა იყო თუ ცენზორი წერილის თუ წიგნის სავესებით აკრძალვის განაჩენს არ გამოიტანდა. და ასეთს შემთხვევებში, თუ რედაქცია „ითაველებდა“ და ცენზორის მოქმედებას გაასაჩივრებდა, ამით საქმე უფრო გაფუჭდებოდა, რადგან სასამართლო ცენზორს მხოლოდ იმ ზედმეტ „თავაზიანობაში“ და „ლმობიერებაში“ გაკიცხავდა, რომ საქმემ ასე გაქიანურებული სახე მიიღო, და შემდეგისთვის მეტს სიმკაცრეს მოსთხოვდა, უფრო გაათამამებდა¹⁾. ამას ემატებოდა კიდევ ბექდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს ახალ-ახალი დირექტივები და „განმარტებანი“, რომელთაც კიდევ უფრო მეტი გაუგებრობა შეჰქონდათ საქმეში²⁾.

თავის მხრივ კავკასიის მთავარმართველიც ღონეს არ იზურებდა; „ასწორებდა“ ამ დებულებებს და „ადგილისა და ხალხის განწყობილების შესაფერისად (?) აღამაზებდა“³⁾. ასე, მაგალითად, მთავარმართველის მიერ ტფილისში დაშვებულ იქნა სატირული გამოცემები, „მაგრამ იმ პირობით, რომ სატირა არ შეხებოდა ძირითად სახელმწიფოებრივ საკითხებს და არ დასულიყო პიროვნებისადმი და ცინვამდე, როგორც პასკვილი და პამფლეტი“⁴⁾. (ხაზი ჩვენია, პ. გ.).

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ოთხმოციან წლებიდან, ალექსანდრე მე-II-რის მეფობისას, საქართველოს მიმართ პრაქტიკაში იყო მიღებული განსაკუთრებული პოლიტიკურ-რეპრესიული საშუალებანი. სკოლა გახდა აშკარა რუსიფიკატორული პოლიტიკის იარაღად⁵⁾. ყველაფერში სეპარატიზმის ნიშნებს ეძებდნენ⁶⁾. და კავკასიის საცენზურ-რო კომიტეტიც ამ პოლიტიკას ერთგულად ემსახურებოდა.

კავკასიის მთავარმართველმა კიდევ უფრო გააძლიერა აგრეთვე მესტამბეთა პასუხისმგებლობა და მათზედ კონტროლი, რამაც, ს. ესაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საგრძნობლად შეაჩერა პრესის მიერ მავნებელი აზრების გავრცელება“⁷⁾.

1) К. Арсеньев — Безцензурность и подцензурность стр. 31. (Взаш. слово).

2) Семен Есадзе — Историч. записки об упр. Кавказом, т. II. დამატება § Цензура и кавказская пресса, 1907. Тифлис. стр. 127.

3) idib; стр. 123.

4) ibid. стр. 124.

5) პროფ. ივ. ჯავახიშვილი, Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке. 1906. спб. стр. 40.

6) იქვე.

7) С. Есадзе, loc. cit. стр. 112.

ამრიგად, ისე ძნელი ხდებოდა სიარული ბეჭდვითი სიტყვისათვის თავისუფალი აზროვნების გზაზე, რომ „პრესა ველარ მეთაურობდა საზოგადოების ცხოვრებას და ის უბრალო სათრეველა შეიქნა“¹⁾. სწორედ ამიტომაც იყო, რომ „დროებას“ „იმდენი ღონე არ ჰქონდა, რომ ჩვენი ცხოვრების უმსგავსოება ნათლად წარმოედგინა მკითხველის თვალწინ“²⁾. როდესაც იგივე გაზეთი თავის არსებობის ათი წლის თავს აღნიშნავდა, სერგეი მესხი სწერს: „ნუ დაივიწყებთ, რომ გაზეთის საქმეს ვარდით მოფენილი გზა არ ჰქონია... მას ისეთი დაბრკოლებები უხვდებოდა გზაზე, როპლის თავიდან მოშორება იმის ხელთ არ იყო, იმის ნებაზედ არ იყო დამოკიდებული“³⁾.

ყოველკვირეულმა ლიტერატურულ-პოლიტიკურმა გაზეთმა „შრომაჲ“, რომელმაც 1881 წელს დაიწყო ქუთაისში გამოსვლა დიმიტრი დადიანის რედაქტორობით, მალე რევოლიუციონური გაზეთის სახელი დაიმსახურა, მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალური იდეებს ქადაგებდა და შორს იყო რევოლიუციისაგან. ჯერ კიდევ 1881 წლის ნოემბერში კავკ. საცენზურო კომიტეტმა სთხოვა მთავარმართებელს, რათა უკანასკნელს გაეცა ბრძანება „შრომის“ შეჩერებისათვის⁴⁾.

ასეთი თხოვნის რამდენჯერმე განმეორების შემდეგ მთავარმართებელმა „შრომა“ უშუალოდ დაუქვემდებარა ტფილისში კავკ. საცენზ. კომიტეტს, რომელმაც უნდა განეხილა 1883 წლის დასაწყისიდან ყოველგვარი დასაბეჭდი მასალა⁵⁾. ეს უკვე გაზეთის აკრძალვას უდრიდა. აი, რას სწერს ამის შესახებ დ. დადიანი საცენზურო კომიტეტს: „ქუთაისიდან ტფილისში საგაზეთო მასალის საცენზუროდ გადმოგზავნა საშუალებას გვისძობს მოვათავსოთ გაზეთში ტელეგრამები, ადგილობრივი ქრონიკა და სხვა ყოველდღიური საქირბოროტო ცნობები, რომელნიც ორი და სამი დღის დაგვიანე-

1) ნ. უორდანი, ქართული პრესა, 1900 ტფილისი. გვ. 2.

2) „დროება“ № 1. 1867. რედაქციის წერილი.

3) „დროება“ № 3. 1876.

4) კავკ. საც. კომიტეტს თუმცა აპისათვის ძლიერ უმნიშვნელო არგუმენტი ჰქონდა, მაგრამ გაზეთის შეზღუდვას მაინც მიაღწია. „შრომის“ დახურვა უნდოდა მას იმიტომ, რომ გაზეთმა 1881 წ. 14 ნოემბრის ნოჰერში მოათავსა „Русская Речь“-იდან კორესპონდენცია: „Мнение просвещенного русского о зависимости Грузии с Россией“-ს თარგმანი, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ რუსეთს კი არ დაუპყრონ საქართველო, არამედ შეპოიერთა და ამიტომ უფრო რბილად უნდა მოეკიდოს მას და არა როგორც დაპყრობილ ქვეყანასო. იხ. ДКЦК. № 39/458. 1881 г.

5) ДКЦК. № 39-е. 138.

ბის წყალობით ყოველგვარ ინტერესს და შინაარსს ჰკარგავენო“¹⁾. და სთხოვს ისევ ქუთაისის გუბერნატორის მოხელეს გადაეცეს „შრომის“ ცენზორობა. მაგრამ მეფის მოადგილის გადაწყვეტილება ურყევი გამოდგა, რის გამო ვაზეთის არსებობა მალე (1883 წ.) შესწყდა²⁾.

1881 წელს ტფილისში დაარსებულ იქნა ყოველთვიური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი „იმედი“ მ. გუზგენიძის რედაქტორობით. ამ ჟურნალის გარშემო თავი მოიყარა 80-იან წლებში ხალხოსნური იდეების მატარებელმა ახალგაზრდობამ. „იმედის“ პირველი ნომერი „ყუმბარასავით გასკდა და თოფის წამლის სუნი დააყენაო“, სწერდა 1883 წელს, კომიტეტის წლიურ ანგარიშში, ისარლოვი.

მრავალ ქუროზულ შემთხვევათაგან, რომელთაც ისარლოვსა და „იმედს“ შორის ჰქონდათ ადგილი, აღენიშნავთ მხოლოდ ერთს. 1883 წლის თებერვლის ნომერში „იმედის ფოტოში“ ვკითხულობთ: „ამ ნომერში განსვენებული მ. ასათიანის მოთხრობაში ... დაბეჭდილი იყო პატარა ელეგია სამშობლოზე; პატივცემულმა ცენზორმა უფ. ისარლოვმა წაშალა ამ ლექსში ადგილები და ჩვენდა სასიხარულოდ შემდეგ... თავისი შედგენილი ლექსი ჩააწერა... ამისთანა გამოჩენილმა პირმა გააბედნიერა ჩვენი მკირედი ჟურნალი თავისი ძვირფასი ნაწერებით, რომელიც ჩვენ ვერ გავბედეთ ასათიანის ნაწერებში მოგვექცია. ერთის მხრით იმიტომ, რომ ეს დაუფასებლობა იქნებოდა უ. ცენზორის პატივისცემისა ჩვენდამი, რომ სხვის ნაწერში მისი ნაწერი ჩაგვეერთო უსახელოდ; მეორეს მხრით ჩვენ ძლიერ თავმონწონე ხალხი გახლავართ და გვინდა თავი მოვიწონოთ, რომ ამისთანა განთქმული გვაშის სახელი მთლიანად გამოვაცხადოთ ჩვენს ჟურნალში და ავსწიოთ მისი ამითი ავტორიტეტი; მესამე საბუთი ასეთი საქციელისა იმაში მდგომარეობს, რომ განსვენებული ავტორი, საუბედუროდ ჩვენდა, დიდი ხანია გარდაიცვალა და, მაშასადამე, ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას ავილოთ მისგან ნებართვა, რომ მისი სახელი მოწერილი იყოს სხვის ლექსზე“³⁾:

„თუმცა დარწმუნებული ვართ“, განაგრძობს „იმედის“ რედაქცია, „რომ ჩვენში ყოველი მწერალი სიხარულით დაიჩემებდა ამ მშვენიერ ლექსსა, მაგრამ მაინც ჩვენ ვერ გავბედეთ, ავტორის უნებურად, მისი სახელი მოვაწეროთ ფრიალ პატივისცემული უ. ცენზო-

¹⁾ ibid

²⁾ Гр. Книшидзе, I. с. стр. 36. აგოფთვე ДКЦК. 131.13. 1883.

³⁾ ДКЦК. № 20/99. 1882.

რის ლექსსა,—გვეშინიან, რომ ასეთი შეურაცხყოფისათვის მწერლის უფლებისა არ შეძრწუნდენ საფლავში განსვენებული მ. ასათიანის ძელები 1).

„ამ სამი მიზეზის გამო ჩვენ ვბეკდავთ უ. ცენზორის ლექსს ცალკე, თანაც ფორტის განყოფილებაში, რომ ყველამ მიაქციოს ყურადღება. აი ეს მეტად ლაზათიანი და მშვენიერი ლექსი:

„ჩემო მამულო!
როსლა მალირსო
მწვანედ მოსილი
კიდევა გნახო.

—
„როსლა მოვესწრო
ნათელ ღიმილით
მხიარულებით
დედის ალერსით
გული დამიტკბო.

„ლ. ისარლოვი“ 2).

რასაკვირველია, „იმედის“ ასეთს „თახედობას“ ლუკა სტეპანიჩი მით უფრო ვერ აიტანდა, რომ მასში „თვით ცენზურა იყო ყბად აღებული, ე. ი. სახელმწიფო კანონმდებლობა აბუჩად აგდებული“. და ისარლოვმა ასეთი განცხადების მოთავსება აუკრძალა „იმედის“ რედაქციას: ამოკრა საცენზურო ფურცლიდან ეს ადგილი და თავის საქმეში ჩაიკერა 3).

იმავე ნომრისათვის აკრძალულ ფურცელში რედაქცია სწერს ქიზიყელს (ფსევდონიმია): „მუდამ იქონიეთ სახეში „რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზები“ და ნულარ ენდობით თქვენს საკუთარ ნიქსაო“ 4).

„იმედის“ 1882 წ. თებერვლის ნომრისათვის გამზადებული წერილების უმრავლესობა ისარლოვმა დააკავა. საინტერესოა, თუ რას სწერს ამის შესახებ „დროება“ (1882 წ. 11 მარტის ნომრისათვის) „იმედის“ რედაქციის განცხადების სახით:—„იმედის“ რედაქცია აცხადებს, რომ ამ წიგნშივე (ლაპარაკია „იმედის“ თებერვალში გამოცემულ ნომერზე) დასაბეკდად აწყობილნი და მომზადებულნი იყვნენ

1) იქვე.

2) იქვე.

3) Д. К. Ц. К. № 20:99. 1882.

4) იქვე.

შემდეგი სტატიები, რომლებიც ცენზურამ სამუდამოდ დაიჭირა: 1) წერილმანი შენიშვნები—სტ. კრელაშვილის, 2) შინაური მიმოხილვა—მ. გურგენიძის და „იმედის ფოტა“—რედაქციის. გარდა ამისა თვითონ დაბეჭდილი სტატიებიც, „რედაქციისაგან დამოუკიდებელის მიზეზებისა გამო“, შემოკლებულ იქნენ, სტატია-კი—„საყვედური“—ქიზიყელისა რედაქციის განკარგულებით არ დაიბეჭდა, რადგან მასზედ პასუხი რედაქციისა და ლექსი თვით ცენზორის ლ. ისარლოვისა (ზემოდ მოყვანილი, პ. გ.) სახელად „ჩემო მამულო!!!“—მოქცეულნი „იმედის ფოტაში“, დატუსაღებულნი შეიქმნენ“ 1).

„ეს იყო მიზეზი თებერვლის წიგნის ამგვარი სიპატარავისა და დაგვიანებისა, რაზედაც ბოდიშს ვითხოვთ შკითხველთაგანო“ 2), აცხადებს „იმედის“ რედაქცია, მაგრამ ისარლოვმა „დროებასაც“ არ დაბეჭდვინა ასეთი განცხადება,—ისიც აკრძალა და თავის საქმეში ჩაიკერა 3).

იმის გასაგებად, თუ რას სწერდენ ავტორები ზემოდ დასახელებულ აკრძალულ წერილებში „იმედისათვის“, მოვიყვანთ ერთს ამონაწერს. სტ. კრელაშვილი „წერილმან შენიშვნაში“ სხვათა შორის ამბობს: „დამავიწყდა, რომ ჩვენში წერა შეიძლება მხოლოდ იწილო-ბიწილო შრომანო გვერიტინოზე. შეიძლება უაზრო ლაზღანდარობა ათასნაირ სისულელეზე და არა რომელსაჲმ გულზე მოსაქიდ საგანზე, მაღალი გრძნობის ამქოთებელ მოვლენებზე სჯა-ბაასი. დამავიწყდა, რომ რაჟამს ამ უკანასკნელ კატეგორიაზე გადახვალ და მოიწადინებ რაიმე საყურსაღებო აზრის წარმოთქმას, მაშინვე მოგცვიანდებიან ჭკუის დამკოდველნი, ამოგდებენ პირში ლაგამს, დაგამახინჯებენ, შეგშლიან სახეზე, გაგაძრობენ ტყავსა, მერე გკრავენ პანლურსა და გეტყვიან: „მიბრძანდი და ემაგ სახით, დაფლეთილი ტანისამოსით, სულსა და ხორცს მოკლებული ჩონჩხით ეჩვენე შენს მკითხველსა დივნახოთ რა მოგივიაო!..“ 4).

ყოველგვარი განმარტების გარეშე აშკარა არის, თუ რა აუტანელ პირობებს უქმნიდა ცენზურა თავისუფალ აზრსა და მსჯელობას. თუ რა განმანადგურებლად მოქმედებდა ასეთი შეზღუდვა საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის, იქიდანაც სჩანს, რომ ის ალა-

1) დ. კ. უ. კ. № 20/99.

2) იქიდანვე.

3) იხ. დ. კ. უ. კ. № 20/99

4) ხაზი ჩვენია.

მიანები, რომლებიც უკიდურეს რევოლუციონურ იდეებს ემსახურებოდნენ, სულ მალე თავიანთ ნაწერებში უბრალო „პროგრესისტებად“ და ლიბერალებად გვევლინებოდნენ, რადგანაც უამისოდ „ჭკუის დამკოდველნი“ მათ „პირში ლაგამს ამოსდებდნენ, დაამახინჯებდნენ, შეშლიდნენ, ტყავს გააძრობდნენ“...

და მართლაც, როდი სცდებოდა კავკ. საცენზურო კომიტეტი, რომელიც კავკასიაში მეფის მოადგილეს ნ. ნიკოლაძისათვის «Капризъ пера»-ს გამოცემის ნებართვის მიცემის შესახებ სწერდა: 1) „ხსენებული ჟურნალის გამოცემის ნებართვის მიუცემლობა ნ. ნიკოლაძეს მისცემს მეტად საშიში გვირის მნიშვნელობას, რაიც არც ისე სასიამოვნოა, მით უმეტეს, როდესაც საცენზურო წესდების ძალით შეიძლება მისი მიმართულების მოწესრიგებაო“ 2).

იჩენდა რა ასეთს „მზრუნველობას“ ბეჭდვითი სიტყვის მიმართ, კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე მოძალევესკი სწერდა მეფის მოადგილეს: „აქამდე ადგილობრივი პრესა წარმოადგენდა ბარომეტრს და იმავე დროს დამცობ კლაპანსაც, რათა ხელისუფლება თავის დროზე მიშველებოდა ყოველ მტკივნეულ საკითხებს. ამის გამო აქამდე (1882 წ.) არ ჩასახულა არც საიდუმლო პოლიტიკური საზოგადოება, არც არალეგალური ლიტერატურა, არც ფარული სტამბა, არც სოციალისტური პროპაგანდა, რომ არა ეთქვათ რა პოლიტიკურ მკვლევლობაზე და სხვა მსგავს მოვლენებზე, რამაც უკანასკნელ ხანებში ასე იჩინა თავი რუსეთის შინაურ ცხოვრებაში და რომელიც 1 მარტის საზიზლარი ამბებით დასრულდაო“ 3).

მაგრამ ჟანდარმ მოძალევესკისაც „წამოსცდა“ მართალი,--ის შემდეგ დასძინს თავის მოხსენებაში, რომ „მიუხედავად მიღებულ საწინააღმდეგო ღონისძიებათა, შიდა რუსეთიდან გრძელდება შემოსულა ამ მშვიდობიან მხარეში არალეგალური რუსული ლიტერატურისაო“ 4). ამის შემდეგ არ გასულა ორი წელიც (1884 წ. 9 იანვარი), რომ კავკასიის მთავარმართებელი სთხოვეს საცენზურო კომიტეტს-- აცნობოს მას, თუ რა ზომებს ღებულობს ის იმ არალეგალური ლიტერატურის წინააღმდეგ, რომელიც დიდის რაოდენობით შემოდის კავკასიის მხარეში რუსეთის ცენტრალურა გუბერნიებიდან და ამას-

1) Д. К. Ц. К. № 45; 182. 1876.

2) ხაზი ჩვენია.

3) С. Есодзе I. с. стр. 121.

4) იქვე.

თანავე ეკითხება,—არის თუ არა ასეთი ლიტერატურა ადგილობრივ ენებზეო¹⁾).

ამ დროისთვის კავკ. საცენზურო კომიტეტისგან უკვე გაცემული ყოფილა სათანადო განკარგულება, რომელიც ფართო უფლებებს აძლევდა სტამბა-ლითოგრაფიების, წიგნით სავაჭროების და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების ინსპექტორს²⁾), არალეგალური ლიტერატურის დამზადებისა და გავრცელების საწინააღმდეგოდ ბრძოლისათვის³⁾).

დაიწყო ფიცხელი ძებნა არალეგალური ლიტერატურისა. გახშირდა ინსპექტორის მიერ სტამბების „დათვალიერება“ (ჩხრეკა), რომელიც 1885 წელს სტ. მელიქიშვილის სტამბაში 42-ჯერ მოუხდენია ინსპექტორს და აქედან რვაჯერ ოქმი შეუდგენია სავალდებულო წესების დარღვევისათვის⁴⁾). მაგრამ, მიუხედავად დენისა, მაინც ჩაისახა და განვითარდა ეს „საშიში“ ლიტერატურა ადგილობრივ ენებზედაც.

1880-ან წლებში ტფილისში დაიბადა არალეგალური ქართული ფურცელი, თუმცა ის ძლიერ მცირე რაოდენობით გავრცელებულა⁵⁾; 1883—4 წ. ჰექტოგრაფით დაბეჭდილა „ოთხი ძმა“ და ვიქტორ ჰიუგოს „კლოდ-გე“ და, თუ არა საქმის შეფერხება, უნდა დაწყებულიყო უკვე სისტემატიური არალეგალური გამომცემლობა⁶⁾).

1884—5 წ. ტფილისში საიდუმლო სტამბა არსებობდა, სადაც იბეჭდებოდა პროკლამაციები, აგრეთვე „კაპეიკის ისტორია“ და „ოთხი ძმა“⁷⁾). 1889—91 წ.წ. კი ტფილისში უკვე გამოდის არალეგალური გაზეთი „მუშა“⁸⁾).

ცენზურა კი მეტის გახელებითა და თავგამოდებით სდევნიდა არალეგალურ ლიტერატურას და ებრძოდა წიგნში განხორციელებულ

1) Д. К. Ц. К. № 131. 1884.

2) მაშინ ინსპექტორად იყო თავადი ენგალიჩევი.

3) Д. К. Ц. К. № 131. 1884.

4) Годовой отчет за 1885. Д. К. Ц. К.

5) ს. თალაკვაძე—საქ. რევოლიუტ. მოძრაობის წარსული („რევოლიუციის მატინე“ № 1. 1923. გვ. 57).

6) უფრო ადრე, სახელდობრ 1873 წ. (I/IV—11/VI), პარიზს გამოიცა პირველი ქართული არალეგალური გაზეთი „დროშა“, ჰექტოგრაფით დაბეჭდილი. (იხ. ს. ხუნდაძის—ნარკვევი ქართული აზროვნების ისტორიიდან, „რევ. მატ.“ № 1 (16) 1927; მისივე—სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში. ტ. II. 311—320. 1927. ტფილისი).

7) ლ. ხელაძე—ნაროდნიკების საიდუმლო სტამბის ისტორიიდან (რევ. მატ. № 1 (14) 1926. ტფ.)

8) პროფ. ა. ლ. ხახანაშვილი—ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელთნაწერები („მოამბე“ № 8. 1905. 9—12 გვ.).

თავისუფალ აზრს. მიუხედავად იმისა, რომ აქაურ საცენზურო დაწესებულებაში მსახურობდა უმეტეს წილად ადგილობრივი ლიბერალურად განწყობილი ინტელიგენცია¹⁾, როგორც სჩანს, ქართული პერიოდული გამოცემებში დასაბეჭდად წარდგენილი სტატიებიდან 5 პროცენტსაც არ ღირსებია ცენზურის ნებართვა. ამას ცხადად გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი (იხ. ცხრილი № 1, გვ. 252).

ცენზურა გაკაჟანებას არ აძლევდა არც ერთ ცოცხალი აზრის მატარებელ წერილს, რითაც თავის მხრივ ხელს უწყობდა არალეგალური გამომცემლობის ორგანიზაციის განვითარებას. 1885 წ. 3 ოქტომბერს რ. ფანცხავეა სწერს (ოდესიდან ტფილისში): „ყველგან საფლავის სიჩუმეა და ყველაფერს შავი სუღარა გადაეფარა... აბა მითხარით... შესაძლებელია ისარლოვის ცენზურობის ქვეშ გამონადრომი წერილი მე მომაწოდო?.. საჭიროა, აუცილებლად საჭიროა საიდუმლო გამოცემა ქართულს ენაზედ, რადგან უნდა შემუშავდეს ჩვენი ახალგაზრდობის მიზანით“²⁾.

ოთხმოცდაათიანი წლები ხასიათდება ორივე მხარის—პრესისა და ცენზურის—დაძაბული და სასტიკი წინააღმდეგობით.

1897 წ. კავკ. საცენზურო კომიტეტში ზედიზედ შემოდის სამი თხოვნა ქართული პერიოდული გამოცემის ნებართვისათვის:

- 1) ე. ხელაძე ითხოვდა ჟურ. „წყაროს“ გამოცემის ნებართვას. (8 მან. წლ. ხელმოწ. ფასი)
- 2) ი. მაჩაბელი „ „სიმის“ გამოცემის ნებართვას. (8 მან. წლ. ხელმოწ.)
- 3) ა. ჯაბადარი „ გაზ. „ხმას“ გამოცემის ნებართვას. (9 მან. წლ. ხელმოწ.)

საცენზურო კომიტეტმა დიდის თათბირის შემდეგ ყველა უარით გაისტუმრა. მიზეზი მარტივი და ჩვეულებრივი იყო: მისი აზრით, მომავალი რედაქტორი არ იყო ან სათანადო ცოდნა-გამოცდილებით.

1) წერილი მოწერილია ზ. კიკინაძისადმი. ამოღებული გვაქვს ს. ხუნდაძის—სოც. ისტ. საქართველოში ტ. 2 გვ. 145.

2) სხვადასხვა დროს კავკასიის საცენზურო კომიტეტში თანამშრომლობდნენ: მლ. ალექსეევი, ეფ. მესხიევი, პ. იოსელიანი, დ. ბერძენოვი, ანტ. ფურცელაძე (თავმჯდომარე), რ. ერისთავი, დ. ბაქრაძე (თავმჯდომარე), შანშიევი, ლ. ისარლოვი, გ. ქურული, პ. გოთუა, პ. მირიანაშვილი, ივ. პოლუმორდვინოვი, ს. კაკაბაძე (სამხედრო ცენზორი) და სხვანი. შეადარე ილ. კავკავაძის თხზულებათა სრული კრებ. ტ. 4 ტფილისი. 1927 წ. რედაქტორ პ. ინგოროყვას შენიშვნები გვ. 414—418. აგრეთვე ი. გრიშაშვილის ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. 1927 ტფილისი, გვ. 149.

ქართულ პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდვის ნებართვისათვის საქეისის საცენზურო კომისიის (ქართული) ტერში გატარებული სტატიების მოძიება № 1

№	სტატიის სახელი	1885		1887		1890		1896		1899		1902		1904		
		შემოვ.	აიკრძალა	შემოვ.	აიკრძალა	შემოვ.	აიკრძალა	შემოვ.	აიკრძალა	შემოვ.	აიკრძალა	შემოვ.	აიკრძალა	შემოვ.	აიკრძალა	
1	"დროება"	60	48	12	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
2	"ივერია"	6	2	4	133	111	12	40	37	3	23	23	-	-	-	
3	"ნობათი"	6	3	3	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
4	"თეატრი"	9	5	4	8	6	2	17	16	1	-	-	-	-	-	
5	"კვალი"	-	-	-	-	-	-	-	20	19	1	19	19	36	35	
6	"ცნობის ფურცელი"	-	-	-	-	-	-	-	-	-	48	48	8	1	-	
7	"ჯეჯილი"	-	-	-	-	-	-	-	-	-	9	8	1	-	-	
8	"მოგზაური"	-	-	-	-	-	-	-	5	5	-	-	-	-	-	
9	"მოამბე"	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	11	11	-	
	სულ	81	58	23	161	147	14	47	43	4	48	47	11	112	110	
													2	177	172	
														5	250	
														2	44	
																6

1) იხ. ДКЦК 1885 г. № 27, 1888 წ. № 10 და 1891 წ. № 10. Год. отчет за 1896, 1899, 1902 და 1904 წ. წ. ეს ის წერილებია რომელთაც რედაქციები აწულობდნენ, ხელნაწერის სახით, უგზავნიდნენ საცენზურო კომისიის ტერსს გახსახილველად. ესენი უმეტესად დიდ წერილებს და ხშირად მთელ მონაგრაფიებს წარმოადგენდნენ.

აღქურვილი, ანდა—კეთილსაიმედო (ივ. მაჩაბელი)¹⁾. ამრიგად, ცენზურამ არც ერთს ნება არ დართო გამოცემისა, მიუხედავად იმისა, რომ თითონაც იცოდა, ეს გარემოება ცუდად იმოქმედებდა ქართულ საზოგადოებრივ აზრზე, რადგან ტფილისში ქართული გაზეთები მცირე რაოდენობით გამოდიოდნენ რუსულთან და სომხურთან შედარებით²⁾.

ამავე დროს, ცენზორების ასეთი სიმკაცრის პარალელურად, ბეჭდვითი საქმის ინსპექტორიც სასტიკ კონტროლს უქვემდებარებდა. სტამბებსა და ლითოგრაფიებს, რათა მათ არ დაებეჭდათ რაიმე ცენზურის ნებართვის გარეშე (იხ. ცხრილი № 2, გვ. 254).

ცენზურის სისასტიკეს საზღვარი არ ჰქონდა. წერა პირდაპირ შეუძლებელი შეიქნა. თუ საცენზ. კომიტეტი რომელსამე ორგანოს თვალში აიღებდა, იმას ყოველგვარ გასაქანს უზღუდავდა. ამავე დროს, მუშათა ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და საერთო ეკონომიურ-ურთიერთობათა გამწვევებასთან ერთად, გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში³⁾, პრესა თანდათან მოუსვენარი და დაუდევარი ხდება. რაც უფრო ეშინოდა ცენზურას „მუშათა საკითხის“ გაზეთებში მოვლინებისა, მით უფრო ხშირად ეს საკითხი მასში თავს იჩენდა.

1899 წ. „კვალის“ ნომრისთვის აწყობილი ფ. პატრიშვილის (ფ. გოგიჩაიშვილის პსევდონიმი) „შრომის დღესასწაული,“ სადაც ავტორი ასწერს 1 მაისის დღესასწაულს გერმანიაში და საერთოდ ევროპაში, და რომელიც ცენზორის ფიქრით ტფილისის ამბებს ჩამოაგავს, აიკრძალა და „კვალსაც“ გაფრთხილება მიეცა, რომ შემდეგში ასეთი „თავხედობა“ არ ჩაედინა⁴⁾. აი რას ვკითხულობთ იმავე ჟურნალის კიდევ ერთ აკრძალულ ფურცელზე: „ვიცი, ჩემზე გაჯავრებული იქნები, ძვირფასო მკითხველო, რადგან („კვ. კვირ.“—კვირიდან კვირამდე) დაგიგვიანე. დაგარწმუნებ,

1) Годовой отчет К.Ц.К. за 1897 г.

2) თავის წერილში. როდესაც გახ. „დროების“ აკრძალვის ნებართვა გამოითხოვა, კავკ. საცენზურო კომიტეტი მოითხოვდა უმადლესი ხელისუფლებისგან აგრეთვე რომ ივ. მაჩაბელისათვის სამუდამოდ წაერთმიათ რედაქტორობის და საერთოდ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით გამოსვლის უფლება. შინაგან საქმეთა მინისტრმა კავკასიის საცენზ. კომიტეტის უკანასკნელი თხოვნა არ დააკმაყოფილა; მაგრამ, მიუხედავად ამისა საცენზურო კომიტეტი მაინც ანხორცილებდა პრაქტიკაში თავის სურვილს, —1885 წლიდან დაწყებული რამდენიმეჯერ იყო ი. მაჩაბლის კანდიდატურა წამოყენებული რედაქტორობაზე, ხან სხვა გამომცემელთაგან და ხან თვით ივ. მაჩაბელის მიერ განზრახული გაზეთისათვის, მაგრამ ცენზურამ ის ყოველთვის უარით გაისტუმრა. და სხვა გაზეთებშიაც, სულ იმის ცდაში იყო, რომ მაჩაბლის წერილები არ დაბეჭდილიყო.

3) შეადარე Н. Мартов I. с. გვ. 27—28; ფ. მახარაძე, ი 1905 წ. ამიერკავკასიაში, 1926, გვ. 56.

4) ДКЦК. № 72/38е воспрещ. статьями жур. „Квали“ и „Джеджили“.

ცხრილი № 2

ტფილისის ბექედითი საქმის მეთვალყურე ინსპექტორის მიერ სტამბების, ლითოგრაფიების და ასოთ-ჩამოსახამთა დათვალიერების ცხრილი.

№№ რიგზე	სტამბები, ლითო- გრაფიები და ასოთ- ჩამოსახამები	იაგარი	თებერე.	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტ.	სექტემ	ოქტომ.	ნოემბ.	დეკემბ.	ს შ წ
I სტამბები														
1	მთავარმართებლის კანცელარიის	7	7	10	7	6	7	10	11	7	7	8	8	95
2	ტფილ. პოლიც. სა- მმართველოს . . .	7	6	9	9	5	7	10	6	6	7	6	7	85
3	ენფენჯიანცის და როტიანიანცის . . .	6	6	7	8	6	7	12	6	7	6	7	7	85
4	კახლოვკის	7	6	10	5	7	7	8	10	6	6	5	7	84
5	მარტიროსიანცის . .	6	6	7	8	6	7	6	8	6	7	5	7	79
6	ექ. ბელაძის	6	6	7	6	6	7	6	5	9	7	6	6	77
7	ტებენჯივის	7	6	10	6	6	7	11	6	6	6	5	7	83
8	ლიბურმანის	6	5	7	5	5	9	6	4	6	6	9	7	72
9	ვართანიანცის	8	6	7	7	5	6	11	5	7	7	6	7	82
10	ჩარკვიანის	6	6	7	6	5	8	9	5	5	8	6	7	78
11	ნახაოიანის	9	6	9	8	5	13	7	5	6	8	7	7	90
12	ქართვ. გამოძეკ. ამხა- ნავობის	8	7	8	7	5	11	7	5	8	8	6	6	86
13	შაროვეის	7	6	7	6	5	11	7	5	5	7	6	7	79
II სტამბა-ლითო- გრაფიები														
14	ლევინის	7	6	10	7	5	7	7	5	5	6	6	7	78
15	მელიქ-შახნახაროვის	6	6	7	9	4	7	7	6	5	7	6	7	77
16	ქემალ-ფეხენდი-უნსი- ზადესი	7	6	8	9	5	7	10	6	6	7	6	7	84
III ლითოგრაფი- ები														
17	იავშაონის	7	6	10	5	9	6	7	7	6	5	5	6	79
18	დემუროვის	8	6	7	7	8	6	6	5	7	6	5	7	78
19	ნიკიფოროვის	6	5	5	7	5	6	6	5	5	5	5	7	67
20	მუნტოვის	6	6	5	5	5	6	6	5	5	5	5	8	67
21	დიუსტეროვის	6	5	5	5	7	6	6	5	5	5	5	7	67
22	ბელინსკის	7	6	5	6	8	6	6	5	5	6	5	7	72
23	შახბაზიანის	7	5	6	7	8	6	6	5	5	6	5	7	73
24	ნევივაგოსი	6	5	6	7	5	6	6	5	5	6	5	7	69
25	მესხიევის	6	6	5	10	5	6	6	5	6	7	5	7	64
26	დავლანდგებგოვის . .	6	5	5	7	5	6	5	5	5	6	5	8	68
IV ასოთ-ჩამო- სახამელები														
27	ენფენჯიანცის და როტიანიანცის	6	5	5	3	4	5	5	5	5	5	5	5	58
28	მადერის	4	4	4	2	3	3	4	4	4	4	4	4	44

აქ მე მიზეზი არა მაქვს,—ყველაფერი წითელი მელნის ბრალია“, და განაგრძობს მიმოძიებულს: „...დღეს ვერაფერი ველარ იხსნის ჩემ „კვ. კვ.“-ს, თუ ერთი წითელმა მელანმა ზედ გასეირნება მოინდომა. ვინ იცის! იქნებ ამ „კვ. კვ.“-ს ის ბედი ეწიოს, როგორც აწ განსვენებულ მის უფროს ძმას, იქნებ ამასაც უდროვოდ წესი აუგოს იმ წითელმა მტერმაო“¹⁾).

ამავე დროს ცენზურას ზედიზედ მოსდიოდა მთავარ სამმართველოდან ახალ-ახალი დირექტივა, რომელიც ერთბაშად კრძალავდა ლაპარაკსა და წერას მთელ რიგ საკითხებზე, როგორც, მაგალითად, გაფიცვებზე, პოლიტიკური დაპატიმრების შემთხვევებზე, რევოლუციონურ მოძრაობაზე. ცენზურამ ხმარებიდან გამორიცხა მთელი რიგი სიტყვებისა: ბრძოლა, დამარცხება, აჯანყება, შეტევა, სოციალიზმი, კომუნისმი და მრავალი სხვა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ პოლიტიკურ წერილებს, ზღაპრებსაც კი კრძალავს ცენზურა ამგვარი სიტყვებისათვის. მაგალითად, ცენზორმა აკრძალა ირ. ევდოშვილის „პატარა ყარამანიანი“, რომელიც „კვალისთვის“ (1899 წ.) იყო აწყობილი, ამისთანა სიტყვების გამო: „მას ჟამსა ოდეს მდევთ იალბუზი და იპყრეს, გველაშაპნი იქიდან განდევნეს და ყარამანი იქა ოქროსა ქედზედა დაესვენა“ (ხაზები ცენზორისა²⁾).

გახშირდა „რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა“ გამო წერილების „გამოტოვება“, საჭირო შეიქნა ლაპარაკი „იწილო ბიწილო“-თი. აი, როგორ სწერს ამრიგი გარემოების გამო ფ. გოგოჩაიშვილი „ცნობის ფურცელის“ 1903 წ. 24 ოქტომბრის აკრძალულ ფურცელში: „სამწუხაროდ, ამ საკითხის ისე ახსნა და გარკვევა, როგორც ჩვენ გვინდოდა, „ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო“, მოუხერხებელია“,—და განაგრძობს: „უნდა გამოვტყდეთ,—ბევრი ვეცადეთ, სხვადასხვა მხრიდან მოვუარეთ, მაგრამ არ იქნა,—ყოველთვის ფეხი დაგვისხლტა და ცხვირი იქ ვკარით და თვალი იქ მოვაფლეთ, საცა არ უნდა გავკარებოდით და არ უნდა დაგვენახა. მეტი გზა არაა, საკითხს თავი უნდა დავანებოთ და განზრახვაზე ნელი ავიღოთ“³⁾).

რადგანაც პირდაპირ ლაპარაკი არ შეიძლებოდა, ავტორი გადაკრულად აგრძელებს, დასმული კითხვა სხვა პორიზონტში გადააქვს, საქართველოს და რუსეთის ნაცვლად პოლონეთი და გერმანია ხდება უკვე მსჯელობის საგანი და ასეთის ხერხით თითქოს გამარჯვებული ავ-

1) ДКЦК. № 728/38e 1899.

2) ibid

3) ДКЦК. 1903. с запрещ. статьями „Цноб. Пурц.“ № 1013;50.

ტორი ამთავრებს წერილს: „Au bon enlendeur salut!“ (კარგ გამგონს გაუმარჯოსო¹⁾).

მაგრამ ამოდ. ცენზორმა მინც დაიჭირა წერილი! ის მიუხედავად ავტორს, რომელსაც თითქოს ეუბნება: in deinem Nichts hoffich das allzu finden!“-ო.

1904 წელს კავკ. საცენზურო კომიტეტმა დასწვა მთელი გამოცემა ა. ყ ა ზ ბ ე გ ი ს „ელისოსი“, რომელიც ალ. ყაზბეგს ცენზორისგან განხილვის და ნებართვის შემდეგ ცვლილებით და დამატებით დაუბეჭდავს²⁾. იმავე წელს 3 თებერვლიდან შინ. საქ. მინისტრის განკარგულებით სამუდამოდ დაიხურა „კვალი“, რომელსაც გაბრაზებულიმა კავკ. საცენზურო კომიტეტმა „ჯეჯილიც“ კინალამ თან მიაცილა³⁾.

ამრიგად; ის თითქმის ჩუმი, უსიტყვო, ბურუსმოცული წინააღმდეგობა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ვითარდებოდა, უკვე გააქტივებული სახით მიიღო მემკვიდრეობად მეოცე საუკუნემ, რომლის პირველი წლებიც აშკარა ბრძოლით დაიწყო.

„1902 წელს გურიაში (ნიგოთში) დაწყებულმა აგრარულმა მოძრაობამ საკითხი უფრო გაამწვავა, რასაც მოყვა, გლეხების მინიმალური მოთხოვნების სანაცვლოდ რეპრესიები და ეკზეკუცია...¹⁾ მთავრობამ სხვა ჩვეულებრივ საშუალებათა გარდა მიმართა აჯანყების (красноша) აღმოსაფხვრელად რადიკალურ საშუალებას, როგორც მას ეჩვენებოდა,—დაპყეტა სოფლების ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, რადგან ამ პატარა კულტურულ დაწესებულებებს ის აჯანყების კერადა სთვლიდა“²⁾.

1) *ibid*

2) ДКЦК № 1088/28. 1904 გვ. 98

3) ДКЦК № 1084/19. 1904; Л. Мартен loc. cit. стр. 87; ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ იქნა წინასწარი ცენზურის მიერ აკრძალული მოთხრობებისა და წერილების ერთი წყება: იხ. უფრ. „ქართული მწერლობა“ № 12, 1928 წ. (ქ. ლომთათიძის მოთხრობები); გაზ. „კომუნისტი“ № 28. 1929. (ფ. მახარაძის აკრძალული წერილები, რომლებიც ბოლშევიკურ უფრ. „მოგზაურში“ უნდა დაბეჭდილიყო); „ქართული მწერლობა“ № 1-2, 1929 (ეკ. გაბაშვილის მოთხრობა ბუნუარი № 3; უნდა დაბეჭდილიყო უფრ. „მოამბეში“ 1898 წ.); უფრ. „მნათობი“ № 2-3, 1929წ. (ეგნ. ნინოშვილის მოთხრობა) და სხვ.

1) პ რ ო ფ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი Полит. и Соц. движ. в Грузии в XIX в. 1906 Спб. стр. 44.

2) *ibid*

ძლიერი მოძრაობის შემთხვევებს ჰქონდა ადგილი მრავალ ადგილას, რის შედეგად 12 დეკემბერს 1904 წ. უმართებელეს სენატს ებრძანა: „მოესპო ბეკდვითი სიტყვის საქმეში მოქმედი დადგენილებათაგან გამოწვეული სიძნელენი და ბეკდვითი სიტყვა ჩაეყენებია კანონით სწორად გარკვეულ ფარგლებში... რათა მას სწორად გამოეხატა რუსეთისათვის სასარგებლო მისწრაფებანი“¹⁾.

ამ ბრძანების თანახმად 1905 წლის 21 იანვარს გამოცემული დებულებით „შეიცვალა“ ზოგი შემზღუდველი განკარგულება ბეკდვითი სიტყვის შესახებ და ამასთანავე დაარსდა სპეციალური სათათბირო ბეკდვითი სიტყვის ახალი წესდების შესადგენად²⁾. თუ რა ხალისაგან შესდგებოდა ეს სათათბირო, რომელსაც „რუსეთის იმპერიაში ბეკდვითი სიტყვის თავისუფლება უნდა დაემყარებია“ და გარემოებამ მუშაობის დასრულების საშუალება არ მისცა, ამის გასაგებად საკმარისია კომისიის რამდენიმე წევრის აზრი მოვისმინოთ. მთავარი საკითხი, რომელიც ამ („დ. კობენკოს“) კომისიაში დაისვა, შეეხებოდა „მავნე“ მიმართულების ცნების გარკვევასა და განსაზღვრას. კომისიის უაქტივესი წევრის პროფ. პიხნოსათვის „მავნე“ საერთოდ ერთ კატეგორიაში არის მოსაქცევი. ის ამბობს: „პოლიტიკურად მავნე მიმართულება დღემდე ჩვენში გავებული იყო ძლიერ ვიწროდ და პოლიტიკურად მავნე მიმართულებას ეძლეოდა ძლიერ დიდი მნიშვნელობა, მაგრამ არსებობენ კიდევ სხვა მავნე მიმართულებანიც. არიან ერთის მხრივ მიმართულებანი, რომელნიც ისწრაფვიან თვით სახელმწიფოს, ოჯახისა და საკუთრების იდეის მოსპობისაკენ,—ესენი არიან კომუნისტური და რევოლიუციონურ-სოციალისტური მოძრაობანი. არის კიდევ მეორეს მხრივ პორნოგრაფია და შანტაჟი. ინტერესი საზოგადოებისა და თვით გაზეთებისაც მოითხოვს, რომ ეს წყალქვეშა კლდეები მოსპობილ იქნას“³⁾.

კომისიის მეორე წევრის, ა. ლ. ბოროვიკოვსკის, სიტყვით, „მავნე მიმართულება“ თუმცა ძნელად გასარკვევი ცნებაა, მაგრამ მისი დასჯა ყოველ შემთხვევაში შესაძლებელია მაშინ, როცა ის გამოიხატება... კონკრეტულ მოქმედებაში“⁴⁾. თავად დ. ნ. წერთელევის აზრით კი: „ყოველი მოქმედების გარეშეც შეიძლება გამოიხატოს „მავნე მიმართულება,“ როგორც, მაგალითად, ცნობათა და ფაქ-

1) Об'яснит. записк. законопроекту о печати, стр. 2.

2) Об'яснит. записк. законопроекту о печати, стр. 15.

3) Н а б о к о в Вл.—К истории обновленного законодательства о печати (Комиссия Д. У. Кобенко) 1912 спб. стр. 11.

4) ibid, стр. 14.

ტების შერჩევაში. რომლებიც თავსდება ბექდვითი სიტყვის ნაწარ-
მოებში... ბექდვითი სიტყვის თავისუფლება არის სიტყვის თავისუ-
ფლება, მაგრამ ის არ უნდა იქნას არა სწორ აზრთა გავრცელების
თავისუფლებად, თავისუფლებად სიცრუისა და მოტყუებისა“¹⁾.

ხსენებული კომისიის წევრთა ლაპარაკი და ბქობა „მინე“
მიმართულებათა შესახებ ცხოვრების სინამდვილით იყო გამო-
წვეული: იმ ხანებში ძალიან გაიზარდა არა ლეგალური ლიტერა-
ტურა²⁾, რომლის აზრები კომისიის წევრთათვის „არა სწორ აზრებს“
წარმოადგენდა. პოლიტიკური ლიტერატურის გამოცემის ზრდას
ადგილი ჰქონდა როგორც საერთოდ რუსეთში, ისე კერძოდ კავკა-
სიასა და საქართველოშიაც.

არალეგალური ლიტერატურის წიგნები იბეჭდებოდა ხშირად
ავტორისა და დაბეჭდის ადგილის ცრუ მისამართების აღნიშვნით.
საქ. სარეგულირებელი მუზეუმში ინახება აუარებელი ასეთი ბროშურ-
რები, რომელთა დაბეჭდის ადგილად ეჩვენება ნაჩვენები. გამორკვეუ-
ლი კია, რომ ისინი ტფილისსა და ბათუმის არალეგალურ სტამბებში
დაიბეჭდნ³⁾. ერთდროულ გამოცემებთან ერთად გაძლიერდა პერიო-
დული არალეგალური გამოცემებიც.

1902 წლიდან ბაქოში დაიწყო მუშათა რევოლუციონური გაზ.
«ბრძოლის» გამოცემა, რომლის რედაქციას მალე მიაგნო ჟანდარმე-
რიამ⁴⁾. უფრო ადრე, 1900 წ. ტფილისის რკინის გზის მთავარ სახე-
ლოსნოში მომხდარი გაფიცვის დროს, გამოცემულა არალეგალური
ფურცლები. მაშინ ქართული სააგიტაციო ფურცლის მოვლინებას
ჟანდარმები ძალიან დაუფრთხია⁵⁾.

1) Вл. Нобокос, ხსენებული თხზულება. გვ. 15 და 42.

2) შეად. Л. Мартос, I. с. 118—119

3) აი, ზოგი ასეთი წიგნების სია: 1. ვინ არიან სოც.-დემ. და რა უნდათ
შათ. 1903 წენევა. გამოც. კავკ. ს.-დ. მუშათა პარტიისა, 2. კავკასიის მუშათა ს.-დ.
ორგანიზაციების და კავშირების პროექტი 1903. წენევა, 3. ოთხი ძმა. 1903. წენევა,
4. პიეელი მანისობა. 1903. წენევა, 5. რუსეთის ძველი რევოლუციონერნი. 1903-
წენევა, 6. საღდათობა, 1904. წენევა, 7. ტრედუნიონიზმი და სოციალიზმი
1903. წენევა. გამოცემა რ. ს.-დ. მ. პ. 8. ქართვ. ნაციონალისტები. 1904. წენევა.
9. დანი, საერთო დამფუძნებელი კრება 1905. წენევა და სხვ.

4) ა. ენუქიძე—რ. ს.-დ. მ. პ. არალეგალური სატამბების კავკასიაში,
მოწყობის და მუშაობის ისტორია 1900—1906 წ.წ. („რევ. მატ.“ № 4. 1923 წ.),
აგრეთვე ს. თალაკვაძე—ხსენებ. წერილი („რევ. მატ.“ № 5 1923 წ.).

5) ს. თალაკვაძე—საქ. რევოლუცი. მოძრაობის წარსული („რევოლ.
მატ.“ № 4 1923 წ.).

1904 წელს გამოდის არალეგ. გაზეთი «პროლეტარიატის ბრძოლა»¹⁾. 1905 წლიდან იცემა აგრეთვე არალეგალ. ჟურ. «სოციალ-დემოკრატი». საიდუმლო სტამბა მოეწყო ტფილისის გარდა ბათომშიაც²⁾. 1905 წლიდანვე გამოდის «მოგზაური»³⁾. არალეგალური ლიტერატურის ტირაჟიც თანდათან იზრდებოდა და თვით რევოლუციის პერიოდში ზოგი სააგიტაციო ფურცლების ტირაჟი 25-დან 30 ათასამდე აღწევდა⁴⁾.

ბეჭდვითი საქმის მთავარი კომიტეტი თავის ანგარიშში (1905 წლის 1 იანვრისათვის) სწერდა: «ყველა საცენზურო კომიტეტების ანგარიშებში უკვე ნათელი გამოხატულება ჰპოვა ერთმა საერთო აზრმა, რომელიც მათ თავიანთი პრაქტიკიდან გამოაქვთ; ეს ის აზრია, რომ მთელი იმპერიის მასშტაბით საშინელის სისწრაფით ვითარდება რევოლუციონურ სოციალისტური პროპაგანდა»⁵⁾, და თავის დაუსრულებელ ცირკულიარებში ის ღირებულებებს აძლევდა საცენზურო კომიტეტებს, რომ „მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ამოძრავებისა გამო საჭიროა შეუპოვარი წინააღმდეგობა პრესაში ყოველგვარი უმსგავსოების გამოქვეყნების წინააღმდეგ, როგორც არის: აგრარული მოძრაობა, მასიური წინააღმდეგობა ხელისუფლებისათვის, მკვლელობა და თავდასხმა სახელმწიფო თანამდებობის პირებზე, სხვადასხვა პოლიტიკური ბოროტ-მოქმედებანი, როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარედ. ყოველგვარი მოწოდებანი, ანგარიშები, რეზოლიუციები და სიტყვები მთავრობისაგან ნებადასურთველი ყრილობებისა და კრებებისა ანუ კავშირებისა. არ უნდა იქნას დაშვებული გამოსაქვეყნებლად აგრეთვე წერილები იაპონიასთან ომის შესახებ, თუ ისინი ამტკიცებენ რუსეთის სამხედრო ორგანიზაციის და ფინანსიური მდგომარეობის სისუსტეს»⁶⁾. ასევე უნდა მოეპყრათ ყოველგვარ წერილებს, რომელნიც, პოლიტიკური უფლებებისა და ეკონომიური მდგომარეობის შეცვლის მიზნით, ამართლებენ მოსახლეობის ერთი ნაწილის მეორეზე პასიური თუ აქტიური ზედმოქმედების აუცილებლობას, ან მთავრობისა და ფაბრიკანტების წინააღ-

1) ნ. ალ ა ჯ ა რ თ ვ ი, ჩუენი არალეგალური სტამბა (რევ. მატ. № 2. 1923 წ.); М а р т о в, I с. с т р. 117, აგრეთვე რევ. მატთან № 5 1923 წ. გვ. 92.

2) იქვე.

3) იქვე.

4) „რევოლუციის მატთან“ № 3, 1925 წ. „პარტიული მუშაობიდან“.

5) Отчет Главн. Комитета по делам печати, за 1904 год. იხ. აგრეთვე К о л о б о в В., აღნიშნული მოხსენება კავ. მეფის მოადგილისადმი. გვ. 18.

6) ცირკულიარების „საქმე“ კავ. საცენზურო კომიტეტისა 1905 წ.

მდეგ მუშების მოთხოვნილებებს, ან მემამულეთა წინააღმდეგ გლეხების მოთხოვნილებებს. ამგვარადვე არ უნდა დაიბეჭდოს არც ერთი წერილი, მსჯელობა, რომელიც სადაოდ ხდის კერძო საკუთრების პრინციპს ან ოჯახურ კავშირს და რომელსაც დემორალიზაცია შეაქვს მოსახლეობაში¹⁾.

საცენზურო კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობდა სავსებით მოესპო «ბნელი აზრებისა და არეულობა-ჯანყის მთესველი წერილების ჰაქანება» ჟურნალ გაზეთებში. ამ საქმეში მას ადმინისტრაციაც ეჯიბრებოდა. მაგალითად, «ივერიის» ერთ აკრძალულ ფურცელში ვკითხულობთ: «პროვინციის ჟურნალ-გაზეთების აუტანელ ყოფას ამტკიცებს ერთი პატარა, მაგრამ მეტად საგულისხმო ფაქტი: გაზ. «რუსკოე სლოვოში» დაბეჭდილია ტფილისიდან დეპეშა, რომ ტფილისის პოლიცემისტერმა კოვალის ოვმა აკრძალა ბ-ნი კოსოროვს პიესა პიესა «Весенний? поток»-ი, რომელიც მხოლოდ ორჯერ წარმოადგინა საარტისტო საზოგადოების თეატრში ბ-ნი მეიერხოლდის დრამატიულმა დასმაო. ბ-ნი კოვალიოვს აუკრძალავს აგრეთვე იბსენის «ექიმ შტოკმანისა» და მ. გორკის პიესების წარმოდგენა. ადგილობრივ გაზეთებს კი ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავთ, „მათგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო“. ყველა ზემოხსენებული პიესები ცენზურისაგან ნებადართულია, მაგრამ კოვალიოვს თავისი უფლებით აუკრძალავს. გამოდის, რომ საცენზურო კომიტეტისა და ბეჭდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს უფროსიც ტფილისის პოლიცემისტერი ბ-ნი კოვალიოვი ყოფილა... ადგილობრივი პრესა უნდა სდუმდეს ადმინისტრაციის თვითნებობის გამო და ვერ უნდა აცნობოს მკითხველებს, თუ რა ჰხდება მის ცხვირწინ!..“²⁾ რასაკვირველია, ცენზურამ ასეთი ცნობა „ივერიის“ არ დააბეჭდვინა³⁾.

ამრიგად, როგორც კი მდგომარეობის გართულება იგრძნეს, საზოგადოებრივი აზრისა და პრესის ბედი ცენზურასთან ერთად ადმინისტრაციის ხელში გადადის. ამ ხანებში ცენზურა ყველაფერში „ტენდენციურობას“ ხედავდა, ის კრძალავდა ანბანის სახელმძღვანელოსაც კი, რადგან მასში «ძმობა, ერთობა და სიყვარული» და სხვა მსგავსი⁴⁾ „არაკეთილდამზრდელი მნიშვნელობის ფრაზები იყო მოხსენებული“. ცენზურა სასტიკ კონტროლს უქვემდებარებს საბავ-

1) იქიდანვე; 2) ДКЦК. 1925 № 21; 3) პოლიცია ბევრად უფრო მკაცრად იქცეოდა ცენზურისაგან ნებადართული პიესების დადგმისათვის. მაგ., შ. დადიანის ქართვ. მსახობთა დასი ბათომში სდგამს (1913 წ.) დადიანისავე პიესას „როს ნადიმობენ“. პოლიცემისტერმა ამისთვის დადიანი პასუხისცემაში მისცა. მაგრამ უკანასკნელმა „დაუმტკიცა“, რომ დადგა არა „როს ნადიმობენ“, არამედ რუსული „Когда они пировали“ (ცენზ. ნებადართული). ДТК. по ДП 1913 № 17. შ. დადიანმა ჩვენ პირადად გადმოგვცა, რომ უნდარამისთვის გზა-აუბნევიათ, მისი პიესა ნამდვილად ყოფილა წარმოდგენილი.

შო ჟურნალ «ნაკადულსაც», რომელსაც უკანასკნელ გაფრთხილებას აძლევს, უკრძალავს რა ნ-ერის ლექსს: „პატიმარი“

«საით იყავ, ჩემო ჩიტო მალხაზო,
და სად რა ნახე გასახარელი?
მითხარი ჩქარა, ჩემო ლამაზო,
შემომწოლია გულზე ნალველი!»

«მარტოდ მარტო ვარ, მხოლოდ კედლები
ხედავენ ჩემს დარდს ჩემს მწუხარებას,
და ვგრძნობ მათ შუა ისე მოვკვდები,
რომ ველარ ვნახავ თავისუფლებას.»

«მოდი ჩიტუნი, დაჯექ ჩემს ახლოს,
ტკბილი სიმღერა გულს ჩამაწვდინე,
და როცა ნახავ ძვირფას სამშობლოს,
ჩემი გულწრფელი სალამი მიე!»

«—კმარა, კაბუკო, ცრემლი გოდება,
გადაიყარე გულიდან დარდი!
ტურფად აყვავდა ირგვლივ ბუნება,
გარდაფურჩქნა კეკლუცად ვარდი.»

«ისმის ბულბულის ტკბილი გალობა,
ხარობს ბუნება, ხარობს სულდგმული!».
—«ჩემთვის კი არის მხოლოდ მონობა
და სატუსალოს ბნელი ჯურღმული!»

«—არა, კაბუკო, ახლოა წამი,
როდესაც მონა გაწყვეტავს ჯაჭვებს
და ბედნიერი, თავისუფალი
დაუბრუნდება სამშობლოს და ძმებს!»¹⁾

ეს ლექსი ცენზურამ «უკიდურესად მავნეაზრიან და ტენდენციურ» ნაწარმოებად სცნო.

«ტენდენციური»—ეს იყო უნივერსალური ცნება ცენზურის ხელში, რომლითაც «კიდევაც სჭირდა და კიდევაც ჰკერავდა». ეს სიტყვა ყოველგვარ «მიუღებელ» აზრს უდგებოდა.

1) ДКЦК. 1905. 35-е.

და როდესაც კავკასიის საცენზურო კომიტეტი ასეთ ბრძოლას აწარმოებდა, ის ლებულობს, 1905 წლის 22 ოქტომბერს, მოულოდნელი შინაარსის ცირკულიარულ ტელეგრამას: «უზენაესი მანიფესტით, რომელიც გამოქვეყნდა მიმდინარე წლის 17 ოქტომბერს, მთავრობას დაევალა აჩუქოს მოსახლეობას ძირითადი საფუძვლები მოქალაქობრივი თავისუფლებისა: სიტყვის, პირადი თავისუფლების, კრების და კავშირის ხელუხლებლობითო»¹⁾.

მაგრამ,—განაგრძობს შემდეგ მთავარი კომიტეტი, «რადგანაც არცერთს სახელმწიფოში არ არსებობს ისეთი კანონი, რომ ბექდვითი სიტყვა სავსებით თავისუფალი იყოს დამსჯელ-განმსაზღვრელი კანონებისაგან, ამიტომ ჩვენშიაც ბექდვითი სიტყვის თავისუფლებას კანონები განსაზღვრავენო»²⁾.

ჯერ 17 ოქტომბრის მანიფესტი და შემდეგ ზემოხსენებული ინსტრუქცია საწყისად მიეცა ბექდვითი სიტყვის გადახალისებულ ამოძრავებას. ბექდვითი სიტყვის ნაწარმოები, დროებით ცენზურის უღლიდან განთავისუფლებული, დიდის რაოდენობით მოაწყდა წიგნის ბაზარს. არალეგალურმა გამომცემლებმა თავიანთი საქმე სააშკარაოზე გამოიტანეს და კიდევ უფრო გააცხოველეს, მაგრამ ძლიერ მცირე ხნის განმავლობაში: მეფის ხელისუფლება, აღსასრულს მიმდგარი, ისევ გაძლიერდა; დაიწყო საშინელი შავი რეაქცია და თავისუფალმა აზრმაც მალე კვლავ იატაკ ქვეშ ამოჰყო თავი.

1905 წლის 24 ნოემბერს გამოიცა ახალი დადგენილება ბექდვითი სიტყვის შესახებ³⁾, რომელმაც მალე არამც თუ აღადგინა ძველი პრაქტიკა, არამედ გადააჭარბა კიდევაც. ამ ხნიდან ადმინისტრაციას ეძლევა თითქმის შეუზღუდველი უფლებები ბექდვითი სიტყვის მეურვეობისა. იწყება ჟურნალ-გაზეთების ჯგუფობრივი აკრძალვა და პასუხისგებაში მიცემა. მაგ., 1906 წელს მაისში ს.-დ. მუშათა პარტიის მოწოდების დაბექდვისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნენ მიცემული გაზეთები: «ტალღა» (რედაქტ. მ. ი. ნასიძე), «კაიცი» (სომხ. გაზ. «ნაპერწყალი», ა. ერზიკიანცი), «ლამპარი» (კ. თავართქილაძე), «НОВЫ» (ანნა ჩიჯავაძე) და «შრომა» (ა. დიასამიძე). საცენზ. კომიტეტმა კი ზემოხსენებული გაზეთების სავსებით აკრძალვის განკარგულება სთხოვა სასამართლო პალა-

1) ДКЦК. 1905. Циркулы и инструкции Главн. Упр.

2) ibid. ხაზგასმა მთავარ კომიტეტს ვკუთვნის.

3) იხ. Обязательные постановления и временные правила о печати. 1905.

ტის პროკურორის¹⁾, მაგრამ მეფის ხელისუფლება ჯერ კიდევ არ გრძნობდა თავს ისე მაგრად, რომ რედაქტორებს «შესაფერისად» მოპყრობოდა.

იმ ადგილებში, სადაც სამხედრო წესები იყო შემოღებული, კანონმა სამხედრო გენერალ-გუბერნატორების სრულ შეხედულებას დაუქვემდებარა ბეჭდვითი სიტყვის «თავისუფლება»²⁾.

მთელი საზოგადოებრივი აზრი აღშფოთებული იყო ახალი კანონით. თვით შინაგან საქმეთა მინისტრმა სტოლიპინმაც კი აღიარა, რომ ხსენებულმა «დადგენილებამ წარმოშვა მრავალი გაუგებრობა და კურჩოხებიო»³⁾.

აი, როგორ ახასიათებს პროფ. ელისტრატოვი 1905 წლის 24 ნოემბრის «თავისუფლებას»: «მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი პირდაპირ არათერს არ ლაპარაკობს, არაპირდაპირ აიარალებს ადგილობრივ ხელისუფლებას მთელი რიგი ადმინისტრაციული ღონისძიებებით ბეჭდვით სიტყვასთან საბრძოლველად, რომლის არა სასურველი მიმართულება შეიძლება განისაზღვროს სავალდებულო დადგენილებებით (რომელთა გამოცემის უფლება ადგილობრივად გენ.-გუბერნატორებს ჰქონდათ, პ. გ.) და, ამრიგად, გამომცემელთა და რედაქტორთა წინაშე წამოჭრილია მუქარა დაპატიმრების და დაჯარიმებისა ადმინისტრაციული წესით»⁴⁾.

«ადმინისტრაციამ ხსენებული კანონით დაინარჩუნა უფლება გამოცემის წინასწარი კონფისკაციისა და აგრეთვე იმ ადგილებში, სადაც საგანგებო დაცვის წესებია, უფლება დაჯარიმებისა, რომელი უფლებით დღეს ასე ფართოდ სარგებლობენ გუბერნატორები და ქალაქის უფროსები!»⁵⁾ სწერდა პროფ. ივანოვსკი.

«ადმინისტრაციის სავალდებულო დადგენილებებში ყველგან ჩართულია ამკრძალავი წესები, რომელიც კრძალავს «ცრუ» ხმების გავრცელებას, ბეჭდვას წერილებისა და ბროშურებისა,

1) ДКЦК. № 1982,82.

2) Военное положение в мирное время. ანონიმური წერილი ჟურ. „Право“-ში № 43. 1905.

3) П. Толстой—Ограничение свободы печати. 1912. спб. стр. 76.

4) Проф. Елистратов—Административное право. 1911 Москва. стр. 176.

5) Проф. В. В. Ивановский—Учебник Государственного права. 1908 спб. стр. 495.

რომელნიც ამხედრებენ მოსახლეობას მთავრობის წინააღმდეგ... ამრიგად, ადმინისტრაციას ხელთ აქვს ბექდვითი სიტყვის ბედ-იღბალი»¹⁾.

ჯერჯერობა ითარ_მოგვეპოება სრული სია 1905 წ. რევოლუციის პერიოდში გამოცემულ ბექდვითი სიტყვის ნაწარმოებთა, რომელთა ლაკვიდაციას ხელა მიჰყო შემდეგს წლებში²⁾ კავკ. საცენზ. კომიტეტმა, რომელიც 1906 წლადან «ბექდვითი საქმის ტფილისის კომიტეტად» იქნა «გადანათლული»³⁾. ბექდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს მიერ 1913 წ. გამოცემულ აკრძალული წიგნების და ჟურნალ-გაზეთებს სიაში აღნიშნულია 57 ქართული გამოცემა⁴⁾, (პერიოდული—34 და არაპერიოდული—34), რომელთა აკრძალვა და განადგურება მანამვე მოუსწრაათ.

1906 წ. დეკემბრის ბრძანებით ტფილისის კომიტეტს დაეკისრა დაუყოვნებლივ ეცნობებია ხოლმე დროებითი გენერალ-ღუბერნატორისათვის მავნე აზრების მატარებელი წერილები, როგორც პერიოდულ ისე ერთდროულ გამოცემებში. რადგან მავნე აზრებს საცენზურო კომიტეტი მაშინ ყველაფერში ჰხედავდა. ამ ბრძანებამ გამოიწვია უამრავი სტატიებისა და ბროშურების თარგმნა ქართულიდან რუსულად, რამაც დიდ გასაჭირში ჩააგდო ცენზორები. აი, რას სწერს ამის შესახებ კომიტეტის თავმჯდომარე: „Об'емистые трактаты, в основание которых положены учения Маркса, Бебеля, Энгельса и пр., перетолкованные доморощенными грузинскими и армянскими философами и пересыпанные неудобопонятными иностранными славянами, ставят иногда цензора - переводчика в весьма затруднительное положение“⁵⁾.

მიღებული მასალების საფუძველზე გენერალ გუბერნატორმა გაახშირა არა მარტო სტატიების აკრძალვა, არამედ თვით გაზეთების ხან სამუდამოდ და ხანაც დროებით აკრძალვა შეჩერება მთელ სამხედრო მდგომარეობის პერიოდში. ეს სჩანს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან (იხ. გვ. 265).

1) Проф. В. М. Гессен—Исключительное положение. 1906. стр. 311.

2) В. Колбцов, I. с. стр. 13.

3) *ibid.* стр. 9.

4) Алфазигный указатель кн. и брошур... арест на которых утвржден судебн. установлениями по 1/1 1913 г. 1913. Спб. стр. 180—183 и 262—263.

5) Колбцов В. *loc. cit.* გვ. 16.

პერიოდული გამოცემანი, რომლებიც შეაჩერა ტფილისის გენერალ-გუბერნატორმა მთელი სამხედრო მდგომარეობის განმავლობაში 1):

№№ რიგზე	პერიოდული გამოცემა	გამოცემის დაწყების დრო	გამოცემის შეჩერე- ბის დრო
1	„გზა“ ყოველდღიური გაზ.	26 ნოემბერი 1906 წ.	2 ანვარი 1907 წ.
2	„მნათობი“ „ „	11 დეკემბერი 1906 „	7 „ 1907 „
3	„ახალი დროება“ „ „	3 აგვისტო 1905 „	9 „ 1907 „
4	„ზარი“ „ „	5 დეკემბერი 1906 „	9 „ 1907 „
5	„სინათლე“ „ „	23 მარტი 1907 „	24 მარტი 1907 „
6	„დილა“ „ „	24 მაისი 1907 „	12 ივლისი 1907 „
7	„ჩვენი სიტყვა“ „ „	13 ივნისი 1907 „	18 აგვისტო 1907 „
8	„ქარიშხალი“ „ „	5 ნოემბერი 1906 „	25 აგვისტო 1907 „
9	„ჩვენი გზა“ „ „	13 მარტი 1907 „	17 დეკემბ. 1907 „
10	„წყარო“ „ „	31 იანვარი 1907 „	17 „ 1907 „
11	„ცისარტყელა“ „ „	10 ნოემბერი 1907 „	1 იანვარი 1908 „

ამრიგად, მოხსნილი წინასწარი ცენზურის სუსხი არამც თუ აღადგინა, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა ეგრედწოდებულმა „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებამ“, რომელიც ახალი კანონით იქნა დამყარებული.

ლეგალური გამომცემლობის ასე შეზღუდვის ნიადაგზე აუცილებელი შეიქმნა არალეგალური მუშაობის კვლავ გაძლიერება. 1906 წლიდან ისევ განახლდა საიდუმლო სტამბის მუშაობა²⁾. მიუხედავად საშინელი დევნისა, მისი მოქმედება არ შეწყვეტილა თვით 1917 წლის

1) ДКЛК. 1807 № 11.

2) შეადარე ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე—1905 წელი ამიერ-კავკასიაში. 1926 ტფილისი.

რევოლიუციამდევროცა ერთი არალეგალური სტამბა აღმოჩენილი იქნებოდა, მის ნაცვლად მეორე იწყებდა მუშაობას¹⁾. ჟანდარმერიას ყოველი ახალი არალეგალური ფურცლის თუ ბროშურის გამოსვლა შიშის ზარსა სცემდა და მის გარშემო ის მთელ აურზაურს აყენებდა²⁾.

რეაქციის პერიოდშიაც დაუცხრომელი რევოლიუციონური პროპაგანდის გაძლიერება ლეგალურ გამოცემებში და პარალელურად არალეგალური ლიტერატურის ისევე აღორძინება საცენზურო უწყებამ რევოლიუციის პერიოდში „ნაჩქარევად გამომუშაებულ წესებს“³⁾ დააბრალა, რომელიც „სტოვებდა ფართო მოედანს ბექდვითი სიტყვის ბოროტად გამოყენებისათვის. ამას სისხლის სამართლის კანონმდებლობაც ხელს უწყობდა სასჯელის სიმსუბუქით, რასაც სასამართლოს განაჩენის და მისი რეპრესიების დაგვიანებაც ზედ ერთოდა. ამან ბექდვით სიტყვას შეუნარჩუნა მრავალი საშუალება სთესოს ხალხში უკმაყოფილება და სახელმწიფოს სერიოზული საფრთხე მიაყენოსო“⁴⁾.

„ამასთანავე საყოველთაოდ ცნობილია“, განაგრძობს ცენზურის წარმომადგენელი, „რომ ჩვენში ბექდვითი სიტყვა ლებულობს უმეტესად პარტიულ და ნაწილობრივ კლასობრივ ხასიათს და ამასთან დაკავშირებით დაბეჭდილი ფურცელი... თავისი შინაარსით ატარებს ცალმხრივი პროპაგანდის ხასიათს იმ იდეის და პრაქტიკისა, რომლის გარშემო თავს იყრის ესა თუ ის საზოგადოებრივი ჯგუფი“⁵⁾.

ამის გამო ბექდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს თავის ახალ პროექტში, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო საცენზურო დებულებას, შეაქვს მთელი რიგი ახალ და უებარ ღონისძიებათა, რომელთა შემწეობით აღუთქვამს ხელისუფლებას ბექდვითი სიტყვის მავნებლობისაგან დაცვას⁶⁾.

თუ რამდენად უფრო სასტიკი იყო „პროვინციებში“ ცენზურა, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ქართულად კრძალავდნენ ისეთი

¹⁾ გ. ო. გ. უ. ა. ძე—საიდუმლო სტამბა კოჯრის მთაზე („რევ. მატ.“ № 1 (14) 1926)

²⁾ ნ. ა. ლ. ა. ჯ. ა. რ. ო. ვ. ი.—ჩვენი არალეგალური სტამბა („რევ. მატ.“ № 2.1923. გვ. 338).

³⁾ Об'яснит. записка к Зак. пр. о печати. გვ. 4

⁴⁾ Об'яснит. зап.

⁵⁾ ibid.

⁶⁾ Устав о печати—პროექტი. შესავალი.

წიგნების გამოცემას, რომლებიც რუსულად უკვე დაბეჭდილი იყო მოსკოვს, პეტერბურგს ან სხვა ქალაქებში. მაგალითისთვის ერთი შემთხვევა მრავალთაგან: პროფ. ივანე ჯავახიშვილის წიგნი, „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკ.“, წარდგენილ იქნა ბეჭდვითი საქმის ტფილისის კომიტეტში მისი გამოცემის ნებართვისათვის, მაგრამ ეს ნებართვა ცენზურამ არ გასცა. რადგან ამაში გამოძეგმელმა უსამართლობა დაინახა, კომიტეტში წარადგინა 1906 წ. პეტერბურგს რუსულად გამოცემული იგივე წიგნი¹⁾ და განმეორებით ითხოვა გამოცემის ნებართვა. მაშინ ტფილისის ცენზურამ მოზრდილი მოხსენებით მიმართა კავკასიაში მეფის მოადგილეს, სადაც ხსენებული წიგნის ავტორს ახასიათებდა, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლს, რის შედეგად, ქართულად გამოცემის ნებართვის გაცემის ნაცვლად, რუსულად უკვე გამოცემული წიგნიც აკრძალულ იქნა.

ცენზურამ, ამას გარდა, ძლიერ გაახშირა დაჯარიმება პერიოდულ გამოცემათა: სავალდებულო წესების დარღვევის პირველ შემთხვევაში 100-დან 1000 მანეთამდე, ხოლო განმეორებისას—500-დან 3000-მდე²⁾. სასჯელი ერთრიგ ვრცელდებოდა როგორც რედაქტორ—ავტორ—გამომცემლებზე, ისე სტამბის, წიგნის მალაზიების და ყველა იმ დაწესებულებათა გამგე—მეპატრონეებზე, რომლებიც აწარმოებდნენ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების გავრცელებას. აქედან ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გამგეებიც არ იყვნენ გამორიცხულნი³⁾. პირს, რომელიც ხსნიდა სტამბას, წიგნით სავაჭროს, ბიბლიოთეკას და სხვ., გარდა მოქალაქობრივ უფლებათა, უნდა ჰქონოდა აგრეთვე პირადი კეთილსაიმედობის მოწმობა და ისიც პოლიციისგან მიღებული⁴⁾.

ყოველგვარი დრამატიული ნაწარმოები უნდა გატარებულყო უწინარეს სპეციალურ-დრამატიულ ცენზურაში⁵⁾. არსებობდა აგრეთვე სასულიერო⁶⁾ ცენზურა, რომელსაც ანხორციელებდა უწმინდესი სინოდი⁷⁾, და სასახლის ცენზურა (განმხორციელებელი იყო სასახლის მინისტრი) იმ ნაწარმოებთათვის, რომელნიც ეხებოდნენ „მათს

1) პრ. ივ. ჯავახიშვილი—Политическое и соц. движение в Грузии в 19 в. 1906. снб.

2) Устав о печати стат. 145.

3) ibid стат. 145 прим.

4) Устав о печати. მუხლი 105 და 106.

5) იქვე. მუხ. 128.

6) „ „ 70.

იმპერატორულ უდიდებულესობას და მათ იმპერატორულ უმაღლესობას“¹⁾.

დასასრულ, იმავე წესდებით კავკასიაში მეფის მოადგილეს უფლება ჰქონდა მინიჭებული გადაეწვიტა საკითხი ამა თუ იმ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების დაშვებისა უფასო სახალხო სამკითხველოებში, აგრეთვე სრულიადაც დაეკეტა ბიბლიოთეკა-სამკითხველოები²⁾.

ასეთს ახალ კანონს შინაგან საქმეთა მინისტრი „უკვე კულტურულ და განათლებულ რუსეთისათვის უფრო მისაღებად სთვლის, რადგან მხოლოდ ამით შეიძლება ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების უზრუნველყოფა“ (sic) და დასძენს, „ახალი პროექტით მთავრობა უზრუნველყოფილია ბრძოლის საშუალებებით იმ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, რომელიც ბეჭდვითი სიტყვის გზით ხდება და რომელიც დღემდე სრულებით დაუსჯელი რჩებოდა ან ძლიერ მსუბუქად ისჯებოდა“³⁾...

1907—1908 წლების შემდეგ თითქოს რეაქცია მიწყნარდა და სუნთქვა უფრო თავისუფალი შეიქნა; მაგრამ ტფილისის გენერალ-გუბერნატორი მაინც ძველებურად მძვინვარებდა. 1910 წლის 12 აპრილს გაცემულ იქნა ნებართვა გაზ. „ახალი გზის“ გამოცემისა, რომელიც იმავე წლის 17 ნოემბერს გენერალ გუბერნატორმა შეაჩერა იმიტომ, რომ იგი „უკიდურესად მაკენე მიმართულების მატარებელი და სახელმწიფოებრივი წყობილების და საზოგადოებრივი მყუდროების დამრღვევ მოღვაწეობას აწარმოებდა“⁴⁾. აკრძალვის საბაბი შეიქნა „ახალ გზაში“ მოთავსებული (21 ივლისს 1910 წ.) წერილი სათაურით „ახალი ცენზურა“. ეს წერილი, როგორც საბაბი გაზეთის აკრძალვისა და აგრეთვე როგორც ჩვენი საკითხის შესახებ ბევრის მეტყველი, მოგვყავს ქვემოლ შემოკლებით: „იშვიათად ყოფილა პრესა ისეთს მდგომარეობაში, როგორსაც ეხლა განიცდის. ტყვედ ქმნილი პრესა 1905 წლის მოძრაობის წყალობით განთავისუფლდა, მაგრამ ეს, როგორც ყველა სხვა თავისუფლება, მოკლევადიანი გამოდგა.. ამჟამად აუტანელია პრესის მდგომარეობა... ცენზურა თითქოს გააუქმეს, მაგრამ ახალი ცენზურა გახდა მოუნელებელი. წინად პრესა ექვემდებარებოდა ცენზურას, ეს—ცენტრალურ კომიტეტს, ხოლო უკანასკნელი—ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა მთავარ სამმართველოს.

1) იქვე მუხ. 71.

2) Устав о печати, стат., 94.

3) Постатейная объяснения... к проекту о печати, предисловие.

4) ДКЦК. № 14. 1910.

ებლა კი პრესა მთლიანად მოქცეულია ადმინისტრაციის ხელში... წინად ცენზორი აჩერებდა გამოცემას, ხურავდა გაზეთებს, მაგრამ მისი მოქმედების გასაჩივრება შეიძლებოდა უმაღლეს ინსტანციებში; ახალი ცენზურისათვის კი არ არსებობს პასუხისმგებლობა... ადმინისტრაციისათვის ასე დიდი უფლებების მიცემას მოჰყვა რეპრესიების გაძლიერება... თითოეული ადმინისტრატორი თავისებურად სდევნის: აჯარიმებენ სრულიად უბრალოდ, ასევე უმიზეზოდ კრძალავენ გამოცემას... ზოგიერთები აჯარიმებენ როგორც რედაქტორს, ისე ავტორსაც, აპატიმრებენ, ასახლებენ გუბერნიის ფარგლებიდან... ერთის სიტყვით პრესის ბედი დამოკიდებულია ადმინისტრაციის პირად შეხედულებაზე... ჩვენ უკვე დავკარგეთ ანგარიში, რამდენი გაზეთი აკრძალეს, რამდენი რედაქტორი ჩასვეს ციხეში, რამდენი გადაასახლეს... ამ დღეებში ქუთაისის გუბერნიაში დააპატიმრეს სამი კორესპონდენტი და სამ-სამი თვით ჩასვეს... თითქოს ცრუ ხმების გავრცელებისათვის მთავრობის მოღვაწეობის შესახებ (ხაზი რედაქციისაა). თუ რაა ეს „ცრუ“ ცნობები, რასაკვირველია, ამის გამორკვევას არავენ შეუძლებია¹⁾, ამთავრებს გაზეთი წერილს.

ამავე წელს აკრძალულ იქნა სამუდამოდ „ახალი სხივი“ (მე-399 ნომერზე) და „მოგზაური“ (მე-6 ნომერზე), თანახმად სასამართლოს დადგენილებისა²⁾. აღსანიშნავია, რომ მთელ ამ პერიოდში აკრძალული გაზეთებიდან ბეჭდვითი სიტყვის მთავარმა სამმართველომ მხოლოდ ზემოდ დასახელებული ორი გაზეთი შეიტანა თავის „ინდექსში“, როგორც სამუდამოდ აკრძალული, მაშინ როდესაც სინამდვილეში სამუდამოდ აკრძალული გაზეთების რიცხვი ბევრად მეტია.

გარდა პირდაპირ აკრძალვისა, გაზეთები ისპობოდენ აგრეთვე იმ შეუწყვეტელი ჯარიმების წყალობით, რომელსაც „საცენზურო წესდების დარღვევის“ ან „უკიდურესად მაგნე მიმართულების გამოაშკარავების“ გამო ადებდენ რედაქციებს; ასევე რედაქტორის დაპატიმრებაც საუკეთესო ხერხი იყო მთავრობისათვის გაზეთის მოსასპობად.

მაგალითად, მარტო 1912 წელში დასაჯეს შემდეგი პერიოდული გამოცემების რედაქციები და რედაქტორები (იხ. გვ. 270):

1) ДКЦК. № 203. 1910 წ., აგრეთვე გაზ. „ახალი გზა“ № 52. 1910.

2) Алфавитный указатель книгам и брошюрам, а также номерам поврежденных изданий, арест на которые утвержден судебными установлениями по 1-е января 1913 г. спб. 1913. стр. 262.—263.

სია 1912 წ. ადმინისტრაციული წესით დასჯილი გაზეთებისა: 1)

№ რიგზე	დასჯილი გამოცემანი	ფულადი ჯარიმის რაოდენობა	რამდენი იყო შემთხვევა, ჯარიმის გადაუხდელობის გამო რედაქტორის დაპატიმრებისა	რამდენჯერ იქნა დაპატიმრებული რედაქტორი ჯარიმით შეუცვლელად.
1	„კოლხიდა“ ყოველდ. გაზეთი	500	ფულადი ჯარიმის გადაუხდელობა შეეცვალა რედაქტორს 3 თვით დაპატიმრებით	—
2	„ჩვენი ცხოვრება“ 2)	200	იგივე შედეგი	—
3	„დილა“	500	„	—
4	„იმერეთი“ (ქუთ.)	100	„	—
5	„კოლხიდა“ (მეორედ)	—	—	რედაქტორი 3 თვით ჩასვეა ციხეში
6	„იმერეთი“ (მეორედ)	500	ჯარიმის გადაუხდელობისა გამო 3 თვით ჩასვეს რედაქტორი ციხეში	—
7	„მეოცხალი“	500	იგივე შედეგი	—

ამავე წელს ბათომის სამხედრო გუბერნატორის მიერ აკრძალულ იქნა გაზ. „ბათომის მუშის“ მე-136 ნომერი ი. გოგებავშვილის „მაწენ“ ფელეტონის მოთავსებისა გამო 3).

საინტერესოა, როგორ ახასიათებს ქართულ პერიოდიკას 1912 წელს თავის წლიური მოღვაწეობის ანგარიშში ბექდვითი საქმის ტფილისის კომიტეტი: „საერთო ხასიათი ქართული პერიოდიკისა საანგარიშო წელში თითქმის უცვლელია; ის მხოლოდ გაზეთების სახელწოდებათა ზრდაში იხატება. გაზეთების მთავარი ჯგუფი ატარებს ნაციონალურ და სოციალ-დემოკრატიულ იდეებს... უკანასკნელი ჯგუფის პერიოდიკა უმთავრესად ცდილობს მოიკალათოს ქუთაისში... რაც ცენზურასთან დაშორების სურვილის ნაყოფია და

1) ცნობები ამოღებული გვაქვს Тифл. ком. по делам печати-ს საქმეებიდან.

2) „ჩვენი ცხოვრების“ მიმართ მეორედაც აღძრულ იქნა სისხ. სამ. ძიება; კონფისკაცია უყვეს „დამნაშავე“ ნომერს.

3) Д. Т. К, по Д. П. № 14. 1912.

აგრეთვე იმ გარემოებისა, რომ ამ მიმართულებას მეტი მიმდევრები დასავლეთ გუბერნიებში ჰყავს, ვიდრე აღმოსავლეთში“¹⁾).

ამავე 1912 წელს ტფილისის ცენზურას სულ აუკრძალავს ერთ-დროულ გამოცემათა 24 სახელწოდება, რომლებიც უმთავრესად 1905—1906 წლებშია გამოცემული²⁾ და რომელთა საერთო ტირაჟი 55715-ში გამოიხატება. აკრძალულთა შორის 13 სახელწოდება მაშინვე იქნა განადგურებული (დასწევს), თანახმად სასამართლოს დადგენილებისა³⁾; მათი საერთო ნომინალური ღირებულება, თანახმად დართული სიისა, 25 ათას მანეთამდე აღწევს⁴⁾).

როგორც კი მიუხედა ცენზურა ქართული ბეჭდვითი სიტყვის აზრს, რომ უკანასკნელმა ქუთაისის შეათარა თავი, მაშინვე, 1913 წლის სექტემბრიდან, ქუთაისშიაც გაძლიერებულ იქნა მეთვალყურეობა სპეციალური ინსპექტორის დანიშვნით⁵⁾).

ამრიგად, შავი რეაქციის გაბატონების შემდეგ, თუმცა წინასწარი ცენზურა არ არსებობდა, მაგრამ მეფის პოლიცია ყოველთვის ახერხებდა სუნიის აღებას, თუ სად და რომელ სტამბაში რა იბეჭდებოდა. და როდესაც რაიმე „ტენდენციურ“ ნაწერს აღმოაჩენდა, ის ყოველგვარი ცერემონიის გარეშე იტაცებდა სტამბიდან ასეთი ნაწერის ორიგინალს თუ უკვე დაბეჭდილ ფურცლებს და ცეცხლს აძლევდა. ასე, მაგალითად, 1913 წელს ქუთაისში დაიბეჭდა აკაკის ნაწერების მეორე ტომი. სანამ ეს წიგნი სტამბის კარებს გასცილდებოდა, ის პოლიციამ გაშინჯა და შიგ „მეტის მეტად პატრიოტული“ პოემა აღმოაჩინა. ეს იყო პოემა „ეორონ-ცოვი“.

პოლიციამ აკაკის უკვე დაბეჭდილი 2400 ეკზემპლ. წიგნიდან ამოაგლეჯინა ეს პოემა (დაახლოებით 3 სასტამბო ფორმა) ავტორსა და გამომცემელს და ცეცხლს მისცა, ხოლო ამოჭრილი ადგილი ავტორის სხვა ლექსებით შეავსებინა. (პოემის დედანი ინახება ცენტრ არქივში)⁶⁾).

1) Годовой отчет Тифлисского комитета по делам печати за 1912 год.

2) შეადარე Алфавитный указатель... стр. 180, 181, 182.

3) Д. Т. К. по Д. П. № 23. 1913.

4) იქვე.

5) Колобов, ხსენებულ თხზ. გვ. 8.

6) აკაკის ეს პოემა („ეორონცოვი“) მას შემდეგაც არსად დაბეჭდილა. ის შვეა „ცენზურის მიერ აკრძალული ნაწერების კრებულში“, რომლის გამოქვეყნება ჩვენ ახლო ხანში განზრახული გვაქვს.

აი, რას სწერს კიდევ ჟურნალი „კლდე“ თავის 1914 წლის ერთ-ერთ ნომერში, რომელსაც მოწინავე წერილი სტამბიდან გამოსტაცა პოლიციამ.

„რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო, ბოლო ამ წერილისა ვერ დაიბეჭდა, რადგან პოლიციამ ამოაგდო იგი სტამბიდან¹⁾. ამგვარად, როგორც მკითხველიც ხედავს, არ არსებობს წინასწარი ცენზურა, მაგრამ არის გულთმისანი „შინაგანი“ და „გარეგანი“ პოლიცია, რომელიც მაშინვე გამოიცინობს ხოლმე ალლოთი, თუ საღ რის დაწერას აპირებენ და... ხელს შეუშლის. ცენზურა თუ ზრდილობიანად დაგელაპარაკებოდათ, დარბაისელ წითელ მელანს წაუსევამდა თქვენს „ნაოცნებარს“. პოლიციამ ეს არ იცის; ასე, დაუკითხავად გაგიტებს კარებს რედაქციისას, სტამბისას, ამოიღებს დედნებს, კორექტურებს, აწყობილ წერილებს და არც გეტყვის თუ რათა, არც დარდი აქვს, რომ ეს აგვიანებს, ან სპობს ბეჭდვით ორგანოს, რომ ფუჭდება საქმე და ზარალი მოსდის რედაქციას, ხელის მომწერს და მკითხველს.

„წინად კაცმა იცოდა, რომ რაც აკრძალულია, ვერც დაიბეჭდება, რადგან ცენზურაც ამისთვის იყო „წინასწარი“; ახლა ყველაფრის დაბეჭდვა შეგიძლიანთ, რადგან აკრძალული არაფერია, მაგრამ სულ უბრალო ამბავსაც ვერ დაბეჭდავთ, მაგალითად, იმაზე, რომ ჩვენს კატას და მეზობლიანთ ძაღლს ჩხუბი მოუვიდათ, რადგან შეიძლება ეს ძაღლი პოლიციის მაძებარი ძაღლი გამოდგეს და მაშინ ამაში „სახელმწიფოს შერყევა“ დაინახოს ვინმემ. ჩვენს დროში ხო წინასწარი ცენზურა არ არსებობს და მაშ რა ჰქნას პოლიციამ, თუ წინასწარ არ გამოიცინო ყველაფერი და „საშიშ“ ლიტერატურასთან ერთად სულ გულუბრყვილო ამბებიც არ გადააყოლა: სჯობს მოისპოს პრესა, ეს მუდამ უამს მყვირალა და სიმართლის მაძიებელი მოვლენა, ვიდრე პოლიციას გაეპაროს რომელიმე „საფუძველთა მრყეველი“ ამბავი²⁾.

„ღმერთმა აცხონოს წინასწარი ცენზურა: სახლში მაინც არ შემოგივარდებოდა, იჯდა თავისთვის კაბინეტში და უსევამდა წითელ მელანს; თუ შენის ფეხით არ მიუტანდი წერილს, არც კი წაიკითხავდა; დღეს კი არც შენა, არც შენს ოჯახს, არც შენს მესტამბეს, არც ამწყობს, არც მკითხველს გარანტია არა აქვს, რომ ხეალ პოლიცია არ გასჩხრეკავს. გაზეთის კითხვა საშიში ხდება, რადგან არავინ იცის, შიგ რა ეშმაკურ ამბებს არ დასწერს რედაქტორი და მერე იტლინკე: მე რა

1) და 2) ხაზგასმა თვით რედაქციას ვკუთვნის.

ვიცოდით: „კანონის უცოდინარობით კი ვერავინ იმართლებს თავსა“¹. მაგრამ არა, მკითხველო, ნურც ეგრე შეკრთები: ამისთვის არსებობს თუ რედაქტორის კეთილ-გონიერება და კეთილ-ზომიერება არა, ყოვლად შემძლე პოლიციის ალლო, რომელიც წინასწარ ამოიღებს ყველაფერს, რაც „საძრახისია“, და იმასაც თან გააყოლებს, რაც საძრახისი არ არის. მშვიდად იყავ, მკითხველო, მზრუნველობას ამ მხრივ არავინ მოგაკლებს... შენ სხვა თქვი თორემ“¹)...

ცენზურის გამნადგურებელი მოქმედება ბექდვითი სიტყვის მიმართ ასე ადვილადაც როდი მიდროდა, ის გავლენას აჩენდა თვით ავტორთა შემოქმედებაზე მაშინაც კი, როცა უკანასკნელნი თავიანთ სამუშაო კაბინეტებში იჯდნენ. ავტორი წინდაწინ ვარაუდობდა ცენზურის „მზრუნველობას“ და იმ თავითვე ფრთებს აკვეცავდა თავის შემოქმედებას სიმართლისა და ქეშმარიტების გაშუქებასა და აღწერაში.

მაგალითისათვის აღენიშნავთ ერთ გარემოებას. იმ ხანებში ალ. ფრონელმა გამოაქვეყნა დიდად საინტერესო გამოკვლევები საქართველოს ცხოვრების ისტორიიდან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში („მთიულეთი 1804 წ.“ და „კახეთის ამბოხება“ 1812წ.“). ახასიათებს რა ალ. ფრონელის გამოკვლევებს, სრულიად სამართლიანად შენიშნავს Balon-ი:

„არ შეგვიძლია გულახდილად არ აღენიშნოთ მისი (ფრონელის) ნაწერების ერთი ნაკლიც! განსაკუთრებით „მთიულეთში“ ეტყობა ავტორს ცოტა გადაქარბებული რიდი (ცენზურისა, — ისეთი რიდი, რომელიც მკითხველის თვალში ძლიერ ბევრს აკლებს ნაწარმოების ღირსებასო“²).

სჩანს, ტყუილად და უშედეგოდ არ ჩაიარა ცენზურის „მოღვაწეობამ“ მთელი საუკუნის განმავლობაში ქართული ბექდვითი სიტყვის „ნორმალურ განვითარების კალაპოტში ჩასაყენებლად“... ჯერ კიდევ გასულ საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან შურ. „იმედიც“ ხომ აფრთხილებდა თავის თანამშრომლებს: „ნულარ ენდობი შენს საკუთარ ნიქსა და მუდამ იქონიე მხედველობაში „რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზებიო.“

1914 წლიდან, მსოფლიო ომის მძვინვარების პერიოდში, პრესა მოექცა საშხედრო ცენზურის სასტიკ „მეურვეობის“ ქვეშ. ტფილისის ბექდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტი ერთი მეორეზე ღებულობს უკვე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, მ. გორემიკინის, ინსტრუქ-

¹) იხ. Дело Тифлисского комитета по делам печати 1917 г. № 424/14.

²) იხ. შურ. „განათლება“ 1908 წ. № 3—4 გვ. 78. (ხ.ზგასმა ჩვენია).

ციებს, „დედნაზე მისი იმპერატორული უდიდებულესობის საკუთარი ხელწერით—„согласен“,“ სადაც „ომით გამოწვეულ განსაკუთრებულ პირობებში, როდესაც საშინლად გართულებულია, როგორც საგარეო, ისე შინაური მდგომარეობა იმპერიისა,“ მოითხოვდა ის „ქვეყნის მატერიალურ და სულიერ დაძაბვას, ხოლო უკანასკნელის მამოძრავებლის,—პრესისათვის, მეტად სასტიკ და იმავე დროს მეტად ფრთხილად მოპყრობას, რათა, ნაცვლად დამშვიდებისა, გაღიზიანება არ ყოფილიყო გამოწვეული... რასაც სხვადასხვა ადგილებში უხეში სამხედრო ცენზურის წყალობით ხშირად ჰქონია ადგილი“ 1).

მაგრამ უშედევგო გამოდგა ყოველგვარი ლონისძიება განწირულისა. მაინც მოხდა ის, რის წინააღმდეგ ასე თავგანწირულად იბრძოდა მეფის ხელისუფლება.

და ვინც ბეჭდვითი სიტყვის აწმყოსა და ნამყოს გადახედავს, მომხდარი ფაქტებისათვის ჯამის გაკეთების შემდეგ, არ შეიძლება არ შეადაროს ეს ლაჩრული პოლიტიკა ცენზურისა იმ სულელის მოქმედებას, რომელსაც უნდოდა თავის ბაღში ყვავები არ შეეშვა და ამისათვის ქიშკარი დაჰკეტა 2).

1) ДТК по ДП.конфиденциальное 1915 год.

2) შედარე П. М и л ю к о в, Суб'ективное и социологическое обоснование Свободы печати. Спб. 1905. стр. 215.

თავი მეთერთმეტი.

ქართული წიგნი 1917 წლის ჩვეულებრივი წელიწადი

საერთო მდგომარეობა. — 1917 წ. რევოლუციით გაჩაღებული გამომდინარეობა ბეჭდვითი სიტყვისა. — ქართული წიგნის სახელწოდებათა რაოდენობა და ტირაჟი 1917-1928 წლებში. — წიგნის ბროდუქცია 1917-1928 წ. წ. სოციალური დანიშნულების ჯგუფთა მიხედვით. — ერთდროულ გამომცემათა საერთო და საშუალო ტირაჟი სოციალური ჯგუფების მიხედვით. — 1925 წლის განმავლობაში გამომცემული ქართული წიგნის ბროდუქციის ნომინალური ღირებულება ცალკე სოციალური დანიშნულების ჯგუფისათვის. — 1925 წლის განმავლობაში გამომცემული წიგნების დანაწილება გამომცემლობათა, სტამბებისა, გამ. ფაბრიკის ადგილისა და სოციალური დანიშნულების მიხედვით. — პერიოდულ გამომცემათა ტირაჟი. — საქართველოს წიგნის პალატა და მისი მოღვაწეობა. — ქართული სამეცნიერო ლიტერატურის ინდექსისათვის. — ქართული ბეჭდვითი ნაწარმების არქივის შესახებ.

თ ა ვ ი მ ე თ ე რ თ ე მ ე ბ ე

ქართული წიგნი 1917 წლის რევოლუციის ზემდე.

1917 წლის რევოლუციით ჩვენს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში შექმნილი ახალი ეპოქის გავლენა უწინარეს წიგნსა და წიგნში უნდა გამოჩენილიყო. ასეც მოხდა.

წინად წიგნის გამომცემლობის საქმეს ჩვენში აბრაკოლებდა ის გარემოება, რომ ქართული ენა არ იყო ოფიციალური, სახელმწიფო ენა. ამიტომ პედაგოგიური ლიტერატურა, ასევე სამეცნიერო დანიშნულების წიგნები რომელთაც შემდეგში ასეთი დიდი ხვედრითი წონა დაიჭირეს ქართული წიგნის პროდუქციაში, აგრეთვე უწყებათა ანგარიშები, დოკუმენტები, მთავრობის ოფიციალური თუ სხვა გამომცემანი ქართული წიგნის შემადგენლობაში არ შედიოდნენ. ისინი ქართულად ან სრულიად არ იბეჭდებოდნენ, ანდა—ძლიერ უმნიშვნელო რაოდენობით. ძველი პოლიტიკური წყობილების დამხობით ის წინანდელი პირობები ძირიანად შეიცვალა.

ამასთანავე ცენზურის მოსპობამ და ბევრ სხვა მოვლენამ, რომელიც მოჰყვა რევოლუციას, ფართო გასაქანი მისცა ქართული ეროვნული კულტურის განვითარებას.

მაგრამ რევოლუციის პირველ ხანებში ჩვენ მაინც ვერ ვხედავთ მწერლობის ისეთს გამოცოცხლებას, როგორც მოსალოდნელი იყო, და ეს იმიტომ, რომ ჯერ მსოფლიო ომმა და შემდეგ რევოლუციას მოყოლებულმა პირობებმა მთელი სახალხო მეურნეობა ძლიერ დააქვეითა, რასაც თავის მხრივ დიდი გავლენა ჰქონდა თვით წიგნის მეურნეობაზედაც. რევოლუციას მოყოლებულმა ეკონომიურმა კრიზისმა კარგა ხანს გასტანა; განადგურებული სახალხო მეურნეობის აღდგენა ადვილი არ იყო. მთელი პოლიგრაფიული მრეწველობა განახლებას, რესტავრაციას მოითხოვდა. არ იყო ქალაქიც. გამომცემლობის საქმეს თუმცა სხვა დარგებზე ადრე დაეტყო გამოძიობინება, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო სათანადო პირობები, რომ ის ძველ დონეზე მალლა აწეულიყო.

1917 წლიდან ვიდრე 1921 წლამდე გამოცემულ წიგნთა ტირაჟის შესახებ ცნობები არა გვაქვს. 1921 წლიდან გვაქვს ქართული ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების სტატისტიკური ცნობები, როგორც სახელწოდებათა, ისე ტირაჟის მიხედვით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ცნობები (ტირაჟის შესახებ), როგორც არა სათანადო დანუშავების წესით მიღებული¹⁾, ვერ იქნება სისწორით სინამდვილის მაჩვენებელი 1925 წლამდე. მაგრამ დაახლოებით მაინც გადმოგვცემს სინანდვილეს. ეს ცნობები მოქცეულია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი № 1

ქართული წიგნის პროდუქცია 1917—19 წლებში²⁾.

წლები	სახელწოდებათა რაოდენობა	საერთო ტირაჟი	საშუალო ტირაჟი
1917	99	—	—
1918	93	—	—
1919	141	—	—
1920	266	—	—
1921	121	1.24,880	1031
1922	148	147.500	997
1923	255	317,225	1230
1924	395	552,020	1397
1925	650	2.432,390	3742
1926	610	1.585,860	2583
1927	846	2.525,450	2867
1928	1149	—	—

1) 1924 წლამდე, მას შემდეგ რაც ბეჭდვითი საქმის ტფილისის კომიტეტმა შესწყვიტა არსებობა, ადგილობრივი გამოცემების არც ბიბლიოგრაფიული და არც სტატისტიკური აღნუსხვა არ სწარმოებდა. 1924 წელს განათლების კომისარიატთან დაარსდა „საქართველოს წიგნის პალატა“, რომელმაც თავს იღვა აღნიშნული მუშაობა, აგრეთვე შემდეგი წლების გამოცემათა რეგულიარული ბიბლიოგრაფიის წარმოება. წიგნის პალატა სცემს თავის ორგანოს, რომლის პირველი ნომერი 1926 წელს გამოვიდა და შეიცავს 1917-1925 წ.წ. გამოცემული წიგნების აღწერას. 1917-1924 წ.წ. გამოცემული წიგნები აღწერაღია ტფილისის სხვა და სხვა წიგნთსაცავთა კატალოგების მიხედვით. უფრო ვრცლად წიგნის პალატაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

2) მასალები ამოღებულია „წიგნის პალატა“-დან № 1. 1926 წ. და ჩვენ მიერ დამუშავებული 1926 წლამდე, ბოლო შემდეგ წიგნის პალატის წლიური ანგარიშებიდან გვაქვს ამოღებული.

როგორც ამ ცხრილიდან (№ 1) სჩანს, ქართული წიგნის პროდუქციამ ძლიერი დაქვეითება განიცადა 1917-1918 წლებში. 1919 წლიდან დაეტყო გამოსწორების ნიშნები, მაგრამ 1921-1922 წლებში ისევ ჩამორჩა 1920 წლისას, თუმცა ეს ჩამორჩენა მალე გამოსწორებულ იქნა, სახელდობრ 1924 წელს უკვე თვალსაჩინოდ გადააჭარბა 1920 წლის პროდუქციას, ხოლო შემდეგ წელს პირდაპირ გიგანტური ნახტომი იქნა გაკეთებული და დიდად გაუსწრო წინ ომის წინა-დროინდელ მდგომარეობასაც:

1913 წელს გამოიცა 247 სახელწოდება, 485.348 ცალის რაოდენობით, ხოლო 1925 წელს გამოიცა 650 სახელწოდება, რომლის საერთო ტირაჟმა 2.400.000 ეჭვეპლიარს გადააჭარბა, ე. ი. ვახდა ორნახევარჯერ მეტი სახელწოდების მხრივ და ხუთჯერ მეტი საერთო ტირაჟის მხრივ, ვიდრე იყო 1913 წელს. 1927 წელს კიდევ უფრო მეტი მიღწევები გვაქვს: 846 სახელწოდება გამოიცა, რომლის საერთო ტირაჟი უდრის 2.525.450-ს.

ასეთსავე ზრდას აქვს ადგილი საშუალო ტირაჟის მიხედვითაც: 1913 წლის გამოცემათა საშუალო ტირაჟი უდრიდა 1972 ცალს, რაიც 1925 წლისთვის 3742 ცალს შეადგენს, ხოლო 1927 წლისათვის 2867-ს.

იმევე წლების განმავლობაში გამოცემული პროდუქცია ქართული წიგნისა, ცალკე სოციალური დანიშნულების ჯგუფებად დანაწილებული, გვაძლევს შემდეგ სურათს (იხ. ცხრილი № 2, გვ. 280).

როგორც მოცემული ცხრილიდან სჩანს, მეცნიერული შინაარსის წიგნების გამოცემა მსოფლიო ომისა და რევოლუციის პერიოდში ძლიერ შენედა. თუ, მაგალითად, 1913 წელს ამ დანიშნულების 44 წიგნი იქნა გამოცემული, 1917 წელს ეს ჯგუფი 4 სახელწოდებამდე ჩამოიდა. მაგრამ შემდეგ ისევ გამოსწორების გზას ადგება და მალე არამც თუ დაფარულ იქნა ომის წინადროინდელი პროდუქცია, არამედ დიდად გადააჭარბა კიდევ მას. 1925 წელს გამოიცა 105 სახელწოდება, ე. ი. ორნახევარჯერ მეტი, ვიდრე მსოფლიო ომის წინა წელს (44), ხოლო 1927 წელს უკვე 109 სახელწოდება გვაქვს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქართული მეცნიერული შინაარსის წიგნების გამოცემა დიდი განვითარება ეტყობა. ის სამეცნიერო დაწესებულებები, რომელნიც რევოლუციის შემდეგ წარმოიშვენ, დიდ მასალებს იძლევიან მეცნიერული საგანმცემლო საქმის განსავითარებლად. მათთვის საჭიროა მხოლოდ მატერიალურ საშუალებათა გამოძებნა და ნაწილობრივ არსებულის რაციონალური გამოყენებაც. ჩვენში სამეცნიერო ხასიათის დაწესებულებები, რომელნიც უმ-

ცხრილი № 2

ქართული წიგნის პროდუქცია 1917-1927 წ. წ. სოციალური დანიშნულებას ჯგუფთა მიხედვით.

№ რიგზე	სოციალური დანიშნულების ჯგუფები	წლები										
		1917	1918	1919	1920	1921	1922	1923	1924	1925	1926	1927
1	სამეცნიერო დანიშნ. ლიტერ.	4	4	6	29	9	14	28	24	35	105	109
2	პოლიტ. - სააგიტაციო ლიტერ.	44	18	17	35	29	25	87	126	76	92	238
3	სასწავლო პედაგ. წიგნები . . .	14	35	30	81	16	29	40	48	112	70	106
4	სამეცნ.-პოპულარული ლიტერ.	8	8	7	17	2	3	15	31	185	48	52
5	დოკ. და უწყებ. ანგარიშები .	3	9	21	16	17	37	32	71	116		
6	საცნობარო ლიტერატურა .	1	—	5	8	1	3	1	13	19	108	114
7	სიტყვა კაზმული მწერლობა . .	16	9	47	64	29	24	36	59	60	127	164
8	საბავშვო მწერლობა	7	7	1	9	14	9	5	12	34	35	35
9	Varia (ნარევი).	2	3	7	7	5	6	14	11	13	25	28
	ჯამი. .	99	93	141	266	122	150	258	395	650	610	846

თავრესად სცემენ სამეცნიერო ლიტერატურას, საამისო ფინანსიურ საშუალებათა ნაკლებობას გრძნობენ.

აქვე შევნიშნავთ, რომ ანოლოგიური დაბრკოლების დასაძლევად რუსეთში, რ.ს.ფ.ს.რ. სახელგამთან, უკვე დაარსდა სამეცნიერო განყოფილება, რომელიც დღეს სხვა დაინტერესებულ სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად ხელმძღვანელობს ამ საქმეს.

უდიდესი ამოცანები, რომლებიც წამოაყენა ჩვენმა მშენებლობამ, არ შეიძლება განხორციელებულ იქნეს, თუ არ იქნა მათთვის საფუძველი გამაგრებული სერიოზული მეცნიერული ბაზის შექმნით.

„ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამოცანა, სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია, მოსახლეობის ჯანმრთელობის შენახვა, ეს სამი ძი-

რითადი არხი, რომლის გზით მიდის სახელმწიფო მშენებლობა, ითხოვს ღრმა, ყოველმხრივ და სრულქმნილ ცოდნას თანამედროვე მეცნიერების ყოველი დარგისა...

„სრულიად ბუნებრივია, რომ სამეცნიერო წიგნი არა მხოლოდ საჭიროა, არამედ აუცილებელიც ზემოხსენებულ ამოცანათა განსახორციელებლად“¹⁾.

თუ არ გვექნა ფართო, მრავალმხრივი და მაღალკვალიფიციური სამეცნიერო ლიტერატურა, ლაპარაკიც არ შეიძლება სპეციალისტების მომზადებაზე, მათი მეცნიერული დონის ამაღლებაზე, უმაღლესი განათლების გავრცელების ნორმალურ წარმართვაზე, ასევე ჩვენი სახელმწიფო მშენებლობის განხორციელებაზე.

ყოველივე ეს კარგად ესმით ჩვენი სახელმწიფო მშენებლობის მეთაურთ, რომლებიც ყოველმხრივ ხელს უწყობენ ქართული სამეცნიერო ლიტერატურის გაშოვნის საქმეს. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანებში სათანადო ყურადღება მიაქცია ამ საკითხს ჩვენმა „სახელგამმაც“, რომელმაც გამოსცა რამდენიმე მეცნიერული-უნივერსიტეტის სახელმძღვანელო—წიგნი²⁾.

პოლიტიკურ-სააგიტაციო დანიშნულების წიგნების ომის წინა-დროინდელი სარეკორდო რიცხვი სახელწოდებათა მხრივ, რომელიც 1906 წელს 101-ში გამოიხატა, ჯერ კიდევ 1924 წელს—126 სახელწოდებით—იქნა დაფარული. ამ დანიშნულების ჯგუფი ნორმალურ განვითარების გზაზეა შემდგარი. თუ რევოლუციამდე ამგვარი ლიტერატურა უმეტეს ნაწილად პატარატანიანი ბროშურების სახით გვევლინებოდა, რომელსაც ამასთანავე უფრო იაფფასიანი შინაარსიანი „ბაგაჟი“ ახასიათებდა, დღეს გარემოება რადიკალურად შეიცვალა: ეს წიგნები უფრო სქელტანიანი, მეტი მეცნიერული დასაბუთებისა და ღირებულების შატარებელნი არიან. ამ ჯგუფმა სარეკორდო ციფრი მოგვცა 1927 წელს,—ის 238 სახელწოდებაში გამოიხატა.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ ყველაზე ფართო გასაქანი ჰპოვა სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურის გამოცემის საქმემ. ამ ჯგუფის ლიტერატურამ უკვე დაიკავა შესაფერი ადგილი საერთოდ ქართული წიგნის პროდუქციაში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ კიდევ ბევრია გასაკეთებელი; განსაკუთრებით საგრძნობია სახელმძღვანელოთა უქონლობა უმაღლეს სასწავლებელთათვის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უკვე დაწყებულია ამ მხრივ გადამჭრელი მუშაობა,

¹⁾ В. Коган. О научном издательстве СССР. (жур. „печать и Революция“ книга седьмая 1928 Москва. стр., 144.)

²⁾ იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 286. 1928 წლისა.

რომელიც, ალბად, ჰპოებს რეალურ განხორციელებას უახლოეს საგამომცემლო წლებში. სახელმძღვანელო წიგნის ბაზარზე დღეს შესაძინებელ სქარბოზს მოთხოვნილება მიწოდებას. ამ დარგის წიგნების გეგმაშიწონილი გამოცემის საქმე დიდად არის დაკავშირებული სასწავლო პროგრამების შედგენისა და ცვლილებათა საკითხთან. უკანასკნელი ჰქმნის ხშირად მოთხოვნილებას ახალ წიგნზე და უვარგისად აქცევს ათასი ეკზემპლიარის რაოდენობით კიდევ დარჩენილ სახელმძღვანელოს. ამიტომ ამ დარგში უფრო მეტი შეთანხმებული საქმიანობაა საჭირო.

სამეცნიერო-პოპულიარული ლიტერატურა აღებული პერიოდის წინა წლებშიაც მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა ქართული წიგნის მთლიან პროდუქციაში. ის გასული საუკუნის მიწურულს აღმატებოდა ყველა ჯგუფებს, გარდა ბელეტრისტიკისა. მსოფლიო ომისა და რევოლუციის პერიოდში ამ ჯგუფმა სხვაზე უფრო მეტი დაქვეითება განიცადა. მაგრამ მალე მისი მდგომარეობა გამოსწორდა და 1925 წელს პირდაპირ სარეკორდო ციფრი მოგვცა,—185 წიგნი გამოიცა, რომელმაც სახელწოდებათა მიხედვით დაჰფარა ყველა სხვა ჯგუფები ამავე წლისა. ის თითქმის ოთხჯერ აღმატება ომის წინადროინდელ რაოდენობას (50 სახელწოდება 1912 წელს) 1).

უწყებათა ანგარიშები და დოკუმენტები რომელიც წინად ძლიერ უმნიშვნელო რაოდენობით მონაწილეობდა ჩვენი წიგნის პროდუქციაში, ახლა უფრო დიდ ადგილს იკავებს,—ის 1925 წელს 116 სახელწოდების რაოდენობით იქნა გამოცემული. ასეთსავე განვითარებას განიცდის საცნობარო ლიტერატურაც.

სიტყვაკაზმული მწერლობის (ბელეტრისტიკა) მონაწილეობა ქართულ წიგნის საერთო პროდუქციაში, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, უკვე 1905 წლიდან დაწყებული კლებად ტენდენციას იჩენდა. უკანასკნელ წლებში თუმცა გამოცოცხლება დაიწყო, მაგრამ ძველებური მდგომარეობა, ვგონებ, მისთვის მომავალშიაც დაუბრუნებელი დარჩება რაც ქვეყნის საერთო საწარმოო ძალთა განვითარების და საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლით არის გამოწვეული 2).

1) სამეცნიერო-პოპულიარულ წიგნებს 1925 წელს სისტემატიურად სცემდა და გამომცემლობა „საბჭოთა კავკასიონი“, რომელმაც მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ქართულ „საგლეხო ბიბლიოთეკას“, რაიც უდიდესი სამსახურის გაწვევა ჩვენი გლეხობისა და მათი მეურნეობის კულტურული განვითარებისათვის.

2) გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის და ზოგ სხვა ევროპის ქვეყნის მთლიან წლიურ წიგნის პროდუქციაში ჯგუფი მეცნიერება—ტექნიკისა 40—50 პრო-

1892 წელს გამოცემული ქართული წიგნის პროდუქციის 56 პროცენტს შეადგენდა ეს ჯგუფი, და როგორც წინა, ისე შემდეგ წლებშიაც დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში იყო; 1926 წელსაც კი, როდესაც მისმა პროდუქციამ გადააჭარბა ყველა სხვა ჯგუფებს ცალკალკე, საერთო პროდუქციის მხოლოდ 26 პროცენტს შეადგენდა¹⁾.

საბავშვო მწერლობა, რომელიც ჩვენში გასული საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან ისახება, ასეთსავე, მხოლოდ ჩასახვის, მდგომარეობაში დარჩა მთელი ათეული წლების განმავლობაში. მისმა გამოცემლობამ სისტემატიური სახე მხოლოდ უკანასკნელ წლებში მიიღო. ასე, მაგალითად, 1892 წელს გამოიცა 2 სახელწოდება, 1902 წელს — 2, 1912 წელს — 8, ხოლო 1925 წელს უკვე 34 და 1926 წელს—35 სახელწოდება გვაქვს.

ამ პერიოდის (1917 წლიდან დღემდე) გამოცემანი ცალკე სოციალური დანიშნულების ჯგუფთა საერთო და საშუალო ტირაჟის მიხედვით დანაწილებული არა გვაქვს. საცენზურო უწყებების მოქმედებასთან ერთად შესწუდა აგრეთვე ქართული წიგნის პროდუქციის ამრიგი დამუშავება, რაც უკანასკნელის მეურნეულის (და აგრეთვე იდეოლოგიურის) თვალსაზრით შესწავლისათვის აუცილებლად მნიშვნელოვან დანაკლისად უნდა ჩაითვალოს. ამგვარი ცნობები უფრო თვით იმ ორგანიზაციების მეურნეული გეგმის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს, რომლებიც გამომცემლობას ეწევიან. უკანასკნელთათვის როდი კმარა მარტო საკუთარი პროდუქციის დამუშავება ამ მხრივ, რადგან წიგნის ბაზარზე მარტონი არ გამოდიან და არც რომელიმე სოციალური დანიშნულების ჯგუფის გამოცემისა და გავრცელებისათვის აქვთ მონოპოლიური მდგომარეობა²⁾.

ცენტამდე აღწევს, ხოლო სიტყვაჯამული—10-15 პროც. არა სცილდება; 1928 წელს რუსული წიგნის მთლიან პროდუქციაში იგივე ჯგუფი (მეცნიერება და ტექნიკა) 30 პროც. აღემატება, მაშინ როდესაც სიტყვაჯამული ჯგუფი 9,3 პროც. ვერ გასცილება. იხ. „На книжном фронте“. 1929. თებერვლის ნომერი.

1) შეადარე. ს. თოდრიას, ქართული წიგნის გამომცემლობის შეიახებ „ქართული მწერლობა“ № 4—5. 1926 წ. გვ. 40—42.

2) აღსანიშნავია, რომ ჩვენს „სახელგამს“, მსგავსად რ.ს.ფ.ს.რ. ის სახელგამისა, აქვს მონოპოლიური უფლება სასწავლო სახელმძღვანელო წიგნების გამოცემა-გავრცელების დარგში (წესდება, მუხ. 2, შენიშვნა 1), მაგრამ პრაქტიკულად, სხვადასხვა მიზეზებისა გამო (ზოგი დაწესებულებანი სცემენ სპ.ს. სახელმძღვანელობას), მისი 100 % განხორციელება ჩვეუნიად არ ხდება ისევე როგორც რ.ს.ფ.ს.რ.-ში.

ამ მიზეზის გამო ჩვენთვის მხოლოდ 1925 წლის პროდუქციის ამრიგი დამუშავება გახდა შესაძლებელი¹⁾.

ქვემოლ მოყვანილი ცხრილიდან (ცხრ. № 3 გვ. 285) განსაკუთრებით აღსანიშნავია ზოგიერთი სოციალური დანიშნულების ჯგუფის საშუალო ტირაჟის ზრდა: პოლიტიკურ-სააგიტაციო ჯგუფების საშუალო ტირაჟი მსოფლიო ომამდე 2400-ს არ გასცილებია საშუალოდ, მსოფლიო ომის პერიოდში ამ ციფრმა, რასაკვირველია, დაიკლო, მაგრამ 1925 წლისათვის მისი საშუალო ტირაჟი უკვე 3120-ს უდრის, რაც მკითხველთა მასის ზრდით და ხელისუფლების განსაკუთრებული პოლიტიკით უნდა აიხსნას.

კიდევ მეტი ითქმის სასწავლო-პედაგოგიური ჯგუფის წიგნების შესახებ. მათი საშუალო ტირაჟი 1917 წლამდე 5200-ის გარშემო მერყეობდა; ომის წინადროინდელ პერიოდში, როდესაც მისი საშუალო ტირაჟისათვის 1911 წლის გამოცემები სარეკორდოდ ითვლებოდა, ის შეადგენდა 6855-ს, ხოლო 1925 წელს 7244-ში გამოიხატა, რითაც მნიშვნელოვანად გადააჭარბა ყველა წინადროინდელ საშუალოს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რევოლიუციამდე ამ ჯგუფის უმთავრესი ნაწილი პირველი საფეხურის სკოლებისათვის დანიშნული სახელმძღვანელოებისაგან შესდგებოდა და ისიც მხოლოდ სამშობლო ენის საგანზედ. ჯერ კიდევ 1908, 1911 და 1914 წლებშიაც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ამგვარ წიგნებს 20 და 30 ათას ექვშემპლაირის რაოდენობით სცემდა თითოეულ შემთხვევაში²⁾. უკანასკნელ პერიოდში კი ამ დანიშნულების წიგნმა დიდ შედეგებს ჯერ კიდევ 1924 წელს მიაღწია, როდესაც გამოიცა 75,000 ტირაჟიანი წიგნი „სინათლისაკენ“ (ანბანი)³⁾.

1) როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, საქართველოს წიგნის პალატა ჯერ-ჯერობით მხოლოდ ბიბლიოგრაფიულის აღნუსხვით კმაყოფილდება და სტატისტიკური ცნობების დამუშავებას ასე ფართოდ არ აწარმოებს და ასეთს არც აქვეყნებს. როგორც ამ, ისე დანარჩენ ქვემოლ მოყვანილ ცხრილებსათვის, მასალები ჩვენ მიერაა დამუშავებული, ყოველ სახელწოდებაზე ცალკე ბარათების შეესების და შემდეგ სასურველი ჩითხვის მიხედვით მათი დაჯგუფების გზით. ამ შემთხვევაში ჩვენთვის წყაროს წარმოადგენდა წიგნის პალატის ორგანო „წიგნის მატრიანე“ № 1. 1926 წ.

2) ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზ. ანგარიშები: 1908 წლ გვ. 26; 1912 წლის გვ. 67; 1914 წლის გვ. 250. იხ. „წიგნის ბეჭდვის ანგარიშები“ ი ა კ ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს „ღუფა-ენია“, „ბუნების კარის“ და სხვათა გამოცემის შესახებ. იქვე გვ. 250—260.

3) „წიგნის მეგობარი“ № 1—2. გვ. 137; აგრეთვე „წიგნის მატრიანე“ № 1. 1924 წლის გამოცემების სასწ.-პედ. განყოფილება.

ასე დიდი ტირაჟი ქართულ წიგნს მანამდე მთელი თავისი ისტორიის სიგრძეზე არ ახსოვს.

რევოლუციის დროიდან ამ ჯგუფის მთლიანი განვითარებისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ მას შემდეგ რაც ჩვენში ყოველგვარი სასწავლო-პედაგოგიური წიგნები ქართულად გამოიქცემიან, გაიზარდა მათში საშუალო და უმაღლეს სასწავლებელთათვის დანიშნულ წიგნთა მონაწილეობაც.

ცხრილი № 3

1925 წლის გამოცემათა საერთო და საშუალო ტირაჟი სოციალური დანიშნულების ჯგუფთა მიხედვით

№-ს რიგზე	სოციალური დანიშნულების ჯგუფთა დასახელება	სახელწოდება რაოდენობა	საერთო ტირაჟი	საშუალო ტირაჟი
1	სამეცნიერო ლიტერატურა	35	40120	1154
2	პოლიტიკური და სააგიტ. დანიშნულების ლიტერ.	76	237150	3120
3	სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურა	124	901860	7244
4	სამეცნიერო-პოპულიარული (სახალხო) წიგნები	185	779100	4211
5	დოკუმენტები და უწყებათა ანგარიშები	116	136690	1177
6	საცნობარო ლიტერატურა	19	47130	2496
7	სიტყვაკაზმული (ბელეტრისტ.) მწერლობა	60	127850	2169
8	საბავშვო მწერლობა	22	135200	6115
9	Varia	13	26660	2051
ჯ ა მ ი		650	2432360	37121 ¹⁾

თვალსაჩინო განვითარების ნიშნის მატარებელი შეიქნა აგრეთვე მეცნიერულ-პოპულიარული (სახალხო) წიგნების ჯგუფი, რომლის საშუალო ტირაჟი 1900—1917 წლებში 1400-დან 2500-მდე ირყეოდა და რომელმაც 1925 წელს უკვე 4211-ს მიაღწია, ე. ი. 41⁰/₁₀₀-ით გაიზარდა.

ასეთივე განვითარება ახასიათებს საბავშვო წიგნების საშუალო ტირაჟსაც. ის წინა ხანებში ორ ათასამდე იშვიათად ასულა, 1925 წელს კი ექვს ათას ცალს გასცილდა.

1) საერთო საშუალო ტირაჟი.

როგორც სამეცნიერო, ისე ბელეტრისტიკის ჯგუფები საშუალო ტირაჟის მხრივ თითქმის სტაციონარულ მდგომარეობას განიცდიან.

ქართული წიგნის როგორც სხვადასხვა სოციალური დანიშნულების ჯგუფთა შესახებ, ისე საერთო პროდუქციის ღირებულების შესახებ ცნობები ჯერ კიდევ არ მუშავდება სათანადო ორგანოს მიერ. არც წინაღ მუშავდებოდა.

მართალია, ზოგ თანამედროვე და ძველ გამომცემლებს აქვთ ასეთი ცნობები, მაგრამ იმათ საფუძველზე თუგინდ დაახლოებითი ღირებულების გამოანგარიშება საფრთხილოდ მივიჩნით, რადგან სხვადასხვა გამომცემლობათა როგორც წმინდა მეურნეული, ისე საკუთრად მიზნობრივი შედეგები სხვადასხვა სახით იხატება წიგნის თვითღირებულების თუ შეფასების საკითხში.

ცხრილი № 4

1925 წლის განმავლობაში გამოცემული ქართული წიგნის პროდუქციის საერთო და საშუალო ნომინალური ღირებულება სოციალური დანიშნულების ჯგუფთა მიხედვით

№ რიგზე	სოციალური ჯგუფები	ჯამში საშუალოდ მიჩნეული ერთი სახელწოდების ნომინალური ღირებულება		სოციალ. ჯგუფის საერთო ნომინალური ღირებულება	ი.ფ.ი. ჯამთან
		მან.	კაპ.		
1	სამეცნიერო დანიშნ. ლიტერატურა	1	97,5	79000	5,7
2	პოლიტიკური და სააგიტაციო ლიტ.	—	42,3	100000	7,3
3	სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატ.	—	79,9	720000	52,3
4	მეცნიერულ-პოპულიარული ლიტერ.	—	19,8	155000	11,2
5	დოკუმენტები და უწყებათა ანგარიშ.	—	57,7	79000	5,7
6	საცნობარო ლიტერატურა	—	61,7	29000	2,1
7	სიტყვა-კაზმული მწერლობა	1	10,9	142000	10,4
8	საბავშვო წიგნები	—	25,9	35000	2,6
9	Varia	1	33,3	36000	2,7
ჯ ა მ ი			80,9 1)	1361000	100

1. საერთო საშუალო ნომინალური ღირებულება.

ყველა გამომცემლობათა მთლიანი პროდუქციის ბიბლიოგრაფია თითოეული სახელწოდებისათვის ფასებას აღნიშვნით მხოლოდ 1925 წლიდან მოგვეპოება «წიგნის მათიანეს» № 1-ში. ძნელად დასაძლევ პირობების გამო ჩვენ მხოლოდ 1925 წლის მასალების დამუშავება შევძელით¹⁾ (იხ. ცხრილი № 4, გვ. 286).

როგორც ამ ცხრილიდან სჩანს, მეცნიერული შინაარსის ჯგუფი საშუალოდ ყველა სხვა ჯგუფების წიგნზე მეტად ღირებულა, — 1 მან. და 97,5 კაპეკი, რაც მისი მცირე ტირაჟიანობით, უმეტეს შემთხვევაში სქელ ტანიანობით და ნაწილობრივ საავტორო ჰონორარის შედარებითი სადიდით უნდა აიხსნას. ამ ჯგუფს საერთოდ რელიზაციის ნელი ტემპი ახასიათებს, მაგრამ ამავე დროს მისი გაფასებაც (მაკულატურად ქცევა) იშვიათად და ისიც ძლიერ გვიან ხდება.²⁾

საშუალო ღირებულების სიდიდის მიხედვით მეორე ადგილს იკავებს *Varia* (1 მან. და 33,3 კაპ.) და შემდეგ სიტყვაკაზმული ლიტერატურა (ბელეტრისტიკა), რომლის საშუალო ღირებულება³⁾ 1 მან. 10,9 კაპ. უდრის.

ყველაზე იაფფასიანია საერთოდ პოპულიარული (სახალხო) და საბავშვო წიგნები. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც გამომცემლობანი, ისე საზოგადოება და სახელმწიფო ამ ჯგუფს ამჟამად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, რისი შედეგიც არაის ამ დარგში ასეთვალსაჩინო მიღწევები, რაიც ნაწილობრივ ზემოდაც დაეინახეთ.

სასწავლო-პედაგოგიური წიგნების საშუალო ღირებულება უდრის 79,9 კაპეკს. აქ საინტერესოა ზოგიერთი პარალელი, თუმცა, როგორც ზემოდ აღენიშნეთ, საამისო ცნობები მთლად სწორი შედარების მოხდენის შესაძლებლობას არ იძლევა.

ომის წინადროინდელი საფასით იმ რუსული სახელმძღვანელოების საშუალო ღირებულება, რომლებიც ჩვენში დღევანდელი ქართული სასწავლო წიგნების მაგიერობასა სწევდა, უდრიდა 77,6 კაპ. ³⁾, ხოლო ქართული სახელმძღვანელოები იმავე დროისა (მხედველობაში

1) დამუშავებულია იმავე წესით, როგორც ზემოდ აღენიშნეთ: იმ წიგნებს რომელთაც ფასი არ ესვა, მათი ფორმატის მიხედვით საშუალოდ მიღებულ ნომინალურ ღირებულებას ვაკუთვინებდით.

2) ლაპარაკია ყველგან მხოლოდ ნომინალურ ღირებულებაზე.

3) М. Воронков, советский учебник (იხ. жур. „Народное Просвещение“ № 8—9 1927).

გვაქვს უმთავრესად პიველდაწყებითი ანბანის წიგნები, როგორც, (მაგ., «დედა-ენა» და სხვ.) დაახლოებით ღირდა საშუალოდ 78—79 კაპ. 1). დღევანდელი რუსული სახელმძღვანელოს საშუალო ღირებულება 1926 წლისთვის უკვე 67,2 კაპეიკამდე იქნა დაყვანილი 2).

მაშასადამე, ვლებულობთ ასეთ სურათს:

ღირდა საშუალოდ ქართული სახელმძღვანელო

1914 წელს—78—79 კაპ.

1925 „ —79,9 კაპ.

ღირდა საშუალოდ რუსული სახელმძღვანელო

1913 წელს—77,6 კაპ.

1926 „ —67,2 კაპ.

ვიმეორებ, ეს შედარება ფრიად რელატიურია 3), მაგრამ თუ ზემოდ გათვალისწინებულ პირობებს მხედველობაში მივიღებთ და აგრეთვე ფულის ომის წინადროინდელ და დღევანდელ მსყიდველობით უნარიანობასაც არ დავივიწყებთ, მაშინ, გვგონია, ეს ცნობები განსაზღვრულ დასკვნებს იძლევა.

1) ქართული სახელმძღვანელოების ომის წინადროინდელი საშუალო ნომინალური ღირებულება გამოანგარიშებული გვაქვს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ „წიგნის ბეჭდვის“ ანგარიშების მიხედვით: ჩვენ მიერ აღე-ულია სულ ხუთი სახელწოდება, 1914 წელს გამოცემული, ფორმით in 8⁰ და 335 ბევრადი საშუალოდ. ამათი თვითღირებულება დაახლოებით უდრიდა in 33 კაპეიკს (ერთ ეკზემპლ. წიგნზე), ხოლო დაედვა გასაყიდი ფასი (საშუალოდ) 66 კაპ. ამრიგად, ჩვენ მიერ მიღებული საშუალო უფრო მრავალრიცხოვანი მოთხოვნილების მქონე სახელმძღვანელოებს შეეხება, ოპოქელთა საშუალო ტირაჟი 15.400-ს სცილდებოდა. იმავე დროის ქართული სასწავლო წიგნების მთელი წლის საერთო პროდუქციის საშუალო ტირაჟად თუ 5200 მივიჩნევთ (იხ. ზემოდ ცხრილი), მაშინ, პროდუქციის ღირებულებაზე ტირაჟის გავლენის საერთო წყის თანახმად გამოანგარიშებით, ამ ხნის (1914 წ) ქართული სასწავლო წიგნების საშუალო ფასი რუსულისას ბევრად არ სკარბობს და დაახლოებით 78—79 კაპეიკამდე აღწევს.

2) М. В о р о н к о в, ხსენებული წერილი; ამავე დროს თუ მხედველობაში მივიღებთ ფულის მსყიდველობით უნარში მომდარ ცვლილებას, მაშინ გაიათება კიდევ უფრო ნათელი შეიქნება.

3) რუსული სახელმძღვანელოების საერთო და საშუალო ტირაჟი, როგორც წინად (1913 წელს გამოიცა 16.720.000 ეკზემპლიარი), ისე ამჟამადაც (1926 წელს გამოიცა 16,654.000 ეკზემპლ.) იმდენად დიდია, რომ ძლიერ გავლენას ახდენს წიგნის ღირებულებაზე (იხ. საკავშირო წიგნის პალატის წლიური ანგარიშები 1922 26 წ.წ.).

რაც შეეხება საერთო ღირებულების საკითხს, სასწავლო-პედაგოგიური ჯგუფი ქართული წიგნის (1925 წლის) მთელი პროდუქციის 52,30%-ს შეადგენს, რომლის შემდეგ ადგილს მეცნიერულ-პოპულარული (11,20%) და მესამე ადგილს—სიტყუაკაზმული მწერლობა (10,40%) იკავებს. შემდეგ მოდის პოლიტიკურ-სააგიტაციო (7,30%), მეცნიერული დანიშნულების (5,80%) და სხვა ჯგუფები.

1925 წ. ქართული ბექდვითი სიტყვის მთლიანი პროდუქციის საერთო ნომინალური ღირებულების მისაღებად საჭიროა ზემოდ მოყვანილ ცხრილს კიდევ მივუმატოთ ამავე წელს გამოცემული¹⁾:

გრაფიული ნაწარმოები 29 სახელწოდების— 25.000 მან.

პერიოდული გამოცემანი:

1) ჟურნალები 49 სახელწოდების 350.000 მან.

2) გაზეთები 17 სახელწოდების 700.000 მან.

სულ 1.050.000 მანეთის

ნომინ. ღირებულებისა.

ამრიგად, 1925 წლის ქართული ბექდვითი სიტყვის მთელი პროდუქციის ნომინალური ღირებულება დაახლოებით 2½ მილიონამდე აღწევს. აქედან 57 %-ს შეადგენენ ერთდროული გამოცემანი²⁾ და 43%-ს—პერიოდული.

წიგნის საგამომცემლო-საწარმოო აპარატის შესახებ ასე თუ ისე სრული ცნობები ისევ მხოლოდ 1925 წლისა მოგვეპოვება. მიუხედავად ამისა, გვგონია, რომ ის იძლევა ამ მხრივ ზოგიერთ ფრიად საინტერესო და დამახასიათებელ ნიშნებს (იხ. ცხრილი № 5, გვ. 250).

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან სჩანს, 1925 წელს გამოცემული წიგნებიდან 425 სახელწოდება ინდივიდუალური შრომებისგან შესდგება, ხოლო დანარჩენი—225 სახელწოდება—კოლექტიურ³⁾ ავტორთა ნაშრომი.

1) გრაფიულ და პერიოდულ გამოცემათა საერთო ნომინ. ღირებულება იმავე წესითაა დამუშავებული „წიგნის მატრიანდან“, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ.

2) გრაფიული გამოცემანი შეადგენენ მთლიანი პროდუქციის ერთ პროცენტს, რომელიც ჩარიცხულია ერთდროულში.

3) აღსანიშნავია, რომ თვით „სახელგამი“ უკანასკნელ დრომდე არ აწარმოებდა და თავისი პროდუქციის სტატისტიკას და, მაშასადამე, ღირებულების ზრდის საკითხის შესწავლას. ამიტომ მის მოღვაწეობაში ხშირად არა სასიამოვნო მოვლენებს ჰქონდა ადგილი. ასე, მაგალითად, 1927 წელს ს. პ. კ. საბჭოს დარბაზში ოქტომბრის ათი წლის თავზე გამართულ გამოფენაში „სახელგამს“ თავისი დიაგრამები პროდუქციის ღირებულების შესახებ ჰქონდა წარმოდგენილი როგორც „საგამომცემლო გეგმის ღირებულება 1922 1923, 1923 1924, 1924/1925, 1925/1926 და 1926—1927

1925 წ. განმავლობაში გამოცემული წიგნების დანაწილება გამოცემლობათა, სტამბებისა, გამოცემის ადგი-
ლისა და სოციალური დანიშნულების მიხედვით

№№ სივრცე	სოციალური დანი- შნულების კავუ- ფები	აქტი- როი	გამოც- ადგილი	გამომცემლობანი											სტამბები											
				ტფილისი ქუთაისი სხვადასხვა	„სახელგამი“ „შრომა“ ს.პ.კ.ს „საბჭ. კავკასიონი“ „ცეკვეშირი“ სამხედრო უწყ. პარტ. ორგანიზ. ოფიც. და მთავრობ. სამეურნ. ორგანიზ. უცნობი სხვადასხვა	ქაიხურაფ- ტრესტის	I სტამბა II სტამბა III სტამბა IV სტამბა	„ზარია ვოსტოკისი“ სამხ. კომისარ. პოლიგრაფსკოლა	ცეკვეშირის ადგ.მეურ. ქუთაისში უცნობი სხვადასხვა																	
1	სამეცნიერო	25	10	35	—	4	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—		
2	პოლიტ.-სააგიატაციო	53	23	74	—	8	—	3	—	5	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	
3	სასწავლო-პედაგოგ.	69	55	113	11	66	6	—	3	4	4	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	
4	სამეცნ.-პოპულარიზ.	131	4	179	6	6	1	118	3	5	3	—	—	2	47	6	8	3	19	130	3	4	5	5	2	
5	დოკუმ. და უწყ. ანგ-შები	12	104	108	1	13	2	11	6	10	30	41	—	—	3	12	13	5	10	13	14	13	12	1	17	
6	საინფორმაციო	5	14	18	1	—	—	—	1	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	
7	სოციალ-ეკონომიკური	58	2	54	5	—	—	—	2	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	
8	საბავშვო	13	9	22	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	
9	Varia	9	4	13	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	
	სულ	125	225	616	241	100	27	127	20	25	24	32	53	63	179	83	73	36	75	189	60	30	25	22	40	17
		1925 წ. I-X-სათვის მუშა-მოსამუშაო. რაოდენ. სტამბაში											169	104	128	67	201	113	78	28	—	—	—			
		მათი პროდუქციული (აჭყობის, დაბეჭდვის და აკინძვის ღირებულება) 1925/26 სათავისათ. წელს.											909.416 მან.		244.740 მ.	94.862 მ.	შ.პ./ტ.სტ.	43.825 მ.	—	—	—					

გამომცემლობათა მიხედვით ყველაზე პროდუქტიული „სახელგამია“. მართალია, „საბჭოთა კავკასიონის“ გამოცემათა რიცხვი აბსოლუტურად პირველისას აღემატება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ „საბჭოთა კავკასიონის“ გამოცემები უმთავრესად პატარა ტანიან და იაფფასიან წიგნებისაგან შესდგება („საბჭოთა კავკასიონის“ მთელი 1925 წლის განმავლობაში სცემდა „გლეხის ბიბლიოთეკას“, რომლის საშუალო ღირებულება, როგორც ზემოდ იყო ნაჩვენები, უდრის 19,7 კაპეიკს; ჩათვლილია სამეცნ. პოპულ. ჯგუფში.), ასე რომ პროდუქციის ღირებულების მხრივ პირველი ადგილი უთუოდ ეკუთვნის „სახელგამს“. ეს უქანასქნელი გარემოება შემდეგ წლებში უფრო თვალსაჩინოდ გამოიხატა „სახელგამის“ სასარგებლოდ. „სახელგამის“ ხვედრითი წონა ქართული წიგნის საერთო პროდუქციაში თანდათან უფრო იზრდება.

„სახელმწიფო გამომცემლობის“ შემდეგ მიდიან სხვადასხვა სამეურნეო და წმინდა საგამომცემლო ორგანიზაციები („შრომა“, „ეკავშირი“, პარტ. ორგანიზაციები და სხვა).


სტამბების ეხრივ აღებულ წელს (1925) ყველაზე პროდუქტიულია „ზარია ვოსტოკას“ სტამბა, რომლის შემდეგ ადგილს იკავებს პოლიგრაფტრესტის სტამბები. აღსანიშნავია, რომ პოლიგრაფტრესტის ხელში თანდათან თავს იყრის ადგილობრივი სტამბები, რითაც საფუძველი ეყრება პოლიგრაფიული მრეწველობის გაერთიანებას, რასაც თავის მხრივ შეუძლია ბევრი ტექნიკური გაუმჯობესებანი შეიტანოს ამ საქმეში, თუ კი მისი საქმიანობა გეგმაზეწონილად იქნება წარმართული. პოლიგრაფტრესტს თავის დარგში კიდევაც აქვს ზოგი გაუმჯობესება შეტანილი. მისი ინიციატივით 1925 წელს გაიხსნა პოლიგრაფიული სკოლა, სადაც ამ წარმოებისათვის გამოსადეგ კვალიფიციურ მუშა ხელს ამზადებენ. პოლიგრაფტრესტმა ზოგი გაუმჯობესება შეიტანა აგრეთვე ქართულ შრიფტში, მაგრამ ამ დარგში კიდევ მეტი გაუმჯობესებაა საჭირო, რისთვისაც სათანადო მზადება სწარმოებს კიდევ.

ყველა ზემოდ მოყვანილი ცნობა, ვფიქრობთ, საკმაოდ ნათლად გვაყენებს თვალწინ ქართული წიგნის საქმის მდგომარეობას. დღეს

წლებისა“. ამრიგად, 1927 წელს წინა წლების „საგამომცემლო გეგმის“ გამოფენა მხოლოდ გაუგებრობით თუ შეიძლება აიხსნას, ვინაიდან წარსული წლების გეგმა თუ სისრულეშია მოყვანილი, ის უკვე გეგმა კი არა, სინამდვილეა, ფაქტია და ასეთად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ხოლო თუ შესრულებული არ არის, მაშინ ის არც გეგმად ჩაითვლება, რადგან მის შესასრულებლად უკვე გასული წლების უკან გამობრუნება შეუძლებელია.

მას, თამამად შეიძლება ითქვას, უკირავს თვალსაჩინო ადგილი ჩვენს სახალხო-მეურნეობაში. ჯერ კიდევ 1925 წლის გამოცემათა საერთო ღირებულება 2.436 ათას მანეთში გამოიხატა. მას შემდეგ ქართული წიგნი კიდევ უფრო წინ წავიდა; მისი პროდუქციის ღირებულება თანდათან უფრო და უფრო იზრდება. მარტო 1925 წელს გამოცემულ წიგნთა საერთო ტირაჟი 2,4 მილიონს აღწევს, ხოლო 1927 წ. 2,5 მილიონზე მეტია. ამას რომ პერიოდულ გამოცემათა ტირაჟიც მიეუმატოთ, ასტრონომიულ ციფრებს მივიღებთ.

ასე, მაგალითად, მთავარი ქართული გაზეთი „კომუნისტი“-ს საშუალო დღიური ტირაჟი თუ 1921 წელს 3500-მდე აღწევდა, 1925 წლის განმავლობაში ის 20 ათასს სცილდება, ხოლო მიმდინარე, 1929 წელს 40 ათასამდე აღწევს (იხ. დიაგრამა № 1. ¹⁾).




„კომუნისტი“-ს საშუალო დღიური ტირაჟის ზრდა წლების მიხედვით.

იმევე გაზეთის წლიური ტირაჟის ზრდა პირდაპირ განსაცვიფრებელია: თუ რომ 1921 წელს „კომუნისტის“ წლიური ტირაჟი 868.896-ში გამოიხატა, იგივე ტირაჟი 1925 წლის განმავლობაში

¹⁾ ცნობა ამოღებულია გაზ. „კომუნისტის“ 1929 წლის № 100-დან.

უკვე ექვს მილიონს სცილდება, ხოლო 1929 წელს¹⁾ კი ათ მილიონამდე აღწევს (იხ. დიაგრამა № 2)



„კომუნისტი“-ს წლიური ტირაჟის ზრდა

ამრიგად, ქართული წიგნის ბაზარს აწყვება ჯერ მისთვის უხსოვარი რაოდენობის პროდუქცია, რომელიც თანდათან მოზარდ ტენდენციას იჩენს. მიუხედავად ამისა, ქართული წიგნის ბაზრის კო-
¹⁾ 1929 წლის ტირაჟი ნაანგარიშგებია 30 აპრილამდე.

ნიუნქტურის შესწავლის საქმე ჯერ კიდევ ვერ არის ჯეროვანად დაყენებული. საგამომცემლო ორგანოები არ სწავლობენ წიგნის ბაზარს და, ამგვარად, ეს უამრავი ნაწარმოები რელიზაციის მხრივ საბაზრო სტიქიაზეა მიხედობილი ¹⁾.

ამრიგად, სტამბიდან ბაზარზე გასვლის შემდეგ წიგნის ბედი გამომცემლობამ არ იცის, არიცის, ამა თუ იმ სახელწოდების კიდევ რამდენი ცალია გაუსაღებლად დარჩენილი; შეიძლება ის უკვე ხელმეორედაც გამოსაცემია, რასაც მხოლოდ მაშინ გაიგვებს, როცა ეს გვიან იქნება ²⁾. სხვათა შორის ეს არის მიზეზი რომ, ჩვენში ზოგი სახელმძღვანელო წიგნები ივლისისა და აგვისტოს ნაცვლად დეკემბერსა და იანვარში და ხან კიდევ უფრო გვიანაც გამოიცემა.

საკიროა, აღნიშნულ გარემოებას სათანადო ორგანოებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ, ვინაიდან ამას შეიძლება თვალსაჩინო გაუმჯობესება მოჰყვეს წიგნის მეურნეობაში.

¹⁾ როგორც ვეროპის ქვეყნებში, ისე რუსეთშიაც არსებობს სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც დიდ ინტერესს იჩენენ წიგნის რელიზაციის საკითხის მიმართ, აგრეთვე ყოველ ცოტად თუ ბევრად შეძლებულ და ცნობილ გამომცემლობას და წიგნით სავაჭრო ორგანიზაციას აქვს სტატისტიკური თუ ეკონომიური განყოფილება, რომელიც სწავლობს და აღრიცხავს ყოველგვარ მოვლენას, რომელიც ასე თუ ისე გავლენას ახდენს წიგნის საქმეზე (რელიზაციის თუ სხვა მხრივ). არსებობენ სპეციალური სასწავლებლები, სადაც ამზადებენ წიგნის საქმეში მომუშავეთა კადრებს. გამომცემელნი სცემენ ყოველკვირეულ, თვიურ თუ წლიურ კატალოგებს, რომლებიც უფასოდ ურიგდება მსურველთ და დაინტერესებულთ. საერთოდ წიგნის რაციონალური რეკლამა დაპოკიდებულია ხანგრძლივ დაკვირვება-შესწავლაზე.

ამ მხრივ საბჭოთა კავშირში პირველ ადგილზე რ. მ. ფ. ს. რ-ის „სახელგამი“ სდგას, რომლის სტატისტიკურ-ეკონომიურ განყოფილებაში, — როგორც სამმართველოში, ისე ცალკე სექტორებში — 20-ზე მეტი კაცი მუშაობს და სადაც ყოველთვის ბოლოს „სახელგამის“ სარედაქციო კოლეგიას თუ სხვა დაინტერესებულ პირსა და განყოფილებას შეუძლია სისწორით გაიგოს, თუ რამდენი ეჭვმპლიარი მოიპოვება ამა თუ იმ სახელწოდების წიგნისა, რომელიც რამდენიმე თვის ან წლის წინად გამოცემულა ათეულ ათას ეჭვმპლიარის რაოდენობით და დაფანტულია საბჭოთა კავშირის სხვადასხვა შორეულ კუთხეებში. გარდა კატალოგებისა რ. მ. ფ. ს. რ. „სახელგამი“ სცემს აგრეთვე ბიულეტენსაც, სადაც მოთავსებულია როგორც სტატისტიკური ცნობები, ისე წერილები და შენიშვნები წიგნის საქმის სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე. აქვე არის უცხოეთის განყოფილება, სადაც მოთავსებულია ცნობები ვეროპის და ამერიკის საგამომცემლო და წიგნთ სავაჭრო საქმეში მომხდარ ახალ და მნიშვნელოვან მოვლენებზე. დასასრულ მოცემულია წიგნის საქმისა და ლიტერატურის ქრონიკა და სხვა.

²⁾ როდესაც წიგნის რელიზაციის სისწრაფე ჩვენთვის სისწორით არ არის გამოარკვეული, მაშინ არც წიგნის კალკულიაციის საქმის ნორმალურად მოწყობა არის შესაძლებელი. ის მხოლოდ დაახლოებითი და საეჭვო იქნება.

ჩვენში არსებობს „წიგნის პალატა“, მაგრამ ის ჯერ ახალგაზრდა ორგანიზაციაა, მას აკლია სათანადო პრაქტიკა-გამოცდილება. სასურველია და წიგნის საქმისათვისაც დიდად სასარგებლო, რომ წიგნის პალატამ, გარდა ბიბლიოგრაფიისა, წიგნის წარმოება—გავრცელების სტატისტიკურ მხარესაც მიაქციოს სათანადო ყურადღება, რათა ეს გამომცემელთაგან უყურადღებოდ მიტოვებული საკითხი მის მიერ პრაქტიკაში წამოყენებული მაინც შეიქნას.

„საქართველოს წიგნის პალატა“ დაარსდა 1924 წლის დასაწყისს. იგი შეიცავს სამ განყოფილებას: ა) რეგისტრაციისა, ბ) არქივისა და გ) რედაქციისა.

1) რეგისტრაციის განყოფილება აღნუსხავს ბექდვითი სიტყვის ნაწარმოების სრულ პროდუქციას. ამ მიზნისთვის წიგნის პალატას, მთავრობის სათანადო დადგენილების თანახმად, ეგზავნება ყოველგვარი გამოცემის (წიგნი, ჟურნალი, გაზეთი, ნოტები, რუქა, დიაგრამა, ფურცლები, სურათები, ყოველნაირი გრაფიკა და სხვ.) განსაზღვრული რაოდენობის სავალდებულო ეკზემპლარი.

მის მიერ მიღებულ ეკზემპლიარებს წიგნის პალატა ანაწილებს ადგილობრივ სამეცნიერო დანიშნულების წიგნთსაცავებს შორის და აგრეთვე უგზავნის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკის წიგნთსაცავებს (მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, კიევში, ოდესაში, ეკატერინოსლავში, აზერბეიჯანში, სომხეთში, ბელორუსიაში, უზბეკისტანში, თურქმენთა რესპუბლიკაში), რის სანაცვლოდ იმ რესპუბლიკებიდან ყოველი გამოცემის სავალდებულო ეკზემპლიარს ღებულობს „საქართველოს სახელმწიფო საჯარო წიგნთსაცავი.“

სარეგისტრაციო განყოფილებასთან წიგნის პალატას მოწყობილი აქვს საკონტროლო აპარატი, რომელიც თვალყურს ადევნებს პოლიგრაფიულ საწარმოთა, რათა უკანასკნელებმა წესიერად უგზავნონ წიგნის პალატას ყოველგვარი ბექდვითი სიტყვის ნაწარმოები.

2) მეორე განყოფილება—არქივისა და ბიბლიოთეკისა—ინახავს გამოცემათა იმ ცალებს, რომელიც წიგნის პალატას გაუგზავნელი რჩება და არქივსა და ბიბლიოთეკის წესისამებრ მოჰყავს ისინი სისტემაში.

3) მესამე და მთავარი განყოფილება—სარედაქციო—პირველ ყოვლისა ამუშავებს იმ ცალებს, რომლებიც მას რჩება არქივში დასაცავად: იგი სქენოგრაფიულად (დაახლოებით სრულად) აღწერს გამოცემას მისი ობექტიური ნიშნის მიხედვით (აღნიშნავს, თუ კი მოიპოება, თითოეულის განსაკუთრებულ ნიშნებს) შემდეგ ამისა ყოველ ამრიგად მიღებულ ბიბლიოგრაფიულ ბარათს უსვამს ბრიუსელის საერთაშორისო ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტის მიერ მიღებულ ათწი-

ლადი (დეციმალური) სისტემით შემუშავებულ საინდექსო შიფრს, ე. ი. ინდექსს. ბოლოს ეს ბარათები ნაწილდება სოციალური დანიშნულების მიხედვით ცალცალკე განყოფილებად, ეწყობა ანბანის რიგზე და იბეჭდება ცალკე კრებულებად „წიგნის მატრიანეში.“

„წიგნის მატრიანეს,“ ე. ი. საქართველოს ტერიტორიაზე ყოველნაირი ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა (მათ შორის უმთავრესად ქართულის) ბიბლიოგრაფიულ ნუსხას, ერთვის ანბანით საძიებელი ავტორების, მთარგმნელების, რედაქტორების და ილიუსტრატორებისა; აგრეთვე სისტემატიური საძიებელი, ათწილადი სისტემით განწყობილი.

ამრიგად, წიგნის პალატა გვევლინება, როგორც მეცნიერული ბიბლიოგრაფიის ორგანო და იმავე დროს ისეთი პრაქტიკული დაწესებულება, რომელიც აძლევს საზოგადოებას ახლად გამოსულ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა შესახებ სრულსა და ზედმიწევნით სწორ ცნობებს¹⁾.

ეს არის, მოკლედ, ის მიზანი, რომელსაც ემსახურება საქართველოს წიგნის პალატა. იგი ფრიად სასარგებლო და მნიშვნელოვანია, მაგრამ, ჩვენის აზრით, საკმარისი არ არის. საჭიროა, რომ წიგნის პალატამ, გარდა ბიბლიოგრაფიისა, მეტი ყურადღება მიაქციოს წიგნის გამოცემისა და გავრცელების საქმეს, — საჭიროა რომ მან გამოარკვიოს ქართული წიგნის მთლიანი პროდუქციის ღირებულება. სხვადასხვა საგამომცემლო და წიგნით საეაქრო ორგანიზაციებთან მკიდრო კავშირის გაბმით მან უნდა შეისწავლოს ქართული წიგნის ბაზრის კონიუნქტურა, აგრეთვე ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობის ნიადაგზე გამოარკვიოს მკითხველთა გემოვნება და მიდრეკილება, რათა ამნაირი ცნობების მიწოდებით ხელი შეუწყოს ჩვენი საგამომცემლო ორგანიზაციების მიერ უფრო გეგმიანი და მიზანშეწონილი საქმის წარმოებას. ყველა ეს უნდა შეასრულოს წიგნის პალატამ, რადგან სხვა საამისო ორგანიზაცია, რომელიც ქართული წიგნის საქმეს სწავლობდეს, ჩვენ არ მოგვეპოება, ხოლო ბეჭდვითი სიტყვის დღევანდელი ვითარება ამას კი აუცილებლად მოითხოვს.

ამას გარდა, აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება რომელსაც დროზე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სამეცნიერო ლიტერატურის ინდექსი. გასულ, 1928 წელს, საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამეცნიერო ლიტერატურის ინდექსის გამოცემის შესახებ,

¹⁾ იხ. „საქართველოს წიგნის პალატა“. (ფურნალი „ჩვენი მეცნიერება“ № 17—18. 1926 წ.)

რისთვისაც მოსკოვში, საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს მიერ უკვე შედგენილია „მუდმივი კომისია“ სხვადასხვა დანტერესებულ უწყებათა და დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან. განზრახულია ინდექსი ყოველგვარი მეცნიერული ლიტერატურისა, რომელიც გამოიყოს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ამავე დროს ლიტერატურა, რომელიც გამოიყოს 1928 წლამდე, მოყვანილი იქნება სახელწოდებათა ჩამოთვლით, ხოლო 1928 წლიდან გამოცემული ლიტერატურა იქნება ანოტაციაქმნილი, ე. ი. ყოველ სახელწოდებას დაერთება შრომის მოკლე შინაარსი. ანოტაციაში იქნება გადმოცემული აზრი იმ ამოცანისა, რომელსაც ისახავს ავტორი, და დასკვნაც, რომელსაც იძლევა მისი შრომა¹⁾.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსული სამეცნიერო ლიტერატურის ინდექსი 1917 წლამდე უკვე შესრულებულია მრავალ ბიბლიოგრაფიულ შრომებში. ზემოხსენებული დადგენალებით კი განზრახულია მისი გაგრძელება²⁾.

ქართულ ლიტერატურაში საკირო ბიბლიოგრაფიული შრომები, შეიძლება ითქვას, სრულიად არა გვაქვს, და ის ნაწყვეტებიც, რომლებიც მოგვეპოება, დღევანდელ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ამ მხრივ სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული ის მასალები, რომლებიც ქართულ პერიოდულ გამოცემებშია გაფანტული. მართალია, გვაქვს „ქართული ბიბლიოგრაფია“ (ყიფშიძის რედაქტორობით პეტერბურგს გამოცემული), სადაც მოყვანილია ცნობები 1910 წლამდე, მაგრამ მას შემდეგ (თუმცა ხსენებული ბიბლიოგრაფიით არც მანამდე არსებული წყაროებია სრულიად ამოწურული) ჩვენს პერიოდიკაში დაგროვილია აუარებელი მასალა, რომლის ადვილად პოვნის შესაძლებლობის შექმნა დიდ დახმარებას გაუწევდა ქართული კულტურისა და ცხოვრების ყოველ მეცნიერულ მკვლევარს.

ეს ნაკლი მით უფრო საგრძნობია, რომ ბევრ მეცნიერულ შრომას ცალკე წიგნად გამოსვლა არ ღირსებია,—და ჟურნალ-გაზეთებშია ჩამარხული. ეს ითქმის განსაკუთრებით საზოგადოებრივი და ეკონო-

¹⁾ იხ. ჟურ. „Печать и революция“, кн. седьмая. 1928. стр. 159.

²⁾ მარტო 1928 წლის რუს. სამეცნიერო ლიტერატურის ინდექსის გამოცემა ხსენებული კომისიის გეგმით, რომელმაც მუშაობა უკვე დაიწყო, ნეკარადღეოა 4 ტომად, რომელთაგან ერთში შევა საზოგადოებრივი და ეკონომიური დისციპლინები, მეორეში — ბუნებისმეტყველება და ზუსტი მეცნიერებანი, მესამეში — მედიცინა და მეოთხეში — ტექნიკა. ამავე დროს სასოფლო მეურნეობა დანაწილდება ბუნებისმეტყველებისა, ტექნიკისა და საზოგადოებრივ დისციპლინათა ტომებში. თითოეულ ტომს ჰყავს თავისი რედაქტორი სპეციალისტი.

მიური დარგის წერილებისა და მონოგრაფიების შესახებ, მით უფრო, რომ ეს აღნიშნულ „ქართულ ბიბლიოგრაფიაშიაც“ არ არის შესული.

მოკლედ: საჭიროა ქართული სამეცნიერო ლიტერატურის მთლიანი ინდექსი, ურომლისობა დღეს ატყვია თითქმის ყოველ ქართულ მეცნიერულ შრომას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის (განსაკუთრებით) სოციალ-ეკონომიური ცხოვრების სხვადასხვა სპეციალური საკითხების შესწავლას. ამ საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს უპირველეს ყოვლისა საქართველოს წიგნის პალატამ, ხოლო განათლების სახალხო კომისარიატმა მას საჭირო ღონისძიებანი უნდა გამოუწახოს.

დასასრულ, არ შეგვიძლია არ შევჩერდეთ ქართული ბეჭდვით ნაწარმოებთა არქივის საკითხზედაც. ცნობილია ის გარემოება, რომ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების უმეტესი ნაწილი დროთა ვითარებაში ძველდება; ძველდება როგორც პერიოდიკა ისე ერთდროული გამოცემებიც. ბეჭდვითი ნაწარმოების მხოლოდ რჩეული და უმცირესი ნაწილი შეინარჩუნებს თვისებას, რათა შემდეგი თაობანი მიიზიდოს საკითხავად.

რევოლიუცია აჩქარებს ხოლმე წიგნის ხმარებიდან გასვლის პროცესს. უკანასკნელ გარემოებას მოჰყვა ის შედეგი, რომ დიდი რაოდენობა წიგნებისა, რომლებიც რევოლიუციის წინა დროში გამოიცა, უკვე „ყოფილ წიგნებად“ გადაიქცა. მიუხედავად ამისა თუმცა ეს წიგნები უკვე გამოსულია ფართე მოსახლეობის მოხმარების წრიდან, მაგრამ ისინი მაინც წარმოადგენენ ისტორიულ ღირებულებას და ამიტომაც უნდა შენახულ იქნენ როგორც ბეჭდვითი ნაწარმოების საარქივო მასალები.

„ყოფილი წიგნების“ ეს სიმდიდრე სრულებით არ წარმოადგენს საბჭოთა წყობილებისათვის ისეთსავე საშიშროებას, როგორც იყო რევოლიუციონური ლიტერატურა მეფის ხელისუფლებისათვის. რუსეთში საბიბლიოთეკო საქმის ხელმძღვანელი მ. სმუშკოვა სწერს:

„ნუ დავივიწყებთ, რომ ბიბლიოთეკებიდან უვარგისი წიგნების ამოღება სრულებით არ. წარმოადგენს საპოლიციო ღონისძიებას რომელსაც მიზნად აქვს ოპოზიციონური ლიტერატურის მოსპობა“¹⁾. ერთის სიტყვით საჭიროა ამ „დრომოქმული წიგნების“ ყოველშემთხვევაში საკმაო ეკზემპლიართა რაოდენობით ემაინც არქივში დაგროვება, რათა ისინი არ დაიფანტონ.

¹⁾ იხ. Сборник статей по библиотечной работе, под редакц. Н. К. Крупской, вып. 2. „Красная Новь“ 1923. Москва стр. 21.

ჩვენ ასეთი არქივი უკვე გვაქვს. ის „საქართველოს ცენტრარქივის“ განყოფილებას წარმოადგენს. ბექდვითი ნაწარმოების არქივის დაარსება სულ რამდენიმე წლის წინად მოხდა და ეს გარემოება ცოტა არ იყოს თავის დროზე ხელს უშლიდა, — როგორც ამ არქივის ხელმძღვანელი გადმოგვცემს, — ჩენი ბიბლიოთეკების ეგრეთწოდებული „გაწმენდის“ (ე. ი. წიგნთა შემადგენლობის გადასინჯვის) მიზანშეწონილ ორგანიზაციას¹⁾.

ამრიგად, საჭიროა სახელდახელო ბიბლიოთეკებიდან „განდევნილი“ წიგნების თავმოყრა არქივში, ხოლო აკადემიური დანიშნულების ბიბლიოთეკებში, როგორც, მაგალითად, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაა უფრო მიზანშეწონილია ამ წიგნების დატოვება, რადგან იქ საამისო მოთხოვნილებაც არსებობს.

ამ დაძველებული ლიტერატურის არქივებში ცენტრალიზაციის შესახებ, ჩვენში, ჯერ კიდევ 1924 წელს გამოსცა სათანადო ორგანომ ინსტრუქცია²⁾; ხოლო პოლიტგანათლების მთავარ მართველობის 1927 წ. ცირკულიარის (№ 518) თანახმად „მთელი დაძველებული ლიტერატურა უნდა გადაეცეს ცენტრარქივსა და ცენტრარქივის ადგილობრივ ორგანოებს,“ ე. ი. სამაზრო საარქივო ბიუროებს³⁾. ამრიგად, ბექდვით ნაწარმოებთა არქივების ცენტრალიზაცია ამჟამად უკვე ტარდება ცხოვრებაში⁴⁾.

სასურველია საქართველოს ცენტრარქივში შესდგეს ქართული ბექდვითი სიტყვის ნაწარმოების შემდეგი ფონდები:

1) პირველნაბეჭდი წიგნები, სადაც შევა წიგნები, გამოცემულნი ვიდრე 1800 წლამდე.

2) ძველი წიგნები, 1800—1875 წლებში დაბეჭდილი, როგორც ერთდროული ისე პერიოდული გამოცემანი.

3) და ბოლოს წიგნები, გამოცემული 1875 წლის შემდეგ. შესაძლებელია უკანასკნელი ათეული წლიდან კიდევ ცალკე ფონდის გამოყოფაც.

¹⁾ ვ. ბროსე, (იხ. საარქივო საქმე, წიგნი I. გვ. 140) — ბექდვით ნაწარმოებთა არქივების ცენტრალიზაციისათვის საქართველოში.

²⁾ ibidem.

³⁾ იხ. აგრეთვე საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების ცირკ. № 6919—1928 წ. 20 ნომბრიდან.

⁴⁾ ვ. ბროსეს წერილი „საარქივო საქმეში“ წ. I. 1929). გვ. 141

დასასრულ, კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება: როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, პირველნაბეჭდი და ძველად ნაბეჭდი ქართული წიგნების (დაახლოებით 1875 წლამდე) სრული ბიბლიოგრაფია არ მოგვეპოვება. არ ვიცით დანამდვილებით, თუ რა და რა წიგნები გამოიკა რომელიმე ალებულ პერიოდში, არ ვიცით, თუ რამდენი ქართული წიგნი (სახელწოდება და გამოცემა) დაიბეჭდა სულ ვიდრე დღევანდლამდე.

ამისთვის საჭიროა თავი მოეყაროს ერთ სათანადო ადგილას (ტ. ს. უ. წიგნთსაცავში ანუ კიდევ ცენტრარქივში) ყველა პირველ ნაბეჭდ და ძველად ნაბეჭდ წიგნებს, რათა მათი სწორი ბიბლიოგრაფიური შესწავლა და ინდექსის შედგენა შესაძლებელი გახდეს. მიმდინარე წელს, როდესაც სრულდება ქართული წიგნის ბეჭდვის სამასი წლის თავი (1629—1929), ეს ქართული კულტურის დიადი ზეიმი უპირველეს ყოვლისა ქართული წიგნების დიდი გამოფენის მოწყობითაც უნდა აღინიშნოს, სადაც პირველად თავს მოიყრის ალბად, ახლებთან ერთად, ყველა ძველი გამოცემები, რომლებმაც კი ჩვენამდე მოაღწია.

თავი მეოთხე

თანამედროვე მსხვილი წიგნით სავაჭრო-საბა-
მოცემლო ორგანიზაციები.

საერთო მდგომარეობა.—საქართველს სახელმწიფო გამომ-
ცემლობა—„სახელგაძი“.—„ახელგამის“ ორგანიზაცია და მო-
ღვაწეობა.—საქართველს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს
კომპარატიული გამომცემლობა—„მრომა“.—„მრომის“ ორგა-
ნიზაცია და მოღვაწეობა.—აპიერ. კავკასიის სააქციო საგამომ-
ცემლო საწვავადობა—„ზაკკნიგა“.—ბეჭდვითი საქმის საბაილ
აშხანაგობა „ქართული წიგნი“,—„ქართული წიგნის“ ორგანიზა-
ცია და მოღვაწეობა.—ხვადასხვა სახელმწიფო და კერძო
გამომცემლობანი.—ქართული წიგნი ბუკინისტებთან.—ქართუ-
ლი წიგნით მონეტრალე მთავატრენი.

თანამედროვე მსხვილი წიგნით სავაჭრო-საბა- მოცემლო ორგანიზაციები

საერთოდ გამომცემლობის ორგანიზაციულ საქმეში 1917 წლი-
დან ვიდრე 1921 წლამდე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.
საბჭოთა ხელისუფლებამ პირველ დღეებიდანვე განსაკუთრებული
ყურადღება მიაქცია წიგნის საქმეს.

1921 წლიდან არსდება, დღეს უკვე უდიდესი ორგანიზაცია
ქართული წიგნის გამომცემა-გავრცელების საქმეში. საქართველოს
სახელმწიფო გამომცემლობა — „სახელგამი“.

„სახელგამის“ წიგნის საგამომცემლო—სავაჭრო საქმიანობა 1926
წლამდე არ იყო ჩაყენებული რაიმე მტკიცედ გარკვეულ ნორმებში.
მისი ძირითადი რეორგანიზაცია დაიწყო 1926 წლის პირველ ნახე-
ვარში.

1926 წლის 10 იელისს საქართველოს სახალხო კომისართა საბ-
ქოს მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად, „სახელგამის“ მიზა-
ნია: „მეცნიერებისა, პოლიტიკისა, ხელოვნებისა და სხვადასხვა დარ-
გის ყოველგვარი ორიგინალური და ნათარგმნი ნაწარმოების, სას-
წაელო წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამომცემა და გავრცე-
ლება“¹⁾.

ამ მიზნის მისაღწევად „სახელგამს“ უფლება აქვს გამოსცეს და
გაავრცელოს ყოველგვარი პერიოდული და არაპერიოდული ლიტე-
რატურა²⁾. ხოლო კერძოდ სასწაელო წიგნებისა და სახელმძღვა-
ნელოების გამომცემა-გავრცელების დარგში „სახელგამს“ მინიჭებული
აქვს მონოპოლიური უფლება³⁾.

„სახელგამის“ მოქმედება სამეურნეო ანგარიშზეა დაფუძნებული.
იგი სარგებლობს იურიდიული პირის ყველა უფლებით. აქვს გან-

¹⁾ დებულება საქ. სახ. გამომცემლობის შესახებ, მუხ. 1.

²⁾ დებულება, მუხ. 2.

³⁾ *ibid*, შენიშვნა.

ყოფილებები, სააგენტოები, საბითუმო და საცალო სავაჭროები და საწყოები. „სახელგამის“ საწესდებო კაპიტალი შესდგება: ა) ძირითადი და ბ) საბრუნავი კაპიტალისაგან. ძირითად კაპიტალს წარმოადგენს ყველა საწარმო, რაც „სახელგამს“ გადაეცა თუ გადაეცემა, ან მის მიერ არის, თუ იქნება შეძენილი. საბრუნავ კაპიტალს წარმოადგენს ფული, ფასიანი ქაღალდები, პროდუქცია, ტექნიკური მასალა და აგრეთვე ყველა საგანი, რომელიც წარმოების პროცესში ერთხელ გამოიყენება ¹⁾).

„სახელგამის“ სათავეში სდგას გამგე, რომელსაც ნიშნავს განათლების სახალხო კომისარი და რომელიც პასუხისმგებელია „სახელგამის“ მთელი მოქმედებისა (საგამომცემლო და სავაჭრო საქმეებში). „სახელგამთან“ არსებობს: ა) სარედაქციო კოლეგია, ბ) ბუხჰალტერი, გ) სავაჭრო განყოფილება, დ) საგამომცემლო განყოფილება და ე) კანცელარია ²⁾.

სარედაქციო კოლეგიას (9 წევრისაგან) ნიშნავს განათლების სახალხო კომისარი. მის მოვალეობაში შედის განიხილოს და დაამტკიცოს „სახელგამის“ საკვარტალო და წლიური საგამომცემლო გეგმა და გაუკეთოს რედაქცია სახელგამის მიერ გამოსაცემად მიღებულ ნაწარმოებთ და აგრეთვე მისცეს დასკვნა „სახელგამს“ გეგმის გარეშე გამოსაცემ ნაწარმოებზე ³⁾).

„ახალი სოციალისტური წესწყობილება ვერ განმტკიცდება, თუ არ შევქენით ახალი სოციალისტური კულტურა, თუ ადამიანის გონება საფუძვლიანად არ გაიწმინდა იმ ცრუმორწმუნეობისაგან, რომელიც ჩვენ წარსული საუკუნეებიდან მივიღეთ. ამ მიზნის განსახორციელებლად პარტია და ხელისუფლება მიმართავს ბეჭდვით სიტყვას და განსაკუთრებით საბჭოთა წიგნს, რომლის დანიშნულებაცაა გაფანტოს საუკუნეებით განმტკიცებული სიბნელე, უმეცრება და ცრუმორწმუნეობა. საბჭოთა წიგნის გამოცემის საქმე დაკისრებული აქვს სახელმწიფო საგამომცემლობას, რომლის წინაშე სამი ამოცანა სდგას:

„მისი ერთერთი ამოცანაა ძველი მწერლობიდან ამოკრიფოს ის, რასაც არ დაუკარგავს მეცნიერული და მხატვრული ღირებულება, და ძველი კულტურის საღ ნიმუშებზე აავოს ახალი სოციალისტური კულტურა. მეორე მისი დანიშნულებაცაა: ყოველი მხრით ხელი შეუწყოს ახალი მწერლობის ჯანსაღი ელემენტების განვითარებას. ამ მიზნით სახელგამი სცემს ყოველივე იმას, რაც მხატვრულად გამართლ-

¹⁾ ibid. მუხ. 4.

²⁾ ibid მუხ. 6.

³⁾ ibid მუხ. 10.

ბულია, ამავე დროს მეგრძოლი პროლეტარიატისათვის იდეოლოგიურად მისაღები იქნება და რასაც აიტანს მისი ნივთიერი მდგომარეობა.

„სახელგამის მესამე ამოცანაა—გახადოს წიგნი ჩვენი მუშისა და გლეხისათვის ხელმისაწვდომი, გადააქციოს ის (წიგნი) საბჭოთა მოქალაქის აუცილებელ კულტურულ მოთხოვნილებად“¹⁾. ასე ახასიათებს „სახელგამს“ მისი ხელმძღვანელი.

უნდა აღინიშნოს, რომ „სახელგამის“ მოღვაწეობას პირველ წლებში ხელს უშლიდა მისი ფინანსიური მოუმარაგებლობა. როდესაც „სახელგამი“ 1922 წელს სამეურნეო ანგარიშზე გადადიოდა, მას ჰქონდა ძირითადი კაპიტალი მხოლოდ 55.000 მანეთის რაოდენობით და ერთად ერთი მალაზია ტფილისში.

თუ რა დიდი მიღწევები აქვს სახელგამს თავის მოღვაწეობის სიგრძეზე, ამის მაჩვენებელია, სხვა რომ არ მივიღოთ მხედველობაში, მის მიერ გამოცემული წიგნების ზრდა, როგორც სახელწოდებათა, ისე საერთო და საშუალო ტირაჟის მიხედვით. მაგალითად, გამოიცა:

წელს	სახელწოდება	საერთო ტირაჟი	საშუალო ტირაჟი
1921	23	102,000	4.440
1922	52	218.000	4.200
1923	133	628.000	4.722
1924	97	562.000	5.900
1925	75	570.000	7.640
1926	242	1.008.000	4.170
1927	416	1.431.700	3.444

როგორც აქედან სჩანს, „სახელგამის“ პროდუქცია შეუჩერებელი იზრდება. ამ ლიტერატურული პროდუქციის უმთავრესი დანიშნულების მხრივ უნდა ითქვას, რომ მთავარი და უმნიშვნელოვანესი დარგი „სახელგამის“ საგამომცემლო მუშაობაში არის სახელმძღვანელოებით მოსწავლე ახალთაობის მომარაგება. სახელმძღვანელო—სასწავლო ლიტერატურის გამოცემა, როგორც აღვნიშნეთ, „სახელგამის“ მონოპოლიას წარმოადგენს, და ეს დარგი შეიძლება ჩაითვალოს მის უმთავრეს შემოსავლიან, რენტაბელურ საქმიანობად.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოების შინაარსეულ გარჩევაში „სახელგამი“ არ შედის, რაღვენდაც უკანასკნელი მინდობილი აქვს „მეთოდ-ბიუროს“, რომელიც ადგენს პროგრამებს სასწავ

¹⁾ იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 60. 1928 წ. ბ. ბიბინეიშვილის მოხსენება, სრ. საქ. მწერალთა II ყრილობაზე.

ლებლებისათვის და რომლის მიხედვით შემდეგ სდგება სახელმძღვანელოებიც. სახელმძღვანელოების რაოდენობას და თითოეულის ტირაჟს, მოწაფეთა რიცხვთან შეფარდებით, განათლების კომისარიატი განსაზღვრავს. უნდა ითქვას, რომ გამოცდილება ხშირად ააშკარავებს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ამა თუ იმ სახელმძღვანელოსთვის დაწესებული ტირაჟის შეუსაბამობას, რაც უმთავრესად ტირაჟის სიმცირეში იხატება და ამიტომ „სახელგამს“ ასეთი წიგნების ხელმეორედ გამოცემა უხდება.

საერთოდ „სახელგამი“ სახელმძღვანელოებით სათანადოდ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. მაგალითად, 1925 წელს გამოიცა 66 სახელწოდება, ხოლო 1927 წელს 101 სახელწოდების სახელმძღვანელო, რომლის საერთო ტირაჟი 756.500 აღწევდა. „სახელგამის“ მთლიანი პროდუქციის 46—47%-ს შეადგენს მარტო სახელმძღვანელო ლიტერატურა.

პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა, გარდა ისეთი წიგნებისა, რომელთაც სახელმძღვანელოს ხასიათი აქვთ, იბეჭდება იმ ორგანოების შეკვეთით, რომელნიც ხელმძღვანელობენ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებას. ვინაიდან ასეთი ლიტერატურის გამოცემა ზოგჯერ დეფიციტიანია, — „სახელგამი“ ღებულობს სათანადო ორგანოებიდან დეფიციტის ასანაზღაურებლად განკუთვნილ თანხებს, რომელიც ისაზღვრება თითოეული კერძო შემთხვევისათვის.

უნივერსიტეტისათვის საჭირო ლიტერატურის სისტემატიურად გამოცემას „სახელგამმა“ მოჰკიდა ხელი მხოლოდ 1926 წლიდან, ხოლო უფრო ინტენსიური მუშაობა ამ დარგში დაიწყო 1927 წლიდან. თუმცა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებს, როგორც შედარებით პატარა მოთხოვნილების მქონეს და მცირე ტირაჟიანებს, დეფიციტიანობა ახასიათებს, მაგრამ „სახელგამმა“ მაინც შესძლო გასულ საოპერაციო წელს გამოეცა უნივერსიტეტის მიერ შეკვეთილი 16 სახელწოდება.

საბავშვო ლიტერატურას „სახელგამმა“ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება შიაპყრო. 1927—28 საოპერაციო წლის გეგმაში საბავშვო წიგნებს დათმობილი ჰქონდა მთელი პროდუქციის 12%-ი, მაგრამ, როგორც ანგარიშებიდან ჩანს, ეს გეგმა სავსებით ვერ იქნა განხორციელებული სხვადასხვა მიზეზების გამო.

ლიტერატურას კომკავშირისა და პიონერთათვის „სახელგამი“ სცემს კომკავშირის ცეკას უშუალო იდეოლოგიური ხელმძღვანელობით.

სიტყვაკაზმული ლიტერატურის გამოცემაც „სახელგამის“ საქმიანობაში სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული. ამ დარგის გამოსა-

ცემი წიგნების არჩევა უშუალოდ დამოკიდებულია „სახელგამის“ სარედაქციო კოლეგიაზე, რომელიც არკვევს ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების ღირებულებას და მნიშვნელობას, უკეთებს მას რედაქციას და გამოცემისას ითვალისწინებს გასაღების შესაძლებლობასაც.

სამეცნიერო-პოპულიარული ლიტერატურის გამოცემის საქმე „სახელგამში“ დღემდე ვერ არის სათანადოდ დაყენებული, რაიც აიხსნება ასეთი ლიტერატურის გამოცემაში უშუალოდ დაინტერესებული ორგანოების უყურადღებობით. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის წარდგენა გამოსაცემად დაკისრებული აქვს მიწათ-მოქმედების კომისარიატს, რომელიც შესაფერისად ვერ ასრულებს ამ დავალებას. მიუხედავად ამისა, „სახელგამმა“ ამ დარგის ლიტერატურის საგამომცემლო გეგმა 200⁰/⁰-ით განახორციელა, ასე რომ 1927 წელს გამოსცა 41 სახელწოდება.

1926 წლის პროდუქციაში სახელმძღვანელოები შეადგენდა 47⁰/⁰-ს, პოლიტიკური ლიტერატურა — 22⁰/⁰-ს, მხატვრული — 22⁰/⁰-ს და საბავშვო ლიტერატურა — 9⁰/⁰-ს¹).

1927 წლის ნოემბრამდე „სახელგამის“ მიერ გამოცემული წიგნები ნაწილდება შემდეგნაირად:

ცხრილი № 1

№	ჯგუფების დასახელება	სახელწოდებათა რაოდენობა	ტირაჟი მთელი ჯგუფისა	ფორმების რაოდენობა მთელ ჯგუფში
1	კლასიკები	5	19.000	512.250
2	ბელეტრისტიკა	29	65.000	840 000
3	საბავშვო	27	136.200	509.080
4	პოპულიარული	11	34.500	826.495
5	სახელმძღვანელოები	101	756.500	10.393.935
6	სამხედრო	56	112.000	326.750
7	პოლიტიკური	74	190.500	1.230.095
8	ეჭრნალები	95	118.000	436 000
	სულ	398	1.431.700	15.079.910

1) იხ. „5 მაისი“ საქ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის წლიური ორგანო № 2. 1927 წ. ბ. ბიბინეიშვილის წერილი: „სახელგამი“.

„სახელგამი“ დიდ ყურადღებას აქცევს აგრეთვე წიგნის გავრცელებისა და გაიაფების საკითხს და ამ მხრივ მას თვალსაჩინო მიღწევებიცა აქვს.

თუ 1926 წელს „სახელგამს“ ტფილისის გარედ მხოლოდ ერთი მაღაზია ჰქონდა; 1927 წლის დამლევისათვის ის უკვე განაგებს 27 მაღაზიას ტფილისსა და პროვინციაში და 39 პუნქტში საკუთარი აგენტები ჰყავს (იხ. შემდ. გვ. ქარტოგრაფია). აგენტები ჰყავს საქართველოს საზღვრებს გარეთაც,—მაგალითად, მოსკოვში, ლენინგრადში და სხვაგან. 1928 წ. ტფილისში ჰქონდა 10 მაღაზია და პროვინციაში 20 განყოფილება, ხოლო მის წიგნთა სავაჭრო პუნქტების რიცხვი უკვე 65 აღწევს. მისი ძირითადი კაპიტალი 55.000 მანეთიდან (1922 წ.) გაიზარდა 704.000 მანეთამდე (1928 წ.), ხოლო წლიური ბრუნვა ავიდა 1.300.000 მანეთამდე.

1926 წლიდან „სახელგამმა“ წიგნის გავრცელების მუშაობაში ჩააბა აგრეთვე კოოპერატიული ორგანიზაციები.

ამას გარდა მისი გამოცემები იყიდება სხვა ორგანიზაციების მაღაზიებშიც („შრომა“, „ზაკნიგა“), აგრეთვე რკინის გზის კოსკებიც ახდენენ მის ნაწარმოებთა რეალიზაციას. მაგალითისათვის აღვნიშნავთ, რომ 1927 წელს „შრომის“ მაღაზიამ გაასალა 33.615 მანეთის „სახელგამის“ გამოცემანი, ხოლო „ზაკნიგამ“ 31,880 მანეთისა.

მაგრამ „სახელგამის“ ნაწარმოებთა მთავარი გამსაღებელი მისივე სავაჭრო ქსელია, რომელიც ვაჭრობს საკანცელარიო ნივთებითაც. მისი მაღაზიების ვაჭრობა 1927 წელს ავიდა 1.100.000 მანეთამდე; ამაში წიგნის რეალიზაციიდან მიღებულია 750.000 მან., ხოლო საკანცელარიო ნივთებიდან 350.000 მანეთი.


სათანადო რესურსების უქონლობა „სახელგამის“ გეგმიან მუშაობას თვიდანვე აბრკოლებდა. საბრუნავი თანხების ნაკლებობა ყოველთვის შემფერხებელი მომენტი იყო „სახელგამის“ მუშაობაში, რაიც იწვევდა საბანკო ოპერაციების არა ნორმალურ ზრდას და საბანკო სარგებლით დატვირთვას; მაგ., 1927 წელს „სახელგამმა“ გადაუხადა ბანკებს სარგებელი 50.887 მანეთის რაოდენობით.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ სავაჭრო-საწარმოო ორგანიზაცია „სახელგამისა“ ყოველთვის უფულოდ არის და პერმანენტულ ფინანსიურ კრიზისს განიცდის.

ასეთი მდგომარეობა აუცილებლად გამოსწორებას მოითხოვს, რაიც „სახელგამისთვის“ საკმაო საბრუნავი კაპიტალის გადაცემით უნდა მოხდეს.

ტახტლბების კარგამათა გამსალამალი პუტტტტტტი

- საკლბა ზაბატი
- ტრუტტტტტტი



თვით „სახელგამი“ ასე ხსნის იმ დაბრკოლებათა მიზეზებს, რომელთაც განიცდის:

ა) დაწყებული 1922 წლიდან „სახელგამს“ გამოცემული აქვს ბევრი ძნელად სარეალიზაციო წიგნი, რაც სისტემატიურად იწვევდა საქონლის ზედმეტ დაგროვებას და ამრიგად საბრუნავი თანხების დაბოროტებას. ამგვარად წიგნებს „სახელგამი“ სცემდა ხელმძღვანელი ორგანოების მოთხოვნილებით, რომლებიც უმთავრესად ანგარიშს უწყევდენ არა კომერციულს, არამედ საქმის კულტურულ-პოლიტიკურ მხარეს¹⁾. ამასთანავე ამ საზარალო წიგნთა გამოცემა არ იფარებოდა სპეციალური დოტაციით, როგორც ეს ხდება რ. ს. ფ. ს. რ. სახელგამის მიმართ.

ბ) თვით სახელმძღვანელოებიც კი ხშირად ვერ ამართლებდენ თავს კომერციულად. მაგალითად, სახელმძღვანელოთა მთელი იმ რაოდენობიდან, რომლის რეალიზაცია გეგმის მიხედვით 1927 წელს უნდა მომხდარიყო, გაუყიდავი დარჩა 34⁰/₁₀₀, რის გამომწვევ მიზეზად შეიძლება, სხვათა, შორის დასახელებულ იქნეს ის გარემოება, რომ ხშირად იცვლება სასწავლო პროგრამები და აგრეთვე განსახკომსაც არა აქვს შემუშავებული სწორი სატირაფო პოლიტიკა.

გ) „სახელგამს“ არ მოეპოება საკუთარი პოლიგრაფიული ბაზა. მას არ აქვს საკუთარი სტამბა, და ეს აბრკოლებს როგორც მის გეგმიან საწარმოო მუშაობას, ისე პროდუქციის გაიაფების საქმესაც, ვინაიდან წიგნის თვითღირებულებაში ყველაზე დიდ პროცენტს შეადგენს პოლიგრაფიული ნახარჯები:

სტამბის	40 ⁰ / ₁₀₀
ქალაღი	28 „
ჰონორარი	23 „
კორექტურა	2,2 „
კლიშე და მხატვრობა	4,8 „
წერილმანი ხარჯები	0,7 -

სულ . . 100⁰/₁₀₀)

როგორც თვით „სახელგამის“ გამგე გადმოგვცემს, წიგნის თვითღირებულებაში პოლიგრაფიული ხარჯები ხშირად 60⁰/₁₀₀-მდეც აღის. „სახელგამისათვის“ საკუთარი სტამბის მნიშვნელობა იქიდანაც სჩანს, რომ 1927/28 საოპერაციო წლის განმავლობაში წმინდა მო-

¹⁾ ბ. ბიბინეიშვილის — „სახელგამი“. „ნ მაისი“. № 2. 1927.

²⁾ იხ. ბ. ბიბინეიშვილი — ქართული წიგნი. („კომუნისტი“, № 286

გება მუშაობით საშუალოდ დატვირთული პოლიგრაფ-ტრესტის სტამბისა 10.000 მანეთს აღემატებოდა.

დ) სახელგამის მუშაობის ნორმალური და გეგმაშეწონილი წარმართვისათვის აუცილებელია აგრეთვე წიგნის წარმოებისა და ვაჭრობის მცოდნეთა კადრის მომზადება, რომელთა უყოლობა მას დიდ ზიანს აყენებს. ამ დაბრკოლების დასაძლევად საჭიროა სათანადო ორგანიზაციამ გახსნას წიგნის საქმის სასწავლებელი, ანდა ახალგაზრდობა ამ მიზნით მოსკოვს გზავნოს, სადაც უკვე მეორე წელია, რაც წიგნის საქმის შესასწავლად ტეხნიკუმი არსებობს.

ე) ქართული წიგნის ტირაჟის სიმცირეც თვალსაჩინო დამაბრკოლებელი გარემოებაა, ვინაიდან ამას დიდი მნიშვნელობა აქვს წიგნის თვითღირებულებისათვის. მაგრამ ეს „მიზეზი“, ე. ი. მკითხველთა რიცხვის სიმცირე, ეროვნული „სენია“, რომელიც პირველ რიგში მოსახლეობის სიმცირით არის გამოწვეული. ამ დაბრკოლების ნაწილობრივი დაძლევა მხოლოდ მკითხველი ფენის მოთხოვნილებასთან შეფარდებულად წიგნის წარმოებითაა შესაძლებელი, აგრეთვე ფართო მასების კულტურული დონის აწევითა და მათი მსყიდველობითი უნარიანობის გაუმჯობესებით, რაიც ქვეყნის საერთო ეკონომიური აღორძინების ხანგრძლივ პროცესებთან არის დაკავშირებული.

ამრიგად, „სახელგამის“ მოღვაწეობის გაცნობა გვარწმუნებს, რომ, მიუხედავად მრავალგვარ დაბრკოლებათა, რომელნიც მისი საქმიანობის წარმატებას წინ ეღობებოდა, ის მაინც წელმაგარი ორგანიზაციაა. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი საქმიანობა შემდეგში უფრო რენტაბელური და მოთხოვნილებას შეხამებული იქნება.

ამის თავმდებია სრულიად საქართველოს ბეკდვითი სიტყვის მუშაკთა მეხუთე ყრილობაზე სახელგამის გამგის ბარონ ბიბინეი შვილის მოხსენების შედეგად მიღებული რეზოლიუცია (ც: „უნაყოფო ხარჯების („სახელგამში“) თავიდან ასაცილებლად, ჩამოყალიბებულ იქნეს დაბალი და მაღალი საფეხურის სკოლების სახელმძღვანელო პროგრამა.

„სახელგამის“ მიერ გამოცემული ყველა სახელმძღვანელო წიგნების—ენისა, სტილისა და ტერმინოლოგიის მხრივ—გაუმჯობესების მიზნით დაარსდეს გამოცდილ მთარგმნელთა, რედაქტორ-სტილისტთა და კორექტორთა მტკიცე შტატი.

„გაუმჯობესებულ იქნეს გლეხურ-პოპულიარული ბროშურების გამოცემის საქმე. ეთხოვოს უმაღლეს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ „სახელგამის“ ნივთიე-

რად უზრუნველყოფის საქმეს, მისი საბრუნავი თანხის გიდიდებითა და კრედიტების გახსნით¹⁾).

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, 1927/28 წლ. „სახელგამის“ ბრუნვა უდრიდა 1.300.000 მანეთს. უეჭველია შემდეგი 1928 29 წლის ბრუნვა გაცილებით მეტი იქნება.

საგამომცემლო გეგმით 1928 წლის განმავლობაში გამოსაცემად გათვალისწინებული იყო 313 სახელწოდება 1 მილიონამდე საერთო ტირაჟით. ნაცვლად კი გამოცემულ იქნა 331 სახელწოდება, რომლის საერთო ტირაჟი 1.250 ათასს გადააქარბა, ხოლო ნომინალურმა ღირებულებამ—1.140 ათას მანეთს (იხ. ქვემოთ ცხრილი № 2). სახელგამის გამოცემათა შორის პირველი ადგილი უჭირავს სასწავლო სახელმძღვანელო ლიტერატურას (772 ათასი სასტამბო ფორმა), შემდეგ მოდის სიტყვაკაზმული ლიტერატურა, პოლიტიკურ-სააგიტაციო და სხვა.

„სახელგამის“ მიერ დღემდე წარმოებული საქმიანობის მოთხრობას დავამთავრებ თვით ამ ორგანიზაციის მეთაურის ბარონ ბიბინეიშვილის სიტყვებით: „სახელგამი მხოლოდ ერთი უბანია იმ დიდ კულტურულ მუშაობის ფრონტზე, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება აწარმოებს.

„უდაო ფაქტია, რომ სახელგამის მდგომარეობა დღითი დღე მტკიცდება და ახლო მომავალში ბეჭდვითი სიტყვა სახელგამის ხელში გადაიქცევა ჩვენი ქვეყნის კულტურული აღორძინების ბაზად“²⁾.

აქვე დავსძენთ, რომ, თუ წინად ჰონორარი ქართული წიგნის გამომცემლობის საქმეში იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა, დღეს ლიტერატურული შრომის დაფასების პრინციპი „სახელგამის“ მიერ მტკიცედ ტარდება ცხოვრებაში. ჰონორარის სახით „სახელგამის“ მიერ მარტო 1927 წლის განმავლობაში გაცემული იქნა 200.000 მანეთამდე.

ამასთანავე „სახელგამი“ დიდ ყურადღებას აქცევს წიგნის კულტურას, მის ტეხნიკას, გარეგნულ სილამაზეს, დასურათებას. ამ მხრივ წარსულთან შედარება პირდაპირ შეუძლებელია, — „სახელგამს“ სარეკორდო მიღწევები აქვს³⁾.

1) იხ. გაზ. „მუშა“ № 1523. 1927 წლისა.

2) ბ. ბიბინეიშვილი, სახელგამი „5 მაისი“ № 2. 1927.

3) „სახელგამის“ მოღვაწეობის დასახასიათებლად ვსარგებლობდი ბ. ბიბინეიშვილისა და ნ. მიწიშვილის წერილებით: გაზ. „კომუნისტი“ № 286, 1923 წლისა; № 60, 1928 წ.; გაზ. „მუშა“ № 1523 1927 წ.; საქ. პროლეტ. მწერლ. ასოციაც. წლიური ორგანო „5 მაისი“ № 2, 1927 წ., ეჭრ. „ქართული მწერლობა“ № 10 1927 წ. და სხვ., აგრეთვე „თვით სახელგამის“ წლიური და კვარტალური ანგარიშებით.

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის პროდუქცია 1228 წლის განმავლობაში

ც ს რ ი ლ ი ზ შ 2.

№	და რ გ ე ბ ი	ნა-ყ- ნა-ც- ნა-მ- ნა-ც- ნა-მ- ნა-ც- ნა-მ- ნა-ც- ნა-მ-	საერთო ტი- რაჟი	ფორმათა (სა- სტ. ფურც.) რაოდენობა მთელ ტი- რაჟში	თეოლოგი- ბულება ყვე- ლა გამოცემა- სა მანუშკში	ფასი ყველა გამოცემისა
1	საბავშვო ლიტერატურა	20	68000	290000	20129	40205
2	პოლიტიკური, სააგიტაციო და საბჭოთა აღმშენებლ.					
3	ლიტერატურა	55	136500	435935	48563	89720
4	ისტორია რევოლუციონური მოძრაობისა	5	13000	173625	10398	10935
5	კოსმოლოგია, ფინანსები, გეოგრაფია	3	5000	17250	1013	1945
6	კოლხეთისა	1	6200	31000	2520	7320
7	ხელოვნება	1	3000	33000	1793	3625
8	საბავშვო ლიტერატურა	1	2000	36750	2210	3800
9	სამედიკო	1	3000	90750	8756	10390
10	სამედიკო, ჰიგენა, ფიზიკურა	13	25000	60499	3240	5495
11	სასოფლო-მეურნეობა და ვეტერინარია	2	6000	81937	3854	6380
12	საბავშვო ლიტერატურა	7	14000	46740	2744	5320
13	ხელოვნება, თეატრი, დრამატული მწერლობა	47	238000	740383	29825	88250
14	ისტორია, თეორია და კრიტიკა ლიტერატურისა	12	14000	72812	6102	12660
15	სახელმძღვანელოები I და II საფეხ. სკოლებისათვის	2	5000	9436	1058	2370
16	სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლისათვის	57	588000	772131	299322	734075
17	მეთოდური ლიტერატურა	4	4000	75625	14361	24300
18	ბიოლოგიები	7	20000	185750	8820	18835
19	საზოგადოებრივი მეცნიერებანი	1	800	800	112	240
20	სხვადასხვა გამოცემანი	3	7000	72000	3656	7390
21	სხვადასხვა გამოცემანი	3	14000	253000	5720	10480
	სულ	89	93500	1076221	76150	49430
	სულ	331	1252000	11752168	554610	1140165

- სახელმწიფო გამომცემლობის მიერ მიღებულია აგრეთვე ზომები რედაქციისა და კორექტურის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად, და უკანასკნელ ხანებში ამ მხრივ თვალსაჩინო გაუმჯობესებას აქვს კიდევ აღგილი, თუმცა უნდა ითქვას, რომ კიდევ ბევრია ამ მიმართულებით გასაკეთებელი¹⁾.

„სახელგამის“ გვერდით, მისივე ინიციატივით, შეიქმნა წიგნის გამავრცელებელი ამხანაგობა „წიგნი“. ეს ამხანაგობა არსებობს 1926 წლის მარტიდან. „სახელგამს“ დადებული აქვს ხელშეკრულება, რითაც ამხანაგობას უფლება ენიჭება გასწიოს საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის კონტრაგენტობა. ამხანაგობა ვალდებულია, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში, აგრეთვე მის გარეშე, გაავრცელოს „სახელგამის“ ყოველგვარი გამოცემანი და აგრეთვე უკანასკნელის მიერ საკომისიოდ მიღებული ლიტერატურა.

ამხანაგობას სააგენტო ქსელის მოწყობის გეგმას უმტკიცებს „სახელგამი“. ამხანაგობა მოვალეა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იყოლიოს აგენტები, რათა წიგნის გავრცელების საქმე ფართო ნიადაგზე იქნეს დაყენებული.

ამხანაგობას სახელგამიდან წაღებული წიგნების 60% მტკიცე ანგარიშში ეძლევა, ხოლო დანარჩენი 40%—საკომისიოდ 4 თვის ვადით.

სახელგამი უხსნის ამხანაგობას კრედიტს მისი და მისი აგენტების ქონებითა და თამასუქებით უზრუნველყოფის ქვეშ. ამხანაგობას აქვს საგლებო ლიტერატურაზე, პოლიტიკურ ლიტერატურაზე და ბელეტრისტიკაზე არა უმეტეს იმ დათმობისა, რასაც აწესებს ამიერკავკასიის ვაჭრობის კომისარიატი ანუ მისი რწმუნებული საქართველოში, ხოლო საკომისიო გამოცემები ეძლევა 30 პროცენტის დაკლებით.

ამასთან ამხანაგობას უფლება არა აქვს მიიღოს გასავრცელებლად რაიმე ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოები „სახელგამის“ გარეშე. ის ვალდებულია აგრეთვე მიღებული სახელმძღვანელოების 100% და დანარჩენი წიგნების 80% გაავრცელოს პროვინციაში.

¹⁾ ქართული ბეჭდვითი სიტყვის ტექნიკის გაუმჯობესების საჭიროების შესახებ იხილე გაზ. „კომუნისტი“ № 18 (2369) 1929 წლ. მაკარ გოგუაძის წერილი, სადაც ავტორი აღნიშნავს მთელ რიგ უარყოფით მოვლენებს ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის ტექნიკაში და იძლევა პრაქტიკულ წინადადებებს მათგამოსასწორებლად, როგორც, მაგალითად, კორექტორების მოსამზადებლად კურსების დაარსება და სხვ.

გარდა ამისა, ამხანაგობა ვალდებულია გაავრცელოს „სახელგამის“ ყოველგვარი პერიოდული გამოცემანი. მან ხელი უნდა შეუწყოს ისეთი ლიტერატურის გამოცემას, რომელიც შეეხება ბექდვითი ნაწარმოების გავრცელება-გასაღების საკითხებს.

ამხანაგობას ნება ეძლევა ყველა ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე არსებული ჟურნალ-გაზეთების კანტორებთან დასდევას ხელშეკრულება მათი გავრცელების მიზნით, აგრეთვე იკისროს წინასწარი ხელის მოწერით ყველა გამოცემათა გავრცელება.

როგორც თვით ამხანაგობა „წიგნი“ აცხადებს თავისი აგენტებისათვის გამოცემულ ინსტრუქციაში, იგი მიზნად ისახავს ყოველ მოქალაქეს გაუადვილოს ბექდვითი ნაწარმოების შეძენა, ხელი შეუწყოს ამ საქმეში. „საქმიანობა, რისთვისაც მოწოდებულად სთვლის თავს ამხანაგობა „წიგნი“, უპირველეს ყოვლისა კულტურულია და მის მიერ აგენტებად მოწვეულ პირებს ევალებათ მიუდგენ ამ საქმეს საზოგადოებრივი ინტერესის სრული შეგნებით. წვრილი ვაჭრული მიზნებით გამსჭვალვა ამ საქმეში საზარალაო მატერიალურადაც თვით წიგნის გავრცელებისათვის.

„ამხანაგობას აგენტად გამოადგება ის: 1) ვისაც უყვარს წიგნი და ესმის, რომ რაც მეტ წიგნს შეიძენს სოფელი, მით უფრო მალე დააღწევს თავს უფიცობას, ცრუმორწმუნეობას და სიღარიბეს; 2) ვისაც წიგნის გავრცელება მიაჩნია საზოგადოებრივ მოვალეობად და თავის დამსახურებად სთვლის გაავრცელოს რაც შეიძლება მეტი წიგნი; 3) ვინც იცნობს ყველა იმ წიგნის შინაარსს, რომელიც მას აქვს გასავრცელებლად, და იცის, ვის რომელი წიგნი მიაწოდოს; 4) ვინც ბუნებით საზოგადოებრივი ადამიანია და წიგნის გასავრცელებლად გამოიყენებს თავის მეგობრობას, ნაცნობობას და არ დაიშურებს ენერჯიას; 5) ვისაც შეუძლია გულდასმით და გარკვევით აუხსნას მყიდველს, თუ რომელი წიგნი ყველაზე უფრო შეეფერება მას; 6) ვინც თანაბარი ყურადღებით ეპყრობა წიგნის ყველა მყიდველს—ქალს, ბავშსა და მოხუცს; 7) ვისაც ენდობიან და პატივს სცემენ სოფელში; 8) ვინც ფაქიზად ეკიდება წიგნებსა, ინახავს სუფთად და წესიერად, ვისაც ყოველთვის აქვს ახალი წიგნები, ამასთანავე დაკვირვებით არკვევს, თუ რომელი წიგნი არ გასაღდება; 9) ვინც წინასწარ გამოიანგარიშებს, თუ მის რაიონში რამდენი გავრცელდება ესა თუ ის წიგნი; 10) ვინც წესიერად აწარმოებს მიღებული და გაყიდული წიგნების აღრიცხვას; 11) ვინც არასოდეს არ დაიზარებს და არ ითაკილებს მივიდეს ერთ და იმავე პირთან მრავალჯერ, სანამ უკანასკნელს თუნდა ერთ წიგნს არ შეაძენინებს; 12) ვინც შესძლებს

უმთავრესად ბავშვებსა და ახალგაზრდობაში წიგნებისადმი სიყვარულის გამოწვევას და განმტკიცებას; 13) ვინც წიგნების გასაერყელებლად გამოიყენებს ყოველგვარ კრებებს, ბაზრობას, დღეობებს და სხვა; 14) ვინც ხელს შეუწყობს სხვადასხვა მკითხველთა და თვითგანვითარების წრეების დაარსებას და მათთვის შესაფერი წიგნების მიწოდებას; 15) ვინც გამოიყენებს ამ საქმიანობაში ყველა აქტიურ და დაინტერესებულ პირებს და შექმნის ისეთს პირობებს, რომ ღარიბთათვისაც გადავიღებს წიგნების შეძენას“ და სხვა.

ასე ჩინებულად აქნობს საკუთარ აგენტებს ამხანაგობა „წიგნი“, თავის მიზნებსა და მოვალეობას. იგი ურჩევს თავის აგენტებს, გაეცნონ მათ რაიონში არსებულ ყველა დაწესებულებას, მიაწოდონ მათ ცნობები სათანადო ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების არსებობის შესახებ; სახეში იყოლიონ მათს თემში, მყოფი ყველა მოსამსახურე: ექიმი, მოსამართლე, აგრონომი, მასწავლებელი და სხვ. და მიაწოდონ მათ მათთვის საჭირო წიგნები და ჟურნალები. გაეცნონ მეურნეობის დარგებს, რომლებსაც ეწევიან თემში, და მიაწოდონ მწარმოებელთ სათანადო ლიტერატურა; გაეცნონ ოჯახის წევრთა მოთხოვნილებებს, თუ ვის რა შინაარსის წიგნები აინტერესებს და სხვ.

თავის მხრივ ამხანაგობა „წიგნი“ სდებს ხელშეკრულებას აგენტებთან, რომლის თანახმად უკანასკნელნი ამხანაგობას წიგნების მიღებისთანავე უხდიან მთელი ღირებულების 20⁰/₀-ს, ხოლო დანარჩენი თანხის გადახდა ვადაზე ნაწილდება. ამის უზრუნველსაყოფად ამხანაგობა აგენტებისაგან ღებულობს სოლო თამასუქებს, რომელთა სხვისთვის გადაცემის ან დახურდავების უფლება მას არა აქვს, მაგრამ თუ აგენტის მიერ გადასახადების ვადა დარღვეულ იქნა, მაშინ ამხანაგობა თამასუქს საჭიროებისამებრ იყენებს. ამხანაგობა ვალდებულია სისტემატიური ინფორმაცია აძლიოს თავის აგენტებს ახლად გამოსული წიგნებისა და ჟურნალების შესახებ.

როგორც სჩანს, ამხანაგობის მიერ წიგნის გავრცელება-გასაღების საქმე საკმაოდ ფართო ნიადაგზეა დაყენებული, რასაც ამტკიცებს ის ქსელი აგენტებისა, რომელიც მას მოეპოება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში¹).

¹) I. ტფილისის მახრაში—4 (1. ქვემო ერწო, 2. საგარეჯო, 3. პატარა-ძეული, 4. მუხრანი), II. ბორჩალოს მახრაში—1 (ლიუქსემბურგი), III. კახეთის მახრაში—3. (1. შილდა, 2. ენისელი, 3. ძველი გავაზი) IV. გორის მახრაში—4 (1. ქვემო-ქალა; 2. კავთისხევი, 3. შინდისი, 4. მეჯვრისხევი), V. შორაპნის მახრაში—5 (1. კლდეთი, 2. ჩხარი, 3. თავასი, 4. საჩხერე, 5. ზორაგოული), VI. ქუთაისის მახრაში—5 (1. სვირი, 2. გომი, 3. კულაში, 4. ვანი, 5. ტბანური), VII. სენაკის მახრაში—6 (1. აბაშა, 2. ნოქალაქევი, 3. დიდუკონი, 4. კიწია,

ამხანაგობას მიზნად აქვს თავისი აგენტების ქსელი კიდევ უფრო გაათართოს და 250 კაცამდე აიყვანოს.

ამხანაგობა, ეტყობა, ენერგიულად აწარმოებს მკითხველთა ფენების შესწავლას: ის სთხოვს «სახელგამს», რათა უკანასკნელმა, ლიტერატურის გასაღების უკეთესი პირობების შესაქმნელად, შეადგინოს სხვადასხვა ბიბლიოთეკები დარგებისა და ფასეულობის მიხედვით,—მაგალითად, „საოჯახო“, „სასკოლო“, „სასოფლო სამეურნეო“, „კომუნისტის ბიბლიოთეკა“, „კომკავშირელის ბიბლიოთეკა“ და სხვ., და იმედოვნებს, რომ, როცა ასეთი ბიბლიოთეკები ექნება, ყველასათვის შესაფერი წიგნების მიწოდება შელავათიან ფასებში უფრო რეალურ სახეს მიიღებს.

ამრიგად, ამხანაგობა „წიგნს“ მრავალი შესაძლებლობანი აქვს, რომ ფართოდ განავითაროს თავისი საქმიანობა, შეისწავლოს ქართული წიგნის ბაზრის კონიუნქტურა და ხელი შეუწყოს წიგნის მოხმარების გაძლიერებას ¹⁾.

მაგრამ ამ საქმეს ხელმძღვანელობა უნდა გაუწონ, «სახელგამს» გარდა, სხვა კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციებმაც, რომლებიც უნდა შეიმუშავენ და ადგენდნ დასაბეჭდად სიას და მასალებს იმ წიგნებისა, რომელნიც შევლენ ამა თუ იმ ბიბლიოთეკაში.

საქ. სახელმწიფო გამომცემლობის პარალელურად ჩვენში განვითარდნ სხვადასხვა პარტიული, პროფესიონალური, კოოპერატიული და კერძო წიგნით სავაქრო საგამომცემლო ორგანიზაციები, რომელთა შორის უფრო ინტენსიურ მუშაობას აწარმოებენ „ზაკკნიგა“, „შრომა“ და „ქართული წიგნი“.

„ზაკკნიგა“ ამიერ-კავკასიის სააქციო წიგნით სავაქრო-საგამომცემლო ორგანიზაციაა. მისი მიზანი თითქმის იგივეა, რაც „სახელგამის“; აქვს ანალოგიური უფლებებიც ²⁾. მისი უმაღლესი ორგანოებია აქციონერთა კრება, გამგეობა და სარევიზიო კომისია ³⁾.

5. ხანძა, 6. სალხინო), VIII. ზუგდიდის მაზრაში—9 (1. ხობი, 2. ხეთა, 3. ლია, 4. ხაბუძე, 5. წალენჯიხი, 6. დარჩელი, 7. კანათი, 8. ზუგდიდი, 9. ჯვარი) IX. ოზურგეთის მაზრაში—5 (1. საკამიასერი, 2. შემოქმედი, 3. ხიღისთავი, 4. ჩოჩხათი, 5. ნაგომარი), X. რაქალეჩხუმის მაზრაში—3 (1. პატარა ონი, 2. ცაგვერი, 3. სადმელი) და XI. აფხაზეთში—2 (1. ოტორაია, 2. ოქ მი).

¹⁾ „სახელგამის“ კონტრ-აგენტ ამხანაგობა „წიგნის“ მიზნებისა და მოღვაწეობის შესაბამ ცნობები მიღებული მაქვს მისივე ხელმძღვანელის მოქ. დ. მიქელაძისაგან, რომელსაც ამისთვის მ.დლობას ვსწირავ.

²⁾ Устав акц. общества „Закнига“ § 1, 2, 3.

³⁾ Ibid, § 25.

ძირითადი კაპიტალი უდრის 300.000 მანეთს, რომელიც დაყოფილია 1200 სახელობით და 1800 უსახელო 100 მანეთიან აქციად¹⁾.

„ზაკნივას“ მთავარ პროდუქციას რუსული წიგნი წარმოადგენს, მაგრამ იგი სცემს აგრეთვე ქართულ წიგნებს. მისი მთავარი მიზანია ხელისშეწყობა ამიერ-კავკასიის ერთა ურთერთ გაცნობისათვის სათანადო ლიტერატურულ ნაწარმოებთა გამოცემით.

„შრომა“ საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კოოპერატიული გამომცემლობაა. „შრომის“ მიზანიც იგივეა, რაც ზემოდ დასახელებული წიგნთსავაქრო-სავაგომცემლო ორგანიზაციებისა. როგორც თვითონ გადმოგვცემს,—საკუთარი მუშაობის ანგარიშში,—„შრომამ“ დაარსებიდანვე მიზნად დაისახა ამოეცო ის დიდი ნაკლი, რომელიც ასე თვალსაჩინო იყო ჩვენი მუშათა მოძრაობისათვის,—სახელდობრ: გამოეცა შესაფერი ლიტერატურა პროფესიონალური და საერთოდ მუშათა მოძრაობიდან (კოოპერატიული, სოციალდემოკრატიული²⁾), რადგან პროფმოძრაობის მტკიცე გზაზე შედგომისა და მისი გარკვეულ ფორმებში ჩამოყალიბების მიხედვით საჭირო გახდა შექმნა ლიტერატურისა, რომელშიაც გაშუქებული იქნებოდა პროფმოძრაობის ამოცანები³⁾.

ამ ამოცანის შესრულებას „შრომა“ თავიდანვე წარმატებით შეუდგა და მისი მუშაობაც წლიდან წლამდე ფართოვდება. პირველად გამომცემლობა არსებობდა საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა კულტგანყოფილებასთან, როგორც მისი ქვეგანყოფილება. შემდეგში, მუშაობის გაშლასა და მიზნის გაფართოებასთან ერთად, იგი გამოიყო ცალკე განყოფილებად; გადაყვანილ იქნა მეურნეულ-ანგარიშზე, დამოუკიდებელი აპპარატითა და საფინანსო ოპერაციებით. ეს რეორგანიზაცია მოხდა 1926 წლის დამლევს, და აქედან იწყებს არსებობას საქართველოს პროფკავშირთა კოოპერატიული გამომცემლობა „შრომა“-ს სახელწოდებით.

გამომცემლობა მოეწყო საპაიო საფუძვლებზე. მისი ძირითადი კაპიტალი განისაზღვრა 6000 პაით, თითოეული 10 მანეთად ღირებულით. ეს პაიები პროფესიონალურ და დამზღვევ ორგანოებს შორის განაწილებულ იქნა შემდეგნაირად:

1) *ibid*, § 17.

2) Устав кооперат. изд. „Шрома“ § 2 и 3, აგრეთვე საქ. პროფკავშირთა გამომცემლობა „შრომის“ მუშაობა 1927. ტფილისი, გვ. 3.

3) საქ. პროფკავშირების გამომცემლობა „შრომა“ 1927. ტფ. გვ. 3.

4) *ibid* გვ. 4.

1) საქართველოს პროფსაბჭო	4000	პაი—40000	მან.
2) სოცდაზღვევის სამმართველო	500	„ — 5000	„
3) ტფალისის დამზღვევი კასა	500	„ — 5000	„
6) სამთაბანდო მუშათა კავშირი	50	„ — 500	„
5) ქალაქის სამკურნ. ქვეგანყოფილება	25	„ — 250	„
6) საბჭ. და სავაჭ. მოსამს. პროფკავშირი	30	„ — 300	„
7) შრომის სახალხო კომისარიატი	25	„ — 250	„
8) ტრანსპ. მომუშავეთა კავშირი	25	„ — 250	„
9) გემო-კვებას მუშ. კავშირი	30	„ — 300	„
10) მიწა-ტყის მუშათა კავშირა	20	„ — 200	„
11) მეღვინეთა კავშირი	20	„ — 200	„
12) მედსანშრომის კავშირა	15	„ — 150	„
13) ფეიქართა კავშირი	5	„ — 50	„

ამრიგად, სულ განაღდებულ იქნა 5245 პაი, რომლის საერთო ღირებულება უდრის 52.450 მანეთს. გაუნაღდებელი დარჩა 755 პაი -- 7550 მან. ამას გარდა, 1925 საოპერაციო წლის მოგება 20.000 მანეთი პროფკავშირთა საბჭოს დამატებითი პიების სახით გადაირიცხა გამომცემლობის საბრუნავ თანხაში და, ამრიგად ძირითადი, კაპიტალის რაოდენობა 1926 წლიდან 80.000 მანეთით განისაზღვრა.

გამომცემლობას აქვს თავისი წესდება, რომელიც დამტკიცებული და გატარებულია „ცეკავშირში“; იგი წევრია „ცეკავშირის“-ა, რომელსაც რევიზიის უფლება აქვს!).

„შრომის“ უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს პაის მქონეთა მიერ არჩეული გამგეობა და უკანასკნელის მიერ გამოყოფილი პრეზიდიუმი სამი კაცის შემადგენლობით.

ლიტერატურის შერჩევას გამოსაცემად, მის დამუშავენას და რედაქციას ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგია. უკანასკნელის ვიზის გარეშე არ შეიძლება დაიბეჭდოს „შრომის“ არც ერთი გამოცემა.

ტფილისში არსებობდა კიდევ გამომცემლობა „შრომის საკითხების“ სახელწოდებით, რომლის მიზანი და ფუნქციები თითქმის ისეთივე იყო, როგორც პროფკავშირთა გამომცემლობისა. პარალელიზმის ასაშორებლად და თანხებისა და საერთოდ გამომცემლობის კონცენტრაციის მიზნით 1926 წლის 1 ნოემბრიდან მოხდა ამ ორი გამომცემლობის შეერთება.

ამრიგად, მას შემდეგ შრომისა და პროფესიონალური საკითხების დარგში არსებობს ერთი გამომცემლობა—„შრომა“, რომლის ძირითად კაპიტალს „შრომის საკითხების“—21.000 მანეთიც მიემატა.)

1) Устав кооп. изд. „Шრომა“ §§ 4, 5, 6, 7, 8.

2) გამომცემლობა „შრომის“ ანგარიშები.

პროფესიონალური ლიტერატურის გამოცემის გარდა „შრომამ“ მიზნად დაისახა, საგანგებოდ შერჩეული მხატვრული, პოლიტიკური და სამეცნიერო-პოპულიარული ლიტერატურის გამოცემა¹⁾. განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში მან ბლომად გამოსცა მხატვრული ლიტერატურა (იხილე ცხრილი № 3).

ც ხ რ ი ლ ი № 3

გამომცემლობა „შრომის“ პროდუქცია 1921—1927 წ.წ.

წლები	ტირაჟი	საბელწოდებათა რაოდენობა	ჯგუფების დასახელება						
			პროფეს. ლიტერატ.	სიტყვაკაზმ. (ბელეტრ.)	პოლიტიკ.	ფიზკულტ. (სასწავლო)	მეცნიერულ პოპულიარულ	საერთო (სხვადასხვა)	შრომის დაცვა
1921	6.000	5	5	—	—	—	—	—	—
1922	4.500	4	4	—	—	—	—	—	—
1923	17 000	10	10	—	—	—	—	—	—
1924	35.000	21	15	—	—	—	—	2	4
1925	32.000	21	8	1	—	1	—	10	1
1926	112.000	51	12	22	—	2	4	7	3
1927	158.500	18	8	30	2	—	1	7	—
ს უ ლ		160	62	53	2	3	5	26	8

როგორც აქედან ვხედავთ, „შრომა“ პირველ წლებში (1921—1923 წ.) სცემდა მხოლოდ პროფესიონალურ ლიტერატურას (პროსიონალურ მოძრაობის ისტორია, პროფკოდნის კურსები და სხვა), ხოლო უკანასკნელ წლებში მის გამოცემებში აშკარად სკარბობს მხატვრული ლიტერატურა.

უნდა აღინიშნოს, რომ „შრომა“ ერთად ერთი ორგანიზაციაა, რომელსაც გამოანგარიშებული აქვს წიგნის საწარმოო ხარჯების საკალკულიაცო ო/ო-ები, თუმცა არა უადრეს 1927 წლისა. მართალია, „სახელგამს“ აქვს წიგნის „თვითღირებულების“ კალკულიაცია, მაგრამ იქ საორგანიზაციო ხარჯები არაა ნაანგარიშევი

1) ibid.

თვითღირებულებაში. „შრომის“ საწარმოო ხარჯების შედარებითი %/ო-ები ასეთია (1927 წლისთვის):

1. სასტამბო ხარჯები	42,30%
2. ქალაქი, საბეჭდო	18,8 „
3. „ გარეკანი	2,1 „
4. საავტორო ჰონორარი	15,5 „
5. სათარგმნი „	4,1 „
6. საკორექტურო „	2,5 „
7. სარედაქტორო „	0,5 „
8. დასურათება (მხატვარი)	1,8 „
9. კლიშე	2,5 „
10. საორგანიზაციო და წვრ. ხარ- ჯები	9,9 „
ს უ ლ	100%

ამ ცნობების მიხედვით, საორგანიზაციო და წვრილი ხარჯები 100%-მდე აღწევს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ „შრომა“ შედარებით პატარა ორგანიზაციაა და მისი წარმოება ნაკლებ მასიურია და ვიწრო მასშტაბით განისაზღვრება, ეს %/ო მაინც და მაინც დიდად არ უნდა ჩაითვალოს.

როგორც აღვნიშნეთ, სხვა ორგანიზაციებიდან ანალოგიური ცნობების უქონლობა ამ ცნობების სხვებთან შედარების საშუალებას გვიძლავს.

გამომცემლობა „შრომის“ აქვს საკმაოდ ფართო სავაქრო ქსელი¹⁾.

„შრომის“ უმთავრეს კლიენტურას პროფკავშირები, მათი კლუბები, ბიბლიოთეკები და ფაბრ-ქარხნები წარმოადგენენ, რის გამო,

1) 1928 წელს ჰქონდა მალაზია—5 (ტფილისში—2, ქუთაისში—1, ბორჯომში—1, კიათურაში—1), კიოსკი—3 : (სახეურში, ზესტაფონში, კავკავში); ჰყავდა რწმუნებულები: სამტრედიისში, ოზურგეთში, სენაკში, ახალციხეში, გორში, დუშეთში, ბორჩალოში, სიღნაღში, თელავში და ფოთში, აგრეთვე აფხაზეთში, აჭარისტანში და სამხრეთ ოსეთში.

გამომცემლობას დადებული აქვს აგრეთვე ხელშეკრულება:

- 1) რკინის გზის კიოსკებთან საერთოდ საქართველოს ხაზზე,
- 2) წიგნის გამავრცელებელ საზოგადოებასთან და
- 3) გაზეთ „მუშის“ კიოსკებთან ფოთსა, სენაკსა და თელავში.

როგორც ამას თვითონ „შრომატ“ აღნიშნავს თავის ანგარიშში, მისი გამოცემები კარგად ვრცელდება.

კავშირებს, შეღავათის გულისათვის, სათანადო ლიტერატურას 6 თვიანი კრედიტით აძლევს. თავისი გამოცემის ბრუნვის ვადად „შრომას“ მიღებული აქვს წელიწადი-წელიწადნახევარი ¹⁾).

ბეჭდვითი საქმის საპაიო ამხანაგობა „ქართული წიგნი“ მოქმედებს 1925 წლიდან. ეს ამხანაგობა სახელმწიფო, კომუნალურ და სხვა გადასახადთა გადახდის მხრივ გათანასწორებულია კოოპერატიულ ორგანიზაციებთან ²⁾. აქვს იურიდიული პირის უფლება ³⁾. მისი ძირითადი თანხა განსაზღვრულია 50.000 მანეთით, რომელიც დაყოფილია 5 ათას წილად (პაიებად), თითოეული 10 მანეთად ღირებულად ⁴⁾. პაიები ყველა სახელობითია.

„ქართული წიგნის“ მმართველი ორგანოებია: საერთო კრება, გაშვება და სარევიზიო კომისია ⁵⁾. ამხანაგობა სცემს უმთავრესად კლასიკებს, როგორც ქართულს, ისე უცხოეთისას.

„ქართული წიგნის“ მიერ გამოცემულ იქნა:

1926/1927 საოპერაციო წელში 19 სახელწოდ. 65.000 ცალ.

1927/1928 " " 14 " 52.000 "

1926/1927 საოპერაციო წელში ამხანაგობას ჰქონდა წმინდა მოგება 6,585 მანეთი ⁶⁾, და 1927/1928 წლის ვარაუდი არის 5000 მანეთამდე.

გარდა ზემოდ დასახელებულთა, არსებობს კიდევ რამდენიმე კერძო და პარტიულ-პროფესიონალური გამომცემლობა, მაგრამ აღნიშნულებთან შედარებით მათ ნაკლები მნიშვნელობა აქვთ.

თუ რამდენად მონაწილეობენ სხვადასხვა გამომცემლობანი მთლიან ქართული წიგნის პროდუქციაში, ამის სურათს გვაძლევს ქვემოლ მოყვანილი ცნობები:

1) მასალები ამოღებულია „შრომის“ ანგარიშებიდან, რომელთა შორის 1927 წლისა დაბეჭდილია 1000 ეკზემპლიარის რაოდენობით.

2) წესდება, ბეჭდვითი საქმის საპაიო ამხანაგობის „ქართული წიგნისა“ § 4 ამხანაგობის დამფუძნებელნი: ნ. ი. ნიკოლაძე, პ. ი. ინგოროყვა, ი. ს. ვარაზაშვილი, გ. დ. ქიქოძე, ა. ხ. აბაშელი, ი. მ. ლორთქიფანიძე, ს. დევდარიანი.

3) წესდება, § 5.


4) იბი, § 7.

5) იბი, § 24.

6) ბეჭდვითი საქმის საპაიო ამხ. „ქართული წიგნის“ ანგარიში 1926/1927 წ.

დიაგრამა № 1.


1921 წლის ოქტომბრიდან ვიდრე 1927 წლის ოქტომბრამდე გამოცემული წიგნები გამომცემელ ორგანიზაციებს შორის ნაწილდება შემდეგნაირად:



	სახელწოდება	ტირაჟი
„სახელგამი“	667	2.269.000
აკადემ. გამოც.	188	59.000
უწყებათა გამოც.	563	215.000
პროფ. ორგ. გამოც.	183	322.000
კოოპერატ. გამოც.	502	2.269.000
კერძო გამოც.	172	369.000
პარტიული გამოც.	232	333.000
გამოურკვეველი გამოც.	326	484 000
ს უ ლ	2.834	6.281.000

დიაგრამა № 2

იგივე პროდუქცია სოციალური დანიშნულების მხედვით გვაძლავს შემდეგ სურათს:



კერძოდ 1927 წლის ქართული წიგნის პროდუქცია, თანახმად საქართველოს წიგნის პალატის ცნობებისა, იძლევა შემდეგ სურათს (იხ. ცხრილი № 4):

ცხრილი № 4

1927 წ. ქართული წიგნის პროდუქცია საგამომცემლო ჯგუფთა მიხედვით.

№№ რიგზე	საგამომცემლო ჯგუფების დასახელება	სახელწოდების რაოდენობა	დაბეჭდილი ფურცელი	ტირაჟი	დაბეჭდილი ფურცლის მთელ რაოდენობა
1	სამეცნიერო დაწესებ. . .	95	363,3	25.250	238.060,16
2	სახელმწიფო („სახელგამი“)	238	2969,7	1.329,600	15.639.405,2
3	უწყებ. და დაწესებულებ.	131	661,13	260.550	105320912
4	პარტიული ორგანიზ.	18	60,10	36,800	88,771,12
5	პროფეს. „ . . .	62	321,13	142,700	717.352,2
6	კოოპ. და სახ. „ . . .	102	505,1	416,950	1.801,350
7	კერძო	40	192,1	88,850	644.656,14
8	გამოურკვეველი	90	316,6	224,750	744,225
ს უ ლ . .		846	5.390,6	2.525.450	20.927.030

უნდა აღინიშნოს, რომ აქ „გამოურკვეველი ჯგუფი“ მეტწილად კერძო გამოცემათაგან შესდგება. ამათი საგამომცემლნი არიან უმრავლეს შემთხვევაში თვით ავტორები ან მთარგმნელები, რომელნიც სხვადასხვა მოსაზრებით არ აღნიშნავენ, რომ წიგნი მათ მიერაა გამოცემული. ამ ჯგუფის წიგნები მეტწილად პატარა ბროშურებისაგან შესდგება, რომელთა ავტორები უფრო ხშირად ახალგაზრდა დამწელები პოეტები არიან.

როგორც ვხედავთ, ქართული წიგნის მთელ პროდუქციაში „სახელგამის“ ხვედრითი წონა ყველაზე დიდია.

მოვიხსენიოთ ორიოდ სიტყვით ძველი ქართული წიგნებით ვაჭრობის საქმეც. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული წიგნი სულ უკანასკნელ დროს გახდა ბუკინისტების საგნად, — განსაკუთრებით 1905

წლის რევოლიუციის შემდეგ, რასაც მოჰყვა ერთნაირი გადაფასება წიგნის სიშიდდრისა, რომელმაც წიგნის ზოგი კატეგორია ჩამოაცილა ცენტრალურ არხებს. ამავე გარემოებამ ხელი შეუწყო, რასაკვირველია; საერთოდ წიგნის გამრავლებასაც.

განსაკუთრებით 1917 წლის რევოლიუციას მოჰყვა აუარებელი წიგნის საბუკინისტო ბაზარზე გატანა, როდესაც კერძო პირებმა მთელი წიგნთსაცავები გაიტანეს იქ პურის მოსაპოვებლად: აგრეთვე პირველდაწყებითი და საშუალო სასწავლებლების და სხვა დაწესებულებათა ბიბლიოთეკებმა გამოყარეს რევოლიუციით უხმარქმნილი და უარყოფილი წიგნების დიდი რაოდენობა. ამ წიგნების უმრავლესობამ ბუკინისტთა დუქნებში ჰპოვა თავშესაფარი. მათგან ერთმა ნაწილმა, რომელიც რაიმე მეცნიერულ თუ ბიბლიოგრაფიულ ღირებულებას წარმოადგენდა, კერძო პირთა და სამეცნიერო დანიშნულებათა წიგნთსაცავებისაკენ გაიკვლია გზა, ხოლო დანარჩენი ნაწილი უბრალო სახვევ ქაღალდად იქნა მოხმარებული.

ამას გარდა, უკანასკნელ რევოლიუციამდე არსებულ გამომცემელთა და წიგნით მოვაჭრეთაგან ზოგიერთი გადაურჩა წიგნის საქმეში მომხდარ ცვლილებებს, მაგრამ გადაურჩა—სახეშეცვლით, ბუკინისტების სახით. ასეთი ბუკინისტების მთელი მწკრივია ამჟამად ჯორჯაძის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის გასწვრივ, აღმოსავლეთით. ამათგან ზოგნი ამავე ადგილას, როგორც ვთქვით, გასული საუკუნის ოთხმოციან წლებიდან ვაჭრობდნენ და თავის დროზე საკმაოდ ცნობილ გამომცემლებს და წიგნით მოვაჭრეებს წარმოადგენდნენ.

უკანასკნელად საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამაც მიაქცია ყურადღება ძველი წიგნით ვაჭრობის საქმეს და მიმდინარე 1929 წლის 1 მარტიდან გახსნა სპეციალურად ძველი და ნახშირი ქართული წიგნის გამსაღებელი მაღაზია „საბჭოთა ბუკინისტი“-ს სახელწოდებით, სადაც წიგნები იყიდება 20-დან 80 პროცენტამდე ფასდაკლებით.

„საბჭოთა ბუკინისტი“ აქვს შედგენილი ცალ-ცალკე ბიბლიოთეკები სხვადასხვა საკითხებზე, და გარდა იმისა, რომ ამ ბიბლიოთეკებში შემავალი წიგნები გაიაფებულია აღნიშნული პროცენტით, ვინც მთელ ბიბლიოთეკას შეიძენს, კიდევ ეძლევა 10⁰/₀-ის ფასდაკლება.

ეს ბიბლიოთეკები შედგენილია ასეთი სახელწოდებით: „საბავშვო ბიბლიოთეკა,“ — შეიცავს თუთხმეტ სახელწოდებას, „პოპულიარული ბიბლიოთეკა,“ — შეიცავს ოცს სახელწოდებას, „საგლეხო ბიბლიოთეკა,“ — შეიცავს თვრამეტ სახელწოდებას და სხვ.

ამას გარდა, იმავე „სახელგამს“ ჰყავს „საბჭოთა ბუკინისტთან“ დაკავშირებული აგენტები, რომლებიც გაიაფებულ წიგნებს მიაწოდებენ კერძო პირებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს¹⁾.

ქართული წიგნი იყიდება აგრეთვე ბაზრობაშიაც, რომელიც ჩვეულებრივ კვირაობით იმართება,—მაგ., ტფილისში. ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეშიც კი იყიდებოდა ტფილისის ბაზარზე²⁾ წიგნები. უკანასკნელ ათეულ წლებში ბაზარზე უმეტესად ეგრეთ წოდებული „ბულვარული“ ლიტერატურა იყიდებოდა. თუმცა ბოლო დროს მდგომარეობა თვალსაჩინოდ შეიცვალა და ეხლა ბევრი შინაარსეული ღირებულების შემცველი წიგნი გამოდის აქ გასაყიდად, მაგრამ ბაზარში დღესაც კი ვხდებით უკანასკნელ გამოცემებს ისეთი წიგნებისა, როგორცაა „არსენას ლექსი“, „ქალვაჟიანი“, „დავრიშაიანი“, „ანა ბაჯი ქალის სიმღერა“ და სხვა. ზოგი მათგანი მიმდინარე 1929 და გასულ 1928 წელშიაც გამოცემულა და, როგორც მათი გამსაღებელი გადმოგვცემს, ეს წიგნები საკმაო რაოდენობით ვრცელდება.

ქართული წიგნი კარგა ხანია აგრეთვე მოსიარულე მოვაჭრეთა ვაჭრობის საგანი შეიქნა. ვაჭრობის ამ წესს დღესაც უმეტესად კერძო პირები მიმართავენ. თუ ამ 35 წლის წინად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ცდამ სანუგეშო შედეგი ვერ მოიტანა, ჩვენს დროში ნიადაგი შეიძლება საკმაოდ მომწიფებულად ჩაითვალოს, და საკითხი ხალხში წიგნების გავრცელებისა აღნიშნულის წესით საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ, რომელიც დღეს ტონის მიმცემია ყოველ მხრივ ქართული წიგნის საქმეში, მორიგ ამოცანად უნდა დაისახოს.

¹⁾ იხ. „საბჭოთა ბუკინისტი“-ს იაფი წიგნების კატალოგი 1929. წ. ტფილისი. წინასიტყვაობა.

²⁾ იესე ოსეს შვილის თავდასავალი, 1913. ტფილისი, გვ. 131. სარგ. კაკაბაძის გამოცემა.

თავი მესამე

დასკვნა

დასკვნა

წიგნის მეურნეობას, მეურნეობის სხვა დარგებთან ბევრ საერთო და მსგავს თვისებას გარდა, ბევრი თავისებურებაც აქვს.

წიგნის პრობლემას ის გარემოებაც ართულებს, რომ იგი მეურნეობის და იდეოლოგიის მიჯნაზე სდგას. წიგნის მეურნეობაში არის არა მარტო ვიწრო მეურნეული საქმიანობის, არამედ კულტურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნიშნებიც. ჩვენში წიგნით მოვაქრეებსა და გამომცემლებს ძველი დროიდანვე კულტურულ მოღვაწეებად სთვლიდნენ, რომელთა ერთი კატეგორიის შესახებ უკმაყოფილო აკაკი წერეთელი ამბობს: «მათი მდგომარეობა კარგია, ვნებაც მოაქვთ და მოღვაწეებადაც ითვლებიანო»¹).

დიდი იყო წიგნის მნიშვნელობა ხალხთა ცხოვრების ისტორიაში; უფრო დიდია ის დღეს და, უეჭველია, კიდევ უფრო დიდი იქნება მერმისში.

ქართული წიგნის პირველად დაბეჭდვის დროიდან მოყოლებული მისი განვითარება კუს ნაბიჯით მიდიოდა ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე. იმ დროის საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ისტორიას არ ახასიათებს თანდათან და დაუბრკოლებელი განვითარება. ქვეყანა მუდამ ჟამს აოხრებისა და განადგურების შიშს ქვეშ იმყოფებოდა. ახალი საზოგადოებრივი პირობები ვერ იქმნებოდა, ვერც უცხოეთიდან შემოდისოდა აქ ახალი ტექნიკური მიღწევები. ამისათვის არ იყო არც მატერიალური შესაძლებლობა და არც სათანადო მყუდროება და დამოუკიდებლობა, დაწინაურებულ ქვეყნებთან კავშირის უქონლობას რომ თავი დავანებოთ. საქართველოს მეფეებს თავის სურვილისამებრ ათამაშებდა სპარსეთის შაჰი თუ ოსმალეთის სულთანი, და საქართველოს ტახტზე თითო-ოროლა წლით თუ მოასვენებდა, გააჩერებდა. ამასთანავე ყოველი ფეოდალი,

¹ იხ. გაზ. „ივერია“ № 200. 1904.

თავადი „დამოუკიდებლობას“ ჩემობდა. ეს ის დრო იყო, როდესაც ზ უ რ ა ბ ე რ ი ს თ ა ე ი საკუთარ სახელზე ფულის მოქრასაც კი ფიქრობდა!).

საქართველოში ბექდვითი ნაწარმოები მე-XVII საუკუნეზე ადრეც ყოფილა ცნობილი, მაგრამ სტამბის დაარსება მაინც ვერ მოხერხებულა. პირველად ქართული წიგნი რომში დაიბეჭდა და ისიც დაგვიანებით: 1629 წელს.

ვატიკანში ქართული წიგნები საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდის მიზნით იბეჭდებოდა. რომში პირველსავე წელს დაბეჭდილი წიგნის დანიშნულება იყო: საქართველოში მომავალ პროპაგანდისტ მისიონერებს ქართული ენა შესწავლათ.

ქართული წიგნის პირველად რომში დაბეჭდვიდან სრული ოთხმოცი წლის შემდეგ ქართული საქმის გულმოდგინე ვახტანგ მე-VI-ის მეცადინეობით და ხარჯით ტფილისს მოწყობილ სტამბაში პირველად ქართული წიგნი 1709 წელს დაიბეჭდა.

ვახტანგ მე-VI-ემ რაღაც 11 წელიწადი (1701—1712 წ.წ.) იმეფა განუწყვეტილად და მრავალი საყურადღებო საქმე შეასრულა. გაიყვანა უღაბნო ადგილების მოსარწყავად არხები, გააშენა სოფლები, დიდად იზრუნა კულტურულ საქმეზე, 20.000 მანეთი გაგზავნა იერუსალიმს ქართული მონასტრების დავალიანების დასაფარავად.

მაგრამ განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდო ქართული წიგნის საქმეს. ვალახიიდან მოიყვანა დახელოვნებული მესტამბე, დააარსა სტამბა და გამოსცა ქართული წიგნები, რომელთა შესასწორებლად და ორიგინალებთან შესადარებლად შეადგინა მეცნიერთაგან სარედაქციო კომისია. ამ კომისიაში თვითონაც ღებულობდა მონაწილეობას. გარემოებამ არ ინება განეგრძო ვახტანგ მე-VI-სეც თავისი აღმშენებლობითი მუშაობა. 1712 წელს ის იძულებული შეიქნა სპარსეთს წასულიყო.

ვახტანგის წასვლის შემდეგ, მართალია, წიგნების ბეჭდვის საქმე სავსებით არ შეწყვეტილა, მაგრამ ძველი ინტენსიური მუშაობა უკვე აღარ იყო. მის წასვლისათანავე ისევ არეულობამ და უთანხმოებამ დაიბუღა ქართლში.

1719 წლის 7 აგვისტოს დაბრუნდა ვახტანგ მე-VI ტფილისში. მაშინვე შეუდგა დაწყებული კულტურული მუშაობის გაგრძელებას, — განაახლა წიგნების ბეჭდვა. მაგრამ არ დასცალდა.

1 მ ა რ ი ბ რ ო ს ს ე — საქართველოს ისტორია, ნაწ. II. 1900. ტფილისი. გვ. 29.

1723 წლის 4 მაისს მაჰმად ყული ხანმა ლეკთა ჯარით დაიპყრო ტფილისი, მრავალი კულტურული დაწესებულება გაანადგურა. ცხადია, არც სტამბას დასტოვებდენ უყურადღებოდ¹⁾.

ქართული წიგნის ბეჭდვის საქმის დიდი მუშაკი ვახტანგ მე-VI რუსეთს გადასახლდა. აქ მან და მისმა ამაღამ, რომელიც 1185 სხვადასხვა წოდების კაცთაგან შესდგებოდა²⁾, გახსნეს (მოსკოვის ახლოს) სტამბა და დაიწყო ქართული საეკლესიო და საღვთო წიგნების ბეჭდვა, რითაც გააგრძელეს არჩილ მეფის მიერ დაწყებული საქმე სრული ქართული ბიბლიის გამოცემისა³⁾.

თვით საქართველოში ცხოვრება აირია. შეუწყვეტელი ომებისა და ძარცვა-გლეჯის წყალობით ქვეყნის ეკონომიური ძლიერება დაეცა. შეწყდა ყოველგვარი კულტურული მუშაობა. სტამბაც აკლებული და გაუქმებული დარჩა.

მხოლოდ მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისისათვის შეიქმნა იმედის აღმძვრელი მდგომარეობა. შაჰნადირმა ქართლის მეფობა თეიმურაზს, ხოლო კახეთისა მის შვილს ერეკლეს უბოძა (1744 წ.). ქართლ-კახეთის ამ ფაქტიურმა გაერთიანებამ იმთავითვე დადებითი შედეგი გამოიღო. მტერთა ბრბოების თარეშის მოსპობასთან ერთად შეიქმნა ნიადაგი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის⁴⁾ და კერძოდ მრავალგზის აობრებული სტამბის განახლება-აღდგენისათვის. 1782 წელს ერეკლე მე-II-რის მიერ კონსტანტინეპოლიდან⁵⁾ გამოწვეულმაჰ სასტამბო საქმის ოსტატმა განაახლა სტამბა ტფილისში. ჩამოასხეს ახალი შრიფტი. წიგნების ბეჭდვა-გამოცემა განვითარების გზაზე დადგა. ამ დროიდან დაბე-

1) „დასწევს სიონი და შემუსრეს ხატი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა, რაოდენნი ქალწულნი განიხრწნენ და კეშმარტინი დედანი და მოწამენი ბოროტებით განიგმირნენ და სისხლი მართალთა დაითხია ურჯულოთაგან“ („ქართლის ცხოვრება“, გვ. 135).

2) Пл. Иоселиани, Ист. Взгляд на сост. Груз. под властью царей магометан. გვ. 82; „ქართლის ცხოვრება“ ნაწ. II, ჩუბინაშვილის წინასიტყვ., გვერდი VIII.

3) В. Сопиков, Ис. сит. გვ. СLVII.; П. Бутков, материалы для новой истории Кавказа т. I. 1869. сиб. გვ. 465.

4) გიულდენშტეტის ცნობით, მე-XVIII საუკუნის სამოციანი წლებისათვის ტფილისში ყოფილა 20.000 მცხოვრები. იხ. G ü l d e n s t e d t, Reisen nach Georgien und Imerethi, გვ. 128; ხოლო 1786 წელს კი ტფილისში ყოფილა 500 დუქანი. [იხ. სარგის კაკაბაძე საქართველოს ისტორია. ახ. საუკ. ეპოქა. 1928. ტფილისი. გვ. 272—273

5) А Цагарели, Свед. о пам. грузинск. письм., вып. I. გვ. LVII—LV.

ქდილ წიგნებში სასტამბო მუშაკთა მთელი იერარქია არის მოხსენებული. სტამბის ორგანიზაცია გართულდა და გაიზარდა. კვლავ დაიწყო გამოსაცემი წიგნების შესწორება, მათი მეცნიერული შესწავლა, ორიგინალებთან შედარება, ხელახლა თარგმნა.

მაღე სასტამბო საქმე ისე მოღონიერდა, რომ მას კერძო პირი უდგება სათავეში. ქრისტეფორე კეყერაშვილმა მეთვრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან ერეკლე მე-II-საგან მიიღო სტამბა განსაკუთრებული ხელშეკრულების ნიადაგზე. ის ფაქტიურად მოიჯარადრე იყო სამეფო სტამბისა. კეყერაშვილს მოგების ნახევარი სახელმწიფო ხაზინაში უნდა შეეტანა, ხოლო მეფე თავის მხრივ ვალდებული იყო საპირო ქალაღდი 1) რომელიც მაშინ უკვე რუსეთიდან შემოჰქონდათ 2), მიეწოდებინა ქრისტეფორე კეყერაშვილისათვის, რომელიც სტამბის განმგეთა და ზედამხედველად ითვლებოდა.

კეყერაშვილმა წარმატებით წარმართა თავისი საყვარელი საქმიანობა; მისი გამოცემების საშუალო ტირაჟი, როგორც თავის აღგილას დაეინახეთ, 800-მღი აღწევდა 3).

ამრიგად, წიგნების ბეკდვა-გამოცემის საქმეს უკვე სისტემატიური ხასიათი მიეცა. საქმე ისე წასულა, რომ წიგნები ბაზარზედაც გაჰქონდათ თურმე გასაყიდაღ. იესე ოსესშვილი თავის თავგადასავალში სწერს შვილებს: „ღიღღ ცუღი შვილები მოსწანთ, არ ვიცი რა გექნებათ. ვაი თუ ამოღენი წიგნი, ამოღენი მამული გააქარკოთ. თვალში მიდგას, ჩემს მომნათლავს მრავალი წიგნები დარჩა, მისი ცოლი და შვილი ატარებდენ ბაზარში და ქერამზედ ჰყიდდენ. ერთი მკირე ბარათი არ დამიგღია, რომ გამოსაყენებელი არ იყოსო“ 4), აფრთხილებს შვილებს.

საინტერესოა ვიკითხოთ: ვინ იყვნენ მკითხველები, მკიდველები, მომხმარებლები წიგნისა?

მაშინდელ კულტურულ ძალას უმთავრესად სასულიერო წოდება წარმოადგენდა. წიგნის მთავარი მომხმარებელიც ეგ წოდება იყო. მაგრამ სასულიერო წოდება მხოლოდ სამღთო-საეკლესიო წიგნების მომხმარებელი და მკითხველი იქნებოდა 5). აკი დაბეკდელი წიგნებიც

1) Дубровин, Записка, 1886 Спб. გვ. 130.

2) იხილე „სახარება“ 1791 წელს ტფილისის დაბეკდელი. ინახება ტ. ს. უ.. წიგნთსაცავში, კოლექცია: ახს. II. 252.

3) იხ. ტფილისის 1793 წელს დაბეკდელი „მარხვანი“, გვ. 547 (ჯმზ); Памятники груз. письм. პროფ. ა. ცაგარელისა: გვ. 41.

4) იესე ოსესშვილის თავგადასავალი, ს. კაკაბაძის გამოცემა 1913 წელი ტფილისი. გვ. 131.

5) პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, 1925 წ. ტფ. გვ. 98.

უმთავრესად „საღვთო“ და «საღვდელო» იყო. თვით ვახტანგ მე-VI-მაც, როპელიც ყველა შემდგომ მეფეებზე უფრო განსწავლული და მეცნიერი იყო, მხოლოდ ორიოდ საერო წიგნის დაბეჭდვა შესძლო. მის მიერ გახსნილ სტამბაში პირველად სახარება დაიბეჭდა. მაგრამ სხვანაირად არც შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო. სტამბის გახსნას ისედაც არა კეთილის თვალთ შეხვდა პირველ ხანებში სასულიერო წოდება¹⁾. ცხადია, ეს უმთავრესად ის ნაწილი იქნებოდა ამ წოდებისა, რომელიც „სამღვდელოსა წიგნებსა სწერდა, ჰყილდა და მითი მოიჩეუდა“²⁾. და ასეთს პირობებში რომ პირველად „ვეფხის ტყაოსანი“ ან სხვა რომელიმე საერო წიგნი დაბეჭდილიყო, ეს ალბად მთელ აჯანყებას გამოიწვევდა სასულიერო წოდებაში. აქი სტამბის გახსნიდან მეოთხე წელსაც, როდესაც „ვეფხის ტყაოსანი“ დაბეჭდა ვახტანგ მე-VI-მ, სამღვდლოება ამხედრდა მის წინააღმდეგ.

ამრიგად, აზროვნების იარაღი, წიგნი, საცხებით სასულიერო წოდების ხელში იყო, რამდენადაც ამ წოდების აზროვნება წარმოდგენდა მაშინ გაბატონებულ საზოგადოებრივ აზროვნებას. ისე კი სამღვდლოება, პოლიტიკური უფლებების მხრივ, არ იღვა თავადებზე, ფეოდალებზე მაღლა. პირიქით: სასულიერო წოდების მთავარი ლაშქარი,—სამღვდლოება, თავადიშვილის „ბარათში გამოყოლილი ყმა იყო“³⁾, როგორც ამას შშენიერად ახასიათებს ალ. სარაჯიშვილი თავის გამოკვლევაში.

ეს იმას არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ მაშინ საერო წიგნი ვითომ არ ვრცელდებოდა. არა, ვრცელდებოდა ასეთი წიგნებიც და მათი დამწერ-შემთხველნი თავად-აზნაურობას ეკუთვნოდნენ. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი თანამდებობის სასულიერო წოდების პირნი იმავე დროს თავადაზნაურთა წოდებიდან იყვნენ. რაც, შეიძლება ვთქვათ, ხელს უწყობდა ამ წოდებათა აზროვნულ ერთგვაროვნობას, თუმცა იმავე მე-XVIII საუკ. ლიტერატურაში ხშირია მათ შორის ცხარე პოლემიკის მაგალითები, რომელთა გაცნობა გვარწმუნებს, რომ ამ პოლემიკაში „სამღვთო“ წიგნი ყოველთვის იმარჯვებდა.

აი, რას სწერდა ამის შესახებ არჩილი:

¹⁾ იხ. 1712 წ. გამოც. ვეფხის ტყაოსნის მინაბეჭდი მეტამბე მთქაელი-საგან, უკანასკნ. გვერდი.

²⁾ ი. ოსესიშვილის თავგადასავალი, სარგის კაკაბაძის გამოცემა, 1913 წ. ტფ. გვ. 10.

³⁾ იხ. ძველი საქართველო, ტ. IV. გვ. 53, „ერთი გლეხის ოჯახის ბედი“, ალ. სარაჯიშვილისა.

„ორი არის სიტყვის ცოდნა: სამღვდელო და საერო, სამღვდელის მკოდინარე საეროსა მოერიო“.

ანდა კიდევ ერთი მეთვრამეტე საუკუნის უცნობი პოეტი:

„ვის ღმერთი სწამს ადამიანს, ნუ ჩახედავს ვისრამიანს, დაუბნელებს ღლესა მზიანს, ჯოჯოხეთში ნახავს ზიანს“ 1).

გარდა ამისა, ჩვენ ზემოდ დავინახეთ, თუ რა სასტიკად ილაშქრებენ ანტონ კათალიკოსი და ტიმოთე ქართლის მთავარეპისკოპოსი (გაბაშვილი) შოთას ქმნილების წინააღმდეგ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასულიერო წოდებამ ვერ აღმოთხვრა საერო წიგნებისადმი მიდრეკილება და სიყვარული. იგივე არჩილი სწერს:

„საღეთო წიგნი ბევრი წახდა, უყდოთა და უბუღობით,
„საშაიროს ინახავენ სტავრის ბუღით ან ნახლობით,
„უმჯობესი დაივიწყეს წესის რასმე აწ ახლობით,
„სიმართლესა მრუღზედ სცვლიან სიცრუისა მომზახლობით“.

რაც შეეხება მოსახლეობის ღიდ მასას, — გლახობას, უნდა ვთქვათ, რომ მას წიგნის საქმეში წილი არ ჰქონდა (მხედველობაში არა გვყავს სამღვდელოების ის ნაწილი, რომელიც თავადებისა და აზნაურების ყმები იყვნენ, ე. ი. შთამომავლობით იგივე გლახები). გლახი ისე იყო ბატონყმობის უღელს ქვეშ მოქცეული, რომ წერა-კითხვის შესწავლისთვისაც კი არ ჰქონდა დრო. მათში წერა-კითხვის მკოდნენი უმთავრესად ქალები იყვნენ.

მართალია, იყვნენ შიგადაშიგ მატერიალურად საკმაოდ ძლიერი გლახები, — უმთავრესად საეკლესიო ყმების წრეში, ვინაიდან გლახისათვის უფრო ადვილად ასატანი იყო ყმობა ხორცშეუსხმელი წმინდანისა, ვიდრე ხორც-შესხმული აზნაურისა. ამიტომ გლახთა ამ წრეში შეიძლებოდა წიგნს ჰქონებოდა გზა და გასავალი. მაგრამ, საუბედუროდ, არც ეს „წმინდანების ყმა“ გლახები იყვნენ თავისუფალი ხორციელი ბატონებისაგან, ფეოდალებისაგან. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ალ. სარაჯიშვილის ხსენებული გამოკვლევა: წმ. ესტატეს ყმას, გლახს ხახანაშვილს, რომელსაც საკუთარი გარჯით ორმოცდაათ დღიურზე მეტი მიწა, ვენახი, წისქვილი და სხვა შეუძენია და რომელიც, ამრიგად, კარგა მდიდარ ოჯახს წარმოადგენს, მოსვენებას არ აძლევს ფეოდალი თარხნიშვილი. თა-

1) წერა-კითხვის გამავრც. საზ. ფონდი № 3183.; ს. ს. ორბელიანი — სიბრძნე სიცრუისა, გ. ლ. გ. ო. ნ. შ. ი. ლ. ი. რედაქცია. 1928. ტფ. გვ. CLXXI

ვადი თარხნიშვილი, წინააღმდეგ მეფისა (ერეკლე მე-11), რომლის წინაშე ათეული წლების განმავლობაში სათანადო დოკუმენტებით თუ მოწმეებითა და ფიცით აღკურვილი გლეხი ღალატდებდა თავის სიმართლეს, წმ. ესტატეს ყმობას, და განჩინებაც მიიღო მეფისგან, იმორჩილებს ამ გლეხის ოჯახს და ორიოდ წლის შემდეგ „თავისი მამულითა, ნასყიდითა და უსყიდითა, მითა, წყლითა და წისკვილითა“ დასკირდა და ჰყიდის ნათესავ მემამულეზე¹⁾.

ამრიგად, ცხადია, რომ მაშინდელი გლეხი, იმქვეყნიური წმიდანის ყმა იყო იგი თუ ამქვეყნიურისა, მაინც ვერ გახდებოდა წიგნის პატრონი.

არ იყო არც მესამე წოდება, რომელსაც შეძლებოდა ხელი მოეკიდა წიგნისათვის. არსებული ქალაქები ფეოდალების თავშესაფარ ციხე-სიმაგრეებს უფრო წარმოადგენდნენ, ვიდრე ვაჭრობა-მრეწველობის ცენტრებს. ვაჭრები და ხელოსნები მცირე რიცხოვანნი იყვნენ, რომელთაგან მხოლოდ უმცირესი ნაწილი იყო ბატონისაგან დამოუკიდებელი, თავისუფალი.

ამრიგად, მთელი მე-17 და 18 საუკუნე ქართულმა წიგნმა სასულიერო წოდების სამსახურში გაატარა; სასულიერო წოდება ფლობდა წიგნს და იმავე წოდებიდან გამომდინარეობდა საზოგადოებრივი აზროვნება.

„მე-19 საუკუნით საქართველო თავისი ისტორიის ახალ ეპოქაში შედის. როგორც მისი პოლიტიკური, ისე სოციალ-ეკონომიური ცხოვრება ახალ ვითარებაში დგება. ბიუროკრატიული რუსეთის შემოსვლამ და უკანასკნელის ხელისუფლების განმტკიცებამ ალაგმა ფეოდალების თავგასულობა. მანვე, წაართვა რა დამოუკიდებელი სახე (ავტოკეფალია), საზღვარი დაუდო ქართული სასულიერო წოდების იდეოლოგიურ ბატონობას ქართულ საზოგადოებრივობაში“²⁾.

ამ ცვლილების მოახლოვებაც კი დაემჩნია უკვე მე-19 საუკუნის დასაწყისში ქართულ ლიტერატურას. ჯერ კიდევ 1800 წელს ტფილისში იბეჭდება ისეთი საერო წიგნი, როგორიც არის დავით ბატონიშვილის „ნარკუევი“ მსოფლიო ისტორიიდან, და ჩვენ ვხედავთ, რომ შემდეგში მალე ქართული წიგნის საქმე ახალი პატრონის ხელში გადადის. ეს პატრონია ქართული სამხედრო-სათავად-

¹⁾ ძველი საქართველო, ტ. IV გვ. 48. ერთი გლეხაკის ოჯახის ზედი მე-18 საუკ., აგრეთვე გერონტი ქიქოძე, ეროვნული ენერჯია, გლეხისა და მეფის ტრაგედია. 1919 ტფილისი. გვ. 167—174.

²⁾ პ. გუგუშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის საზნის წლის თავის გამო (ეურ. „მნათობი“ № 4. 1929 წ. გვ. 177).

აზნაურო წოდება¹⁾, რომელიც მისმა მდგომარეობამ ყველაზე ახლო დააყენა ახლად გაბატონებულ ძალასთან.

სამხედრო-სათავად-აზნაურო წოდების ხელში ჰპოვა თავისი შემდგომი განვითარება ქართულმა წიგნმა, ბექდვით სიტყვამ. პირველი ქართული გაზეთიც ამავე წოდების წარმომადგენლებმა გამოსცეს ტფილისში 1819 წელს.

ეს ის დრო იყო, როდესაც გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა მიეცა რუსული ენის, ანბისა და საქმის შესწავლას. და ამავე საქმის სასამსახუროდ უნდა გამოსულიყო ქართული წიგნიც, რომელიც უკვე „ბრძანებითა სრულიად რასიის იმპერატორისა და კურთხევითა უწმინდესისა სინოდისათა“ იბეჭდებოდა. პირველი ქართული გაზეთი საჯაროდ აცხადებდა, რომ სამსახურში მიიღებიან მხოლოდ რუსული ენის მცოდნე ადგილობრივნი კეთილშობილნიო, და იქვე იტყობინებოდა, რომ „კორპუსის სამხედრო ტიპოგრაფიაში დაიბეჭდება და იყიდება «თვით მასწავლებელი რუსულის ენისა» ექვს შაურთეთრ ფულად. ამ წიგნში რუსულნი ლექსნი დეწერილ არიან ქართულის ასოებით და ამისათვის იგი უსარგებლეს არს რუსულის კითხვის უცოდინართათვისო“²⁾.

როდესაც ოცდაათიანი წლებისათვის საქართველოს რუსეთში განსწავლული ახალი თაობა მოველინა, ქართული წიგნისა და ბექდვითი სიტყვის საქმეს აღორძინება დაეტყო. დაიწყო ამ მოწინავე ჯგუფის მოღვაწეობა. მაგრამ იგი ხანმოკლე გამოდგა, — აჯანყების მოწყობასთან დაკავშირებით.

1832 წლის ამბები არ იყო პირველი, არც უკანასკნელი. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მას მოჰყვა მთელი რიგი შეთქმულებათა და აჯანყებათა: იყო პროტესტი და თავიდან აცილების ცდა მწარე სინამდვილისა.

ქართველი ერი არა თანასწორი ბრძოლით შექმნილმა მდგომარეობამ გააძვალტყავა და ეკონომიურად თუ ფიზიკურად განადგურების გზას დააყენა.

როგორც ორმოციანი წლებში განზრახული ჟურ. «სინათლის» შესახები «გამოცხადებიდან» სჩანს, ამ ჟურნალის ინიციატორებიც სამხედრო თავადაზნაურობა და მაღალი მოხელეები იყვნენ. ეს ჟურნალი ვერ განხორციელდა. ჯერ კიდევ არ იყო სათანადო პირობები შექმნილი. ამ ხანებში საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელ აჯან-

1) ამ გარემოებას სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა „კვალი“ იმ განმარტებაში, რომელიც მან დაურთო მე-19 საუკ. 40-იან წლებში განზრახული ჟურ. „სინათლის“ „გამოცხადების“ დაბეჭდვას. იხ. „კვალი“ № 35 1896 წ.

2) იხ. „ქართული გაზეთი“, № 12. 1821 წლისა.

ყებათა ლიკვიდაცია ხდებოდა. მალე თვით მოსახლეობის მიერაც თანდათან უარყოფილი იქნა ეს კუთხური აჯანყებები, რომელსაც სარგებლობა არა მოჰქონდა რა. მომწიფდა შეგნება შერიგების საჭიროებისა.

რუსეთის მთავრობამ და საქართველოს მდგომარეობას გაცნობილმა რუსულმა საზოგადოებრივმა აზრმაც საჭიროდ დაინახა, რომ საქართველოში, კავკასიის გულში, საჭირო იყო მეტი დიპლომატობა და უფრო მოქნილი პოლიტიკა რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების განსახორციელებლად.

კავკასიაში შემოღებულ იქნა მეფისნაცვლის თანამდებობა და უკანასკნელზე დაინიშნა რუსული საქმის ნამდვილი დიპლომატი და ერთგული მ. ს. ვორონცოვი (1845—1854 წ.).

ამავე დროიდან ემჩნევა თვალსაჩინო ცვლილება ქვეყნის ეკონომიკასაც. მატულობს ვაჭრობა, ხელოსნური წარმოებაც. უფრო ადრე „ნატურალური გადასახადი ფულადი დაბეგვრით შეიცვალა. რა თქმა უნდა, ამ შეცვლას თავისთავად მოსახლეობის ფართო მასისათვის, გლეხებისათვის, არც ბაზარი გაუდიდებია და არც ფულის შოვნა გაუადვილებია, მაგრამ ეს ფაქტი მით არის მნიშვნელოვანი, რომ მან იძულებული გახდა ხალხი გაცვლა-გამოცვლისათვის¹⁾, საბაზრო წარმოებისათვის მეტი ყურადღება მიექცია და ამით კარჩაკეტილი მეურნეობის კედლები გაერღვია“²⁾.

ქალაქური ცხოვრება გამოცოცხლდა. ტფილისში დაარსდა მთელი რიგი კულტურულ დაწესებულებათა. ამათი მიზანი იყო ქართველი თავად-აზნაურობის რუსეთის ორბიტაში მოქცევა³⁾. ამის ერთ-ერთი საშუალება იყო პრესაც, და 1852 წელს დაარსდა ჟურ. „ცისკარი“, რომლის გამოცემის ნებართვა ვორონცოვმა თავისი სახელით გამოითხოვა იმპერატორ ნიკოლოზ I-ლისაგან⁴⁾.

რათა „ცისკარი“ ერთგული მსახური ყოფილიყო იმ პოლიტიკისა, რომელსაც ვორონცოვი ანხორციელებდა, უკანასკნელმა ხელი მოაწერა ერთბაშად ამ ჟურნალის 100 ეჭემპლიარზე მისი მეუღლის ე. კ. ვორონცოვის მიერ დაარსებული წმ.-ნინოს სახელობის სასწავ-

1) მეცხრამეტე საუკუნის დამდეგის საქართველოზე გამბა სწერდა, რომ ამ მხარეში ვაჭრობა ახალი მოვლენა არისო. იხ. Gomba, Voyage dans la Pussie méridionale, ტ. II. Paris 1826 გვ. 207—208.

2) ფ. გ. (ფ. გოგიჩაიშვილი), საქართველოს ეკონომიური განვითარება მე-XIX საუკუნეში („კვალი“ № 49 და 50. 1902 წ.); იხ. აგრეთვე И. Бахтадзе, Податное обложение государства. крестьян Закавказья, стр. 102.

3) გრ. გიორგაძე, საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში, გვ. 206—207; უფრო ვრცლად Егиаэров, Исследов. по истории учреждений в Закавказье 1891. Казань.

4) Б. Кипшидзе, Периодическая печать на Кавказе, стр. 28.

ლებლის მოწაფე ქალთათვის¹⁾. ამით მან არაპირდაპირი სუბსი-
დია დაუნიშნა ამ ჟურნალს.

ამავე ხანებში წიგნების ბეკდვა-გამოცემამაც უფრო სისტემა-
ტიური ხასიათი მიიღო. მეფის მოადგილის სტამბის კარები ამ საქ-
მისათვის ფართოდ იყო გაღებული და იბეჭდებოდა წიგნები „ბრძანე-
ბითა კავკასიისა ნამესტნიკის, უგანათლებულესისა კნიაზის მიხაილ სვი-
მონისძის ეორონცოვისათა“²⁾; მათსავე უგანათლებულესობას ეძღვნე-
ბოდა „უმდაბლესად ბრძანებითა მისითა“ დაბეჭდილი წიგნებიც³⁾.

როგორც „ცისკრის“ გონებრივი თუ მატერიალური მხარე,
ისე მთელ ამ პერიოდში გამოცემული წიგნებიც, გარდა ზოგიერთი
გამონაკლისისა, წარმოადგენს იმ სამხედრო თავად-აზნაურული წო-
დების ენერჯის გამონაჟურს, რომლის შელახული ინტერესების დამ-
ცველად და ქრილობის მომშუშებლად აწ ეორონცოვი მოეველინა
ქვეყანას⁴⁾.

მდგომარეობის ეს გამომჯობინება არ შეხებია მოსახლეობის
უმრავლესობას, გლეხობას, რომელსაც ამით მხოლოდ ბეგარა შეე-
ძინა და, ამრიგად, გზა წიგნისაკენ წინანდებულად დახშული დაურჩა⁵⁾.

ეკონომიურ ცხოვრებაში კაპიტალისტური განვითარების ნა-
სახის გაძლიერებამ ქართულ საზოგადოებაში დაბადა ახალი შეგნება.
პროგრესული და უფრო შეგნებული ნაწილი თავად-აზნაურობისა.
სამხედრო კარიერიდან ნელნელა სამოქალაქო, სამეურნეო ცხოვრე-
ბის ასპარეზზე გადადის. ქალაქების განვითარებამ, მიმოსვლა-მიმო-
ზიდვის საშუალებათა გაუმჯობესებამ, მმართველობის ერთფერო-
ვანმა წყობამ ხელი შეუწყო ახალი სოციალური ძალის განვითარე-
ბას, რაც კიდევ უფრო დააჩქარა გლეხთა განთავისუფლების სახე-
ლით ცნობილმა რეფორმებმა. აზრს, რომელსაც ცენზურა ყოველ
მისთვის მიუღებელ შემთხვევაში ისე ექცეოდა, როგორც „კაცის
მკვლელს“, ცოტა არ იყოს მეტი გასაქანი მიეცა⁶⁾.

1) Ibid. სტრ. 27—28.

2) იხ. „წყობილ სიტყვაობა“ კმნილი ა ნ ტ ო ნ ის ა გ ა ნ... 1853. ტფილისი, და-
აგრეთვე პლ. ო ს ე ლ ი ა ნ ის სხვა გამოცემებიც.

3) Ibid.

4) გრ. გ ი ო რ გ ა ძ ე, ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში, გვ. 154—155.

5) ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ახასიათებს რა ეორონცოვის ნამესტნიკობის დროს,
სამართლიანად შენიშნავს: „საზოგადოებრივ ცხოვრებას რალაც გამოფხიზლება
დაეტყო; მაშინ გაძლიერდა აღებ-მიცემობა და ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის
საძირკველიც მაშინ ჩაიყარა. მაგრამ ყოველივე ამ:ო იყო, სანამ ბატონ-
ყმური ურთიერთობა არსებობდა“. (იხ. „კვალი“ № 2. 1900 წ.).

6) ეს პერიოდი რუსეთის იმპ. და კავკ. საერთო ცხოვრებაში კარგად აქვს
დახასიათებული გრ. ჯ ა ნ შ ი ე ვ ს „Эпоха великих реформ“. 1900. Спб., განსა-
კუთრებით გვ. 394—434.

ამავე ხანებში საქართველოში შემოვიდა მთელი პლეადა რუსეთში განსწავლული ახალი თაობისა, რომელიც შემდეგ ლიტერატურულ ასპარეზზე „თერგდალეულთა“ სახელით იქმნა მონათლული და რომელმაც პირველად დასწერა ხალხისათვის, პირველად უარპყო დრომოკმეული პატრიარქალური ტრადიციები.

ქართული წიგნი „ცისკარის“ სახით ერთის მხრივ უკანასკნელად უხდოდა ხარკს გაბატონებულ ბატონყმურ წყობილებას და საზოგადოებრივ აზრს, როდესაც ალ. ორბელიანი ხოტბას ასხამდა „ბატონყმობას ძველ საქართველოში“¹⁾. მაგრამ მეორეს მხრივ იმავე „ცისკარმა“ მისცა გზა ხსნილი ახალ იდეას, რომლითაც იწოდა ცხოვრების ჰორიზონტზე ამომავალი ახალი სოციალური ძალა, როდესაც დაბეჭდა თავის ფურცლებზე დანიელ ჯონქაძის „სურამის ციხე“, როგორც პროტესტი არსებული სოციალური წყობილების წინააღმდეგ.

და როგორც მე XVIII საუკუნეში საღეთო და საერო წიგნს შორის, ისე მე-XIX საუკ. სამოციან და სამოცდაათიან წლებში გაიმართა ბრძოლა წიგნის, საზოგადოებრივი აზრის ხელში ჩასაგდებად.

ამ ბრძოლის მოედანს თანდათან სტოვებენ სამხედრო-თავად-აზნაურული წოდების ვეტერანები და მათთან ერთად სამუდამოდ ემშვიდობებთან ქართული წიგნისათვის მიმართულების და იდეოლოგიის კარნახს სასულიერო წოდების წარმომადგენელნი, რომელთაგან აქამდე კიდევ არ იყო თავისუფალი ქართული საზოგადოებრივი აზრი და სიტყვა²⁾.

როგორც საზოგადოებრივი აზრის, ისე წიგნის, ბეჭდვითი სიტყვის სადავე ნელნელა გადადიოდა იმავე თავად-აზნაურული წოდების, მაგრამ პროგრესიული და დემოკრატიული იდეების მატარებელი ფენის ხელში.

„საქართველოს მოამბემ“ აშკარა დასაწყისი მისცა ამ მიმდინარეობას. ამ დროიდან ქართული წიგნი თანდათან სტოვებს მეფეების და თავადების ცხოვრებას, შორდება წმიდანებს, თანდათან ჰკარგავს სანთელისა და საკმეველის სუნს: ის დემოკრატიის სასამსახუროდ გამოდის.

ამიტომ ამ პერიოდში ქართული ბეჭდვითი სიტყვა, ქართული წიგნი. ქვეყნის ეკონომიურ წარმატებაზე ლაღადებს, დემოკრატიის

1) „ცისკარი“ № 11. 1859. ეს პერიოდი საქმოდ ვრცლად აქვს დახასიათებული მიხ. ზანდუკელს თავის შრომაში—თერგდალეულნი და ხალხონები ქართულს ლიტერატურაში. 1928. ტფილისი, ტ. ს. უ. გამოცემა.

2) 1852 წ. „ცისკარს“ ცენზორობდა მღვდელი ალექსევი.

ცხოვრებას აღწერს. ხდება თვით წიგნის დემოკრატიზაცია, რაც ოთხმოციანი და ოთხმოცდაათიანი წლებისათვის უფრო ფართო ხასიათს ღებულობს. გამრავლდა პოპულიარული-სახალხო წიგნები. მრავალფეროვანი გახდნენ შინაარსეულად პერიოდული თუ ერთდროული გამოცემანი. დაარსდა სპეციალური სამეურნეო მიზნის მატარებელი ორგანოებიც.

საეპრო-სამრეწველო ცენტრებში გაჩნდა და განვითარდა მუშათა კლასი. აიწია აგრეთვე გლეხობის კულტურულმა დონემ. და ახალმა ძალამ თავისი თავი უკვე სააშქაროზე გამოაცხადა და ანგარიშის გაწევა მოითხოვა. „საქართველოს მოამბეს“, „დროებას“, „ივერიას“, „კრებულს“, „გუთნის დედას“, „მნათობს“, და სხვა ჟურნალ-გაზეთებს მოჰყვა „შრომა“ და „იმედი“, რომელმაც, მიუხედავად უსასტიკესი საცენზურო პირობებისა, საწყისი მისცა ახალი საზოგადოებრივი აზრის განვითარებას.

სწორედ ამ დროს, როდესაც ქართული ბეკდვითი სიტყვა უდიდესი აღმაფრენით იყო გამსჭვალული, რუსეთის ხელისუფლებამ უკებ შეატრიალა თავისი განწყობილება და სულ სხვა გეზი მისცა იმ პოლიტიკას, რომელიც აქამდე ტარდებოდა კავკასიის ერთა მიმართ. მეფისნაცვლობის მაგიერ 1882 წელს კავკასიაში შემოღებულ იქნა მთავარმართებლობა, რომელსაც მოჰყვა რუსეთის იმპერიაში არსებული მმართველობის საერთო წესების გავრცელება კავკასიაზე. „კავკასიის სამმართველო დებულებით“ გაუქმებულ იქნა აღმინისტრაციულ-ავტონომიური უფლებები, რომლითაც სარგებლობდა მეფისნაცვალთა კავკასიაში. ამ ხანებში დაიწყო სასტიკი ეროვნული დევნაც, რომელსაც მანამდე არ ჰქონებია ასე აშკარა ხასიათი. მე-90 წლებში ეს რუსიფიკატორული პოლიტიკა იქამდე მივიდა, რომ საქართველოს სკოლებში ქართული ენის სწავლების სავალდებულო წესი მოიხსნა. 1883 წელს „ივერია“ შენატრის იმ დროს, როდესაც ქართული ენის სწავლება სავალდებულო იყო ¹⁾.

გარდა ამისა, რუსეთში განვითარებული ტერორისტული ხანა დაგვირგვინდა 1881 წ. 1 მარტის აქტით, რასაც, როგორც შიდა რუსეთში, ისე პერიფერიებში, მოჰყვა აზრის სასტიკი დევნა, ცენზურის გამძაფრება.

1878 წელს კავკასიის საცენზურო კომიტეტი სწერდა მეფის ნაცვალს, რომ «უკანასკნელ წლებში ქართველებს შორის ძლიერ იზინა თავი სამშობლოს ენაზე წერა-კითხვის შესწავლისადმი ინტე-

1) გრ. გიორგაძე, საზოგად. ურთიერთობა საქართველოში, გვ. 257.

რესმა, რომელმაც უკვე სტიქიური ხასიათი მიიღო და თავის მხრივ დიდი გავლენა იქონია ბექდვითი სიტყვის ნაწარმოების გაზრდაზე¹⁾, რისთვისაც მოითხოვდა საცენზურო კომიტეტის შტატის გადიდებას.

ამავე ხანებში კავკასიის მხარის მმართველობის სისტემის შეცვლამ, რომელმაც კავკ. საცენზურო კომიტეტი უშუალოდ შინაგან საქმეთა მინისტრსა და ბექდვითი სიტყვის მთავარ სამმართველოს დაუქვემდებარა, კიდევ უფრო გააძნელა ბექდვითი სიტყვის მუშაობა მოღვაწეობა ჩვენში.

ძლიერ გაკვირდა ადგილობრივ ენებზე პერიოდულ გამოცემათა ნებართვის მიღება, რომელსაც უკეთეს შემთხვევაში 2-3 წელი აგვიანდებოდა. მაგ., მიხ. გურგენიძემ 1879 წლის 27 აპრილს შეიტანა თხოვნა უურ. „იმედის“ გამოცემის ნებართვისათვის, ხოლო მიიღო ის 1880 წლის გასულს²⁾. იმავე 1879 წლის 23 თებერვალს გიორგი უთურგაურს, რამდენიმე თვით ლოდინის შემდეგ, უარი უთხრეს უურნალის გამოცემის ნებართვაზე იმ მოტივით, რომ მეფის ნაცვალის ტფილისში არ იმყოფებოდა³⁾.

ამრიგად, სკოლებიდან ქართული ენის დევნას, რაიც იმავე დროს ქართული წიგნის (განსაკუთრებით სახელმძღვანელოების) განვითარებისათვის გზის გადაღობვას უდრიდა, თან დაერთო საცენზურო სისასტიკის გაძლიერება.

ეროვნულმა დევნამ, გამოიწვია საწინამდღევო რეაქცია, ეროვნული თავდაცვითი საქმიანობა ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილის მხრივ. გაჩნდნ საზოგადოებრივი ორგანოები, რომლებიც მიზნად ისახავდნ ქართული ენის დაცვას და წიგნის დაბექდვისა და გავრცელების საქმისადმი სამსახურს. ესენი იყვნენ ჯერ «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება» და შემდეგ «წიგნის გამომცემელი ქართველთა ამხანაგობა». ამასთანავე გაიზარდა კერძო გამომცემელთა და გამავრცელებელთა რიცხვიც.

მოატანა მეოცე საუკუნეამაც, როდესაც ქართული ბექდვითი სიტყვა ახალ ნიადაგზე უნდა გარდაქმნილიყო. შეიქმნა მუშათა კლასის ორგანიზაციული კადრები, რამაც მაცოცხლებელი ელექსირი შეიტანა ბურჟუაზიულ ჰანგებზე აწყობილ ქართულ ბექდვით სიტყვაში⁴⁾.

1) ДКЦК. № 238-29 1878—1880 г.г.

2) Дело Кавказского цензурного комитета № 250—21. 1879—1881 г. г.

3) Дело Кавказского цензурного комитета № 299-17. 1879.

4) მუშათა მოძრაობის ბექდვითი სიტყვაზე, ლიტერატურაზე გავლენის შესახებ იხილე ვარლამ ხუროძის ქართული ლიტერატურის ძეგლი, 1927 ტფილისი, თავი 5, გვ. 125 და შემდ.

სწორედ ამ—მუშური—მიმართულების ბეკდვით სიტყვას ებრძოდა ცენზურა განსაკუთრებულის გაშმაგებით.

ცენზურის შესახებ თავის ადგილას საკმაოდ ვილაპარაკეთ, მაგრამ მოვიყვანოთ კიდევ ერთ დამახასიათებელ ფაქტს.

1909 წელს დაიბეჭდა ბროშურა „ამონაკენესი“, რომლის ეპიგრაფი იყო:

„ჩვენ უნდა ვზიდოთ ჩვენი უღელი,
სხვა ჩვენ არავინ დაგვეხმარება.

კბილთა ღრქენანი, მალვით კბენანი,
ირგვლივ წყველიადი ტანჯვა, ვაება.

„ჩვენ არვინ მოგვცემს თავისუფლებას,
არც მეფე, ღმერთი, არც ვინმე გმირი,
ჩვენ თვით გავექდოთ თავისუფლება
და დავამყაროთ ძმური კავშირი“.

ცენზურამ ეს ბროშურა დაატყვევა. დაიწყო გამოძიება. გამოიჩინა ავტორის გვარი: ლუღუშაური. სამისამართო მაგიდის ცნობით ტფილისში იმჟამად ამ გვარის მატარებელი 12 ადამიანი აღმოჩნდა. იმ 12-ში არცერთმა არ იკისრა ავტორობა. გამოძიება გაგრძელდა. გამოიჩინა, რომ ავტორი ნიკიფორე (იგივე ნიკოლოზ და გიგლა) ლუღუშაური 1909 წელს სოფ. ყაზბეგში ჟანდარმებს მოეკლათ.

რადგან ავტორი არ იყო, 1909 წლის 9 სექტემბრის ტფილისის სასამართლო პალატის სხდომაზე მის მაგიერ ბრალდებულის სკამზე „იჯდა“ თვით „ამონაკენესი“. სასამართლომ მოისმინა უკანასკნელის შინაარსი, რომელიც ასეთი იყო:

„მიყვარს მუშა

„მიყვარს მუშა ოფლის მღვრელი,
მიტომ რომ ვარ თვით მე ისა,
მას არა რგებს ნაქურდალი
და ნაყოფი სხვის შრომისა.

—
„მიყვარს მუშა გაბედული
და მებრძოლი მომავლისა,
ის საქვეყნო კოცონზედა
თვით შეიტანს თავის წვლილისა.

„მიყვარს მუშა, მასთან ისიც,
მის ინტერესს ვინაც იცავს,
და არა ის, ვინც ატყუებს
ურცხვათ ხატს და ღმერთსა ჰფიცავს.“

„მიყვარს მუშა, დიახ მუშა,
ცრემლ და ოფლში მოხარშული,
უკულმართის ქვეყნის ბრუნვით
და „ქანონით“ დაჩაგრული.“

„მიყვარს მუშა ქვეყნის მკვები,
თვით რომ კვდება შშიერია.
ღმერთო, ჩქარ შეაგნებინე,
რომ ყველაზე ძლიერია.“

„თუ ის ძმურად მხარს დაუქერს
თვის მეგობარს შრომის შვილისა,
მას ველარვინ წააგლეჯავს
მის ნაშრომის ვერც ერთს წილსა.“

„მიყვარს მუშა, მაგრამ რას შევლის
მითხარ, ჩემი სიყვარული?
როს უზომო ტანჯვაშია
და მან გაუტეხა გული“.

„სასამართლომ, მიიღო რა მხედველობაში, რომ ბროშურა „ამონაკენესი“ წარმოადგენს ლექსთა კრებულს, რომელიც მიმართულია მუშათა კლასის ასამხედრებლად კაპიტალისტებისა და განმტკიცებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების დამცველთა წინააღმდეგ, დაადგინა: ბროშურა „ამონაკენესი“ მოსპობილ იქნეს“¹⁾.

ასეთს პირობებში ბუნებრივი იყო არალეგალური ლიტერატურის წარმოების გაძლიერება, რომელზედაც აქ არ შეეჩერდებით. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ მუშა მკითხველების თანდათანმა გამრავლებამ ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან, წლებიდანვე გამოიწვია სპეციალურ გამომცემლობათა დაარსება, რომელნიც მიზნად ისახავდენ მეცნიერულ-პოპულარიზაციული წიგნების.

¹⁾ Дело Тифлисского Комитета по Делах печати № 983:49. 1909.

ბექდვა-გავრცელებას, მაგალითად: გამომცემლობა „ახალი მკითხველი“ (1896—1898 წ. წ.)¹⁾ და შემდეგ ამხანაგობა „ცისკარი“ (1904-5 წ.)²⁾ და სხვა.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში გაიზარდა პარტიულ-პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა ჯურის გამომცემლობათა ქსელი. უფრო გაიშალა აგრეთვე წიგნის გამავრცელებელი აპარატის შტოებიც.

მსოფლიო ომმა მთელ სახალხო მეურნეობასთან ერთად წიგნის საქმეც ძლიერ დააქვეითა. მას მიყოლებულმა რევოლუციამ, რომელმაც დაამხო ბექდვითი სიტყვის უდიდესი მტერი, — თვითმპყრობელობა, ქართული წიგნის საქმეს გაუხსნა განვითარების ფართო პერსპექტივები. საჭირო იყო მხოლოდ ქვეყნის ეკონომიური მოლონიერება, რათა ეს პერსპექტივები თანდათან ხორცშესხმულიყო.

ამ განხორციელების დასაწყისს ჩვენ ვხედავთ უკანასკნელ პერიოდში. წიგნის საქმეს უალრესი ყურადღება აქვს მიქცეული საბჭოთა სინამდვილეში, სადაც ბექდვითი სიტყვა გამოიყენება, როგორც კლასობრივი ბრძოლის უმნიშვნელოვანესი იარაღი. „დღეს ბექდვითი სიტყვა პოლიტიკური იარაღია მუშათა კლასის ხელში, რომელიც თავის დიქტატურას ანხორციელებს“ (ლენინი).

ამიტომაც წიგნის მეურნეობაში დაინტერესებულია თვით სახელმწიფო, რომელიც მოითხოვს საზოგადოებრივი აზრის სიმტკიცეს და ერთგულებას და რომლის ურყევი დასაყრდენიც წიგნია, — ბექდვითი სიტყვა, მისი ფართო მნიშვნელობით.

ქართული წიგნის საქმე, რომელიც მთელ თავის ისტორიულ განვითარებაში კუს ნაბიჯით იზრდებოდა, დღეს ფართო გასაქანს ღებულობს. უკვე ერთი წლის განმავლობაში იცემა იმდენი წიგნი, რამდენიც მთელი მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ერთად არ გამოცემულა. დღეს ამ საქმიანობაში დაბანდებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი კაპიტალის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

შემდეგი ციფრები ნათლად გვიყენებს თვალწინ ქართული წიგნის როგორც სოციალური დანიშნულების ჯგუფების ისე პროდუქტიულ ვითარებას:

1) „ახალ მკითხველზე“ იხილეთ გვ. 199-200 წინამდებარე შრომისა.

2) ფ. გ. ხ. გ. უ. შ. ვ. ი. ლ. ი., პეტრე უმიკაშვილის სახსოვრად 1905.

ცხრილი № 1

სამი საუკუნის განმავლობაში დაბეჭდილი ქართული წიგნის რაოდენობა ¹⁾

ა) 1629—1920 წ. წ.

№-ს რიცხვი	სოციალური დანიშნულების ჯგუფები	სახელწოდებათა რიცხვი		
		1629-1910	1911-1920	სულ
1	საერთო განყოფილება .	271	96	367
2	ფილოსოფია	28	13	41
3	სასულიერო მწერლობა .	412	69	481
4	სახოგადობათმეცნიერება, პედაგოგია . . .	434	332	766
5	ენათმეცნიერება	131	69	200
6	ბუნებისმეტყველება, და მათემატიკა	57	100	157
7	პრაქტიკული ცოდნანი .	155	93	248
8	ხელოვნება	73	28	101
9	სიტყვაკაზმული მწერლობა, ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა	1241	528	1769
10	ისტორია, არქეოლოგია, საისტორიო მასალა, გეოგრაფია, ბიოგრაფია	334	198	532
	სულ .	3136	1526	4662

¹⁾ რადგანაც 1921 წლიდან დაჯგუფების სხვაგვარი საფუძველია მიღებული, ამიტომ ცნობების ერთ ცხრილში მოკცევა ვერ მოხერხდა. პირველი ცხრილი, 1629-1920 წწ., დამუშავებულია ვ. ბროსეს მიერ და პირველად იბეჭდება ჩვენს წიგნში, რისთვისაც ვ. ბროსეს მადლობას ვსწირავ.

ბ) 1921—1927 წ.წ.

№ რიგ- ზე	სოციალ. დანიშნულ. ჯგუფები	სახელწოდ.
1	სამეცნიერო	324
2	პოლიტიკურ-სააგიტაციო	673
3	სასწავლო-პედაგოგიური	421
4	სამეცნიერო-პოპულარული	337
5	დოქუმენტები და უწყებათა ანგარიშები	433
6	საცნობარო ლიტერატურა	99
7	სიტყვაკაზმული მწერლობა	499
8	საბავშვო წიგნები	144
9	Varia (ნარევი)	102
ს უ ლ . . .		3032

ამრიგად, 1629 წლიდან 1927 წლამდე (ჩათვლიათ) დაბეჭდილია სულ 7.694 წიგნი. ამას კიდევ უნდა მიემატოს 1629-1910 წ.წ. გამოცემული 427 სახელწოდება, რომელთა სოციალური დანიშნულების ჯგუფებად სწორი დანაწილება ქარტაკების მიხედვით (თვით წიგნების გაუცნობლად) შეუძლებელია, და აგრეთვე 1928 წელს გამოცემული 1149 სახელწოდება, რის შედეგად 1929 წლამდე დაბეჭდილ წიგნთა სახელწოდებას მივიღებთ 9270-ის რაოდენობით.

ც ხ რ ი ლ ი № 2

ცალკე წლების გამოცემათა სახელწოდებისა და ტირაჟის ზრდა 1)

1868 წ. გამოცემა	11	სახელწოდება	13.000	ეკზემპ.	რაოდენობით.
1878 “ “	84	“	102.000	“	“
1888 “ “	88	“	110.000	“	“
1889 “ “	94	“	126.000	“	“
1908 “ “	143	“	320.000	“	“
1913 “ “	247	“	485.000	“	“
1917 “ “	99	“	(?)	“	“
1920 “ “	266	“	(?)	“	“
1925 “ “	650	“	2.500.000	“	“
1927 “ “	846	“	2.525.450	“	“

1) ცნობები მოგვყავს კავკასიის საცენზურო კომიტეტის არქივიდან 1917 წლამდე, შემდეგ კი—წიგნის მატრიანედან“ № 1. 1926. ტფ.

სამწუხაროდ, არ მოიპოვება ცნობები წლიური პროდუქციის ღირებულების შესახებ. როგორც წარსულში, ისე დღესაც არ სწარმოებს ასეთი აღრიცხვა. თუმცა წიგნის პალატა არსებობს, მაგრამ მას ასეთი ცნობები არ მოეპოვება, ვინაიდან სათანადო მასალის დამუშავება ითხოვს სპეციალურ აპარატს და საქმის მცოდნე მუშაკს.

ინტერესმა გვაიძულა პირადად დაგვემუშავებია ეს ცნობები, თუმცა მხოლოდ 1925 წლის პროდუქციის დამუშავება შეესძლებოდა. ეს ცნობები შემდეგ სურათს გვიშლის (იხ. ცხრილი № 3).

ცხრილი № 3

ქართული ბექდვითი სიტყვის ნაწარმოების პროდუქცია 1925 წ.

№ რიგზე	ჯგუფები სოც. დანიშნულ. მიხედვით.	სახელწოდებ. რაოდენობა	საშუალო ტირაჟი	საერთო ტირაჟი	საშუალო წიბ. ღირებულება	საერთო წიბ. ღირებ. მანუშები	0/0 განყოფ. ჯამიან	0/0 საერთო ჯამიან
I განყოფილება (ერთდროული გამოცემანი)								
1	მეცნ. შინაარსის	35	1154	40420	1 ბ. 97,5 კ.	79000	5,7	3,1
2	პოლიტ.-სააგიტაციო	76	3120	237150	42,3 "	100000	7,3	4,2
3	სასწავლო-პედაგოგიური	124	7274	901860	79,8 "	720000	52,3	29,5
4	მეცნიერ.-პოპულიარული	185	4211	779100	19,9 "	155000	11,2	6,1
5	საბჭოთ. და უწყ. ან-შები	116	1177	136690	57,7 "	79000	5,7	3,2
6	საცნობარო წიგნები	19	2496	47430	61,7 "	29000	2,1	1,4
7	სიტყვაკაზმული ლიტერ.	60	2169	127850	1 ბ. 10,9 "	142000	10,4	5,6
8	საბავშვო წიგნები	22	6145	135200	25,9 "	35000	2,6	1,6
9	Yaria (ნარევი)	13	2051	26660	1 ბ. 33,3 "	36000	2,7	1,6
ჯამი		650	3742	1361000	37 კ.	1361000	100	560/0
II განყოფილება								
10	გრაფიული გამოცემანი	29	—	—	—	25000	—	10/0
III განყოფილება (პერიოდული გამოცემანი)								
11	გაზეთები	17	—	—	—	700000	—	28,6
12	ჟურნალები	49	—	—	—	350000	—	11,1
ჯამი		66	—	—	—	1050000	100	430/0
საერთო ჯამი		745	3742	2432360	—	2450000	—	100

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ 1925 წლის ბეჭდვითი სიტყვის ნაწარ-
მოების საერთო ღირებულების 56⁰/₁₀-ს შეადგენენ ერთდროული გა-
მოცემანი,—წიგნები, რომელთა შორის ნახევარზე მეტს (52,3⁰/₁₀) წარ-
მოადგენს მარტო სასწავლო-პედაგოგიური ლიტერატურა, 11,2⁰/₁₀-ს
—მეცნიერულ-პოპულიარული, 10,4⁰/₁₀-ს—სიტყვა-კაზმული ლიტერა-
ტურა; შემდეგ მიდის პოლიტ-სააგიტაციო (7,3⁰/₁₀), სამეცნიერო
(5,7⁰/₁₀), საბუთები და უწყებათა ანგარიშები (5,7⁰/₁₀), varia (ნარევი)
(2,7⁰/₁₀), საბავშვო წიგნები (2,6⁰/₁₀) და უკანასკნელად საცნობარო წიგ-
ნები (2,1⁰/₁₀). ამათი საერთო ნომინალური ღირებულება 1.361.000
მანეთს შეადგენს.

ამას ემატება 25.000 მან. გრაფიულ გამოცემათა ღირებულება,
700.000 მან. გაზეთების და 350.000 მანეთი ჟურნალების ღირებუ-
ლება. ამრიგად, 1925 წ. მთელი პროდუქციის საერთო ღირებულება
2 ნახევარ მილიონ მანეთამდე აღწევს.

მაგრამ ეს იყო სამი წლის წინად, და დღეს ეს მონაწილეობა
ქართული ბეჭდვითი სიტყვისა მთელს ჩვენს სახალხო მეურნეობაში
უმკველად უფრო დიდი ხედრითი წონისა უნდა იყოს.

წიგნის მეურნეობა საერთოდ წარმოადგენს არა დიდ მომგებიან
დარგს სახალხო მეურნეობისა და ხშირად საზარალოსაც, როცა მისი
წარმოება არაა ზუსტად შეთანხმებული მოთხოვნილებასთან, მოსახ-
ლეობის კულტურულ დონესთან. უკანასკნელი გარემოება განსაკუთ-
რებით საგრძნობია ჩვენში, სადაც ქართული წიგნის მოთხოვნილება
ისედაც მცირე რიცხოვანი მოსახლეობის მკითხველი ფენით არის
განსაზღვრული.

ამით უნდა ახსნას ის გარემოებაც, რომ წიგნის მეურნეობას,
ვაჭრობას და გამოცემას ჩვენში, როგორც „სარისკოს“, კერძო კაპი-
ტალი იმთავითვე სიფრთხილით ეპყრობოდა, რამაც „ქართველთა
შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ თავის დაარ-
სებისთანავე წიგნის გამოცემის საქმე მთავარ მიზანთა შორის მოა-
თავსებინა ¹).


დღეს ქართული წიგნის საქმე უმთავრესად სახელმწიფო და
კოოპერატიული ორგანიზაციების ხელშია (იხ. დიაგრ. გვ. 351)
თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ საქმეში დაბანდებუ-
ლია ამ ორგანიზაციათა მოზრდილი კაპიტალი და, ამრიგად, წიგნის
მეურნეობა ფართო ნიადაგზე სდგას, ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ
რაოდენ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი ბეჭდვითი სიტყვის ნაწარ-

¹) იხ. წესდებულება ქ. შ. წ.-ქ. გ.-ს. 1879 წ. ტფილისი. გვ. 4.

მოების სტატისტიკურ-ეკონომიური შესწავლა, რაიც დღემდე ჩვენში სათანადო ყურადღების გარეშე დატოვებული. ხოლო „ჩვენი ქვეყნის დაგეგმილ მეურნეობაში წიგნის სტატისტიკა (სიტყვის ფართო მნიშვნელობით) ისე აუცილებელია სახელმწიფოსათვის, როგორც გამომცემლობისათვის და კერძო დაინტერესებულ პირთათვისაც“¹⁾.

დიაგრამა

1921—1927 წ. წ. გამოცემათა დანაწილება გამომცემლობათა ჯგუფების მიხედვით²⁾.



¹⁾ Н. Яницкий—Книжное хозяйство. Москва 1924. წინასიტყვაობა.
²⁾ დიაგრამა დამუშავებულია განათლ. სახ. კომ. სტატ. განყოფილებაში.

იმის თქმა გვინდა, რომ აუცილებლად საჭიროა სწორი და მთლიანი სტატისტიკა, რათა ალლო აელოს წიგნის მომხმარებელ მასას, წიგნის ბაზარს, სავაჭრო ქსელი დაყენებულ იქნეს სათანადო დონეზე, განსაზღვრულ იქნეს წიგნის ბრუნვის სისწრაფე, მისი რეალიზაცია. ამას სპეციალური შესწავლა ესაჭიროება. წიგნი წარმოადგენს საქონლის სრულიად თავისებურ კატეგორიას: არც ერთს სავაჭროში არ მოიპოება საქონელთა ასორტიმენტის ისეთი სიკრეფე, როგორც წიგნის მალაზიაშია.

სამეურნეო ნაწარმოების შეფასება საზოგადოდ არ არის ძნელი, მაგრამ ეს საკითხი წიგნის მეურნეობაში დიდ სიძნელეს წარმოადგენს. მისი სისწორით გარკვევა და გადაწყვეტაც მხოლოდ მეურნეობის ამ დარგის თავისებურებათა საფუძვლიანი შესწავლითაა შესაძლებელი.

წიგნში, მატერიალურ დანახარჯთა გარდა (ქალაღი, საღებავი, სასტამბო შრომა და სხვა), განხორციელებულია მისი ავტორის გონებრივი შემოქმედება, რაიც მექანიზაციის პრინციპს ადვილად და ზოგან კი სრულებითაც არ ემორჩილება. აქედან წარმოსდგება მისი შეფასების სიძნელეც. ტყუილად როდი დაობენ წიგნის „უბრალო საქონლად“ ჩათვლაზე.

3. ლ. სტოლიაროვი, კარგი მკოდნე რუსული წიგნის საქმისა, უკანასკნელის მეურნეობაში 1925 წელს და ნაწილობრივ 1926 წელსაც განცდილი კრიზისის ერთ-ერთ მიზეზად საერთოდ აღრიცხვისა და წიგნის პროდუქციის გასაღების შეუსწავლელობას ასახელებს¹⁾.

ამ სტრიქონების ავტორს სწორედ 1926 წელს შესაძლებლობა ჰქონდა პირადად დაკვირვებოდა რუსული წიგნის ბაზრის კონიუნქტურას მისი მთავარი მიმწოდებლის, რ. ს. ფ. ს. რ. „სახელგამის“ სავაჭრო სექტორიდან და ფიქრობს, რომ აღურიცხველობა და რეალიზაციის სისწრაფის და საერთოდ გასაღების შესაძლებლობის შეუსწავლელობა უმთავრესი მიზეზი იყო განცდილი კრიზისისა რუსული წიგნის მეურნეობაში.

თუ ჩვენ შევეცდებით, ამბობს ზემოაღნიშნული კრიზისის მიზეზების მკვლევარი (სტოლიაროვი), ის სიძნელენი, რომელთაც განიცდის საგამომცემლო მეურნეობა, შევადაროთ სახალხო მეურნეობის სხვა დარგების სიძნელეთ, მათ შორის დავინახავთ მნიშვნელოვან განსხვავებას. მეურნეობის ყველა დარგში, გარდა წიგნის მეურნეობისა, სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ მოსახლეობის გადახდაუნარიანი მოთ-

¹⁾ П. Л. Столяров, Кризис книжного хозяйства. Ленинград, 1925.

ხოვნა შესაძრწვეად მეტია იმაზე, რაც შეუძლია მისცეს მას ჩვენმა მრეწველობამ ეკვივალენტის სახით. სხვანაირად რომ ვთქვათ, კრიზისი, რომელსაც განიცდის ჩვენი სამრეწველო მეურნეობა, უმთავრესად გამოწვეულია საქონლის სიმშბილით, უსაქონლობით. საგამომცემლო მეურნეობაში კი ჩვენ ვხედავთ წინააღმდეგს, — საქონლის გარდამეტს, საქონლის სიჭარბეს (затоваривание)¹⁾.

როგორია მდგომარეობა ქართული წიგნის ბაზარზე?

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქართული წიგნი გამოდის სამჯერ მეტი, ვინემ ომის წინა წელს სახელწოდებათა მიხედვით, ორნახევარჯერ მეტი საშუალო ტირაჟის მიხედვით და შვიდჯერ მეტი საერთო ტირაჟის მიხედვით, მოთხოვნა ქართული წიგნის ბაზარზე მაინც ვერ არის დაკმაყოფილებული და არავითარ შემთხვევაში საერთოდ მიწოდება არ სჭარბობს მოთხოვნას. ქართული წიგნის ბაზარი ნაწილობრივ კიდევაც დამშეულია.

ქართული წიგნის საქმის განვითარებას რევოლიუციის შემდეგ განსაკუთრებული პირობები შეექმნა. თუ წინად ქართული წიგნის შემადგენლობიდან თითქმის სავსებით გამორიცხული იყო სასწავლო-სახელმძღვანელო ლიტერატურა, რომელიც დღეს მთელი პროდუქციის 52,30%-ს შეადგენს, და აგრეთვე ზოგი სხვა ჯგუფიც (უწყებათა ანგარიშები, საცნობარო ლიტერატურა) სრულებით არ გამოდიოდა, დღეს ზემოხსენებულთა ანგარიშზე (უმთავრესად) ვითარდება ქართული წიგნი. სწორედ ამ მხრივ არის მისი ზრდის დიდი ინტენსიობა, რომელიც სრულებით არ ნიშნავს ქარბწარმოებას. ამ შემთხვევაში ქართული წიგნი განსაკუთრებულ, თავისებურ პირობებშია რუსულ წიგნთან შედარებით, რომლის კრიზისი აღიარებულ იქნა მაშინაც კი, როცა მისმა პროდუქციამ ოდნავ გადააჭარბა ომის წინადროინდელ პროდუქციას²⁾.

¹⁾ Книга о книге. I. Научно—исследовательский институт книговедения. Ленинград. 1927. გვ. 205; ზედარე Я. Цырлин—К вопросу о мерах борьбы с затовариванием на книжном рынке (Бюлетен по делам печати при Наркомторге С. С. С. Р. и Совета съездов газетных и книжных издательств и предприятий по распространению печати. № 1—7. 1927.); На коряков, О кризисе книготорговли („Известия“ ЦИК СССР. № 275. 1925).

²⁾ მაგ. 1913 წელს გამოიცა ძველ რუსეთში 16.711.967 ეკზემპ. სახელმძღვანელო, ხოლო 1925 წელს, როდესაც პირველად იქნა დაფარული ომის წინადროინდელი პროდუქცია, —19.654.000 ეკზ. და 1926 წელს, როდესაც ისევ ჩამორჩა, —16.654.000, მაგრამ რუსულ წიგნსაც თავისებური გამართლება აქვს, რომელიც ჩვენს საგანს არ შეადგენს. (იხ. ჟურ. „Народное Просвещение“ № 8-9. 1927.).

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის ხელმძღვანელი ბარონ ბიბინეიშვილი, აყენებს რა საკითხს: აკმაყოფილებს თუ არა ჩვენი წიგნის ბაზარი ქართველი მასების მოთხოვნილებას? უპასუხებს: „მხოლოდ რამოდენიმედო“¹⁾).

სჩანს, რომ ქართული წიგნის მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელია, ბაზარზე მოთხოვნილება არის.

მაშ რაშია ის დაბრკოლებანი და სიძნელენი, რომელთაც განიცდის ქართული წიგნის მეურნეობა? (მხედველობაში გვაქვს უმთავრესად „სახელგამი“, რომელიც უდიდესი ფაბრიკაა ქართული წიგნისა).

ზემოხსენებული ავტორი ამის შესახებ ამბობს: „ჩვენ ვიცით, რომ დღევანდელ პირობებში შეუძლებელია წიგნის გამოცემა სახელმწიფოსათვის მომგებიან საქმედ ჩაითვალოს. ეს იმიტომ, რომ გამომცემლობის დროს მხედველობაში აქვთ არა მარტო ამა თუ იმ წიგნის მოგება, არამედ მისი პოლიტიკური და სხვა მნიშვნელობა“²⁾).

ჩვენ ზემოდ, სათანადო ადგილას, დავინახეთ, რომ ქართული წიგნის საერთო პროდუქციაში სააგიტაციო პოლიტიკურ ჯგუფს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და რომ სწორედ ეს ჯგუფია ერთ-ერთი მთავარი წყარო დეფიციტიანობისა, თუმცა ამაში მნიშვნელოვანი წილი უდევს პერიოდულ გამოცემებსაც (ჟურნალებს), რომლებსაც ჩვენი სახელმწიფო გამომცემლობა სცემს³⁾).

მაგრამ ეს გარემოება: რომ პოლიტიკური ლიტერატურა და ჟურნალებიც უნდა გამოიცეს, გვერდაუხვეველი მოვლენაა, და მარტო ამითაც ვერ აიხსნება ის ზარალი, რომელიც ხშირად აქვს „სახელგამს“ წიგნის გამოცემით.

საქმე იმაშია, იმ პროდუქციას, რომელიც დღეს ქართულ წიგნის ბაზარზე გამოდის, არ უდევს საფუძვლად წინასწარ მკითხველთა მასის შესწავლა და მათი მოთხოვნილების ხასიათისა და ზომის გარკვევა⁴⁾).

1) იხ. „კომუნისტი“ № 286. 1928.

2) „კომუნისტი“ № 286. 1928.

3) „სახელგამი“ სცემს ჟურნალებს: „რევოლიუციის მატინე“, „პროლეტარული მწერლობა“, „პიონერი“, „ნაკადული“, „მნათობი“, „ახალი სკოლისაკენ“, „ქართული მწერლობა“ და სხვ.

4) შეადარე ბ. ბიბინეიშვილი, ქართ. წიგნი („კომუნისტი“ № 286. 1928 წ.

რამდენადაც არც ერთი ქართული წიგნის საგამომცემლო ორგანიზაცია და არც სხვა რომელიმე დაწესებულება თვალყურს არ ადევნებს, არ სწავლობს წიგნის ბაზრის კონიუნქტურას, იმდენადვე ქართული წიგნის დღევანდელი პროდუქცია რეალიზაციის მხრივ სტიქიურ მდგომარეობაშია. არ ხდება არც მკითხველი ფენის შესწავლა, არც წიგნის რეალიზაციის თვალსაზრისით, მათი მსყიდველობითი უნარიანობის გამოკვლევა. ამიტომ ხშირად ადგილი აქვს იმ ფაქტს, რომ გამოცემული წიგნი, როგორც შინაარსეულად, ისე ტირაჟის სიდიდის მხრივ, არ არის შეგუებული მომხმარებელთა მოთხოვნილებასთან, და ამ შეუგუებლობას გამართლება არ ეძლევა რაიმე სპეციალი პოლიტიკური ან საზოგადო სახელმწიფოებრივი მოსაზრებით.

მხოლოდ მაშინ, როდესაც შევისწავლით ზემოხსენებულ გარემოებას, შეიძლება თავიდან აცილებულ იქნეს ბევრი ის სამეურნეო დეფექტი, რომელსაც დღეს ვხედავთ წიგნის წარმოებაში. მაგრამ ამის მიღწევა საკმაო დროს და გამოცდილებას მოითხოვს.

პარაელ რიგში კი საჭიროა, ამ საქმიანობისათვის ერთგვარი დასაყრდნობი საფუძვლის მოსაპოებლად, მიღებული გამოცდილების ნიადაგზე; პრაქტიკის შეჯამებით, გამორკვეული იქნეს ცალკე სოციალური დინიშნულების ჯგუფებში შემავალ წიგნთა რეალიზაციაქმნილი ნაწილის საშუალო რაოდენობა და ამით შესწავლილ იქნეს დაახლოებით მაინც ზომა მოხმარებისა. ასევე უნდა მოვექცეთ კერძოდ სააგიტაციო-პოლიტიკურ ლიტერატურასაც, რომლის სახელწოდებათა არჩევა და განსაზღვრა სათანადო ავტორიტეტულ ორგანოებს ეკუთვნის, მაგრამ თითოეული სახელწოდების იმაზე მეტი რაოდენობით დაბეჭდვა, რაც მომხმარებელთა რიცხვს შეეფერება, უმიზნოა.

რ. ს. ფ. ს. რ. „სახელგამის“ ანგარიშებიდან ირკვევა, რომ ასეთი წიგნების, რომელთა ზოგიერთი სახელწოდება 100 და 150 ათასი ეკვემპლიარის რაოდენობით იბეჭდებოდა, პროდუქციის 80 პროც. და ხშირად მეტიც გაუსაღებელი რჩებოდა¹⁾, და იქ ამას უკვე 1926 წლიდან მიაქციეს ყურადღება, რის შედეგად მდგომარეობა გამოსწორებული შეიქმნა.

ზემოდ დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა აგრეთვე საგამომცემლო-სავაჭრო ორგანიზაციებმა მკიდრო კავშირი დაიკაონ საქართველოს წიგნის პალატასთან, რამდენადაც ცალკალკე თითოეულს წიგნის საერთო ბაზრის შესწავლის საშუალება არა აქვს.

¹⁾ ვსარგებლობთ რ.ს.ფ.ს.რ. „სახელგამის“ სავაჭრო სექტორის 1925-1926 წლის წლიური ანგარიშებით.

წიგნის პალატას უნდა ეგზავნებოდეს იმ ორგანიზაციათა ანგარიშები და ცნობები ყოველი სახელწოდების რეალიზაციის რაოდენობისა და სისწრაფის შესახებ. და აქ, წიგნის პალატაში, ან სხვა სათანადო ორგანიზაციაში უნდა ხდებოდეს სტატისტიკური დამუშავება ყოველგვარი მასალისა, საიდანაც გამოიყვანება საჭირო დასკვნები წიგნის საქმისათვის.

ქართული წიგნის საქმე, მეურნეულად თუ პოლიტიკურად, ჩვენი ცხოვრების ისეთი დარგია, რომელსაც, საერთო სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების აუცილებლობით, წარსულზე ბევრად მეტი და დიდი მიღწევები უწერია მომავალში.

ლიტერატურა და წყაროები

ლიტერატურა და წყაროები

1. А к т ы Кавказской Археографической Комиссии т. I. II.
2. აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი, თარგმნილი სპარსულით ვახტანგ მე-VI-ის მიერ. 1721. ტფილისი.
3. ანგარიში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, 1914 წლისა, 1915 ტფ. და სხვა წლებისა.
4. ანგარიში ქართველ გამოცემულთა ამხანაგობისა 1897-1901 წ. და სხვა წლებისა.
5. ანგარიში, წლიური, ბექდვ. საქმ. საპ. ამხ. „ქართული წიგნისა“. 1927 ტფილ.
6. ანტონ I, კათალიკოსი, წყობილსიტყვაობა, 1852 წ. ტფილისი.
7. ალაჯაროვი ნ., ჩვენი არალეგალური სტამბა („რევოლუციის მატთანე“ № 2. 1923).
8. Алфавитный указатель книгам и брошюрам, а также номерам повременных изданий, арест на которые утвержден судебными установлениями по 1-е января 1913 года. 1913 Спб.
9. Арсеньев К., Безцензурность и подцензурность. 1905, Москва.
10. ალექსიანი, 1886 წ. ტფილისი.
11. ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნი („ივერია“, 1889, № 234, 235).
12. „ახალი გზა“, გაზ. 1910. ტფილისი.
13. ახალი ქადაგება, 1906. ტფილისი, (აკრძალული იყო ცენზურის მიერ).
14. ბატონიშვილი დავით, ნარკუევი (მსოფლიო ისტორია) 1800 წ. ტფილისი.
15. Б а т ю ш к о в, П., Опекунам слова (сборн. «В защиту слова» 1905. Москва).

16. Бердзенов, Н. Обзор грузинских периодических изданий с начала их основания (Кавказск. календарь 1881 года).
17. ბაქრაძე, დ., საქართველოს მეფე ვახტანგ მე-VI, 1880. ტფილისი.
18. Бахтадзе, И., Податное обложение государственных крестьян Закавказского края.
19. Берлин, Н., История книги, культурно-исторический очерк. 1916. Спб.
20. Brosset, M. Lisle des Travaux, 1880. St. Petersbourg.
21. მისივე, О грузинском письме царя Арчила к шведскому королю Карлу XII от 2-II 1706 г. и о пребывании царя Арчила в России (Учен. Зап. Имп. Акад. Наук, по I и III отд. т. II. вып. 4. 1854. Спб.).
22. მისივე, საქართველოს ისტორია, ნაწილი II. 1900. ტფილისი.
23. ბროსე, ბ., ქართული წიგნების შეერთებული კატალოგი და მათი რაოდენობა ტფილისში („წიგნის მეგობარი“ № 1-2. 1925. ტფ.)
24. მისივე, ბეკლვით ნაწარმოებთა არქივების ცენტრალიზაციისათვის საქართველოში („საარქივო საქმე“, წიგნი I. ცენტრარქივის ორგანო. 1929. ტფ.)
25. ბიბინეიშვილი ბ., ქართული წიგნი („კომუნისტი“ № 286. 1928).
26. მისივე, „სახელგამი“ („5 მაისი“ № 2. 1928).
27. Бутков П., академик, Материалы для новой истории Кавказа, часть первая, 1869. Спб.
28. Бюхер Карл, проф., Возникновение народного хозяйства вып. II. 1907. Спб.
29. გადასახადების შესახებ. 1906. ტფილისი (აკრძალული იყო ცენზურის მიერ)
30. გიორგაძე გრ., საზოგადოებრივი ურთიერთობა საქართველოში 1864-1905 წ.წ. 1928. ტფილისი.
31. მისივე, ფეოდალურა ურთიერთობა საქართველოში. 1926. ტფილისი.
32. Gamba, Voyage dans la Russie meridionale. ტომი II. 1926. Paris.
33. გ ა კ ე აძ ე მ., საიდუმლო სტამბა კოჯრის მთაზე („რევოლიუციის მატაიანე“ № 1. 1926).

34. გორგაძე ს., იოანე დამასკელი, („მომომხილველი“ წ. I. საისტ. საეთნოგ. საზ. ორგანო 1926. ტფ.).
35. გ. ფ. (გოგინაი შვილი ფ.), საქართველოს ეკონომიური განვითარება მე-XIX საუკუნეში (ეურ. «კვალი» № 49 და შემდ. 1902 წ.).
36. მისივე, პეტრე უმიკაშვილის სახსოვრად, 1905. ტფილისი.
37. მისივე, შინაური მიმოხილვა (ეურ. „მომამბე № 4. 1904 წლისა).
38. გოგებაშვილი ი., რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, ტომი I. 1910. ტფილისი.
39. მისივე, წერილები სწავლა განათლებისა და ქართული ენის შესახებ „ივერიასა“ და ეურ. „განათლების“ ნომრებში.
40. გრიშაშვილი ი., ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. 1927. ტფილისი.
41. G ü l d e n s t ä d l, I. A. dr., Reisen nach Georgien und Imerethi, 1815. Berlin
42. დაბადება, ანუ ბიბლია (ბაქარისეული). 1743. მოსკოვი.
43. დაბადება ნაწ. I. 1884. ტფილისი.
44. დავითნი. 1824 წ. მოსკოვი.
45. დავითნი. 1705 წ. მოსკოვი.
46. დავითნი. 1711 წ. ტფილისი.
47. დებულება საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ. 1926. ტფილისი.
48. Джаншиев Гр., Эпоха великих реформ. 1900 г. Спб.
49. „დროება“, გაზ., სხვა და სხვა წლ.
50. Дубровин, Закавказье от 1803 до 1806 года. 1886. Спб.
51. Егиазаров, Исследование по истории учреждений в Закавказье, 1889 და 1891. Казань.
52. Елистратов, проф., Административное право. 1911 г. Москва.
53. Энгельгардт Н., Очерк по истории Русской цензуры в связи с развитием печати. 1904. Спб.
54. ენუქიძე ა., რ.ს.-დ. მ. პ. არალეგალური სტამბების კავკასიაში მოწყობის და მუშაობის ისტორია 1900—1906 წ. წ. („რევოლუციის მატთან“ № 4. 1923 წ.).
55. Ерицов А., Статистика местной печати (გაზ. «Кавказ» № 126 და 131, 1883 г.).

56. მისივე, ფელეტონი გაზ. „Новое обозрение“-ში № 284. 1891 წლ.
57. მისივე, Книжное дело в Тифлисе (ეურ. „Кавказский Книжный Вестник № 3, 1900 г. библиографический журнал).
58. Есадзе С., Исторические записки об управлении Кавказом, том II. 1907 г. Тифлис.
59. Е. К., Заслуги грузинского монашества и монастырей для отечественной церкви и общества. 1889 г. Тифлис.
60. Вартагава И.. Грузинская духовная переводная и оригинальная литература VI—XVIII в.в. 1907 г. Симферополь.
61. Вейденбаум Н., Первая грузинская газета (Иллюстрированное приложение к газете „Тифлисский Листок“ № 21. 1900 г.).
62. მისივე, Кавказские этюды, кн. I. 1901 г. Тифлис.
63. ვინმე მესხი, პეტრე ხარისჩაროვი („ცნობის ფურცელი“ № 805. 1899 წ.).
64. Военное положение в мирное время (журн. „Правд“ № 43. 1905 г.).
65. Воронков М., Советский учебник (журн. „Народное Просвещение“ № 8-9, 1927 г.).
66. В. Т., „Кавказ“, библиографические заметки к 50 летию газеты (газ. „Кавказ“ № 4. 1896 г.).
67. Вержбицкий Н., О книге. 1920 г. Пермь.
68. „ჰკავკაზსკიი ვესნიკი“, გაზ., 1845 წ.
69. ზატიკი. 1738 წ. მოსკოვი.
70. ზანდუკელი მიხ., თერგდალეულები და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში. 1928. ტფილისი.
71. თალაკვაძე ს., საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის წარსულიდან („რევოლიუციის მატრიანე“ № 1. 1923).
72. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. 1904. ტფილისი.
73. მისივე, ქართული წიგნები ვატიკანის ბიბლიოთეკაში („ივერია“ № 137. 1903).
74. მისივე, პასუხად სომხის მწერლებს. 1904 წ. ტფილისი.

75. თოდრია ს., ქართული წიგნი (ეურ. „ქართული მწერლობა“ № 4-5. 1926 წ.).
76. იგავნი იეზეპოს ფილოსოფოსისანი, 1859. ვენეტიკი.
77. „Известия“ ЦИК СССР 1925 г. № 275.
78. „ივერია“, გაზ. და ეურ., სხვა და სხვა წლ.
79. Ивановский В. В., проф., Государственное право, 1908. Спб.
80. იოსელიანი პ., ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა. 1895 წ. ტფილისი.
81. მისივე, Описание древностей города Тифлиса, 1886. Тифлис.
82. მისივე, Краткая история грузинской церкви, 1843. Спб.
83. მისივე, Исторический взгляд на состояние Грузии под властью Царей Магометан. 1847. Тифлис.
84. მისივე, Описание Шиомгвимской пустыни в Грузии, 1845. Тифлис.
85. ისტორია გინა მოთხრობა სამლო წერილისა ძველისა და ახალისა აღთქმათა. 1858 წ. ვენეტიკი.
86. Историческое изображение Грузии, 1802 г. Спб. (ამ წიგნის ავტორი, დ. კარიკაშვილის ცნობით, უნდა იყოს არქიმანდრიტი ევგენი. ეს წიგნი 1804 წ. გერმანულადაც გამოცემულა ლაიპციგს).
87. Каган, О научном издательстве СССР. (журн. „Печать и революция“, книга седьмая. 1928 г.)
- 87ა. Кавказский Календарь, სხვა და სხვა წლ.
88. „კავკასიის მხარეთა უწყებანი“, გაზ., № 11. 1845.
89. კაკაბაძე ს., საქართველოს ისტორია, ახალი საუკუნე. ეპოქა. 1922. ტფილისი.
90. მისივე, იესე ოსესვილის თავგადასავალი. 1913. ტფილისი.
91. კარბელაშვილი პ., იერარქია საქართველოს ეკლესიისა. 1900. ტფილისი.
92. კარიკაშვილი დ., როდის დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი (ეურ. „წიგნის მეგობარი“ № 1-2. 1925 წ.).
93. მისივე, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია. 1929. ტფილისი.
94. მისივე, წიგნის ისტორია. 1903. ტფილისი.

95. მისივე, ქართულ პერიოდულ გამოცემათა ბიბლიოგრაფია („წიგნის მეგობარი“ № 2, 1925).
96. კაბანოვი ნ., ოლქობრივი თვითმართველობა (აკრძალული იყო ცენზურისაგან).
97. კაკაბაძე ი., არალეგალური ლიტერატურის შემოტანა საზღვარგარეთიდან („რევ. მატ.“ № 1. 1928).
98. კალაძე რ., მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ისტორია („რევ. მატ.“ № 3 1923 წ.).
99. კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცვისა, ნაწილი I. 1905 წ. და ნაწ. II. 1911 წ. ტფილისი.
100. კატალოგი იმავე საზოგადოების წიგნთსაცვისა, შედგენილი მთვარელიშვილის, თ. ჟორდანიას, დ. ბაქრაძისა და სხვათა მიერ. 1887 წ. ტფილისი.
101. კატეხიზმი დამოკლეზნეობითი სწავლა. 1820. ტფ.
102. კეკელიძე კორნ., პროფ., ქართული ლიტერატურის ისტორია, I და II ტ. 1923-24. ტფილისი.
103. მისივე, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение. 1908. Тифлис.
104. „კვალი“, ჟურ., სხვა და სხვა წლ.
105. Книга о книге, I. Изд. научно-исследовательского института книговедения. 1927. Ленинград.
106. Кипшидзе Г. р., Периодическая печать на Кавказе, 1907. Тифлис.
107. კოკოჩაიშვილი გ., ქუთაისის მუზეუმის ოდიკის ხის კლიშე (ჟურ. „ჩვენი მეცნიერება“ № 2. 1924 წ.).
108. Колотов В., Доклад о реорганизации надзора за печатью на Кавказе—В совет Наместника Е. И. В. на Кавказе. 1914. Тифлис.
109. კონდაკი. 1710 წ. ტფილისი.
110. კონჩუაშვილი ვ., ქართული დაბადება (ჟურ. მოამბე“ № 2. 1896 წ.).
111. კოტეტიშვილი ვ., ქართული ლიტერატურის ისტორია. სამი ტომი, 1925-1927 ტფ. ქუთ.
112. კურთხევანი. 1713 წ. ტფილისი.
113. კურთხევანი. 1764 წ. ტფილისი
114. კურთხევანი. 1803 წ. ქუთაისი.

115. Лемке Мих., История цензурных реформ, 1855 1865 г.г., 1904. Спб.
116. Львов-Рогачевский, Печать и цензура, 1906. Москва.
117. ლოცვანი, ახალციხე. (დაბეჭდილია ქსილოგრაფიულად მე-XIX საუკუნის მე-40 წლებში).
118. Madgio M., Syntagma lion linguarum orientalium quae in Georgiae regionibus audiuntur, Romae 1643.
119. Мартов Л., История Российской социал-демократии., 1923. Москва.
120. Марр Н. акад., Предварительный отчет о поездке на Синай и в Иерусалим (Сообщ. православно. на лестинского общества. 1903. ტომი XIV. ნაწ. II).
121. მისივე, Происхождение терминов «Книга» и «Письмо» в освещений яфетической теории, 1928. Ленинград.
122. მარხვანი. 1793 ტფილისი.
123. მარტუშიძე ია, ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები. 1903. ტფილისი.
124. მახარაძე ფ., თხზულებანი, ტ. V. 1926 ტფილისი.
125. მისივე, 1905 წელი ამიერკავკასიაში. 1926 ტფ.
126. მთვარელიშვილი ნ., თელავის სემინარია და მისი რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი („ივერია“ 1881. აგვისტო).
127. Милюков П., Суб'ективное и социологическое обоснование свободы печати, 1905. Москва.
128. მიმოხილვა წმინდათა და სხვათა აღმოსავლეთის ადგილთა ქართლის მთავარ ეპისკოპოზის ტიმოთესაგან. 1852. ტფილისი. პლ. იოსელიანის გამოცემა.
129. მიწიშვილი ნ. ქართული მწიგნობრობის ისტორიისათვის (ჟურ. „ქართული მწერლობა“ № 10. 1927 წ.).
230. „მნათობი“, ჟურ., სხვადასხვა წლ.
131. „მოამბე“, ჟურ., სხვადასხვა წლ.
132. Мокиевский, О свободе критики (сборник «В защиту слова», 1905. Москва).
134. მოკლე ქართული გრამატიკა. 1887 წ. მონთობანი.
135. „მუშა“, გაზ., № 1523. 1927.
136. მცირე ლოცვანი 1793. ტფილისი.
137. Натроев А., Краткий очерк исправления текста грузинской библии (Духовный Вестник Грузинского Эпархата № 68. 1899 г.).

138. ნიკოლაძე ევ., საქართველოს ეკლესიის ისტორია. 1918. ტფილისი.
139. ნიკოლაძე ნ., პირველი ნაბიჯი ჩვენი ბანკირებისა („დროება“. 1876).
140. ნინოწმინდელი დ., ვინ გასცა კავკასიის სოციალ-დემოკრატიის მუშათა პარტიის დიდი სტამბა ტფილისში („რევოლუციის მატრიანე“ № 4. 1923 წ.).
141. «Обзор». გაზ., სხვადასხვა წლ.
142. Обязательные постановления и временные правила о печати. 1905. Спб.
143. Объяснительная записка к законопроекту о печати. 1914. Спб.
144. ორბელიანი, სულხან-საბა, ლექსიკონი, დავით რექტორის რედაქცია, აგრეთვე „ქართული წიგნის“ გამოცემა, 1928. ტფილისი.
145. მისივე, სიბრძნე სიცრუისა, გიორგი ლეონიძის რედაქცია. 1928. ტფილისი.
146. Павлов Н. Н., проф., К сведениям о личности архидиакона Гаиоза, в последствии архиепископа Астраханского и Ставропольского (Христианский Восток, том II, вып. I).
147. Paolini Stefano con l'aiuto del M.R.P.D. Niceforo Irbachi Giorgiano, monaco di s. Basilio, Dittionario Giorgiano e Italiano, 1629, in Roma.
148. პატარა საქრისტიანო მოძღვრება. 1886. კონსტანტინეპოლი.
149. Пионер книжного дела на Кавказе (Беренштам) (журн. «Кавказский Книжный Вестник» № 2 и 3. 1900 г. Тифлис).
150. Плеханов Г. В., Сочинения, том XXII, История Русской общественной мысли, книга III. 1925. Москва.
151. Полное собрание Законов Россииск. Имп. т.т. X и XIV.
152. Положение о Госиздате РСФСР, 1924. Москва.
153. ეამნი. 1717 ტფილისი. იგივე, პირველი გამოცემა, 1710. ტფილისი.
154. Жмнпросвещения, январь, 1883 г. (нов. архив. матер. для ист. Грузии в XVIII в).

155. ჟორდანიას თ., ქართული სტამბების საქმე მე XVIII საუკუნეში და იოსებ სამებელი (ივერია“ № 2 და 3, 1884 წ.).
156. მისივე, Исторический очерк пропаганды католицизма в Грузии (газ. «Кавказ» № 10. 1885 г.).
157. ჟორდანიას ნ., ქართული პრესა. 1900. ტფილისი.
158. მისივე, ნაწერები, ტომი პირველი. 1920. ტფილისი.
159. მისივე, ანარქიზმი, (გამომცემლობა „კოლხიდას“ დამატება). 1907. ტფილისი.
160. რეკლიუ ელიზე, ანარქია. 1906. ტფილისი (აკრძალულ და განადგურებულ იქნა ცენზურის მიერ).
161. Розенберг В., Ошибка сената (сборн. «В защиту Слова» 1905).
162. Розенберг В. и Якушкин, Русская цензура в прошлом и настоящем. 1905. Москва.
163. როსტომაშვილი დ., ავღაბრის სტამბის აღმოჩენა მთავრობის მიერ („რევოლიუც. მატ.“ № 2. 1923).
164. სადღესასწაულო. 1811 წ. სოფ. წესი.
165. Савинский Н., Грузины в Астраханской епархии и отношение к ним местных архипастырей в XVIII веке (журн. Дух. вестн. Грузинск. экзархата № 16—20 1898 г.).
166. სამოციქულო. 1709. ტფ., იგივე. 1815 წელს სოფ. საჩხერეს გამოცემული.
167. სამღთო ლოცვანი. 1784. ტფ.
168. სამღთო მსახურება. 1751. ტფილისი, იგივე, 1783 წ. ტფილისს გამოცემული.
169. „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ № 1, 2, 3, 4, 5, 1832 წ. ტფილისი.
170. სარაჯიშვილი აღ., ერთი გლეხაკის ოჯახის ბედი მე-XVIII საუკუნეში (იხ. „ძველი საქართველო“, ტომი IV).
171. „საქართველოს მოამბე“, ჟურ., 1863 წ.
172. „საქართველოს სიძველენი“, ტომი III და VI. 1910. ტფილისი.
173. საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების ოქმი № 207 (1925 წ. 24 იანვრიდან).
174. საქართველოს ცხოვრება, სენია ჩხეიძე, პაპუნა ორბელიანი და სხვ. გამოცემა ზ. კიკინაძისა 1913. ტფილისი.
175. საქრისტიანო მოძღვრება. 1741 წ. რომი.

176. იგივე, მეორე გამოცემა 1897—1800 წ. რომი.
177. საყმა წვილო წიგნების კატალოგი. 1905 ქუთაისი.
178. სახარება ოთხთავი. 1803 ქუთაისი.
179. სახარება საკითხავად. 1761 წ. მოსკოვი.
180. სახარება. 1709. ტფილისი.
181. სახარება. 1791 წლის გამოცემა.
182. სახარება. 1817 წ. სოფ. საჩხერეს გამოცემული.
183. Сведения о типографиях Грузии (газ. „Кавказ“ № 48 1846 года).
184. Сопиков, Василий, Опыт Российской библиографии или полный словарь сочинений и переводов, напечатанных на славенском и российском языках от начала заведения типографии до 1813 года, часть I. 1813. Спб.
185. Столяров Л. Кризис книжного хозяйства, 1927 Ленинград.
186. Такайшвили Е. Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“. სხვადასხვა ტომები 1903. თიფლისი.
187. მისივე, Деревянный антиминс Метехской церкви (იხ. Сборн. Матерьял. для описан. местн. и племен Кавказа, вып. XXII).
188. Tamagali M., L'Eglise Géorgienne dès origines jusqu'à nos jours. 1910. Paris.
189. Труды V-го архелогического с'езда в Тифлисе. 1887. Москва.
190. Уличная книжная торговля в Тифлисе (газ. „Кавказ“ № 38. 1877),
191. Устав закавказского акционерного общества книгоиздательства и книготорговли „Закнига,“ 1925 Тифлис.
192. Устав кооперативного издательства „Шრომა“ 1926 г. (ხელთნაწერი).
193. Устав о печати, 1907 Спб.
194. Устав о печати, проект., 1905/1906 Спб.
195. ფსალმუნი. 1711 ტფილისი.
196. Филарет, История русской церкви. часть II. 5-ое изд. 1888 г. Москва.
197. ქართველოგი, ი., დღიური (გაზ. „ივერია“ № 203, 204, 206, 1889 წ.).

198. „ქართული გაზეთი“ № 12. 1821; № 46, 1820 წ.
199. ქართული კალენდარი, 1838. ტფ. პლ. იოსელიანის გამოცემა.
200. ქართული სტამბები და დაბეჭდილი წიგნები მე-17 საუკუნიდან (გაზ. „ცნობის ფურცელი“ № 779. 1899 წ.).
201. ქალვაჟიანი. 1887. ტფ.
202. ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მეათეცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი II, გამოც. მეორე, ზ. კიკინაძისა. 1897. ტფ.
203. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთსაცავის ხელთნაწერები №№ 656 და 1512.
204. Шаншиев, Хронологический указатель книг и брошюр, вышедших на Грузинском языке с 1629 по 1883 г. 1883. Тифлис.
205. ჩარკვიანი, გრ., ქართული წიგნის მალაზიის უფასოდ დასარიგებელი კატალოგი. 1888. ტფ.
206. Цагарели, А., проф., Сведения о памятниках Грузинской письменности. ყველა ტომები, 1886—1894. Спб.
207. შისივე, Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии, том. II. вып. I 1898. Спб.
208. შისივე, О грамматической литературе грузинского языка. 1873. Спб.
210. „ცისკარი,“ ჟურ., სხვადასხვა წლ.
211. Цырлин, К вопросу о мерах борьбы с затовариванием на книжном рынке („Бюлетень по делам печати при наркомторге СССР и совета съездов газетных и книжных издательств и предприят. по распростран. печати“ № 1—2, 1927).
212. ძველი საქართველო, ტომი III. და IV. საქართველოს საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. 1913—1914. ტფ.
213. წესდებულება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა. 1879. ტფილისი.
214. წალკოტი ლოცვათა. 1877. კონსტანტინეპოლი.
215. წიგნების კატალოგი ქ. შ. წ-კ. გამავრც. საზოგადოების წიგნის მალაზიისა, 1904 წ., აგრეთვე 1913 წ. გამოცემ. ტფილისი.
216. წერეთელი, აკაკი, შენიშვნები ქართულ სტამბის შესახებ (გაზ. „ივერია,“ 1904 წ. № 200).

217. „წიგნის მატრიანე,“ (საქ. წიგნის პალატის პერიოდული საბიბლიოგრაფიო ორგანო, № 1, 1925 წ. და შემდ.)
218. წერეთელი, გრ., პროფ., ნეაპოლი, რომი, ბერლინი (იხ. ჟურ. „ახალი კავკასიონი“ № 1—2. 1925).
219. ჯავახიშვილი ივ., პროფ., ისტორიის მიზანი, წყაროები, და მეთოდები წინადა და ეხლა. წიგნი I. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. 1916. ტფილისი.
220. მისივე, Политическое и Социальное движение в Грузии в XIX в. 1906. Спб. (აკრძალული იყო ცენზურის მიერ).
221. მისივე, ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა (ჟურ. „ჩვენი მეცნიერება“ № 2, 1924. ტფ.)
222. მისივე, ქართული დამწერლობათა მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. 1926. ტფილისი.
223. მისივე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I. 1907. ტფილისი.
224. მისივე, ქართული სიგელთა მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. 1926. ტფილისი.
225. მისივე, ქართული საბუთების აღმნიშვნელი ტერმინები (საისტ. საეთნოგრ. საზ. ორგანო „მიმომხილველი“ I. 1926.)
226. მისივე, ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია.) 1925. ტფილისი.
227. ჯანაშვილი, მ., მეფე ერეკლე და მისი მოღვაწეობა (გაზ. „ივერია“ 1890 წლისა № 115).
228. მისივე, საისტორიო საბიბლიოგრაფიო წერილები (გაზ. „ივერია“ 1899 წ. № 94, 191; 1898 წ., № 56; 1900 წ., № 66, 191 და სხვ.)
229. ჯანაშვილი ინგილო, სოლომონ დოდაევი („დროება“ № 54. 1875 წ.)
230. ჯორჯაძე, არჩილ, თხზულებანი წ. I და III. 1911. ტფილისი.
231. კიკინაძე, ზ., ქართული სტამბები 1627—1913 წ. წ. 1914. ტფილისი.
232. მისივე, ვახტანგ მე-VI და სხვათა შრომა ქართული სტამბის წინაშე. 1916 წ. ტფ.
233. მისივე, პ. ხარისკარაშვილი. 1895. ტფ.
234. მისივე, ქართული გაზეთის ასი წლის ისტორია. 1916. ტფილისი.
235. მისივე, გრიგოლ ვასილის ძე ჩარკვიანი. 1919. ტფილისი.

236. მისივე, ზაქარია პეტრეს ძე გრიჭეროვი. 1926. ტფილისი.
237. ხახანაშვილი, ალ., პროფ., ქართველი მოღვაწე უცხოეთში („ივერია“ 1998. № 63).
238. მისივე, Очерки по истории Грузинской словестности. ოთხი ტომი.
239. მისივე, ძველად აღბეჭდილნი წიგნნი მოსკოვის სინოდალურ სტამბაში („მოამბე“ № III. 1900).
240. მისივე, ახალი ქართული ლიტერატურის მოძრაობა (ქურ. „კვალი“ № 2. 1894 წ.).
241. მისივე, ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერები („მოამბე“ № 8, 1905.)
242. მისივე, Афинский список грузинской библии 989 г. и его значение для напечатанного текста.
243. ხელაძე, ლ., ნაროდნიკების საიდუმლო სტამბის ისტორია („რევოლუციის მატთანე“ № 1 (14) 1926).
244. ხუნდაძე, სიმონ, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. II. 1927. ტფ.
245. მისივე, ქართველი ინტელიგენციის პროფილი მე-XIX საუკუნეში. 1927. ტფილისი.
246. ხუროძე, ვარლამ, ქართული ლიტერატურის თემატიური განხილვა. 1927. ტფილისი.
247. ქიქოძე, გერონტი ეროვნული ენერგია. 1919. ტფილისი.

ესარგებლობდით აგრეთვე გამოუქვეყნებელი საარქივო მასალებით და დაწესებულებათა ანგარიშებით:

- I. კავკასიის საცენზურო კომიტეტის არქივისა,
- II. ბეჭდვითი საქმის ტფილისის კომიტეტის არქივისა,
- III. საქართველოს მბეჭდვათა კავშირისა,
- IV. საქართველოს წიგნის პალატისა.
- V. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობისა,
- VI. გამომცემლობა „შრომისა“,
- VII. გამომცემლობა „ქართული წიგნისა“.
- VIII. ამხანაგობა „წიგნისა,“ და სხვ.

სახელების საძიებელი

- აბაზაძე მიხ.—203.
 აბაშელი ა.—322.
 აბაშიძე დიმი.—112.
 „ ვას.—183.
 „ ივ.—112.
 „ კიტა—185.
 აბდუშელიშვილი—183.
 აბრაჰამ ურიაყოფილი—71, 83.
 ავსტრია—243.
 „აზრი“ გაზ.—202.
 ათინა—5.
 ათონის ივერიის მონასტერი—19, 65.
 აიათი, რომელ არს ეარსკულავთ რიცხ-
 ვა—59, 60, 62.
 აკადემია, პეტერბურგის, სამეცნ.—21, 75,
 77, 80, 83, 86.
 Акты... 15, 98, 103.
 ალასანიძე ვ.—191.
 ალაჯაროვი ნ.—259, 266.
 ალექსანდრე, არჩილ მეფის-ძე—37, 38, 77.
 ალექსანდრე დიდი—5.
 ალექსანდრია—6.
 ალექსანდრე პავლეს ძე (რუს. იმპ.)—97,
 220.
 ალექსევი—123, 251.
 „ალიონი“ ჟურ.—204.
 „ალი“ გაზ.—203.
 ალიხანაშვილი ისააკი—202.
 „American register“ გაზ.—237.
 ამილახვარი ათანასე—19, 75, 81, 83.
 „ გივი—112.
 „ამირანი“ გაზ.—203.
 ამხანაგობის წიგნი—14.
 ანდერძის წიგნი—14.
 ანთაძე ელისაბედ—194.
 ანა დედოფალი—14.
 ანნა იჰერატრიცა—78.
 Anlim Ivireanel (ანთიმ ივერიელი)—15,
 46.
 ანტონ I, კათალიკოსი—53, 54, 65, 66,
 67, 86, 88, 99, 148,
 227, 336, 340.
 ანტონიოსი, არქიმანდრიტი—69.
 ანუკა ბატონიშვილი—14, 15.
 ანჯაფარიძე ა.—191.
 არზანოვები, მესტაპეჩენი—103.
 არაგვისპირელი, შიო—185.
 არაკაჩევი—221.
 Арсеньев К.—224.
 არჩილ მეფე—25, 37, 38, 77, 79, 80, 81,
 84, 118.
 ასათიანი მ.—183, 246.
 „ ნ.—205.
 ალა მაჰმადხანი—63, 74.
 ალლაძე ი.—185.
 „ახალი აღთქმა“ 1816 წ. მოსკ.—88.
 „ახალი გზა“ გაზ. (1910 წ.)—268.
 „ახალი დროება“ გაზ.—265.
 „ახალი მკითხველი“, გამომცემლობა—200.
 „ახალი სხივი“ გაზ.—203, 269.
 „ახალშენი“ ჟურ.—204.
 ახმეტელი ლ.—119.
 „ახალი სკოლისავენ“—354.
 ———
 ბაგრატიონი, დიმიტრი—87.
 „ბათუმის მუშა“ გაზ.—270.
 ბარტოლდ მაინცელი—7.
 ბარიატინსკი ა. ი.—222.
 Balon—373.
 ბაქარი, მეფის ძე—58, 75, 79, 80, 81.
 ბაქრაძე გ.—165.
 „ დ.—167, 251.

- ბაქრაძე კ.—205.
 ბალინანთი გრიგოლ, ახალციხელი-35, 36.
 Бахтадзе И.—339
 Бедель А.—264.
 ბებუთოვი—239.
 ბელინსკი ბ.—254.
 ბელრამინო, კარდინალი—33.
 Берлин Н.—43.
 ბერლინი—9.
 ბერენშტამი გ.—150, 151.
 ბერნარდო მ.—33.
 ბერძენოვი დ.—251.
 „ „ 6.—113, 185.
 ბესიკი (გაბაშვილი)—125.
 ბეჟანიანი—118.
 ბიბინიშვილი ბ.—305, 307, 312, 354.
 ბიბლია, გუტენბერგისეული—5
 ბიბლია, 1743 მოსკ. (ბაქარისეული)—84.
 Биухер, Карл, პროფ.—9.
 ბოლქვაძე თ.—204.
 ბოროვიკოვსკი ა. ლ.—257.
 ბოსლეველი—183.
 ბრეგაძე ნ. ნ.—95.
 ბროსე ვიქტ.—160, 299.
 Brossel M. აკადემიკოსი—37, 77, 87, 332.
 „ბრძოლა“ არალფე. გაზ.—258.
 Бутков П., აკადემიკოსი—81, 333.
 ბუტურლინი—222.
 ბუქარესტი—46.
 ———
 „გადამწერლები წიგნისა“—6, 23.
 გაიოზი, რექტორი, არქივისკოპოზი—75, 85, 86, 98, 175.
 Gamba—339
 გამყრელიძე პ. გ.—191.
 „განათლება“ ჟურ.—176, 177, 273, 205.
 „გარიგების წიგნი“—13.
 გარსევან, მესტამბე—58.
 გაჩეჩილაძე ალ.—194, 203, 204.
 გედევანიშვილი პაატა—15.
 გელათის მონასტერი—20.
 გელეიშვილი პ.—184, 200.
 გერმანე, ლარგვისის მონასტერის წინამძღვარი—18.
 გერპანე, არქიმანდრიტი—79.
 გერმანოზიშვილი დომენტი—15.
 გერმანია—3, 7, 243.
 Герсен В. М., პროფესორი—264.
 გვახალიანი ანთუან, მესტამბე—136.
 გველესიანი გ.—206.
 „გზა“ გაზ.—233, 265.
 გიორგაძე გრ.—128, 143, 156, 185, 199, 339, 340, 342.
 გიორგი, დარეჯან ბატონიშვილის კარის მღვდელი—79.
 გიორგი მთაწონდელი—4.
 გიორგი მე-XII—74.
 გიორგი მე-XI—49.
 გიორგი მერჩული—14.
 გიორგი ხუცეს-მონაზონი—4.
 გიორგობიანი ალ.—203.
 „გლახკთა ბიბლია“ („Biblia pauperum“)—1.
 გოგებაშვილი იაკობ—114, 130, 157, 176, 179, 184, 211, 231, 232, 237, 280.
 გოგიჩაიშვილი ფ.—120, 121, 160, 161, 182, 184, 185, 253, 256, 339, 346.
 გოგუაძე მ.—314.
 „ „ —266.
 გოზალიშვილი გ.—106.
 გოთუა პ.—251.
 გოლოვინი—222.
 გომართელი ივ.—184.
 გორგაძე ს.—30, 83.
 გორელი დავითა, იხ. ტულუქაანთ დავითა.
 გორემიკინი მ.—273.
 გორკი მ.—260.
 გორი—130.
 გრიგოლია გ.—191.
 გრიშაშვილი ი.—116, 119, 148, 150, 151.
 გრიჭუროვი ზ. პ.—152.
 „გუთანი“, გამომცემლობა—195, 198.
 „გუთნის დედა“ გაზ.—128.
 Guldenschludl—332.
 გურამიშვილი ქრისტეფორე—78, 79, 81.
 გურგენიძე მიხ —182, 246, 248.
 გუნია ვალერიან—185, 202.
 გუტენბერგი ი.—5, 8, 9.

დაბადება, 1743 მოსკოვი—80,82,84.
 „ 1884 ტფილისი—89.
 დადიანი დ.—183,245.
 „ ოტია—21.
 „ შალვა—260.
 დავიდოვი ი., აკადემიკოსი—223.
 დავით ბატონიშვილი—23,74,98.
 დავით გარეჯის უდაბნო—15,17,78.
 დავითი, ერეკლე მეფის კარის მღვდელი
 —49,71.
 დავითი, დარეჯან ბატონიშვილის კარის
 მღვდელი—81.
 დავით რექტორი—70.
 დავითნი, 1705 წ. მოსკ.—37,38,77; 1712 წ.
 ტფილისი — 53, 62;
 1768 წ. მოსკოვი—
 84; 1780 წ. ტფილი-
 სი—73; 1890 წ.—73;
 1824 წ. მოსკოვი—88.
 დავლანდბეგოვი—254.
 დავრიშანი—118.
 „Daily News“ გაზ.—237.
 „Daily Telegraph“ გაზ. 237.
 „დაკუეთილობის წიგნი“—13.
 დამასკელი იოანე—83.
 დანი—258.
 დარეჯან დედოფალი—17.
 „დასაწყისი“ გაზ.—202.
 დაუჯდომელი 1762 წ. მოსკ.—84; 1769 წ.
 ტფ.—73; 1789 წ. ტფ.—
 73; 1800 წ. ტფ.—
 74,98.
 დებულემა საქ. „სახელგამისა“—303,304.
 დევდარიანი ს.—184,322.
 Дело Кавказского Цензурного
 Комитета — 119,
 121, 122, 130, 142,
 143, 154, 164, 172,
 174, 178, 185, 225,
 228, 229, 230, 231,
 232, 233, 234, 235,
 236, 237, 238, 239,
 240, 241, 242, 243,
 244, 245, 246, 247,
 248, 249, 250, 251,
 252, 253, 254, 255,

256, 257, 258, 259,
 260, 261, 264, 270,
 343, 348.

Дело Тифлисского Комитета по Де-
 лам Печати—194,
 195, 196, 202, 206,
 211, 212, 261, 262,
 263, 264, 265, 268,
 269, 271, 273, 274,
 345.

დემურია მარიამ—205.

დემუროვი—254.

დვალი ე.—206.

დიასამიძე ა.—262.

„დილა“ გაზ.—265, 270.

დოდაშვილი სოლომონ—91, 103, 105,
 106, 107, 124, 226.

დომენტი (პატრიარქი)—15.

დომენტი მე-III (კათალიკოსი)—45, 54, 58,

დოსითეოს (პატრიარქი)—57.

„დროება“, გაზ. (1866—1885)—124, 127,

129, 130, 147, 153,

167, 168, 169, 170,

179, 228, 229, 230,

231, 232, 234, 235,

236, 237, 238, 239,

240, 245, 247, 248,

252, 253, 342.

„დროება“, გაზ. (1908 წ.)—204.

„დროშა“, არალეგალური გაზეთი—250.

Дубровин,—71, 74, 98, 334.

დუსტერეკ—254.

—

Егнатов—339

ელიაშვილი ს.—203.

ეგლოშვილი იროდიონ—255.

ევროპა—131, 134, 151.

„ეკალი“, გაზ.—203, 204.

ეკატერინე მეორე—23, 220.

ელენე ერისთავი—14.

Елистратов, პროფ.—263.

ელიოზიშვილი ი.—116.

ენგალიჩევი—250.

Энгельсгарт Н.—222, 223, 224, 225

Энгельс Фр.—264.

ენიბეგანთ ზალინა—35, 43.

- ენუქიმე ა.—258.
 ენფენჯიანცი, მესტამბე—150, 151, 166, 254.
 „ეპისკოპოზთა მიმართ“ 1767 წ. ტფილი-
 სი—67.
 ერაზმი—8.
 ერეკლე მე-II—23, 63, 65, 66, 67, 68, 69,
 70, 71, 72, 73, 74,
 83, 85, 94, 99, 175.
 ერზიკიანცი ა.—262.
 ერისთავი ალ.—112.
 „ გ.—91, 112, 113, 123, 182.
 „ დ.—235
 „ ივ.—112.
 „ დიმიტრი—112.
 „ რაფიელ—184, 240, 241, 251,
 „ როსტომ—112.
 ერმოლოვი, გენერალი—102, 227.
 ერიკოვი ა.—45, 150, 153, 165, 166, 176.
 Есадзе С.—243, 244, 249.
 ეტრათი—22, 23, 24.
 ეფეთიმე, აფხაზეთის კათალიკოსი—20.
 ეფეთიმე მთაწმინდელი—20.
 „ეშმაკის მათრახი“ ჟურ.—204.
 ———
 ვაჟა-ფშაველა—184, 242.
 ვარაზაშვილი ის.—322.
 ვართაგავა ი.—46.
 ვართანოვი ს.—152.
 ვართანიანცი—251.
 ვარლაამ, საქ. ეგზარხოზი (ერისთავი) —
 87, 88.
 ვატკიანი—16, 25.
 ვახტანგ მე-VI.—15, 17, 21, 35, 39, 41,
 43, 44, 45, 46, 47,
 48, 49, 51, 52, 53,
 54, 55, 56, 57, 58,
 60, 61, 62, 63, 65,
 66, 68, 71, 77, 79,
 83, 165, 175.
 ვახტანგ მეფისძე—72.
 ვახუშტი ბატონიშვილი—16, 75, 81, 175.
 Вейденбуш E.—101, 102.
 ვენერია აქილ—30, 33.
 ვენეტოვი (ვენეცია)—3, 131, 134, 135,
 136, 137, 142.
 Вержбицкий H.—224, 225.
 „ვეფხის ტყაოსანი“—21, 22, 39, 40, 43,
 53, 54, 56, 62.
 ვლახეთი—46.
 ვლადიმერი ქ.—84.
 Воронков M.—287, 288.
 ვორონცოვი—91, 227, 339.
 „ვორონცოვი“, ცენზურისაგან აკრძალული
 აკაკი წერეთლის ის-
 ტორიული პოემა—
 271.
 ვოსტორგოვი—176, 211.
 „Всемирная Иллюстрация“ ჟურ.—238.
 ვესსვიატკოვი („სევენწკა“) სოფ.—238.
 В. Т.—102.
 „Завкавказский Вестник“ გაზ.—108, 127
 „ზაკნინგა“, გამომცემლობა—137, 318.
 ზანდუკელი მიხ.—341
 „ზატიკი“—1738 წ. მოსკ.—77, 78, 79, 84.
 „ —1788 წ. ტფ.—73.
 ———
 ზაქარია არქიმანდრიტი—95, 96, 97.
 ზაქარია მარკოზისძე (მესტამბე)—66.
 ზაქარია (პაოსიანთა პატრიარქი)—96.
 ზდანოვიჩი გ. (მაიაშვილი)—185.
 ზომბარტი ვერნერ, პროფ.—6.
 ზონენფელსი—175.
 ზედგინიძე ლუარსაბ—112.
 ზუბალაშვილი—155.
 ზუბაშვილი რომანოზ (მესტამბე)—94, 95.
 „ დავით („)—95.
 ———
 თავართქილაძე კ.—262.
 თავდიშვილი ს.—203.
 თალაკვაძე ს.—250, 258.
 თამაშველი—150.
 თამარაშვილი მ.—16, 28, 29, 30, 32, 33,
 36, 42, 43, 118, 135.
 „თარხნობის წიგნი“—13.
 თაყაიშვილი ექეთ., პროფ.—17, 49, 49, 55.
 119.
 თბილელი ზუდად—17.
 „თეატრი“ გაზ.—119, 243, 252.
 თეიმურაზ პირველი—25, 99, 108.
 თეიმურაზ მეორე—62, 65, 85.
 თელავის სემინარია (18 საუკ.)—85.
 თელავი ქ.—130.

თეოფანე ზუცესი—20.
 თვალაძე ი.—191.
 თულავეი ვახტანგ—240.
 „ ელიზბარ—112.
 თუმანიშვილი ანანტასია, იხ. წერეთელი
 ანანტასია.
 თუმანიშვილი ედიშერ—66.
 „ მიხ. (მოლაყბე)—115.
 იაგშაგონი—254.
 იაეორსკი—86.
 Яницкий Я.—351.
 Якушкин— იხ. Розенберг.
 იანოვსკი—176, 231.
 იბსენი ჭენრიკ—260.
 იერუსალიმი—14.
 Ивановский В. В., პროფ.—263.
 „ივერია“ გაზ. ჟურ.—16, 77, 78, 116,
 117, 134, 141, 153, 156,
 162, 163, 168, 169, 170,
 176, 232, 239, 242, 243,
 252, 259, 260, 331.
 იელითი—81.
 ილიადა—6.
 იმედაშვილი მ.—183.
 „იმედი“ ჟურ.—219, 243, 246, 247, 248.
 „იმედი“ გაზ.—203.
 „იმერეთი“ გაზ.—270.
 იმერეთი—91, 97, 125.
 ინგროყვა პ.—151, 322.
 იოანე (გადაშწერი მე-X საუკ.)—21.
 იოანე მღვდელ-მონაზონი—22.
 იოანე, მხატვარი და ზუცესი—66.
 იოანე ოსეს ძე, მესტამბე—71.
 იოანე დამასკელი—73.
 იოანე მიტროპოლიტი (გედეონის ძე)—
 87, 88.
 იონა რუსის მიტროპოლიტი—108, 227.
 იოსებ სამებელი (არქიეპისკოპოზი)—15, 54,
 75, 77, 78, 79, 81.
 იოსელიანი გ.—184.
 იოსელიანი პლ.—19, 52, 53, 74, 77, 91,
 103, 107, 108, 129, 165,
 208, 227, 251, 333, 340.
 ირაკლი მეფე—იხ. ერეკლე მე-11.
 Irbachi Niceforo—26, 28, 29, 30, 32, 33.

ირბაქი ნიკიფორე—იხ. Irbachi Niceforo
 ისარლოვი ლ. ს.—233, 234, 240, 241,
 242, 246, 247, 248, 251.
 „ისარო“ გაზ.—202.
 ისიდორე მიტროპოლიტი—65.
 ისპანია—3, 7.
 იტალია—7, 243.
 იულონ ბატონიშვილი—15.
 კაბანოვი ნ.—159.
 „Кавказский Календарь“—113, 121,
 122, 142, 172, 184, 185,
 212, 240.
 „Кавказский Книжный Вестник“ ჟურ.
 —102, 251.
 „Кавказ“ გაზ.—71, 74, 102, 129, 150,
 153, 165, 175, 227, 233.
 „კავკასიის მხარეთა უწყებანი“ გაზ.—
 108, 227.
 კავკასიძე მელქისედეკ—81.
 კავსაძე მ.—191.
 კაზლოვსკი—253.
 „კაიტ“, სომხური გაზ.—262.
 კაკაბაძე სარგის—44, 60, 86, 251, 333.
 „კალამი“, გამომცემლობა—195.
 კალაძე რ.—200.
 კალაძე—194.
 კალანდარიშვილი გ.—130.
 „კანდელი“—238.
 „Капризъ пера“—249.
 კარბელაშვილი პ.—45, 52, 58, 62, 67.
 კარიკაშვილი დ.—29, 30, 32, 46, 47, 86,
 93, 96, 97, 117, 160,
 185, 227.
 კატკოვი—228.
 კეზელი—183.
 კეკელიძე კორნ., პროფ.—33, 36, 37, 46,
 47, 52, 56, 57, 58,
 61, 80, 81, 85, 86,
 95.
 კეკელიძე ს.—204.
 კელნის უნივერსიტეტი—7.
 კემფელი თომა—36.
 კერესელიძე იე.—114, 120, 165, 182.
 კეჟერაშვილი ქრისტეფორე—19, 22, 63,
 71, 72, 73, 74, 98, 334.

- „კვალი“ ჟურ.—109, 110, 112, 123, 126, 163, 170, 184, 185, 186, 190, 229, 252, 253, 338, 340.
- კვალიაშვილი გ.—194.
- კვიპორიანე სამთავნელი—46, 47, 56, 57, 58.
- კინე გ.—233.
- Кипшидзе Гр.—იხ. ყიფშიძე გრ.
- კირილე ბერი—22.
- „კლდე“ ჟურ.—272.
- კლდიაშვილი დ.—185.
- Княвга о книге—353.
- კობენკო დ.—257.
- Коган В.—281.
- კოვალენსკი—224.
- კოვალიოვი (ტფ. პოლიცმეისტერი)—260
- კოკოჩაიშვილი გ.—49.
- „Колокол“ ჰერცენის ჟურ.—228.
- Колобов В.—259, 264, 271.
- „კოლხიდა“ გაზ.—270.
- „კოლხიდა“, გამომცემლობა—196, 199.
- „კომუნისტი“ გაზ.—281, 292, 293, 305, 350.
- „კონდაკი“ 1710 წ. ტფ.—41, 46, 48, 62; 1751 ტფ.—73; 1774 ტფილისი—73.
- კონსტანტინეპოლი—68, 70, 131, 135, 136, 137, 138.
- კონჩუაშვილი ვ.—57, 81.
- Корганов—98. |
- კორფი ბარონ—222.
- კორნელი—232.
- კოსარატოვი—260.
- კოტეტიშვილი ვ. — 99, 113, 116, 117, 156, 170, 171, 219.
- კრამარენკო—166.
- კრემენჩუგი—75, 85, 86, 98.
- „კრეზული“ ჟურ.—128.
- კურთხევანი 1713. ტფილისი—47, 56, 57, 58, 62; 1764. ტფ.—65, 67, 68, 73; 1784. ტფ.—67, 73; 1803 წ. ქუთ.—95.
- Курфев М, პროფ.—9.
- კუხიანიძე ლ.—191.
- ლაზარევი—148.
- ლაიპციგი—8.
- ლალაევი—236.
- „ლამპარი“ გაზ.—262.
- ლარგვისის მონასტერი—18.
- ლასხიშვილი გ.—185.
- ლაშურელი იოსებ—130.
- „Le Courier de l'Europe“ გაზ.—237.
- ლენინგრადი—9.
- „Le Figaro“ გაზ.—237.
- ლეონიძე გ.—339.
- Лемке Мих.—222, 223, 224.
- ლიბერმანი—254.
- ლენინი—346
- Лихачев Н.—5
- Львов-Рогачевский—220, 221.
- ლომთათიძე კოლა—185.
- ლომოური ნიკ.—116.
- ლოდცი დ.—232.
- ლორთქიფანიძე ი. მ.—332.
- ლორთქიფანიძე კ.—183.
- „ „ ი. მ.—
- ლოტვანი 1710 წ.—62; 1784 წ.—73; 1795 წ.—73; 1768 წ. მოსკოვი—83, 84.
- Lulzow C.—9.
-
- Maggio Maria („მუსა მაჯიო“)—28, 33, 34, 165, 219.
- მადერი—254.
- „მათრაზი“ ჟურ.—205.
- მაინცი—5, 9.
- მაიაშვილი (გ. ზდანოვიჩი)—185.
- მანგლელი—72.
- მარიამ დედოფალი—14.
- მარიაში ბერნარდო—118.
- Маркс К.—264.
- მარკოზოვი მ.—205.
- მარტიროსიანცი—254.
- Мартов Л.—170, 185, 225, 226, 229, 258, 259.
- მარრი ნ., აკადემიკოსი—14, 18.
- მარხვანი 1793 წ. ტფილისი—72, 73.
- მარუშიძე ია—114, 119, 148, 149.
- მაღალაშვილი ქარუმ—112.
- „ „ დიმიტრი—112.
- მაჩაბელი დავით—112.
- მაჩაბელი ივ.—182, 230, 233, 239, 251, 253

მაჩაბელი ქეთევან—112.
 მაჩხანელი—241.
 მახარაძე ფ. — 115, 117, 148, 184, 186,
 227, 253, 265, 340.
 მაღლობლიშვილი ს.—185.
 მდივანოვი ს.—114, 165.
 მდივანი ვ.—194.
 „მეგობარი“ გაზ.—211.
 მეიერხოლდი—260.
 მელიტონი („ბერძენთა ნათესავი“)—68,
 69, 70.
 მელიქიშვილი სტ. — 130, 153, 166, 168,
 229, 250.
 მელიქ-შახნაზაროვი—254.
 „მერანი“, გამოცემლობა—195.
 მერკვილაძე იოს.—196, 203.
 „მერცხალი“ გაზ.—202, 270.
 მესხი დ.—205.
 მესხიევი ექ.—251, 254.
 მესხი სერგეი — 168, 169, 179, 182, 228,
 229, 245.
 „მეურნე“ გაზ.—180.
 „მზე“ ჟურ.—205.
 მთვარელიშვილი ნ.—86, 167.
 Мильяков П.—274.
 მირიანაშვილი პ.—184, 251.
 მირსკი სვიატოპოლკ—154.
 მირზა აბდურეზა (თაერიზელი)—60.
 მიქაძე ათ.—194, 202.
 მიქაელი, მესტამბე—43, 54, 55, 56.
 მიქელაძე დ.—317.
 მიხაილოვი მ. მ.—87.
 მიხაილ უნგროვლახელი—იხ. უნგროვლა-
 ხელი.
 მიხაილი მხატურისძე—66.
 მიხელსონ, მესტამბე—166.
 მიწიშვილი ნ.—312.
 „მიჯნების გასწორების წიგნი“—13.
 „მიჯნურობის წიგნი“—13.
 „მნათობი“ გაზ. (1906 წ.)—205, 265.
 „მნათობი“ ჟურ. (XIX საუკ.)—115, 116,
 117, 228, 342.
 „მნათობი“ ჟურ. (1924 წლიდან)—148, 354.
 „მომამბე“ ჟურ.—161, 170, 185, 250, 252.
 „მოგზაური“ ჟურ.—179, 185, 186, 252.
 „მოგზაური“ გაზ.—(1910)—268.

მოზდოკი ქ.—75, 85, 86.
 მონთობანი ქ.—131, 133, 137, 138, 141,
 142.
 მოლაყბე—იხ. თუმანიშვილი ნიხ.
 მორთულაძე ზურაბ—112.
 „Morning Post“ გაზ.—237.
 „Московские Ведомости“ გაზ. 274.
 მოსე, მღვდელი—79.
 მოსკოვი—75, 77, 79, 84, 142, 219, 220.
 „მოქცევაი ქართლისაი“—14.
 მოძალევსკი—249.
 მუნტოვეი—254.
 „მუშა“, არალეგ. გაზ.—250.
 „მუშა“ გამოცემლობა—195.
 Муратов М.—9.
 „მშაიკ“ სომხ. გაზ.—137.
 მცირე ლოცვანი, 1793 წ. ტფილისი—72,
 73.
 „მწყემსი“ გაზ.—180, 184, 205.
 —
 Набоков Вл.—257, 258.
 ნაზარაიანი—254.
 ნაზაროვი დიმიტრი—183.
 „Не книжном фронте“ ჟურ. 283.
 „ნაკადული“ ჟურ.—180, 186, 205, 261,
 354.
 Накоряков Н.—9, 353.
 ნანიეშვილი ა.—184.
 ნანუკოვი—152.
 „ნაპერწყალი“ გაზ.—203.
 „Народное Просвещение“ ჟურ.—287,
 354.
 ნასიძე მიხ.—262.
 „ნასყიდობის წიგნი“—13.
 Натроев Н.—81.
 „National-Zeitung“ გაზ.—243.
 ნებიერიძე—183.
 ნეჟევაგო—254.
 ნიდერლანდია—7.
 „Нива“ ჟურ.—238.
 ნიკიფორე მღვდელი—87.
 ნიკიფოროვი—254.
 ნიკოლაძე ევ.—86, 93.
 ნიკოლაძე ნ.—167, 168, 169, 170, 171,
 172, 184, 235, 236, 237,
 238, 239, 240, 249, 322

- ნიკოლოზ, დეკანოზი—66.
 ნინიძე კირ.—204.
 ნინოშვილი ეგნ.—184.
 „ნიშადური“ ჟურ.—204.
 „ნობათი“ ჟურ.—179, 180, 184, 239, 252.
 ნოვეგოროდი—78.
 ნოვიკოვი—220.
 „Новое Обозрение“ გაზ.—234, 239.
 „Новости“ გაზ.—234.
 „Новь“ გაზ.—262.
 —
 „Обзор“ გაზ.—270, 235, 236, 237, 238.
 Объяснительная записка к законопроекту о печати—189, 192, 193, 224, 225, 257, 266.
 Обязательные постановления и временные правила о печати 1905 г.—262.
 ობოლაძე გ.—202.
 „Огнегласный Комитет“—222.
 ოთხშეხური თეოფანე—202, 203.
 ორბელიანი გრიგოლ—129.
 „ თამაზა—16.
 „ კაკუნა—208.
 „ სულხან—საბა—14, 18, 36, 69, 70, 335.
 ორბელიძე ნიკოლოზ—41, 42, 46, 51, 52, 56, 60.
 ოსესძე ნიკოლოზ—21.
 ოსესშვილი იოანე—21, 44, 327, 334, 335.
 ოამალეთი—113.
 Отчет Главного Комитета по делам печати за 1904 г.—259, 261, 252.
 —
 პავლიძე პ.—200.
 პაიკაძე (მესტამბე)—88.
 პაპა სერგიოზი, ორქიმიანდრიტი—57.
 Paolini Stefano—26, 29, 30, 32, 33, 35, 219.
 Papyrus (პაპირუსი)—3.
 პარაკლიტონი, 1767 წ. მოსკოვი—84; 1720 წ. ტფ.—62; 1772 წ. ტფ.—73.
 პატრიშვილი ფ.—253.
 Pergament (ეტრათი)—3.
 პეტერბურგი—75, 83, 85, 142, 225, 235.
 პეტრე პირველი—37.
 პეტრიწი—125.
 „Печать и Революция“ ჟურ.—281, 197.
 პიხნო, პროფ.—257.
 Плеханов Г. В.—220.
 პლეშჩევი—101.
 პოლუმორდვინოვი ივ.—251.
 Постатейные объяснения к законопроекту о печати—268.
 „Posi“ გაზ.—243.
 „Правительственный Вестник“—233.
 „Право“ ჟურ.—263.
 „პროლეტარიატის ბრძოლა“, არალეგ. გაზეთი—259.
 პუგაროვი ემელიან—150.
 —
 უამნი, 1717 წ. ტფ.—58, 62; 1710 წ. ტფ.—58, 62; 1791 წ. ტფ.—73; 1762 წ. მოსკ.—84; 1767 წ. მოსკ.—84.
 უენევა—258.
 უორდანიას თ.—28, 30, 47, 54, 77, 78, 80, 83, 84, 85, 86, 167, 176;
 უორდანიას ნ.—168, 184, 197, 207, 245.
 უურული გ.—251.
 —
 რატიევი ი.—112.
 „რევოლიუციის მატინე“ ჟურ.—258, 259, 266.
 რეკლე ელიზე—195.
 „რესპუბლიკის საჯარო ბიბლიოთეკა“—84, 95. და სხვ.
 რეჯიელი კლაუდო—36, 42.
 Розенберг В.—170, 180.
 Розенберг и Якушкин—222, 229.
 როინიშვილი ვასო—194
 რომელი იოსებ—35.
 რომი—26, 219.
 როსტომშვილი ი.—185, 200.
 როსტომიანი—118.
 როტინიანცი, მესტამბე—254.
 როშფორი—237.
 რუსიელი ია—191.
 რუსთაველი შოთა—53, 55, 125.
 „Русская Речь“—245.
 რუსეთის სამეცნ. აკადემია—იხ. აკადემია.
 რუსეთი—23, 65, 75, 77, 78, 85, 97, 219 და სხვ.

- რუსუდან დედოფალი (მე XIII საუკ.)—28.
 რუსუდან დედოფალი—51.
 რჩეულოვი სოლ.—112.
 რცხილაძე გრ.—185.
- „საარქივო საქმე“, წ. I. 1929 წ.—299.
 „საბჭოთა კავკასიონი“ გამომცემლობა—
 290, 282, 291.
 სადღესასწაულო 1805 წ. მოსკ.—87, 88.
 „საეპრო გზა“ გაზ.—203.
 სავედრებელი ლეთისმშობლისა—95.
 Свѣтскій И.—61, 77, 78.
 საირმის მონასტერი—22.
 საკითხავი წიგნი—18.
 „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის
 უწყებათანი“—105, 107, 124.
 „სამეცნიერო წიგნი“—18.
 სამოციქულო, 1709. ტფილისი—42, 46, 60;
 1791 წ. ტფ.—73; 1765 წ. მოსკოვი—
 84, 219; 1815 წ. საჩხერე—97.
 სამთაველი კვიპრიანე—46, 47.
 სამებელი იოსებ—იხ იოსებ არქიეპისკო-
 პოზი.
 „სამლოთ მსახურება“ 1751 წ. ტფ.—65, 66,
 68; 1783 წ. ტფ.—71, 73, 219.
 „სამლოთი წიგნი“—18.
 სარაჯიშვილი ალ.—335, 336.
 ი.—155, 182.
 „სასოფლო გაზეთი“ გაზ.—121, 153, 180.
 სასწავლო ყრმათათვის, 1740. მოსკ.—84.
 „საქართველოს მოამბე“ უფრ.—124, 125,
 126, 127, 151, 153, 228,
 342.
 „საქართველო“ გაზ.—143.
 „საქართველო“ უფრ.—204.
 „საქართველოს გაზეთი“—99, 100, 101.
 „საქართველოს სიძველენი“—16.
 საქართველოს საისტ.—საეთნოგრ. მუზეუ-
 მი—4, 23, 71, 84, 160, 226.
 საქართველო—17, 97, 125, 142 და სხვ.
 „საქართველოს ცხოვრება“ 1469—1800 წ.წ.
 საქართველოს წიგნის პალატა—იხ წიგ-
 ნის პალატა
 საჩხერე სოფ.—91, 96, 97.
 საცენზურო წესდება 1804 წლისა—220.
 „ „ „ 1826 წლისა—222.
- სახარება 1709 ტფილისი—41, 44, 46, 50.
 52, 60; 1751 წ. ტფილისი—73; 1786
 ტფ.—73; 1739. მოსკოვი—79, 84; 1766
 მოსკოვი—83, 84; 1817 საჩხერე—97.
 „სახელგამი“ რ. ს. ფ. ს. რ.—294, 303, 304,
 და სხვა.
 „სახელგამი“ საქ.—290, 291, და სხვ.
 Сборник статей по библиот. рабо-
 те—298.
 სენკოვსკი ს.—106, 226.
 სერებრიაკოვი—120, 128, 182.
 სვიმონ მეფე—17.
 სვიმონ ბატონიშვილი—39, 56, 57, 66.
 Свод Зак. Рос. Имп.—80, 81, 224, 225..
 სინას მთა (მონასტერი)—18, 24.
 „სინათლე“ უფრ.—119, 110, 112, 113, 123..
 სიონის ტაძარი—149.
 სიესტი მე-IV, პაპი—7.
 სინდერსკი—236.
 „სიმი“ უფრ.—251.
 „სინათლე“ გაზ.—265.
 სილნალი—130.
 სიხარულიძე მ.—194.
 სკანდაროვი გ.—165.
 სმუშკოვა მ.—298.
 სნეგოვი—16.
 Собрание материалов, отчет о дея-
 тельности Совета М. В. Д. по де-
 лам печати за 1863 г.—228.
 „Современник“—228.
 სოზიაშვილი ივ. . 204.
 სოლომონ მე-II—93, 94.
 Сопиков В.—83, 87, 98, 333.
 სოფრონი, არქიერი—95.
 „Сообщен. Прав. Палест. Общ.“—18..
 „სოროპანი“, გამომცემლობა—206.
 „სოციალ-დემოკრატი“, არალეგ. უფრ.—
 259.
 სპარსეთი—15, 74.
 Stallionarii —6.
 სტენკა რაზინ—150
 სტოლიპინი—263.
 Столяров П. Л.—352.
 Schollenloher K.—9.
 სხირტლაძე გ.—204.
 „სხივი“, გამომცემლობა—195.

- ტაბიძე სვიმონ, მესტამბე—87.
 „ტალა“ გაზ.—262.
 ტატიევი—205.
 ტებენკოვი—254.
 ტენედო (ბოლჩაადი)—15.
 ტერ-მიქაელიანი—130, 151, 152.
 ტესტამენტი 1739 წ. მოსკოვი—84.
 „Times“ გაზ.—237.
 ტიმოთე, ქართლის მთავარეპისკოპოსი—
 53, 54, 108, 227, 336.
 ტირაეუ პოლოს ოპანისიანი—70.
 To Bibliov—13.
 ტობია—81.
 ტოლსტოი (შინ. საქ. მინისტრი)—226.
 „ „ დიმიტრი,—230, 243.
 Толстой П.—263.
 ტრიფილე, ილუმენი—71.
 ტულუქანთ დავითა (გორელი)—35, 36,
 42, 219.
 ტუსიშვილი შიოში—71.
 ტფილისი (სტამბა)—15, 17, 19, 21, 22, 26
 და სხვ.
 „ტფილისის უწყებანი“ გაზ.—91, 104, 105,
 106, 107, 226.
 ტფილისის სახელმწიფ. უნივერსიტეტის
 წიგნთსაცავი—17, 19, 21, 52, 58, 65,
 72, 78, 80, 84, 108,
 127, 234, 219, 226,
 „The Echo“ გაზ.—237.
 „The International“—237.
 —
 უთურგაური—343.
 ულრიხ ფონ ჰუტენი—8.
 უმიკაშვილი პეტრე—120, 121, 128, 129,
 182, 346.
 უნგროვლახელი მიხეილ სტეფანესძე—39,
 41, 45, 46, 47, 48, 49,
 51, 52, 56, 57, 58.
 ურბან მერვე (რომის პაპი)—28.
 Устав Государственного Издатель-
 ства Р. С. Ф. С. Р.—298.
 Устав о печати—224, 267, 268.
 „ „ проект.—266.
 Устав Книгоиздательства „Закни-
 го“—317.
 Устав Кооперат. издательства „Шро-
 ма“—318, 319.
- „ულელი“ (ქართველთა საზოგადოება ცრ-
 რისში 1873 წ.)—273.
 —
 ფანცხავა რ.—251.
 „ „ ი.—185.
 „ფარი“ ჟურ.—205.
 „ფასკუნჯი“ ჟურ.—205.
 ფაუსტი (გუტენბერგის თანამშრომ.)—
 ფედოროვი ივანე (პირველი მოსკოველი i
 სტამბე)—43.
 ფილიპე (ბატონიშვი. დარეჯანის კარ-
 მღვდ. მოსკ.)—81.
 Филарет—81.
 ფირალოვი გ.—103, 165.
 ფირცხალავა ს.—185.
 ფრანკფურტი—8.
 ფრონელი ალ.—185, 273.
 ფსალმუნი 1711. ტფ.—53, 62, 73.
 ფურცელაძე დ.—129, 182, 183, 236.
 „ „ დ.—51.
 „ „ სოლ.—112.
 ქავთარაძე ქაიხოსრო—203.
 ქანანაძე ა.—204.
 „ქალვაჟიანი“—118.
 ქართველიშვილი იოანე—15.
 „ „ მ.—183.
 „ქართველთა შორის წერა-კითხვის გან-
 ვრცელ. საზ-ება“—137, 139, 145, 15
 155, 156, 157, 159, 16
 191, 288.
 „ქართლის ცხოვრება“—87, 149, 208, 33
 „ქართული ბიბლიოთეკა“ ჟურ.—180, 23
 „ქართული ბიბლიოგრაფია“—297, 298
 „ქართული გაზეთი“ (1820—1821) — 3
 102, 163, 338.
 „ქართული სამკურ. ფურცელი“ გაზ.—20
 „ქართული წიგნი“ (გამომც.)—18, 70, 31
 ქარუმიძე თედორე—112.
 ქიზიყელი—247, 248.
 ქიქოძე გ.—322, 337.
 ქობულაშვილის ასული ქეთევან—16.
 ქოსაშვილი შ.—203.
 კრისტეფორე მღვდ.-მონაზ.—14.
 ქუთაისი—91, 93, 130 და სხვ.
 —
 ლამბაროვი—130, 184

- მბაშიძე დ.—184, 205.
 მბაშიძე დ. ექვთ.—205.
 ინიაშვილი ა.—178.
 ალობერიძე ბესარიონ—155.
 „ნიკ.—184.
 ედუშაური გიგლა—341.
 ელარე ანდრია—178, 179.
 „ ს.—194.
- — — — —
 ზბეგი ალ.—184.
 ჩამანიანი—118.
 ჩალაშვილი შალიკა—16.
 ფიანი დიმიტრი—106, 155.
 ფშიძე გრ.—99, 105, 117, 121, 178,
 185, 227, 232, 246.
 ირლანდი დ.—74.
- — — — —
 ეთელი—108, 125.
 მახია—16.
 მნადირი—
 მპანი—6.
 ნიძე ა., პროფ.—37.
 ნშივეი—164, 165, 166, 367, 175, 251
 ლიკოვი სვიმონ—112.
 როვეი—254.
 ტბერდი—14.
 ხბაზიანი—254.
 ჰაბიშვილი მხითარ—16.
 სხმა პირველი ახლისა ამის წიგნთ სა-
 ბეჭდავისა 1782. ტფ.—73.
 ლლერი—232.
 ომღვიმის მონასტერი—77.
 რინსკი— შინმატოვი—223.
 ინაური საქმეები“ გაზ.—205.
 შკოვი—221.
 ზისელბურგის ციხე—220.
 სრომა“ გაზ. (1881—1883. ქუთაისში)—
 180, 243, 245.
 სრომა“ გაზ. (1912 წ.)—262.
 სრომა“ ჟურ.—205.
 სრომა“ გამომცემლობა,—291, 317, 318,
 319, 320
 სრომის საკითხები“, გამომცემლ.—319.
 სურდული“ გაზ.—203.
 სუქი“ გაზ.—204.
 სелкунов—9.
- ჩარკვიანი გრ.—152, 153, 154, 166, 167, 254-
 ჩაჩანიძე ვანო—194.
 ჩახრუხაძე—125.
 ჩერნიშევსკი—228.
 „ჩენი გზა“ გაზ.—265.
 „ჩენი კვალი“ გაზ.—203.
 „ჩენი სიტყვა“ გაზ.—207, 265.
 „ჩენი ქვეყანა“ ჟურ.—204.
 „ჩენი ცხოვრება“ გაზ.—270.
 ჩიბო ეპისკოპ.—35.
 ჩიქოვანი გ.—130.
 „ კ.—191.
 ჩიჯავაძე ანნა—262.
 ჩუბინიშვილი დ., პროფ.—21, 87, 124,
 165, 334.
 ჩხეიძე კარლო—184.
 „ სენია—208.
 ჩხენკელი აკ.—184.
 „ ივ.—194.
- — — — —
 ცაგარელი ა., პროფ.—18, 21, 23, 32, 33,
 45, 65, 68, 70, 72, 85,
 95, 107, 333, 337.
 Zedler K.—5.
 „ცენტრარქივი“—197, 142, 95, 225.
 Цырлин—353.
 „ცისკარი“ ჟურ.—91, 112, 113, 114, 115,
 116, 117, 120, 123, 125,
 128, 129, 153, 227, 341.
 „ცისარტყელა“ გაზ.—202, 265.
 „ცისკარი“, გამომცემლობა—195.
 „ცისკარი“ გაზ.—202.
 „ცის ნამი“ ჟურ.—204.
 ციკერონი—6.
 ციციანოვი გრ.—112.
 „ ირაკლი—112.
 „ (საქ. მთ.-სარდ.)—15, 86, 98.
 ციციშვილი დ.—81, 83.
 „ცნობის ფურცელი“ გაზ.—136, 141, 185,
 200, 252, 256.
 „ცოდნა“, გამომცემლობა—195.
 „ცხოვრების სარკე“ გაზ.—203.
- — — — —
 „ძველი საქართველო“ (საქ. საისტ.-საეთნ.
 სახ. ორგანო)—21, 335, 337.
 ძაძაძია—206.

- წაი-ლენი—3.
წერეთელი აკაკი 153, 157, 184, 196, 233, 271.
წერეთელი ანასტასია--205.
„ გიორგი—120, 128, 179, 189, 184.
„ გრ., პროფ.—29.
„ გრიგოლ ზურაბისძე—96.
„ ზურაბ—94, 96, 97.
„ ირ.—184.
„ მიხ.—138.
წერთელევი დ. ნ.—257.
წესი, სოფ.—19, 95.
„წიგნის მატრიანე“—348.
„წიგნი“, წიგნის გამაგრებელი ამბ-ობა—314, 316, 317.
„წიგნის გამომცემელი ქართველთა ამბანაგობა“—145, 153, 161, 162, 254.
„წიგნის მეგობარი“ ჟურ.—138, 160 165, 227, 284.
„წიგნი მეფისა“—13.
წიგნის პალატა „საქ.—278, 284, 296 და სხ.
წმინდა ჯერის ციხე—78.
წულუკიძე აღ. 184.
„წყარო“ ჟურ.—251, 265.
„წყალობის წიგნი“—13.
—
კავკავაძე ილია—87, 125, 126, 127, 151, 155, 169, 182, 232, 251.
კანიშვილი პ.—51.
კელიძე მ.—191.
კიკინაძე ზ.—29, 35, 46, 52, 70, 93, 98, 120, 136, 208, 251.
კრელაშვილი სტ.—183, 248.
კყონია ა.—184, 185.
„ გიორგი—191.
ხარისკარაშვილი პეტრე—131, 135, 136.
ხარკაშენელი გრიგოლ—85.
ხახანაშვილი აღ., პროფ.—35, 37, 45, 446, 52, 78, 81, 87, 93, 98, 102, 185, 250.
ხელაძე ექვთიმე—89, 153, 166, 251, 254.
„ ლ.—250.
ხელაშვილი ივ.—103.
ხეჩუაშვილი გ.—206.
ხიზანაშვილი ნიკო—183.
„ხმა“ გაზ.—251.
„ხომლი“ გაზ.—203.
ხონელი ი.—184.
ხოსაშვილი დავით—79.
ხუნდაძე სიმონ—107, 250, 251.
ხუბუნაიშვილი მიხ.—115.
ხუროძე ვარლამ—343.
—
ჯაბადარი ა.—152, 184, 251.
ჯავახიშვილი ივ., პროფ.—13, 14, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 29, 30, 49, 60, 244, 267, 334.
ჯავახოვისა ელისაბედ—112.
ჯანაშვილი დიმიტრი—232.
„ ინგილო—103, 105.
„ მოსე—15, 16, 17, 18, 22, 23, 81, 102.
ჯანდიერიშვილი გ.—141.
ჯანელიძე—206.
ჯანშივეი გრ.—340.
„ჯეჯილი“, საყმაწვე. ჟურ.—180, 184, 205, 252, 253.
ჯიბლაძე სილ.—170, 184, 200.
ჯიგინანთი, ივანე—36, 42.
ჯორჯაძე არჩილ—143, 171, 185.
ჯუღელი ს.—200.
ჯ—შვილი ა.—194.
—
ჭერცენი—223, 228.
ჭიუგო ვიქტორ—250.
ჭოლანდია—3.
ჭოქოციანი—136.

შეთავრების კორექტურული შეცდომების გასწორება

გვერდი	სტრიქ.	დაბეჭდი- ლია	უნდა იყოს	გვერდი	სტრიქ.	დაბეჭდი- ლია	უნდა იყოს
3	24	pergrameni	pergrameni	29	22	ფანტიკუ- რად	ფონტიკუ- რად
5	2	Παρογρα- φικεσθε	Παρογραφ- ικεσθε	30	32	იტალითრი	იტალიური
6	30	საგან.ოცემ- ლო	საგამომცემ- ლო	„	13	Georgiano	Giorgiano
„	26	მინასტრებს,	მონასტრებს,	31	10	καταπιπυαα	κατοπιπυαα
7	27	სარკუნის	საუკუნის	„	1	დაპატარე- ბულია	დაპატარავე- ბულია
„	18	Wieden- druk	Wiedendruck	32	4	Dillionario	Dillionario
8	32	წიგნთ	წიგნით	33	19	Stelano	Stefano
„	6	გამებით	გემებით	35	30	ტულიკანთ	ტულუკანთ
„	2	ულრიხ	ულრიხ	36	22	ტისერტა- ცია	დისერტაცია
„	3	ბუჭგასე	ბუხგასე	„	„	„	„
9	7	Техника,	техника	37	10	Κορυ	Καρυ
„	6	искусство	искуство	„	2	μελημα	μελημαρ
„	3	Lulzw	Lulzow	41	9	ორბლიძე	ორბელიძე
„	3	Kupferli- ches	Kupfersli- ches	42	1	წინგსაცეში	წინგნოსაცეში
13	9	დილომალიკა	დილომატიკა	„	30	დაბეჭდულ	დაბეჭდილ
14	23	გახსნის	შემოღების	43	4	საქრისტიანო	საქრისტიანო
15	7	უზრცესი	უზუცესი	19	19	გორგის	გიორგის
16	26	შაბახიას	შამახიას	44	29	მჩმახილიო	მჩმახელნიო
18	39	ნაწერ	მინაწერი	22	22	მე-VXIII	მე-XVIII
„	37	ვიგულსმო- ვიდბინე	ვიგულსმოვი- ცდინე	15	13	საფუძველია- ნად	საფუძველია- ნად
„	8	საწარმარ- თონი.	საწარმოთო- თონი.	„	7	αρχαιολογι- ικεσθιο	αρχεολογιικε- სθιο
„	9	на чинах	на чинах	46	37	დნრა	დარა
19	28	რიხვით	რიცხვით	„	35	კოდაკი	კონდაკი
20	29	დაჰკანი	დრაჰკანი	„	29	momento	memento
21	21	ენჩინა	ერჩინა	47	25	კვიარიანე	კვიპარიანე
22	39	ნაკურთენ	ნაკუთენ	17	17	დასტენს	დასტენს
23	16	გრამატიუ- ლი	გრამატიკუ- ლი	18	21	რომელთაც	რომლითაც
24	20	სდილობდენ,	სდილობდენ;	„	12	სტამბებტი	სტამბებში
24	16	უამისოდაც	უამისოდაც.	„	9	კამბინაცია	კომბინაცია
28	29	Della sagra	Sagra	62	24	ხუცური	ხუცური
„	4	მისიას	მისიას	69	7	მეცნიერების	მეცნიერების
29	36	მუსსულიმანი	მუსლიმანი	72	11	...ჰც	...ჰც
				73	2	სახმარადე	სახმარად
				87	5	Travau	Travaux

გვერდი	სტრიქ.		უნდა იყოს	გვერდი	სტრიქ.		უნდა იყოს
	ჰევი- ლა	დაბეჭდი- ლია			ჰევი- ლა	დაბეჭდი- ლია	
88	20	„თვენი“	„თვენი“	236	12	ანტ. ფურცე- ლაძე	დ. ფურცე- ლაძე
107	2	ქართული	ქართველი				
108	27	შავთელისა	შავთელისა	251	7	ანტ. ფურცე- ლაძე	დიმ. ფურ- ცელაძე
113	12	გამოცხადე- ბინაც	გამცხადები- დანაც	256	35	Allzu	All zu
114	17	გოგბაშვილის	გოგებაშვილის	257	6	ბუნუ რი	ბენუარი
115	23	მოლიყბე	მოლაყბე		22	პროფ. პიხ- ნოსათვი	პროფ. პიხ- სათვის
122	2	მიღებულთა	ამოღებულთა				
123	17	მიხედქვად	მიუხედავად	263	7	ანონიმური	ანონიმური
126	26	სიფიზმის	სოფიზმის	275	15	შედევ	შემდეგ
135	29	მხრითარის- ტებს	მხითარის- ტებს	283	18	თვალსაზრით	თვალსაზრი- სით
148	4	არიგად	ამრიგად	289	16	გვ. 250	გვ. 290
152	32	ულია	ლია	293	9	ბიულეტენ- საც.	ბიულეტენ- საც.
162	33	ზარაგოული	ზარაგოული				
182	4	იბეჭდებთა	იბეჭდებოდა	313	28	1228 წლის	1928 წლის
185	25	პედიო—	პერიო—	317	36	ელთა	ველთა
219	37	პაპულიარუ- ლი	პოპულიარუ- ლი	319	24	გაუწონ	გაუწიონ
215	18	კლიბადი	კლებადი	320	9	სიონალური	ფესიონალური
231	1	ვისებურ	თავისებურ	345	1	ქიოი	ქიოი
236	4	ა. ფურცე- ლაძე	დ. ფურცე- ლაძე	350	14	ახსნას	აიხსნას